თ. აფანასიევა

ოჯახი

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სკოლების მთავარი სამმართველოს მიერ რეკომენდებულია საცდელ დამხმარე სახელმძღვანელოდ საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთათვის

ქართული თარგმანის რედაქტორი ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
აკაკი გაინდურაშვილი

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1988

ეს ნაშრომი საცდელი სასწავლო სახელმძღვანელოა საშუალო სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის. ოჯახური ცხოვრებისათვის ახალგაზრდის მიზანდასახული მომზადება პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ესაა წიგნის ძირითადი იდეა. ავტორი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჭაბუკებისა და ქალიშვილების ურთიერთობა, მეგობრობა, სიყვარული, ოჯახური ურთიერთობანი და ა. შ.

წიგნი გათვალისწინებულია უფროსკლასელთათვის.

მთარგმნელი თამარ მუსერიძე

A $\frac{4306022100 — 056}{M — 602\ (08) — 88}$ 99 — 88

I SBN 505 — 5 — 00166 — 1

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „განათლება", 1988

ეს საოცარი სასწავლო საგანი

ოჯახის შესახებ საუბრის დაწყებამდე, გავარკვიოთ: რატომ ირჩინა თავი სკოლის ცხრილში წინა თაობებისთვის უცნობმა სასწავლო საგანმა — „ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“ და ცოდნის რომელ სფეროს წარმოგვიდგენს იგი.

მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო საგნები, ისტორია და უცხო ენები—უძველესი, საყოველთაოდ აღიარებული სასწავლო დისციპლინებია. მათი დანიშნულებაა, დახმარება გაუწიოს ახალგაზრდას თანამედროვე მეცნიერების, კულტურის, წარმოების შესახებ ცოდნის საფუძვლების დაუფლებაში, უფროსი თაობისგან საზოგადოებრივი პროგრესის ეტაპეტის მიღებასა და შემდგომ წინსვლაში. თითოეულ სასწავლო საგანს სწავლების სისტემასა და მეთოდიკაში აქვს მდიდარი გამოცდილება და ტრადიციები.

და აი, მათ შორის გაჩნდა ახალბედა, რომელსაც გარეგნულად არავითარი კავშირი არა აქვს არც ერთ სასწავლო საგანთან, თან ჯერ ისიც კი არ ვიცით—აუცილებელია თუ არა ის მომავალში ადამიანისათვის. ან საერთოდ აქვს კი აზრი იმას, რომ მოზარდს ოჯახში ცხოვრების წესებს ვასწავლიდეთ სკოლის კედლებში და არა თვითონ ოჯახში?

თქვენ, უფროსკლასელები, მრავალი წელი ცხოვრობთ ოჯახის კანონების მიხედვით და ეუფლებით „ოჯახური ცხოვრების ეთიკასა და ფსიქოლოგიას“, როგორც იტყვიან აკვნიდან, პირველი შეგნებული მოძრაობიდან, ღიმილიდან, სიტყვიდან. სახლში, სკოლაში, წიგნებში, კინოში, რადიოში ყოველდღიურად დაჟინებით გიმეორებენ, როგორ უნდა მოექცეთ მშობლებს. როგორ გახდეთ თვითონ კარგი დედები და მამები, კარგი მეუღლეები. გაიმეორეთ ის, რასაც აკეთებენ თქვენს ირგვლივ მყოფი კეთილი ადამიანები — აი, მთელი მეცნიერება ამ საკითხზე. ისწავლეთ უფროსების მაგალითზე... ბევრი მოხუცი ქალი და მამაკაცი ცხოვრობს პატიოსნად, გონივრულად, პირნათლად მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ცხოვრებისათვის სპეციალური მომზადება კი არა, საერთოდ არავითარი განათლება არა აქვს. მაშ რატომ გახდა აუცილებელი ისედაც გადატვირთულ სასკოლო პროგრამაში კიდევ ერთი ახალი სასწავლო საგნის შემოტანა, თუ კი მისი დაუფლება შესაძლებელია საგანგებო სწავლების გარეშეც, საკუთარი გამოცდილების გააზრების ან უბრალოდ სხვისი გამოცდილების

გადაღებით? როგორც ხედავთ, კითხვა სერიოზული და კანონზომიერია.

რა საჭიროა ეს საგანი? — კითხულობდა ბევრი გაოცებით. მიუთითებდნენ წინაპართა გამოცდილებაზე, ხომ ცხოვრობდნენო ისინი მრავალი ათასეული წლების მანძილზე მტკიცე ოჯახებად. მათი ოჯახები უფრო მყარი იყო, ვიდრე ბევრი ჩვენი განათლებული თანამედროვის მიერ შექმნილი ოჯახიო, როცა საფუძვლიანად გააანალიზეს ჩვენი ქვეყნის ხალხების ოჯახის ისტორია, აღმოჩნდა, რომ წინაპრებს დიახაც ასწავლიდნენ ამ მეცნიერებას და საფუძვლიანადაც ასწავლიდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ასწავლიდნენ გამორჩეულად და დიდი გატაცებით.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ბავშვებს, მიუხედავად იმისა, დადიოდნენ თუ არა სკოლაში, უნდა სცოდნოდათ და შეესრულებინათ რელიგიის მიერ ნაკარნახევი ცხოვრებისა და ქცევის წესები. რელიგიის პოსტულატები კი არსებითად განსაზღვრავდნენ ადამიანის ყოველ ნაბიჯს: როდის და რამდენი უნდა ემუშავა, როდის და როგორ უნდა დაესვენა, როდის რა ეჭამა: სამარხვო თუ სახსნილო (სახსნილო ეწოდებოდა ცხიმიან და ხორციან საჭმელს), ვინ ვის უნდა დამორჩილებოდა ოჯახში („პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილგეყოს შენ და დღეგრძელი იყო. ქვეყანასა ზედა," „გქონდეს კრძალვა და რიცი ქმრისა შენისა", „სულსა უქმობისასა და მიმომწილველობისასა, მთაერობისმოყვარეობისასა და ცუდადმეტყველებისას ნუ მომცემ მე, ხოლო სული სიწმინდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე..."). რელიგიური კანონებისა და დებულებების გარდა, არსებობდა საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული, მკაცრად მოქმედი ხალხური ადათ-წესები, ტრადიციები, რომლებიც ასევე აწესრიგებდნენ ოჯახურ ცხოვრებას, განსაზღრავდნენ ოჯახის წევრთა ურთიერთობებს. ხალხურ ადათ-წესებში ჩაცმულობაც კი დეტალურად იყო გათვალისწინებული: როგორი ჩაცმადახურვა შეეფერებოდა გასათხოვარ ქალს და როგორი გათხოვილს; როდის შეიძლებოდა თავდაუხურავად ყოფნა და როდის იყო აუცილებელი მანდილის, ლეჩაქის ხმარება. აბა ერთი თავდაუხურავი გამოჩენილიყო ქალი საზოგადოებაში! დასცინებდნენ, გაჰკიცხავდნენ. გაიხსენეთ ვაჟას სიტყვები; თათრებისაგან აოხრებულ, აწიოკებულ კახეთს იგი ჩიქილა მოხდილ ქალს ადარებს: „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილა მოხდილ ქალადა." თმების მოკლედ შეჭრა სირცხვილი იყო და სასჯელად ითვლებოდა. როგორ უნდა შეგეხედათ უცხო მამაკაცისა თუ ქალისათვის, როგორ უნდა გეპასუხათ უფროსებისათვის, რა დროს და როგორ უნდა გაგეცინათ ან გეტირათ-ესეც განსაზღვრული იყო ხალხური წეს-ჩვეულებებით.

ოსტროვსკის დრამაში „ქარიშხალი“, კაბანიხა არცხვენს და ლანძღავს თავის რძალს კატერინას იმისათვის, რომ ის ხმამაღალი ტირილითა და გოდებით არ აცილებს თავის ქმარს ტიხონს (როგორც ეს წესად იყო მიღებული იმ დროს) ხანმოკლე მოგზაურობაში.

ყოველივე ეს უნებურად გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი წინაპრები არსებითად გამუდმებით ეუფლებოდნენ მხოლოდ ამ ცოდნას.

მაშინ იქნებ მართლაც ჯობდეს, რომ ველოსიპედი ხელახლა კი არ გამოვიგონოთ, არამედ ვისარგებლოთ წინაპართა გამოცდილებით, მათ მიერ დადგენილი წესები და ნორმები გავცხრილოთ მისტიკისა და ცრურწმენებისგან და ისე გადმოვიტანოთ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში. მაგრამ თუ კარგად ღავუკვირდებით საქმის ვითარებას, ვნახავთ, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვა. რევოლუციამდელი ოჯახის მთელი წყობა ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ პრინციპებს: როგორც თვითონ სახელმწიფო, ისე მისი პირველადი უჯრედი — ოჯახი, აგებული იყო მკაცრი იერარქიის კანონების მიხედვით, განუზომელი იყო ოჯახის უფროსის ძალაუფლება. უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა ოჯახის ყველა წევრი მის ნება-სურვილს, ქალი—მამაკაცს, ბავშვები—მშობლებს, რომელთა უფლებამოსილება შვილების მიმართ უსაზღვრო იყო (შვილი ჩემია, მინდა მოვკლავ მინდა დავტოვებ—ამ აზრს გამოთქვამდნენ არა მარტო ლიტერატურული გმირები, არამედ ხშირად რეალური, ცოცხალი ადამიანებიც). ძველ ოჯახებში ხშირად გვხვდებოდა სამეურნეო, ქონებრივი, ინტერესების უპირატესობა სულიერ ინტერესებთან შედარებით. ასეთ პირობებში ძნელი იყო თავისუფალი, უანგარო, შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა.

ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის მსხვრევასთან ერთად რევოლუციამ დაამსხვრია ძველი ოჯახური წყობაც, ადამიანთა თანაცხოვრების უძველესი ფორმა. ახალი სახის ოჯახის შექმნა, მისი ფუძემდებელი ახალი წესების, კანონების, ჩვეულებების დადგენა რთული და ხანგრძლივი დროის საქმეა. არსებითად, ჩვენ ყველანი მონაწილე ვართ არნახული სოციალური ექსპერიმენტისა. მის სირთულეზე მიგვითითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რევოლუციის შემდეგ ოთხჯერ შეიცვალა ოჯახურ დამოკიდებულებათა იურიდიული ანუ, ძირითადად, ქონებრივ-უფლებრივი ნორმებიც კი! და ეს მოხდა სულ ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე!

ჩვენი სახელმწიფო აწარმოებს ახლის ძიებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ის ერთ-ერთი პირველია ოჯახური სფეროს კვლევაშიც. ფილოსოფოს-უტოპისტები მომავალი საზოგადოების პროექტებში ჩვეულებრივ გვიხატავდნენ კომუნარების ყოფის სურათებს. სოციალიზმის დროს მოქმედებს კომუნისაგან განსხვავ-

ბული ზნეობრივ-უფლებრივი პრინციპები. მაგალითად, სოციალიზმის პირობებში ოჯახი ინარჩუნებს მოძრავ და უძრავ ქონებაზე, პირად მეურნეობაზე საკუთრების უფლებას, ინარჩუნებს ამ ქონებაზე მემკვიდრეობითობის უფლებას. ამასთანავე, ჩვენს მორალურ შეხედულებებში გაკიცხულია ქონებით, ნივთებით, ფულის მოხვეჭით გატაცება და ხოტბა აქვს შესხმული მხოლოდ და მხოლოდ უანგარო დამოკიდებულებებს, რაც ხელს უწყობს სულიერ მისწრაფებათა პატონობას მატერიალურზე.

თვითონ ეს სიტუაცია ზოგჯერ ჰქმნის ისეთ კონფლიქტებს, რომლებიც უცხო იყო ძველი ოჯახისთვის. წინათ დიდი ქონების მომხვეჭს პატრეს სცემდნენ, როგორც კარგ მეოჯახეს და საპატიო მოქალაქეს. ახლა ჯერ ასე აღარ არის. მაშინაც კი, როცა მატერიალური კეთილდღეობა პატიოსანი შრომითაა მიღწეული. უფროსებს არ ასვენებთ იმის დარდი, რომ ნივთებმა, სიმდიდრემ შეიძლება „გააფუჭოს“ ოჯახის წევრები, ანგარებით წაბილწოს დამოკიდებულებათა სიწმინდე. ახალგაზრდებსაც ზოგჯერ უძნელდებათ გადაწყვეტა ქცევისა და შეფასებათა რომელი სისტემით იხელმძღვანელონ, როცა ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ შეძენაზე, მოხვეჭაზე ორიენტირებული, გარეგნულად სვებედნიერი, მატერიალურად ძლიერი ოჯახები და მატერიალურად ხელმოკლე ოჯახები, რომლებშიც გაბატონებულია უანგარო დამოკიდებულებანი, მაღალი სულიერი ღირებულებები.

სწორედ იმის აუცილებლობა, რომ ახალგაზრდამ თვითონ, დამოუკიდებლად აირჩიოს თავისი ცხოვრების სტილი და სახე, აიძულებს აღმზრდელებს ხელი აიღონ ოჯახური ცხოვრებისათვის ახალგაზრდის მომზადების ტრადიციულ ფორმაზე, რომელიც არსებითად მდგომარეობდა უფროსებისათვის პირდაპირ წაბაძვაში: „მოიქეცი ჩემსავით“— მოითხოვდნენ აღმზრდელები. ასევე მიუღებელია ახალგაზრდის მომზადება ოჯახური ცხოვრებისათვის ცდისა და შეცდომის მეთოდით. სწავლა-აღზრდის ეს გზა მეტად „ძვირი“ უჯდება საზოგადოებასაც და პიროვნებასაც. ადამიანს დიდი დრო სჭირდება დამოუკიდებლად იმაში გარკვევისთვის თუ ერთად ცხოვრების უამრავი ვარიანტიდან მისთვის რომელი უფრო მისაღებია. ცხოვრება კი არ დგას ერთ ადგილზე, არ ელოდება, ვიდრე თითოეული ახალგაზრდა ქალი თუ კაცი თვითონ აღმოაჩენს ოჯახურ ცხოვრებაში წარმატების ალგორითმს. ამასთანავე, ცხოვრებაში ჩადენილ შეცდომებს უკვალოდ ისე, ვერ წავშლით. როგორც დაფაზე ცარცით ნაწერი შეიძლება წაიშალოს, დროს უკან ვეღარ მოვაბრუნებთ, რომ ხელახლა, იმავე სიტუაციაში მოხვედრისას სწორად მოვიქცეთ. წარსულში ჩადენილი შეცდომა გუშინდლიდან ხვალინდელ დღეში გადავა, ასე გაჰყვება ადამიანს მთელი

სიცოცხლის მანძილზე და იქცევა ტანჯვად და ტკივილად არა მარტო მისთვის, არამედ ყველასთვის, ვისთანაც კი მას ურთიერთობა ექნება.

თუ კი ადრევე გავაცნობთ მოზარდებს, ე. ი. თქვენ, გულითად, მეგობრულ, მტკიცე ოჯახურ ურთიერთობათა საფუძვლებს, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შემცირდება კონფლიქტები, გაადვილდება ურთიერთგაგება და თანამშრომლობა. რასაკვირველია, არც ერთ მრავლისმცოდნე სწავლულს არ შეუძლია მოგვცეს ბედნიერების ზუსტი რეცეპტი, რომელიც ყველას ერთნაირად გამოადგებოდა. ამისათვის საჭირო ცოდნა მეცნიერებას ჯერ არა აქვს და საეჭვოა, რომ ოდესმე შეძლოს მისი მოპოვება. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ სიყვარული, ოჯახი შემოქმედების განსაკუთრებული სახეა. შექმნა საკუთარი თავი და სხვა ადამიანი სიკეთის, სილამაზის და პატიოსნების კანონების მიხედვით, ხელოვნების უმაღლესი გამოხატულებაა. ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერ დარგში, აქაც ბევრი რამ დამოკიდებულია ძირითადად, თვითონ შემოქმედი-ხელოვანის განუმეორებელ არსსა და შემოქმედებით მანერაზე.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ მუსიკისა და ფერწერული ტილოების შექმნის, ლექსების შეთხზვის ხელოვნებას „ასწავლიან" სპეციალურ დაწესებულებებში. ასევე, შეიძლება, ალბათ, ადამიანთა ცხოვრების ცალკეული, განუმეორებელი ვარიანტების შესწავლის საფუძველზე დავადგინოთ და გავიაზროთ ზოგიერთი კანონზომიერება იმის შესახებ, თუ რას მოჰყვება სიძნელეები და რას წარმატება. ეს კანონზომიერებანი ასახავენ ისტორიაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, თანამედროვე მეცნიერულ გამოკვლევებსა და აღმოჩენებში ფიქსირებულ მრავალი თაობის გამოცდილებას. აუცილებელია, თქვენ, ახალგაზრდები იცნობდეთ მათ. ადამიანური ურთიერთობანი ცოდნის უდიდესი სფეროა, რომელიც დღევანდლამდე დანაწევრებულია სხვადასხვა დისციპლინებს შორის. შესაძლოა, ოდესმე მოხდეს მათი გაერთიანება მეცნიერების ერთ დარგად, რომელსაც ადამიანთმცოდნეობა ეწოდება. „...მე მტკიცედ მწამს, რომ ადამიანები... დაიწყებენ ერთიანი, ჭეშმარიტი და ძალიან საჭირო მეცნიერების შექმნას, რომელიც ახლა ჩიხშია მომწყვდეული.—მეცნიერებისა იმის შესახებ თუ როგორ ვიცხოვროთ," — წერდა ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც არსებითად მთელი სიცოცხლე ამ მეცნიერებას ემსახურებოდა და სამართლიანად მიიჩნევდა, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ არ გასცილებია მის ზღურბლს.

თქვენ, ალბათ გაგიჩნდათ კითხვა: რატომ არ შეიძლება შემოვიტანოთ სასწავლო გეგმაში არა მხოლოდ ოჯახური, არამედ საერთოდ ადამიანურ ურთიერთობათა სწავლების საცდელი კურსი? თქვენი უმეტესობა ხომ ჯერ არც კი ფიქრობს საკუთარი ოჯახის შექმნაზე. თქვენი აზრები ახლა მთლიანად მიმართულია სკოლაში სწავლის კარგად

დამთავრებისა და უმაღლეს სასწავლებელში, ტექნიკუმში, სპეციალურ სასწავლებელში ჩარიცხვისაკენ. ჩემი მსმენელებიდან ერთმა, თქვენმა თანატოლმა მითხრა:

— უკეთესი იქნებოდა გერჩიათ ჩვენთვის, როგორ გავიმარჯვოთ უმაღლეს სასწავლებელში კონკურსზე. ეს, ჩვენთვის, ახლა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვიდრე მსჯელობა მშობლის მოვალეობაზე, რომელიც ჩვენ ჯერ არც კი ვიცით როდის მოგვიწევს ან საერთოდ მოგვიწევს თუ არა.

გამახსენდა შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან. უნივერსიტეტში შესვლისას ჩემს ახლობლებს აღვუთქვი, რომ უმაღლესის დამთავრებამდე არ გავთხოვდებოდი. მაგრამ... მეორე კურსზე დავარღვიე დაპირება, ხოლო მესამე კურსზე უკვე დედა გავხდი.

ახლანდელი ახალგაზრდები ხშირად ძალიან ადრე ქორწინდებიან. სრულიად შესაძლებელია, რომ ახალგაზრდა, რომელსაც ახლა თავისთვის საჭიროდ არ მიაჩნია მშობლის მოვალეობათა ცოდნა, მოულოდნელად მამა გახდეს და სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდეს ამ ახალი როლისთვის. ამასთანავე, ოჯახურ ურთიერთობათა სწავლებას გარდამავალ ასაკში დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომაც, რომ ის დაეხმარება მოზარდს ამ ასაკისათვის გლობალურ საკითხებზე პასუხის გაცემაში: ვინ ვარ? რა შემიძლია, რა მსურს? როგორ უნდა მოვიქცე? დაეხმარება პროფესიული ინტერესების, სიცოცხლის აზრისა და დანიშნულების რამდენადმე გარკვევაშიც. დაბოლოს, მესამე არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლა უფროს სასკოლო ასაკში სწორედ დროულია, მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახური ურთიერთობანი, არსებითად, „პოლიგონს“ წარმოადგენს სხვადასხვა ასაკის, სქესის, ხასიათის, სპეციალობის და განათლების ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმების გამოცდისა და სრულყოფისათვის. სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ოჯახი გვაძლევს ადამიანურ ურთიერთობათა უნივერსალურ გამოცდილებას, თუ, რა თქმა უნდა, ამ გამოცდილებისადმი შეგნებულ და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ. ამგვარად, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენ შევისწავლით ადამიანური ურთიერთობების, თანამშრომლობის, ერთად ცხოვრების კანონებს, შევისწავლით მეგობრულ, საქმიან და გულითად, ინტიმურ კავშირებში სწორი ტონისა და კარგი მანერის მიგნებას.

ეს არის წინასწარი მოკლე პასუხი კითხვაზე: რისთვის გჭირდებათ თქვენ ეს საგანი? მაგრამ შესაძლოა თქვენ გაგიჩნდეთ ეჭვი ისევე, როგორც ერთხანს ჩვენც გვეეჭვებოდა: რა უნდა ვასწავლოთ ამ შემთხვევაში? ამ საკითხის გადაწყვეტა ადვილი არ არის. არსებითად, საჭირო იქნება ცოცხალი ადამიანური გრძნობები: სიყვარული, მეგობრობა,

თანაგრძნობა და სხვ. ცივი ლოგიკითაც, გონების „ალგებრითაც ვირწმუნოთ“, „დავანაწევროთ გული“ სხვადასხვაგვარი აგებულების ლითონის კონსტრუქციებად. ხომ არ გადააქცევს ასეთი ანალიზი ახალგაზრდა, პოეტურ და უზრუნველ მოცარტებს, ცივი ანგარიშით ფაქიზი გრძნობების შემმუსვრელ, უსულგულო სალიერებად? დღევანდელ ახალგაზრდებს ხომ ისედაც ხშირად უსაყვედურებენ, რომ მათი რაციონალიზმი თრგუნავს მათი გრძნობების ცხოველმყოფელობას.

„ასგზის ნეტარ არს, ვინც დაევონა
რწმენას, და სიტკბოს ნთქავს ნებიერად,
ცივი გონებით, ეპეის გარეშე
სწოვს მათრობელა ყვავილს ნელ-ნელა.
მაგრამ ცოდოა, ვინც წინასწარვე
განსჭვრეტს ყველაფერს, თავბრუ არ ეესმის,
და, რაც მოძრაობს, სიტყვად რაც ესმის —
გააზრებული სძაგს და ამწარებს.
მის გულს საწუთროს სუსხი მისწვდება
და ეკრძალება თავდავიწყება.“*

ასეთი აზრი გამოთქვა ა. ს. პუშკინმა „ევგენი ონეგინში“, თითქოს წინათგრძნობს კარნახით გამოეხმაურა ჩვენს დღეკანდელ დისკუსიებს. მაგრამ იმავე პოემაში პოეტი საყვარელ გმირ ქალს ონეგინის პირით შეაგონებს:“

„თქვენც შეიყვარებთ, მაგრამ... ისწავლეთ:
ნუ გაამეღავნებთ უცბად განზრახულს,
სხვა ვერ გაგიგებთ ჩემებრ გულწრფელად;-
მარცხი ხვედრია გამოუცდელთა.“**

ე. ი. მოუწოდებს ტატიანას მიჰბაძოს იმათ მაგალითს „...ვინც წინასწარვე განსჭვრეტს ყველაფერს, თავბრუ არ ესხმის,“ სხვანაირად რომ ვთქვათ, ურჩევდა მას საცოდავი ლოგისტების გზას დასდგომოდა. პუშკინის საყვარელი გმირისადმი მიმართულ შეგონებებში მოცემული გვაქვს პასუხი კითხვაზე: რა ვასწავლოთ? უნდა ვასწავლოთ თავის თავზე ბატონობა, გარემო პირობების გონიერი მართვა, რომ შემთხვევის ხელში სათამაშოდ არ იქცნენ, არ იქცნენ ნაფოტად ცხოვრების ნაკადში. ეს არის ახალი სასწავლო საგნის უმნიშვნელოვანესი მიზანი და ამოცანა. თვითშეფეცნებისათვის თქვენ დაგჭირდებათ საკუთარი ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური განვითარების უფრო ღრმად და ფართოდ შესწავლა, ვიდრე აქამდე იცოდით. დაგჭირდებათ უმაღლესი ნერვული სისტემისა და ფსიქიკის მოქმედების თავისებურებათა შესწავლა, თვითრეგულაციის საშუალებათა, ნებისყოფის აღზრ-

* ალ. პუშკინი, „ევგენი ონეგინი“, ო. ჭელიძის თარგმანი, 1983

** ალ. პუშკინი, „ევგენი ონეგინი“, ო. ჭელიძის თარგმანი, თბილისი 1983.

დის, თაკდაჭერის, ურთიერთობის კულტურის შესწავლა. გარდა ამისა, საჭიროა აღიჭურვოთ პედაგოგიური ცოდნით, რათა შეგეძლოთ ზემოქმედების მოხდენა არა მარტო საკუთარ ბუნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, არამედ ნათესავებისა და შვილების ხასიათზედაც. უნდა იცნობდეთ აგრეთვე ოჯახის იურიდიულ საფუძვლებს, ცოლისა და ქმრის, დედისა და მამის და მათ შთამომავალთა უფლება-მოვალეობებს; უნდა დაეუფლოთ ოჯახის მეურნეობის გონივრულად და სწორად მართვისათვის აუცილებელ ეკონომიკურ ცოდნას. ამასთანავე, უნდა გქონდეთ ისეთი ყოველდღიური საოჯახო საქმიანობისათვის აუცილებელი ჩვევა-გაწაფულობანი, როგორიცაა სადილის გამზადება, ცხობა, კერვა. რეცხვა, პირველი სამედიცინო დახმარების ეაწევა და ა. შ.— ყველაფერი ეს საჭიროა, აუცილებელია, სავალდებულოა. მაგრამ, შეუსაძლებელია კი ყველა ამ ცოდნა-ჩვევათა დაუფლება ერთი სასწავლო საგნის გაკვეთილებზე ერთი პედაგოგის ხელმძღვანელობით, რომელსაც აქვს მხოლოდ ეს გარკვეული სპეციალობა და არა უნივერსალური ცოდნა?

ცხადია, ამ სიძნელიდან თავის დაღწევა შეუძლებელია თქვენი შემოქმედური აქტივობის გარეშე; თქვენ უნდა იტვირთოთ მკვლევარის როლი: თითქმის ყველა მეცნიერებაში არის გაფანტული სასარგებლო ცოდნა თქვენს შესახებ და თქვენისთანებს შორის ურთიერთობის შესახებ. მაგალითად, თუ რომელიმე თქვენგანი გატაცებულია ისტორიით, საესებით შესაძლებელია, რომ მისი ყურადღების არეში მოხვდეს მასალები ოჯახის ისტორიის შესახებ. როგორ წარმოიშვა ოჯახი, რა ცვლილებები განიცადა სხვადასხვა პერიოდში; სხვადასხვა საზოგადოებრივ წყობილებაში რომელი ადათ-წესებისა და პრინციპების აღმოცენება ხდებოდა და რომლები განიცდიდნენ კვდომას. რა ობიექტური მიზეზები განსაზღვრავდა ყოველივე ამას. — განა საინტერესო არ არის ამ პრობლემების შესწავლა?

ბუნებრივია, რომ ისტორია ესაზღვრება საზოგადოებათმცოდნეობას. საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებზე შეგიძლიათ ჩასწვდეთ ის კავშირ-მიმართებებს, რომელიც არსებობს მთელ საზოგადოებასა და მის პატარა უჯრედს—ოჯახს შორის, შეგიძლიათ გაიაზროთ მათი ურთიერთზეგავლენის ხასიათი და თავისებურებანი. დიალექტიკის კანონების შესწავლისას, ვთქვათ, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის შესწავლისას, შეგიძლიათ დარწმუნდეთ იმაში, რომ ოჯახური და, საერთოდ, ადამიანური ურთიერთობანი, დიალექტიკურია თავის საფუძვლებიდანვე.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის გაკვეთილები დაგეხმარებათ გაერკვეთ იმ სახელმწიფო ნორმებსა და პრინციპებში, რომლებიც აწესრიგებენ ცოლისა და ქმრის, მშობლე-

ბისა და შვილების პირად ურთიერთობებს, მათ მატერიალურ და მორალურ ვალდებულებებს ერთმანეთთან დამოკიდებულებაში.

ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცოდნა დაგეხმარებათ ჩასწვდეთ ადამიანის ასაკობრივ, სქესობრივ, ინტელექტუალურ და ემოციურ თავისებურებათა არსს, საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ ხასიათისა და ტემპერამენტის მრავალსახეობასა და მათ ტიპოლოგიას. თანამედროვე გენეტიკის მიღწევების შესწავლისას, ცნობისმოყვარენი შეძლებენ დაინახონ, რა გავლენას ახდენს მემკვიდრეობა ჩვენს ბედზე, ნიჭისა და მიდრეკილებების ფორმირებაზე.

თქვენ ალბათ უკვე იცით, რომ ჯანმრთელობა, ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, მრავალმხრივ განსაზღვრავს ქორწინებაში ბედნიერებას, ზეგავლენას მოახდენს თქვენი მომავალი შვილების ჯანმრთელობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლებურად მეტი მონდომებითა და პასუხისმგებლობით უნდა მოიქცეთ ფიზკულტურის გაკვეთილებზე. ამან შეიძლება განსაზღვროს თქვენი მომავალი ოჯახისა და შთამომავლობის ბედი, როგორც იტყვიან „მეშვიდე თაობამდე“.

ბევრი თქვენგანი გატაცებულია მხატვრული თვითმოქმედებით. მღერით, ცეკვავთ, ძერწავთ, მონაწილეობთ სპექტაკლებსა და ანსამბლებში. ყველაფერი ეს მარტო თქვენთვის კი არ არის გამოსადეგი და სასარგებლო. რამდენიმე წლის შემდეგ, გეკნებათ თუ არა აპის სურვილი მოგიწევთ სიმღერა და ხატვა ბავშვისდასამშვიდებლად, დასაძინებლად თუ გასართობად. დაგჭირდებათ სხვადასხვა სცენების მოგონება და გათამაშება. ეს სასარგებლო ჩვევები დაგეხმარებათ თქვენი ოჯახის საზეიმო და ჩვეულებრივი დღეების გაკეთილშობილებასა და გალამაზებაში.

შრომისა და მეოჯახეობის გაკვეთილები აღარ მოგეჩვენებათ უფრო მნიშვნელოვანი საგნებისათვის ხელისშემშლელად, თუ გააცნობიერებთ, რომ ადამიანი იმდენად არის თავისუფალი და მოწიფული, რამდენადაც სხვაზე არ არის დამოკიდებული; როცა ძიძები და სხვების მომსახურება კი არ სჭირდება, არამედ პირიქით, თვითონ არის გამოსადეგი და საჭირო სხვებისათვის.

ბევრი მოულოდნელი აღმოჩენა შეგიძლიათ გააკეთოთ, თუ ახალი თვალთახედვით გაიაზრებთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ადრეც ხომ ხშირად გიხდებოდათ ლიტერატურული გმირის ნათქვამისა და ქცევის შედარება საკუთარ ნააზრევთან. როცა თქვენ აითვისებთ ფსიქოლოგიის კანონებს, დაინახავთ პიროვნების ქცევაში ისტორიულ და სოციალურ კანონზომიერებებს, საშუალება მოგეცემათ გაერკვეთ მხატვრული შემოქმედების პერსონაჟთა სულიერი ყოფის ფაქიზ ნიუანსებსა და წინააღმდეგობებში, რაც თავის მხრივ, დაგეხმარებათ

ღრმად ჩასწვდეთ საკუთარი სურვილების, მისწრაფებების, აზრების ფარულ მექანიზმებს.

გავაგრძელოთ ჩამოთვლა? ქეშმარიტების მაძიებელი ყველგან შეძლებს ამ საკითხების შესახებ საჭირო მასალის მოპოვებას, ცოდნის რომელი სფეროსკენაც არ უნდა იყოს მიმართული მისი ინტერესები.

ოჯახის პრობლემატიკისაკენ ყურადღების წარმართვამ შეიძლება საინტერესო სიახლე შეიტანოს თქვენს კლასგარეშე მუშაობაში. თემატური საღამოების მოწყობა, ტურისტული ლაშქრობები მშობლებთან ერთად, შეკრებები რომელზედაც ხდება საოჯახო ხელმარჯვეობის პროდუქტებისა და „ჰობის" დემონსტრირება. ტელეგადაცემების, კინოფილმების, სპექტაკლების ნახვა და განხილვა, შეხვედრები ადამიანებთან, რომლებსაც აქვთ მდიდარი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება—ყველაფერი ეს შემდგომში დაგეხმარებათ გადააბიჯოთ მოწიფულობის ზღურბლს.

— თუ ყველა გაკვეთილზე დავიწყებთ ცნობების მოგროვებას ოჯახურ და ადამიანურ ურთიერთობათა შესახებ, მაშინ რაღა საჭიროა დროის დაკარგვა სპეციკურსზე? — ალბათ გეჩქარებათ ასეთი შეკითხვის დასმა. მაგრამ აბა დაუფიქრდით? განა დარწმუნებული ხართ იმაში, რომ ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კანონების შესახებ განცალკევებულად მოპოვებული ცოდნის საფუძველზე შეგიძლიათ გააკეთოთ დასკვნები ბუნების ზოგად კანონებზე? საეჭვოა, რომ ეს შესაძლოთ. აქაც ასეა. ეს კურსი დაგეხმარებათ იმ შემთხვევითი და განცალკევებული შთაბეჭდილებების სინთეზირებაში, რომლებსაც თქვენ მოიპოვებთ მრავალი სხვადასხვა წყაროდან; დაგეხმარებათ აგრეთვე ამ ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან შეჯერებაში.

ბოლო საკითხია — როგორ შევისწავლოთ ეს საგანი? არც ეს არის ადვილი გადასაწყვეტი, რამდენადაც ამ საგანში მეცადინეობისას ხშირად წამოიჭრება ისეთი პრობლემები, რომლებსაც არა აქვთ ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა. გაკვეთილზე აუცილებელი ტაქტისა და წინდახედულების დასაცავად, ალბათ, აჯობებს, რომ მსჯელობისა და განხილვის საგნად არ ვაქციოთ პირადად თქვენი ან თქვენი მშობლებისა და ნათესავების ქცევა და აზროვნების სტილი, არამედ მივმართოთ წიგნებიდან, გაზეთებიდან ფილმებიდან აღებულ მაგალითებს. ასე სჯობს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ განხილვის საგნად იქცევა არა მარტო ერთი რომელიმე თქვენგანისათვის, არამედ ყველასთვის ერთნაირად ცნობილი მოვლენა. გარდა ამისა, რამდენადმე შორეული, ანონიმური მაგალითები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უნებურად არავინ გაწყენდეს, რომ განხილვები არ გადაიქცეს მოსწავლეთა შორის პირად ურთიერთობათა გარკვევად. ჩვენი და თქვენი საერთო მიზანია:

არა გათიშვისათვის ხელის შეწყობა, არამედ ჩვენი ერთიანობის დამარღვეველი ძალების უვნებელყოფა.

უნდა შევთანხმდეთ იმაშიც, რომ ცოდნა, რომელსაც მოიპოვებთ ამ საკითხებში, უნდა თესავდეს მხოლოდ სიკეთეს ადამიანებისთვის და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს საზიანო მათთვის, ვისაც ისეთი ცოდნა არა აქვს. ცნობილია შემთხვევები, როცა თავისთავად სასარგებლო მეცნიერება ბოროტების სამსახურში ჩაუყენებიათ.

რას წარმოადგენს წიგნი, რომელიც ხელთა გაქვთ? ოჯახურ ურთიერთობათა ეთიკისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს? არა! არავითარ შემთხვევაში. სახელმძღვანელოებში მოცემულია მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე უდავოდ და საბოლოოდ მიჩნეული ჭეშმარიტებანი. ჩვენ კი, თქვენთან ერთად, საქმე გვექნება ისეთი საკითხების განხილვასთან, რომლებიც ჯელთაგანვე სადავო საკითხებადაა მიჩნეული, რომელთაც ხშირად უწოდებენ მარადიული დავის საკითხებს. ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ყოველი ახალი თაობისაგან ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვენ—ყოფითი პირობების, სოციალური და ინდივიდუალური პრაქტიკისა და გამოცდილების მიხედვით. ჩვენ ერთად მოგვიხდება ამ პრობლემათა გადაწყვეტის ძიება, რომლის დროსაც, შესაძლებელია კატეგორიული პასუხების ნაცვლად ახალი, მოულოდნელი საკითხები წამოიჭრას.

ამ წიგნის ავტორს ხშირად აქვს შეხვედრები თქვენს თანატოლებთან: მოსწავლეებთან, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან. მათი შეხედულებები, ეჭვები, საწინააღმდეგო მოსაზრებანი ასახულია ამ წიგნის ფურცლებზე: ეს არის მსჯელობა სადისკუსიო საკითხებზე თქვენი სახელით, როგორც ჭეშმარიტების სრულფასოვანი თანამაძიებლების, დაინტერესებული თანამოსაუბრეების სახელით.

მაშ ასე, მოდით მოვიკრიფოთ ძალები, განვეწყოთ სამუშაოდ და ნუ ავჩქარდებით. ჩვენ მოგვიწევს მსჯელობა ძალიან რთული მოვლენების შესახებ. ყველაზე ძნელი აღსაქმელად (და ბუნებრივია გადმოსაცემადაც) აღმოჩნდება პირველი ნაწილი, რომელშიც უნდა დავეუფლოთ ისეთ ურთულეს ცნებებს, როგორიცაა „პიროვნება", „ოჯახი", უნდა გავაანალიზოთ მათი კავშირი ერთმანეთთან და საზოგადოებასთან, რომელშიც ისინი არსებობენ და მოქმედებენ; უნდა გავიაზროთ თითქოსდა მეტად მარტივი, ჩვეულებრივი მოვლენები. მაგრამ ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე, რომ სწორედ ჩვეულებრივი მოვლენები ყველაზე უფრო ძნელი გასაგებია.

„ჩვენ თავს ჯერ სხვა ადამიანში ვხედავთ, როგორც სარკეში.“

ვინ ვინ არის

როგორც უკვე იცით, ჩვენი საუბრის მიზანია, გავარკვიოთ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბედნიერები ვიყოთ და შეძლებისამებრ ბედნიერება მოვუტანოთ ჩვენს ნათესავებსა და ახლობელ ადამიანებსაც. ხოლო თუ უფრო ფართოდ ვიმსჯელებთ, ბედნიერება ვუწილადოთ ყველას, ვისაც კი შეგვახვედრებს ცხოვრება.

მაგრამ პირველ რიგში საჭიროა გავარკვიოთ რას ვგულისხმობთ თვითონ სიტყვა „ბედნიერებაში“. ბედნიერების ცნება უსასრულოდ მრავალფეროვანია. ყველა საუკუნეში, ყველა ხალხსა და კლასს სხვადასხვანაირად ესმოდა ბედნიერება. „თუ შევადარებთ გლეხისა და ფილოსოფოსის ჰაეროვან კოშკებს, ხუროთმოძღვრება სხვადასხვაგვარი აღმოჩნდება“ (ჰ. სპენსერი) ეთიკის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ბედნიერება არის სინონიმი ტერმინისა „უმაღლესი ღირებულება“, იგი აღნიშნავს „ძალიან კარგს“, „სასიამოვნოს“, „სასიხარულოს“. ბედნიერების განცდა ახლავს ყველაფერს, რასაც კი (და რამდენადაც) მივიჩნევთ უმაღლეს ღირებულებად. იგი თვითონ კი არ არის მისწრაფების საგანი, არამედ ახლავს იდეალს, როგორც მისწრაფების საგანს. ასეთი მისწრაფების საგანი კი შეიძლება იყოს ბევრი რამ ჯანმრთელობიდან სინდისამდე. ბედნიერებაა, მაგალითად, გამოჯანმრთელება, ვალის გასტუმრება, დახელოვნება, დაოჯახება და ა. შ... თუ ადამიანის ცხოვრების უმაღლესი იდეალი საზოგადოებისთვის სამსახურია, მაშინ ბედნიერი ის შეიძლება იყოს, ვინც აღწევს რაიმე წარმატებას ამ იდეალისთვის ბრძოლაში. ბედნიერება უმაღლესი იდეალის რეალიზაციის განცდაა.“ — (გ. ბანძელაძე, ეთიკა, გვ. 227).

თუ მოუსმენთ ხალხის საუბარს ამ საკითხზე, დავინახავთ, რომ ადამიანებს სხვადასხვანაირად ესმით ბედნიერება; ერთნი ამბობენ:

ბედს ვეწიე, ლატარიაში მოვიგე.

მეორე ამბობს: ბედნიერია ჩემი მეგობარი: ისეთი ცოლი ჰყავს, უკეთესი არ შეიძლება. კეთილი, ჭკვიანი, ყველაფერი ემარჯვება.

მესამე ოხრავს: ბედი არა მაქვს: გამოცდაზე ყოველთვის ისეთი ბილეთი მხვდება, რომელიც არ ვიცი.

მეოთხე საკუთარი ღირსების გრძნობით ასკვნის თავისი ცხოვრების შესახებ: მე ბედს ვერაფრით ვერ დავემდურები: ხამუშაოზე მი-

მიხაროდა ისე, როგორც სახლისკენ, ხოლო სახლში ვბრუნდებოდი, როგორც დღესასწაულზე.

თქვენმა თანატოლმა, ფილმის — „ორშაბათსაც მოვესწრებით" გმირმა, თხზულებაში დაგვიწერა: „ბედნიერება ის არის როცა შენი ესმით".

როგორ მოვიქცეთ? ასე დაუსრულებლად გავაგრძელოთ ბედნიერების განმარტების ყველა შესაძლო ვარიანტის ჩამოთვლა? რაც არ უნდა ბევრი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანური ბედნიერების მაგალითი მოვიტანოთ, ადვილი შესაძლებელია არცერთი მათგანი არ ირწმუნოს იმ კონკრეტულმა პიროვნებამ, რომელიც ამ წიგნს აიღებს ხელში წასაკითხად. როგორც ჩანს საჭიროა მივმართოთ ზოგად კატეგორიებს, მოვნახოთ, როგორც იტყვიან, უნივერსალური მოდელი. ჩვენი აზრით ასეთ მოდელს ყველაზე მეტად შეესატყვისება ფორმულა, რომელიც აერთიანებს ბედნიერების ზემოთ ჩამოთვლილ განმარტებათა ბოლო ორ ვარიანტს: „ბედნიერება ეს არის, როცა შენი ესმით, უყვარხართ და გაფასებენ (სახლში და სამსახურში)" რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი, ვიდრე არის გაგება, თანაგრძნობა, მზადყოფნა გაიზიარონ შენი ბედი თუ უბედობა, მარცხი თუ წარმატება, მხარი დაგიჭირონ საუკეთესო მისწრაფებებში, საქმესა და გართობაში? რა შეიძლება იყოს უფრო ძვირფასი, ვიდრე იმის შეგნებაა, რომ შენ საჭირო ხარ სხვა ადამიანებისთვის, რომ უშენოდ მათთვის სიცოცხლე სიცოცხლედ არ ღირს?

ბედნიერება არის შენი თანამონაწილეობა სხვა ადამიანების საქმიანობაში, მწუხარებასა და სიხარულში და სხვა ადამიანების თანამონაწილეობა შენს საკუთარ საზრუნავში, შრომაში, გაჭირვებასა და მიღწევებში. მაგრამ დამეთანხმებით — ასეთი თანამონაწილეობის განხორციელებისათვის საჭიროა, როგორც მინიმუმი, კარგად იცნობდე საკუთარ თავს. უამისოდ, თქვენს უნებურად, მუდმივად ადგილი ექნება გაუგებრობებს, შეტაკებებს, კონფლიქტებს.

„შეიცანი თავი შენი და შენ შეიცნობ სამყაროს", — ამბობენ ყველა დროისა და ყველა ხალხების სწავლულები უკვე რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე. მაშ იქნებ სჯობდეს, ოჯახურ ურთიერთობათა საფუძვლების შესწავლა დავიწყოთ საკუთარ თავთან დამოკიდებულების გარკვევით? ვკითხოთ ჩვენს თავს, ვინა ვარ მე? ამის შემდეგ უფრო ადვილი იქნება იმის დანახვა, თუ რას წარმოადგენენ ჩემს ირგვლივ მყოფები, ისინი ვისთანაც მე ვაპირებ თანაარსებობას მომავალში. მხოლოდ ასეთი მონაცემების მოპოვების შემდეგ გახდება შესაძლებელი ჩვენი „მე" შეუთანხმოთ, „შეუპირაპიროთ" სხვა თანასწორუფლებიან „მეს".

მაშ ასე, დავიდგათ წინ ჯადოსნური სარკე და შევეცადოთ გავარკვიოთ — როგორი სუბიექტი, როგორი პიროვნება ვართ ჩვენ?

მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებას მაშინვე გარკვეული დაბრკოლება აღუდგება წინ. როგორ უნდა ვილაპარაკოთ პიროვნების თავისებურებებზე, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვირკვევია, რას ვგულისხმობთ სიტყვაში პიროვნება. ნუ გაგაოცებთ ასეთი დაბრკოლებანი: ძალიან რთულ თემაზე ვსაუბრობთ, სახიფათოა არ მოხდეს ცდომილებათა აღრევა. თორემ შეიძლება ერთი გარკვეულ შეხედულებას გამოთქვამდეს, მეორე კი იმავე ცნებებში სულ სხვა რაიმეს გულისხმობდეს, რის გამოც მათ საუბარს არავითარი აზრი არ ექნება. მაშასადამე, საჭიროა გავიაზროთ სიტყვა „პიროვნება“.

არაერთხელ მიკითხავს თქვენი თანატოლებისათვის, როგორ ესმით ეს სიტყვა. პასუხები სულ სხვადასხვანაირი იყო. ერთმა ახალგაზრდამ მითხრა:

— პიროვნება — ეს არის ის ნიშნები, თვისებები და თავისებურებანი, რომლებითაც ჩვენ განვსხვავდებით სხვა ადამიანებისაგან. აი, მაგალითად, თმისა და თვალების ფერი, სიმაღლე, პირისახე (ალბათ აქედან აღმოცენდა თვითონ სიტყვა „პიროვნება“), სიარულის მანერა, ხმა — მოკლედ მთელი ჩვენი გარეგნობა.

— ეს არის ადამიანის დახასიათება იმ თვისებების მიხედვით, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა იგი. პიროვნება კი სოციალური მოვლენაა.

„ჩვენ არა გვაქვს, პიროვნების, როგორც ფსიქოლოგიური კვლევის საგნის, საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია“, — წერს ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგი აკადემიკოსი ა. ვ. პეტროვსკი.

ხედავთ სად აღმოვჩნდით? მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ სფეროში.

ამ წიგნის ავტორი შემთხვევით აღმოჩნდა ჟურნალ „სტუდენჩესკი მერიდიანის“ მიერ მოწყობილ მრავალ „მრგვალ მაგიდათაგან“ ერთ-ერთის მონაწილე. აქ იყვნენ აკადემიკოსი ა. ვ. პეტროვსკი, ცნობილი დრამატურგი ვ. ს. როზოვი, პოპულარული მსახიობი ო. პ. ტაბაკოვი, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტი ფ. ტ. მიხაილოვი და ბევრი სხვა. ჩვენ გვთხოვეს პასუხი გაგვეცა ერთი სტუდენტი გოგონას წერილზე, რომელმაც ზემოაღნიშნულ სარკეში ჩახედვისას დაინახა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანური სახე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იყო პიროვნება; მისი აზრით პიროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ დიდი მსახიობი, მწერალი, მეცნიერი, მხატვარი და არა რიგითი მუშაკი.

მოვიტანთ დისპუტიდან რამდენიმე ამონაწერს, რომლებიც ჩვენი აზრით გამოხატავენ „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა მთავარ პოზიციებს.

ვ. ს. როზოვი: დაბადებიდანვე უკვე პიროვნება ხარ. რას იზამ შემდეგ ცხოვრებაში, წაიშლები თუ კვალს დატოვებ, თვითონ შენზეა ...ამოკიდებული. მე ვეთანხმები სპოკის აზრს, რომ პიროვნება იწყებ...სიტყვით „არა“.

ა. ვ. პეტროვსკი: პიროვნებას აქვს უნარი ღრმა კვალი დაამჩნიოს ირგვლივ მყოფებს, მათ ცხოვრებას—სწორედ ეს არის მისი ერთ-ერთი ყველაზე სრული და მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ისტორიულ მოღვაწეებზე ვამბობთ, რომ მათ საკუთარი ცხოვრებით უკვდავყვეს თავი ადამიანების ხსოვნაში, კვალი დატოვეს მათში. ჩვენ რომ შეგვეძლოს სხვებში დატოვებული ამ კვალის ფიქსირება, მივიღებდით პიროვნების ყველაზე სრულ დახასიათებას. ხოლო თუ საუბარი ეხება აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, მაშინ მასში თავს იჩენს პირველ რიგში, ზნეობრივი საწყისი. ჩვენ ვამბობთ: კეთილშობილი პიროვნება ან უზნეო პიროვნება. ნაძირალაც ახდენს ცვლილებებს გარემოში, მაგრამ რა არის კარგი ამ ცვლილებებში? აქტიური შემგუებელი—ეს ყველაზე საეჭვოა.

ო. პ. ტაბაკოვი: მოხდა ისე, რომ მე ყოველთვის ვემსახურებოდი ჩემთვის მეტად სასურველ, საყვარელ საქმეს. როცა არასასურველ საქმიანობას ეწევი—ძნელია გახდე პიროვნება. მე მგონია, რომ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იმისა, რომ პოვო საკუთარი ფავი, ბოლომდე გამოავლინო დაფარული შესაძლებლობანი; ეს არის პირობა ზესვლისა იმ მარად მბრწყინავი ვარსკვლავისაკენ, რომელსაც პიროვნება ჰქვია.

ფ. ტ. მიხაილოვი: როგორ მოიქცეს ადამიანი თანამედროვე სამყაროში? რა ჰქნას მან თუ მაგალითად, მისი საქმიანობის საგანი, ან მოქმედების საშუალებები წინასწარ არის განსაზღვრული როგორც სქემა, სტანდარტი, კონვეიერი? არ დაემორჩილოს სტანდარტს! პრობლემატური დამოკიდებულება ჰქონდეს თავის თავთან, თავის საქმიანობასთან. როცა მე ისტორიული კულტურის პოზიციებიდან ვუყურებ ჩემს შრომას, მაშინ ვაზროვნებ, ადამიანი ვარ. უნდა ვცდილობდეთ ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბუნებით უნივერსალური არსებანი ვართ და არა ვიწროდ სპეციალიზირებულნი, უნდა გავაღვიძოთ საკუთარ თავსა და სხვებში შემოქმედი.

როგორც ხედავთ „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებმა იკამათეს, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები გამოთქვეს, მაგრამ ერთში მაინც შეთანხმდნენ: **პიროვნება—ეს არის საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, თანამედროვე ცხოვრების მოვლენებთან დამოკიდებულება. დამოკიდებულება გამოხატული მოქმედებასა და საქმიანობაში.**

გარკვეული აზრით პიროვნებას არა აქვს ასაკობრივი საზღვრები. პიროვნებად აცხადებს თავს პატარა ბავშვი, როცა ის დაჟინებით ითა-

ვისუფლებს თავს დედის ხელებისაგან და პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს მიწაზე". მე—თვითონ! „დაე, თუნდაც ის ამ დროს ბაძავდეს უფროსებს, ის მაინც დამოუკიდებლად მიდის აღმოჩენამდე, ის ყოველთვის შემოქმედია, როცა ამბობს ამ ამაყ სიტყვებს: „მე—თვითონ!" ასე ხდება ბავშვის მიერ სამყაროს ხელახლა აღმოჩენა, ბავშვის მიერ საკუთარი თავის აღმოჩენა.

პიროვნებად აცხადებს თავს მოზარდი, როცა შეგნებულ არჩევანს აკეთებს კეთილსა და ბოროტს შორის, როცა სძლევს თავისი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი მე-ს სისუსტეებს, როცა წინააღმდეგობას უწევს პატარ-პატარა ცდუნებებს, როცა ისახავს რთულ ამოცანებს და ცდილობს, მიაღწიოს მათ განხორციელებას.

პიროვნების დონეზე ცხოვრებას განაგრძობს ღრმად მოხუცებული, როცა ის მიუხედავად გულში შემოპარული ზამთრის სუსხისა, უხვად ასაჩუქრებს ყველას შემორჩენილი სულიერი სითბოთი.

პიროვნების რაგვარობა არ განისაზღვრება პროფესიით, საქმიანობის ხასიათით. სოციალისტური შრომის გმირმა ხარატმა ე. ნ. მორიაკოვმა ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია რას ნიშნავს პროფესიების დაყოფა შემოქმედებით და „არაშემოქმედებით" პროფესიებად. თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მსახიობებიც კი მასიური წარმოების მუშაკები არიან. ყოველდღე ერთიდაიგივე როლი, ერთიდაიგივე სიტყვები და ჟესტები. მაგრამ ხელოვანი ყოველთვის შესძლებს მონახოს ჩვეულებრივშიც რაღაც ახალი, მოულოდნელი. შემოქმედებითობა შესაძლებელია ყველგან.

არ არსებობს პიროვნების გამორჩეულობისა და წარმატებულობის მაუწყებელი, აუცილებელი ხილული ნიშნები. ხშირად ის „თვითონ არის თავისი თავის უზენაესი მსაჯული". რას წარმოადგენდა ციოლკოვსკი რევოლუციამდელი კალუგის მცხოვრებლებისათვის? ღარიბ მასწავლებელს, ხელმოცარულს, შერეკილსა და ფანტაზიორს. საკმარისი იყო ხელი აეღო მას თავის ოცნება-მიზანზე და გარანტირებული იქნებოდა მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება, დიდი ჩინი და ჯილდოები. მაგრამ ეს უკვე ის ციოლკოვსკი აღარ იქნებოდა.

ყველაფერი ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ და რაც შეიძლება ლაკონიურად განვმარტოთ, პიროვნება ეს არის **არჩევა** და **დაბრკოლების გადალახვა**. **არჩევა** — როგორც საკუთარი ღირებულების გაცნობიერება, იმის გაცნობიერება, თუ რა გზა უნდა ავირჩიოთ ცხოვრებაში, რითი და როგორ ვემსახუროთ საზოგადოებას. და **დაბრკოლების გადალახვა** — როგორც ხასიათი, ნებისყოფა არჩეულის რეალიზაციაში.

პრობლემის ფართო განხილვიდან ახლა გადავიდეთ მის უფრო ღრმად გააზრებაზე.

დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მიერ ადამიანის განმარტებაში, როგორც თვითრეგულირებადი და თვითგაუმჯობესებადი სისტემისა (ყურადღება მიაქციეთ განმარტებაში მოცემულ სიტყვათა ნაწილებს „თვით“ და „ბადი“) მიგვითითებს იმაზე, რომ თითოეული ჩვენგანი იმდენადაა პიროვნება, რამდენადაც „თვით-ნა-ბადია“, ე. ი. **თავის თავის თვითონ შემმეცნებელია, თავის თავის თვითონ მაორგანიზებელია.** პავლოვის მიმდევრები, რომლებმაც შემდგომ გააღრმავეს ცოდნა ადამიანის შესახებ, მიგვითითებენ, როგორ უნდა შევაფასოთ საკუთარი თავი და სხვები. პირველ რიგში საჭიროა ვუპასუხოთ კითხვას რა მინდა, რისკენ მივისწრაფვი? პასუხი გვიჩვენებს უახლოეს და შორეულ მიზნებს, ჩვენი ინტერესების მიმართულებას, ცხოვრებისეულ განწყობილებებს, მოთხოვნილებებს, იდეალებს. მეორე კითხვაა-რა შემიძლია მე? პასუხი გამოავლენს ნიჭს, მიდრეკილებებს, შესაძლოა ზოგად გონიერებასაც, ინტერესების სიღრმესა და სიფართოვეს. მესამე კითხვა: როგორია ჩემი ხასიათი, ტემპერამენტი, ზნე-ჩვეულებანი? მეოთხე: როგორ მესმის ჩემი ვალდებულება-მოვალეობანი საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ? აი ეს ანკეტა დაგვეხმარება პიროვნების ძირითადი პარამეტრების გამოვლენაში. ადამიანთა დიდ უმეტესობას აქვს მისწრაფებებიც, გარკვეული ნიჭიც, აქვს ხასიათი და პასუხისმგებლობის შეგნებაც; ამიტომ მათ შეიძლება, სრულიად საფუძვლიანად ჰქონდეთ იმის პრეტენზია, რომ პიროვნებად იწოდებოდნენ, რაც ზოგჯერ განსაკუთრებით გამორჩეულობის ნიშნადაც კი აღიქმება.

მეორეს მხრივ, პიროვნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამიტომ არის, რომ როგორც ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარები აღნიშნავენ ქართულ ენას აქვს 4511,* ხოლო რუსულ ენას — 1500 სიტყვა, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ როგორ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. ამ სიტყვებში ასახულია პიროვნების სულიერი სიმაღლე და სიმდაბლე, ღირსებები და ნაკლოვანებანი: ინტელექტუალური, ზნეობრივი, ემოციური მხარეები და შრომისადმი, საქმისადმი დამოკიდებულება. ყოველი თქვენგანი წიგნის კითხვისას და ფილმის ყურებისას მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემატიკის ირგვლივ სპეციალური ცოდნა არა გაქვთ, მაშინვე განასხვავებთ, რომ მოგმედ პირთაგან ერთი—გმირული პიროვნებაა, მეორე — ნიჭიერია, გულუხვია, დიდბუნებოვანია, მესამე — კეთილია, მიმზიდველია, ეიღაც სხვა — თავდადებულია, მაგრამ ამასთანავე შეუმჩნეველია და მორიდებულია, ამჩნევთ ისეთ პერსონაჟებსაც, რომლებიც მართალია პიროვნებებად ითვლებიან, მაგრამ უარყოფითი თვისებებით ხასიათდებიან;

* ნ. პერულავა „პიროვნების თვისებები და ენა“, თბილისი, 1976.

შეგიძლიათ, აგრეთვე, შეაფასოთ პიროვნების აქტიურობის დონე, საქმიანობის მასშტაბები და დიაპაზონი, მისი ზეგავლენა სხვებზე.

მოღვაწენი, რომელთა სახელიც შესულია ისტორიაში, პირველ რიგში იყვნენ კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლნი, მისი ბელადები, „ფიქრთა მეუფენი", ისინი ხშრად საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდნენ ხალხის განვითარების მიმართულებას. მათი ხატება, მათი იდეები აყალიბებდნენ მილიონობით ადამიანის ინტერესებსა და მისწრაფებებს. ისტორიამ ვერ შემოგვინახა ბევრი დიდი პიროვნების სახელი, რომელთა ნამოღვაწარმაც წარუშლელი კვალი დაამჩნია კაცობრიობის კულტურულ განვითარებას. ჩვენთვის უცნობია იმ ადამიანთა სახელი, რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ცოდნა-ჩვევებისაკენ გაკვალეს გზა და საშუალება მისცეს თავის მოდგმას პლანეტის მეუფე გამხდარიყო. ჩვენ არ ვიცით, ვინ მოიშინაურა პირველად გარეული ცხოველები, ვინ გამოიყვანა მარცვლეულისა და სხვა კულტურულ მცენარეთა ჯიშები, ვინ მიაგნო და დაეუფლა ცეცხლის გამოყენებას, ლითონის გამოდნობას, ვინ გააკეთა ნავი და გამოიგონა პირველი მარტივი ტრანსპორტის თვლები და ა. შ. აი, ისინი იყვნენ პიროვნებები! მაგრამ პიროვნებები იყვნენ ისინიც, ვინც შესძლო ამ ცოდნის ათვისება და გამოყენება, სასარგებლო ჩვევების განმტკიცება, დახვეწა და შთამომავლობისათვის გადაცემა. კაცობირობის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელ მუშაკთა ღვაწლი უკვალოდ არ დაკარგულა ჩვენს პლანეტაზე. მათ სახე უცვალეს დედამიწას, ზეგავლენა მოახდინეს ახლობელი და შორეული ნათესავების ზნე-ჩვეულებებზე. ისინი ცდილობდნენ, ბოლომდე ჩასწვდომოდნენ თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს, მთლიანად გამოეყენებინათ ისინი ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტისათვის, შეეძლოთ საკუთარი სურვილებისა და გრძნობების მართვა.

თქვენი საკუთარი გამოცდილება გიკარნახებთ ბევრ მაგალითს იმის დამადასტურებლად, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებშივე შესაძლებელია თავი გამოავლინოთ, როგორც სრულფასოვანმა პიროვნებამ, რომელსაც შეუძლია დიდი და რთული მიზნების დასახვა და მათი განხორციელება. თქვენს შორის ბევრია ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული, რომლებიც გულმოდგინე სწავლით ადრეული ასაკიდანვე ხელს უწყობენ თავისი ნიჭის განვითარებას და შესამჩნევ წარმატებებსაც აღწევენ. ცნობილია შემთხვევები, როცა მოსწავლეთა სახელები ეწოდა მათ მიერ აღმოჩენილ ვარსკვლავებსა და კომეტებს, ცნობილია ნორჩი გამომგონებლებისა და პოეტების, მხატვრებისა და სპორტსმენების სახელები. მაგრამ საზოგადოების დიდი პატივისცემით სარგებლობენ ისინიც, რომლებმაც ძლიერი ნებისყოფა და მიზანდასახულება გამოიჩინეს, შეძლეს გადაელახათ სასწავლო მახალის წინაღ-

მდეგობა და დაეუფლენ სასურველ პროფესიას მიუხედავად იმისა, რომ ამ პროფესიისათვის საჭირო ბუნებრივი მონაცემები მათ არა ჰქონიათ. სასკოლო საქმიანობაში აქტივობის დონე და მასშტაბები კარგად ავლენს თქვენი პიროვნების ბევრ თავისებურებას.

სწავლაში წარმატება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნებს ისახავთ თქვენ და რა საშუალებებით ცდილობთ მათ მიღწევას. ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ სწავლა-განათლებას ძალით ვერ მოგცემენ, ის შეიძლება მიიღოთ მხოლოდ საკუთარი სურვილით, სწავლისადმი დიდი ინტერესის, შრომისმოყვარეობისა და ნებისყოფის დიდი დაძაბვის საფუძველზე. ცხოვრებაში კი რას ვხედავთ?

ერთი სწავლობს იმისთვის, რომ მეტი გაიგოს, შეიძინოს ფართო და ღრმა ცოდნა ცხოვრებისა და სამყაროს შესახებ. ეს ერთი მიზეზია, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, სწავლის ერთი მოტივია. ამ შემთხვევაში ადამიანისთვის დამახასიათებელია ინტერესების ფართო წრე, დაუღლელობა სწავლაში, დამოუკიდებლობა დავალების შესრულების საშუალებათა ძიებაში. ნიშნით შეფასება მისთვის არის შედეგი, სასურველი სამუშაოს შეჯამება.

სწავლის სხვა მოტივი გვაქვს, როცა მოზარდს ამოძრავებს თავმოყვარეობის ნიადაგზე აღძრული მისწრაფება, რომ მასწავლებლების (ან მეგობრების) თვალში დაიმკვიდროს ერუდირებული ადამიანის სახელი. ამ დროს მიისწრაფვიან არა იმდენად საფუძვლიანი და ღრმა ცოდნისაკენ, რამდენადაც ეფექტური ფრაზებით და „ბრძნული" შეკითხვებით თავის გამოჩენისაკენ. ასეთი სწავლა ხელს ვერ შეუწყობს ინტელექტუალურ შესაძლებლობათა განვითარებას, მიღებული ცოდნა იქნება ზედაპირული, მაგრამ სამაგიეროდ მოსალოდნელია მოხერხებულობის, გაქნილობის, ავადმყოფური პატივმოყვარეობის ფორმირება, რაც შეუძლებელს გახდის სასწავლო საქმიანობით უანგარო სიხარულის განცდას, აღძრავს შურის მტანჯველ გრძნობებს მათ მიმართ, ვისაც უკეთესი წარმატებები და მეტი ავტორიტეტი აქვს.

მესამე მოტივია: სწავლა, როგორც მოვალეობის შესრულება, კეთილსინდისიერად, მაგრამ ყოველგვარი ძიებისა და აზარტის გარეშე; არის ხასიათის ასეთი თვისება: ადამიანი კარგად აკეთებს ყველაფერს, რასაც უნდა მოჰკიდოს ხელი. ფსიქოლოგები ამას უწოდებენ მიღწევის, წარმატების (არა მაღალი შეფასების მიღების, არამედ თვითონ საქმის კარგად გაკეთების) მოთხოვნილებას. უდავოდ სასარგებლო თვისებაა. თუმცა ის ყოველთვის არ გვაძლევს ძალისხმევის ნათელ და გამოკვეთილ შედეგებს. მაგრამ არც დროის უაზროდ ხარჯვის საფრთხეს ჰქმნის. სწორედ ასეთი საფრთხის წინაშე დგანან ისინი, ვინც ყველაფერს უგულოდ, ნაძალადევად აკეთებს და თანაც თითქოს

„პრინციპულად" იქცევა ასე. არიან თქვენს შორის ისეთები, რომლებიც იმდენად კარგად არ სწავლობენ, რამდენადაც ახერხებენ თავი მოაჩვენონ ასე. მათი მთელი გონებრივი ენერგია იხარჯება იმაზე, რომ თავიდან აიცილონ უსიამოვნებანი, ცუდი ნიშნები და საყვედურები. რა თქმა უნდა, სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულების დროსაც ხდება რაღაც განვითარება, მაგალითად, მეხსიერების გავარჯიშება, მაგრამ სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ თერთმეტმა წელმა, პიროვნების ფორმირებისათვის უმნიშვნელოვანესმა თერთმეტმა წელმა, ფუჭად ჩაიარა. არ მოხდა თანდაყოლილ შესაძლებლობათა სრული გაშლა-გამოვლენა და ბუნებრივია, არც მათი შემდგომი განვითარება. ბუნება კი ასეა აწყობილი, რაც არ ვითარდება, ის კვდება. მიმოიხედავ და დაინახავ, რომ შენზე ნაკლებად ნიჭიერს უკეთესი წარმატება აქვს, შენზე მეტი იცის, მეტი შეუძლია.

„ნიჭიერი სამოსნები" — საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ჩვენს სკოლებში. სწორედ ამ წრიდან გამოდიან ყველაფრით უკმაყოფილო, ცხოვრებაში წარუმატებელი, ხელმოცარული ადამიანები; მათ ბევრის მიღწევა სურთ, გრძნობენ რა თავის ძალებს და შესაძლებლობებს. ირგვლივმყოფებიც ბევრს მოითხოვენ მათგან იმავე მიზეზის გამო. სინამდვილეში კი მათგან დიდი მიღწევები ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან ძნელია იმის აღდგენა, რაც თავის დროზე არ ისწავლეს, და კიდევ უფრო ძნელია საქმისადმი, და ე. ი. საკუთარი თავისადმიც, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ინერციის დაძლევა.

სპეციალისტების აზრით, განსაკუთრებით ნაყოფიერია მოსწავლის მიზან-მიმართულობა არა წარმატებაზე, არა თუნდაც საგანზე, არამედ სწორედ თვითგანვითარებაზე, თვითსრულქმნაზე. ასეა არა მარტო მოსწავლესთან, არამედ ზრდადასრულებულთანაც ნებისმიერი საქმიანობის შემთხვევაში და არა მარტო სწავლაში. აი, მაგალითად, რას ამბობს კოსმონავტი-ქალი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი საეიცკაია კოსმოსური ფრენისათვის მომზადებისა და საავიაციო სპორტში თავისი შესაძლებლობების სრულყოფის შესახებ: „როცა სერიოზულად დავიწყე მუშაობა საავიაციო სპორტში, მივხვდი, რომ აქ პროგრესისათვის აუცილებელია პირველ რიგში თვითკონტროლი, თვითანალიზი; რაც გააკეთე და გამოგივიდა — ძალიან კარგი. რაც არ გამოგივიდა— აწონ-დაწონე, შეაფასე. ანალიზის ეს ჩვევა, რომ გამუდმებით სრულყოფდე საკუთარ თავს, რა თქმა უნდა, ძალიან საჭიროა კოსმოსური ფრენისათვის მომზადების დროსაც".

ასეთი ჩვეულების გამომუშავება აუცილებელია ყველასთვის, ვისაც სურს ამაღლდეს ყოველდღიურობის სტანდარტებსა და წვრილმანებზე და მიაღწიოს მოწიფულობას. სამართლიანად აღნიშნავს კ. მარქსი, რომ თვითშემეცნება არის სიბრძნის პირველი პირობა.

ყველაფერი, რაც აქ ითქვა თქვენს სასწავლო საქმიანობაზე, შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ სკოლისგარეშე საქმეებსა და დამოკიდებულებაზე. განა ცოტაა ისეთი მოსწავლე, რომლის ინტერესების და მიდრეკილებების გაშლა და რეალიზაცია ხდება სხვადასხვა სახის წრეებში, სექციებში, ეზოს ამხანაგების წრეში, მეგობრულ, ინტიმურ და ნათესაურ კავშირებში; ისიც ხდება, რომ სკოლის გარეთ დაფასებულ პიროვნებას სკოლის კედლებში ნაკლებად სცემენ პატივს. და პირიქით: ის, ვინც სკოლაში ფრიადოსანია, აქტივისტია თავისი ეზოს ბავშვებში უგერგილობის, ხელმარცხიანობის გამო ყველასგან ათვალწუნებულია.

აი ეს არის ამა თუ იმ პიროვნების დახასიათების კიდევ ერთი თავისებურება: **შეფასების მრავალწახნაგოვნება.** ასე მაგალითად, სკოლაში, სამსახურში პიროვნების შეფასების მთავარი კრიტერიუმები დაკავშირებულია სწავლასა და საქმეში წარმატებასთან, მორალური თვისებები კი ზოგჯერ აღიქმება, როგორც მეორეხარისხოვანი. ნებისმიერ კლასში არიან ბავშვები, რომლებიც არ გამოირჩევიან დიდი მიღწევებით არც სწავლაში არც სპორტში, არც ხელოვნებაში, არც „გამომკონებლობაში". მაგრამ სამაგიეროდ ყველასთვის ნათელია მათი სიკეთე, პატიოსნება, სამართლიანობა, თანაგრძნობის უნარი, უანგარობა. ამ ღირსებებს მათთვის არ მოაქვს არც მედლები, არც ოვაციები, არც პირველი ადგილები (ამის წარმოდგენაც კი უაზრობაა: პირველი ადგილი თანაგრძნობისთვის). სწორედ იმით იმსახურებენ ისინი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას, რომ მოქმედებენ უანგაროდ და მიზნად არა აქვთ სხვების გასწრება. სამწუხაროდ ზოგჯერ, გვავიწყდება, რომ ყველაფერი, რაც კი ამ ქვეყნად ადამიანს გაუკეთებია საბოლოო ჯამში ფასდება მორალური ასპექტით: **რას ემსახურება მიღწევა, წარმატება, აღმოჩენა?** პიროვნების აქტივობის თუნდაც უმაღლესი დონე, საქმიანობის ყველაზე გრანდიოზული მასშტაბები შეიძლება ვერ აკმაყოფილებდნენ სინიდისისა და პატიოსნების, სამართლიანობისა და ჰუმანურობის მოთხოვნებს და სიკეთის ნაცვლად ბოროტება მოჰქონდეს ხალხისთვის, ან კეთილდღეობას უქმნიდეს მხოლოდ თაეისთვის ძვირფას ადამიანებს. რა დამსახურებასთან, როგორ პიროვნებასთან გვაქვს საქმე ასეთ შემთხვევებში?!

ნუთუ ბოროტ, ეგოისტ ადამიანებსაც აქვთ თვითრეგულირების, თვითსრულყოფის და ა. შ. შესაძლებლობანი! ე. ი. აქვთ პიროვნების უმნიშვნელოვანესი თვისებები? ძნელიც კია მათ მიმართ ამ ცნებების გამოყენება, — გაიკვირვებს ზოგიერთი თქვენგანი.

სამწუხაროდ, თვითონ პიროვნების ცნება, ისევე, როგორც ადამიანის ცხოვრების ყველა სხვა მხარე, არ არის მხოლოდ დადებითი ნიშნების შემცველი. ადამიანურ მანკიერებათა და ნაკლოვანებათა გამ-

ძლეობა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ისინი ზოგჯერ თავს იჩენენ ძლიერ, მტკიცე ნებისყოფის, დიდი ტალანტის, თვითშემეცნების და თვითსრულყოფის მიდრეკილების მქონე ადამიანებთანაც კი. მაგრამ მათ დადებითი პიროვნებებისაგან სრულიად განსხვავებული ქცევის მიზნები, მოტივები და განწყობები აქვთ, განსხვავებული დამოკიდებულებები და შეხედულებები აქვთ იმაზე, თუ რა არის **საჭირო მნიშვნელოვანი, და ღირებული,** ე. ი. აქვთ სოციალურ და მორალურ ღირებულებათა სხვა სისტემა. ამგვარ პიროვნებათა საქმიანობის მასშტაბებიც სხვადასხვაა: წვრილმან ქურდბაცაცადან დაწყებული პლანეტარული რანგის ბოროტმოქმედამდე. პირველებს ხალხი ივიწყებს მაშინვე, როგორც კი გაუჩინარდებიან ისინი ჰორიზონტზე, მეორენი ახსოვთ დიდხანს, ზოგჯერ ათასწლობით; მათ წყევლიან, მათი სახელით ბავშვებს აშინებენ, მაგრამ ახსოვთ. მათი სახელი და ბოროტი საქმენი აღზრდის საშუალებებადაც კი გამოიყენება, როგორც უარყოფითი მაგალითები: მათ მაგალითზე ასწავლიან როგორ არ უნდა იქცეოდეს ადამიანი. ხოლო თუ გაიხსენეს, გაიხსენებენ მხოლოდ როგორც „კაცობრიობის ბოროტ გენიებს“.

ბოროტების აღმნიშვნელ საზოგადო სახელად იქცა ჰეროსტრატეს სახელი, რომელმაც თავისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ცეცხლს მისცა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება არტემიდეს ტაძარი (სამწუხაროდ ხალხმა დაივიწყა სასწაულის შემოქმედის სახელი, მისი გამანადგურებლის სახელი კი ახსოვს). ახლაც კი, როცა უნდათ აღწერონ დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობის მტანჯველი განცდები, რომლებიც ადამიანს დანაშაულისკენ უბიძგებს, ამბობენ: „ის მიისწრაფის ჰეროსტრატეს დიდებისაკენ“.

ბოლო საუკუნეებმა ბოროტი გენიების სიაში შეიტანეს მსოფლიო ბატონობაზე, თავისი რწმენისადმი სხვა რასის, ეროვნების, იდეოლოგიის ხალხების დამორჩილებაზე მეოცნებე, ბევრი გამოჩენილი ჰეროსტრატეს, სისხლისმსმელი „ფიურერის“ სახელი. ისინი თავისი ბოროტი საქმისათვის იყენებენ მეცნიერულ აღმოჩენებს, მასიური ინფორმაციის საშუალებებს და ა. შ.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ბოროტი საწყისის დანახვა გარეგნულად მიმზიდველი ნიღბისა და სიტყვების მიღმა. მოვიყვან თქვენთვის უფრო გასაგებ მაგალითს იმის შესახებ, თუ როგორ აიგება ღირებულებათა სისტემა, როგორ მიმდინარეობს „თვითგანვითარება“ მათთან, რომლებიც პირველად დაადგნენ სინათლიდან უკუნეთისაკენ მიმავალ გზას.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი უბნის თუ ეზოს ბიჭების ხმაურიანი კომპანიები, რომლებსაც ერთი მთავარი საზრუნავი აქვთ—დალიონ, იჩხუბონ და არც იმის აწაპვნას ერიდებიან, რაც „ცუდად დევს“.

ასეთი მოზარდები თავის საქციელს აფასებენ ღირებულებათა სულ სხვა სკალის მიხედვით, ვიდრე ისინი, ვინც მათ ჰაიცხავს. ქუჩის ხულიგნების წრეში იმ მოზარდს უფრო მეტი დაფასება აქვს, ვინც უფრო დახელოვნებულია იმაში, რომ მიიტაცოს და არა გასცეს: დაამციროს და არა აღამაღლოს სხვა; ვინც უფრო მეტად არიდებს თავს შრომა-გარჯას. სხვაგვარი ზნეობრივი მრწამსის პიროვნება ვერ ნახავს ხულიგნურ ქცევაში ლოგიკისა და პატიოსნების ნატამალსაც კი.

მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ხულიგანიც, ქურდიც, მუქთახორაც უკმაყოფილოა თავის თავით, მიისწრაფვის უფრო და უფრო მეტი სრულყოფისაკენ იმ საქმიანობაში, რომელშიც ის აცნობიერებს თავის შესაძლელობებს და აფასებს თავის თავს, როგორც „ყოჩაღ ბიჭს". მას ჰყავს თავისი „ღმერთები და გმირები" თუ ამ გზაზე დამდგარ მოზარდს არ დაუმსხვრიეთ ეს ღირებულებები და ავტორიტეტები, მხოლოდ გაიცხვა-შეგონებანი და სწორი ქცევისკენ მოწოდება უშედეგოდ ჩაივლის. მათ არ ესმით იმ ადამიანების, რომლებიც საზოგადოების წესებისა და ნორმების მიხედვით ცხოვრობენ. ისინი მხოლოდ სასამართლოს შეიძლება დაემორჩილონ შინაგანადაც, იგრძნობენ რა კანონმდებლობის ძლიერებასა და უფლებებს, მაგრამ ამ მორჩილების საფუძველი ყოველთვის დანაშაულის მონანიების გრძნობა კი არ არის, არამედ სინანულია იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ვერ არის „საქმეში" კარგად დახელოვნებული, რომ ვერ შესძლო, ვერ მოასწრო დანაშაულის კვალის დროულად წაშლა, ჩავარდა, ვიღაცამ უფრო ძლიერმა და მოხერხებულმა აჯობა.

როცა გოგოლის „რევიზორის" პერსონაჟი გორდნიჩი გაიგებს, რომ მან „ვიღაც ძუძუმწოვარა, უბრალო ჩვარი დიდკაცად მიიჩნია", აღელვებული ამბობს: „არა, მე როგორ მომივიდა ეს, მე ძველ ჩერჩეტს? გამოთაყვანდი სულელო ცხვარო! ოცდაათი წელიწადი სამსახურში ვარ და ვერც ერთმა ვაჭარმა, ვერც ერთმა მოიჯარადრემ ვერ შეძლო ჩემი მოტყუება, არამზადების უსტაბაშებს ვატყუებდი, ისეთ თაღლითებსა და ჯიბგირებსაც კი, რომლებიც მზად არიან მთელი ქვეყანა გაძარცვონ, მახეში ვაბამდი... სამი გუბერნატორი მომიტყუებია!"*

აი ნიმუში ბნელი პიროვნების განსაკუთრებული თვითცნობიერებისა, მისი თვითგანვითარების მიზანია—გახდეს „არამზადებს შორის ყველაზე დიდი არამზადა", გაძარცვოს ქურდი, რომელსაც შეუძლია მთელი მსოფლიოს გაქურდვა. ესეც ხომ გარკვეული სახის „სრულყოფისაკენ" მისწრაფებაა?

ისტორია და ლიტერატურა უხვად გვაწვდის მანკიერების გზაზე დამდგარ ნიჭიერ ადამიანთა ბიოგრაფიას, რომლებიც სრულიად შევ-

* ნ. ვ. გოგოლი, „რევიზორი", თარგმანი ვ. გუნიასი

ნებულად და მიზანდასახულადაც კი მიჰყვებიან ამ გზას. თქვენთვის, რასაკვირველია ცნობილია ძველი რომაელი იმპერატორის ნერონის სახელი, რომელიც სიმკაცრისა და ვერაგობის თავისებურ ეტალონად იქცა. ის სიამოვნებით სჩადიოდა ყოველგვარ სისაძაგლეს, არ ერიდებოდა არავითარ ცოდვას და უპატიოსნებას. მაგრამ არასდროს, არავის არ უთქვამს, რომ ის შეუგნებლად იქცეოდა ასე, რომ ვერ ერკვეოდა საკუთარ თავში, ანდა არ შეეძლო თავისი თავის ხელში აყვანა, თავისი გრძნობების მართვა. პირიქით, სხვა ტირანთა შორის იგი სწორედ იმით გამოირჩეოდა, რომ შეეძლო ნებისმიერი სახის მიღება: დემოკრატისა და დესპოტის, ერთგული, მოყვარული შვილისა და საკუთარი დედის მკვლელის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის მფარველისა და რომში ყველაფრის შემმუსრავი ხანძრის გამჩაღებლისა. ლეგენდა მოგვითხრობს: როცა ნერონმა გადაწყვიტა, გაქცევით აეცილებინა გარდაუვალი სასჯელი ჩადენილ ბოროტებათა გამო და თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე, ბოლო წუთებში მაინც მოასწრო დიდი შეფასება მიეცა თავისი თავისთვის?

— რა დიდებული მსახიობი იღუპება! — წამოიძახა მან და წამოეგო ხანჯალზე.

ფილოსოფოს ი. კანტს მიაჩნდა, რომ თვითცნობიერება არის ზნეობრიობისა და მორალური პასუხისმგებლობის აუცილებელი წანამძღვარი. ნერონისა და მის მსგავს „განათლებულ ტირანთა“ მაგალითი, რომლებიც დაჯილდოებულნი იყვნენ თვითანალიზის უნარით, მაგრამ არ ბრწყინავდნენ მორალური ღირსებებით (მაგალითად, ივანე მრისხანე, ეკატერინე მეორე და სხვა) გვაიძულებს, ვცადოთ კანტის აზრის დაზუსტება. როგორც ჩანს, თვითცნობიერება აღძრაკს აქტიურ სულიერ მოქმედებას, ხოლო საით წაიყვანს ის ადამიანს, ეს ბევრადაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორი ცხოვრებისეული, ზნეობრივი განწყობების მატარებელია იგი.

ამგვარად, ჩვენ გამოვყავით ორი უკიდურესობა: სინათლე და სიბნელე, „ჰო“ და „არა“. მაგრამ ხომ არსებობს შუალედური ტიპიც, „არც ჰო და არც არა“ (ანდა „ჰოც არის და არაც“), რომელსაც ხშირად წინააღმდეგობრივ პიროვნებას უწოდებენ.

როგორც ვიცით, ცხოვრებაში არც ისე ხშირად გვხვდებიან სუფთა სახით გმირი პიროვნებები და ბნელი ბოროტმოქმედნი, ვინც ასეთია, მათი შეფასებაც კი მათი სიცოცხლის დასასრულისთვის ყალიბდება. თვითონ ცხოვრება—ყოველთვის პროცესია, მოძრაობაა: „ნათელ“ პიროვნებებად ყალიბდებიან საკუთარ თავში ბნელი მხარეების, მანკიერი მიდრეკილებებისა და ჩვეულებების დაძლევის, აღმოფხვრის საფუძველზე (სხვანაირად რაში გამოიხატება თვითდახვეწა, თუ თავიდანვე არავითარი ნაკლი არა გაქვს?). ხოლო „ბნელი“ პი-

როგნეპები ახშობენ თავის თავში კეთილ საწყისებს (იმავე მიზეზით — „სრულყოფა მანკიერებაში“).

ამიტომ გვირჩევს მ. გორკი, რომ სწორი გზიდან აცდენილში ვეძებოთ ის კარგი, რასაც შეიძლება ხელი ჩავავლოთ და გადავიყვანოთ ადამიანი სიკეთის მხარეზე. ამ პრინციპზე არის აგებული მთელი აღმზრდელობითი საქმიანობა ისეთი ცნობილი პედაგოგებისა, როგორიც არიან ა. ს. მაკარენკო, ვ. ა. სუხომლინსკი და მათი მიმღეერები. ამავე საფუძველზე ყალიბდება ურთიერთობა ნათესავებსა და ახლობლებს შორის, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთში წააქეზონ კეთილშობილური გატაცებები და მისწრაფებები, დაძლიონ ბნელი ძალები, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად ეუფლებიან ჩვენს სურვილებსა და ზრახვებს. თვითონ თქვენც არ შეაქცევთ ზურგს მეგობარს, რომელმაც ერთხელ წაიბორძიკა.

— რა გამოდის? უმეტესობა „წინააღმდეგობრივი პიროვნებებია“ და ჩვენც მათ შორის ვართ? — ეჭიდნურად შენიშნა ერთმა გოგონამ და თან მთელი ინტონაციით გვაგრძნობინა, რომ შუალედურ მდგომარეობაზე ის თანახმა არ არის.

საჭიროდ მიგვაჩნია პიროვნებათა ამ კატეგორიის რეაბილიტაცია. მართლაც, ადამიანის ბუნებაში კეთილ საწყისს ხანგრძლივი და შეურიგებელი ბრძოლა აქვს ბოროტ საწყისთან სრული გამარჯვებისათვის, რასაც ხშირად თან ახლავს მძიმე სულიერი ტანჯვა-წამება. ლიტერატურა, დრამატურგია მდიდარია ასეთი პერსონაჟებით. დანიის პრინცი ჰამლეტი „თვითანალიზით წამებულის“ განსახიერებაა. რუსულ ლიტერატურაში „ზედმეტ ადამიანებად“ წოდებული გმირების უსასრულო გალერეა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა ძვირად უჯდება ადამიანს სულიერი მოწესრიგებულობა, ჭეშმარიტ ღირებულებათა მარადიული ძიება, უკმაყოფილება საკუთარი თავით და ირგვლივმყოფებით. ხშირად აი ამ ძიებებში გასულა მთელი სიცოცხლე. თუმცაღა თვითონ მწერლებისათვისაც მთელი სიცოცხლის საქმეა ჭეშმარიტ ღირებულებათა ძიება. ლიტერატურული გმირის ბიოგრაფიაში ისინი განასახიერებენ საკუთარი სულიერი ცხოვრების ეტაპებს და ლიტერატურული ორეულის საშუალებით „წარმოგვიდგენენ“ გარკვეულ პირობებსა და მდგომარეობაში საკუთარი პიროვნული განვითარების შესაძლო ვარიანტებს. ავტორის მრავალმხრივობა, მრავალწახნაგოვნება და წინააღმდეგობრიობა თავს იჩენს მის ქმნილებებში მაქალითად, ცნობილია, რომ ნატაშა როსტოვას სახე თვით ტოლსტოის ერთ-ერთი განსახიერებაა, ოთარაანთ ქვრივი— ილია ჭავჭავაძისა და სხვ.

წინააღმდეგობრიობა არ ნიშნავს უსახურობას. გავიხსენოთ დოსტოევსკის რომანის — „დანაშაული და სასჯელის“ გმირი როდიონ რას-

კოლნიკოვი. იმისათვის, რომ გაერკვეს საკუთარ თავში, ვინ არის ის „მოცახცახე ქმნილება“ თუ ზეკაცი, რომელსაც შეუძლია გადალახოს „ჩვეულებრივთათვის“ დადგენილი წესები და ნორმები, იგი კლავს მოხუც მევახშე ქალს. რა საჭიროა ჩვენთვის ჰამლეტის ტანჯვა-წამებაში გარკვევა, რასკოლნიკოვის სულიერი შფოთვის მიზეზების შესწავლა? მეფეთა ავლა-დიდება და დანაშაულებანი ჩვენი მემკვიდრეობა არ არის. ჩვენ არც ის მოგვივა აზრად, რომ საკუთარი თავის გამოსაცდელად რასკოლნიკოვის მიერ არჩეულ ველურ საშუალებებს მივმართოთ, — ამბობს ზოგიერთი ახალგაზრდა.

ეჰვს გარეშეა: კონკრეტული გამოცდილება და ისიც ლიტერატურული გმირისა, შეიძლება მოგვეჩვენოს უსარგებლოდ, ხელოვნურად, როგორც ფორმის ისე შინაარსის მიხედვით. მაგრამ თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ სიუჟეტურ ქარგას და ჩავღრმავდებით გმირის გრძნობებისა და აზრების ხასიათსა და მიმართულებაში, ვნახავთ, რომ ბევრი რამ გამოეხმაურება ჩვენს საკუთარ განცდებს, ბევრი რამ იქნება ჩვენთვის სასარგებლო და გამოსადეგი.

რაში უფრო მეტი კეთილშობილებაა: მორჩილად ავიტანოთ უმოწყალო ბედის დარტყმები, უკან დავიხიოთ მის წინაშე თუ წინააღვუდგეთ ბოროტების მორევს და კამათი დავამთავროთ შეურიგებელი ბრძოლით? ძნელად თუ მოიძებნება მოაზროვნე პიროვნება, რომელსაც არ გასჩენია ეს „ჰამლეტისეული“ კითხვა ისევე, როგორც ბევრი სხვა კითხვა, რომელსაც აყენებენ ჭეშმარიტ ღირებულებათა მაძიებლები. მარტო წმინდა და კეთილშობილ ტრადიციებზე აღზრდილ როდიონ რასკოლნიკოვს არ დაუფლებია იმ ნორმებისა და წესების დარღვევის ცდუნება, რომლებზედაც ის აღიზარდა.

„ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია მისწრაფება გამოვიდეს თავის „ფარგლებს გარეთ“, „თავის საზღვრებს გარეთ“, გადააბიჯოს“ თავის ზღვარს“, რამდენადაც სამყარო არ აკმაყოფილებს ადამიანს და მას გადაწყვეტილი აქვს, თავისი მოქმედებით შეცვალოს; იგი, — წერს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბ. ჩურბანოვი.—ამრიგად, ადამიანის ქმედითი აქტიური არსი გამოიხატება, კერძოდ, მისი ძალებისა და პოტენციების გამოვლენის შემზღუდველი ნორმების, წესების, სტანდარტების მსხვრევაში.“ „მაგრამ, რა თქმა უნდა, საზღვრებიდან ყოველგვარი გამოსვლა არ არის მათგან ჭეშმარიტი განთავისუფლება. როგორც ჩანს ეს გამოსვლა... სოციალური მთელის პოზიციებიდან შეიძლება იყოს ობიექტურად სასარგებლო და პროგრესული, ან საზოგადოებრივად სახიფათო და მავნებელი“.

თქვენ ალბათ შეგხვედრიათ ან გსმენიათ, რომ სრულიად წესიერი

ოჯახიდან გამოსული ზოგიერთი თქვენი თანატოლი ჩაუთრევიათ უწესო კომპანიებსა და საქმეებში. ყველას უკვირს — საიდანა აქვთ მათ ეს მისწრაფება ცუდისაკენ? — არც სკოლაში, არც სახლში მათთვის ცუდი არავის უსწავლებია. ჩანს, ბავშვის სულში მანკიერების ჭია იყო მალულად და რაკი ყველაფერი დაფარული ოდესმე ცხადად იჩენს თავს, ახლაც ამოტივტივდა ზევით ის, რაც აქამდე არ ჩანდა.

შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ჯობს, არ ავჩქარდეთ დასკვნის გამოტანაში. უფრო ხშირად ჩვენ საქმე გვაქვს ჩამოუყალიბებელ ადამიანურ ბუნებასთან, რომელშიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს თვითგამოკვლევის, თვითგამოცდის პროცესი. თქვენი თანატოლი, რომელმაც წაიბორძიკა, სულიერი გამოცდილებით ჯერ კიდევ პატარა ბავშვის დონეზეა. ის თითქოს შეყოვნდა უზრუნველ ბავშვობაში. პატარა ბავშვს სურს ხელით შეეხოს მდულარე ჩაიდანს, თუმცა მას უშლიან, არ შეიძლება — დაგწვავსო. ის მაინც ეპოტინება აკრძალულს და... დაეწვრობას იღებს. ცდისა და შეცდომის მეთოდით სამყაროს გაცნობისაკენ მისწრაფებას სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში, მოჰყვება დალილავება, ნაჭდევები, კოპები. ამავე მეთოდით სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობას მოზარდობისა და ჭაბუკობის ასაკში აქვს გაცილებით მძიმე შედეგები.

ბევრი ახალგაზრდა არ ითვალისწინებს იმას, რომ დიდი ხანია, გაიარა იმ დრომ, როცა მათი ბავშვური გამოხდომები, გულუბრყვილობა, მოუხერხებლობა, გამოუცდელობა აღფრთოვანებას იწვევდა, რაც ჯერ კიდევ გუშინ ეპატიებოდათ, დღეს შეიძლება შავ ლაქად დააჩნდეს მათ ცხოვრებას და მომავალშიც ვეღარაფერმა წაშალოს მისი კვალი. ააცალა ბავშვმა უფროსს რაღაც საგანი, ხელი მოექნია ბებიას, უკადრისად მიმართა სხვას; მას აუხსნიან, რომ ასე მოქცევა ცუდია, შეიძლება კიდეც დასაჯონ ასაკის შესატყვისად (ტკბილეულის გარეშე დატოვებენ, ჩვეულ ზღაპარს „ძილი ნებისა პატარებო“ არ მოასმენინებენ). როცა იგივეს გააკეთებს თოთხმეტი წლის მოზარდი და, მით უმეტეს, ჭაბუკი ან ქალიშვილი, უკვე სხვაგვარი ანგარიშსწორებაა საჭირო, ზოგჯერ საკმაოდ მკაცრიც. დამნაშავე გვიხსნის: იმიტომ არ აუღია, უთქვამს უხეშად, მოუქნევია ხელი, რომ რაღაც მიეთვისებინა, ვიღაცაზე ჯავრი ეყარა, არა: „თვითონაც არ ვიცი რატომ,“ — ამბობს იგი.

სპეციალისტები ამას უწოდებენ „არამოტივირებულ დანაშაულს“ და ზოგიერთ მათგანს ხსნიან ასაკის თავისებურებით: იმის მოთხოვნილებით, რომ გამოსცადონ თავი ვაჟკაცობასა და გაბედულებაში, რისკსა და შიშში. რასაკვირველია, საკუთარი თავის შეცნობა ხდება არა მხოლოდ ფიქრით და სპეკულატური ვარჯიშით, არამედ სხვადასხვა სა-

ხის საქმიანობის პროცესშიც. მაგრამ თუ ადამიანი მიისწრაფვის იმის გაგებისაკენ, „რას წარმოვადგენ მე", და, ამასთანავე, არ უფიქრდება რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმას, რასაც ის ამისთვის აკეთებს, მისი მოქმედება შეიძლება აღმოჩნდეს გასაიცხიც და დასასჯელიც.

— სხვანაირად როგორ გავიგო, გაბედული ვარ თუ არა, თუ საფრთხეში არ ჩავიგდე თავი? — მკითხველს უეჭველად გაუჩნდება ასეთი კითხვა.

თანამედროვე ახალგაზრდობას ნებისყოფის წრთობისათვის, საკუთარი თავის გამოცდისათვის ფართო ასპარეზი, გზებისა და საშუალებათა დიდი არჩევანი აქვს. რამდენი სერიოზული, საპასუხისმგებლო საქმეა, რომელიც შეიძლება იტვირთოს მოზარდმა, ჩვენს ირგვლივ ჯერ კიდევ რამდენი გაჭირვება და სადარდებელი აქვს ადამიანებს, თქვენს თანატოლებსაც კი, რომლებსაც შეგიძლიათ გაუწიოთ დახმარება და თანაგრძნობა. სპორტის რამდენი სახეა, რომელიც მოითხოვს რისკს, მამაცობას, თავდაჭერას, მთელი ძალების უკიდურეს დაძაბვას. რამდენი შესაძლებლობა გაქვთ საკუთარ ღირსებათა გამოსავლენად ისე, რომ კი არ **დაარღვიოთ** საზოგადოებრივი წესები და ნორმები. არამედ პირიქით, სწორედ **დანერგოთ** ისინი მათ შორის, ვისაც გული მიუწევს სიბინძურისა და სიბნელისაკენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ადვილია თვითონ დაეცე და სხვებიც ჩაითრიო. ყველაზე ძნელია—დაცემულის წამოყენება და დაცემის გზაზე მყოფის შეჩერება.

რასკოლნიკოვს თავისი ნებისყოფა და „მოცახცახე ქმნილებებზე" ამაღლების უნარი რომ შეემოწმებინა ისეთივე საშუალებებით, როგორსაც მიმართა საკუთარი თავის გამოსაცდელად მისმა თანამედროვე ლიტერატურულმა გმირმა რახმეტოვმა*, მაშინ ხასიათის გამოცდა ვნებას არავის მოუტანდა და თვითონ გამომცდელის სინდისიც შეუბღალავი დარჩებოდა.

ამ მაგალითიდან შეიძლება გამოვიტანოთ ჩვენთვის სასარგებლო დასკვნა: დაუშვებელია, უსნელობაა ისწრაფოდე გახდე გამოჩენილი პიროვნება სხვების დამცირებით და გადათელვით, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც შენზე სუსტები არიან, შენზე დაბლა დგანან და შეიძლება მორალური თვალსაზრისითაც კი უარესები არიან. მხოლოდ მათი ამაღლებით ამაღლდებით თქვენ თვითონაც, ისევე როგორც რასკოლნიკოვი ამაღლდა ზნეობრივად, როცა იტვირთა „დამცირებულ და შეურაცხყოფილ" მარმელადოვების ბედზე ზრუნვა.

თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ აქ მოტანილი მაგალითების კვალობაზე პიროვნების მახასიათებლების რიცხვი თანდათან იზრდება. ამ-

* ნ. გ. ჩერნიშევსკი, „რა ვაკეთოთ".

ზრდის დიაპაზონი უსასრულოა ისევე, როგორც უსასრულოდ მრავალფეროვანია ადამიანის სულიერი ძლიერებისა და სისუსტის გამოვლინებანი: ფიზიკური და ფსიქიკური რეაქციების დახვეწილი დაუფლებიდან, ნებისყოფის საშუალებით თითქმის სხეულის სიკვდილ-სიცოცხლის მდგომარეობათა მართვიდან (რასაც ჰფლობენ იოგები) ნებისყოფის სრულ პარალიზებამდე, რაც ადამიანის არსებობას აქცევს ლეტარგიულ ძილად, ცხადში სიზმრად ყოფნად, ოცნებებში ცხოვრებად (როგორც ეს ობლომოვის და ლუარსაბ თათქარიძის შემთხვევაში იყო).

ი. ილფისა და ე. პეტროვის რომანის „ოქროს ვერძის" ერთ-ერთი მოქმედი პირი პანიკოვსკი თავის თანამოსაქმეს შურა ბალაგანოვს უწოდებდა არარაობას, „ულირს პიროვნებას". ასეთია ბევრი ლიტერატურული გმირი და ცოცხალი ადამიანიც, რომელთა თვითცნობიერება ამოიწურება საკუთარი უვარგისობის, თავისი ინტერესებისა და მისწრაფებების სილატაკის შეგნებით. მათ შორის თანაგრძნობას იწვევს ის, ვინც იტანჯება, ვისაც გულზე მძიმე ლოდად აწევს საკუთარი უსუსურობა. გვხვდებიან საკუთარ თავზე შეყვარებული არარაობანიც — ეს კატეგორია თითქმის ყველაზე სახიფათოა ირგვლივმყოფთათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბრმა შემთხვევა ასეთ პიროვნებას ხელში ჩაუგდებს ძალა-უფლებას: ამ კატეგორიისაა იუდუშკა გოლოვლიოვი. ეს—ოჯახური მასშტაბის ნერონი—მთელი თავისი სიმდაბლისა და არარაობის მიუხედავად, მაინც პიროვნებაა იმიტომ, რომ „ამაღლებულია" თვითშეფასებამდე, თუმცა ეს თვითშეფასება ყალბია, ობივატელურია, გაუკუღმართებულია.

პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია **ჰარმონიულობა** (ანტიპოდი—დისჰარმონიულობა). ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობა და თავისი ქცევის მართვა იწყება იმ მომენტიდან, როცა ის თავს უსვამს სამ უმნიშვნელოვანეს კითხვას: რა მინდა მე, რა შემიძლია და რა უნდა გავაკეთო? ამ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან იქმნება განზოგადებული სურათი, რომელიც გვიჩვენებს: **როგორი ვარ მე. ლეონარდო და ვინჩის აზრით, ადამიანი შეიძლება ჩავთვალოთ ბედნიერად და ჰარმონიულად, თუ მას სურს ის, რაც შეუძლია, ხოლო შეუძლია ის, რისი ვალდებულიც არის.** ამ იდეალთან მიახლოებით—ე. ი. როცა გვაქვს შესატყვისობა სურვილებსა, შესაძლებლობებსა და მოვალეობებს შორის—ჩვენ ვუახლოვდებით საკუთარი თავის ბედნიერ და ჰარმონიულ არსებობას. და, პირიქით, რაც უფრო მეტადაა ჩვენი იმედები და მოთხოვნილებები დაცილებული რეალური პირობების, ჩვენი შესაძლებლობებისა და ვალდებულებისგან, მით უფრო უბედურად განვიცდით თავს და

უკმაყოფილონი ვართ, როგორც საკუთარი თავით, ისე მთელი სამყაროთი.

რაშია საქმე, ჩვენ გვეგონა, რომ ჰარმონიული ეწოდება ადამიანი, რომელშიც მრავალი სხვადასხვაგვარი ნიჭი და შესაძლებლობანი ურთიერთშერწყმულადაა მოცემული. როგორც მაიაკოვსკი ამბობდა: „მიწას მოხნავს—ლექსს დაგვიწერს“, — შემოგვედავება დაუცხრომელი ოპონენტი.

მაგრამ საეჭვოა, მან შესძლოს იმ უამრავი ისტორიული ფაქტის გაბათილება, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ინტერესების მრავალმხრივობა შეიძლება სრულიადაც არ აისახოს დადებითად ადამიანის ზნეობრივ, ფსიქიკურ წონასწორობაზე.

მივმართოთ ისევ ნერონის მაგალითს. უფრო მრავალმხრივი პიროვნება ძნელად მოიძებნება: ის მმართველიც იყო, მომღერალიც, დეკლამატორიც, საუკეთესო მეეტლეც, კოლოსალურ თამაშობათა და სანახაობათა ორგანიზატორიც, მაგრამ მას ვერ ეუწოდებთ ჰარმონიულ პიროვნებას; ნერონის ყოველი მოქმედება შეესატყვისებოდა მის სურვილებს და შესაძლებლობებს, მაგრამ უხეშად არღვევდა იმდროინდელი, ბევრის მხრივ, ისედაც ამორალური საზოგადოების ზნეობრივ კანონებსაც კი.

რამდენადმე მაინც რომ განვტვირთოთ ეს დაძაბული საუბარი, შეგახსენებთ „მრავალმხრივ პიროვნებებს“ — მომხიბვლელ გაიძვერებს კვაჭი კვაჭანტირაძესა და ოსტაპ ბენდერს. მათ ყველაფერი არ შეუძლიათ, მაგრამ უარს არ იტყვიან არც ერთ საქმეზე, ავანტიურაზე, ყველა როლში გამოვლენ გარკვეული, თუნდაც სკანდალური წარმატებით. მაგრამ, მიუხედავად თვითდარწმუნებულობისა, ოსტაპ ბენდერი ხშირად განიცდის ძლიერ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მისი დიდი ნიჭი ფუჭად იფანტება, რადგან ეს ნიჭი ბედმა არგუნა „მებრძოლს ფულადი ნიშნებისათვის“, რომელთაც თვითონ ის არად აგდებს. აქ ნათლად ჩანს განსვლა ბუნებრივ ნიჭიერებას, მდიდარ შესაძლებლობებსა და მათ დაწვრილმანებულ, უაზრო რეალიზაციას შორის. ტყუილად კი არ შეჰყურებს ოსტაპი შურითა და დარდით არა მითიური, არამედ ნამდვილი ავტორბოლის მონაწილეებს: მას გვერდით ჩაუქროლა ჭეშმარიტმა ცხოვრებამ.

ესე იგი იმ მდგომარეობის მიღწევისათვის, რაც აუცილებელია ბედნიერებისათვის, ადამიანმა უეჭველად უნდა იპოვოს თავისი თავი, მიაგნოს საზოგადოებაში თავის ადგილსა და საყვარელ საქმეს, მიაღწიოს შეთანხმებულობას ირგვლივმყოფებთან, ახლობლებთან და ნათესავებთან, რომლებთანაც ჩვენ ასევე გვაკავშირებს გულწრფელი სურვილებიც (მინდა), შესაძლებლობებიც (შემიძლია) პასუხისმგებლობაც და მოვალეობაც (ვალდებულება). მიაქციეთ ყურადღება: ეს

თემა ჩვენ თითქოს დავამთავრეთ იმ საკითხზე საუბრით, რითაც დავიწყეთ: რა არის ბედნიერება და როგორ მოვიპოვოთ იგი?

ახლა გავიხსენოთ პიროვნების ყველა ზემო ჩამოთვლილი მახასიათებელი:

მასშტაბი: უდიდესიდან უმნიშვნელომდე, უძლიერესიდან ესუსტესამდე;

მორალი: სუფთა, ნათელი, გმირულიდან მანკიერამდე, ტირანულამდე;

ჰარმონიულობა: მიზნებისა და საშუალებების, სურვილებისა და მოვალეობების, ბედნიერი შეთანხმებულობიდან დაუსრულებელ კონფლიქტებამდე საკუთარ თავთან ყველაჯ ჩამოთვლილი პარამეტრის მიხედვით; შეკრული პიროვნული მთლიანობიდან პიროვნულ მრავალსახეობამდე და შემდგომ სრულ პიროვნულ უსახურობამდე, როცა პიროვნული უსახურობა გაცნობიერებული აქვთ.

დაბოლოს, მოგვაქვს ციტატა, რომელიც ჩვენი საუბრის თემას ეხება: „...ჩვენი აზრით, ადამიანი, რომელიც წარმოადგენს პიროვნებას იმყოფება ფსიქიკური განვითარების ისეთ დონეზე, რომელიც მას საშუალებას აძლევს, მართოს თავისი ქცევა და საქმიანობა და გარკვეული აზრით თავისი ფსიქიკური განვითარებაც. „ასეთი დასკვნა გააკეთა ფსიქოლოგმა ლ. ი. ბოჟოვიჩმა.

პირველი პრაქტიკული დავალების სახით გთავაზობთ საკუთარი პორტრეტის მოხაზვას. დაიწყეთ გარეგნული ნიშნებიდან, აღწერეთ თქვენი სახის, ფიგურის, სიარულის მანერის ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებანი. შემდეგ სცადეთ ამ თვისებების შეფასება, რომლებიც თქვენ, როგორც ინდივიდებს, გახასიათებთ: ტემპერამენტი (ქოლერიკული, სანგვინიკური, ფლეგმატური, მელანქოლიური, ეს თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს ადამიანის ფიზიოლოგიისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების გაკვეთილებიდან); გემოვნება, მიდრეკილებები, ჩვეულებანი. შემდეგ გადადით პიროვნული მონაცემების განსაზღვრაზე: რაში და რამდენად ვლინდება თქვენს მიერ გააზრებულად და მიზანდასახულად საკუთარი ქცევის მართვა? რამდენად გაქვთ გაცნობიერებული თქვენი უფლებები, შესაძლებლობანი და მოვალეობები და დაეინებით მიჰყვებით თუ არა ერთხელ არჩეულ მიმართულებას? საერთოდ შეეცადეთ, ააგოთ საკუთარი მოქმედებისა და განვითარების „გრაფიკი" საითაა მიმართული თქვენი ინტერესები და სურვილები, როგორ შესატყვისობაშია ისინი ოჯახის, ქვეყნის ინტერესებთან? ხშირია გადახრები, ნახტომები და ჩავარდნები? და ა. შ.

როგორც ხედავთ, ისეთი ნიშნების შესწავლა და აღწერა შემოგთავაზეთ, რომლებიც თითქოს არ განსაზღვრავენ პიროვნებას. ეს არის გარეგნული მონაცემები და ინდივიდის ფიზიოლოგიური თვისებები. უნდა გამოგიტყდეთ, რომ პრობლემაში უკეთესად გარკვევის მიზნით განზრახ არ შევეხეთ მათ ჩვენს საუბარში. სინამდვილეში კი, ჩვენი ცნობიერება და თვითგრძნობა დიდადაა განსაზღვრული, სწორედ, ბიოლოგიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური ფაქტორებით: ჯანმრთელი ვართ თუ სნეული, ძლიერი თუ სუსტი, ლამაზი ვართ თუ არა, რა სიმაღლის ვართ, ესეც კი ზეგავლენას ახდენს ჩვენს თვითშეფასებაზე. ასევე დიდ როლს თამაშობს ტემპერა-

ზენტი, რამდენად მომთმენი და შემწყნარებელი ვართ საკუთარი და სხვათა სისუსტეების მიმართ, რამდენად თავგამოდებით ვიცავთ საკუთარ შეხედულებებს, ფრთხილად ვიწყებთ თუ წინდაუხედავად დასახული გეგმების შესრულებას, როგორი რეაქციები გვაქვს გარეგან გამღიზიანებლებზე—ყველაფერი ეს პირველ რიგში გაპირობებულია ჩვენი ორგანიზმის ბუნებრივი თავისებურებებით.

აღზრდით და თვითაღზრდით შეიძლება გამოვავლინოთ და განვავითაროთ ბუნებრივი ნასახები და ნიჭიერებანი, ან პირიქით, დავთრგუნოთ და შევანელოთ მათი განვითარება, მაგრამ იმის განვითარება, რაც არ არის ადამიანის ბუნებაში—სრულიად შეუძლებელია.

შეგახსენებთ ცნობილ მაგალითს სუვოროვის შესახებ: სხეული მას სუსტი ჰქონდა, სამაგიეროდ სული, ხასიათი—ძლიერი. მან თავისი ეს უპირატესობა გამოიყენა სხეულის სრულყოფისათვის. ეხლა სულ უფრო და უფრო ხშირად გაიგონებთ ძველი ანდაზის უარყოფას: „ჯანსაღ სხეულში—ჯანსაღი სულია." „პირიქით—ამბობენ ახლა: თუ სული ჯანსაღია, ჯანსაღი იქნება სხეულიც, გახრწნილი სული კი სხეულსაც გახრწნის." ამ წიგნის ავტორისათვის უფრო მისაღებია დიალექტიკური შუალედური პოზიცია: ყველაფერი ჩვენს ბუნებაში გადახლართულია ერთმანეთზე, მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ამიტომ არის ძნელი ზუსტად მითითება — რა არის მიზეზი და რა შედეგი. აქ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც სკოლასტიკურ კითხვაზე პასუხისას: „რა უფრო ადრე გაჩნდა ქვეყანაზე—კვერცხი თუ ქათამი?"

სამუშაო, რომელიც თქვენ უნდა შეასრულოთ მარტივი არ არის. გარდა გარკვეული ინტელექტუალური ძალისხმევისა, თქვენ დაგჭირდებათ საერთო სულიერი ძალისხმევა, დიდი სიმამაცე. შემთხვევით არ უწოდებია ი. ხ. ტურგენევს თვითანალიზისათვის „ორმხრივად მკრელი მახვილი". ამასთანავე ჯერ ხამუშაო მოითხოვს თქვენგან საიდუმლოს შენახვის ჩვევას. მომდევნო საუბარში აგიხსნით რატომ არის ეს ხაჭირო.

მე ოჯახი ვარ

აი, ჩვენ ისევ შეეხვდით ერთმანეთს. მაგრამ რაღაც არ გეტყობათ აღფრთოვანება შესრულებული სამუშაოთი. იქნებ ვერ მოერიეთ უჩვეულო დავალებას, ან ვერ იცანით თქვენი თავი შექმნილ ავტოპორტრეტში? იქნებ არ მოგეწონათ საკუთარი თავი?

გულს ნუ გაიტეხთ ასეთი ცდები ბევრჯერ ჩატარებულა და ხშირად ანალოგიური შედეგი მიუღიათ: შეცბუნება, გაღიზიანება, ზოგჯერ განაწყენებაც (თუმცა არ იციან ვის მიმართ).

ეხლა ვისაუბროთ საიდუმლოს შესახებ: მე გირჩევთ არ გაახმაუროთ ის, რასაც დაინახავთ თვითანალიზის სარკეში, იმიტომ, რომ პატიოსანი, მოუსყიდველი თვალი ყოველთვის აღმოაჩენს უამრავ წვრილმან და ზოგჯერ მსხვილ დეფექტებსაც კი, რომლებიც შესწორებას საჭიროებენ. შეიძლება თქვენ მათი მნიშვნელობა მეტად გადააფასეთ. შეიძლება თვითშესწავლის პროცესში თქვენ ცუდ ხასიათზე იყავით, ბრაზობდით საკუთარ თავზე რაიმე მარცხის გამო და მზად იყავით საკუთარ თავში ყველაფერი გაგეკიცხათ, მუქ ფერებში დაგე-

ნახათ. მთავარი კი ისაა, რომ ნებისმიერი შინაგანი განცდის ან ლიზი მოითხოვს უდიდეს დელიკატობას და გამორიცხავს „საჯაროობას". ჩვენ გთხოვთ, რომ გაუფრთხილდეთ სხვა ადამიანებს, ნუ ეცდებით ადამიანის სულში უხეშად, ძალადობითა და რკინის სატეხით შეჭრას, მაგრამ ამას ვერ ვისწავლით თუ არ ვიქნებით ფრთხილნი და მორიდებულნიც კი, როცა მივმართავთ თვითანალიზს და თვითსრულყოფას. უმჯობესია, ეს ბუშაობა ჩაატაროთ უცხო თვალისათვის შეუმჩნეველად, დაე, ცხადი გახდეს რეზულტატი და არა სულიერი გარდაქმნის პროცესი.

„მე ვარ—ოჯახი. და როგორც სპექტრში
შვიდი სხვადასხვა მე ცხოვრობს ჩემში
და ბობოქრობენ როგორც მხეცები
ცის ფერი უსტვენს სალამურზე
და მესიზმრება გაზაფხულზე
რომ მე შერვე ვარ."

ეს არის ნაწყვეტი ანდრეი ვოზნესენსკის ლექსიდან. აქ მოცემულია ჩვენთვის საინტერესო პოეტური სახე: „მე—ოჯახი ვარ" — გვიცხადებს ვოზნესენსკი და ნიდეველობაში აქვს თავისი ნრავალსახეობა, არაერთგვაროვნებელოვნება. ეს სახე შეიძლება შეუსატყვისოთ ჩვენი საუბრის თემას: ოჯახში ხომ თითოეული ჩვენგანი უამრავჯერ გარდაისახება, ასრულებს რამდენიმე, თავისი არსით ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ როლს! ოჯახში თითოეული ჩვენგანი ერთდროულად შეიძლება იყოს შვილი, შვილიშვილი, და (ან ძმა), ცოლი (ან ქმარი), რძალი (ან სიძე), დედამთილი (ან სიდედრი), მამამთილი (ან სიმამრი), ბებია (ან პაპა). აი, რამდენი მნიშვნელოვანი როლი გვაქვს ოჯახში და თუ გავითვალისწინებთ ოჯახის ახლო და შორეულ ნათესავებს, როლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

თითოეულ ჩვენგანში ერთდროულადაა განსახიერებული წინაპართა მრავალი თაობის თვისებები. გარეგნული ნიშნებიც აღებული გვაქვს სხვადასხვა ახლობელი ადამიანისაგან: ცხვირი დედის გვაქვს, სიმაღლე და მოყვანილობა—მამის, თმები—პაპის, ხელები და სიარულის მანერა— ბებიის და ა. შ. არც ჩვენი ტემპერამენტი წარმოადგენს ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ დედისაგან ან მხოლოდ მამისაგან მიღებულ მემკვიდრეობას; უამრავი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბავშვებში ხშირად გამეორებულია ბებიის ან პაპის ბუნება, ანდა გვეძლევა ყველასგან აღებული ნიშან-თვისებათა ნარევი.

ასეთივე რთულ შენაერთს წარმოადგენს ჩვენი ცხოვრებისეული მსჯელობები და წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო, ღირსეული, რა უნდა გვინდოდეს და როგორ უნდა მივაღწიოთ მას. როცა ვიწყებთ თვითშეფასებას, ჩვენს ზურგს უკან, თვითანალიზის

სარკის წინ უხილავად ჩამწკრივდებიან ისინი, ვინც ჩვენ შეგვეკვნა, გაგვზარდა და აღგვზარდა.

ჩვენ ვერ შევძლებთ საკუთარი თავის შეცნობას, თუ არ გვექნება ადრეული ასაკიდანვე შეთვისებული ნორმები და საზომები. ეს კარგია, ეს ცუდია, ლამაზია, ულამაზოა. გონივრულია, სულელურია, წესიერებაა, უწესობაა. შეიძლება რაღაც შეგონებებს, წესებს უყურადღებოდ ვტოვებდეთ, თითქოს უგულებელყოფდეთ კიდეც მათ, მაგრამ ისინი ცოცხლობენ ჩვენი ცნობიერების სიღრმეში და მკაცრ მსჯელობად გვევლინებიან იმ შემთხვევებში, როცა ჩვენ გვიხდება საკუთარი თავის შეფასება შელამაზების გარეშე.

ჩვენი თვითშეფასების ბუნებას ღრმად ჩასწვდა კ. მარქსი: „რადგან ადამიანი ამ ქვეყნად არც სარკით იბადება... თავის თავს იგი ჯერ სხვა ადამიანში ხედავს, როგორც სარკეში. მხოლოდ მიმართებით ადამიან პავლესთან, როგორც თავის მსგავსთან, ამყარებს ადამიანი პეტრე მიმართებას თავის თავთან, როგორც ადამიანთან". (კ. მარქსი „კაპიტალი", ტ. I გვ. 71—72). და კიდევ: „ინდივიდები, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად ჰქმნიან ერთმანეთს." (კ. მარქსი, ფ. ენგელსი თხზ. ტ. 3, გვ. 36, რუსულ ენაზე).

ჩვენი ადამიანური სახის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მეტ გავლენას ოჯახის წევრები ახდენენ. ამიტომაც საკუთარ თავში გარკვევისათვის აუცილებელია ჩავწვდეთ იმ დამოკიდებულებათა თავისებურებებს, რომელიც გვაქვს ჩვენი ოჯახის წევრებთან—ჩვენი პიროვნების ჩამოყალიბების თანამონაწილეებთან და „შემოქმედებთან".

ნათესაობა, ოჯახი—ყველასთვის ჩვეული სიტყვებია. მაგრამ რა შინაარსს სდებს ამ ცნებაში მეცნიერება?

ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს მოისმენთ ამ საკითხზე. რამდენიმე წლის წინ ორი ავტორიტეტული მკვლევარი ძალიან ენერგიულად იცავდა საკუთარ თვალსაზრისს ერთი არსებითი მომენტის შესახებ: უნდა ჩავრთოთ თუ არა ოჯახის განსაზღვრებაში მის წევრებს შორის არსებული დამოკიდებულების დამახასიათებელი თავისებურებანი? ერთი ამბობდა, საკმარისია ოჯახი განვსაზღვროთ, როგორც მცირე სოციალური ჯგუფი, გაერთიანებული საცხოვრებელი ფართობით, საერთო ბიუჯეტით და ნათესაური კავშირით. მეორე არ ეთანხმებოდა ასეთი განმარტებით შემოფარგვლას. მას აუცილებლად მიაჩნდა ოჯახის განმარტებაში ჩართული ყოფილიყო ოჯახის წევრთა სპეციფიკური ურთიერთობის, კერძოდ, ურთიერთდახმარების ხასიათი. ასეთი ურთიერთობის გარეშე ოჯახი არც გვექნება, გვექნება მხოლოდ ადამიანთა ისეთი თანაცხოვრება, როცა მათ ერთმანეთთან აკავშირებს საცხოვრებელი ფართობი, ფული, მეურნეობა; ეს კი მთავარი არ არის ჩვენს თანამედროვეთა ოჯახურ ურთიერთობებში.

ჩვენი სიმპატიები მეორე მკვლევარის მხარეზეა, გავიხსენოთ საშინელი, ტრაგიკული ფიგურა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ცნობილი რომანიდან „ბატონი გოლოვლიოვები". ამ ოჯახის უფროსი არინა პეტრეს ასული ცხოვრების მიწურულს მივიდა სავალალო დასკვნამდე: „მთელი ცხოვრება ის რაღაცას აწყობდა, რაღაცას აკლავდა თავს, აღმოჩნდა კი, რომ მოჩვენებას აკლავდა თავს. მთელი სიცოცხლე სიტყვა ოჯახი არ მოსცილებია მას ენიდან; ოჯახის სახელით ის ზოგიერთს აწამებდა, ზოგს ასაჩუქრებდა, ოჯახის გულისთვის მან ბევრი რამ დააკლო თავის თავს, გაიტანჯა თავი, დაიმახინჯა მთელი ცხოვრება — და აი გამოდის, რომ სწორედ ოჯახი არა ჰქონია მას!

— ღმერთო! ნუთუ ყველასთან ასეა! — ფიქრობდა ის."

სამწუხაროდ ახლაც გვხვდება ოჯახები, რომელთა წევრებსაც შეიძლება ასევე გვიან აეხილოთ თვალი: ის, რაც მათ ოჯახად მიაჩნდათ—მოჩვენება აღმოჩნდეს. ყველაფერი ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდნენ, არ ესმოდათ როგორი უნდა იყოს ოჯახი სინადვილეში.

სრულიად სხვაგვარ სურათს ვხედავთ მათ ცხოვრებაში, ვისაც ღრმად აქვს შეგნებული ადამიანთა ოჯახური კავშირის აზრი და მნიშვნელობა.

გავიხსენოთ, რა მოწიწებულ აღტაცებას იწვევდნენ და იწვევენ გადასახლებულ დეკაბრისტთა ოჯახები. ქმრები კატორღის ჯურღმულებში, ცოლები—მათ მახლობლად ან ათასობით ვერსის მანძილზე. ისინი მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან სულით და გულით, მაშინაც კი, როცა ერთ ჭერქვეშ არა ცხოვრობდნენ და მხოლოდ იშვიათად თუ ახერხებდნენ შეხვედრას ზედამხედველის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. იძულებითმა განშორებამ შეძლო მათი ოჯახური ურთიერთობის დარღვევა? რა თქმა უნდა, არა.

თუმცა, რა საჭიროა მაგალითისათვის ასეთ შორეულ წარსულს მივმართოთ! სულ ახლახან 1987 წ. იანვრის ბოლოს კოლხეთის დაბლობზე დატრიალებული სტიქიური უბედურების დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ასეთი ცნობა: „გვიჩიების სახლში წყალი მეორე სართულამდე ავიდა. ვერეშფრენი სახურავის ზემოთ „დაეკიდა" და თოკის კიბე ჩამოუშვა. ოჯახის ფეხმძიმე რძალმა ვერ შესძლო თოკის კიბეზე ასვლა. მაშინ ოჯახის შვიდივე წევრმა უარი თქვა ევაკუაციაზე) და სხვენზე ავიდნენ. საბედნიეროდ მათი სახლი ვერ დაანგრია სტიქიამ და ისინი მეორე დღეს კატარღით გადაიყვანეს „დიდ მიწაზე".. („თბილისი", 11 თებერვალი, 1987 წ.) აი ასეთია მტკიცე ოჯახური ურთიერთობანი, ერთობა ყველაფერი სიხარულშიც და მწუხარებაშიც, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. გვიჩიები თვალნათლივ ხედავდნენ,

რომ სტუდიის ყოველ წუთს შეეძლო დაენგრია მათი სახლი, ან სხვენიც კადაეფარა და წარეტაცა მათი სიცოცხლე. მაგრამ ჭეშმე განსაცდელმა ვერ შესძლო მათი ოჯახის სულიერი ერთობის დარღვევა.

ღღისათვის ჩვენი ქვეყნის დაუსახლებელ ადგილებში წამოიმართა ახალი ქალაქები და დაბები, დასახლებული გუშინდელი მოსწავლეებით; ბავრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ზურგს უკან რჩებიან შვილებს მოწყვეტილი მოხუცები, ხოლო აქ ესახლებიან უსახლკარო ობლები. რომლებსაც აღარ ახსოვთ ნათესაობა?

თუ ჩვენ შევაფასებთ მოვლენების მხოლოდ გარეგნულ მხარეს, მაშინ ყველაფერი სწორია: როცა იქმნება ახალი, ახალგაზრდა ოჯახი, ძველი თითქოს იმსხვრევა, წყვეტს არსებობას. სინამდვილეში კი, უმეტეს შემთხვევაში, უფროს თაობასთან კავშირი არავინ თუ არ წყდება, არამედ პირიქით, ის იძენს ახალ შინაარსსა და მნიშვნელობას. ჰკითხეთ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, როდის იგრძნეს განსაკუთრებით მწვავედ უფროს თაობასთან სულიერი და პირადული ერთობის, მათგან დახმარების მოთხოვნილება? პასუხი მეტწილად ერთია: მაშინ, როცა თვითონ გახდნენ მშობლები — დედა და მამა. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, გაიცნობიერეს რა დიდი შრომაა ბავშვის გაზრდა. გაიცნობიერეს და, როგორც ჯერ არს, ისე შეაფასეს მშობლების წვლილი თავიანთ ცხოვრებაში. გარდა ამისა, დაინახეს თავისი უმწეობა ცხოვრების სირთულეებთან: როგორც ეკონომიკურ, ისე ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ სირთულეებთან შეხვედრისას. უფროსების რჩევა-დარიგების გარეშე, მათი თანამონაწილეობის გარეშე ძნელია ფეხზე დადგომა. სტატისტიკოსებმა უკვე შენიშნეს, რომ ახალგაზრდათა განქორწინება ბევრი სხვა მიზეზის გარდა, იმაზედაცაა დამოკიდებული, ახლოს არის თუ არა ახალგაზრდებთან უფროსი თაობა და ეხმარებიან თუ არა მათ.

ოჯახური მატერიალური კავშირები, როგორც წესი, არ წყდება, როცა ვაჟი ან ქალიშვილი ტოვებს მშობლიურ ბუდეს. ვთქვათ, გუშინდელმა სოფლის მცხოვრებმა დატოვა სოფელში მოხუცები და საცხოვრებლად ქალაქში გადასახლდა: იწყება დაუსრულებელი სიარული ფოსტაში, მშობლები სოფლიდან უგზავნიან თავის შვილს ამანათს, ურიცხავენ ფულს, სანამ ის კარგად მომაგრდება. შემდეგ იწყება მოძრაობა საპირისპირო მიმართულებით: მოღონიერებული ქალაქელი თავის სოფლელ ნათესავებს ამარაგებს ქალაქური საქონლით. განა ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს ორი ოჯახი მატერიალურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელია? არა გვგონია, რომ ვინმემ ასე ჩათვალოს, თუმცა კი ძირითადი მატერიალური ქონების მოპოვება და ხარჯვაც ცალ-ცალკე ხდება.

ზოგჯერ დახმარება, ერთი შეხედვით, შეიძლება არც კი იყოს მა-

ტერიალურად გამოხატული. მაგალითად, როცა უელიან პატარა ბავშვს ან მოხუცს; როცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სიამოვნებით იღებს დახმარებას ბებიისგან, რომელიც შეიძლება ქალაქის მეორე ბოლოდან მოდის, რომ შვილიშვილი გამოკვებოს, ასეირნოს, წაიყვანოს მუსიკაზე ან საცურაოდ. შეიძლება ბევრი არც კი ფიქრობს, რომ ამით ახალგაზრდა ოჯახს უწევენ მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას. უფროსების ასეთი უანგარო ზრუნვა და შრომა, რომელიმე საყოფაცხოვრებო მომსახურების ფასებში რომ გადაგვეყვანა, დამეთანხმებით, რომ ძალიან დიდ თანხას მივიღებდით. ასევე არსებით კვალს დაამჩნევდა პენსიონერი მშობლების ბიუჯეტს უცხო ადამიანის მოწვევა ბინაში რაიმეს შესაკეთებლად, წამლისთვის და პროდუქტებისთვის გასაგზავნად, სადილის დასამზადებლად და სხვა ყველაფრისთვის, რასაც ასე უანგაროდ უკეთებენ მოხუცებს მათი მოყვარული შვილები და შვილიშვილები.

იქნებ დღეისათვის ვინმესგან რაიმე განსაკუთრებული დახმარება არც გვესაჭიროება, მაგრამ მაინც მეტად მნიშვნელოვანია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ გვყავს ადამიანები, ვისაც შეიძლება მძიმე წუთებში მივმართოთ დახმარებისათვის.

ეს რწმენა უკვე სულიერი კავშირების სფეროს ეკუთვნის. გულითადი ერთობაც შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს გამოხატული: ყოველდღიური კონტაქტებიდან, გამოკითხვა-ანკეტირებებიდან პატარა წერილამდე, ტელეფონით ხანმოკლე საუბრამდე. აქ მთავარია შინაგანი განცდა იმისა, რომ გვყავს ნათესავები, რომლებიც მზად არიან გაგვიგონ, თანაგვიგრძნონ, გაინაწილონ ჩვენი სიხარული და მწუხარება. თუ ოჯახის წევრებს შორის არავის ახარებს თქვენი წარმატება, რომ აღარაფერი ვთქვათ თანაგრძნობის გაწევაზე მწუხარებაში, მაშინ ტყუილად ვუწოდებთ ასეთ ურთიერთობებს ოჯახურს, როგორი დამოკიდებულიც არ უნდა იყვნენ ეს ადამიანები ერთმანეთზე, რაც არ უნდა იყვნენ ისინი ერთმანეთისათვის: ცოლი და ქმარი, მშობლები და შვილები თუ დები და ძმები. ეს იქნება მხოლოდ ცარიელი სიტყვები, ფორმალური ტიტულები და წოდებანი.

სულიერი კავშირები ვლინდება ერთმანეთის ნახვის, ერთმანეთთან ურთიერთობის ბუნებრივ მოთხოვნილებაში, დაინტერესებაში ყველაფრით, რაც ხდება ოჯახის თითოეული წევრის ცხოვრებაში.

— ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასეთი დამოკიდებულება უფრო დამახასიათებელია ადამიანური მეგობრობისათვის. სწორედ ის არ მოითხოვს ყოველდღიურ ურთიერთობას, თავისუფალია მატერიალური მხარისგან. ჩვეულებრივ, მეგობარი მოირბენს ხოლმე პირველივე დაძახებაზე, დანარჩენ დროს კი შეუმჩნეველია და თავს არ გვაბეზრებს, ასეთი პროტესტიც მოვისმინეთ ერთხელ.

სავსებით სწორია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნამდვილ ადამიანურ ოჯახს შეიძლება ვუწოდოთ სისხლმონათესავეთა თანამეგობრობა.

ახლა ჩვენ შევეხეთ გრძნობების განსაკუთრებულ სფეროს, ემოციურ დამოკიდებულებებს ოჯახის წევრებს შორის. რას წარმოადგენს ეს ემოციები?

თავის დროზე ჩვენმა სახელმწიფომ მიზნად დაისახა დაენგრია ფულის კერპის, ძალადობის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის, მოყვარულ ადამიანებს შორის ანგარიშიანი დამოკიდებულების ჭვეყანა. ეს ამოცანა, ძირითადად შესრულებულია მთელი საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი გრანდიოზული სოციალური გარდაქმნების საფუძველზე. ახლა ახალგაზრდებს შორის მხოლოდ ერთეულებია ისეთი, რომლებიც გულის კარნახს არად აგდებენ და მხოლოდ ცივი ანგარიშით ქორწინდებიან. შეუღლებულთა უმეტესობა საქორწინო გვირგვინს. იდგამს, როგორც ძველად ამბობდნენ, გულწრფელი სიმპატიის, ორმხრივი სიყვარულის საფუძველზე. განა არსებობს ოჯახის შექმნისათვის, მისი კეთილდღეობისათვის უფრო მნიშვნელოვანი და საჭირო გრძნობები? სიყვარული აერთიანებს, სიყვარული აღამაღლებს, აღაფრთოვანებს და ამრავლებს ადამიანებს.

მაგრამ გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მხოლოდ სიყვარული საკმარისი არ არის ხანგრძლივი და ბედნიერი ცოლქმრობისათვის, სოციოლოგები წარმოგვიდგენენ განქორწინებათა სამწუხარო სტატისტიკას. თქვენთვის ცნობილია, რომ ბოლო დროს გახშირდა განქორწინება, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ მეუღლეთა უმეტესობა სიყვარულით იყო დაქორწინებული. რას იზამ, ყველაზე ძლიერი გატაცებაც კი საჭიროებს ისეთ „საყრდენებს", როგორიცაა პასუხისმგებლობის გრძნობა სხვა ადამიანის მიმართ; შეგნება იმისა, რომ გათხოვება-დაქორწინება მეგობართან კინო-თეატრში ან სხვა გასართობებზე სიარული კი არ არის, არამედ ყველაფერში ერთ ბედქვეშ ცხოვრებაა; ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია გქონდეთ ვალდებულების ძლიერი გრძნობა და დიდი მოთმინება. მაგრამ ბევრ ახალგაზრდას ვალდებულების გაგონებაც კი არ სურს, ხოლო სიყვარულზე საკმაოდ ცცდარი შეხედულება აქვს. ხშირად არ შეუძლიათ ერთმანეთისგან განასხვავონ სიყვარულის სახესხვაობები, არ იციან, რომ ცოლქმრული სიყვარული, ქორწინებამდე სიყვარული და კიდევ ქორწინების გარეშე სიყვარული სულ სხვადასხვა გრძნობებია; ეს თავგზას უბნევს არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ საკმაოდ მოწიფულებსაც. ეს გრძნობები არა ჰგავს ერთმანეთს ისევე, როგორც ძლიერი თავთავი არ ჰგავს იმ მარცვალს, რომლისგანაც ის ამოიზარდა. მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ ცოლქმრული გრძნობის განმასხვავებელ თავისე-

ბურებებზე. ახლა კი დავუბრუნდეთ ოჯახის განსაზღვრას და მისი თანამედროვე საფუძვლების გარკვევას.

ოჯახის ბუნების შესახებ კამათი ჩვენთან დღეისათვის ძირითადად დამთავრებულია. ფილოსოფიურ ლექსიკონში მოცემულია ოჯახის ასეთი ფორმულა: ოჯახი არის საზოგადოების უჯრედი, საზოგადოების მცირე სოციალური ჯგუფი, დაფუძნებული ცოლქმრულ კავშირზე და ნათესაურ ურთიერთობებზე. ე. ი. დაფუძნებული მრავალმხრივ ურთიერთობებზე ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს და სხვა ნათესავებს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას. როგორც ხედავთ, მოცემულ განსაზღვრებაში ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება პირველ ადგილს იკავებს, ხოლო მეურნეობა გადადის მეორე რიგში, თუმცა მათ შორის მეტად მჭიდრო ურთიერთკავშირია. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოხატავს სწორედ ჩვენს დროში ოჯახის გარდაქმნის არსს, ამაშია ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ახალი ოჯახისა ძველისაგან. თუ წინათ ოჯახის კეთილდღეობის მაჩვენებელი იყო ქონება, მატერიალური და სამსახურებრივი წარმატებულობა, ხოლო ყველაზე დიდი უბედურება იყო გაღატაკება, ახალ ვარიანტში ოჯახის კეთილდღეობა განისაზღვრება მისი წევრების გულითადობითა და სულიერი სიმდიდრით, რასაც ისინი გასცემენ საერთო სარგებლობისათვის. მეურნეობა, რომელიც ოჯახის მთელი სულიერი და ფიზიკური ძალისხმევის მიზანი იყო, გადაიქცა ოჯახის წევრთა შორის გულითადი კავშირის განმტკიცებისა და სრულყოფის, ადამიანთა ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ღ.

— ყველა არ არის ამ შეხედულების. ზოგჯერ ქონებისათვის ისეთი ვნებათა ღელვა შეიპყრობს ადამიანებს, რომ ავიწყებინებს გულითად კავშირებსაც და მშობლიურ სისხლსაც. — გეცნობათ ოპონენტის ხმა?

ყველაფერი ახალი, როგორც ცნობილია, მწიფდება, იბადება ძველის წიაღში და თავის თავში ატარებს ძველის, მშობლის თვისებებს. ჩვენს თანამედროვე ოჯახს უმეტეს შემთხვევაში აქვს როგორც ძველი, ისე ახალი ფორმაციის ნიშნები. გვხვდება ოჯახის „წმინდა ეგზემპლიარებიც“: ძველი ან ახალი. უმეტესობაში კი ეს ორი საწყისი აწარმოებს გამუდმებულ ბრძოლას ცვალებადი წარმატებით. თუ მატერიალური ინტერესები ჩრდილავენ, თრგუნავენ ჩვენში კეთილ გრძნობებს და გვიკარნახებენ, ვინ როგორ მოიქცეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ამოქმედდა წინაპართა ხანგრძლივი გამოცდილება. როცა ქონების დაუფლებისაკენ მიმართული აფორიაქებული ვნებების ალაგმვას ვცდილობთ და ვეუდერებით გონებას, სინდისს, სამართლიანობის გრძნობასა და სიყვარულს—გვიჩვენონ ჭეშმარიტების გზა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, ამით ხელს ვუწყობთ ახლის გამარჯვებას

მის დამკიდრებას ჩვენს ცხოვრებაში. თუმცა ვამეორებთ, ოჯახური გამოცდილებაც და ისტორიაც გვარწმუნებს, რომ ასეთ დამოკიდებულებებს ახლებური შეიძლება ეუწოდოთ პირობითად. მათი სიახლე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ თუ წინათ ასეთი დამოკიდებულებანი მხოლოდ ბედის რჩეულთა იშვიათი ხვედრი იყო, ახლა ის შეიძლება და უნდა იქცეს ნორმად უმეტესობისათვის.

რაიმე შეფასებათა, მსჯელობათა აბსოლუტიზაცია ჩვენს საუბარში შეიცავს არა მარტო უზუსტობის, არამედ უსამართლობის საფრთხესაც. ზოგიერთ ნაჩქარევად დასკვნის გამოტანის მოყვარულ მკითხველს შეიძლება დაეუფლოს ზედმეტი დარწმუნებულობა საკუთარ თავში: აი როგორები ვართ ჩვენ, განათლებულები, სუფთა, კეთილშობილები, სულაც არ ვგავართ ჩვენს ანგარებიან წინაპრებს! გაიხსენეთ პიროვნების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი—დაბრკოლებათა დაძლევა. ეჭვი არ გვეპარება, რომ დაბრკოლებათა დაძლევაში, გაჭირვების დაძლევაში, მისთვის წინააღმდეგობის გაწევაში, ზოგიერთი თანამედროვე ვერც კი გაუტოლდებოდა წინაპართა უმეტესობას. ისინი არ იყვნენ ფართოდ განათლებულნი და განსწავლულნი, უსამართლობა და სიღატაკე თრგუნავდა მათ; ამიტომ იყვნენ იძულებულნი ოჯახის შექმნისას ხშირად მიემართათ თვალ-ანგარიშისათვის (აქ საქმე ეხებოდა კომფორტს ან ძვირადღირებული საშოვნელის დაუფლებას, მათი ცხოვრებისათვის პატარა წვრილმანსაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა); ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მამაკაცთან შედარებით ქალი არასრულფასოვანია. „ცოდვილი“ ბუნებისაა, რომ ქალები მეობლების საკუთრებას წარმოადგენენ. და მაინც ჩვენმა ხალხმა თავის შინაგან ბუნებასა და ცხოვრების ადათ-წესებში შემოინახა და აბრავლა კეთილი საწყისები.

აიღეთ ძველი ლექსები, ზღაპრები, თქმულებები: ისინი გვასწავლიან სიკეთეს, უანგარობას, ოჯახის ნებისმიერი წევრის ადამიანური ღირსების პატივისცემას.

— თუ ხალხის გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა და შემოინახა კეთილშობილურ ოჯახურ დამოკიდებულებათა ნიმუშები, რატომ არ მიჰყვებოდნენ თვითონ ჩვენი წინაპრები და რატომ არ გვასწავლეს ჩვენც ასე ცხოვრება? მაშინ ხომ აღარ დაგვჭირდებოდა ამ ახალი საგნის სწავლა, ყველაფერი ხომ თავისთავად მოგვარდებოდა!

ეს მართლაც საოცარია: რატომ არ უნდათ ადამიანებს შესდიონ კარგ მაგალითებს, რატომ მიისწრაფიან სწორი გზის მონახვისაკენ მაინცა და მაინც საკუთარი შეცდომების, „დალილაევებისა“ და „კოპეების“ საფუძველზე? არაერთ თაობას უმტვრევია თავი ამ საკითხის გადაწყვეტაზე. ცუდი მაგალითი გადამდებია. კარგი საჭიროებს გაძლი-

ერებულ დანერგვას და კულტივირებას. სარეველა, როგორც ცნობილია, თვითონ იზრდება და მრავლდება, ისეთი ფაქიზი მოსავლელი არ არის, როგორიცაა „პური ჩვენი არსობისა.“

ცუდი მაგალითი განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვობის ასაკში. ცნობილი ფსიქოლოგი ლ. ვიგოტსკი* აღნიშნავს, რომ ცუდი საქციელის აღწერა მოსწავლეში იწვევს წარმოდგენების მთელ რიგს და მათი რეალიზაციის იმპულსს. რაიმეს გაცნობიერება ამავე დროს არის დაწყებული სულიერი მოძრაობა და როცა აღსაზრდელს ვაფრთხილებთ ამა თუ იმ მიუღებელი ქცევისაგან, ამით მის ყურადღებას ამ ქცევაზე ვაჩერებთ და... ჩვენს უნებურად ვუბიძგებთ მისი შესრულებისაკენ. ამორალური საქციელის აღწერა ყველაზე კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვს მისი შესრულებისაკენ ვუბიძგოთ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ სწორი ქცევის ცნობიერება არ გაძლევს მისი განხორციელების გარანტიას, არასწორი ქცევის ცნობიერება ხელს უწყობს მის განხორციელებას.

დაჟინებით მტკიცებას ვერ დაიწყებთ, მაგრამ იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ ადამიანებს აქვთ საკუთარი შეცდომების გზით სიარულის მიდრეკილება, ვხედავთ ხალხის განსაკუთრებულ, საუკუნეებით განმტკიცებულ დამოკიდებულებაში უბედურებისა და კეთილდღეობისადმი. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ბევრი ხალხის თავზეყრის ადგილზე ადამიანი იცინის, ხტის სიხარულისგან. როგორი იქნება გამვლელების რეაქცია? ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი გაიღიმებენ, ანდა თავისთვის გაიფიქრებენ, რომ მან არ იცის თავის დაჭერა. მაგრამ მერწმუნეთ, არავინ არ დაუწყებს გამოკითხვას რა მოხდა, ხომ არ შეიძლება თანამონაწილეობა მის სისარულში.

შემდეგ წარმოვიდგინოთ იგივე გამვლელების რეაქცია სხვის დარდზე, ტკივილზე, ტანჯვაზე. უმეტეს შემთხვევაში ადამიანს არ დატოვებენ ყურადღებისა და თანაგრძნობის გარეშე. უეცველად შეგროვდება ხალხი, დაიწყება გამოკითხვა, რჩევები: რა სჯობს გაკეთდეს, ვის უნდა მიმართონ. ხალხის ასეთ რეაქციას შეიძლება ეწოდოს „თანამონაწილეობის რეფლექსი“. საუკუნეთა მანძილზე არსებობისათვის მძიმე ბრძოლამ კაცობრიობა მიიჩვია იმას, რომ უბედურების ძახილს გამოეხმაუროს. მაგრამ თანამონაწილეობის მომენტში შეძენილი გამოცდილება ყოველთვის არ ილექება ადამიანის ცნობიერებაში. ასე რომ არ იყოს, მაშინ საკმარისი იქნებოდა მეზობლის შეცდომებიც, რომ ურემი იმავე გზაზე აღარ გადაგვბრუნებოდა. მაგრამ არა, მაინც ვიმეორებთ ერთიდაიგივე შეცდომებს.

ალბათ ამიტომაა, რომ ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება უხ-

---

* Л. С. Выгодский. Педагогическая психология. Москва, 1926.

ვად მოგვითხრობს უბედური ოჯახების შესახებ, ბედნიერ ოჯახებზე კი ძალიან ცოტა ვიცით. „შეცდომებზე ვსწავლობთ“—ცნობილი ანდაზაა. მაგრამ რამდენად უფრო სწრაფად წავიდოდა წინ ცხოვრება, ჩვენ რომ წარმატებებზე გვესწავლა, თუნდაც სხვისაზე.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ დადებითი გამოცდილება ნაკლებად იზიდავს ყურადღებას, ის შეხედულებაა, რომელიც ასე ლაკონიურად ჩამოაყალიბა ლ. ნ. ტოლსტოიმ „ანნა კარენინას“ ცნობილ დასაწყისში: ყველა ბედნიერი ოჯახი ბედნიერია ერთნაირად, ყოველი უბედური კი უბედურია თავისებურად. გარეგნულად მშვიდი კეთილდღეობა ჰქმნის ერთფეროვნების შთაბეჭდილებას. სინამდვილეში კი ეს არის კიდეც და არც არის მთლად ასე. თუ შევეცდებით, ღრმად ჩავწვდეთ სხვადასხვა ოჯახის ცხოვრების დეტალებს, აღმოჩნდება, რომ მათ აქვთ უამრავი წვრილმანი, კერძო გამოვლინებანი, რითაც, ჩვეულებრივ, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასეა, როგორც ცუდი, ისე კარგი მდგომარეობის შემთხვევაში.

არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ ოჯახების ცხოვრებაში, რომლებსაც ორდინარულ, „ჩვეულებრივ“ ოჯახებად თვლიან. მაგრამ ეს მრავალფეროვნება შესამჩნევია მხოლოდ ძალიან დაკვირვებული თვალისათვის: თავშეკავებულობა და მორიდებულობა აიძულებს ასეთ ოჯახებს არ გამოამზეურონ თავისი მიღწევები ყველას დასანახად.

თუ მივმართავთ ცნობილ ლიტერატურულ წყაროებს, იქაც დავინახავთ ბედნიერი წყვილების საოცარ განსხვავებულობებს. აბა სთქვით, რა აქვს საერთო ჩერნიშევსკის გმირების, კირსანოვების წყვილისა და გოგოლის „ძველი დროის მემამულეთა“ ცხოვრებას? არაფერი. პირველთათვის დამახასიათებელია ღრმა ცოდნით განათებული, დიდი კულტურით ამაღლებული გრძნობა. ისინი შეგნებულად ჰქმნიან არაჩვეულებრივ ამაღლებულ დამოკიდებულებებს, მათი ცხოვრების ყოველი ღღე, ყოველი ნაბიჯი ექსპერიმენტია. მეორენი ტკბილად თვლემენ, თითქმის ლეტარგიულ მდგომარეობაში არიან, რომლის მთავარი ელემენტია გრძნობების და ჩვეულებების უცვლელობა, მუდმივობა. ანდა შეიძლება წარმოვიდგინოთ ძვირფასი ათანასე ივანეს ძე და პულხერია ივანეს ასული ი. ს. ტურგენევის რომანის—„წინადღის“ გმირების, ხალხის თავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლი წყვილის ელენე და დიმიტრი ინსაროვების გვერდით?!

გაიხსენეთ ოჯახური დამოკიდებულებები როსტოვების უფროს და უმცროს თაობათა შორის. ანდა ერთმერქვეშ მოხვედრილ ნატაშასა და პიერს, თავადის ასულ მარიასა და ნიკოლაის შორის. მათი ცხოვრება განსხვავდება რომან „ანნა კარენინას“ გმირების ცოლ-ქმარ კიტი და კონსტანტინე ლევინების ცხოვრებისაგან. ერთნი ცხოვრობენ უდრ-

ტვინველად, მშვიდად, თუმცა არ არიან მოკლებული პრობლემებს, დანაკარგებს — ყველაფერს, რაც თან ახლავს ნებისმიერი ადამიანური წყვილის ცხოვრებას. მეორეთა დამოკიდებულება დაძაბული და მტანჯველია.

გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბედნიერ ოჯახებში სულაც არ არის ნაკლები სირთულეები, ვიდრე უბედურ ოჯახებშია. ჩვენის აზრით, ამ ოჯახებს ერთმანეთისგან განასხვავებს გარედან და შიგნით მოქმედი დამარღვეველი ძალების მიმართ ოჯახის წევრთა წინააღმდეგობის უნარი. ბოლოს და ბოლოს ბედნიერს უწოდებენ მას, ვისაც შეუძლია გაჭირვების გადალახვა და, პირიქით, უბედურად თვლიან იმას, ვინც ვერ გაუძლო ცხოვრების გამოცდას, სიძნელეების გამო უარი თქვა სიყვარულზე, გაჭირვებასთან შეხვედრისას უკან დაიხია. ოდესელმა სოციოლოგებმა გამოკითხეს განქორწინებული და ერთად მცხოვრები მეუღლეები: ადვილია თუ ძნელი ნორმალურ ოჯახურ დამოკიდებულებათა შექმნა? „ადვილია", — პასუხობდნენ უმეტესად განქორწინებულები, რომლებმაც ვერ შესძლეს ამ დამოკიდებულებათა შექმნა; „ძნელია", — უპასუხა ბედნიერ წყვილთა უმეტესობამ. ძნელია და მერე როგორ! განსაკუთრებით თუ არ სწავლობ წინააღმდეგობათა დაძლევას მათგან, რომლებმაც ოჯახი შეინარჩუნეს.

ბედნიერების პირველი პირობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ დაუღალავად ვეძიებდეთ კეთილ მაგალითებს. მეორე: მტკიცე ოჯახის შექმნისათვის საჭიროა თავში გქონდეთ მისი მკაფიო გეგმა (მიზანი) და შეგეძლოთ მიზნის მისაღწევად შესატყვისი საშუალებების შერჩევა. სწორედ ამ შეხამებას მიიჩნევდა წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობად ნებისმიერ წამოწყებასა და საქმეში ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე.

ზოგიერთ დაქორწინებულ ახალგაზრდასთან საუბარში ირკვევა, რომ მმაჩის ბიუროში წასვლისას ხვალინდელ დღეზე არც უფიქრიათ. მიზანი, ხშირად, მათ სულ სხვადასხვაგვარი აქვთ, საშუალებად კი არჩეულია ერთი რამ—დაქორწინება. მაგალითად, გოგონას გული სწყდება, რომ მისი ყველა მეგობარი გათხოვდა, თვითონ კი სახლში ზის; თანაც ისე იზიდავს საქორწინო მორთულობა: გრძელი კაბა, ფატა, ყვავილები, მუსიკა—თვითონ კი როგორც მთლად ჰაეროვანი ზღაპრული პრინცესა... და, აი, თანხმობას უცხადებს ცოლად გაყოლაზე ადამიანს, რომლის მიმართაც არავითარი გრძნობა არა აქვს, გარდა კმაყოფილებისა, რომ გათხოვების შესაძლებლობა მიეცა. მოსალოდნელია რაიმე სიკეთე ასეთი ქორწინებიდან? საეჭვოა. შესაძლოა მხოლოდ, როგორც იტყვიან, შემთხვევით ბედმა გაუღიმოთ და კარგი ოჯახი შეექმნათ, რაც ისეთივე იშვიათობაა, როგორც ლატარეაში დიდი მოგება.

ეს კურიოზია, უაზრო შემთხვევაა, რაც ძალიან იშვიათია, — შემომედავებით თქვენ.

გეთანხმებით, ასეთი რამ ყოველდღიურად არა ხდება. თუმცა მაინც აქვს ადგილი. უფრო ხშირად კი ახალდაქორწინებულთაგან გვესმის: „ჩვენ გადავწყვიტეთ შეუღლება იმიტომ, რომ გვიყვარს ერთმანეთი და გვინდა, რომ ერთად ვიყოთ". როცა ასეა, მართლაც საკმარისია რეგისტრაციაში გატარება, ერთად ცხოვრება და მიზანი მიღწეულია! მაგრამ შემდეგ რა? ახალგაზრდები იბნევიან. ვერ ახერხებენ რაიმე დამაჯერებლის თქმას. სხვა, უფრო შორეული, მთელი სიცოცხლის მიზანი, პერსპექტივები მათ არა აქვთ. ამიტომაც ძალიან ხშირად ხდება წოყირჭება, იმედგაცრუება ერთმანეთით. ჩვენ რომ ქორწინებამდე ვიცოდეთ, გვესმოდეს, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი მოწოდება დაოჯახებული ადამიანისა, სრულიად შესაძლებელია, რომ ნაკლები იქნებოდა ნაჩქარევი და თავჭარიანი ქორწინებანი და, რაღა თქმა უნდა, საცილებით ნაკლები იქნებოდა ყოფითი წვრილმანების გამო განქორწინებათა რიცხვიც.

ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაც ალბათ იგივეა, რაც ყოველი ცალკეული პიროვნებისა: თითოეულ წევრსა და საკუთარ თავში გამოავლინოს, განავითაროს და საერთო კეთილდღეობას ემსახუროს ყველაფრით, რაც საუკეთესოა მასში. სიცოცხლის წარმოჩენა მის ყველა გამოვლენაში და მისი შეცვლა უკეთესისაკენ მეუღლეთა თანაცხოვრების საერთო და საბოლოო მიზანია. ბუნებრივია, რომ ამ მიზნის სრული რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ბავშვების არსებობის პირობებში" („სიცოცხლის რა აღდგენა-განახლებაზე" შეიძლება ლაპარაკი შთამომავლობის გარეშე?)

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ოჯახური ცხოვრების იურიდიული ნორმები მოცემულია ოჯახისა და ქორწინების შესახებ კანონთა კოდექსში. როგორც ვხედავთ, იურისტები იგივეობრივად არ თვლიან ამ ცნებებს, თორემ მაშინ საჭირო არ იქნებოდა ორი სიტყვა. შესაძლებელია ამახ ჰქონდეს თავისი ღრმა აზრი. ქორწინება არის პირველი სტადია ოჯახის შექმნის გზაზე. ეს არის დამოკიდებულება ორთა შორის ძიმართული ერთმანეთზე. ჩვენი აზრით, დამოკიდებულება ცოლ-ქმარს შორის ნამდვილად ოჯახური დამოკიდებულების სახეს იღებს მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ. ა. ი. გერცენის ხატოვანი თქმით, ხდება ორი ეგოისტის ალტრუისტად გარდაქცევის სასწაული, მთელი მათი ყურადღებისა და ზრუნვის საგნად იქცევა მესამე—მათი შვილი.

ადამიანმა შეიძლება ფიზიკურად თავისი განსახიერება ჰპოვოს ცოლქმრული კავშირის გარეშეც. ქალისა და მამაკაცის ხანმოკლე სიახლოვეც კი საკმარისია იმისათვის, რომ ბავშვი მოევლინოს ამ ქვეყანას. მაგრამ რა იქნება ამ შემთხვევაში განსახიერებული?—თმებისა და თვალების ფერი, სხეულის აგებულება და ტემპერამენტი. მხო-

ლოდ ხანგრძლივი ერთად ცხოვრების, ზრუნვისა და შრომის პირობებში შეიძლება ქალსა და მამაკაცს იმედი ჰქონდეს, რომ თავის შვილში ელსდგება სრულად, ყოველმხრივ, მთელი თავისი შინაგანი სამყაროთი. მხოლოდ ოჯახურ პირობებში შეუძლიათ გადასცენ შვილს საზოგადოების მიერ გამომუშავებული და თავის მიერ შეთვისებული იდეური და ზნეობრივი პრინციპები, შეუძლიათ გადასცენ პროფესიული ცოდნა-ჩვევები, საყოფაცხოვრებო ჩვეულებანი და გემოვნება. მხოლოდ ოჯახში შეიძლება შეიქმნას და განხორციელდეს ინტიმურ-ნათესაური დამოკიდებულებების გარკვეული კულტურა.

რაც უფრო რთულდება ადამიანთა ყოფა, მით უფრო მტკიცე და ხანგრძლივი უნდა იყოს მათი კავშირი, ვისაც სურს შთამომავლობაში უკვდავყოს თავისი თავი, უკვდავყოს არა მარტო სხეული, არამედ თავისი სული და იდეალებიც.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო იმ საინტერესო ფაქტზე, რომ, რაც უფრო მდიდარია სულიერად პიროვნება, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით ეკიდება ბავშვების აღზრდას. დამეთანხმებით ალბათ: ძნელია მოინახოს უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე საკუთარი უკვდავებაა, ვიდრე საყვარელი ადამიანის უკვდავებაა. აი რატომ არის ბავშვი ოჯახისთვის ყველაზე დიდი ღირებულება. აი რატომ არიან ასე შეწუხებული თქვენი მშობლები, როცა თქვენს პიროვნულ ნიშნებსა და თავისებურებებში ხედავენ უცხო და მავნე ზეგავლენების კვალს; ამავე მიზეზით უძნელდებათ სიხარულის შეკავება, როცა ამჩნევენ, რომ ბავშვი ითვისებს კარგ ოჯახურ ტრადიციებს.

რასაკვირველია, შვილებში საკუთარი თავის უკვდავყოფის აზრი არც ისე ხშირად მოსდით თავში მშობლებს. ბევრი რამ კეთდება უფრო ინსტინქტურად, ვიდრე წინასწარგანზრახულად. დედა ასწავლის ბავშვს იმავე გართობა-თამაშობებს, რაც თვითონ გამოჰყვა ბავშვობიდან, უმღერის საკუთარი დედისგან გაგონილი იავნანის მელოდიებს, იყენებს ბავშვის კვებასა და მკურნალობაში, სწავლასა და აღზრდაში წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებულ და თავის მიერ მოპოვებულ ცოდნას. იმ ასაკის მიღწევამდე, როცა შეუძლია გააზრებულად, მიზანდასახულად იმოქმედოს, ბავშვს უკვე შეძენილი აქვს ოჯახში გაბატონებული კარგი თუ ცუდი ცხოვრებისეული წეს-ჩვეულებები. ბავშვის სკოლაში წასვლის დროისათვის, ძირითადად, უკვე ჩამოყალიბებულია მისი ბუნება, რომლის გარდაქმნა, შემდეგ, ნებელობითი ძალისხმევითაც კი ძალიან ძნელია.

ოჯახი მრავალ პიროვნულ მეთა შემცველია. ჩვენ ვცხოვრობთ, ვმოძრაობთ, განვიცდით ცვალებადობა-განვითარებას დროსა და სივრცეში. ცვალებადობას განიცდის ჩვენი მისწრაფებაც ბუნებით ნაბოძე-

ბი მეგობრებისადმი, ე. ი. ნათესავებისადმი. ირგვლივმყოფთა ქცევას თუ დავუკვირდებით, შევნიშნავთ ერთგვარ კავშირურთიერთობას, ციკლურობას, რაც დაახლოებით ასე გამოიყურება:

სულ ადრეული ასაკიდან ბავშვი განუწყვეტლივ მიიღტვის დედისაკენ, მამისაკენ. ეს მაშინ, როცა ის მთლად უსუსურია და ეუფლება პირველდაწყებით საყოფაცხოვრებო ჩვევებს. შემდეგ მას უჩნდება ინტერესი თანატოლებისადმი, უფროსი და უმცროსი ასაკის ბავშვებისადმი. მათთან სწავლობს თავის ტოლებთან მოქცევას, სწავლობს ურთიერთობას თანაბარი უფლებების საფუძველზე, თავისი ინტერესების დაქვემდებარებას სხვების ინტერესებისადმი. სწავლობს როგორ უნდა დაიმორჩილოს, ან როგორ უნდა გაუწიოს მფარველობა პატარებს და სუსტებს, ცდილობს გადასცეს სხვებს ცოდნა და უნარ-ჩვევები.

გარდამავალ ასაკში თავს იჩენს თვითდამკვიდრების მოთხოვნილება: სწორედ ამ პერიოდში არის განსაკუთრებით ხშირი კონფლიქტები (რომლებიც შემდეგ სასაცილოდ და სასირცხვილოდაც კი ეჩვენებათ) მშობლებთან და მასწავლებლებთან. „მე-თვითონ“ და უკუაგდებენ დახმარებისთვის გაწვდილ ხელს, რომელსაც უნდოდა მათი შეკავება დაცემისაგან. მოზარდი იწყებს საკუთარი „დიდობის“ გამოცდას. ამ დროს სახლი ეჩვენებათ საკნად, საიდანაც უნდა გაიქცე უკანმოუხედავად.

ჭაბუკობა მთლიანად შთანთქმულია საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე ზრუნვით. ხშირად დედ-მამა განიცდება მხოლოდ, როგორც „დამხმარე ძალა“. შინაგანი კავშირები შესამჩნევიად სუსტდება გრძნობები მიმართულია სიყვარულზე, მეგობრობაზე, სხვადასხვა სახის გატაცებაზე, მათ შორის ისეთზეც, რომელიც შემდეგ ცხოვრების საქმედ, პროფესიად იქცევა. ამ პერიოდში ახალგაზრდები ხშირად არიან ოჯახურ სიკეთეთა მხოლოდ მომხმარებლები და იშვიათად ზრუნავენ სახლსა და მშობლებზე.

შვილების გაჩენა, როგორც უკვე ვთქვით, კვლავ იწვევს ახალგაზრდა დედ-მამის შემობრუნებას საკუთარი მშობლებისაკენ.

დაბოლოს, ახალგაზრდა ოჯახი აღწევს მდგრადობას, მოწიფულობას. 30-დან 45 წლამდე ასაკის ადამიანთა დროის უდიდესი ნაწილი ეთმობა სამსახურებრივ შრომით საქმიანობას. ბავშვებთან ურთიერთობისათვის თავისუფალი დრო მათ აღარა აქვთ, მოხუცი მშობლების სანახავადაც (ან თუნდაც წერილის მისაწერად) არ სცალიათ; სამუშაო, რომელიც გამუდმებით იზრდება მოცულობითაც და თანამდებობრივი სირთულითა და პასუხისმგებლობითაც, იქცევა მათი ცხოვრების მიზნად და აზრად, ხოლო ოჯახი ხელისშემშლელადაც კი განიცდება. სოციოლოგებმა აღმოაჩინეს საოცარი ფაქტი: ქორწინებიდან 10 წლის

შემდეგ განქორწინებათა რიცხვი (შედარებით ახალდაქორწინებულებთან) უეცრად იზრდება, ნაცელად იმისა, რომ მცირდებოდეს. ალბათ აქ თავს იჩენს მერყეობა, გარდამავალი ეტაპები ადამიანურ ურთიერთობებში, რომლებიც რიგრიგობით აყენებენ წინა პლანზე ხან საერთო ოჯახურ ინტერესებს, ხან ღრმად პირადულს, ხანაც პროფესიულ-შრომით საკითხებს. ყველა და ყოველთვის ვერ ახერხებს თანაბრად წარმატებული იყოს სხვადასხვა ფრონტზე.

სამაგიეროდ, რაც უფრო მეტი ჭაღარა შეერევათ დედებს და მამებს, მით უფრო კეთილი და ყურადღებიანი ხდებიან ისინი თავისი მოხუცი ნათესავების მიმართ. იწყება დიდი ხნის გადახვეწილი შვილების თითქოსდა ხელმეორედ დაბრუნება მშობლიურ ჭერქვეშ. სულ უფრო და უფრო ხშირად იგონებენ ისინი ბავშვობისა და ყრმობის წლებს. სიამოვნებით უსმენენ მონათხრობს თავისი ბავშვური ოინებისა და ცელქობათა შესახებ. წარსულის ნოსტალგია — პირველი ნიშანია იმისა, რომ ადამიანმა შეანელა რბოლა მომავლისაკენ.

ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული მშობლები მზად არიან მთელი თავისი ძალები და ყურადღება კვლავ დაუთმონ უკვე მოწიფულ შვილებს, რომლებიც „რატომღაც" უარჰყოფენ მეტისმეტ მშობლიურ მზრუნველობას. ამიტომაა, რომ მათი დაგუბებული გრძნობები მთლიანად შვილიშვილებზე გადმოიღვრება ხოლმე. მათთან პოვებენ მოხუცებულები სულიერ სავანეს, საიდანაც განუწყვეტლივ იღებს სიცოცხლისათვის აუცილებელ სითბოს მათი დაფერფლილი გული. მაგრამ ჩვენს არსებობაში ნათელს ყოველთვის ახლავს ბნელი. გვარის განახლების ბედნიერი დრო იწურება, შვილიშვილების გაჩენას ხშირად თან ახლავს დიდედების და დიდი პაპების ე. ი. უხუცესი წინაპრების მძიმე მდგომარეობა, ავადმყოფობანი. ისინი საჭიროებენ მოვლა-დახმარებას მოწიფული შვილებისა და შვილიშვილებისაგან. მათი აღსასრული—ეს არის ერთი თაობის ცხოვრების ციკლის დამთავრება, წრის შეკვრა: არყოფნიდან მოსული ისევ არყოფნას უბრუნდება. მიწა ხარ და მიწად იქეც—ასე ყოფილა ოდითგან. რა დატოვა მან ამ ქვეყანაზე თავის შემდეგ—ამის მიხედვით შეფასდება, რა აზრი ჰქონდა მის არსებობას. ამის მიხედვით გაეცემა პასუხი კითხვას: „რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ?... ბევრნი ჩვენგანნი, როველნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმე ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ", როგორც დიდი ილია ამბობს.

რაც უფრო მეტი აითვისა ადამიანმა წინა თაობათა გამოცდილებიდან, რაც უფრო ამრავლა თავისი შრომით საერთო-სახალხო დოვლათი და გადასცა შთამომავლობას, მით უკეთესად აქვს მოხდილი მას ამქვეყნიური ვალი და მით უფრო მეტ პატივს მიუზღავს მის ხსოვნას მომავალი თაობები. ჩვენ ყველანი ჩართული ვართ ბუნების ამ წრე-

ბრუნვაში: დიდებიც და პატარებიც, ძლიერებიც და სუსტებიც. და თუ ყოველ ჩვენგანს არ ხვდება წითლად ბედნიერება მარადიულად იცოცხლოს თავისი კეთილი საქმით ხალხის, კოლეგების, თანამებრძოლების ხსოვნაში, ის მაინც ყველას შეუძლია, რომ თავის შემდგომ ნათელი კვალი დატოვოს პატიოსანი, შრომისმოყვარე მემკვიდრეობის სახით.

როცა ვლაპარაკობთ ოჯახის კეთილდღეობაზე უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ „ჩვენს" და „ჩემს" კეთილდღეობას აქვს ერთიდაიგივე წყაროები და წინამძღვრები. ოჯახში ძალიან ბევრს განსაზღვრავს მიზანი და საშუალებები, მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიმართულება. ოჯახის, ისევე როგორც ყოველი ცალკეული პიროვნების, მთავარი ღირსებაა **ყველა მისი წევრის სურვილების, შესაძლებლობებისა და ვალდებულებათა ჰარმონიული ურთიერთშერწყმის გზაზე აღმოცენებულ შინაგან და გარეგან დაბრკოლებათა გადალახვის უნარი.** ოჯახი, მსგავსად ცალკეული ადამიანისა, თავის თავს შეიცნობს არა მხოლოდ საუბრებითა და პირად ურთიერთობათა გარკვევით, არამედ სხვა ოჯახებში, „როგორც სარკეში, ჩახედვით", საკუთარი ოჯახის საშუალებით ყოველი ჩვენგანი ფართოდ უკავშირდება იმ დიდ ოჯახს, რომელსაც **ხალხი, ერი, ბამული, სამშობლო** ეწოდება. **სამშობლო, სამშობლო**—ასე იბეჭდება ეს უძვირფასესი, დიდებული, იმედიანი და გმირული სიტყვა. **სამშობლო, მამული,**—ოჯახი—ერთი გვარის ცნებებია, ერთნაირად გვაფრქვევენ სითბოსა და ნათელს, გვექმნებიან საყრდენად, შეშველად და იმედად მომავლისა.

როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ჩვენი საუბარი გადადის სხვა საკითხზე: უნდა გავარკვიოთ ჩვენი „მცირე ჯგუფის" საზოგადოებრივი კავშირები. მაგრამ ამის შესახებ შემდგომ საუბარში. ეხლა კი გთავაზობთ პრაქტიკულ დავალებას.

შეეცადეთ განსაზღვრეთ თქვენს გემოვნებაზე, ინტერესებზე, ჩვეულებებზე, თქვენი ოჯახის წევრების გავლენის სიდიდე და ხასიათი. დაუკვირდით, აგრეთვე, თქვენ თვითონ თუ იცდენთ რაიმე გავლენას ნათესავების ცხოვრების სახესა და სტილზე.

რა შეიცვალა თქვენს სახლში (უკეთესობისაკენ თუა ეს) თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ თქვენი მისწრაფების გამო?

როგორ შესატყვისობაშია თქვენი „მე", თქვენი ოჯახის სხვა წევრების სურვილებთან და შესაძლებლობებთან? მთელი ოჯახის კეთილდღეობა გაინტერესებთ თუ მარტო საკუთარი თავის?

შეგნებული გაქვთ თუ არა, რომ მშობლებთან თქვენს ურთიერთობაზეა დამოკიდებული მათი ჭორწინების სიმტკიცე და ურთიერთ სიყვარული?

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ყოველი ცალკეული პიროვნება არსებით კავშირშია თავის შორეულ და ახლო ნათესავებთან. აღვნიშნეთ ოჯახური ყოფის ღრმა და ყოველმხრივი დამოკიდებულება საზოგადოებრივ წყობაზე. ჩვენ ვცდებით, როცა გვგონია, რომ ყველაფერი, რაც ჩვენი სახლისა და ბინის კედლებს შიგნით ხდება, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე. თითოეული ჩვენგანის შეხედულებებზე, გემოვნებაზე, ჩვეულებებზე, ინტერესებზე გავლენას ახდენს საზოგადოების, ერის მიერ გამომუშავებული კანონები და მორალური პრინციპები, დაბოლოს, პროფესიული ნორმები და მოთხოვნები და, პირიქით, საზოგადოებრივ შეხედულებებზე, პრინციპებზე გავლენას ახდენს ცალკეული ოჯახის წეს-ჩვეულებანი.

მოდით, დავაკვირდეთ ამ ურთიერთზეგავლენის ხასიათს.

რა სიუჟეტი გვხვდება ყველაზე ხშირად კლასიკურ დრამატურგიაში? ახალგაზრდების უბედო სიყვარული, რომლის კანონიერ დაგვირგვინებას ხელს უშლის სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა: გლეხი ქალი ვერ გაპყვებოდა ცოლად არისტოკრატს, ღარიბს არ უნდა ჰქონოდა იმედი, რომ მდიდარი მშობლები თავის ქალს ცოლად გააყოლებდნენ „ცარიელ-ტარიელ“ საქმროს. შეყვარებულთა ტანჯვით, ცრემლით და სისხლითაა მორწყული არა მარტო ქონებრივი და კასტური, არამედ ნაციონალური და რელიგიური განსხვავებულობის ხანგრძლივი ისტორიაც. ახალგაზრდების სიყვარულს ხშირად გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა გვარის ღირსების დაცვის მცდარ შეხედულებებზე აგებული მტრობა ოჯახებს შორის („რომეო და ჯულიეტა“).

შეყვარებულთა ვნებანი, თავდავიწყებული ლტოლვა ერთმანეთისაკენ, რომელიც არ ემორჩილებოდა აკრძალვებს, ნელ-ნელა ძირს უთხრიდა, ამსხვრევდა ადამიანთა მტრულ ბანაკებად დაპყოფ ცრურწმენებს. ხშირად შეყვარებულები ახერხებდნენ ერთმანეთზე გადამტერებულთა შერიგებას, ზოგჯერ თავისი სიკვდილითაც გამოიქონდათ მკაცრი განაჩენი მავნე ჩვეულებებისა და შეხედულებებისათვის (კატერინა, ოსტროვსკის „ქარიშხალიდან“).

ოქტომბრის რევოლუციამ საზოგადოებრივი ჩაგვრის ბოროკლების მსხვრევასთან ერთად, პირადი იძულების ქსელიც დაარღვია. მაგრამ ძველი სიძნელეებისა და დაბრკოლებების ადგილზე ახლებმა იჩინა თავი, ისეთებმა, რომლებიც წინათ თითქმის გამორიცხულიც კი იყო. ძველად, ჩვენი ბებიებისა და პაპების ხასიათისა და სიყვარულის გამოცდას აწარმოებდა იძულებითობა, ჩვენ კი დრო გამოცდას გვიტარებს

არჩევანის თავისუფლებით. თავისუფლება ახალგაზრდებისგან მოითხოვს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და დარწმუნებულობას საკუთარ თავში. მაგალითად, ჩვენი წინაპრები იცავდნენ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ყველა „თავის ტოლსა და ფარდს“ უნდა გაჰყოლოდა. ამ წესში მოცემულია არა მარტო კასტური შეზღუდულობა, არამედ გარკვეული ცხოვრებისეული სიბრძნეც: გარემოს ერთგვაროვნობა, რომელშიც იზრდებიან საცოლე და საქმრო, გულისხმობს ინტერესების, მისწრაფებების და საერთოდ ცხოვრებისეული პრინციპების გარკვეულ ერთიანობას. ასეთებისთვის ადვილია ურთიერთგაგება და მათი კავშირიც უფრო მტკიცე იქნება. მეუღლეთა თანასწორობაზე, როგორც ოჯახური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე,—მიუთითებდა ჯერ კიდევ ა. ი. გერცენი, ეს მგზნებარე მებრძოლი, — ყოველგვარი ცრურწმენების წინააღმდეგ, მათ შორის წოდებრივისაც. უთანასწორო ქორწინებას ალექსანდრე ივანეს ძე უწოდებდა „წინასწარ დათესილ უბედურებას“.

ახლანდელი ქორწინებები, ძალიან ხშირად, როგორც ძველად იტყოდნენ „მეზალიანსია“. უკვე არაერთი თაობის წარმომადგენლები ქორწინდებიან ისე, რომ არავითარ ანგარიშს არ უწევენ ვინ საიდანაა.

„მეზალიანსი“ — მთელი საზოგადოებისათვის ეს ბუნებრივი და პროგრესული მოვლენა—ცალკეული წყვილებისათვის ისეთი მოულოდნელი სიძნელეების შემქმნელია, რომელთა გადალახვა უცებ და მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე ყველას არ შეუძლია, თუნდაც დიდი გამოცდილების მქონეც იყოს. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, აღზრდაში, ჩვეულებებში განსხვავებულობის დაძლევა ხერხდება: ოჯახების 2/3 მაინც არ ინგრევა. ამ ოჯახების სიმტკიცეს საფუძვლად უდევს არა მარტო მეუღლეთა პირადი მონდომება, არამედ გარეგანი საზოგადოებრივი ფაქტორების ზემოქმედებაც.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს ერთიანი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სისტემა. სამხრეთის რესპუბლიკებისა და უკიდურესი ჩრდილოეთის, სოფლისა და დედაქალაქის ოჯახებიდან გამოსული ბავშვები ერთი სახის სკოლებში სწავლობენ ერთიდაიგივე პროგრამით, რომელიც აყალიბებს ერთმნიშვნელოვან ზნეობრივ, საზოგადოებრივ შეხედულებებს, ცხოვრების ღირებულებათა შესახებ წარმოდგენებს. ჩვენთან ყველა ბავშვს ასწავლიან ადამიანის პიროვნების პატივისცემას, დამოუკიდებლად მისი სოციალური წარმოშობისა, განათლების დონისა, ქონებრივი მდგომარეობისა. მოსწავლეებს უნერგავენ

* მეზალიანსი — სოციალურად უთანასწორო ქორწინება.

პატივისცემას ყველა სახის სასარგებლო შრომისადმი. ყველაფერი ეს ნორმებია, რომლებიც ჩაწერილია სოციალიზმის მშენებელთა მორალურ კოდექსში. ეს ნორმები ჩვენთან ყველა მოქალაქისთვის საერთოა—მუშა იქნება ის თუ აკადემიკოსი. შესაბამისად, საერთოა მათი შვილებისთვისაც.

ასეთი ერთიანი აღმზრდელობითი სისტემა კეთილ სამსახურს გვიწევს. ეს, მართალია, ძირფესვიანად ვერ აღმოფხვრის, მაგრამ დიდად უწყობს ხელს სხვადასხვა პირობებში გაზრდილ ახალგაზრდებს შორის აღმოცენებული წინააღმდეგობის, შეუთავსებლობის შერბილებას, წაშლას.

მატერიალური მდგომარეობის მიხედვით ოჯახების განსხვავებულობამ — ერთ-ერთმა მარადიულმა დაბრკოლებამ შეყვარებულთა დაკავშირების გზაზე, როგორც უკვე ვთქვით, დაკარგა თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობა. მატერიალური ანგარიში, რომელიც ოდესღაც ითვლებოდა მომავალი საქმროს თუ საცოლეს გონიერების, საქმიანობის ნიშნად, ახლა მიჩნეულია ყველაზე მძიმე დანაშაულად იმის მიმართ, ვისგანაც უნდათ, რომ „იყიდონ“ ან, ვისაც უნდათ, რომ „მიჰყიდონ“ სიყვარული რაც შეიძლება ძვირად. ახლანდელი საცოლეები მხრებს იჩეჩავენ, როცა ძველმოდური ნათესავი შეეკითხება საქმროს ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ასევე იქცევიან მომავალი ქმრებიც.

რას ეფუძნება ეს უანგარობა, რამ გახადა ის შესაძლებელი და გარანტირებული? თითქმის ყველა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელთანაც ამ თემაზე საუბარი მოგვიხდა, აღნიშნულ ცვლილებებს მიაწერენ საერთოდ ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესებას, ხალხი ახლა სხვანაირი გახდაო. ყველა ასე ფიქრობს. მაგრამ, არის ობიექტური, სოციალური მიზეზებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ ახალდაქორწინებულთა შეხედულებებზე. ესენია: გარანტირებული სამუშაო, პროფესიული-ზრდის შესაძლებლობა, წინსელისა და საქმიანობის ნებისმიერ სფეროში გადაადგილების შესაძლებლობა—საჭიროა მხოლოდ სურვილი, ცოდნა, უნარ-ჩვევები. ის, ვინც დღეს კოლმეურნეა, ხვალ შეიძლება მფრინავი გახდეს, ან კოსმონავტიც კი. ანდა, შეიძლება მშობლიურ სოფელს არც კი გასცილდეს კაცი და ისე გახდეს გმირი, დეპუტატი, დაიკავოს ხელმძღვანელი თანამდებობა, გახდეს საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება. ასეთივე შესაძლებლობები აქვს ქალაქად მუშას, სტუდენტს. ჰორიზონტი აღარ არის გადაფარული კლასობრივი ბარიერებით, რომელთა გადალახვა წინათ ხშირად უძნელდებოდა ყველაზე გამოჩენილ პიროვნებასაც კი, ჩვეულებრივი ადამიანისათვის ხომ სრულიად შეუძლებელი იყო.

ქალი გაუთანაბრდა მამაკაცს განათლების უფლებით, შრომის ანაზღაურების უფლებით. ყოველივე ეს ფაქტიურად ათავისუფლებს მას მშობლებისა და ქმრის მორჩილებისაგან, აძლევს შესაძლებლობას კი არ ელოდოს, როდის გაათხოვებენ და ვის გააყოლებენ მას მშობლები, არამედ თვითონ გადაწყვიტოს, როდის გათხოვდეს და ვის უძღვნას თავისი გული და ხელი. თუ ოჯახური ცხოვრება ვერ აეწყობა, ქალს შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს თავისი მომავალი ცხოვრების საკითხი. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ქალებთან შეიცვალა ცოლქმრული ცხოვრების მოტივები.

ჩვენი ქვეყნის მთელი მიღწევები „ემსახურება" თანამედროვე ახალგაზრდობის უანგარობას, მათ თავისუფლებას მეუღლის არჩევანში.

დღეისათვის მეუღლეთა დამოკიდებულებაზე სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს ზნეობრივი განწყობები და ფსიქოლოგიური ფაქტორები. მაგალითად, დღევანდელ ოჯახებში უთანხმოების მიზეზად ხშირად იქცევა არა იმდენად ოჯახის წევრთა ქონებრივი მდგომარეობა, რამდენადაც მათი დამოკიდებულება მატერიალური ღირებულებებისადმი. ისეთ ოჯახში გაზრდილი კაცი, სადაც დარდიმანდელად ექცეოდნენ ფულსა და ნივთებს, ადვილად ვერ მონახავს საერთო ენას ფულისა და ქონების შეძენა-დაგროვებას მიჩვეულ ქალთან. და პირიქით, თუნდაც ქალისა და ვაჟის მშობლების ოჯახების შემოსავალი ერთნაირიც იყოს.

— მართლაც ასე გაქრა ანგარიში პირადი დამოკიდებულებებიდან? — დაეჭვდა ერთი ჩემი თანამოსაუბრე, — ბოლო დროს ახალგაზრდებთან შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენცია: ყურადღება მიაქცი-ონ არა მარტო მომავალი მეუღლის გარეგნობას, ხასიათსა და ყოფაქცევას, არამედ მისი მშობლების „ციხე-დარბაზებსა" და ოჯახის „მდგომარეობასაც". „გააზატებული" გოგონებიც ხშირად მიისწრაფიან უსიყვარულო, მაგრამ ხელსაყრელი ქორწინებისკენ სოლიდური მდგომარეობის (ან ქონების) მქონე კაცთან.

მართალია, ასეთი შემთხვევებიც გვხვდება, მაგრამ აშკარა ძველმოდური სახის ანგარიშიანობა ახლა მეტად იშვიათია. მან მონახა შენიღბვისა და ადამიანის სულში შეღწევის ახალი გზები და საშუალებანი.

აბა მითხარით, როგორი მზითევი უფრო ძვირფასია: ის, რომელსაც აძლევდნენ ჩვენს ბებიებს და დედებს და არც თუ ღარიბულად ითვლებოდა: მოჩუქურთმებული საწოლები, ბუმბულის ლეიბები, მელიის ქურქი და გარკვეული რაოდენობის ფული, თუ ის, რასაც აძლევენ ახლანდელი მშობლები თავის ქალიშვილს, როცა „ძირითადი" კაპიტალის სახით გვევლინება უმაღლესი ან სპეციალური განათლების

ლიპლომი, საიმედო პროფესია? — ასეთი შეკითხვა დავსვი ერთხელ-ახლად დაქორწინებულთა კლუბში. ჩემი თანამოსაუბრენი ჩაფიქრ-დნენ. მართლაც, ქურქი გაცვდება, ფული მოიხმარება — დაიხარჯე-ბა. პროფესია კი — საიმედო ღირებულებაა, დრო მხოლოდ ზრდის მის მნიშვნელობას, მის წონადობას ოჯახის ბიუჯეტში.

იგივე ითქმის საქმროს მიმართაც. თუმცა გულწრფელად უნდა ვითხრათ, რომ განათლება, პროფესია, კულტურული დონე შეფარვით მაინც არის გათვალისწინებული ზოგჯერ ყველაზე უანგარო "ეყვარე-ბულის მიერაც კი. ალბათ თქვენც არაერთხელ გესმენიათ ასეთი სი-ტყვები: „აი ბედნიერი: რა ნიჭიერ მეცნიერს (ექიმს, მსახიობს, მფრი-ნავს) მიჰყვება ცოლად. ის შორს წავა".

— ახლა აღარ კმაყოფილდებიან ქმრის მარტო პროფესიული მდგომარეობით, დაინტერესებული არიან კომფორტითა და კეთილმოწ-ყობით. მაგალითად, მანქანიან საქმროს სხვა ფასი აქვს, უმანქანოს— სხვა, მედავეზოდა ოპონენტი და მიუთითებდა საპატარძლოების ანგა-რიშიანობაზე. მაგრამ იმაშიც ხომ თავისებური ანგარიშია, როცა საქ-მრო უპირატესობას ანიჭებს არა თავისი გულისა და გონების თანა-ზიარს, არამედ იმას, ვინაც უფრო მეტად შეუძლია ქმრისთვის კომ-ფორტისა და მყუდრო ცხოვრების შექმნა: და სულაც არ დაგიდევენ, ექნებათ თუ არა ასეთ მეუღლესთან სულიერი ერთობა, იქნება თუ არა ცოლი გაჭირვების დროს მხარში ამომდგომი... ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ცოლს ირთავენ იმ მოლოდინით, რომ ქვირფასი მეგობრის სახით ეყოლებათ, როგორც წინათ ამბობდნენ „ყოველმხრივი მოსამსახურე". ამასთანავე, ისინი დარწმუნებული-არიან, რომ მათ ქორწინებაში ყველაფერი პატიოსნად და მართებუ-ლადაა. თავგამოდებულ ბერბიჭებს შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომ-ლებიც შეკითხვაზე, თუ რატომ არ ოჯახდებიან, თვითდაჯერებულად გვპასუხობენ: „მე თვითონაც კარგად ვუვლი თავს. „თითქოს ცოლი მარტო იმისთვისაა საჭირო, რომ ქმარს მოუაროს, ყველასთვის ცნო-ბილია, რა ხვედრს უმზადებს ცხოვრება ასეთი შეხედულების მიმდევ-რებს: ბევრი მათგანი სიცოცხლეს ლევს უაზრო მარტოობაში, ხარკს-უხდის ასეთი ცხოვრების თანმხლებ ავადმყოფობებსა და მანკიერე-ბებს (შემდეგში ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ დაწვრილებით იმის შე-სახებ თუ რა მძიმე საზღაურს იღებს ადამიანებისაგან დაუქორწინებ-ლობა, უშვილობა).

სხვათა შორის, ცოლის შესახებ ასეთი შეხედულების მქონე ბერ-ჭიკათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან საბოლოოდ მომაგრდა საყოფაცხოვრებო სამსახური. აი კიდევ ერთი დამაჯერებელი მაგალითი იმისა, თუ რა ზეგავლენას ახდენს პირად დამოკიდებულებებზე გარეგანი პირობები.

ზოგიერთ სოციოლოგიურ გამოკვლევაში მოცემულია ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ანგარიშიანი ქორწინება ყოველთვის არ მთავრდება კატასტროფით. შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევები ილბლიანი გარიგებისა, რომელიც ხანგრძლივად და სერიოზულად დაკავშირებს პარტნიორებს, შემდეგში ურთიერთობა ჩვეულად იქცევა, ბავშვებიც გაჩნდებიან... და შესაძლოა ასეთ ცოლ-ქმარს შორის კავშირი უფრო მტკიცე აღმოჩნდეს, ვიდრე ზოგიერთ მგზნებარე შეყვარებულებს შორის, რომლებსაც შეიძლება თაფლობის თვის ბოლომდეც კი არ გაჰყვეთ სიყვარულის ღვთიური ცეცხლი.

მაგრამ თუ მატერიალური ანგარიში რჩება ძირითად დამაკავშირებელ რგოლად, არავითარი ხანგრძლივობა ერთად ცხოვრებისა არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ ოჯახურ კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე. ჩვენ ხომ უკვე გავარკვიეთ, რომ თანამედროვე ოჯახის საფუძველი არის გრძნობა, სისხლით მონათესავეთა ის განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც აერთიანებს ოჯახის წევრებს.

— თქვენ, უფროსები, ვერაფრით ვერ ახერხებთ ერთმანეთთან შეთანხმებას, — წამოდგა ერთი თმააქოჩრილი ახალგაზრდა და გადმოვიდა შეტევაზე, — ხან გვეუბნებით: იყაკით გონიერი, კარგად აწონ-დაწონეთ და შეაფასეთ დაკვირვებით, რა ლაპარაკობს საყვარელ გოგონასთან დაკავშირების „სასარგებლოდ" და რა ამის „საწინააღმდეგოდ" (ხოლო გოგონებს ვაქებთან დაკავშირების შესახებ). ხან, პირიქით, გვეუბნებით: არ არის კარგი იმის განხილვა და აწონ-დაწონვა, თუ როგორი პერსპექტივები, ნიჭი და შესაძლებლობები აქვს თქვენს რჩეულს. უკვე დიპლომს, პროფესიას, ტალანტს, შრომისმოყვარეობასაც კი ძვირფასი მზითევის გრაფაში ათავსებთ. მაგრამ განა შეიძლება მათ არ მიენიჭოს მნიშვნელობა? გამოდის, რომ ყველა ჩვენგანის ქორწინება ანგარიშიანია, განსხვავება მხოლოდ იმაშია, ვინ რას უწევს ანგარიშს. ვის ეკუთვნის ჩვენგან უპირატესობა, საქორწინო ანგარიშში რისი გათვალისწინება უფრო გონივრულია, რა უფრო შორს არის გამიზნული. გრძნობაზე დაფუძნებული გაცნობიერებული არჩევანი ნამდვილად მყარი და ხანგრძლივი ცოლქმრობის საწინდარია. მაგრამ არჩევანის დროს ორიენტაციას უნდა ვიღებდეთ, უპირველეს ყოვლისა, საცოლეს თუ საქმროს ხასიათზე, ცხოვრებისეულ მისწრაფებებზე, ზნეობრივ პრინციპებზე. ამაში სადავო არაფერი ექნებათ არც უფროსებს ახალგაზრდებთან, არც შორსმჭვრეტელებს უანგაროებთან.

განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი: თქვენი აზრით რომელი ოჯახი უფრო შეინარჩუნებს ერთგულებას, სიმტკიცეს, ის, რომელიც შეიქმნა გარეგან უპირატესობათა გათვალისწინების საფუძველზე თუ ის,

რომელიც შეიქმნა სულიერი ერთიანობის საფუძველზე? მოდით ვისარგებლოთ სოციოლოგიის მონაცემებით. ცხოვრებისეული სიტუაციებისა და ოჯახში საკუთარი როლის შეფასებისას, ბავშვების აღზრდისა და სხვა ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას განქორწინებულ მეუღლეთა ოთხჯერ უფრო მეტი რაოდენობა გამოთქვამს ერთმანეთისაგან განსხვავებულ აზრს, ვიდრე ქორწინებაში მყოფნი.

ეს იმას ნიშნავს, რომ განქორწინების მსურველი მეუღლეები ვერ უთავსდებიან ერთმანეთს არა იმდენად ხასიათით, რამდენადაც შეხედულებებითა და ერთიდაიგივე მოვლენებისა და საგნებისადმი დამოკიდებულებით.

— შეიძლება მოხდეს, რომ დაქორწინდნენ ანგარიშით, შემდეგ კი ცხოვრობდნენ სიყვარულით?

რასაკვირველია არის ამის ალბათობაც. უყვარდა განა კიტის თავისი საქმრო ლევინი, როცა ცოლად გაჰყვა მას ვრონსკისადმი უბედო სიყვარულის შემდეგ? რა თქმა უნდა—არა. მაგრამ სამაგიეროდ გულწრფელად შეუყვარდა ქორწილის შემდეგ. ი. ა. გონჩაროვის რომანის — „ჩვეულებრივი ისტორია" — ცივმა, ანგარიშიანმა გმირმა, უფროსმა ადუევმა ცოლი შეირთო მხოლოდ „გონებრივ მოსაზრებათა" საფუძველზე. შემდეგ კი ისე ძლიერ შეუყვარდა, რომ გადაწყვიტა მისი ჯანმრთელობის გულისთვის დაეთმო საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა, როგორც კერპს.

ხდება საწინააღმდეგოც, დაქორწინდნენ დიდი სიყვარულით, მაგრამ გატაცებამ გაიარა და ახლა თითოეულ მეუღლეს აქვს ახალი, ცალკე ოჯახი, თითოეული ცხოვრობს საკუთარი ცხოვრებით, მაგრამ ოფიციალურად არ სცილდებიან ერთმანეთს იმიტომ, რომ არ უნდათ დაკარგონ მოპოვებული კეთილდღეობა, კომფორტი ან საზოგადოებრივი რეპუტაციაც კი. ასეთ შემთხვევებში ქორწინება, რომელსაც თავდაპირველად სიყვარული ედო საფუძვლად, დასულია ყიდვა-გაყიდვის დონეზე.

ფხიზელი ანგარიში საჭიროც კია იმათთვის, ვინც დგას ასეთი დილემის წინაშე: ქორწინება ისეთ ადამიანთან, რომელიც არ იწვევს ძლიერ, ამაღლებულ გრძნობას, ფიზიკურ ლტოლვას—თუ მარტოხელად ცხოვრება? უნდა ითქვას, რომ არც თუ ისე ცოტაა შემთხვევები, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს უკავშირებს თავის ბედს მხოლოდ იმიტომ, რომ უნდათ ჰქონდეთ ოჯახი, არ უნდათ მარტოობა. ჩვენი აზრით, ამ აქციის მონაწილეთა გამტყუნება არაფრით არ შეიძლება. ისინი არ ეძებენ მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ისინი ისწრაფვიან გრძნობად-სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. მათ უყვართ ოჯახური ცხოვრება, უყვართ ბავშვები, და-

პოლოს, ძალიან ხშირად, პატივს სცემენ მომავალ „მეორე ნახევარს", აქვთ მის მიმართ მეგობრული კეთილგანწყობილება და იმედოვნებენ, რომ შეიყვარებენ კიდეც. ჩვენ კი ვიცით, რომ: მისწრაფებების, მოთხოვნილებების, ინტერესების ერთიანობა ხშირად სიყვარულზე უფრო მტკიცედ აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან.

რასაკვირველია, სარფიანი გარიგებით ქორწინებას აქვს თავისი „უპირატესობანი". თუმცა მეუღლეთა დამოკიდებულება უსიხარულოა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მარტივია, ვიდრე ნაზ ემოციებზე დაფუძნებული ურთიერთობანი, პირველ შემთხვევაში ადვილია ყველაფრის კონტროლი და პროგნოზირება: სალდო-ბულდო, პლიუს-მინუსი, საჭიროა მხოლოდ არითმეტიკისა და ბაზრის კონიუნქტურის ცოდნა, რომ პარტნიორმა არ გაგაცუროთ. თუ მოტყუვდი, ხელში შეგრჩება ყალბი „ფასეულობა" და გაბერილი კაპიტალი. იმედგაცრუება მოხდება ერთ პლანში—მატერიალურში.

გაცილებით ძნელია დაინახო პარტნიორის ხასიათში ყველა წვრილმანი გადახრები, ამაღლებული და მდაბალი, ძნელია წინასწარ განსჯვრიტო ყამთა სვლა რა ცვლილებებს შეიტანს მისი გარეგნობის, გონების, სულიერი მხარის იმ თვისებებსა და თავისებურებებში, რომლითაც მოხიბლული ხართ ამჟამად. მაგალითად, ახალგაზრდა კაცი დაუკავშირდა თავის თანაკურსელთაგან ყველაზე მომხიბველ გოგონას ჰიმენეის* კავშირით. ვაჟს ხიბლავდა პირველ რიგში მისი სილამაზე, დახვეწილობა, ასე ვთქვათ, ელეგანტური „გარეგნობა". მაგრამ ორსულობამ და მშობიარობამ შეცვალა საყვარელი ნაკვთები, შესამჩნევი ზიანი მიაყენა კონფიგურაციას. ტუალეტისა და ვარცხნილობის მისახედად ნორჩ დედას დრო აღარა რჩება. ახალგაზრდა კაცს იმედები გაუცრუდა; ეს ის ქალი არ გამოდგა, რომელიც მას ბედნიერებას მოუტანდა. და, აი, მიდის მამაკაცი ოჯახიდან, არავითარი საზრუნავი არ აწუხებს: ცოლი თავისუფალი ადამიანია, პროფესიულად დამოუკიდებელია, არ დაიკარგება. ბავშვს კი გადაუხდის ხელფასიდან გარკვეულ თანხას, რაც კანონითაა გათვალისწინებული. ის კი არა აქვთ ყოველთვის გაცნობიერებული, რომ მატერიალური უზრუნველყოფა ვერ აუნაზღაურებს ქალსა და ბავშვს იმ მორალურ დანაკლისს, რომელსაც მათ აყენებს „იმედგაცრუებული" ქმარი და მამა.

ავიღოთ სხვა სიტუაცია. ქალიშვილი მოიხიბლა ახალგაზრდა კაცის ერუდიციით, ქცევის მანერით, ფართო ჰორიზონტითა და თანამედროვე შეხედულებებით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითი იყო: ერუდიციის ნაცვლად მხოლოდ კარგი მეხსიერება და უნა-

---

* ჰიმენეი — ქორწინების ღმერთი ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით.
* ჰიმენეის კავშირი — დაქორწინება.

რი თავის ადგილზე ეფექტური სიტყვის ჩართვისა, სიტყვები და აზრები სხვისი, ნასესხები. მისი ქცევის სტილიც მოდური ნიმუშების წაბაძვა იყო და არა საკუთარი. ახალგაზრდა ქალს არ სურს დრო დაკარგოს მეუღლის სრულყოფაზე. მისი მოთხოვნა მკაცრია: „დაუყოვნებლივ გახდი ისეთი, როგორიც მე მინდა რომ იყო". წინააღმდეგ შემთხვევაში ქალი მზადაა ეძიოს სხვა პრეტენდენტი, რომელიც ახლო იქნება მის იდეალთან.

მიანიჭა რა ქალს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, საზოგადოებამ შეუღლებულებს ერთნაირი პასუხისმგებლობა დააკისრა ოჯახის ბედზე ზრუნვისათვის. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ახალგაზრდებს ყოველთვის სრულად არა აქვთ გაცნობიერებული ეს გარემოება. კაცები მიიჩნევენ, რომ ქალის მატერიალური დამოუკიდებლობა აძლევთ მათ უფლებას მსუბუქად შეხედონ ქორწინების დარღვევას. ხშირად არც ქალები ჩამორჩებიან მამაკაცებს და ადვილად გადადიან ახალი იდეალის ძებნაზე.

კაცობრიობამ დიდი ხანია გააცნობიერა ის სამწუხარო ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი და სწორხაზობრივი პროგრესი. ზოგჯერ, ერთ საქმეში უპირატესობისათვის, თითქოს ხარკს ვიხდით რაღაც სხვაში დანაკარგების სახით. ახალგაზრდობის უანგარობას ზოგჯერ ის მოჰყვება, რომ ცოლ-ქმარს არ შეუძლია თავისი პატარა, მაგრამ რთული ოჯახური მეურნეობის გონივრულად და აზრიანად მართვა. ოჯახის მთლიანობას ხშირად სწორედ ამ მიზეზით უჩნდება ბზარი (ამ პრობლემების შესახებაც მოგვიანებით ვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით).

ახალგაზრდა ოჯახს ბევრ სირთულეს უქმნის მეუღლეთა პროფესიული საქმიანობისა და ინტერესების სხვადასხვაობა. რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 80% ცხოვრობდა სოფლად და ეწეოდა სოფლის მეურნეობას. აქ ოჯახის ყველა წევრს აერთიანებდა **საერთო** საქმე: ბებია, პაპა, დედა, მამა, შვილები, შვილიშვილები ერთობლივი შრომითა და ოფლით მოიპოვებდნენ „პურს თავისი არსებისა". შრომითი საზრუნავი ყველასთვის გასაგები იყო და მის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ. ახლა, ხშირად, მეუღლემ დაახლოებითაც კი არ იცის, რითია დასაქმებული სამსახურში მისი „მეორე ნახევარი". პატარა ბავშვებსაც აქვთ თავისი საკუთარი საზრუნავი, რაც ხშირად მშობლებისთვის ნათელი არ არის, ხოლო ახალგაზრდა თაობის განვითარების უფრო მაღალ დონეზე კი შვილების საქმიანობის ხასიათში გარკვევა, მშობლებისთვის, საერთოდ მიუღწეველია. ასეთ შემთხვევაში ოჯახის წევრისათვის გასაგები და ამდენად საინტერესოც რჩება მხოლოდ გადაადგილება სამსახურებრივ კიბეზე, ცვლილებები ხელფასში (ბავშვებთან გადასვლა მომდევნო კლასში,

მომდევნო კურსზე და ნიშნები). დამეთანხმებით, რომ ურთიერთობათა არე ასეთ ოჯახში ვიწროვდება. ამის გამო, ხშირად, ცოლიც და ქმარიც მიისწრაფიან საკუთარ თანამშრომლებთან შეხვედრისკენ, მათთან უფრო ეხალისებათ საუბარი, ვიდრე სახლში. ოჯახური საუბრისათვის რჩებათ მხოლოდ საყოფაცხოვრებო საკითხები: რა ვიყიდოთ, რა მოვამზადოთ, სად წავიდეთ გამოსასვლელ დღეს. ზოგიერთი ქალი კრიტიკულად უყურებს თავის რჩეულს: მოსაწყენი ობიკატელი ხომ არ არის, რომელსაც ცოლში მარტო ის აინტერესებს, როგორ ამზადებს და ალაგებსო. ქმარს, თავის მხრივ, აწუხებს ცოლის გაუცხოება, აწუხებს, რომ ცოლს არ ესმის საქმიანი მისწრაფებები და ძიებანი, რითაც აღვსილია მთელი მისი არსება. ასეთ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია, რომ ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ვერ გაუგოს. ამ კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად, საჭიროა, დასაწყისში მეუღლის ჩართვა ამხანაგ-მეგობრებთან ურთიერთობის სისტემაში, რაც შეიძლება წარმატებით განხორციელდეს სპეციალობისგან დამოუკიდებლად. შემდეგ თანდათანობით უნდა გააფართოვონ საერთო ინტერესების წრე.

მაგრამ თუ მეუღლეთაგან არც ერთს არ აინტერესებს მეორის საქმიანობა, მაშინ რა ჰქნან? გასცილდნენ?

ალბათ ამ მდგომარეობის მოსავლელად საჭიროა ოჯახმა მონახოს საერთო გატაცებები, გააფართოვოს თავისი საქმიანობის არე. თანამედროვე ოჯახის ერთ-ერთი პარადოქსი ხომ ესეც არის, რომ რაც უფრო ჩაკეტილია თავის თავში ეს პატარა ჯგუფი, მით მეტად ექვემდებარება გარეშე მოვლენების დამანგრეველ ზემოქმედებას, რომელთაგან თავის დაცვა ახლა მეტად ძნელია.

საბჭოთა და ჩეხი სოციოლოგების აზრით, რაც უფრო მეტად არის გახსნილი ოჯახი ფართო ურთიერთობებისათვის, რაც უფრო იზიარებს სხვის საფიქრალს და ეხმაურება „პლანეტარულ" მოვლენებს, მით უფრო მეტია სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა, სხვადასხვა განათლების დონისა და სხვადასხვა პროფესიის მქონე ოჯახის წევრთა შორის პირადული ურთიერთგაგება. დაუკვირდით, გაიცანით ყველაზე მეგობრული, კეთილგანწყობილი ოჯახები. როგორც წესი, ისინი **სოციალურად აქტიური ადამიანები არიან.**

გართულდა ოჯახური ტრადიციების გადაცემის საქმეც. წინათ ტრადიცია ნათესავების სხვადასხვა თაობას შორის შემაერთებელი ქსოვილის როლს თამაშობდა. ახლა ის ზოგჯერ დასრულებული სახით ჩამოყალიბებასაც კი ვერ ასწრებს, რომ უკვე საჭირო ხდება მისი შეცვლა. გუშინდელი ღემოვნება, ჩვეულებები, წესები ელვისებური სისწრაფით იცვლება. ასეა არა მარტო ყოფით წვრილმანებში, არამედ მეტად არსებით საკითხებშიც. ჩვენი ცხოვრება მუდმივი

ცვლილებებია: ტერიტორიული, ეკონომიკური, სოციალური და პროფესიული. ეს სერიოზულ გაჟღენას ახდენს პატარა კოლექტივის — ოჯახის წევრების ცხოვრების სტილზე, ჩვეულებებზე, თვითგრძნობაზე.

ცნობილია, რომ ოჯახის ცხოვრების რაიმე ტრადიციების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია გარკვეულ მოქმედებათა და სიტუაციის განმეორებადობა. ამიტომ აქვს ოჯახს მიდრეკილება ერთგვარი ინერციისაკენ: მისთვის სამჯერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა იგივეა, რაც გადაწვა. რუსეთში კი რამდენჯერ გადადიან ახლა ერთი ადგილიდან მეორეზე მომთაბარე ტომების მსგავსად? სკოლის შემდეგ და ხშირად, მერე კლასიდანაც კი ბავშვები სასწავლებლად მიდიან მშობლიური სახლიდან მოშორებულ ქალაქში. შემდეგ, უკვე სპეციალისტები, განაწილების მიხედვით მიდიან ახალ ადგილებში სამუშაოდ. აქედან კიდევ საკუთარი ოჯახით მოძრაობენ მთელ ქვეყანაში, გადადიან ადგილიდან ადგილზე, ვიდრე საბოლოოდ არ დასახლდებიან სამუდამ. მაშინაც კი ერთსადაიმავე ქალაქში შეიძლება რამდენჯერმე გამოიცვალონ ბინა და სამუშაო.

ამ გადაადგილებასთან ერთად იცვლება გარემო: მეზობლები, თანამშრომლები, მეგობრები და ნაცნობები. იცვლება მეუღლეთა მატერიალური და თანამდებობრივი მდგომარეობაც. ამ ცვლილებათა გადატანა ყოველთვის არ ხდება უმტკივნეულოდ. ზოგჯერ ცოლ-ქმარი აიტანს, გაუძლებს მძიმე წლების ყველა სირთულეს, მარცხს, ავადმყოფობას, მომდევნო კეთილდღეობის წლებში კი მოდუნდებიან, შესუსტდება მათი სულიერი კავშირები. მიჩვეულნი იმას, რომ ერთად გასწიონ ცხოვრების მძიმე ჭაპანი, აიტანონ გაჭირვება, გადალახონ სიძნელეები, შემდგომში ისინი უკვე ველარ ახერხებენ ძალთა რეგულირებას შემსუბუქებული ოჯახური ტვირთის შესატყვისად. უმნიშვნელო წვრილმანების გადასაწყვეტად ისეთივე დიდ ძალისხმევას ახდენენ, როგორსაც სერიოზული საზრუნავი მოითხოვს. ორგანიზმის იმ მდგომარეობას, როცა დატვირთვის შემსუბუქების შემდეგ ადამიანს ეუფლება სისუსტე და ზოგჯერ ავადმყოფობაც კი — ფიზიოლოგებმა უწოდეს „მიღწევის სინდრომი“. ომის დროს ბევრს გადაავიწყდა თავისი სატკივარი, ყოველდღიური უსიამოვნებანი, რაც მანამდე მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა და ეყო ძალა გადაეტანა დიდი საერთოსახალხო გაჭირვება. დამთავრდა ომი და იგივე მტკიცე ხასიათის ადამიანები მცირე მიზეზის გამო ნერვიულობდნენ. შენიშნული გექნებათ, ალბათ, როგორი ჩხუბი მოსდით ადამიანებს არა არსებით, მნიშვნელოვან საკითხებზე, არამედ, სწორედ, წვრილმანებზე. თქვენც ხშირად ეკამათებით უფროსებს როგორი შარვალი თუ ქვედატანი ჩაიცვათ, როგორი ვარცხნილობა დაიყენოთ — ისეთი სერიოზულობით —

თითქოს ამაზე იყოს დამოკიდებული თქვენი ბედი, მთელი თქვენი მომავალი ცხოვრება.

ძველი ოჯახი მიილტვოდა ყოფის უცვლელობისკენ, დამოკიდებულებათა და ჩვეულებების ტრადიციულობისკენ, თანამედროვე ოჯახს კი არ ეშინია ცვლილებების, პირიქით, მიისწრაფვის კიდეც მისკენ. მაგრამ, ეს ცვლილებები უმტკივნეულოდ არ გვეძლევა, ამიტომ ყოველთვის არ არის საჭირო მისი დაჩქარება.

ძირითად, პრინციპულ საკითხებზე ოჯახს უნდა ჰქონდეს მტკიცე, შეიძლება ითქვას, ურყევი შეხედულებები. გვხვდება ოჯახები, რომლებისთვისაც მოდის უკანასკნელი სიტყვა არის ყველაფრის გადამწყვეტი მდგრადი ტრადიციების გარეშე, ისევე როგორც ოჯახური წეს-ჩვეულებათა გარეშე, ოჯახი—ოჯახი არ არის. აღზრდა ასეთ ოჯახში პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან რასაც დღეს აქებენ, ხვალ აძაგებენ. ასეთ პირობებში გაზრდილი ადამიანების მთავარი საზრუნავი ფეხდაფეხ მისდიონ მოდას, ისინი არ ცდილობენ, ჩასწვდნენ მოდური სიახლის შინაარსს, მის ხასიათს: კარგია ეს თუ ცუდი, სასარგებლოა თუ მავნებელი, ლამაზია თუ მახინჯი. ისეთ წმიდათა-წმიდა დამოკიდებულებებსაც კი როგორიცაა ადამიანური, მშობლიური, ცოლქმრული დამოკიდებულებები ისინი მოდის მოთხოვნებს უფარდებენ.

ალბათ ბევრი თქვენგანიც იცნობს მოდის ასეთ ნებაყოფლობით მონებს, რომლებიც მზად არიან უღალატონ პატიოსნებას და ერთგულებას, თუ ამ ღირსებებს პატივს არ სცემენ მოდის კანონმდებლები. ძველი ბრძენთა ბრძენნი სერიოზულად გვაფრთხილებდნენ არ გამოვდეგნებოდით ყოველგვარ სიახლეს. შეცვლას საჭიროებს ცუდი წეს-ჩვეულებები, კარგ ტრადიციებს კი სათუთი მოვლა და განვითარება სჭირდება.

ძველი შეცდომების ტვირთი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვიცილოთ, ყოველგვარი დანანების გარეშე. ბევრი მათგანი უკვე დავასახელეთ. მათ უნდა დაურთოთ..... ინერციაც ჩვენთვის ჩვეული, მაგრამ უკვე დრომოჭმული შეხედულებებისა და ნორმების შენარჩუნების მისწრაფება ანუ ის თვისებები, რომლებსაც ჩვენ სულ ახლახან ვუწოდეთ ოჯახის სტაბილურობის საფუძველი. მაგრამ რას ვიზამთ: ცხოვრებაში საერთოდ და ოჯახურში განსაკუთრებით ნაკლი შეიძლება გადაიზარდოს ღირსებაში და, პირიქით გაქვავებული წეს-ჩვეულებების ოჯახისთვის ძალიან ძნელია ნებისმიერი სიახლის მიღება. მისი დამოკიდებულება ახალგაზრდებთან და მეზობლებთან ხშირად არის კონფლიქტური. ასეთ კლანში შესულ ახალ წევრს არავინ არ შენატრის, რაც არ უნდა სანდო და მყარი იყოს ოჯახი.

— რა სიძნელეები გველის თურმე ოჯახურ ცხოვრებაში! — წამო-

იძახა ერთმა უფროსკლასელმა, — ჩვენი მშობლების ცხოვრების მაგალითზე ამას ვერც კი ვხედებოდით.

საითაც არ უნდა გაიხედოთ, დაინახავთ, რომ ცხოვრების აწყობა-თავისუფლების, სამართლიანობის, პატიოსნების, სიკეთის და სიყვარულის კანონების მიხედვით ათასჯერ უკეთესია, სასიხარულოა, მაგრამ ამდენჯერვე რთულია, ვიდრე ცხოვრება სიცრუის, იძულებით ანგარების კანონებით. ალალმართალი, უმწიკლო ცხოვრება ადამიანს უყენებს გაცილებით მაღალ მოთხოვნებს, მოელის მისგან უფრო შეგნებულ, პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას თავისი მისიისადმი, მოელის ქცევის დიდ კულტურას. აი ყველაფერი ეს უნდა ვისწავლოთ გულმოდგინედ. ამიტომ გესაუბრებიან თქვენ ამ საკითხებზე დაუსრულებლად: სახლში, პრესის ფურცლებზე, წიგნებიდან. ამიტომ ხარჯავს სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტ სახსრებს განათლებაზე. როგორც უკვე ვიცით, ყველაფერი ეს კეთდება სრულიად გარკვეული მიზნით. ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში, კონსტიტუციაში პირდაპირაა გამოცხადებული, სახელმწიფო დაინტერესებულია საზოგადოების უჯრედის — ოჯახის განმტკიცებით.

საზოგადოება მსგავსია, რომელიც მთლიანად შედგება ინდივიდუალური ოჯახებისაგან, როგორც მოლეკულებისაგან. — თვლიდნენ მარქსიზმის ფუძემდებლები. თქვენ უკვე საკმაო განათლება გაქვთ, რომ გაიგოთ რას ნიშნავს ადამიანის ორგანიზმში უჯრედი, მოლეკულა. „უჯრედის დონეზე“ ჯანმრთელობა უზრუნველყოფს მთელი სისტემის მდგრადობას, უჯრედის—სიცოცხლის ერთეულის ავადმყოფობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს მთელი ორგანიზმისათვის, მაშინ, როცა ხელები, ფეხები, თავი—ყველაფერი თითქოს სრულ წესრიგშია. საზოგადოებრივი განვითარება, სოციალური პროგრესი დიდადაა დამოკიდებული საკუთარი ბინების დახურული კარის მიღმა მიმდინარე პროცესებზე. ან კი როგორ შეიძლება სხვანაირად იყოს, როცა იქმნება მთელს სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი „პროდუქტი“ — თვით ადამიანი, ყველა იმ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემოქმედი და მომხმარებელი, რომლითაც მდიდარია და ძლიერია საზოგადოება.

ჩვენ სპეციალურად ვისაუბრებთ სახელმწიფოსა და ოჯახის დამოკიდებულების კონსტიტუციური საფუძვლებისა და ერთად ცხოვრების იურიდიული ნორმების შესახებაც.

ჩვენი საუბრის დასასრულ, გთავაზობთ ასეთ დავალებას: სცადეთ გაარკვიოთ თქვენი ოჯახის და საზოგადოების ურთიერთკავშირი. ბუნებრივია, რომ პირველ რიგში, გაიხსნება ურთიერთობის ეკონომიკური, მატერიალური მხარე. ეს იქნება მშობლების ხელფასი, პენსია, სტიპენდია, ბინა, თქვენი კვება, ტანსაცმელი, ავეჯი,

წიგნება, აქვეა თქვენი განათლება, დასვენება, ჯანმრთელობა, კულტურის მონაპოვარი, რომელზედაც ხელი მიგიწვდებათ.

უკეკავშირა: რას აძლევს თქვენი ოჯახი საზოგადოებას? მშობლების დამსახურება სამეშაო ადგილზე, თქვენი გვარის მიღწევები ომისა და მშვიდობის წლებში. შეიძლება საერთო კეთილდღეობაში თქვენს საკუთარ წვლილსაც შეეხოთ: თქვენი წვლილი თუ მატერიალურ ფასეულობათა შექმნაში არა, მზრუნველ დამოკიდებულებაში მაინც ბავშვის მიმართ, რასაც გვაძლევს ჩვენი საერთო დიდი ოჯახი — საშშობლო. იყაკით გულწრფელი საკუთარი სინიდისის წინაშე, გაიხსენეთ დახეული წიგნები, დამტვრეული სკამები, დაზიანებული სასკოლო ნივთები. იფიქრეთ იმაზე, რომ ცუდი სწავლაც გაფლანგვაა ხალხთა-სახალხო სახსრებისა, რომელსაც ეხარჯავთ სკოლების აშენებასა და შენახვაზე. და პირიქით, კეთილსინდისიერი მეცადინეობა — ეს უკვე თქვენი შრომაა, რომელიც „ერთვის ჩვენი რესპუბლიკის შრომას".

თქვენი დახმარება საოჯახო საქმეებში — არ არის სიკეთე მარტო თქვენი მშობლების მიმართ, არ არის მარტო მათი საზრუნავის შემსუბუქება. ეს არის, ამავე დროს, თქვენი წვლილი სახელმწიფო საქმეში. ცნობილია, რომ ცუდი განწყობილების გაელენით შრომის ნაყოფიერება 15-20%-ით ეცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენს გამო მშობლები სწუხან, დარდობენ—მათი შრომისნაყოფიერება დაბალია და პირიქით, როცა აქვთ თქვენგან ზრუნვა და დახმარება, მეტი ხალისითა და პროდუქტიულობით მუშაობენ.

ჯერ კიდევ არავის შეუფასებია ღირსეულად თქვენი გაელენა მშობლის შრომაზე იმ შემთხვევაში, როცა თქვენ გულწრფელად ხართ დაინტერესებული მათი საქმიანობით, აელენთ პატიისცემას მათი დამსახურებისადმი. და პირიქით, საჭიროა სამართლიანად იქნეს შეფასებული: როგორ უკარგავს მათ მუშაობის ხალისს თქვენი კრიტიკული გამონათქვამები, თქვენი უზრუნველი ირონია. როცა პრესა, ტელეფილმები გვამცნობენ გამოჩენილი ადამიანების, პროფესიულ დინასტიათა ფუძემდებლების მიღწევებს სრულიად მართებულია ვიფიქროთ, რომ დიდების მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის მათ შვილებს, რომლებმაც გამოაელინეს უფროსი თაობისაგან ესტაფეტის მიღების მზაობა.

საჭროა ავწონ-დავწონოთ თქვენი დამოკიდებულება საკუთარი და მშობლების ჯანმრთელობისადმი. თქვენთვის ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ჯანმრთელობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ღირებულებასl ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. განა დიდი განმარტება სჭირდება იმას, რომ ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანი ორი სხვადასხვაგვარი მომუშავეა, სხვადასხვა ადამიანია. გარდა ამისა, ჩვენი საერთო ჯიბიდან გიგანტური სახსრები იხარჯება პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, სანატორიუმების და ა. შ. შენახვაზე. ფულადი დანახარჯი უბედური შემთხვევისაგან, საწარმოო ტრავმისაგან, თანდაყოლილ სნეულებათაგან დაზიანებულ ადამიანთა გამოჯანმრთელებაზე — ბუნებრივი აუცილებლობაა. აქ ფულის არც დანანება შეიძლება, არც ხელის მოქერა. მაგრამ რა სამწუხაროა იმის დანახვა, რომ საზოგადოებრივი სახსრები იხარჯება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ ჩვენი დაუდეკარი დამოკიდებულების შედეგების გამოსწორებაზე, ამ მანკიერებათა განკურნებაზე, რომელიც მოსდევს სიზარმაცეს, უნებისყოფობას, სულელური მოდის უაზროდ აყოლას, სულიერ სიბრმავეს.

შეეცადეთ, გაიხსენოთ რამდენი გაკვეთილი გაგიცდენიათ იმის გამო, რომ ქარაფშუტულად უგულებელყოფთ უფროსების რჩევას: გაიკაკეთ თავი, მისდიეთ სპორტსა და ფიზკულტურას. ისიც გაიხსენეთ, რამდენჯერ უცბად ასწევია წნევა დედას (მამას, ბებიას, პაპას), გამწვავებია სხვადასხვა ქრონიკული დაავადება თქვენი უხეშობის, ცელქობის, მოდიმი უყურადღებობის, მასწავლებლებთან თქვენი კად-

ნიერების გამო (მასწავლებელთა ჯანმრთელობაც ხომ დიდადაა თქვენზე დამოკიდებული).

აქამდე ჩვენი საუბარი ეხებოდა იმათი ქცევის განხილვას, ვისაც უყვარს თავის სიმამაცის გამოცდა სხვადასხვა სახის სარისკო თავგადასავალში, შეტაკებებში, ჩხუბში. თუ გადალახული არ იქნა ნგბადართულის საზღვრები, ასეთ დარღვევებს და მათ შედეგებს ეელიან მშობლები, აღმზრდელ-მასწავლებლები. მაგრამ თქვენთვის საიდუმლო არ არის, რომ ყველა ვერ თავსდება ასეთ სარისკოებში. მაშინ მათ გამოსწორებას ხელს ჰკიდებს საზოგადოებრივი დაცვის სამსახური. თავისი გაღმაძღარი ნაშიერების წაბიძგებით ხშირად მშობლებიც არღვევენ კანონს. ზოგიერთ შვილს არც აინტერესებს, საიდან ან როგორ იშოვის საყვარელი დედიკო ან მამიკო ფულს მოდური და ძვირაღღირებული „სათამაშოსათვის", როგორიცაა მაგალითად მაგნიტოფონი, მოპედი. „მინდა, მომეცი, მიყიდე" მხოლოდ ეს სიტყვები იცის ასეთმა შვილმა. იგი არავითარ დანაშაულს არ გრძნობს, როცა გაიგებს, რომ მშობელი პასუხს აგებს სასამართლოში ულირსი გზით გადიდრების გამო.

საზოგადოებას, როგორც ეკონომიკური ისე მორალური თვალსაზრისით მეტად ძვირად უჯდება ყველა ჯურისა და მასშტაბის დამნაშავენი. უდიდესი რაოდენობა ადამიანებისა, რომელთაც შეეძლოთ შეექმნათ მნიშვნელოვანი სულიერი და მატერიალური ღირებულებანი, სწყდებიან ამ საქმიანობას და თავის ენერგიას, შემოქმედებით პოტენციას ხარჯავენ საზოგადოების გასეფთავებაზე ჩვენგანვე დანერგილი სარეველისაგან. თვითონ დამნაშავენი კი ნაცვლად იმისა, რომ რაიმე სარგებლობა მოუტანონ თავის თავს და საზოგადოებას, პატიმრობაში ატარებენ ხანგრძლივი, უნაყოფო, ფუჭად დაკარგულ წლებს.

დაეფიქრდით საით მიჰყავს უფროსები თქვენს მოთხოვნებს: სიკეთისა და პატიოსნებისაკენ თუ უპატიოსნობისაკენ?

ბევრი თქვენგანისათვის ზედმეტი არ არის ამის შეხსენება. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ ობიექტური თვალით შეეკვეხედა როგორ ვიყენებთ იმ პირობებს, რომელსაც გვიქმნის საზოგადოება საკუთარი ნიჭის განვითარებისათვის. დაუსვით თავს რამდენიმე კითხვა: ხშირად ხართ ბიბლიოთეკაში. მუზეუმში, თეატრში, სტადიონზე (რა თქმა უნდა, თუ არის ყველაფერი ეს იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობთ)? რისთვის მიდიხართ თქვენ იქ: ფაქტიურად „დროის მოსაკლავად" (ე. ი. იმათი ძალისხმევის „მოსაკლავად", ვინც ჰქმნის კულტურულ და მატერიალურ ღირებულებებს), თუ იმისათვის, რომ გაიღვიძოთ თქვენს თავში თქვენთვისაც და სხვებისთვისაც აქამდე დაფარული ძალები? ჭეშმარიტი კულტურა განისაზღვრება არა წაკითხული წიგნების რაოდენობით, ნახული ფილმებითა და სპექტაკლებით, არამედ იმის უნარით, რომ შეძენილი ცოდნა გამოიყენონ კულტურულ ქცევაში.

ეი ხედავთ ჩვენს საუბარში კიდევ იჩინა თავი იმის აუცილებლობამ, რომ თვალი მივაპყროთ საკუთარ ქცევას, ნაკლოვანებებსა და სიბუსტეებს. ამ დავალებებს იმიტომ არ გაძლევთ, რომ თქვენს თავმოყვარეობას შევეხოთ. თქვენ ჯერ არა ხართ სასწავლმოქმედები, თქვენ მხოლოდ სწავლობთ, სხვა საგანთა შორის ამ ურთულეს მეცნიერებასაც—იყოთ კეთილსინდისიერი მოქალაქეები. მაგრამ როგორ დაეუფლებით ამას, თუ არ შეაფასებთ თქვენს ადგილს და მონაწილეობას საერთო შრომასა და სიხარულში? „გაუფრთხილდი სახელს ახალგაზრდობიდანვე..." კარგადაა ნათქვამი. როგორც ჩანს უკვე დრო არის იფიქროთ, როგორი სახით წარმოსდგებით ახლობელ და შორეულ თანამოქალაქეებთან.

როდის ფუფუა ეს

თქვენ სასწაულმოქმედები არა ხართ, თქვენ ჯერ მხოლოდ სწავლობთ... როდის, რას, ვისგან და რა გზით სწავლობთ ზემოქმედების მოხდენას ოჯახურ ურთიერთობებზე თუ აქამდე არ გივლიათ სპეციალურ კლასში, წრეებში, ლექტორიუმებში? შეიძლება კი სერიოზულად ვილაპარაკოთ ხიყვარულის ხელოვნების და სიყვარულის მეცნიერების სპეციალური სწავლების შესახებ?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ცოდნის ამ უჩვეულო სფეროს ვეუფლებით სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე. გინახავთ უფროსის ღიმილის საპასუხოდ, როგორ იხსნება ღიმილისათვის ძუძუთა ბავშვის უკბილო პირი?

— უყურეთ, ის მე მიღიმის, ის მე მცნობს, უხარია ჩემი ნახვა,— აღტაცებულია ბედნიერი დედა. ბავშვი კი თავდაპირველად სარკისებურად ასახავს დედის ბედნიერ გამომეტყველებას, ეუფლება რა დედის ძალისხმევით თავისი სახის ჯერ კიდევ მოუქნელ კუნთებს. მას თანდაყოლილად აქვს მოცემული უფროსებისადმი წაბაძვის ინსტინქტი ყოველგვარი არჩევანისა და განსხვავების გარეშე: ღიმილის გადაღებას ახდენს თუ მოღუშულობისას. შენიშნულია, რომ პატარები მხიარულები და მომღიმრები იზრდებიან ყველაზე ხშირად იმ ოჯახებში, სადაც ისინი უყვართ, სადაც ისინი სასურველი არიან, სადაც უხარიათ მათი არსებობა. და პირიქით, შიშნარევი სევდიანი გამომეტყველება აქვთ იმ ბავშვებს, რომლებიც მშობლებისათვის მოულოდნელ და არც თუ სასურველ „სიურპრიზს“ წარმოადგენენ. შინაურების დამოკიდებულება ბავშვისადმი არის პირველი საფეხური გრძნობათა აღზრდის იმ ხანგრძლივ სკოლაში, რომელსაც ყველაწი გავდივართ აკვნიდან დაწყებული. ამავე ეტაპზე ვლინდება აღნიშნულ სკოლაში წარმატების დამოკიდებულება ბავშვის ბუნებრივ მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებზე და იმაზე, თუ როგორ განვითარდებიან ეს მოთხოვნილება-შესაძლებლობანი უფროსებთან ბავშვისა და თვითონ უფროსების ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში.

ბოლო წლების გამოკვლევებით დადასტურდა, რომ სიყვარულისა და მოფერების მოთხოვნილება, რომელიც ბავშვს აქვს — თითქმის უძლიერესია იმთავითვე ჩვენში მოცემულ მოთხოვნილებებს შორის. მეცნიერებმა ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი: ბავშვებს ჰყავდათ ორი აღმზრდელი. ერთი აჭმევდა, უვლიდა, მაგრამ არ ეფერებოდა. მეორე კი ეფერებოდა, ელოლიავებოდა, ეთამაშებოდა, მაგრამ არ აჭმევდა

და არც სხვა მხრივ უელიდა. წარმოიდგინეთ, პატარები მიისწრაფოდნენ არა იმისკენ, ვინც უკმაყოფილებდა მათ შიმშილის მოთხოვნილებას და უქმნიდა ფიზიკურ კომფორტს, არამედ იმისკენ, ვინც უხვად აკილდოვებდა მათ სიყვარულით, თბილი დამოკიდებულებით. როგორ აგხსნათ ეს მოვლენა? მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ემოციური საზრდო მანანის ბურღულის ფაფაზე უფრო „გემრიელია". შეიძლება ასეცაა. ან იქნებ თვითონ ჩვენს თანდაყოლილ გენეტიკურ პროგრამაშია კოდირებული ცოდნა, ისტორიული გამოცდილება იმისა, რომ ვისაც ვუყვარვართ, ვინც გვეფერება, ის აუცილებლობის შემთხვევაში კიდეც დაგვაპურებს, კიდეც გაკვათბობს, კიდეც დაგვიცავს. ხოლო ვინც მხოლოდ ბიოლოგიურ შიმშილს გვიკმაყოფილებს, მაგრამ არ გვიწილადებს გულის სითბოს, მას შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს ჩვენი მოვლა-გამოკვება.

როგორც ხედავთ, ეს საკითხი კიდევ მოითხოვს გააზრებას. მაგრამ თვითონ ექსპერიმენტი და მისი შედეგები ახლებურ შუქს ჰფენს ბავშვებში დიდი ხნის შენიშნულ მისწრაფებას: მიიზიდონ ყურადღება, მოინადირონ ახალი ნაცნობების გული, მიუხედავად იმისა, რომ უცნობებთან მშიშარები და მორცხვები არიან.

ადრეული ბავშვობის ასაკში ეს სურვილი—შეაყვარონ თავი—არ არის გარკვეული სქესობრივი მიმართულების მქონე. თუმცა უკვე სამი-ოთხი წლის ასაკში თავს იჩენს მოპირდაპირე სქესისადმი ინტერესის პირველი ნიშნები. ეს თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს სქესობრივი ჰიგიენის გაკვეთილებიდან. შეხედულება, ბავშვის როგორც „არასქესობრივი" არსების შესახებ, რომელიც ძალიან დიდხანს ბატონობდა რელიგიურ, მხატვრულ და სამედიცინო ლიტერატურაშიც კი. ფლეისათვის საბოლოოდ უარყოფილია. გოგონა და ვაჟი შეიძლება განვასხვავოთ არამარტო გარეგნული ნიშნებით, არამედ ქცევითაც, რომელსაც გარკვეული აზრით შეიძლება ეუწოდოთ სქესობრივი.

შევახსენებთ, რომ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ცნებები „სქესი" და „სექსი". თუმცა სიტყვა „სექსი" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „სქესს" ჩვენ მათ არ ვხმარობთ იდენტური, იგივეობრივი მნიშვნელობით. როცა ვამბობთ დედრობითი სქესი ან მამრობითი სქესი, მხედველობაში გვაქვს არა მარტო ფიზიოლოგიური განსხვავებულობა ქალსა და მამაკაცს შორის, არამედ მთელი ის რთული ერთობლიობა ბუნებრივი თვისებებისა, რომელიც ასახულია, როგორც გარეგნულ შესახედაობაში, ისე შინაგან არსში, ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებზე რეაქციათა თავისებურებებში, ნერვული და ფსიქიკური პროცესების სპეციფიკაში, სწავლისა და პროფესიული საქმიანობისადმი დამოკიდებულებაში და ა. შ., რაც საშუალებას

გვაძლევს ვილაპარაკოთ აშკარა „ქალური“ და „მამაკაცური“ ხასიათების შესახებ.

ჯეიმზენსული რუსი მწერალი და ექიმი ვ. ვ. ვერესაევი ქალსა და მამაკაცს უწოდებდა ორ გალაქტიკას, რომელთა შორისაც მაღალი ძაბვის, მიზიდულობისა და მაგნეტიზმის ველია. ეს ორი სხვადასხვა სამყაროა. ქალები და მამაკაცები ერთმანეთისთვის სხვადასხვანი არიან, რის გამოც ერთმანეთის მიმართ მუდამ დიდი ინტერესი და მიზიდულობა აქვთ. უსქესო ქცევა და ურთიერთობანი დამახასიათებელია მხოლოდ ადრეული ბავშვობისათვის. ყველა სხვა პერიოდში სამყაროს ქალურ და მამაკაცურ აღქმას შორის აშკარა განსხვავებაა, თუნდაც მოცემული „ქალი“ და „მამაკაცი“ ჯერ არც კი იყვნენ აცილებული მაგიდას.

სიყვარულის მეცნიერებას ვეზიარებით ჯერ კიდევ კბილების ამოსვლამდე. ავიღოთ თუნდაც ზღაპრები! რის შესახებ გვიამბობს მძინარე მზეთუნახავის, ცხრა ძმის ცხრა საცოლის, მეფის ასული ბაყაყის, კონკიას და პრინცის, მშვენიერი ვასილისას და მეფისწული ივანეს ისტორიები? სიყვარულის შესახებ, იმის შესახებ თუ სად და როგორ ეძებოს ადამიანმა თავისი ბედი, რა ნიშნებით აირჩიოს თავისი საბედო, ღირსეული წყვილი.

ხედავ პატარავ, ზღაპრები გვასწავლიან, რომ მეგობარი უნდა აირჩიოთ არა გარეგნობითა და ჩაცმულობით, არამედ სულიერი სილამაზის, ჭკუა-გონების, ერთგულების, სიმარჯვისა და შრომისმოყვარეობის მიხედვით. ზღაპრების მოსმენისას, ფილმების ნახვისას ბაეშვი ეუფლება გარკვეულ წარმოდგენებს ადამიანური ღირებულებების შესახებ, იგებს ადამიანთა ურთიერთობის სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანის შესახებაც: **ვინ და რისი გულისთვის უნდა გვიყვარდეს.**

ზღაპრის ფანტასტიკურ სიუჟეტში მოცემული ქარაგმებით ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მაგრამ რატომღაც ძალიან ხშირად ჩვენ უყურადღებოდ გვრჩება ეს სასარგებლო „ქარაგმული“ სიბრძნე. ბავშვის თვალები, ისევე როგორც უფროსებისა, ჩვეულებრივ თანატოლების მასაში მორიდებულ კონკიას კი არ ეძებს, არამედ პრინცესას, თუნდაც ფანტაზიით გარდაქმნილს, მაგრამ უეჭველად რაღაცით გამორჩეულს, არაორდინარულს, არაჩვეულებრივსა და ლამაზს. ნაცარსა და მურში, ძონძებში და შრომისაგან ილაჯგაწყვეტილთა შორის იშვიათად რომ ვინმე ეძებდეს თავისი გულის რჩეულ ქალს. იგივე ითქმის ქალების მიმართაც. მათი რჩეული მამაკაცი უნდა იყოს ცნობილი, მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ყველასგან თავისი მამაკაცური ღირსებებით.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი მეგობრული გატაცება თქვენი თანატოლებისა ერთი რომელიმე გოგონათი ან ვაჟით—გოგონების

ოცნების გმირით. ეს იწყება პირველი სასკოლო ღღეებიდან და გრძელდება უკანასკნელ ზარამდე. კლასს ჰყავს ხოლმე თავისი „ღმერთები“, რომელთა შეყვარებაც თითქმის მთელი კლასის მოვალეობად ითვლება. მათთან თავს იწონებენ თავისი ნიჭით, ერუდიციით, ძალით, მახვილსიტყვაობით, ხელგაშლილობით, თავხედობით და ზოგიერთი უზრდელობითაც კი (ვისაც რითი შეუძლია). აქ მოქმედებს ყურადღების მიზიდვის, მოვზიბვლელობის ხელოვნება, რომელსაც არავინ არ გასწავლით, მაგრამ რომელიც რატომღაც ყველასთვის ცარგადაა ცნობილი.

ამავე ღროს, ვაჟებს შეიძლება შეექმნათ რთული დამოკიდებულებები სხვა თანაკლასელ გოგონებთან და ბიჭებთან. ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთიდაიგივე მოზარდი, თაყვანს სცემს რა კლასის საერთო კერპს, ხალისით ატარებს ღროს სხვა ბოგონასთან, ექცევა მას როგორც მეგობარს, „და-ქალს“, გრძნობს დიდ სიმპათიას მესამის მიმართ, განიცდის შემოტეკას მეოთხეს მხრიდან, რომელსაც ის მოსწონს და რომლისგან ყურადღებაც მას სიამოვნებს (ან შეიძლება კიდეც აღიზიანებდეს), თავის კლასგარეშე საქმეებისა და ჰობის თანაზიარად ჰყავს მესუთე, უკვე არა თანაკლასელი, არამედ მეგობარი საგნობრივი წრიდან, კლუბიდან, ეზოს ამხანაგების კომპანიიდან. კავშირ-დამოკიდებულებათა ასეთივე ნაკრები შეიძლება შეექმნას ნებისმიერ გოგონასაც.

ეს განსხვავებული კონტაქტები ზრდის პროცესში მყოფი ადამიანისგან მოითხოვენ დიდ სულიერ დანახარჯებს, გარდაქმნებს იმის შესატყვისად თუ რა ხასიათისაა შექმნილი დამოკიდებულებანი და როგორ ვითარდებიან ისინი. ახალგაზრდა კაცი ხშირად ახალი კუთხით დაუნახავება თანატოლებს, ზოგჯერ ის იმდენად უჩვეულოდ იქცევა, რომ თავის თავს თითონვე ვეღარა სცნობს, გაოცებით და შეშფოთებით აღმოაჩენს თავის „ორსახეობას“, ან „მრავალსახეობასაც“ კი. პრინცესასთან პირფერობს, ბორცვოვს, თავსაც კი იმცირებს; თავის „და-ქალთან“ ისე იქცევა, როგორც თანასწორთან, ზოგჯერ ავიწყდება კიდეც, რომ მის წინ ბოგონაა; ინპულსურად კოტტაობს და ცდილობს თავი მოაწონოს თავის სიმპათიას (რომლითაც თვითონაც არის გატაცებული), და ხდება ხოლმე, რომ აშკარაღ უზრდელად იქცევა იმ გოგონასთან, ვისაც ის მოსწონს.

ბოგონასა და ვაჟს შორის ყოველი მეტნაკლებად ხანგრძლივი და ერთმანეთის მიმართ ინტერესზე აგებული დამოკიდებულება, გრძნობათა აღზრდის მშვენიერი სკოლაა. შეუძლებელია ჩვენი გრძნობების აღზრდა, ჩვენი გულისა და გონების განვითარება ამ კავშირებისა და დამოკიდებულებათა გარეშე. ჩვენ ვერ შეეძლებთ ბევუბოთ, ჩაეწედეთ არა მარტო სხვა ადამიანებს, ჯრამედ საკუთარ თავსაც კი იმ

გაკვეთილების გარეშე, რომელსაც გვაძლევს ურთიერთობა ჩვენს მეგობრებთან. აქ უკვე დროა შევეხოთ მოსწავლეთა შორის მეგობრობას. ისიც ხომ აყალიბებს ჩვენს ხასიათს, ჩვენს გრძნობებს, ის სიყვარულის გენერალური რეპეტიციაა.

„არ ვიცი რატომ აძლევენ რაღაც მონოპოლიას პირველი სიყვარულის მოკონებებს ახალგაზრდული მეგობრობის მოგონებებთან შედარებით. პირველი სიყვარული იმიტომაა ასე კეთილსურნელოვანი, რომ ის ივიწყებს სქესთა შორის განსხვავებას, ის არის—ვნებიანი მეგობრობა. თავის მხრივ, ჭაბუკებს შორის მეგობრობას ყოველმხრივ აქვს სიყვარულის ხასიათი და მგზნებარება; ისეთივე მოკრძალებული შიში საკუთარ გრძნობათა სიტყვით შეხებისა, ისეთივე უნდობლობა საკუთარი თავისადმი, უსიტყვო ერთგულება, ისეთივე ტანჯველი დარდი განშორებისა, ისეთივე ეჭვიანი სურვილი განსაკუთრებულობისა“, — წერდა ა. ი. გერცენი.

„მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ.“ „მიაქციეთ ყურადღება: მშობლების შესახებ არ გეკითხებიან, შეყვარებულის შესახებ არ გეკითხებიან; მეგობრის შესახებ გეკითხებიან. დამეგობრება არ ხდება გრძნობადი გატაცების საფუძველზე, არც ვალდებულება-მოვალეობის საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება ნათესაური კავშირები. არა, საკუთარი ნების გამოხატვის სრული თავისუფლება ერთმანეთის არჩევისას, დამოკიდებულებათა სტატუსის დაფიქსირებისას, კავშირის გაწყვეტისას. არავითარი სპეციალური კანონები, ნორმები და წესები, სასამართლოები და კონტროლი. ყველაფერი ხდება ნებაყოფლობით-შეთანხმებით საწყისებზე. ასეთი სტილი სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს შვილებსა და მშობლებს, მეუღლეებს შორის დამოკიდებულებაში. ჩვენ შემთხვევით არ განვსაზღვრეთ რჯახი, როგორც სისხლმონათესავეთა თანამეგობრობა. მაგრამ, ამ პრინციპის სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიღევ შორს არის.

ვიმეორებთ, სასკოლო პერიოდში მეგობრობის გაკვეთილები საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდების გულწრფელობის, პატიოსნების, ერთგულების, თავდადების, მიმტევებლობისა და სხვა კარგი ადამიანისა და კარგი მეოჯახისათვის უმნიშვნელოვანესი თვისებების გამოწრთობისთვის, ამიტომ არის, რომ შორსმჭვრეტელი უფროსები ასეთი ყურადღებით აკვირდებიან მოზარდებს შორის ახლად ჩასახულ კავშირებს, მშობლები კი ეჭვიანობითაც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ასაკში მშობლიურ ბუდეში, რაც არ უნდა თბილად გრძნობდეს თავს ბარტყი, რაკი ბუმბულით უკვე შეიმოსა, ცდილობს, დატოვოს ბუდე და გაფრინდეს თუნდაც ცოტა ხნით და თუნდაც ძალიან ახლოს, ოღონდ გაფრინდეს. მისთვის უფრო საინტერესოა დამოუკიდებლად ხეტიალი მონათესავე სულის მეგობართან ერთად. არც ის არის საი-

დუმლო, რომ ხშირად, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ასეთი მეგობრობის ზეგავლენა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ნათესავებისა. აქედან მომდინარეობს ზემოთ მოტანილი ანდაზა.

ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, რომელიც არ ეძებდეს გულწრფელ, იდეალურ მეგობარს, არ მიისწრაფოდეს მისკენ. „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია...“ ამ მეგობრის ხატი საოცრად ერთგვარია, ერთი ტიპისაა, მიუხედავად თვითონ მეგობრობის მაძიებელთა სხვადასხვაგვარობისა. ის, რასაკვირველია, გულისხმიერი. პატიოსანი, პირველი სიტყვიდანვე ყველაფრის გამგები, უანგარო დახმარებაში, წარმატებულია საქმეში, მას შეიძლება ყველაფერი გაანდო და ყველაფერში დაეყრდნო. როგორც რუსთაველი გვასწავლის:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,
გზა ბნელსა ანათებს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

„მეგობრობის საფუძველი მდგომარეობს ნებელობის, გემოვნებისა და შეხედულებათა სრულ ერთიანობაში.“ (ციცერონი).

მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს სწყალობს ბედი, რომ ასეთი თანამოაზრე ჰპოვოს უცებ, მზა სახით, როგორც ამბობენ მორგება-ფოზომების, ცდისა და შეცდომის გარეშე, საერთო მისწრაფებების, ინტერესებისა და სურვილების გამომუშავებისათვის საკუთარ თავში ან მეგობარში რაიმეს შეცვლა-გადახალისების გარეშე. ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მეგობარს კი არ პოულობენ, არამედ მეგობარს ქმნიან „მსგავსად ხატისა და სახისა თავისისა“.

შესაძლოა ტყუპების მყარი მეგობრობა, რასაც ერთხმად აღნიშნავენ მკვლევარები, ეფუძნება, სწორედ, მათი ბუნების თანმობილ, აბსოლუტურ მსგავსებას. ჩვეულებრივ დებსა და ძმებს ხშირად აქვთ სრულიად განსხვავებული სასიათი და განწყობილებანი. აქედან გამომდინარეობს—კამათი, ჩხუბი, ეჭვიანობა, მეტოქეობა, რაც ტყუპებთან იშვიათად თუ გვხვდება.

იდეალური მეგობრობა გვესახება, სწორედ, როგორც ტყუპების დამოკიდებულება. ყველაფერი ერთად, ყველაფერი თანაბრად. მაგრამ იდეალი იმიტომაა იდეალი, რომ მისკენ ისწრაფიან ბევრნი და აღწევენ მხოლოდ ერთეულები — ყველაზე შეუპოვართა შორის. ყოველდღიურ ცხოვრებაში დაკმაყოფილება გვიხდება აბსოლუტისა და სრულყოფისაგან მეტნაკლებად დაშორებული ურთიერთობებით. მეგობრობაც არ არის გამონაკლისი. ისიც ისევე, როგორც სიყვარული, ხშირად ეფუძნება არა მხოლოდ საერთოს ადამიანთა ბუნებაში, არამედ მათ წინააღმდეგობრიობასაც, იმას, რომ ადამიანები კი არ ემს-

გავსებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. ამ საფუძველზეც ხშირად იქმნება მტკიცე და ხანგრძლივი სულიერი კავშირი.

აი, მაგალითი დიდი ადამიანების ბიოგრაფიიდან. პუშკინის მეგობრობა პუშჩინთან ეწყარებოდა უფრო თვალსაზრისთა, გემოვნების, ნებისყოფის, ხასიათის სხვადასხვაობას, რითაც ისინი ერთმანეთს ავსებდნენ, ვიდრე საერთოს მათ შორის. პუშჩინს უყვარდა და აღფრთოვანებდა თავისი ლიცეუმის „დორტუარის“* მეზობლის ცოცხალი ხასიათი, მკზნებარე ტალანტი. პუშკინს იზიდავდა მეგობრის განსაკუთრებული ზნეობრივი სილამაზე და რაინდული კეთილშობილება, მისი წესიერება.

აი წაიკითხეთ ატესტაცია, რომელიც მისცა ივან პუშჩინს ზედამხედველმა, დამრიგებელ-იეზუიტმა მარტინ პილეცკი-ურბანოვიჩმა: „ფრიად ნიჭიერია, **ყოველთვის ბეჯითია და კეთილგონიერად იქცევა. კეთილშობილება, ზრდილობიანობა, დიღსულოვნება, თავმდაბლობა, მგრძნობიარობა, სიმამაცესა და დახვეწილ პატივმოყვარეობასთან ერთად. განსაკუთრებით კი გონივრულობა**—მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშნებია. **ურთიერთობაში სასიამოვნო, თავაზიანი და გულწრფელია, მაგრამ საკმაოდ ფრთხილი და წინდახედულია მეგობრების შერჩევაში.**“ კურსივი ჩვენია თ. ა.).

შეიძლება დაინახოთ ამ ფსიქოლოგიურ პორტრეტში მსგავსება პუშჩინისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანთან—ა. ს. პუშკინთან? არავითარი საერთო:“ ...ტალღა და ლოდი, ლექსი და პროზა, ყინული და ცეცხლი, ისე არ არიან განსხვავებული ერთმანეთისგან“, როგორც ისინი განსხვავდებოდნენ. **აფრთიანებდათ** კი „სულის ლამაზი გატაცებები“, ოცნებები „წმიდათაწმიდა“ თავისუფლებაზე, „ვწვალობთ და წუთებს თავისუფლების მოველოდებით ჩვენ სასოებით.“

ბუნებრივია, მეგობრობის ხასიათი განისაზღვრება ამ გრძნობით დაკავშირებულ პიროვნებათა ხასიათით, განსაკუთრებით მათი იდეალების ცხოვრებისეული მისწრაფებების მიმართულებით. კლასიკური მაგალითები გვიჩვენებენ, რომ წვრილმანი და ბნელი ცხოვრებისეული შეხედულებების მქონე, უქნარა ადამიანებს შორის არ არსებობს დიდი, ნათელი და თავდადებული მეგობრობა. ჩვენს ლიტერატურაში, კინოფილმებში ხშირად უმღერიან ფრონტელ მეგობრობას. ის მეგობრობა იქმნებოდა ზოგჯერ სრულიად უცაბედად, ერთი ბრძოლის დროს, ერთი დავალების შესრულებისას. იმიტომ, რომ უკიდურესი დაძაბულობის პირობებში ადამიანები ერთბაშად და მთლიანად ავლენდნენ თავს. იმ დროიდან მოყოლებული, ჩვენს ყოფაში დამ-

* დორტუარი — საერთო საძინებელი ოთახი დახურულ სასწავლო დაწესებულებაში (რევოლუციამდელი რუსეთისა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ინსტიტუტებსა და პანსიონატებში).

კვიდრდა სიტყვები, რომელსაც ვამბობთ, როცა გვინდა ადამიანის მიმართ ჩვენი სრული, ეკვმიუტანელი ნდობა გამოვხატოთ: „მახფან ერთად შეიძლება დაზვერვაზე წასვლა.“

აი, უკვე ათეულობით წლებია, ფრონტელ მეგობრებს კავშირი არ გაუწყვეტიათ ერთმანეთთან, თუმცა ზოგჯერ ათასობით კილომეტრით არიან ერთმანეთისგან დაცილებული. მათი შეხვედრები „თვალცრემლიანი ზეიმებია.“ ზეიმი და დარიგებაა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ჯერ არასდროს მოხვედრილან ექსტრემალურ სიტუაციაში, რომელთაც არ ეანუცდიათ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ყოველდღიური რბოლის სიმძიმე. ახალგაზრდობა თვალნათლივ რწმუნდება: არაფერია იმ მეგობრულ კავშირზე წმინდა, რომელიც ეფუძნება საშიშროლოს დაცვის ნათელ მიზანს, ადამიანის მოდგმის პატიოსნებისა და თავისუფლების დაცვას. ისტორიული გამოცდილება უფლებას გვაძლევს არ დავეთანხმოთ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც გვეუბნებიან: „ბედნიერებაში ადვილია მეგობრის პოვნა, უბედურობაში კი უკიდურესად ძნელი“ (დემოკრიტე).

ბოელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნეს გულითადი ლტოლვა ერთმანეთისადმი მათაც, ვინც ერთად გადაიტანა სიცივეცა და შიმშილიც, ჩვენი ინდუსტრიის პირველი გიგანტების მშენებლობაზე. კამაზისა და ბამის ახლანდელი ახალგაზრდა მშენებლებიც პოვებენ ერთმანეთს შორის საიმედო თანამებრძოლებს, რომლებთანაც ნამდვილად შეიძლება დაუფიქრებლად წასვლა დაზვერვაზეც, პოლუსზეც და ქვეყნის კიდემდეც. თუმცა ისინი არ განიცდიან ისეთ გაჭირვებასა და სიძნელეებს, რაც მათმა წინაპრებმა გადაიტანეს. მიზეზი აქაც იგივეა: ისინი შეაკავშირა და ამ კავშირის სიმტკიცე გამოაწრთო საერთო, მაღალმა და კეთილშობილმა მიზანმა.

„ადამიანები ჩვეულებრივ მეგობრობას უწოდებენ დროის ერთად გატარებას, საქმეში ურთიერთდახმარებას, ემოციურების გაცვლა-გამოცვლას. ერთი სიტყვით, ისეთ ურთიერთობებს, სადაც თავშოთნეობას რაიმე გამორჩენის იმედი აქვს“ (ლა-როშფუკო).

შეტად მკაცრი აზრია არა, გამოთქმული იმ მოვლენებზე, რომელთაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც სრულიად ჩვეულებრივსა და ღირსეულსაც კი? რა არის ცუდი იმაში, რომ ერთი ეხმარება და მეორე იღებს ამ დახმარებას, ივი, თავის მხრივ, სხვა დროსა და სხვა სფეროში გამოადგება მას.

ახლა ურთიერთდახმარების შესახებ—განა ის კი აუცილებელი არ არის მეგობრობაშიც და სიყვარულშიც? განა მას არ ეფუძნება თანასწორობა, თანასწორუფლებიანობა და ჩვენი თანაცხოვრების სხვა კეთილშობილური მოვლენები? ანდა ერთად დროსტარება—განა ეს

მეგობრების ბუნებრივი მისწრაფება არ არის, რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ ერთად?

კაცობრიობის დიდ გენიათა ასეთი გამონათქვამები, რომელთაც ბევრს ნახავთ წიგნებში, ხშირად სულს უშფოთებს ახალგაზრდას, გვეს აღვძრავს საკუთარი თავის მიმართ: მაქვს კი მაღალი, წმინდა, უანგარო მეგობრობისათვის საჭირო მონაცემები. მეგობარ-ახლობლების დამოკიდებულების უანგარობაშიც ეჭვს შეგვატანინებენ თუკი ისინი ხშირად მოგვმართავენ ხოლმე თხოვნით და ხალისით იღებენ ჩვენგან დახმარებას.

როგორ დავაღწიოთ თავი ამ წინააღმდეგობას? ალბათ ერთ-ერთი შესაძლებელი გზა ასეთია: ცხადი გავხადოთ ჩვენთვის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობათა შინაგანი მოტივები. თუ სიახლოვის მიზანი სულიერი ერთობაა, უანგარო მისწრაფებანია, მაშინ ვერაფერი ვერ დააბრკოლებს და ვერ შებღალავს ურთიერთობას: ვერც ურთიერთმომსახურება, ვერც ურთიერთდახმარება. პირიქით, ისინი სულიერ მისწრაფებებს რეალობად აქცევენ არა სიტყვებით, არამედ საქმით; თუნდაც პირველ ხანებში ეს საქმე ნაკლებშინაარსიანი იყოს. მაგრამ თუ მომსახურება, დახმარება თავისთავად არის მიზანი, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს მეგობრობა კი არა — საქმიანი ურთიერთობაა. თუმცა ვინ იცის, დროთა განმავლობაში შეიძლება ეს ანგარებიანი დამოკიდებულებანიც ულაზეფელ მეგობრობაში გადაიზარდოს, სრულიად დაუჯერებელია ასეთ გარდაქმნათა გამორიცხვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ. ჩვენი დამოკიდებულებები არ არის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. იცვლებიან ადამიანები, იცვლება მათი ურთიერთკავშირის ხასიათიც. ამიტომ არ იქნება სწორი, რომ ბავშვობასა და ყრმობაში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, არასრულყოფილობის გამო, ნაჩქარევად გამოვუტანოთ მკაცრი განჩინები, შე ოპრების არჩევაც და თვითონ მეგობრობაც შესაძლოა ვიბრალოთ მხოლოდ თვით მეგობრული ურთიერთობის პროცესში. ეს კი შეიძლება მრავალნაირად გამოვლინდეს: შეიძლება გვქონდეს მეგობრობა— მომსახურება, მეგობრობა—მეტოქეობა, მეგობრობა — კომპანიონობა და მეგობრობა—აღსარების განდობა. მაშინ თითოეული ამ მოთხოვნილებათაგანი დაკმაყოფილებას პოულობს არა ერთ, არამედ სხვადასხვა ადამიანებში.

მეგობრობა—მომსახურება. ეს არის ურთიერთობის თითქმის ყველაზე თვალსაჩინო სახე იმ მოზარდებთან, რომლებიც გამოირჩევიან ფიზიკური ძალით და ძლიერი ნებისყოფით, ნიჭიერებითა და კულტურის დონით. ალბათ ყოველ კლასში მოიძებნება ასეთი სიმბიოზი— მეგობრებიდან ერთ-ერთი დამცველი და დასაყრდენია უფრო სუსტისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ერთგული პაჟია, თავისი მფარვე-

ლის თანამებრძოლია. ნიჭიერი, ავტორიტეტული, ბამოკვეთილი ლიდერი ხალისით უნაწილებს თავის დიდებას, თავის ცოდნა-ჩვევებს ნაკლებად ნიჭიერს. ამასთანავე მეგობრული ურთიერთობის ამ ვარიანტში ძლიერი სუსტს გულს კი არ უხსნის ნამდვილი თანამეგობრობისათვის, არამედ უფრო მოწყალედ რთავს ნებას იმეგობროს მასთან. აქ თანამებრძოლი მხოლოდ ფონია გამოჩენილი პიროვნებისათვის. თუმცაღა იმდენად აუცილებელი, რომ მასთან ვანშორება შეუძლებელია. „ხელმწიფე" ამალის გარეშე, როგორც ცნობილია, უკვე „ხელმწიფე" აღარ არის. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ვერც ვავარკვიოთ: ვინ ვის უფრო მეტად სჭირდება.

ამგვარი ურთიერთობის საფუძველს ყოველთვის წარმოადგენს ერთ-ერთის უპირატესობა (ზოგჯერ მატერიალური სახის უპირატესობაც კი:) მაგალითად, მოდური ნივთების, მუსიკალური ალბომების, „ჭინკებია" და სხვა მოცემული ასაკისთვის მიმზიდველი „საათამაშოების" ფლობა) და მეორის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები. ამ სახის მეგობრობა უფროსებთანაც ვეხვდება.

თქვენს ასაკს ასეთი თავისებურებაც აქვს: ამ დროს მიმზიდველია ყველაფერი ენერგიული, ძლიერი, ნათელი. ხმამაღალი, ეფექტური „წუნარი", „ჩუმი" ღირსებები — სიკეთე, თანაგრძნობა, პატიოსნება, თავმდაბლობა მცირედ ფასობს, ზოგჯერ სისუსტის ნიშნადაც კი არის მიჩნეული. აქედან მომდინარეობს ულმობელი დაცინვა მორიდებული „დედიკოს" ბიჭების მიმართ, ქედმაღლური უპატივცემულობა მორცხვი გოგონების მიმართ. ასეთები ჩვეულებრივ „ამალაში" ხვდებიან ხოლმე.

ვ. როზოვის პიესის — „ტრადიციული თავშეყრა" — პერსონაჟებმა, ყოფილმა თანაკლასელებმა, სამი ათეული წლის შემდეგ შეხვედრისას, ვერ იცნეს და ვერ შესძლეს გაეხსენებინათ ზოგიერთი თავისი ამხანაგი. არა იმიტომ, რომ ისინი ძალიან შეიცვალნენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად სწავლის მრავალი წლის მანძილზე, მათი მორიდებულობის გამო, თანაკლასელებს საშუალებაც კი არ ჰქონდათ კარგად გაეცნოთ ისინი. სწორედ ასეთები ჰქმნიდნენ „ფონს" ამ გამოშვების თვალსაჩინო პიროვნებებისათვის. მაგრამ, ერთმა, სწორედ ასეთმა „ფერულმა ჩიტუნამ" — ლიდამ, შემდგომ მიიღო უმაღლესი შეფასება, ცარეგნულ, ხმაურიან წარმატებებს მოკლებული მძიმე ცხოვრების პატიოსნად და ღირსეულად გავლისათვის; ეს იყო ცხოვრება. გავლილი ყოველგვარი მერყეობისა და წაბორძიკების გარეშე ყველაზე დაბლართულ ბილიკებზეც კი, ცხოვრება, რომლის განმავლობაშიც მას არავისთვის არ უღალატნია, საკუთარი თავისთვისაც კი.

მეგობრობა—მეტოქეობა: აქ ერთმანეთს ხვდებიან ტოლძალოვანი

ბენების ადამიანები. ისინი გამუდმებით გრძნობენ ერთმანეთისადმი მიზიდულობას, განსაკუთრებით თუ გატაცებები და სამუშაო ერთნაირი აქვთ. კარგი იქნებოდა, რომ ასეთები ყოველთვის ერთად იყვნენ. კლასი გაჭყვეტოდა მათ. მაგრამ, მაინ ურთიერთობა მდგრადი არ არის: წამოიწყებენ ერთად რაღაც აქციას, უცებ მოუვათ კამათი, დაიწყება თავმოყვარეობის თამაში, თავს იჩენს სწრაფვა ლიდერობისკენ, ერთმანეთისგან უსიტყვო მორჩილებისკენ, რაც იწვევს მათ გათიშვას. მათ ირგვლივ ირაზმება თანამოაზრეთა ჯგუფები, ფრაქციები. ერთმანეთზე ფიქრობენ, დარდობენ, ნაღვლობენ, მაგრამ შერიგებას არ ჩქარობენ. როგორც პოეტი ევტუშენკო ამბობს:

„ჩემს თავს ჩემო კარგო აი რა ხდება
ძველი მეგობარი სახლში აღარ მხვდება.
მსვდებიან... ამაოების მსახურნი...
სულისთვის უცხონი, უსახურნი“.

სრული დაცილებისთვის მაინც არ ჰყოფნით ძალა. მხოლოდ საერთო გატაცებამ ერთიდაიგივე გოგონათი შეიძლება წერტილი დაუსვას მათ ურთიერთობას. ასეთი რამ ხშირად ემართებათ მსგავსი ბუნების მოზარდებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ შეხვედრისას ყოფილი მეგობარი-მეტოქეები ხშირად ჭეშმარიტი მეგობრები ხდებიან: აღარ არის საჭირო „გაღლენის სფეროების გაყოფა“, ისინი უკვე გაყოფილია დროისა და ცხოვრების მიერ.

მეგობრობა—კომპანიონობა. ეს არის სკოლის გარეშე ინტერესებით გაერთიანებული გოგონებისა და ბიჭების კალეიდოსკოპი. აქ მეგობრობენ არა ერთი ერთთან, არამედ ჯგუფ-ჯგუფად, მათ აერთიანებს გატაცება ტექნიკით, სპორტით, ბუნებით. ამ გატაცებების მიღმა ინთოლული თავთავისთვისაა, მაგრამ როცა კი თავს ერთად მოიყრიან—გატრიბუნაზე, სპორტულ დარბაზში, ტექნიკურ სადგურში, ორანჟერეაში თუ სხვაგან — თავს უახლოეს მეგობრებად ეჭირნობენ.

არის კიდევ ერთი სახე კომპანიისა, რომელიც ჩვენი უმეტესობისათვის კარგადაა ცნობილი. მათში ურთიერთობის წევრების შერჩევა ხდება ზოგჯერ საკმაოდ სახიფათო და საეჭვო რეპუტაციის გასართობის, სიამოვნების და ნივთების მიმართ საერთო მიღრეკილების საფუძველზე. მოზარდების მთელი ბრბო ერთად არის ცეკვებზე, პარკებში, ქუჩებში. ერთადმყოფთათვის საშიში არ არის მოზარდების თავდასხმა მეტოქეთა ჯგუფიდან, ერთად უადვილდებაო „კონტროლის“ დაწესება უბანზე და მარტო მყოფთა თავის ნებაზე წაყვანა.

ამ სახის კომპანიონობაში, როგორც წესი, მოსალოდნელია ყოველგვარი ხიფათი და უსიამოვნებანი. ერთგვარი უსაფრთხოებისა და საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობასთან ერთად ის შიშსაც

ბადებს: თითოეულმა პასუხი უნდა აგოს არა მარტო საკუთარ შეცდომებზე, არამედ იმათ „დარღვევებზეც“, რომლებიც შემთხვევით გზად შემოუერთდნენ.

ასეთ კომპანიურ გაერთიანებებში მეტი პირობითობაა, ვიდრე ორთა შორის დამოკიდებულებაში. ხშირად პატარა გაერთიანებაში ხდება საერთო კოდექსის გამომუშავება და მის დამრღვევთა მკაცრი, ულმობელი დასჯა. ასეთ კავშირში შეხვლა ადვილი არ არის, ხოლო გამოსვლა კიდევ უფრო ძნელია. ზოგიერთ ჯგუფებში სახიფათოც კია. „ხროვა“ არ სწყალობს იმას, ვინც მათგან ჩამოშორებას ცდილობს (ეს სიტუაცია წარმოდგენილია ფილმში „ფიტული“).

გახსოვთ ჩვენი საუბარი რისკისა და ხიფათში საკუთარი მამაცობის გამოცდის ასაკობრივი მოთხოვნილების შესახებ? ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ იყო შენიშნული, რომ არც ერთი მოზარდი არასდროს მარტო არ გაებმება სარისკო საქმეში; მისთვის აუცილებელია თანამოაზრეები, რომლებიც თითქოსდა უბიძგებენ ერთმანეთს, აძლიერებენ და სამოქმედოდ აღაგზნებენ ერთმანეთში თავაშვებულობასა და აღვირახსნილობას. საერთო ცოდვებს, საეჭვო საქმეებს და გართობებსაც კი შეუძლიათ მტკიცედ დააკავშირონ ერთმანეთთან ადამიანები, თუმცა ასეთი კავშირები ერთ-ერთი ყველაზე სუსტთაგანია. გაეცოდა ადამიანი „ძნელი ასაკიდან“ და ის უკვე აღარ არის კომპანიაში: მონახა სხვა მფარველები, არანაკლებ ძლიერები, მაგრამ უფრო წესიერები, გადავიდა საცხოვრებლად სხვა რაიონში და აქაც ჩვეულებრივ კავშირები ირღვევა, თუ რა თქმა უნდა, „თამაში“, ძალიან შორს არ არის წასული.

ამ სახის კავშირ-მეგობრობათა მოგონება უფროსებს, როგორც წესი, არ უყვართ. მოწიფული ადამიანის მაღალი და მყარი პოზიციებიდან იქ ბევრი რამ მოჩანს სასირცხვილო, საეჭვო და აუხსნელი. ამგვარ „არტელებში“ ჩადენილ ორნაგებსა და თავგადასავლებს მალავენ თავის სკოლის მეგობრებისაგან ისინიც კი, ვინც იქ მოხვდა ცნობისმოყვარეობის, უნებისყოფობის, ბრმა წაბაძვის ნიადაგზე. თუმცა უფროსკლასელების უმეტესობას, ხშირად, ჰყავს თავისი ნდობით აღჭურვილი პირი, სულიერი მოძღვარი, მაგრამ არც მათ იციან მეგობრის ყველა „ჯამირობანი“.

არის კიდევ ერთი სახე მეგობრობისა: მეგობრობა—აღსარების განდობა. ამ დროს არაფითარი საქმეებით, ან გატაცებებით არ არიან დაკავშირებული ადამიანები — ერთადერთი მოთხოვნილება აერთიანებთ მათ: ისაუბრონ ერთმანეთან გულახდილად, სრული დარწმუნებულობით, რომ მათ ყურად გაუგებენ და შეუნახავენ განდობილ საიდუმლოს, რაც უფროსკლასელებს უკვე საკმაოზე მეტიც აქვთ. აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, სულიერ მოძღვრად მოზარდებს

ჰყავთ უფროსი თაობის ადამიანები — უმეტესად საყვარელი მასწავლებლები. ყველაზე სარისკო თემებზე საუბარიც კი, ამ შემთხვევაში, აკრძალული არ არის. მოზარდისგან, ამ დროს, დიდია ნდობაც და იმის ეშაოშაც, რომ არა მარტო მოგისმინონ, არამედ კიდეც დაგიჯერონ და შესატყვისადაც მოიქცნენ. ამ წიგნის ავტორს ჰქონდა ბედნიერება მცირე ხნით ემუშავა სკოლაში და მოეპოვებინა მოსწავლე გოგონების ნდობა. აღსარების შემცველ წერილთა მთელი გროვა გვიჩვენებს მათ მგზნებარე მისწრაფებას ეზიარონ სიმართლეს ცხოვრების შესახებ, საკუთარი თავის, თანატოლებისა და ახლობლების შესახებ.

ჯერ კიდევ იმ წლებში და შემდეგშიც მაწუხებდა კითხვა: რატომაა, რომ ბავშვობაში ჩვენც და მომდევნო თაობებიც ხალისით ანიჭებენ გულისნადებს თანატოლ-მეგობარს, მასწავლებელს, რედაქციის თანამშრომელ უცხო ადამიანებს, რომლებსაც წერილებს სწერენ იმის შესახებ, რაც აწუხებთ — მშობლებს კი არა? სავარაუდოა, რომ ზოზარდების აზრით ისეთ გონიერ, დადებით, მართალ ადამიანებს, როგორებადაც ისინი ჩვეულებრივ თვლიან თავის დედებს და მამებს, ცხოვრებაში იმის მსგავსი არაფერი არ შეიძლება მოხვლოდათ, რაც მათ აწუხებთ. ამიტომ ჰგონიათ, რომ ისინი ვერ გაუგებენ, არ აპატიებენ ბავშვობის შეცდომებსა და შეცოდებებს. თვითონ უფროსებიც ზოგჯერ თავისი სიმკაცრითა და მიუწვდომლობით ისეთ დაბრკოლებებს ქმნიან, რომელთა გადალახვისათვის დიდი ვაჟკაცობა და სიმამაცეა საჭირო. აბა გავიხსენოთ, როდის გავურბივართ მშობლებთან გულახდილობას? როცა გვინდა დავმალოთ პატარ-პატარა უმნიშვნელო ტელქობა-შეცოდებანი. თუ სერიოზული რამ დავაშავეთ, მაშინ კარგად ვიცით, სად არის ჩვენი დაცვა და საყრდენი. აი რას წერს ჭაბუკობის ასაკის ცნობილი მკვლევარი ი. ს. კონი: „ყირიმელი უფროსკლასელი ბიჭების ჯგუფის გამოკითხვისას, პასუხმა კითხვაზე: ვისთან ამჯობინებდნენ თავისუფალი დროის გატარებას, გვიჩვენა, რომ მშობლები აღმოჩნდნენ ბოლო, მეექვსე ადგილზე, გოგონებთან მეოთხე ადგილზე; ისინი აშკარად ანიჭებენ უპირატესობას თანატოლების კომპანიას. სამაგიეროდ პასუხმა კითხვაზე: „ვის მიმართავდი რჩევისათვის რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში“, — გვიჩვენა, რომ გოგონებიც და ბიჭებიც პირველ ადგილზე აყენებენ დედას, მეორე ადგილზე ბიჭებთან აღმოჩნდა მამა, გოგონებთან მეგობარი. სხვანაირად, რომ ვთქვათ ამხანაგებთან კარგია გართობა, მეგობრებთან— განცდების გაზიარება, მძიმე წუთებში კი სჯობს მივმართოთ დედას.“

ყურადღება უნდა მივაქციოთ მოზარდობის ასაკის ასეთ ზოგად ნიშანსაც: ხასიათსა და ქცევაში ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების, განწყობილებათა, მისწრაფებათა ურთიერთშერწყმას. ადამიანის ცხოვრებაში არ არსებობს უფრო მეტად წინააღმდეგობრივი პერი-

ოდი. გოგონა—ქალიშვილი და ბიჭი—ჭაბუკი მწვავედ და ავადმყოფურად ამსხვრევს ნათესაური, მშობლიური მეურვეობის ბორკილებს და. იმავე დროს, სიამოვნებით იბორკავს ხელფეხს მეგობრების კომპანიის მკაცრი წესებითა და მოთხოვნებით, ამ ასაკში ყველას აქვს მიხწრაფება თავი წარმოადგინოს მოწიფულ ადამიანად და, ამასთანავე ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გარეგნული შესახედაობით, ჩაცმულობით, ვარცხნილობით, ქცევის მანერით, გემოვნებითა და გატაცებით მკვეთრად განსხვავდებოდნენ უფროსებისგან. მიისწრაფვიან ინდივიდუალობისაკენ, იმისკენ, რომ სხვას არ ჰგავდნენ, ერთდროლად მიილტვიან თანატოლთა მასასთან შერწყმისაკენაც და მისგან გამოყოფისკენაც, სურთ იყვნენ აღიარებული, „თავისი“ ნაცნობ-მეგობართა წრეში. „მოზარდები ნამდვილი „მონები“ არიან „ნორმებისა“. ისინი დარწმუნებული არიან რომ ცხოვრების ყველა შემოხვევას აქვს თავისი უნივერსალური წესი და ძალიან შიშობენ არაფერში არ ჩამორჩნენ თანატოლებს.“ — წერს ი. ს. კონი. გამოდის რომ თქვენთვის უფრო ადვილია, წინააღუდგეთ უფროსების (მათ შორის მასწავლებლების) მოთხოვნებს, ვიდრე მეგობრის მოთხოვნებს; მაშასადამე, არავითარ განსაკუთრებულ მამაცობას და დამსახურებას არ წარმოადგენს, როცა უფროსს ეუბნები „არას“. უთხრა მეგობრებს „არა“, როცა მათი მოთხოვნები ეწინააღმდეგება პატიოსნებასა და სიმართლეს — აი ეს არის ჭეშმარიტი სიმამაცე ამ წლებში. სამართლიანად უწოდებდა ლევ ტოლსტოი ამ ასაკს—„ყრმობის უდაბნოს“: გზა, გამოკვეთილი ზნეობრივი ორიენტირების გარეშე, ბნელში ხეტიალი, მაკრამ ვაი, რომ მისი შვილებიც ვერ ასცდებიან ამ უდაბნოს გავლას.

„მძიმედ გადავიტანე ჩემი ყრმობის წლები. ბევრი ახირებული და მტანჯველი რამ მიფორიაქებდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ცნობიერებას, წამოიჭრა საკითხები, რომლებიც არასდროს არ მომსვლია თავში, ვიდრე ბავშვი ვიყავი — სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი; დამოკიდებულება რელიგიასთან, სამშობლოსთან, მშობლებთან... ფულის, ხელოვნების, სქესთა შორის დამოკიდებულების საკითხი — ყველაფერში უნდა გავრკვეულიყავი თვითონ, მარტო, სხვისი გამოცდილება მე არ მჭირდებოდა.

ადრეულ ახალგაზრდობაში ყოვლისშემძლედ განიცდი თავს და საკუთარ ამაყ თვითდაიმედებულობაში არ გსურს არავის რჩევა და მითითებანი, გინდა ყველაფერი გადაწყვიტო დამოუკიდებლად“ — აი, ლევ ტოლსტოის ქალიშვილის ტატიანას აღსარება, რასაც ადასტურებენ მისი ძმებიც — სერგეი და ილია. თითქოს მათ არ უნდა ჰქონოდათ სიძნელეები, ამაყ მარტოობაში არ უნდა დასჭირვებოდათ ყოფიერების ურთულესი საკითხების გარკვევა, რადგან გვერდით ჰყავ-

დათ ბუმბერაზი, რომელთანაც რჩევისათვის მოდიოდნენ მთელი ქვეყნის უნიჭერესი ადამიანები. მაგრამ არა, ყველაფერი თვითონ უნდა გაერკვიათ. ისინიც, მსგავსად უბრალო მოკვდავთა შვილებისა, იტანჯებოდნენ სულიერი წყურვილისაგან, თუმცა ოაზისში ცხოვრობდნენ, თავგზა ებნეოდათ, მირაჟს სინამდვილედ მიიჩნევდნენ, სჯიდნენ თავის თავს გამოკვეთილი პრინციპების უქონლობისთვის, იმპულსურობისთვის, ქცევისა და რეაქციების შემთხვევითობისთვის. თანატოლების გადამდებ გავლენისაც ვერ გაუწიეს მათ წინააღმდეგობა.

ტატიანა იგონებს მამის ნათქვამს: „ის ამბობს, რომ ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი გადის იმაში, რომ ჩვენ ვცდილობთ ვგავდეთ ფიფი დოლგორუკაიას და, რომ ჩვენ საუკეთესო გრძნობებს მსხვერპლად ვწირავთ როზელიმე კაბას. მე მას ვუთხარი, რომ სრულიად ვეთანხმები და ყველაფერი ეს მესმის გონებით, მაგრამ ჩემი სული მაინც გულგრილია ყოველივე კარგისადმი და სიხარულით ხტუნვას იწყებს, როცა ახალ კაბას და ახალ ქუდს დამპირდებიან. მამამ მითხრა: „მაშინ იქონიე კაბები როგორიც გინდა... მაგრამ პრინციპი, რომელიც შენ გაიგე და თავში გაქვს, მაინც გაკეთებს თავისას.“

რასაკვირველია, ლევ ტოლსტოის უფროსმა შვილებმა ნაკლები დანაკარგებით გადალახეს „ყრმობის უდაბნო“. მამამ სახიფათო ასაკის დადგომამდე მიიჩვია ისინი გამუდმებულ თვითგამოკვლევას, თვითშეფასებას, სისუსტეთა დაძლევას. აშაშია დამსახურება ადამიანისა, რომელსაც არ დავიწყებია ოდესღაც გადატანილი სულიერი დაძაბულობა და კრიზისები, რომელიც ცდილობს რა. მსგავსად ყველა მშობლისა, დაიცვას შვილები თავისი შეცდომებისაგან, მაინც ახერხებს იყოს სულგრძელი და აპატიოს გაუგონრობა, აპატიოს ის, რომ მათ მოინდომეს საკუთარ გამოცდილებაში გავტარებინათ ყველა ის ტკივილი და სიხარული, რაც ამ ურთულეს ასაკს ახასიათებს. თუმცა ტოლსტოის შვილებიდან უფროსი სერგეი თავის მოგონებებში გვიამბობს: მისი მამისთვისაც მეტად მძიმე იყო იმ ფაქტთან შეგუება, რომ მისი ვაჟი, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა თავისი საკუნის მასწავლებლების რეკომენდაციებს, არ მიჰყვებოდა მამის რჩევას ადამიანურ ურთიერთობათა საკითხებში.

— რას მოგვცემს ჩვენ, ბავშვობიდან ყრმობისა და ჭაბუკობისაკენ გარდამავალ პერიოდში ჩვენი ხასიათის სიძნელეთა შესახებ ეს მოტანილი ცნობები? — იკითხავთ ალბათ თქვენ.

პირველ რიგში, დაეხმარებათ მშობლებთან დამოკიდებულებაში აღმოცენებული დაძაბულობისა და კონფლიქტურობის სათავეების სწორად გარკვევაში: ზეიდა და მამა კი არ გახდნენ სხვანაირები, უარესები, როგორც ზოგჯერ თქვენ გეჩვენებათ ამ პერიოდში, არამედ თქვენ თვითონ შეიცვალეთ. ეს ცვლილებები ავადმყოფურად განიც-

დება მთელი ოჯახის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ის, ისევე ბუნებ-
ოვანია, როგორც მაგალითად კბილების ამოსვლა. გარდა ამისა, ეს სა-
ჭირო ცოდნა, კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი გრძნობებისა
და ქცევისადმი, ნებას არ მოგცემთ გული ატკინოთ თქვენთვის ძვირ-
ფას, უდანაშაულო მშობლებს, რომლებიც თქვენთან ერთად, ერთხელ
კიდევ განიცდიან (უკვე განცდილ) თქვენს სიძნელეებსა და გატაცე-
ბებს. როცა უფროსებსაც და უმცროსებსაც ეცოდინებათ არა მარტო
ის, რაც ახლა ხდება მოზარდში, არამედ ისიც თუ სადამდე შეიძლე-
ბა მიგვიყვანოს ახლანდელმა საკუთარი თავის ძიებამ, შეიძლება თა-
ვიდან ავიცილოთ ბევრი უბედურება, რომელსაც ზოგჯერ მოჰყვება
ადამიანის აუწყობელი ცხოვრება. ბოლოს და ბოლოს, იქნებ შერბილ-
დეს ახალგაზრდობის ასაკის ზოგიერთი შეცდომა.

აქ უპრიანია ა. ს. მაკარენკოს სიტყვების გახსენება იმის შესახებ,
თუ რა როლს თამაშობს მეგობარ-ახლობლებთან დამოკიდებულება
„მოწიფული სიყვარულისთვის" მოზარდის მომზადებაში: „ახალგაზ-
რდა კაცს არასდროს არ ეყვარება თავისი საცოლე თუ ცოლი, თუ მას
არ ჰყვარებია თავისი მშობლები, ამხანაგები, მეგობრები. და რაც უფ-
რო ფართოა ამ არასქესობრივი სიყვარულის სფერო, მით უფრო კე-
თილშობილი იქნება სქესობრივი სიყვარული."

აი, კიდევ რატომ არის სამართლიანი ანდაზა მეგობარზე: „მითხა-
რი ვინ არის შენი მეგობარი..." ეს შეიძლება გამოვიყენოთ პიროვნე-
ბის დახასიათებისთვის მის სხვა როლებსა და გამოვლინებებშიც. მი-
თხარი ვინ არის შენი მეგობარი, რა სულიერი თვისებები გაკავშირე-
ბენ მასთან, რა ინტერესები კმაყოფილდება ამ დროს, ურთიერთობის
რა წესები და ნორმები გაქვთ და მე გეტყვი, როგორი მეოჯახე იქნე-
ბი შენ. დაჩაგრავ, დაამცირებ მოყვარულ ერთგულ, არსებას თუ და-
აფასებ, პატივსა სცემ და აამაღლებ. სხვის ზურგს უკან დაემალები
მოსალოდნელ საფრთხეს, თუ დაიცავ ძვირფას ადამიანს და ბედის
დარტყმებს საკუთარ თავზე მიიღებ და ა. შ.

თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ მეგობრობის შესახებ საუბარში
ჩვენ თითქმის არ გასხვავებთ თქვენი თანატოლების დამოკიდებულე-
ბათა ხასიათს სქესობრივი ნიშნის მიხედვით. მეგობრობენ მოზარ-
დები, — ეს არის და ეს. თითქოს პატარა გოგონა და ბიჭი ერთსქე-
სიანი არსებებია, ანდა განსხვავებულობას მნიშვნელობა სულაც არა
აქვს. სინამდვილეში ჩვენ, უფროსებმა, და თქვენ, ახალგაზრდებმა,
ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს არ არის სულ ერთი. ასე რომ იყოს,
ამდენ დავას და კამათს არ გამოიწვევდა საკითხი იმის შესახებ, შეიძ-
ლება თუ არა ნამდვილი მეგობრობა თანატოლ გოგონასა და ვაჟს შო-
რის.

მეცხრე კლასისათვის თქვენ ამ თემაზე დისკუსია უკვე შეწყვი-

ტეთ: ეს ვეექვსე-მეშვიდე კლასელების საქმეაო. თქვენთან თითქოს უკვე ყველაფერი მეტნაკლებად გარკვეულია. მაგრამ განა მართლაც საბოლოოდაა უკვე გარკვეული თქვენთვის ყველაფერი? ხომ არ აღმოცენდება ისევ ეს პრობლემა, როცა ახალი დამოკიდებულებები მოითხოვენ ჩაფიო ფორმულირებას?

„ბიჭი გოგონასთან მეგობრობდა,
ბიჭი მეგობრობას უფრთხილდებოდა...“

ს. მიხალკოვს აქვს ლექსები, რომლებშიც მოთხრობილია, როგორ დაიმსხვრა გოგონასა და ვაჟს შორის წმინდა, ალალი, გულწრფელი მეგობრობა ხალხის უკბილო ხუმრობების, უადგილო ქირქილისა და ბოროტი მითქმა-მოთქმის გამო.

„როგორც ნაცნობი და ამხანაგი
მხოლოდ და მხოლოდ, და არ სხვა გრძნობით...
სახლის კარამდე აცილებდა ის ერთ გოგონას
გვიანი ღამით...“

ამ სიტუაციაში ყველაფერი ნაცნობია, მსგავსია იმისა, რაც ყველას განუცდია. და, მაინც, მთლად ზუსტი არ არის. არც ამხანაგს არც მეგობარს და, მით უმეტეს, არც ნაცნობს, არავინ არ აცილებს სახლის კარამდე სისტემატურად გვიანი ღამით. არ აცილებენ არც მეგობარ-ბიჭებს, არც მეგობარ გოგონებს. ნახევამდის, და დაიშლებიან სახლებში. ორსქესიანი მეგობრობის ხასიათში გვეძლევა სქესობრივი ქცევის ელემენტი: გოგონა არ გააცილებს მეგობარ ვაჟს სახლის კარამდე არავითარ გარემოებაში, ბიჭიც არ მისცემს მას ამის საშუალებას. გააცილოს, ჩანთა წაუღოს, ჩხუბში ჩაებას მისი ვულისთვის და სხვა. „ცემირობების“ ჩადენა ერთი მხარის საქმეა, მეორე მხარე მადლობის გრძნობით იღებს ყოველივე ამას, უპასუხებს ალერსიანი ყურადღებითა და თანაგრძნობით.

უდავოა, რომ გოგონასა და ბიჭს შორის ისევე, როგორც ქალსა და მამაკაცს შორის შესაძლებელია იყოს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება — ნაცნობობის, ამხანაგობის, თანამოაზრეობის, თანამებრძოლობის და კოლეგიალური. ეს კავშირები შეიძლება იყოს ღრმა, ქმედითი, პასუხისმგებლური, მაგრამ მეგობრობის საკითხი უფრო რთულია. ის ხომ მაინც ძლიერი გრძნობაა.

როგორც ჩანს, ორსქესოვანი მეგობრობა ყრმობისა და ახალგაზრდობის პერიოდში მხოლოდ სტადიაა, გარდამავალი ეტაპია ამხანაგურ-ახლობლურ დამოკიდებულებებსა და სიყვარულს შორის. სწორედ ამ გაურკვევლობის, დაუცველობის, ადვილი მსხვრადობის გამო ეს მდგომარეობა საჭიროებს სათუთ და გულისხმიერ ყურადღე-

ბას, თანატოლებისა და, მით უმეტეს, უფროსების მხრიდან. სრულიად მართალია პოეტი, როცა მიიჩნევს, რომ მხოლოდ სულელებსა და ნაძირალებს შეუძლიათ დასცინონ და აბუჩად აიგდონ ის, ვინც განიცდის მეგობრული თანამონაწილეობისა და ჩრუნვის მშვენიერ და ნავალი ქალისა და მამაკაცის გრძნობების საჭყაროს. ამ დროს გაცეთელ გრძნობას, რომელიც შემდგომში დიდად განსაზღვრავს მომავით უნდა შეეხედოთ არა მას, ვისაც დასცინიან, არამედ იმას, ვინც დასცინის. უკბილოდ ხუმრობს: ჩანს სულერ განვითარებაში რაღაც არა აქვს ბოლად წესრიგში.

ს. ვ. მიხალკოვს ეს ლექსები აქვს წიგნში „ყველაფერი იწყება ბავშვობიდან". როგორც ჩანს გრძნობდა, რომ მკითხველს უეჭველად გაუჩნდებოდა ეჭვი: იყო კი ნამდვილი მეგობრობა თუ სულელურმა დაცინვებმა შეძლო მისი ჩაკვლა. ამიტომ შოაქვს მას თავისი ახალგაზრდა მკითხველის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ის აგრძელებს მეგობრობას გოგონასთან მიუხედავად ხალხის მიერ შერქმეული ყველა შეურაცხყოფელი მეტსახელისა. უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ნებისმიერმა გრძნობამ, ნებისმიერმა ადამიანურმა ღამოკიდებულებამ ეკიაროს ცხოვრებისეული გამოცდა, სხვანაირად ვერ გავიგებთ რა ღირებულება აქვთ მათ. ალბათ გამოცდა საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით, მით უმეტეს, დამცინავით, ყველაზე მძიმე უნდა იყოს. ტყუილად არ არის ნათქვამი „ბოროტი ენა პისტოლეტზე საშიშიაო". ის ხშირად ძირს სცემს არა მხოლოდ გამოუცდელ ყმაწვილებს, რომლებიც ფეხზე ძლივს დგანან, არამედ საკმაოდ მტკიცე, მოწიფულ ადამიანებსაც.

გაუფრთხილდეთ ერთმანეთს. ისეთი კეთილშობილური გრძნობები, როგორიცაა მეგობრობა, ამხანაგობა — კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია.

პირველი სიყვარული

ალბათ მიხვდით, რატომ არა აქვს წინა ნაწილს ბოლოში დართული საშინაო დავალება. იქ განხილული საკითხების უმეტეს ნაწილზე თქვენ ყოველდღიურად მსჯელობთ. დარწმუნებული ვართ, რომ სპეციალური დავალების გარეშეც განაგრძობთ დაწყებულ საუბარს თქვენს თანატოლებთან და შესაძლოა მიაკვლიოთ კიდეც მეგობრულ დამოკიდებულებათა ახალ მხარეებსა და ვარიანტებს.

ჩვენ კი გადავიდეთ ახალ საკითხზე, რომელიც განსაკუთრებით ღრმად იჭრება თქვენი თანატოლების სულში და აღელვებს მათ. მრავალრიცხოვანი გულითადი გატაცებებიდან, „ვიღაცის" გამო სული-

ერი შფოთვა-წუხილიდან, რომელს შეიძლება ეწოდოს პირველი სიყვარული? როდის იჩენს ის თავს და რითი განსხვავდება მეორისაგან, მესამისაგან? რაკი არის „პირველი“, გაგრძელებაც ხომ უნდა ჰქონდეს სათვალავს. წინაალმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა გველაპარაკა მხოლოდ ერთადერთ სიყვარულზე, როგორსაც განიცდის მაგალითად ფილმის „გთხოვთ, ჩემს სიკვდილში დამნაშავედ სცნოთ კლავა კ“ გმირი, რომელსაც გოგონა შეუყვარდა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, ეს გრძნობა წეუნელებლად ატარა მრავალი წლის მანძილზე — ჭაბუკობის ასაკამდე, სადაც თავდება ფილმი. სრულიად შესაძლოა ეს გრძნობა მარადიულად გაგრძელდეს.

„მე ერთმან, ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვემონეი მტკიცედ და მყარად.
მე იგივე ვარ მარად და მარად,
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად.
(ალექსანდრე ჭავჭავაძე)

ასეთი სიყვარული—ოცნებაა, იდეალია ყველა დროისა და ხალხებისათვის. მაგრამ, ამასთანავე, როგორც იდეალური მეგობრობა, — ისიც რჩეულთა ხვედრია, ბედის წყალობაა მხოლოდ. უმეტეს შემთხვევაში კი მოწიფულობის წლების პირველი სიყვარულის შესახებ პოეტური მოგონებები სევდანარევი შარავანდედითაა მოსილი. იმიტომ, რომ მას ჰქონდა მშვენიერი დასაწყისი და ნათელი გაფურჩქვნის პერიოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჰქონდა გარდაუვალი აღსასრულიც. წინაალმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, მას სხვა სახელი ექნებოდა.

იყო თუ არა ეს სიყვარული? ამის შეფასებაც ჩვენ მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეგვიძლია იმიტომ, რომ ადამიანის ცული ძალიან ადრე იწყებს თავის იდუმალ და მღელვარე მუშაობას. ჩვენი პირველი სიყვარულის და აღტაცების საგანი, არსებითად, არის არა ლამაზი გოგონა ან საინტერესო ბიჭი, არამედ... ჩვენი დედ-მამა. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ ძველი ფილოსოფოსები. ჩვენი თანამედროვე, ამერიკელი ექიმი ბენჯამენ სპოკი, რომლის წიგნები ბავშვის აღზრდაზე და ქორწინებისთვის მომზადებაზე ფართოდაა ცნობილი ბთელ მსოფლიოში, გვარწმუნებს: ბავშვები სამიდან ექვს წლამდე წარმოისახავენ ქალისა ღა მამაკაცის რომანტიულ იდეალს, რომლის პროტოტიპებიც არიან დედა და მამა. მომდევნო გატაცებები არაცნობიერად შეფარდებული იქნება ამ ეტალონთან.

თუ ბავშვს ბედი არ სწყალობს და მშობლებთან არა აქვს ნაზი ურთიერთდამოკიდებულება, თავისი იდეალის ძებნას ის ღაიწყებს მშობლების საპირისპირო ბუნების ადამიანებში. ე. ი. ეძიებს უკვე „ანტიდედას“ და „ანტიმამას“.

ახლა ისიც გავიხსენოთ, რამდენჯერ შეფართხალებულა ჩვენი ბუ-ლი სკოლის წლებში, ბევრად უფრო ადრე, მასთან შეხვედრამდე? შე-იძლება განა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი გამოცდილებისათვის? მაგალითად, მოწიფულობის ასაკში ვის არ ახსენდება დრო და დრო ის ძლიერი მღელვარება, რომელიც განუ-ცდია პირველ კლასში, როცა მისთვის ყველაზე კარგი, ლამაზი და კე-თილი იყო (ბოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც) მისი პირველი მას-წავლებელი. როგორ გვინდოდა, რომ სხვებზე მეტად ჩვენთვის მოექ-ცია ყურადღება, ვყვარებოდით მხოლოდ ჩვენ!

ერთმა მოხუცმა ქალმა გაგვანდო, რომ მას დღემდე ახსოვს, რო-გორ ტიროდა ეჭვიანობისაგან, როცა მასწავლებელი სხვებს თავზე ხელს უსვამდა, როგორ სძულდა მასწავლებლის ქმარი იმ უხეში ტო-ნისათვის, რომელითაც ის მიმართავდა პირველკლასელების კერპს, რამდენნაირი ხრიკებისა და შურისძიების გეგმებს აწყობდა, რომ უხეშ კაცს როგორმე მიეტოვებინა მისი საყვარელი მასწავლებელი, ბოგონას ყველაფერი ხიბლავდა მასწავლებლის: გარეგნობა, ხმა, ღიმილი, სი-არულის მანერა. როცა შემდგომ მეხსიერებისა და ფოტოგრაფიის სა-შუალებით აღადგენენ ხოლმე ნამდვილ, არა იდეალიზირებულ პორ-ტრეტს, აღმოჩნდება, რომ მას არავითარი მსგავსება არა აქვს ბავშვუ-რი სიყვარულისა და ფანტაზიის საფუძველზე შექმნილ სურათთან. ყველაფერი ისეა, როგორც უფროსების სიყვარულში: იგივე თვით-მოტყუება, იგივე ეჭვიანობა და თავის შეწირვა.

შემდეგ მასწავლებლის აღგილს იკავებს რომელიმე წიგნის გმირი, მომღერალი, მსახიობი, სპორტსმენი. იწყება სხვა სახის თაყვანის-მცემლობა არანაკლებ ხანგრძლივი და მგზნებარე. თავგამოდებით აგ-როვებენ ფოტოსურათებს, მაგნიტოფონურ ჩანაწერებს, სტატიებს, მაისურებს, ჩანთებს, „კერპის“ გამოსახულებით. ბევრ რაიმეს, აუცი-ლებელსაც კი იკლებენ, ოღონდ ერთხელ კიდევ დაინახონ (მოუს-მინონ) ის, რომელმაც დაატყვევა მათი გული და ბონება, დაეუფლა მათ ფანტაზიას. მაგრამ ეს გატაცებაც ბაიელის, ახალი კერპი ჩრდი-ლავს წინამორბედს. განა ყველაფერი ეს არა ჰგავს პირველ სიყვა-რულს?

ან იმაზე რას იტყვით, რომ ბეექვსეკლასელთა არც ერთ თაობას არ ეცდენია პაემანები, წერილები, საიდუმლოებანი, რომლებიც ჩვეუ-ლებრივ ყველასთვის ცნობილია. აქაც ეჭვიანობა, ფიცი, ჩხუბი, ცრემ-ლები... მეორე დღეს კი ყველაფერი დავიწყებულია.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ უფროსკლასელები შე-იძლება ერთდროულად იყვნენ გატაცებულნი რამდენიმე თანატოლით და უფროსებითაც კი მშობლების ნაცნობ-მეგობრების წრიდან. მაგრამ

ინვიათად თუ ვინმე ახერხებს მორიგი გატაცების სიღრმის, უტყუარობის, ხანგრძლივობის წინასწარ ზუსტად გაზომვა-შეფასებას.

მოითმინეთ, იტყვით თქვენ—ახლა ხომ ათწლიანებისთვისაც ცნობილია, რითი ვანსხვავდება სიყვარული ფანტაზიის მთელი ამ ბავშვური ნაგებისაგან.

ვფიქრობთ, რომ არ არის ცნობილი. ბავშვები კი არა და უფროსებიც ვერ ვარკვეულან ყველაფერში: რა რა არის. ა. ბერცენი პირველი სიყვარულის ძირითად თავისებურებას ხედავს იმაში, რომ ის „ივიწყებს სქესთა განსხვავებულობას". ბევრი პოეტი და ლიტერატორი ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებას, თუმცა მათთვისაც ცნობილია, რომ ფიზიკური სიახლოვის, ალერსის და კოცნის მოთხოვნილება არულიადაც არ ნიშნავს სიყვარულის მოსვლას, ის შეიძლოდ სქესობრივი მიმწოფების დაწყებაზე მიუთითებს.

დროებით შევწყვიტოთ ჩვენი მსჯელობა და შევთანხმდეთ, რა შინაარსს ვდებთ ამ უსასრულოდ დიდი ტევადობის სიტყვაში — „სიყვარული". ბევრ ენაში ამ ერთი სიტყვით აღინიშნება სრულიად განსხვავებული ცნებები, როგორიცაა, გატაცება ნივთებით, საჭმლით, საქმით, ოჯახით, სახლით, ხელოვნებით; ამ სიტყვით აღინიშნება ნათესავებთან, მშობლებთან და გულის რჩეულთან მიჯაჭვულობა, იდეისა და საშობლოს სამსახური. ყველა ამ გრძნობასა და დამოკიდებულებას სიყვარული ჰქვია. მართალია ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს განსხვავება სიტყვის შინაარსში, მაგრამ მისი მრავალმნიშვნელოვანი ხმარებისას შესაძლოა კარგუსები, როგორც, მაგალითად, ასეთ თქმაში: „მე მიყვარს ჩაის სმა ცოლთან და მურაბასთან ერთად." იმისათვის, რომ კარგად გვქონდეს წარმოდგენილი რომელ გრძნობას ეხება საუბარი, ვცადოთ ამ ცნების დაზუსტება.

ამ საკითხის ცნობილმა მკვლევარმა, საბჭოთა მწერალმა ი. ბ. რიტერიკოვმა თავის წიგნს — „სამი მისწრაფება" ეპიგრაფად წუმძღვარა ციტატა სიყვარულის ძველაღმოსავლური ტრაქტატიდან:

„სამი წყარო აქვს ადამიანის მისწრაფებას

სული, გონება და სხეული.
სულთა ურთიერთმისწრაფება ბადებს მეგობრობას.
გონების მისწრაფებები ბადებს პატივისცემას.
სხეულის მისწრაფებები კი აღძრავს სურვილს.
სამივე მისწრაფების ერთიანობა ბადებს სიყვარულს".

(„ატმის რტოები")

როგორც ჩანს, ადამიანური სიყვარული არის ფიზიკურ, სულიერ და ინტელექტუალურ მისწრაფებათა განუყოფელი ერთიანობა, მიმართული ერთ ობიექტზე ამასთანავე. მწერალი თავის წიგნში გვაფრთხილებს არც ერთს ამ სამთაგან არ მივცეთ უპირატესობა დანარჩენი

ორის ხარჯზე. მისი აზრთი, სიყვარულში ყველაფერი თანაბარწონიშ-ვნელოვანი, თანაბარღირებულია. ამ მისწრაფებათა დაყოფა სხვადას-ხვა რანგებად — დაბალი და მაღალი — არის ევროპელი ხალხების მორალსა და ჩვეულებებში ქრისტიანული რელიგიის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგი. ქრისტიანობა ყველა სამუალებით, მათ მორის ხელოვნების ყველა სახის ზემოქმედებით ნერგავდა შეხედულებას, რომ სხეულებრივი მოთხოვნილებები სასირცხვილო, ჭუჭყიანი, ცოდვისმიერია.

ჰუმანისტი-ათეისტები გაძლიერებით ებრძოდნენ ასეთ შეხედულებას, რომელიც ამცირებდა ბუნებრივ ადამიანურ გრძნობებს. მაგრამ მხოლოდ ფიზიკურ მოთხოვნილებებს, სულისა და გულის შუქით გაკეთილშობილების გარეშე, კონებით რეგულირების გარეშე ისინიც დაბალი რიგის მოვლენად მიიჩნევდნენ. ალბათ ძველაღმოსავლური ტრაქტატიდან ამოღებულ ციტატაშიც ალბათ ვევით არ არის პირველ რიგში დაყენებული სულიერი და ინტელექტუალური მისწრაფებები.

ანატომიის კურსიდან და სქესობრივი ჰიგიენის შესახებ ლექციების ციკლიდან, თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენ ყველანი განვიცდით სხვადასხვაგვარ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს: ჭამა-სმის, სუფთა ჰაერის, თავშესაფარის, ძილ-ღვიძილის მონაცვლეობის, დაძაბულობა-მოდუნებულობის, დაბოლოს, საკუთარი გვარის გაგრძელების მოთხოვნილებას. ეს პირველადი და საყოველთაო მოთხოვნილებები დამახასიათებელია არა მარტო ადამიანისთვის, არამედ ცხოველებისთვისაც. მაგრამ არის კიდევ მოფერების, ყურადღების, ზრუნვის მოთხოვნილება, მოთხოვნილება იმისა, რომ ჩვენ თვითონ ვიღაცას მოვეფეროთ, მეურვეობა გავუწიოთ, ვიღაცაზე ვიზრუნოთ. ეს მოთხოვნილებები აქვთ ზოლოდ მაღალორგანიზებულ არსებებს.

სხეულებრივი, სექსუალური სიახლოვის სურვილი მოთხოვნილებათა ამ რეესტრში ცხოველებთან თამაშობს დაქვემდებარებულ როლს, მომსახურების როლს; ის ზოლოდ საშუალებაა ისეთი მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელებისთვის, როგორიცაა გვარის გაგრძელება. ადამიანურ თანაცხოვრებაში, ეს ეგრეთწოდებული ცხოველური ინსტინქტები, როგორც წესი, სოციალიზირებულია, გაკულტურებულია აღზრდით. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, რომელშიც მოევლინა ქვეყანას ბავშვი, რაც უფრო მაღალია მისი ახლო ნათესავების სულიერი კულტურა, მით უფრო რთული ფორმით გამოვლინდება ბუნებრივი მოთხოვნილებანი და ინსტინქტები.

ადამიანები თავის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ორიენტაციას იღებენ სოციალური ეარემოს მიერ დადგენილ წესებსა და ნორმებზე. ზოგიერთები ცვლიან ამ წესებს, თუმცა

ისინიც, უმეტეს შემთხვევაში, მთლად ახალს კი არ იგონებენ, არამედ გადმოაქვთ ის, რაც მიღებულია სხვებთან.

ბუნებრივია, რომ საყოფაცხოვრებო ქცევის ხასიათში ცვლილებები შეაქვს ტემპერამენტს, კონკრეტული ინდივიდის თავისებურებებს, პიროვნების ძალასა და მასშტაბურობას. ერთთან ფიზიკური მოთხოვნილებები თრგუნავენ სულიერ მისწრაფებებს. მაშინ ისეთი ძლიერი, ენერგიული, თითქოსდა დამოუკიდებელი პიროვნების შესახებაც კი, როგორიც იყო პუშკინის ალეკო, სინანულით ამბობენ:

„მაგრამ, ოჰ, როგორ სტანჯა, აწამა,
ვნებამ მორჩილი არსება მისი.“*

ცნობილია, საწინააღმდეგო მოვლენებიც: ამაღლებული იდეალები თრგუნავენ გრძნობად მისწრაფებებს და სიყვარული ვერ აღწევს მიწიერ განხორციელებას. ჩვენ ყველანი და ყოველთვის რომ განვიცდიდეთ მხოლოდ უსქესო მისწრაფებას, მაშინ ადამიანის ევარი გადაშენდებოდა. თვითონ ცხოვრებაც გაღარიბდებოდა, დაკარგავდა წარმტაც ფერებს. გადავხედოთ დედა-ბუნებას: საქორწინო ცერემონიის დროს ყოველ სულდგმულს ამშვენებს ნაირფერი მორთულობა, სამყაროს ავსებს ტკბილი გალობა და ვნებიანი ხმები. დედამიწის სილამაზე — სიყვარულის ხილული განსახიერებაა.

მაგრამ, კვლავ უნდა აღვნიშნოთ რომ, ცხოვრება სინამდვილეში ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი ყველაზე სწორი თეორია და სქემა. ადამიანურ ურთიერთობათა პრაქტიკაში იშვიათად შეხვდებით ტოლფასოვნად და თანაბარმნიშვნელოვნად გამოხატულ მისწრაფებებს. ყოველთვის რაღაც ჭარბობს, რაღაც უფრო სუსტადაა გამოხატული. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ სიყვარულის რამდენიმე ტიპის არსებობაზე; როცა ჭარბობს სურვილი-ნდომა ეს არის სიყვარული-ვნება; როცა ჭარბობს გულითადი სწრაფვა მაშინ გვაქვს — სიყვარული-პატივისცემა, არის კიდევ სიყვარული-მოვალეობა. რასაკვირველია ასეთი დაყოფა მეტად პირობითია და ყოველ თქვენგანს შეუძლია თავის გრძნობა რაღაც სხვა სიტყვებით აღნიშნოს, მაგრამ ცნების აზრი, შინაარსი უეჭველად მიახლოებული იქნება რომელიმე ზემოთმოტანილთან.

როცა ვხედავთ სიყვარულად წოდებულ გრძნობათა მრავალსახეობას, აღარ გვიკვირს მის შესახებ პოეტთა და ბრძენთა მიერ გამოთქმული აზრების ესოდენ განსხვავებულობა, დაწყებული სიყვარულის წმიდათაწმიდად შერაცხვიდან მის წყველა-კრულვამდე.

„სიყვარულში ისევე, როგორც სიძულვილში შეიძლება შეერთებული იყოს სულ სხვადასხვაგვარი გრძნობები: ტანჯვაც, სიტკბოებაც,

* ა. ს. პუშკინი, „ბოშები“, თარგმ. მიქელ პატარიძისა.

სიხარულიც, მწუხარებაც, შიშიც, სიმამაცეც და, დაბოლოს, რისხვა და სიძულვილიც კი“ (კ. დ. უშინსკი).

მიაქციეთ ყურადღება, რომ ნამდვილი სიყვარულის შემადგენელი ტრიადა—სურვილი, მეგობრობა, პატივისცემა—სრულიად შეესატყვისება იმ ტრიადას, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც ჰარმონიული პიროვნების საფუძველი: „ინდა, შეიძლია და უნდა“.

ცოლქმრული ცხოვრების მანძილზე სიყვარული შეიძლება გარდაიქმნას, გადავიღეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ვ. ბ. ბელინსკიმ გამოჰყო მასში „წელიწადის დროები“. „სიყვარულს აქვს თავისი განვითარების კანონები, ასაკობრივი პერიოდები ისევე, როგორც ადამიანის ცხოვრებას. მას აქვს თავისი მდიდრული გაზაფხული, მცხუნვარე ზაფხული და, დაბოლოს, შემოდგომა, რომელიც ზოგისთვის თბილი, ნათელი, ნაყოფიერია, ზოგისთვის კი ცივი, ლპობადი და უნაყოფო.“

ალბათ ეს იმას ნიშნავს, რომ გულითადი კავშირების აღმოცენების საწყის ეტაპზე ახალგაზრდებთან ჭარბობს სიყვარული-ვნება, თანდათანობით ის შეიძლება გადაიზარდოს სიყვარულ-მეგობრობაში, შემდეგ კი სიყვარულ-პატივისცემაში. რაც უნდა მშვენიერი იყოს გაზაფხული, ყვავილები, ბულბულთა გალობა, უღრუბლო ლაჟვარდი ცა, ის არ შეიძლება გრძელდებოდეს დაუსრულებლად. სიყვარულის მთელი სილამაზე ბუნებაში, როგორც ცნობილია თვითმიზანი კი არ არის, არამედ სიცოცხლის მუდმივად განახლების საშუალებაა. ძირს ცვივა დაჭკნარი ყვავილები, მიჩუმდებიან ტკბილად მგალობელი ფრინველები, რათა სიწყნარესა და თავგამოდებულ მცდელობაში განხორციელდეს ნაყოფის, ბარტყების, შთამომავლობის ჩასახვის სასწაული.

ვ. ბ. ბელინსკისა და კ. დ. უშინსკის აქ მოტანილ გამონათქვამებს თქვენ ნახავთ აფორიზმების კრებულში—„გონების სიმფონია“, სიყვარულისადმი მიძღვნილ განყოფილებაში. აქვე არის დიდი კრიტიკოსის სხვა გამონათქვამებიც სიყვარულის შესახებ. თუ მათ ერთად მოუყრით თავს, დაინახავთ ერთგვარ წინააღმდეგობას მის შეხედულებებში ამ გრძნობის ბუნების შესახებ:

აი ეს აფორიზმები:

„ყოველგვარი სიყვარული თაეისებურად ჭეშმარიტი და მშვენიერია, ოღონდაც კი ის იყოს გულში და არა თავში.“

„მართალია, გულს აქვს თავისი კანონები, მაგრამ არა ისეთი, რომ მათვან ადვილი იყოს სისტემატური, დაწერილებითი კოდექსის შედგენა.“

„არ შეიძლება უარვყოთ ზნეობრივი თვისებების გავლენა სიყვარულის გრძნობაზე, მაგრამ, როცა უყვართ ადამიანი, უყვართ იგი

მოლიანად, არა, როგორც იდეა, არამედ, როგორც ცოცხალი პიროვნება, უყვართ მასში განსაკუთრებით ის, რისი არც განსაზღვრა შეუძლიათ, არც დასახელება."

„ადამიანი არც მხეცია, არც ანგელოზი; მას უნდა უყვარდეს არა ცხოველურად და არა პლატონიურად, არამედ ადამიანურად."

„ჭეშმარიტი ადამიანური სიყვარული შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ადამიანური ღირსებების გამო ურთიერთპატივისცემას და არა მხოლოდ გრძნობის ახირებასა და გულისთქმათა ჟინიანობას."

„სიყვარულისთვის საჭიროა გონივრული შინაარსი, ისევე როგორც ცეცხლის შენარჩუნებისათვის საჭიროა საწვავი."

ალბათ თქვენც მოგხვდათ თვალში გულის სასიყვარულო სწრაფვაში გონების როლის სხვადასხვანაირი შეფასება. სრული ეარყოფის შემდეგ მისი აუცილებლობის დაშვება და, ბოლოს, მისი აუცილებლობის მთლიანად დადასტურება. სიყვარულში გონების როლის ამ სხვადასხვაგვარი შეფასების მიმართ თუ გამოვიყენებთ თვითონ ბელინსკეულ დროით გრადაციას სიყვარულისას, ადვილად შეიძლება გამოვიცნოთ რა აზრია ჩადებული „მდიდრული გაზაფხულის" პერიოდში, რა — ზაფხულის პერიოდში და რა აზრია ჩადებული მწიფე შემოდგომაში. ამასთანავე სულაც არ არის აუცილებელი, რომ გარკვეული შეხედულება ზუსტად შეესატყვისებოდეს თვითონ ადამიანის საპაპორტო ან ეორწინების ასაკს.

ისევე როგორც ბუნებაში, ჩვენს გრძნობებშიც „წელიწადის დროთა" მონაცვლეობა ხდება შედარებით ხანმოკლე პერიოდებშიც და რიტმულადაც (სიყვარულის ბიორიტმებზე ჩვენ სპეციალურად ვილაპარაკებთ). ამიტომ შესაძლებელია, რომ შეყვარებული გული ღღეს განიცდიდეს გაზაფხულის წფოთვას და მოთენთილობას, ხოლო ერთი თვის შემდეგ დამამშვიდებელი სიგრილე მოეფინოს გულს; შემდეგ შუქნარევი სევდა და მოკრძალებული გაკვირვება შეიცვლება თავშეუკავებელი გალიზიანებით, რომელიც თავის მხრივ ადგილს უთმობს თანაგრძნობისა და დანაშაულის განცდას. თუ ადამიანი მოუმზადებელია ასეთი „ტემპერატურული" და დროითი რხევებისათვის, სრულიად შესაძლოა აღარ ირწმუნოს, რომ ეს სიყვარული ჭეშმარიტია რომანტიული წარმოდგენების მიხედვით, სიყვარული უნდა ენთოს თანაბარი და მაღალი ცეცხლით, ყოველგვარ ამინდში ერთნაირად, ჩავარდნებისა და რხევების გარეშე ცხოვრებაში კი ასე ძალიან ინვიათადაა, თუკი საერთოდ არის. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიყვარულის ცეცხლი ანთია საზოგადოებისგან მოწყვეტილ, ურუდ ჩაკეტილ თავშესაფარში.

ადამიანური სიყვარულის ზოგიერი ვანმარტებიდან ახლა დაკუბრუნდეთ გრძნობას, რომელსაც ვეწოდებთ პირველ სიყვარულს.

უკვე ვიცით, რომ გერცენი ამ გრძნობას ახასიათებს, როგორც გაუცნობიერებელ და ხორციელი სურვილებით დაუმძიმებელ გულის წუხილს.

შეყვარებულის მისწრაფებათა შორის ყველაზე ძლიერია სურვილი უყურებდეს, ხედავდეს და თვალს არ აცილებდეს ნათელი შარავანდედით მოსილ სახეს, უსმენდეს და არა ესმოდეს, არჩევდეს მხოლოდ სანატრელი ხმის მუსიკასა და ტონალობას: ალვრსიანს, მკაცრს, განაწყენებულს; სურს შეეხოს, მიეკაროს და, ამასთანავე მიახლოებისაც კი ეშინია, როგორც ცეცხლისა. როგორც მზესუმზირას ნაყოფია გადახრილი მზისკენ, ასევე შეყვარებულის ყველა გრძნობა მიმართულია სასიცოცხლო ენერგიის მხოლოდ იმ ერთადერთი წყაროსაკენ.

პირველი სიყვარული განსხვავდება ყველა მომდევნოთაგან იმით, რომ მსგავსი შეგრძნებები, განცდები ახალგაზრდისთვის ადრე უცნობი იყო. პირველ სიყვარულში ახალგაზრდა არა მარტო სხვა ადამიანს აღმოაჩენს, როგორც თავისთვის განსაკუთრებით მოსიბეველსა და მიმზიდველს, არამედ პირველ რიგში აღმოაჩენს საკუთარი თავის ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას: „რა მემართება, რა ვომდის?" — აი ეს შეცბუნება, სიხარული და შიში, ყველაზე მეტად აღელვებს გოგონასა და ვაჟს.

პირველი სიყვარული მოკლებულია ყოფიერების მიმენტს. თუ დაუკვირდებით, ის არ შეიძლება იყოს გაუზიარებელი. რამდენადაც ის თვითმყმარია. ამ დროს მთავარი მოთხოვნილებაა დაინახო ის, გვსმოდეს მისი, სუნთქავდე ერთი ჰაერით საყვარელ არსებასთან, რაც ადვილად შეიძლება დაკმაყოფილდეს თვითონ გატაცების ობიექტის თანხმობის გარეშეც. და თუ ამის შესაძლებლობაც არ არის, შეყვარებული გული ოცნების ფრთებით დასტრიალებს თავს სატრფოს და ამაში ხედავს ბედნიერებას. გაიხსენეთ გალაქტიონის ლექსი:

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი — როგორც მზის სხივი,
მიეწვდომელი — როგორც ედემი.

დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აღივსოს ზღვა-საწყაული,
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული."

„წარუყვნელი სიშაბუკის პირველი სიყვარული ყოველთვის დიადებისადმი, ამაღლებულისადმი არის მიმართული. ბუნებას თითქოს აუცრ, რომ ერთმა სქესმა გრძნობისმიერ აღფრთოვანებულ მეორეში კეთილი და მშვენიერი" (გოეთე).

ამ გრძნობამ სრული და მშვენიერი განსახიერება ჰპოვა პუშკინის ცნობილ ლექსში — „მე თქვენ მიყვარდით...“ თუმცა ლექსი დაწერილია არა ახალგაზრდის, არამედ მოწიფული ადამიანის მიერ, რომელმაც უკვე შესვა ენებათა ფიალა, მაგრამ ასევე მოწყობილი დიდი პოეტის გული: მას შეუძლია ბევრჯერ განიცადოს ის შუქფენა და ამაღლება, რომლის მიღწევა ზოგიერთ უბრალო მოკვდავს ერთხელაც კი არ ძალუძს.

„მე თქვენ მიყვარდით და... შეიძლება
ჯვლავ ეგრძნობდე გულზე მტანჯველ მარწუხებს...
ნუ შეგაშფოთებთ ეს სიყვარული,
თქვენ იგი დიდად ნუ შეგაწუხებთ.
ო, უიმედოდ მე თქვენ მიყვარდით
(უზომოესად ვის უნდა მეტმა!)
დე, ბეგიყვაროთ სხვამაც თქვენ ასე:
ნაზად და წმინდად — ინებოს ღმერთმა!“*

აქ ყველაფერია: გრძნობის მერყეობაც (იყო თუ არა სიყვარული, წავიდა თუ არა, ცხადი არ არის), ნაზი ნაღველიც, მწუხარებისა და განაწყენების გარეშე, გაუზიარებელი გატაცების გამო მდუმარებაც, იმიტომ, რომ სიტყვებს არ შეუძლიათ გრძნობათა სისრულის გამოხატვა, რადგან ისინი ჯერ კიდევ უჩვეულოა პირველად შეყვარებულთა ენისათვის, როგორც უცხო ენის სიტყვები. გაუბედაობაც იმავე უცოდინარობისაგან მოდის: რა მოუხერხოს თავის თავს, როგორ მოექცეს გატაცების საგანს? თავგანწირვაც, რომლისთვისაც უდიდესი სიკეთეა საყვარელი ადამიანის სიმშვიდე და ბედნიერება.

როცა გრძნობა გაივლის, იმას ვისაც უყვარდა და იმასაც, ვისგანაც იყო შთაგონებული ეს სიყვარული, სამუდამოდ დარჩება გულში მადლიერება იმ ბედნიერებისათვის, რომ განიცადეს ყველაზე ნეტარი წუთები, რომ ბედის ყოველი მუხანათობის, დაცემისა და იმედგაცრუების წუთებში ემახსოვრებათ და ეცოდინებათ: იყო სულის ამაღლება!

უზომოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ასოფლშეგრძნებისათვის, რომ ეს ამაღლებული სულიერი მდგომარეობა განვიცადოთ უფრო ადრე, ვიდრე ვიგემებთ სხვაგვარ სხეულებრივ სიამოვნებებს.

ომის წლების ახალგაზრდობის შესახებ ერთ-ერთ მოთხრობაში გადმოცემულია ახალგაზრდა ლეიტენანტის ამბავი, რომელიც თავის ნაზ რომანტიულ სიყვარულს შეხვდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე განცდილი ჰქონდა ქალთან ფიზიკური სიახლოვე.

— მე არ მქონია პირველი სიყვარული, მე დავიწყე მეორედან, — ფიქრობს ის ნაღვლიანი სინანულით.

---

* თარგმანი ანა კალანდაძისა

სინამდვილეში კი ის, რა თქმა უნდა, განიცდის პირველ გრძნობას ცხოვრებაში. რასაც ის „მეორე სიყვარულს“ უწოდებს, როგორც ვიცით, სიყვარული კი არ არის, არამედ მხოლოდ სხეულებრივი ნდომაა. სრული დარწმუნებით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ: ასეთი გამოცდილების გამო მისი პირველი სიყვარულის სიმწვავე, სიწმინდე და სიმაღლე უკვე ისეთი აღარ იქნება!

„პირველი სიყვარულის“ მიერ მონიშნებული აღფრთოვანების ნაცვლად „მეორე სიყვარულის“ საგნის მიმართ ახალგაზრდებს ხშირად აღეძვრებათ სირცხვილისა და ზიზღის განცდა, როგორც სამაგიერო მოუთმენლობისთვის, განურჩევლობისთვის, თაკვარიანობისათვის. „რაც უფრო ნაადრევია პირველი სქესობრივი კავშირი, მით უფრო ნაკლებადაა ეს კავშირი მოტივირებული მორალური თვალსაზრისით, მით ნაკლებია სიყვარული“, — ამტკიცებს ი.ს. კონი. ამ კავშირს აკლია გულითადი, სულიერი ურთიერთშერწყმა.

როგორც უკვე ვიცით, ჩვენს მეხსიერებაში, ჩვენს გულში ყველაზე ღრმა კვალს სტოვებს პირველი შთაბეჭდილებები, შეგრძნებები, განცდები. პირველი სიახლოვე, რომელიც მოხდა არასაყვარელ ადამიანთან, როგორც წესი, ჰქმნის სხვა სქესის არსებასთან დამოკიდებულების ყარკვეულ, ნეგატიურ სტერეოტიპს. ამიტომ მომდევნო შეხვედრებსა და გატაცებებშიც ნაგულისხმევი იქნება იმედგაცრუება, სიმწარე, რომელიც ჩვეულებრივ მოსდევს „უსიყვარულო სიყვარულს“. „ისინი ყველანი ასეთები არიან“ — აი რა აზრი დაიბუდებს არაცნობიერში და გააუკუღმართებს გრძნობების უშუალობასა და ულწრფელობას. ამიტომ, ძლიერ სცდებიან ის ჭაბუკები და მამაკაცები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ დონ-ჟუანისებური გამოცდილება ხელს უწყობს მათ ქალის სულის იმ თავისებურებათა წვდომაში, რომელიც დაფარულია უცოდველი თვალისათვის. სინამდვილეში კი პირიქითაა: ადამიანი პოვებს იმას, რასაც ეძებს და ვერ ამჩნევს იმას, რისი ცოდნაც არ უნდა. შებღალულ ფანტაზიას ყველგან ელანდება სიმახინჯე და ნაკლოვანებანი: ასე უფრო ადვილია თვითდამკვიდრება საკუთარ ქარაფშუტობასა და ზერელე გრძნობებში.

თუ ჭაბუკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავდაპირველად გაიაროს რომანტიული სიყვარულის გამოცდა, რათა გაიგოს **როგორი არიან ისინი**, ე. ი. ქალები, ქალიშვილისთვის ორმაგად აუცილებელია ასეთი თანამიმდევრობა. გარდა იმისა, რომ მან უნდა იცოდეს, რამდენად შეუძლია მამაკაცს იყოს სიყვარულში უანგარო, თავგანწირული, მგზნებარე და მოკრძალებული, ქალისთვის მეტად მნიშვნელოვანია გაიცნობიეროს: **როგორია თვითონ!** ხომ სრულიად განსხვავებული მდგომარეობებია: იყო ადამიანი, რომლითაც ვიღაც უანგაროდ აღფრთოვანდა, რომელიც წარმოაჩინეს სხვების შორის, გულის

კარნახით აირჩიეს და სულ სხვაა იყო ადამიანი, რომელიც ვილაცას მოესურვა თავისი გრძნობადი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. ასეთი სულიერი გამოცდილება, რასაკვირველია, არ გვაძლევს გარანტიას, რომ დაბლეული ვიქნებით ჩავარდნების, შეცდომების, დაცემისგასაც კი, ოღონდ ქალთან პირველი შეყვარებულის დამოკიდებულების ხატი-სტილი ექცევა საზომად იმათი ქცევის შეფასებისათვის, ვინც მოიწ-დომებს შენდეომში მისი ყურადღების მიპყრობას.

პირველი სიყვარული აცრაა ასაკობრივი ცინიზმისაგან. ზოგიერთს ეს აცრა გადააქვს მეტად ავადმყოფურად, გართულებებით. გახსაკუთ-რებით რთულია ეს პროცესი, როცა ახალგაზრდა ერთდროულად გა-ნიცდის წმინდა გატაცებასა და ეროტულ სურვილებს, რომლებიც სხვადასხვა ობიექტებზეა მიმართული. თუ ამასთანავე ახალგაზრდა ხრულიად სულთაა, ძნელი წარმოსადგენიც კია, როგორ სატანჯველად იქცევა ეს გამოცდა მისი სინდისიერი და მგრძნობიარე სულისათვის. წაიკითხეთ ჭაბუკისა და მამაკაცის ფსიქოლოგიის საუკეთესო მცოდ-ნის ვ. ვ. ვერესაევის „მოგონებები“, რომელიც გვაღელვებს აღსარე-ბის გულწრფელობითა და „ახალგაზრდული ცოდვებისადმი“ ულმო-ბელი დამოკიდებულებითაც კი. ის მაგალითად, თვლის, რომ ყრმობის პერიოდში მეტად გახრწნილი ადამიანი იყო: ასეთი შეფასება მისცა მან თავის იდუმალ ზრახვებს—და არა მოქმედებას—მიმართულს უცნობი ქალებისადმი. ამასთანავე, მას ჰქონდა ნაზი გრძნობები სამი დის—კონოპაცკების მიმართ. „მთელი ეს მღვრიე სულიერი მორევი მიედინებოდა სამი საყვარელი ვოგონას ხატებას გვერდით და არც ერთი შეფი არ ეცემოდა მათ ამ მორევიდან და, რაც უფრო ჭუჭყი-ანად ვგრძნობდი თავს სულიერად, მით უფრო სუფთა და ამაღლე-ბული იყო ჩემი გრძნობა მათ მიმართ“.

ესე იგი შეიძლება გიყვარდეს ერთდროულად ორი და სამიც კი?— ეს საკითხი დგება ყოველთვის, როცა კი ლექციას კითხულობენ სიყვა-რულის შესახებ. ჩვეულებრივ ვპასუხობთ:

— შეიძლება, თუ ეს, ის გრძნობა არ არის, რომლითაც შეპყრო-ბილია ადამიანური არსების ყველა „დონე“, თუ ეს ერთის მიმართ სხვეულებრივი ლტოლვაა, მეორის მიმართ მეგობრული განწყობილე-ბა, ხოლო მესამის მიმართ პატივისცემა, რომლებსაც თქვენ სიყვარუ-ლად მიიჩნევთ.

— შეიძლება, თუ გატაცება ისევე ეფემერულია, არაარჩევითია, როგორც ის გრძნობა, რომელსაც განიცდიდა ვ. ვ. ვერესაევის ლი-რიკული გმირი სამი დის მიმართ. თუმცა ეს გაურკვეველი გრძნობაც— პირველი სიყვარულის პრელუდია — საკმარისი აღმოჩნდა, რომ დაეცა ნორჩი სული დამარღვეველი ცინიზმისაგან.

საკუთარი და თანატოლების გამოცდილებიდან იცით, როგორი ფხიზელი ყურადღებით ეკიდებიან უფროსები გოგონა-ქალიშვილის და ბიჭი-ჭაბუკის ხშირ შეხვედრებს. მშობლებს ზოგჯერ პანიკაში აგდებს მოზარდების საუბარი სიყვარულზე. ეტვს გარეშეა. რომ ეს შეშფოთება გამოწვეულია არა იმის შიშით, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული არ ეწვიოს მათ შვილს, არავედ იმის შიშით, რომ გამოუცდელმა ახალგაზრდამ შეიძლება ეროტული მოუსვენრობა ჩათვალოს ამაღლებულ გრძნობად. მშობლებს იმისაც ეშინიათ, რომ სექსუალურმა გამოცდილებამ არ დაასწროს სიყვარულს და ამით მათმა გოგონამ თუ ვაჟმა მთელი ცხოვრება არ გაიუკულმართოს. რამდენადაც უფროსებიც და უმცროსებიც ხმარობენ ერთ სიტყვას „სიყვარული“ ჩაშინაც, როცა ადიდებენ მას და მაშინაც, როცა მისით აშინებენ თავის თავსაც და სხვებსაც, გამოდის, რომ უფროსები მარადიული მტრები არიან მოზდევნო თაობის სიყვარულისა. თუმცა თვითონ მათ სიყვარული მიაჩნიათ ყველაზე დიდ ბედნიერებად ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, უფროსების შიში სრულიადაც არ არის უსაფუძველო. მაგრამ ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ყველაზე ბრონიერი სიფრთხილე ბოროტებად ექცევათ ხოლმე. თანატოლებთან დამოკიდებულებაში სიფრთხილის შესახებ უფროსებისაგან მოსმენილი რჩევების გავლენით, მანამდე წმინდა მისწრაფებების მქონე გოგონები და ვაჟები იწყებენ ძებნას და ბუნებრივია პოულობენ კიდეც თავის გრძნობებში სისხლის იმ იდუმალ ძახილს, რომელიც სწორედ, იმის მოლოდინშია, რომ აღმოაჩინონ. ასე მოიპოვების ის თავისუფლებას, შეიჭრება გულში და ისეთ ცეცხლს დაანთებს, რომ მოზარდის მთელი თავდაჭერილობისა და კეთილგონიერებისაგან ფერფლიღა დარჩება.

გრძნობად-ეროტულ ცნობისმოყვარეობას კვებავს მრავალი სასიყვარულო ისტორიის. რომანის გმირთა ქცევისა და თავგადასავალთა არასწორად გაგება და მათი უკრიტიკოდ მიღება. ამ პერიოდში იშვიათად თუ ვინმეს შეუძლია მხატვრების, მწერლების, კინემატოგრაფისტების დაბალი ღირებულების უპასუხისმგებლო ნაწარმოებები განასხვავოს ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებისაგან. სიტყვები და სიტუაცია თითქოს მსგავსია: ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს, უყვართ, კოცნიან, ტკბებიან ერთმანეთით, ჩხუბობენ, იტანჯებიან, კვდებიან... მოდი და გამოიცანი: სად არის გრძნობათა ჭეშმარიტად ოქროს საბადოები და სად მხოლოდ ოსტატურად მიმსგავსებული ნაყალბევი? ვის მივბაძოთ და ვინ უარვყოთ ირონიული ღიმილით?

უნდა გიამბოთ იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო პირველი სიყვა-

რულის შესახებ საუბარმა მოულოდნელი მიმართულება, როცა პედ-ასწავლებლის ერთი სტუდენტი ადგა და იკითხა:

— „პირველი“ და ასევე „მეორე“ სიყვარულის შესახებ ლაპარაკისას უფროსები, უწინარეს ყოვლისა, აანალიზებენ ბიჭების მდგომარეობასა და ქცევას. თითქოს გოგონები არ განიცდიან არაფერს ასეთს და უცებ თხოვდებიან.

ვამოგიტყდებით: ეს ერთ-ერთი რთული კითხვაა, არა მარტო ამ წიგნის ავტორისათვის, არამედ მწერლების, ხელოვნების მუშაკთათვის და ფსიქოლოგებისთვისაც კი. მხატვრული ლიტერატურა ძალიან ცოტა ცნობებს გვაწვდის სასიყვარულო მისწრაფებათა გაღვიძების ადრეულ პერიოდში გოგონების ფსიქოლოგიური მდგომარეობის თავისებურებათა განხილვისათვის. გადაიკითხეთ ტოლსტოის ტრილოგია „ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა“ რა დაწვრილებით და ზუსტად არის აღწერილი მოპირდაპირე სქესისადმი მთავარი გმირის ნიკოლენკა ირტენიევისა და მისი მეგობრების გრძნობათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. და რა ძუნწად გვიხატავს დიდი ხელოვანი ნატაშა როსტოვასა და სონის ტრფიალებას, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ბორის დრუბეცკოით გატაცების დროს გამოჩნდება „ომი და მშვიდობის“ ფურცლებზე ავტორის საყვარელი გმირი ქალი, ხოლო სონისთვის ეს სიყვარული პირველი და ერთადერთია.

რამდენიც არ ვისაუბრეთ ამ საკითხზე უფროსკლასელებთანაც და მოწიფულ ადამიანებთანაც, ერთიან შეხედულებას ვერ მივაღწიეთ. ერთმა მწერალმა ეს მდგომარეობა ახსნა მამაკაცების სიჭარბით ხელოვნებაში: პატრიარქატია დამნაშავე იმაში, რომ ქალის ბუნება ბოლომდე გაუხსნელი დარჩაო, მამაკაცს ბუნებით არა აქვს მომადლებული იმის ნიჭი, რომ სრულად გამოხატოს ყმაწვილი ქალის გულისთქმანიო. ამ აზრის უარსაყოფად ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის მაგალითიც კმარა. რომელიც ასე ღრმად ჩასწვდა და ზედმიწევნით სწორად გადმოგვცა ორსული ქალების: პატარა კნეინა ბოლკონსკაიას და კიტის სულიერი მდგომარეობა, ხოლო შემდეგ დაგვიხატა თითქმის ირეალური კავშირი დედასა და ახალშობილს შორის (კიტისთან, ნატაშასთან). ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედების მკვლევარი ე. ვ. ვერესაევი თვლიდა, რომ ყმაწვილი ქალებისათვის ძალიან სასარგებლოა ამ სტრიქონების კითხვა ამამაღლებელი გრძნობებისა და კეთილშობილური ტანჯვის სფეროში შეღწევისათვის.

გამოდის, რომ პატრიარქატი არ არის ამ მდგომარეობის მიზეზი. მაშ რაშია საქმე?

ქალის ფსიქოლოგიის აღწერისას გენიოს მწერალთა წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით მათ მეგობარ ქალებს, ცოლებს, შეყვარებულებს, რომლებიც ბულწრფელად და დაწვრილებით აღუწერდნენ

ყველაფერს, რასაც განიცდიდნენ თავისი გრძნობადი და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში (ეს აზრი ამოვიღეთ მ. გორკის ნარკვევიდან ლ. ნ. ტოლსტოის ქალიშვილის შესახებ). მაგრამ მათ, ალბათ, არ უნდოდათ, ან არ შეეძლოთ ასევე შთამბეჭდავად ეამბნათ თავის სულ პირველი სასიყვარულო გატაცების შესახებ. შეიძლება იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს გრძნობა იღვიძებს იმდენად ადრე, რომ ვერც თვითონ ერკვევიან მასში კარგად და სხვისთვისაც უძნელდებათ გადაცემა.

ამ აზრამდე მიეყავართ სქესობრივი სფეროს თანამედროვე ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს, ფიზიოლოგიურად გოგონები იღვიძებენ ბიჭებზე ბევრად უფრო ადრე: 9-10 წლისა (ბიჭები ჩამორჩებიან სამი წლით და ზოგჯერ მეტითაც კი). ეს იმას ნიშნავს, რომ გოგონა, ვერ ასწრებს მომწიფებას იმ გრძნობათა ანალიზისთვის, რომელსაც განიცდის. სიტყვათა მარაგი და ცნებითი აპარატი მას ჯერ კიდევ მთლად ბავშვური აქვს. რისი თქმა და გაკეთება შეეძლო 13 წლის მოზარდ ნატაშას, როცა მას გადაედო ასაკით მასზე უფროსების სონის და ნიკოლაიას გატაცება? ის სთხოვს ბორისს აკოცოს მის თოჯინას. როცა ბორისი უარს ამბობს, თვითონ კოცნის მას, თითქოს იმეორებს ნამდვილი შეყვარებულების სონის და ნიკოლაის ქცევას. როგორ იქცევა ათი წლის გოგონა, როცა პირველად იგრძნობს თავისი პატარა გულის ფეთქვას? შერცხვება, გაიქცევა, უმიზეზოდ სიცილს დაიწყებს, ან პირიქით, გაიბერება, გაიბღინძება, პირქუშ გამომეტყველებას მიიღებს, თავხედურად მოიქცევა — მთლად ისე, როგორც იქცევა სამი წლის ბავშვი, როცა ოჯახში მოდიან მისთვის საინტერესო სტუმრები. გოგონები ბიჭებზე ადრე შედიან მოწიფულობაში. მაგრამ ბიჭებისაგან განსხვავებით ცდილობენ, დამალონ ეს მომწიფება, თუმცა სულის საიდუმლო კუთხეებში ზეიმობენ თავის გადასვლას ბავშვობიდან ქალიშვილობაში. გულჩახვეულობა — აი კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ასე ცოტა ვიცით მშვენიერი სქესის ნორჩ წარმომადგენელთა გრძნობადი განცდების შესახებ. საიდან მოდის, რითია გამოწვეული ეს?

ათი წლისამ უკვე ყველაფერი ვიცოდი ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულების შესახებ, — გამოუტყდა ერთხელ პაციენტი სპეციალისტ-ფსიქოლოგს, — მაგრამ თავს ვაჩვენებდი მშობლებსაც, მეგობრებსაც და უფროს დასაც კი, რომელიც ჩემთან ყველაზე ახლოს იყო, თითქოს არაფერი არ გამეგებოდა. თავს ვაჩვენებდი ამ საკითხებში სრულ უვიცად და თან ყოველნაირად ხელს ვუშლიდი მათ ჩემი „განათლების“ მცდელობაში. ჩემში რაღაც მძაფრად ეწინააღმდეგებოდა ადამიანურ ურთიერთობათა ამ მხარის გაშიშვლებას. სიყვარულის შესახებ წიგნებს თავაუღებლად ვკითხულობდი, მაგრამ ფილმის ყურე-

ბისას, როცა ქალ-ვაჟი ერთმანეთს კოცნიდა, თვალს ვარიდებდი, გული კი ამ დროს თითქოს ჩამწყდაო, ტკბილად ირინდებოდა.

სხვადასხვა ასაკის, აღზრდისა და ტემპერამენტის ქალებთან საუბარმა დაგვარწმუნა რომ ასეთი ქცევა ანომალია არ არის, შემთხვევითი არ არის. პირიქით, ძალიან ხშირი მოვლენაა, თუ ოჯახში ნორმალური პირობებია, თუ უფროსების თავქარიანობის გამო საერთო მსჯელობისა და განხლვის საგნად არ იყო ქცეული ყოფის ინტიმური მხარეები. უფრო მეტიც, მორალურად მდგრად ქალებს შორის უფრო ხშირად შეიძლება შევხვდეთ სქესობრივი განათლებისადმი წინააღმდეგობას. მათ უფრო უძნელდებათ საუბარი სხეულებრივი და ზნეობრივი სიწმინდის დაცვის საკითხებზე საკუთარ ქალიშვილთანაც კი.

—ფარისევლობაა, — ქედმაღლურად განაცხადებენ ერთნი.

— უკულტურობაა, — კვერს დაუკრავენ მეორენი.

— ბუნებრივი ქალური მოკრძალებულობაა, — შეესიტყვებიან მათ მესამენი.

„ჩვენში ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ქალწულებრივი სიწმინდე ბალღური უცოდინარობით გამოიხატება; მცდარი აზრია! თუ სათნოება უცოდინარობაა, მაშინ ცხოველები ყოვლად სათნო არსებანი ბრძანებულან. ქალიშვილის სათნოება ის კი არ არის, რომ ბავშვივით არა იცოდა რა, არამედ ის, რომ მან ბალღურად იცოდა და ამ ცოდნაში წმინდა და ქალწულებრივი რჩებოდა". (ბ. ბელინსკი)

მაგრამ აი კიდევ მაგალითი მსჯელობისათვის. მაღალი კულტურისა და გაბედულების ადამიანს, შესანიშნავ რუს პოეტ-ქალს მარინა ცვეტაევას მოზარდობის ასაკში ისე ეშინოდა სქესობრივი კავშირის, რომ კინაღამ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, რათა არასდროს მამაკაცის სიახლოვე არ განეცადა.

თუ დაუკვირდებით, გოგონასა დ. ვაჟის განსხვავებულ დამოკიდებულებას პირველი სიყვარულისადმი აქვს ძალიან სერიოზული საფუძვლები. ჭაბუკის მიერ პირველი გრძნობა, თუ ის გაზიარებული და დასრულებულია განიცდება როგორც ნეტარების წამები. გოგონასთვის კი ყოველთვის დატვირთულია შიშითა და ეჭვებით.

ჭაბუკისთვის ყველაზე მეტად საწყენია, როცა მეგობარი გოგონა უარს ეტყვის თანაგრძნობასა და სიყვარულის „დამტკიცებაზე".

გოგონასთვის, როგორც წესი, პირიქით — **თანხმობას** თან ახლავს ტანჯვა-უსიამოვნებანი, რომლებმაც შეიძლება მთელი შემდგომი ცხოვრება დაუმახინჯოს მას.

როგორც ჩანს, აქედან მოდის ემოციების გამომჟღავნებაში თავშეკავებულობაც და გულჩახვეულობაც. გარდა ამისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრსაც! მრავალი საუკუნის განმავლობაში მოკრძალებული ქცევა ითვლებოდა ქალის დიდ ღირსებად,

მისი ჯანსაღი სულისა და ზნეობის მაჩვენებლად. ასეთი წარმოდგენა მტკიცედ მკვიდრდებოდა ცნობიერებაში და ქვეცნობიერშიც კი. გოგონებს-ქალიშვილებს მოეთხოვებოდათ „უმანკო უცოდინრობა". იმათ თავისუფალ შეხედულებებს და ლაპარაკს ამ საკითხებზე ხალხი მიიჩნევდა გრძნობებში თავშეუკავებლობის, უზნეობის ნიშნად.

ასეთი აკრძალვები, როგორც წესი, მამაკაცებს არ ეხებოდა. პირიქით, სქესობრივ საიდუმლოებებში გაცნობიერებულობა ითვლებოდა მამაკაცის ერთ-ერთ ღირსებად, რითაც ბუნებით მორიდებულებიც კი თავს იწონებდნენ.

ახლა კი შევჩერდეთ და გავიაზროთ ნათქვამი.

გაიხსენეთ ყველა შეხვედრა, ხანგრძლივი და წამიერი ურთიერთობები, რომლებმაც თქვენც და ყველაფერს თქვენს ირგვლივ მოჰფინეს პოეტური გატაცების წმინდა, წათელი შუქი... შეეცადეთ გაარკვიოთ რა იყო ეს: სიყვარულის პრელუდია თუ თვითონ ის—თქვენი პირველი, მშვენიერი, დაუვიწყარი სიყვარული? მნიშვნელობა არა აქვს იმას, ამ გატაცების ობიექტი რეალური ადამიანი იყო თუ ხელოვნების ნაწარმოების გმირი, დაინახეს და გაიზიარეს თქვენი სიყვარული თუ არა. რა შეცვალა მან თქვენს ხასიათში, გარემომცველ სამყაროზე და ადამიანებზე, თქვენს თანატოლებზე შეხედულებებში? რა პირობებმა შეუწყო ხელი გულის ცეცხლის გაწელებას? თქვენ თვითონ რა გააკეთეთ იმისათვის, რომ დიდხანს შეგენარჩუნებინათ გულში მისი სითბო, მისი კვალი?

გარდა ამისა, მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ: იქნებ სწორედ ეხლა, როცა სულიერ შიშველს განიცდით, ხელსა ჰკრავთ ვიღაცის ერთგულ, კეთილ გულს, რომელიც მზად არის უანგაროდ გემსახუროთ. თქვენ კი ვერ ამჩნევთ სულით ახლობელს მხოლოდ იმიტომ, რომ არც თუ ისე ეფექტური გარეგნობისაა, იმიტომ რომ ის უბრალო გოგონაა და არა ამაყი პრინცესა, ჩვეულებრივი ვაჟია და არა ხელმწიფის შემკვიდრე. კვლავ გთავაზობთ საკუთარი სულის გამოკვლევას გახმაურების გარეშე. მხოლოდ დედას შეიძლება გაუმჟღავნოთ ყველაფერი, თუ მასთან მეგობრული დამოკიდებულება გაქვთ. გაკვეთილებზე უმჯობესია, განიხილოთ მაგალითები გაზეთებიდან, ფილმებიდან, ლიტერატურიდან, საბედნიეროდ ამ ბოლო წლებში ეს თემა— ყრმობის პირველი სიყვარულის თემა — საკმაოდ პოპულარული გახდა.

ადამიანისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულის დიდი მცოდნე ვ. ა. სუხომლინსკი სრულიად სამართლიანად გვაფრთხილებს: არ გადავხსნათ გული საერთო განხილვისათვის. „დიდ არს საიდუმლო ესე", — ამბობდნენ ძველად სიყვარულის შესახებ. რამდენი გამოკვლევაც არ უნდა ნავატაროთ, მისი გამოვლინებების როგორი ტიპიზაციაც არ უნდა მოვახდინოთ, ეს გრძნობა ყოველ კონკრეტულ ადამიანთან მაინც გამოვლინდება ყველა ცნობილი შემთხვევისაგან არსებითად განსხვავებული სახით. სიყვარული განუმეორებელია. ამაშია სწორედ მისი ძალაც, სიდიადეც და მიმზიდველობაც.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ. ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ? ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲓᲝᲑᲐ, ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ? ᲗᲣ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲘ?

ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲪᲜᲔᲑᲐ „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲛᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ „ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ“, „ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ“. ᲠᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ? ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲝᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ?

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲓᲠᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲘᲗ ᲒᲕᲔᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲝᲑᲘᲡᲐ, ᲫᲐᲚᲓᲐᲣᲤᲐᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲡ, ᲘᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲘᲖᲐᲠᲓᲜᲔᲜ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘ — ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ, ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲐ-ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲐᲡᲘᲐᲪᲛᲔᲚᲘ, ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲗ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲗ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡᲐ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲚᲝᲕᲝᲑᲡ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲛᲔᲑᲡ ᲘᲒᲚᲯᲮᲡ, ᲗᲐᲕᲖᲔ ᲜᲐᲪᲐᲠᲡ ᲘᲧᲠᲘᲡ. ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲢᲧᲕᲘᲡᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲨᲠᲓᲔᲚᲝᲑᲐᲓ ᲗᲕᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲢᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲘᲜᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲬᲣᲮᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲠᲓᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ: ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲡᲐᲡ, ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲢᲝᲛᲡ ᲙᲚᲐᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ Ჯ�გᲣᲤᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ.

ᲔᲠᲗᲡᲐᲓᲐᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲡᲤᲡᲠ-ᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ 18 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ.

აშშ-ში დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა შტატში განქორწინების სხვადასხვა პირობები იყო დადგენილი: ზოგში მეტისმეტად მკაცრი, ზოგში არა. ხშირად მოქალაქენი გადადიოდნენ ერთი შტატიდან მეორეში, რომ მალე დაესრულებინათ ეს პროცედურა.

შესაძლებელი კი არის საერთოდ, რაღაც ისეთი პრინციპების შემუშავება, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა პირობებში ერთნაირად მოსაწონი და მისაღები იქნება? მაგალითად, ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების მცხოვრებლებს ერთხანს შოკში აგდებდა გოგონებისა და ვაჟების გატაცება ახალი მოდით: ეკლოთ ქუჩაში ხელიხელ გადაჯვეულებს, მოეხდინათ თავისი შეყვარებულობის დემონსტრირება. „დასავლეთის გამხრწნელი ზეგავლენა", — ბრაზობდნენ ერთნი. „ისე დასეირნობენ როგორც სოფლელი გოგო-ბიჭები სოფლის განპირას," — გულმოწყალედ იცინოდნენ მეორენი. მესამენი უბრალოდ ხელებს შლიდნენ გაკვირვებით: „არ ესმით, რომ სიყვარული გარკვეული სახის ენერგიაა. ტყუილად კი არა გვაქვს გამოთქმები: გულის ცეცხლი, გულანთებული, გულდამწვარი და ა. შ. რაც უფრო მეტ ადამიანთან აქვს კონტაქტი შეყვარებულთა გავარვარებულ გრძნობებს — მით უფრო მეტი სითბო ეკარგებათ მათ."

ვინ არის აქ მართალი, ახალგაზრდები თუ მათი მსაჯულები.? — თვითონ განსაჯეთ. აი კიდევ სხვა მაგალითი. ახალგაზრდა, რომელიც გაიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც მიღებული იყო საკმაოდ თავისუფალი, უცერემონიო დამოკიდებულებებიც კი, უცბად მოხვდა ისეთ გარემოში, სადაც ვინმესთან სახლში ხშირად მისვლა სტუმრად უკვე მიიჩნევა ოჯახის ქალიშვილისათვის სერიოზულად უპირატესობის მინიჭების საბუთად, მიიჩნევა რაღაც ვალდებულების ნიშნად, რომელსაც თავის თავზე იღებს ახალგაზრდა კაცი.

ანდა პირიქით, ჭაბუკი აღზრდილია ისეთ ადათ-წესებზე, რომელიც მოითხოვს გულისნადების ყოველნაირად დამალვას: ცდილობს ვამოხედვით, ხშირი შეხვედრებით აგრძნობინოს გოგონას თავისი დამოკიდებულება, მას კი არ ესმის „გამოხედვის ენა", პირობითი ჟესტები, მისთვის ბუნებრივია გულახდილად ყველაფრის თქმა. და აი დრამაც: გაუზიარებელი გრძნობა. რამდენადაც თანამედროვე ახალგაზრდა ხშირად ხვდება უჩვეულო გარემოში, ასეთი კოლიზიები გამონაკლისი არ არის.

უახლოესი ნათესავებისაგანაც კი არ უნდა მოველოდეთ აბსოლუტურად ერთნაირ რეაქციას ერთსა და იმავე მოქმედებაზე. ვთქვათ, თქვენ არ გიყვართ, როცა ვინმე ერევა თქვენს საქმეებში და ამიტომ თვითონაც არ ჩქარობთ ჩარევას თქვენი მეგობრის (ნათესავის) საქმეში. მას კი (ან მათ) მხარდაჭერის, თანაგრძნობის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია (არ შეუძლიათ). თქვენგან ჩაურევლობა, რასაკვირველია,

შეფასებული იქნება, როგორც გულგრილობა, ამპარტავნობა, შეიძ-ლება, როგორც ეგოიზმიც კი.

გამოდის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს წინააღმდეგობრივ მოვლენასთან მაგრამ, რადგან ჩვენ, რამდენადმე უკვე გვაქვს მსგავს სიძნელეებთან დამოკიდებულების გამოცდილება, მოდით კვლავაც ნუ შევუშინდე-ბით მათ. მივმართოთ ჩვენს საუკეთესო მრჩეველებს: ლექსიკონებსა და ბრძენთა გამონათქვამებს.

„ეთიკის ლექსიკონში" მოცემულია ასეთი განმარტება: „გრძნობე-ბის კულტურა არის საზოგადოებრივი განვითარებულობის, გრძნობა-თა გაადამიანურების, ადამიანის ემოციური ზეშთაგონებულობის დო-ნე". ხოლო თვით გრძნობები—ადამიანის ცხოვრებისეული, საზოგა-დოებრივი გამოცდილების, მისი ურთიერთობისა და აღზრდის პრო-დუქტია. ადამიანური გრძნობები ბუნების ნაწილია — კულტურით გაკეთილშობილებული. მათი გამოვლენის მიხედვით შეიძლება ვიმს-ჯელოთ ადამიანის აღზრდილობაზე. სწორედ, ამიტომ ცუდად აღზრ-დილთა რიცხვში შეიძლება მოხვდეს განათლებული—განსწავლული ადამიანი, რადგან კულტურა არ ამოიწურება განათლებულობით, ის მოიცავს ადამიანის მთლიან სულიერ-ზნეობრივ სამყაროს.

„ბუნების ნაწილი-გაკეთილშობილებული კულტურით..."

რას ნიშნავს ეს? მიყვარს მთელი გატაცებით, მგზნებარედ, მაგრამ ფანზრახ თავს ვიკავებ და მინიმალურ ყურადღებას ვიჩენ, რომ არ ჩამ-თვალონ ცუდად აღზრდილად, „უკულტურად"? მძულს მთელი არსე-ბით, მაგრამ თავაზიანად ვუღიმი და ვართმევ ხელს. ისე ვიქცევი, რომ არავინ არ გავაღიზიანო, რომ არც მწვადი დავწვა, არც შამ-ფური, რომ არც ძმარი იყოს, არც წყალი?

მაგრამ ასე ხომ „კულტურას" შეუძლია ისე ძლიერად ჩაიკრას გულში „ბუნება", რომ სული გააფრთხობინოს მას? ეს ხელოვნურად შექმნილი საშიშროება არ არის. ქცევის ყველაზე დახვეწილი სტილი არისტოკრატიულ საზოგადოებაში ხშირად გადაქცეულა საფარად. რომლის ქვეშაც დიდი ხელოვნებით იმალებოდა ამორალობა, უგუ-ლობა, გულგრილობა და ბუნებრივი გრძნობებისადმი შიშიც კი.

ჩვენი გაგებით, გრძნობების კულტურა არავითარ შემთხვევაში არ მდგომარეობს მათ დათრგუნვასა და მომხიბვლელ თვალთმაქცობაში. პირიქით, ეს არის გაცნობიერებული მისწრაფება გავშალოთ, განვა-ვითაროთ ჩვენს თავში ფაქიზი მგრძნობელობის ყველა ნიჭი და უნარ-შესაძლებლობანი, რათა გავამდიდროთ ჩვენი არსებობა მიწი-ერი სამყაროს ყველა წარმტაცი ფერებით, მისი მთელი ნაირსახეობი-თა და ტკბილხმოვანებით, რომ გვქონდეს ჩვენ თვითონაც რაღაც, რა-საც ვუძღვნიდით სამყაროს, რასაც ვუწილადებდით საყვარელ და ახლობელ ადამიანებს, ვუწილადებდით ყველას, ვინც მოისურვებდა

მიეღო ჩვენი დაგროვილი სულიერი სიმდიდრე. გრძნობების ნამდვილი კულტურა — ეს არის სულიერი მოთხოვნილება თანაგრძნობისა და თანაგანცდისა, ყოველივე ცოცხალისა და არსებულისადმი, ეს არის შესაძლებლობა ჩასწვდე ბუნების ხმებს:

„გულის ხედვა და თვალების
როგორც ბრმას და ყრუს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.“

(ვაჟა ფშაველა)

თუ არა გვაქვს ასეთი შინაგანი მოთხოვნილება, ვერავითარი რევერანსები, მოსასხამი და დაშნა ვერ გვაქცევს გრძნობათა მაღალი კულტურის ადამიანებად. ჩვენ შეიძლება გამოვიყურებოდეთ მხოლოდ როგორც რაინდები ერთი საათით, პრინცესები ერთი წუთით, რომელთა აღზრდილობაც, როგორც სხვისგან ნათხოვარი მორთულობა, ჩვეულებრივ ცხოვრებასთან პირველი სერიოზული შეჯახებისთანავე უკვალოდ ქრება.

ჩნდება კითხვა: პრაქტიკულად როგორ ვლინდება გრძნობათა კულტურა ყოველდღიურ, ყოველწამიერ ურთიერთობებში?

განა სჭირდება ახსნა-განმარტება იმას, რომ ინტონაცია, გამოხედვა, ჟესტები, ღიმილი, პოზა შეიძლება იყოს სასიამოვნო ან გამაღიზიანებელი დამოუკიდებლად იმისგან თუ ვინ, სად და როდის მოქმედებს, ლაპარაკობს, გვიყურებს. უხეში ყვირილი, მომაბეზრებელი ბუზღუნი, მოუქნელ-მოუწესრიგებელი მოძრაობები, გაბოროტებული, მოღუშული გამოხედვა, ირონიული ჩაცინება — ყველა ეს მოცემული მომენტის სულიერი დისკომფორტის ან ხასიათის გარკვეული თავისებურების გარე გამოვლინება, არამც თუ ხელს არ უწყობს ურთიერთგაგებას, თანაგრძნობას არამედ პირიქით, განიზიდავს ადამიანებს ერთმანეთისაგან. და, რაც მთავარია ხელს უშლის ამ პირქუშ, მოღუშულ, უხეშ, მოუქნელ კაცს დაინახოს ადამიანები დამთრგუნველი, მუქი სათვალეების გარეშე, დამახინჯების გარეშე. არსებობს უკუკავშირის კანონიც. ჩვენ თვითონ უნებურად ვხვდებით გაღიზიანებულები, როცა გველაპარაკებიან გაცხარებული ტონით. ექვიდნური თვალისმოჭუტვა იწვევს ჩვენს უმიზეზო მოუსვენრობას, რაღაცის უარყოფის სურვილს — უხეშივე თქმით: „ასეთისგან მესმის!“ და, პირიქით, კეთილგანწყობილება, გულწრფელობა აიძულებს მუდმივად მოღუშულ პიროვნებასაც კი ცოტათი მაინც გალღვეს, განათდეს სულით.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ისე გვექცევიან და ჩვენთან ისეთ ურთიერთობას ამყარებენ, როგორის პროვოცირებასაც ჩვენ თვითონ ვახდენთ, როგორსაც ჩვენ ვიმსახურებთ. (დიდ საბჭოთა ფიზიოლოგს ა. ა. უხტომსკის აქვს კიდეც ასეთი მოვლენის სპეციალური განსაზღვრება: „ჩვენს მიერ მოპოვებული და დამსახურებული თანამოსაუბრე"). გულჩახვეულ, ეჭვიან, მშრალ ადამიანთან ყველა შემობრუნდება თავისი ბუნების ჩაკეტილი მხრით. ქარაფშუტა, მხიარულ ადამიანთან ყველა ხდება რამდენადმე თავქარიანი. ბუნებრივია, ეს მოხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ გარდაქმნის საშუალებას გვაძლევს ტემპერამენტი, რეაქციის ტიპი, აღზრდილობის დონე.

კარგი იქნებოდა ბუნებრივი გრძნობების „გაკულტურების" პრაქტიკულ წესებად მივიღოთ:

პირველი: შევხვდეთ ყოველ ადამიანს, როგორც კეთილგანწყობილ სასწაულმოქმედს, როგორც იდუმალ და მშვენიერ უცნობს, ვეძიოთ მასში ეს იდუმალი და სასწაული დაჟინებით, იმედს ნუ დავკარგავთ მაშინაც კი, როცა ვხედავთ, რომ სრულიად უვარგის ადამიანთან გვაქვს საქმე. ამასთანავე, ჩვენ თვითონ შემოვტრიალდეთ მისკენ ჩვენი ყველაზე კარგი მხარეებით.

მეორე: გამოვარჩიოთ და დავიმახსოვროთ ყველაფერი ლამაზი, კარგი და წაბაძვის ღირსი რაც კი ოდესმე და სადმე შეგვხვდება ადამიანების ქცევაში.

მესამე: გავითვალისწინოთ დროისა და ადგილის შესაფერისობა ამა თუ იმ გრძნობის გამოვლენისათვის. ყველაზე კეთილშობილური გრძნობების გამოვლენაც კი უადგილოდ და უდროოდ — უკულტურობის ნიშანია.

მეოთხე: მხედველობაში მივიღოთ და დავაფასოთ არა მარტო ის ქცევები და რეაქციები, რომლებიც ჩვენსას ემსგავსება, არამედ განსხვავებულიც. უწინარეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ განსხვავება სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნით.

მეხუთე: ვიცოდეთ, რომ გრძნობების კულტურა უფრო ფაქიზს ხდის სამყაროს აღქმას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო ადვილი ხდება ჩვენი განაწყენება. მაგრამ, ამავე დროს, უფრო მდგრადიც ვხდებით ცხოვრებისეული უსიამოვნებების მიმართ, რადგან გრძნობათა კულტურის მაღალი დონე გვეხმარება თვითცნობიერების, თვითაღზრდის, ნებისყოფის საშუალებით საკუთარი ემოციების მართვაში, სულიერი ჭრილობების შოშუშების საშუალებათა მიგნებაში, სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლაში.

სხვანაირად, რომ ვთქვათ, გრძნობების კულტურა ჩვენ გვეხმარება არა მარტო იმაში, რომ გვიყვარდეს ჭეშმარიტად, ადამიანურად, არამედ იმაშიც, რომ ვიტანჯებოდეთ ადამიანურად. ეს კი ერთ-ერთი ყვე-

ლაზე სასარგებლო ცოდნაა. ვინც დაცემა არ იცის, ის ხომ აფრენასაც ვერ ისწავლის.

ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდილობის ერთ-ერთი ნიშანია ტანჯვა-გაჭირვების ატანა უდრტვინველად, ამაყად, ქედმოუხრელად და ლამაზადაც კი.

თუ გონებაში აღვადგენთ გრძნობათა აღზრდის ყველა აქ ჩამოთვლილ წესს, აღმოჩნდება, რომ ისინი ემსგავსებიან ჭაბუკობის დროინდელი მეგობრობისა და პირველი სიყვარულის მოთხოვნებს. იქნებ, სწორედ, ეს გრძნობებია ადამიანურ ურთიერთობათა განსახიერებული იდეალი? სოციალიზმის მშენებელთა მორალურ კოდექსში შემთხვევით არ არის ჩაწერილი, როგორც მცნება კაცობრიობის ყველა საუკეთესო ადამიანისა, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის უნდა ვიყოთ ამხანაგი, ძმა და მეგობარი.

როგორ მიუახლოვდეთ ამ იდეალს? რითი იწყება ნებისმიერი საქმე: „საგნის" შესწავლით. ეს საგანი კი ჩვენი ორგანიზმია, გრძნობები, თვისებები, ემოციებია. თუ გვინდა მივაღწიოთ საქმეში წარმატებას, გვინდა გავხდეთ პიროვნება, ვეზიაროთ ქცევის კულტურას— უნდა დავიწყოთ ჩვენი ბუნების შესწავლით. ზოგადად მაინც უნდა ვიცოდეთ რა არის ტემპერამენტი, ხასიათი და როგორ ვლინდება ისინი.

ჩვენი ორგანიზმი, განსაკუთრებული სახის, თავისებურად აწყობილი რთული ინსტრუმენტია. ვიოლინოს მსგავსია, რომელსაც გაწაფული ხელი უნაზეს, ჯადოსნურ ბგერებს გამოაცემინებს, ხოლო გაუწაფავი ხელი მხოლოდ სიმებს დაწყვეტს, ინსტრუმენტს მოშლის: მაგრამ ვერავითარ ხმას, გარდა ხის ჭრაჭუნის ხმისა, ვერ გამოაღებინებს. ადამიანის მართვისათვის საჭირო ყველაზე ელემენტარულ ცოდნას გვაძლევს მოძღვრება ტემპერამენტის ტიპების შესახებ (სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატური და მელანქოლიკური). ამას მოჰყვება უფრო რთული გრადაცია უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების შესახებ.

. ერთხელ, როცა უფროსკლასელების აუდიტორიაში საუბარი დავიწყეთ ამის თაობაზე, აღმოჩნდა, რომ მათი წარმოდგენა ადამიანის ბუნების ამ უმნიშვნელოვანეს თავისებურებათა შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ უცოდინარობასთან ერთად, მთელი უბედურება იმაშია, რომ მათ არცა აქვთ სურვილი იცოდნენ ეს საკითხები.

სად მოვნახოთ დრო, როცა სასწავლო პროგრამები ასე გადატვირთულია? სუფთა ჰაერზე ყოფნა გვენატრება, ტყეში ვერ გავდივართ.

ეს პროტესტი სრულიად სამართლიანი იქნებოდა, ახალგაზრდები ძვირადღირებულ დროს რომ არ ფლანგავდნენ უაზრო საქმიანობებზე, ტელევიზორის ხანგრძლივად ყურებაზე. დეტექტური ფილმების ყვე-

ლაზე აქტიური მაყურებლები, ფანტასტიკური და სათავგადასავლო ლიტერატურის თავგამოდებული მკითხველები ხომ, სწორედ, მოსწავლეები არიან. ამასთანავე, ცხოვრების გაცნობისათვის, მისი უკეთესად წარმართვისათვის გამოსადეგი წიგნები, რომელთა გარეშეც არავითარ კულტურაზე ლაპარაკი არ შეიძლება ბიბლიოთეკებში დამტვერიანებული და დაობებული გამოუყენებლად აწყვია. მაგალითად, დიდი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის შრომები მიძღვნილი უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების შესწავლისადმი.

განა აუცლებელია იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება სიგნალზე ნერწყვისა და კუჭის წვენის გამოყოფა იმისათვის, რომ ვიცოდეთ ერთმანეთთან სწორი ურთიერთობის დამყარება? — ამ დამცინავმა შეკითხვამ გამოამჟღავნა მეტად სამწუხარო და საკმაოდ გავრცელებული უცოდინარობა იმ უდიდესი აღმოჩენებისა, რომელიც ეკუთვნის ჩვენ თანამემამულეებს უფრო რთულ სფეროებში, ვიდრე პირობითი და უპირობო რეფლექსებია.

შეიძლება ქოლერიკს შეუყვარდეს ფლეგმატიკი? რა გამოვა თუ ისინი უცებ გადაწყვეტენ დაქორწინებას?

სრულიად შესაძლოა შეუყვარდეთ ერთმანეთი და ოჯახიც შექმნან. მაგრამ სწორედ მათთვის კეთილდღეობის პირველ პირობად იქცევა გრძნობათა და დამოკიდებულებათა კულტურა, რაც, პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ ორივე პატივს სცემდეს, ორივეს ესმოდეს ერთმანეთის განსხვავებულობა, იცოდნენ ერთმანეთის ხასიათის ბუნებრივი თავისებურებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია.

გამახსენდა ერთი ოჯახის ისტორია, რომელიც კინალამ დაინგრა ამგვარი ტიპოლოგიური შეუსატყვისობისა და მისი მოვლის საშუალებათა უცოდინარობის გამო.

ერთხელ, ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი და გვიამბო, რომ გათხოვდა დიდი სიყვარულით, მეუღლე ასეთივე გრძნობით პასუხობდა. მას და მის ქმარს განათლება და ზნეობრივი შეხედულებები ერთნაირი აქვთ. მაგრამ, აი, ცხოვრება ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტად არწმუნებდა, რომ მათი ქორწინება შეცდომა იყო. საჭიროა გაცილება, მაგრამ ამისთვის ძალა არ ჰყოფნით, რადგან ძლიერ არიან შეჩვეული ერთმანეთს. ისინი ვერ თანხმდებიან არა ძირითად საკითხებში, არამედ ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებში. მუდმივი დაპირისპირებულობა, ერთმანეთის სულის კაწვრა და ნერვებიან აშლა. რისთვის? საიდან? შეიძლება კი ამის დაძლევა? მას თვითონ უკვე არაფრის მოფიქრება აღარ შეუძლია, გარდა განქორწინებისა.

ქალს შევთავაზეთ წაეკითხა პოპულარული ფსიქოლოგიური ლიტერატურა. მან წაიკითხა რამდენიმე წიგნი და მოვიდა სხვა წიგნები-

სთვის. ახლა უკვე ვურჩიეთ უფრო საფუძვლიანი შრომების შესწავლა; ი. მეჩნიკოვის „ეტიუდები ადამიანის ბუნების შესახებ", „ოპტიმიზმის ეტიუდები" და ჩვენი თანამედროვეების: ა. ლეონტიევის, ი. კონის, ვ. ლევის შრომები. ჩვენი ნაცნობი ქალი გაიტაცა ამ ლიტერატურამ, შემდეგში ის ჩვენთან მოდიოდა უკვე უფრო სიღრმისეული საკითხების გასარკვევად. თვითონაც შეიცვალა: ნაკლებად ღიზიანდებოდა, უთანხმოებებსაც უფრო ადვილად იტანდა.

როგორც შემდეგში გვითხრა, მას თვალი აეხილა იმაზე, რომ ქმარი ბოროტი და სულელური ჯიუტობის გამო კი არ ეწინააღმდეგებოდა ცოლის მიერ წამოწყებულ ბევრ საოჯახო ცვლილებას და სიახლეს (მაგალითად, ნივთების გადაადგილებას, ახალი ნაცნობობის, გართობასა და დასვენების ახალ საშუალებათა ძიებას), არამედ თავისი არსების ბუნებრივ თავისებურებათა გამო. გაიგო, რომ თურმე ქმართან ძირითადი ნერვული პროცესები მიმდინარეობენ შენელებულად, დიდი ინერციით. მსგავსად ყველა სხვა ადამიანური თვისებისა, ეს თვისებაც, როგორც მეცნიერება გვასწავლის, არც ნაკლია და არც ღირსება.

თავის ქმარში, ეს ქალი, ყველაზე მეტად აფასებდა შეხედულებათა, დამოკიდებულებათა თანმიმდევრობას, მდგრადობას, ერთგულებას (მეგობრებისადმი, ცოლისადმი და მიღებული გადაწყვეტილებებისადმი), დაწყებულ საქმეში მთელი ძალებით ჩართვის უნარს. ის ქმარში ხედავდა კიდევ უამრავ სხვა მნიშვნელოვან და კარგ თვისებას. ახლა კი გაარკვია, რომ ყველა ამ კარგ თვისებას, ისევე როგორც მისთვის მიუღებელ თვისებებს — მოუქნელობას, „საშინაო კონსერვატიზმს", აქვთ ერთიდაიგივე ფესვები — აი თვითონ ეს მდგრადობა, ინერცია ნერვული პროცესებისა. როგორც ჩანს, მართლაც ჩვენი ღირსებები სხვა არაფერია თუ არა ჩვენ ნაკლოვანებათა გაგრძელება და პირიქით.

მან დაიწყო ამავე გზით ქმრის ხასიათის სხვა თავისებურებათა შესწავლა და დაინახა, რომ ცოლის პრეტენზიების შესრულება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა მის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას. მაგალითად, მან წაიკითხა, რომ ერთი მამაკაცის ავადმყოფობის (კუჭის წყლული) და შემდეგ კი დაღუპვის მიზეზად იქცა ცოლის გატაცება ბინის გადაცვლით განსაკუთრებული საჭიროების გარეშე. როცა ცოლმა მესამედ გაცვალა ბინა, ქმარი საბოლოოდ ჩავარდა ლოგინად და ფეხზე აღარც წამომდგარა. ჩვენმა ნაცნობმა, შეშინებულმა გაგვანდო, რომ აპირებდა ბინის რთულ საქალაქთაშორისო გაცვლას, რასაც ქმარი რატომღაც „გადაჭრით" წინააღუდგა. მან კი სწორედ მაშინ გადაწყვიტა ქმართან განქორწინება.

ამ ფსიქოლოგიური უცოდინარობის ლიკვიდაცია მომდევნო ეტაპი მდგომარეობდა იმაში, რომ ქმარი ეზიარა ცოლის აღმოჩენებს, რის შემდეგაც ამ წყვილის მთელი ყურადღება კონცენტრირებულ იქნა — არა ერთმანეთის ქცევაში დეფექტების და შეცდომების გამოვლენაახსნაზე, არამედ წინააღმდეგობათა ნეიტრალიზებაზე, ღირსებათა კულტივირებაზე. მათ ირწმუნეს წიგნებიდან ამოკითხული ასეთი პირობა კეთილი გრძნობებისა და დამოკიდებულებათა შენარჩუნებისათვის: სასურველი შედეგი უფრო ადვილად, მარტივად და უმტკივნეულოდ მიიღწევა, თუ მეუღლენი აღმზრდელობით ზემოქმედებას აფუძნებენ თავისი მეორე „ნახევრის" დადებით, ძლიერ მხარეებზე და უტაქტოდ არ მიუთითებენ ნაკლოვანებებზე.

გარდა ამისა, მათ წესად აქციეს: თავისი შენიშვნების, წინადადებებისა და სურვილების შერბილება ღიმილით. საოჯახო საქმეები თავისთავად მარტივი არ არის, პირიქით, ზოგჯერ ძალიან მძიმეცაა. თუ ამას კიდევ დაემატება მათი მართვა პირქუში, მტრული გამომეტყველებით — შეიძლება ცხოვრება მობეზრდეს კაცს, მოეჩვენოს ის მოსაწყენად, უსიხარულოდ. შეგეძლოს მოსწრებული ხუმრობით განტვირთო დაძაბულობა, დაასწრო და უვნებელყო უსიამოვნების წინამორბედი ეპიზოდი — ესეც პირად დამოკიდებულებათა კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ჩვენს შეკითხვაზე: ასეთი გამუდმებული თვითდაკვირვება და ურთიერთდაკვირვება, ქცევის, რეაქციების, ემოციების რეგულირება. მით უმეტეს, სხვისი (ქმრის) ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, ხომ არ ხდებოდა საკუთარ თავზე მტანჯველი ძალდატანების გზით, — ქალმა პროტესტით გვიპასუხა. ქმარიც ზუსტად ასე იქცეოდა. ყველა ეს საშუალება მხოლოდ პირველ ხანებში მოითხოვდა თვითკონტროლს. შემდეგ იქცნენ პირობით რეფლექსებად, ჩვეულებად, მათ მეორე ბუნებად და აღარც კი შეიმჩნეოდნენ. მათ შორის დამკვიდრდა ქცევის სრულიად ახალი სტილი, ბუნებრივი, თავისუფალი და მხიარულიც კი.

შეძენილი ცოდნა დაეხმარა ამ ოჯახს სიყვარულის შენარჩუნებაში. ეს ცოდნა მით უფრო აუცილებელია მისთვის, ვინც ოჯახის შექმნამდეევ ხედავს და გრძნობს, რომ მეგობარი განსხვავებულია მისგან.

თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ ისწავლოთ უდიდესი ინფორმაციის მოპოვება სხვა ადამიანის შესახებ, ხოლო შემდეგ იწინასწარმეტყველოთ მისი რეაქციები და ქცევა ბევრად ადრე, ვიდრე მასთან საერთო საქმე შეგახვედრებთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ფიზიკურ სიახლოვეზე. ნებისმიერ მჭიდრო თანამშრომლობას, კონტაქტს, როგორც ცნობილია, წინ უსწრებს ნაცნობობის, ერთმანეთზე დაკვირვების, ერთმანეთთან შეგუების (შეყვარებულებთან ერთად სიარულის, არშიყობის) პერიოდი. საუბრები, შეხვედრები, თამაშობანი, მეცადი-

ნეობები — უნებური „ტესტებია“, გამოცდაა, ღირებული მასალის მომცემია ხასიათზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის.

მართლაც, პირველ შეხვედრებში და მომდევნო დაახლოვების პერიოდში ადამიანები ცდილობენ გამოჩნდნენ თავისი ბუნების საუკეთესო მხარეებით. უფრო მეტიც, ცდილობენ ასიამოვნონ მას, ვისითაც დაინტერესებული არიან. მაგრამ ბევრ იმედგაცრუებას აქვს ადგილი, როცა ურთიერთობა ჩვეული ხდება და მეგობარი სრულად წარმოსდგება თავისი ნამდვილი სახით. ასე დაემართა, მაგალითად, ერთ შეყვარებულ ახალგაზრდას, როცა მან აღმოაჩინა, რომ მისი ახალი ნაცნობი გოგონას გატაცება კლასიკური მუსიკით მხოლოდ ნიღაბი იყო, რითაც თაკი უნდა მოეწონებინა მისთვის.

— თვალთმაქცი! — აღშფოთდა ვაჟი, — ეტყობა ეგ ყველაფერში ასეთივე არაგულწრფელია.

იგი წაეჩხუბა და დასცილდა გოგონას. არ მოიქცა კი სამართლიანად. შეეძლო შეემოწმებინა მისი გულწრფელობა სხვა ქცევებსა და გატაცებებში. ამ სახით თავის მოჩვენება იშვიათად არის ბოროტგანზრახული. მეტწილად, ეს არის ქვეცნობიერი მიმსგავსება სასურველ ნიმუშთან, ამ შემთხვევაში მასთან, ვინც ძალიან მოსწონდა. ალბათ გოგონას უყვარდა ვაჟი და მზად იყო მშვენივრად მიეჩნია ყველაფერი, რითაც ის იყო აღფრთოვანებული.

მაგრამ არის ჩვეულებები, მიდრეკილებები და რეაქციები, რომელთა წარმოდგენა შეცვლილი სახით არ ძალუძს არცერთ ცბიერ, რაფინირებულ თვალთმაქცსაც კი, როგორ მოძრაობს ადამიანი, როგორ ლაპარაკობს სხვებთან, როგორ ჭამს, როგორ იცინის, როგორ იცვამს — ამ გამოვლინებებში მცოდნე თვალი ბევრ რამეს დაინახავს და შესაძლოა მივხვდეთ: ღირს შემდგომი დაახლოვება, თუ ცხადად ჩანს, რომ აქედან კარგი არაფერი არ გამოვა.

ძველად, რუსეთში გოგონას ხასიათს განსაზღვრავდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ მიჰქონდა მას წყლიანი ვედრო. ენერგიული აჩქარებული მოძრაობები იმის მანიშნებლად მიიჩნეოდა, რომ მას ახასიათებს განწყობილებათა, ჩვეულებათა ცვალებადობა, ვერ შესძლებს სახლამდე სავსე ვედროს მიტანას, თითქმის ნახევარი გზაში დაეღვრება. ნელი, დინჯი გოგონა სახლში სავსე ვედროს მიიტანს, სამაგიეროდ დიდ დროს მოანდომებს. მარჯვე, მოხერხებული არც წყალს არ დაღვრის და დროზეც მიიტანს.

ჭრელ, ეგზოტიკურ, მყვირალა ტანსაცმელში ისევე, როგორც დემონსტრატიულ, მოურიდებელ მოძრაობებში, ვლინდება მისწრაფება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მიიზიდონ სხვისი ყურადღება. ამის უკან კი რა იმალება: ცუდი გემოვნება თუ უფრო სიღრმისეული მოვლენები— მაგალითად, დაურწმუნებლობა საკუთარ მიმზიდველობაში ან პირი-

ქით — დარწმუნებულობა იმაში, რომ მისთვის ყველაფერი ნებადართულია, ყველაფერი გაუვა — ესეც შეიძლება დადგინდეს ზოგიერთი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ნიშნების მიხედვით, მაგალითად, თავი მხრებშია ჩარგული თუ ამაყადაა აწეული, მკერდშეწეული და მხრებჩამოვარდნილია თუ მხრებში ლაღად არის გაშლილი. ენერგიულია თუ რბილი ხელის ჩამორთმევა, ამის მიხედვითაც კი შეიძლება ვიმსჯელოთ იმ პიროვნების ხასიათის თავისებურებებზე, რომელთანაც ურთიერთობა გვაქვს.

თანამედროვე მეცნიერი ფსიქოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა ფსიქიკური მოვლენა მჭიდრო კავშირშია ფიზიოლოგიურ მოვლენებთან და პირიქით.

ახლა ჩვენ განვიხილავთ გრძნობებისა და დამოკიდებულებების იმ თავისებურებებს, რომლებიც დაკავშირებულია ასაკთან და სქესთან.

რითი განსხვავდება მოწიფული ადამიანი მოზარდის ან ჭაბუკისაგან?

ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ განსაკუთრებული უფლებებით: შეუძლია უბრძანოს, მოსთხოვოს, მიუთითოს. უფლება აქვს გააკეთოს ყველაფერი, რაც კი თავში მოუვა. უფროსები თავის თავს ყველა სისუსტეს და მანკიერებასაც კი აპატიებენ, ბავშვებისგან კი მოელიან იდეალურ ქცევას. უფროსებს შეუძლიათ მოტყუებაც, ზარმაცობაც, ჩხუბიც, მოწევაც, დალევაც და თანაც ყველაფერს გამართლებას მოუნახავენ. მხოლოდ პატარებისთვისაა მკაცრი აკრძალვები. ასე მსჯელობს ზოგიერთი თქვენი თანატოლი.

უფროსებს, პირველ რიგში, აქვთ მოვალეობები: პასუხისმგებელი არიან ყველაფრისთვის, რასაც თვითონ აკეთებენ, რაც მათ მიმართ კეთდება, რაც მათ ირგვლივ ხდება. არიან პატიოსანი მუშაკები, პატარებისა და მოხუცებულების მომვლელ-მიმხედავები, სამშობლოს და ოჯახის საყრდენი და დამცველები, კარგ მაგალითს აძლევენ შთამომავლობას. ასე ფიქრობენ სხვები.

დიდი ხანია შენიშნული, რომ თითოეული ადამიანი ირჩევს თავისთვის ეტალონს კარგისა და ცუდის შესახებ საკუთარი წარმოდგენის მიხედვით. და აი, თქვენი თანატოლებიც თავისებურად განმარტავენ დიდობის ცნებას და არჩეულ ხატს მიჰყვებიან. ერთნი თავის თავში აბდენენ უფროსების ძალისა და ღირსებათა კულტივირებას, პატარაობიდანვე იღებენ თავის თავზე ახლობელი ადამიანის სერიოზულ საზრუნავსა და საფიქრალს და ზოგჯერ იმისთვისაც ყოფნით ძალები, რომ სხვას დაეხმარონ გაჭირვებაში. სხვები სიამოვნებით უთმობენ უფროსებს ყველა მოვალეობას ხოლო თავისთვის იტოვებენ მხოლოდ უფლებას ჰქონდეთ სისუსტეები და ნაკლოვანებანი. ეს უკანასკნელნი არ აცნობიერებენ იმას, რომ კეთილსანდისიერ უფროსებს

არა აქვთ და არც არასდროს ჰქონიათ ეს მოჩვენებითი უფლება მანკიერებაზე. სულიერად მოწიფული ადამიანი ებრძვის საკუთარ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს და სძლევს მათ. უმწიფარი თავს იმართლებს და ზოგჯერ ტრაბახობს კიდეც თავისი მანკიერებით. ამიტომ მოზარდები, რომლებიც უმწიფარ უფროსებს ბაძავენ, თვითონ ვერასდროს ვერ ამაღლდებიან ჭეშმარიტ მოწიფულობამდე, მოხუცებულობაშიც უმწიფარნი დარჩებიან.

ბოლო დროს მშობლებისა და მასწავლებლებისათვის არსებით პრობლემად იქცა ზოგიერთი მოზარდის გატაცება სიგარეტითა და სპირტიანი სასმელებით. არც ერთი თქვენგანისათვის საიდუმლო არ არის, რომ ამ მანკიერი მიდრეკილებების გამომუშავების პროცესი მეტად მძიმე და არასასიამოვნოა. როგორი დაჟინებითა და შეუპოვრობით ებრძვიან ხოლმე საკუთარ ბუნებას, თავის ტკივილს, ღებინებას, ზიზღს, რომ როგორმე ისწავლონ მარჯვედ სიგარეტის გაბოლება, მოხერხებულად „გადმოაპირქვავონ“ ჭიქა. უფროსმა თაობამ მართლაც ვერ დააღწია თავი ამ ცდუნებებს, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაო ცოდნა, როგორც ერთი, ისე მეორე გატაცების მძიმე შედეგების შესახებ. თქვენს თაობას უკვე ბევრი აქვს მოსმენილი ამ ფარულ მკვლელებზე, რომლებიც აზიანებენ არა მარტო თვითონ მწეველებს და ლოთებს, არამედ მძიმე ზეგავლენას ახდენენ მათი შთამომავლობის ფიზიკურ და მორალურ ჯანმრთელობაზეც.

რისთვის იდებს პირში სიგარეტს თანამედროვე განათლებული მოზარდი, როცა ის ბოლის და საწამლავის ყლაპვის არავითარ ბუნებრივ მოთხოვნილებას არ გრძნობს და მისი მძიმე შედეგებიც კარგად იცის?

ცნობისმოყვარეობის გამო.

სურს ჩქარა გახდეს დიდი და იმიტომ.

იმის შიშით, რომ „დედიკოს ბიჭი“, ან „დედიკოს გოგო“ არ დაუძახონ.

მხატვრული ლიტერატურისა და კინოს პოპულარული გმირების წაბაძვით.

ეს თანამედროვეობის ნიშანია ისევე, როგორც უზრუნველობა, ფამილარობა ქალიშვილებისა და ჭაბუკების ურთიერთობაში.

რაოდენ ბევრს გვეუბნება ახალგაზრდა კაცის ხასიათის შესახებ ამგვარი მანკიერებათადმი მისი წინააღმდეგობის გაწევის უნარი!

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მოზარდების შეხედულებებზე, გემოვნებაზე, გატაცებებზე მათი უშუალო გარემოცვა, თანატოლების კომპანია. ამ ზემოქმედების ძალა უჩვენებს დაკვირვებულ თვალს ამა თუ იმ სუბიექტის დიდობის ხარისხს. თუ ძლიერია თანატოლების ზეგავლენა-მაშინ ისევე პატარა

ბიჭი და გოგონაა ჩვენს წინ, თუნდაც ბიჭს უკვე წვერულვაში ჰქონდეს, ხოლო გოგონას ქალიშვილის ყველა გარეგნული ნიშნები. ხოლო ამ გავლენის შესუსტება ნიშნავს, რომ ვაქკაცდება მოზარდი. აველენს უკვე საკუთარ პოზიციას — იკვეთება პიროვნება.

იგივე მდგომარეობაა სქესთა შორის დამოკიდებულებაშიც. ქალიშვილებისა და ჭაბუკების დამოკიდებულებაში ზერელობა და უზრუნველობა ეფუძნება იმავე მცდარ შეხედულებებს, რომელთაგანაც წარმოსდგება მისწრაფება გადალახონ აკრძალვები მოწევასა და დალევაზე. ცნობილია, რომ ცხოველებისთვისაც დამახასიათებელია არა ყველას მიმართ ლტოლვა, არამედ არჩევითობა სქესობრივ ურთიერთობაში. მათ „ტრფიალების" პერიოდიც აქვთ და გარკვეული რიტუალებითაც ალამაზებენ გვარის გაგრძელებისათვის საჭირო აქტს. წაიკითხეთ, რას წერენ ნატურალისტი მკვლევარები: აღმოჩნდა, რომ აკვარიუმის თევზებიც კი არ უკავშირდებიან ერთმანეთს ინტერესისა და არჩევის გარეშე. ეს მათ ასწავლა ბრძენმა დედა-ბუნებამ. ადამიანს კი, ისიც სპეციალურად უნდა ვასწავლოთ, რომ საჭიროა ფიზიკური სიახლოვე ეფუძნებოდეს არჩევითობას, სილამაზეს, გონივრულობას, დროულობასა და მართებულობას.

დრო და ადგილი...

გავიხსენოთ ორი თქვენი თანატოლი მოსწავლის, იუგოსლავური ფილმის (რომელსაც სწორედ ასე ეწოდება „მოვიდა სიყვარულის დრო") გმირების ურთიერთობის ისტორია. ეს ფილმი, თავის დროზე, ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უმეტესობისათვის ცნობილია მისი კოლიზია. ორიოდე სიტყვით შეგახსენებთ სურათის შინაარსს: უფროსკლასელები გოგონა და ვაჟი შეხვდნენ ერთმანეთს ცეკვებზე, შეუყვარდათ ერთმანეთი, როგორც იტყვიან, ერთის ნახვით. დამოკიდებულებები ვითარდება თანამედროვე ცეკვის რითმში: მგზნებარედ, თავშეუკავებლად და წინდაუხედავად. და, აი, უკვე სამაგიეროც: ორსულობა, აბორტი, მშობლების სასოწარკვეთილება, მასწავლებლებისგან გაკიცხვა, შეყვარებულთა დაშორების მცდელობები. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ბედნიერი ბოლო: ქორწილი, სკოლის დამთავრება, გამგზავრება სააღმშენებლო რაზმთან ერთად.

როგორ ფიქრობთ, მოზარდთა ამგვარი დამოკიდებულებები შეიძლებოდა დრამისა და ტანჯვის გარეშე! ანდა ისტორია ასე კეთილად უნდა დამთავრებულიყო? დარწმუნებული ვარ ტანჯვა-წამება თავიდანვე იყო დაპროგრამებული; რადგან უმართებულო და არადროულია მოწიფულთა დამოკიდებულებანი მათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ბავშვი დაწესებულებაში დადის მათთან ერთად, ვისაც ჯერ კიდევ არა აქვს მოწიფული, დამოუკიდებელი ადამიანის საზოგადოებრივი სტატუსი,

გარდა ამისა. მათ დრო არ მისცეს თავის გრძნობას — მომწიფებულიყო, გადაზრდილიყო ქვეცნობიერი ლტოლვიდან ნამდვილ სიყვარულში, რომელიც, როგორც ალბათ გახსოვთ, ეფუძნება მეგობრულ განწყობილებას და პატივისცემას-გრძნობებს, რომლებიც არ აღმოცენდებიან უცებ, ერთის დანახვით.

ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში, ჩვენი ოპონენტები ენერგიულად მიუთითებენ რომეოსა და ჯულიეტას და სხვა თითქმის ჯერ კიდევ მოზარდებს შორის უეცრად აღმოცენებულ დიდი და მარადიული სიყვარულის მაგალითებზე. სტატისტიკა საწინააღმდეგოს გვეუბნება: განქორწინების ყველაზე დიდი პროცენტი მოდის მათზე, ვინც ქორწინებამდე ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს. ხანგრძლივი სიყვარული ერთი დანახვის საფუძველზე ბედნიერი შემთხვევაა. იშვიათი იღბლიანობაა. ჩვენი თანდასწრებით მმაჩის მუშაკები ცდილობდნენ, გადაეთქმევინებინათ ახალგაზრდა წყვილისათვის ქორწინების გაფორმება. მათ კარგად იციან, რა სწრაფად სცილდებიან ერთმანეთს პირველი გატაცებით ნაჩქარევად დაქორწინებულნი — ცხოვრების დასაწყისშივე სიძნელეებთან შეხვედრისას.

დაბოლოს, დროა თავი დაანებონ რომეოსა და ჯულიეტას მაგალითზე მითითებას. თუნდაც იმიტომ, რომ „ქვეყნად არ არის უფრო სამწუხარო ამბავი", ვიდრე მათი სიყვარულის ამბავია. წამიერი იყო მისი ხანგრძლივობა და არავინ იცის, როგორი ოჯახური ურთიერთობები შეექმნებოდა ამ წყვილს. მათ მშობლებს შორის კონფლიქტი ისევე კეთილად რომ დამთავრებულიყო, როგორც ის დამთავრდა იუგოსლავურ ფილმში.

ჩვენმა ნორჩმა თანამედროვეებმა, ამ ფილმის გმირებმა, გაიარეს მეტად მძიმე გამოცდის ცეცხლი, რომელსაც ნამდვილი სიყვარულით დაკავშირებული და გრძნობათა გარკვეული კულტურის მქონე ახალგაზრდები უეჭველად თავიდან აიცილებდნენ. მოსწავლე გოგონას უნდა შესძენოდა ბავშვი. მისი შეყვარებული კი დამფრთხალი, წამოისერის მკაცრ სიტყვებს: ეს შენი საზრუნავიარ! — რაც. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. მერე რა, რომ შემდეგ ის აქეთ-იქეთ დარბის, ეძებს გზებს აბორტისათვის ფულის საშოვნელად. სასოწარკვეთილია როცა გაიგებს ოპერაციის ტრაგიკულ შედეგს (მის მეგობარ გოგონას ბავშვი აღარ გაუჩნდება!). ყველაფერი ეს, მართალი რომ გითხრათ, სერიოზულად ვეღარაფერს ვეღარ გამოასწორებს. მათ უკვე დაადეს პირველი ქვა თავისი სიყვარულის სამარეს.

ბოლოს და ბოლოს, ისინი დაქორწინდნენ, წავიდნენ მშობლებისაგან შორეულ მხარეში. მაგრამ მერე რა? სად გაექცევიან ისინი სა-

კუთარ მეხსიერებას? ის კი მათ ყველაფერს აღუდგენს: ჭაბუკის მოუთმენლობას, გოგონას სწრაფად დათანხმებას (აი სწორედ საფუძველი გარეგნულად უმიზეზო ეჭვიანობისათვის), ჭაბუკის სიმხდალესა და ღალატს, გოგონას, თუნდაც დროებით ზიზღს მის მიმართ (აი კიდევ მიზეზი ეჭვიანობისათვის). შემდეგში კიდევ მეტი: დადგება ბავშვების პრობლემა. გოგონას ეენება დედობის დიდი სურვილი და ქმარს დასდებს ბრალს იმაში, რომ შვილი აღარ გაუჩნდება. ქმარი კი უშვილოდ ყოფნის გამო გადაწყვეტს სხვა ქალთან დაქორწინებას. ანდა თუ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა, ფარულად მუდმივ წუხილში იქნება და ისიც ცოლს დაადანაშაულებს იმაში, რომ ვერ შესძლო მისი თავდავიწყების ალაგმვა!

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფილმის მიხედვით, უფროსები — მასწავლებლები და მშობლები — არ აღმოჩნდნენ მოზარდებზე უფრო მეტად მომზადებულები ამგვარი სიტუაციისათვის. თითქოს ჩვენს მოწიფულობაში მთლად ვივიწყებთ ამ რთული ასაკის დროინდელ საკუთარ განცდებს.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა ი. ი. მეჩნიკოვმა გასულ საუკუნეში ყურადღება მიაქცია ადამიანის ორგანიზმის განვითარებასა და სქესობრივ გრძნობას შორის დისჰარმონიას. ის წერდა, რომ ბავშვი ჯერ სრულიად არ არის მზად გამრავლებისთვის, სქესობრივი გრძნობა კი იმდენად აქვს გამოკვეთილი, რომ მისი ბოროტად გამოყენების საშუალება ეძლევა. რა გამოდის? სამი მომენტი, რომლებიც თავისი არსის მიხედვით აუცილებლად უნდა ემთხვეოდნენ ერთმანეთს — სქესობრივი მომწიფება, სქესობრივი დაკმაყოფილება და გამრავლება — დაცილებული არიან ერთმანეთისაგან რამდენიმე წლიანი შუალედებით. ათი წლის გოგონას აქვს შესაძლებლობა მიისწრაფვოდეს ცოლობისაკენ: გახდეს ცოლი მას შეუძლია მხოლოდ თექვსმეტი წლის ასაკში. მაგრამ გახდეს დედა — არ შეუძლია ოც წლამდე!

აი კიდევ ერთი დასაბუთება იმისა, რომ ადამიანის გრძნობები და დამოკიდებულებები აუცილებლად უნდა იყვნენ რეგულირებულნი ცნობიერებითა და ზნეობრივი ნორმებით და შესაბამისობაში უხდა იქნენ მოყვანილი გარკვეულ ასაკთან და სქესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევდა ათი წლის გოგონასათვის მიგვეცა უფროსებს შორის არსებული დამოკიდებულების უფლება. რამდენადაც გრძნობები მას შეიძლება ძალიან ძლიერი ჰქონდეს. ამავე დროს ჭაბუკსაც, რომელიც ფიზიკურად თითქმის სრულიად მომწიფებულია—მამობისათვის. შეიძლება ჰქონდეს სრულიად უმწიფარი, ბავშვური გრძნობები.

ხშირად ბიჭის დედა, მსგავსად ჩვენს მიერ განხილულ ფილმში ბიჭის უდარდელი დედისა, ფიქრობს, რომ მთელი შფოთვა და მღელ-

ვარება მოზარდთა დამოკიდებულების გამო გოგონას მშობლების სინიდისზეა: დაე მათ უფრო მეტად ადევნონ თვალყური თავის გოგონას. ბიჭებს ბავშვი მაინც არ უჩნდებათო.

შეუძლებელია ამ აზრს დავეთანხმოთ. ასეთ შემთხვევებში ბავშვები ჩნდებიან უფრო მეტად ბიჭების თავქარიანობის, ვიდრე გოგონების ქარაფშუტობის გამო. გოგონები ცდილობენ შეაკავონ მეგობარი ვაჟი სიახლოვის გარკვეული საზღვრების გადალახვისაგან. ვაჟები კი, როგორც წესი, მოითხოვენ მათგან სიყვარულის „დამტკიცებას". მაგრამ მიიღებენ რა მას, აღარ მიაჩნიათ აუცილებლად თვითონაც დაუმტკიცონ იგივე, სიყვარულის ბუნებრივი შედეგებისადმი თავისი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. ჭეშმარიტი მოწიფულობა კი, როგორც ჩვენ ვიცით, არც გრძნობებით და არც ქცევითაც კი იმდენად არ განისაზღვრება, რამდენადაც განისაზღვრება იმით, რომ შეგვეძლოს და მზად ვიყოთ პასუხი ვაგოთ ერთისთვისაც და მეორესთვისაც, გრძნობისთვისაც და ქცევისთვისაც.

ასეთია ნაადრევი სქესობრივი ურთიერთობის მავნებლობის შესახებ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მაჩვენებლები. სოციალური წინააღმდეგჩვენება კი მდგომარეობს იმაში, რომ ახლანდელი მოზარდები არც მატერიალურად და არც პროფესიულად დამოუკიდებელნი არ არიან. ისინი მთლიანად დამოკიდებული არიან მშობლებზე. მაშასადამე, საკუთარი სინიდისის წინაშე ვალდებული არიან არ გადაწყვიტონ თავის ბედი უფროსების მონაწილეობის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება თავისებური ოჯახური კოდექსის დარღვევა, დივერსია მშობლების წინააღმდეგ: ზრდასრულებულთა დამოკიდებულებები შესაძლოა მხოლოდ ზრდასრულებულთა კოლექტივში. ეს უნდა გვესმოდეს.

ზემოთ განხილული ფილმის გმირებიდან ან მათ მსგავსთაგან რომელი ფიქრობს ამ ასაკში მოვლენათა ამგვარ განკითარებაზე? ისინი წინ არ იყურებოდნენ. ფიქრადაც არ მოსდიოდათ ოჯახის შექმნა. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. ეს ქორწინება იძულებითი იყო. თუმცა ახალგაზრდები არწმუნებენ თავის თავს, თითქოს შეერთდნენ შეგნებულად და ნებაყოფლობით.

სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად ხდება, რომ ნორჩ მეუღლეთა სურვილისა და სერიოზული გადაწყვეტილების გარეშე ჩნდება პირველი შვილი.

იძულებითი ქორწინება. ბავშვი, რომელსაც დიდი ხალისით არ ელოდებიან. რა უნდა იყოს უფრო სამწუხარო ოჯახური ცხოვრების საწყის ეტაპზე? არა, ფარისევლობისა და კონსერვატორული შეხედულებების გამო არ უკიჟინებენ უფროსები ახლანდელ „გოგონებს" და

ვაჟებს, რომ აუცილებელია ჰქონდეთ მკაცრი ზნე-ჩვეულებები, თაკ-შეკავება, სინდისი, სირცხვილის გრძნობა. ყველა ეს თვისება ზოგად-საკაცობრიო კულტურის ნაწილია, რომლის დაცვა და სრულყოფა ჩვენი მოვალეობაა.

— როგორ, თქვენ ფიქრობთ, რომ XX საუკუნის დასასრულის ქალიშვილები და ჰაბუკები უნდა იქცეოდნენ XIX საუკუნის თავის თანატოლების მსგავსად, როცა ქალიშვილები ვერც კი ბედავდნენ ახალგაზრდა კაცისკენ გახედვას, ხოლო ისინი კი თავაზიანობად იღვრებოდნენ? ახლა სულის ამამაღლებელი საუბარი ქალური მოკრძალებულობის სასარგებლოდ—ნიშნავს გამომაქღავნო ჩამორჩენილობა.

ასეთი შემოდავებანი, რომლებიც გაისმის არა მარტო სასკოლო, არამედ მოზრდილთა აუდიტორიაშიც, არ შეიძლება უპასუხოდ დავტოვოთ. თუმცა, პასუხის გაცემაც არ ივარგებს მხოლოდ ცხოვრების გამოკვლევაზე და საღ აზრზე დაყრდნობით. საჭიროა ისტორიაში ერთგვარი ექსკურსის გაკეთება.

XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ავსტრიელი მკვლევარი, თავის დროზე გახმაურებული წიგნის „სქესი და ხასიათის" ავტორი ოტტო ვაინინგერი ამტკიცებდა, რომ დასავლეთის ცივილიზებული სამყაროს ზოგიერთ რეგიონებში გარკვეული ციკლურობით თავს იჩენს ფემინისტი ქალების — ეგრეთ წოდებულ ქალთა თანასწორუფლებიანობის – მომხრეთა მოძრაობა. მათ ქცევაში მამაკაცური ღირსებების, გადაწყვეტილებების უნარის, ხასიათის სიმტკიცის, უშიშრობის გვერდით თავს იჩენს სუფთა მამაკაცური მანკიერებანი: მიდრეკილება ლოთობისადმი, ბილწსიტყვაობა, მანერებსა და ქცევაში თავაშვებულობა, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მემკვიდრეობისადმი. გარეგნობის მიხედვითაც კი, ეს ქალები, თითქოს განუდგებიან ყოველივე ქალურს: მჭიდროდ იზღუდავენ, მალავენ, იმახინჯებენ გულმკერდს, ისე აქვთ სხეული გაკრული, რომ თეძოები თვალში საცემი არ იყოს. ისინი იღებენ მამაკაცებისაგან ყველა ატრიბუტს – ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჩვეულებებს.

რაღაც გარკვეულ მომენტში ფემინისტი ქალების მოძრაობა უკიდურესობამდე მიდის: მცირდება შობადობა, საზოგადოებრივი მორალის დონე ქვეითდება, რაც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს საფუძვლებზე. ჩვეულებრივ, ყველაზე ადრე თვითონ ქალებივე მოეკვლებიან გონს და იწყებენ ახალ მოძრაობას: სქესობრივ ურთიერთობათა რეგულირებისათვის, წეს-ჩვეულებათა გამკაცრება-განმტკიცებისათვის. კვლავ იღვიძებს შეგნება იმისა, რომ ერის ზნეობრივობის ეპირველესი დამცველი, მომვლელი და ძიძა არის ქალი. და თუ ის უარს იტყვის მდგრადობაზე, წესიერებაზე — მშვიდობით მაშინ ერის ძოძაკალო.

ქალთა ჭეშმარიტ რევოლუციას ჰქონდა სხვა არსი და გამოვლენის სხვა ფორმები. აი რას სწერდა ამის შესახებ ფ. ენგელსი წიგნში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“: „ჯგუფური ცოლქმრობიდან, მოუწესრიგებელი კავშირებიდან, „ჰეტერიზმად“, ანუ „ჭაობში ჩასახვად“ წოდებული მდგომარეობიდან ერთცოლიანობაზე გადასვლა არსებითად დედაკაცების შეშფოთებით მოხდა. რაც უფრო კარგავდა ძველთაგან მემკვიდრეობით გადმოცემული სქესობრივი ურთიერთობა თავის ველურ, პირველყოფილ, გულუბრყვილო ხასიათს ცხოვრების ეკონომიკური პირობების განვითარებასთან ერთად, მაშასადამე, პირველყოფილი კომუნიზმის დარღვევასა და მოსახლეობის მზარდ სიმჭიდროვესთან ერთად, მით უფრო დამამცირებლად და მძიმე ასატანად უნდა სჩვენებოდა ეს ურთიერთობა დედაკაცებს; მით უფრო თავგამოდებით უნდა მოეწადინებინათ და მოეპოვებინათ მათ უბიწოების უფლება, მხოლოდ ერთ მამაკაცთან დროებითი ან ხანგრძლივი შეუღლების უფლება, როგორც ერთგვარი ხსნა. ეს ნაბიჯი წინ შეუძლებელია მამაკაცებს გადაედგათ, გარდა ყოველივე დანარჩენისა, უკვე მარტო იმის გამო, რომ მათ საერთოდ არასოდეს, დღემდეც კი, თავში აზრად არ მოსვლიათ ფაქტიური ჯგუფობრივი ცოლქმრობის სიამოვნებაზე უარი ეთქვათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დედაკაცებმა განახორციელეს წყვილად შეუღლებაზე გადასვლა, მამაკაცებმა შეძლეს მკაცრი მონოგამია შემოეღოთ. რა თქმა უნდა, მხოლოდ დედაკაცებისათვის“. (ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 69. 1953).

მიაქციეთ ყურადღება: ფ. ენგელსი — სქესობრივი უთანასწორობის შეუპოვარი მოწინააღმდეგე. ლაპარაკობს ქალების მიერ ტანჯვით მოპოვებულ „უბიწოების უფლებაზე“, როგორც წინგადადგმულ ნაბიჯზე. და სულაც არ მოუწოდებს ბიწიერებაში თანასწორუფლებიანობისაკენ.

შემდეგ ენგელსი წერს: „კლასთა პირველი დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში ჩნდება, ემთხვევა ქმარსა და ცოლს შორის ანტაგონიზმის განვითარებას ერთცოლიანობის დროს, ხოლო პირველი კლასობრივი ჩაგვრა ემთხვევა მამრობითი სქესის მიერ მდედრობითი სქესის დამონებას. ერთცოლიანობა დიდი ისტორიული პროგრესი იყო, მაგრამ ამასთანავე ერთად იგი იწყებს, მონობასა და კერძო სიმდიდრესთან ერთად იმ ეპოქას, რომელიც დღემდე გრძელდება. ეპოქას, რომელშიც ყოველი პროგრესი იმავე დროს შეფარდებითი რეგრესიცაა, რადგან ერთთა კეთილდღეობა და განვითარება მეორეთა ტანჯვისა და ჩაგვრის ხარჯზე ხორციელდება“ (ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 87, 1953)

რატომ მოხდა, რომ მაინც და მაინც ქალმა ჩათვალა თავისთვის „დამამცირებლად და მძიმედ“ მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობა, იატომ მოითხოვა სწორედ მან ერთცოლიანობა, ხოლო შემდეგ ასე ხანგრძლივად თანახმა იყო მარტოს ეზიდა მისი ჯაჯანი?

ალბათ იმიტომ, რომ დაკვირვებულმა ქალებმა ჯერ კიდევ ძველ დროში დაინახეს ასეთი კანონზომიერება: უფრო ჯანრთელი, უფრო მარჯვე და წარმატებულია იმ დედის შთამომავლობა, რომელთანაც მტკიცედაა მიჯაჭვული მამაკაცი — მამა, მშრომელი, მომპოვებელი და დამცველი. ახლა უკვე არავისთვის საეჭვო არ არის მყარი ოჯახის უპირატესობა ბავშვების აღზრდაში, მეურნეობის მართვაში, პროფესიულ მიღწევებშიც კი. (ბოლო დროის გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ადამიანის ყოველგვარი წარმატება და კეთილდღეობა—შრომაში თუ ჯანმრთელობაში, პირდაპირ კავშირშია მოწესრიგებულ და შეხმატკბილებულ ოჯახურ ცხოვრებასთან. თუმცა ამის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ).

და აი, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, გამოდის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ქალები მორალურ უთანასწორობასაც კი ეგუებოდნენ შვილების კეთილდღეობისათვის. რადგან მეცნიერების გარეშეც შეგნებული ჰქონდათ, რომ დედის ქცევა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მემკვიდრეობის კეთილდღეობაზე, ვიდრე მამის ქცევა. ამიტომაც ქალიშვილებს ზრდიდნენ უფრო მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ვიდრე ვაჟებს.

მორალური ნორმები და წესები არ არის იმთავითვე ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, უცვლელი ხასიათის. სხვადასხვა ხალხებს, სხვადასხვა დროს ჰქონდათ სხვადასხვა წეს-ჩვეულებები: იყენენ მრავალცოლიანობის და მრავალქმრიანობის მომხრეები და დაუქორწინებლობის მიმდევრებიც. მაგრამ, სწორედ, მოწესრიგებული კავშირების არსებობა მიუთითებდა იმაზე, გამოვიდა თუ არა ტომი—ველურობის მდგომარეობიდან.

თუმცა ჩვენ ახლა ასეთ ფენომენსაც ვხედებით: საზოგადოება, რომელმაც მიაღწია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების უდიდეს აყვავებას. სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში ამჟღავნებს ველურობის მდგომარეობისაკენ მობრუნების ტენდენციას. მაგალითისათვის გამოდგება დასავლეთში გავრცელებული „სექსუალური რევოლუცია“, რომელმაც, ზოგიერთი მისი აპოლოგეტის აზრით, ხელი უნდა შეუწყოს სქესთა დამოკიდებულებაში საუკუნეობრივი უთანასწორობის მსხვრევას, ხელი უნდა შეუწყოს სიყვარულის სტიქიური ძალების აყვანას მეცნიერების რანგში. ამ მიზნების განხორციელებისათვის გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებმაც მეშჩანობად, ფარისევლობად, განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე

ადამიანისათვის უცხო მოვლენებად გამოაცხადეს და გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა სირცხვილი, მოკრძალებულობა, თავმდაბლობა და ერთგულება. გამოითქმოდა შეხედულებები, რომ ბედნიერი ოჯახის შექმნისათვის საკვარისია ახალგაზრდობის სექსუალური განათლება.

ისეთი ლიტერატურისა და კინოფილმების გავრცელებას, რომლებმაც არა მარტო იდუმალების ფარდა ახადეს ქალისა და მამაკაცის სექსუალურ ურთიერთობებს, არამედ დაწვრილებით გადმოსცეს მისი დეტალებიც და, ამით, დიდი პროპაგანდა გაუწიეს „სექსის ტექნოლოგიას“, მოჰყვა ის, რომ ამ მხრივ „განათლებულ ახალგაზრდობაში თავი იჩინა მიდრეკილებამ ყოველგვარ სექსუალურ გაუკუღმართებათა მიმართ. ამ ნიადაგზე გახშირდა ფსიქიკური დაავადებები, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ვენერიულ დაავადებათა მკვეთრ ზრდაზე. სულ უფრო და უფრო იზრდება იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკების რაოდენობა, რომლებსაც აღარ უნდათ და ხშირად უკვე აღარც შეუძლიათ ნორმალური ოჯახური ცხოვრება.

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ინგლისში. იაპონიასა და აშშ-ში განქორწინებათა ნახევრიდან ორ მესამედამდე, სხვა მიზეზებთან ერთად ხდება პარტნიორთა სქესობრივი დაუკმაყოფილებლობის. ანდა სქესობრივი სფეროს მოქმედების სხვადსხვაგვარ დარღვევათა გამო. დანია, საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენენ ამ „მეცნიერებისა და ტექნიკის“ ცენტრს. მათ ავსებს მსოფლიო ბაზარი შესატყვისი“ პოპულარული და მეცნიერული“ ლიტერატურით. ამიტომაც, სწორედ ამ ქვეყნებშია შობადობისა და ქორწინებათა მდგომარეობის მეტად დაბალი დონე.

ამ ქვეყნების პატიოსანი ადამიანები შეშფოთებით ლაპარაკობენ საზოგადოებრივი და ოჯახური მორალის დაცემაზე. საფრანგეთსა და გფრ-ში „სექსუალური რევოლუციის“ მომხრეებს პრესა უწოდებს „სოციალურ თვითმკვლელებს“. მაგრამ მასში არ არის არაფერი ახალი, მით უმეტეს, რევოლუციური.

„დრო იყო, სიძვამ, ბიწიერებამ,
ეით სიყვარულის მეცნიერებამ
ბაქით, ტრაბახით ყველას აცნობა,
რომ უტრფიალო ნებავს განცხრომა.
მაგრამ გართობა ასე, ამგვარად
ბებერ მაიმუნთ უფრო შეფერით,
ცნობილთ გარდასულ დღეთა შექებით;
ლოველასობა წარსულს ჩაბარდა,
როგორც ტარება წითელ ქუსლების
და პარიკები დიდებულების.“*

* პუშკინი „ევგენი ონეგინი“, ო. ჭელიძის თარგმანი.

როგორც ხედავთ ა. ს. პუშკინის აზრით, მხოლოდ „ბებერ მაიმუნთ შეფერით“ გარყვნილების სამსახურში ჩაყენებული „სიყვარულის მეცნიერება“.

ახლაც, დასავლეთის მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანების დიდ ნაწილთან, ისევე, როგორც ყველა დროის ელიტასთან, დაუფიქრებელი თავშეუკავებელი მომხმარებლობა ჰქმნის სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც აიგება ადამიანური ქცევის მთელი სისტემა, ინტიმური სფეროს ჩათვლით. ზუსტად ისევე, როგორც იცვლიან მანქანებს (ავეჯს, ტანსაცმელს, სამკაულებს, სათამაშოებს), განსაკუთრებული საჭიროების გარეშე, როცა ეს ნივთები ჯერ კიდევ არ დაძველებულა და არც მობეზრებიათ, იკლიან ოჯახის ან უბრალოდ თანაცხოვრების „პარტნიორსაც“. ბუნებრივია, რაც უფრო სუსტია კავშირი ადამიანებს შორის, მით უფრო ადვილად ხდება ეს შეცვლა. ყველაზე მეტად კი ქალსა და მამაკაცს, ცოლსა და ქმარს აკავშირებთ შვილები, რომლებიც მოითხოვენ მშობლებისაგან ოჯახურ ურთიერებათა მუდმივობას, წესიერებას, ერთგულებას. მაგრამ რაკი ასეა, უარს ამბობენ არა იმაზე, რაც ხელს უშლით შვილების გაჩენასა და აღზრდაში, არამედ უარს ამბობენ თვითონ შვილებზე. მით უმეტეს, რომ საყოველთაო შეცვლადობისას საკუთარ შვილებს ვერ შეცვლი სხვებით „უფრო მოდურებით, თანამედროვეებით. უფრო გამოსადეგითა და სასიამოვნოებით,“ როცა, სწორედ, ეს თვისებები ითვლება ყველაზე დიდ ღირსებად ნებისმიერი ნივთისათვის, ნებისმიერი ფასეულობისათვის.

შეცვლის (ღალატის) ფეტიში, როგორც ძირითადი ნიშანი პიროვნების ან ოჯახის წარმატებულობისა—აი რა განსაზღვრავს დღეისათვის. ბურჟუაზიული საზოგადოების უზრუნველყოფილი წრეების ბევრი წარმომადგენლის ქცევის სტილსა და მორალს. მათთვის „თანამედროვეობის“ თავისებური ნიშნადაც კი იქცა მუდმივობის უარყოფა, რომელიც მათი აზრით წარმოადგენს კონსერვატიზმის, ჩამორჩენილი შეხედულებების სიმბოლოს. უარყოფა ნებისმიერი მუდმივობისა ყველაფერში: მეგობრობაში, თანამშრომლობაში, სიყვარულში, ნათესაურ დამოკიდებულებებში. ეს არის პირველი მიზეზი კაპიტალისტურ სამყაროში იმ სექსუალური ანარქიისა (მაგრამ არა რევოლუციისა), რომლის მოწმეც გახდა ჩვენი თაობა.

მეორე მიზეზი არანაკლებ საგრძნობი და არსებითი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანების ქცევაში აღარა ჩანს შემაკავებელი და მარეგულირებელი საწყისის მოქმედება, აღარა ჩანს მათი არსებობის ნათელი და ზნეობრივი მიზნები.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ახლა განიცდიან მძიმე მორალურ კრიზისს. რელიგიის მარეგულირებელი ძალა

სუსტდება, ბურჟუაზიულ საზოგადოებას კი არა აქვს მაღალი იდეები, რომელთა ერთგულების გამოც ადამიანი თავს შეიკავებდა ტლანქი სურვილებისა და ვნებებისაგან, რომელთა გულისთვისაც ის ნებაყოფლობით ჩათვლიდა თავის მოვალეობად შეეზღუდა საკუთარი მომხმარებლური მადა ცხოვრების ყველა სფეროში.

ამიტომაც ვარდება ის ერთი უკიდრესობიდან მეორეში; ინტიმურ დამოკიდებულებათა საკითხებში ახალგაზრდობის განათლების აკრძალვიდან პორნოხელოვნების თავისუფლებამდე. ამ უკანასკნელიდან კი — კვლავ მის საპირისპიროზე გადადის: ჩნდება კასტები, რომლებიც დაუშორწინებლობისა და ასკეტიზმის აღქმას დებენ. უკანასკნელ დროს, დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა გამოფხიზლების მომასწავებელმა ნიშნებმა. შვეიცარიაში მთავრობამ შეისყიდა მთელი პორნოგამოცემები და აკრძალა მათი შემდგომი გავრცელება. (ეს მას შემდეგ, რაც სწორედ ამ ქვეყანამ მისცა მსოფლიოს „სიყვარულის სრული თავისუფლების", ყველაფრის ნებადართულობის პროპაგანდის მაგალითი). მაგრამ, მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებით ხომ ვერ გადაწყდება ისეთი რთული პრობლემა, როგორიცაა ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი აღზრდა. საჭიროა ზნეობრივი იდეალები. შუქფენილი და განმტკიცებული მეცნიერებისა და ხელოვნების მიერ. თუმცა უკანასკნელ წლებში, დასავლეთის პროგრესული ახალგაზრდობის რიგებში აღმოცენდა მოძრაობა „ახალი უბიწოებისათვის", უბრალოდ სქესთა შორის ჯანსაღი დამოკიდებულებისათვის.

ჩვენს საზოგადოებაში თავიდანვე სხვანაირად იყო ფორმულირებული თვითონ იდეა სქესთა ემანსიპაციისა. როცა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ბურჟუაზიული წყობა და. მასთან ერთად, ბურჟუაზიული ოჯახიც დაარღვია, გამოიკვეთა სქესთა შორის ურთიერთობის რეგულირების სამი მიმართულება.

ერთი მიმართულების მომხრეებმა თავის ლოზუნგად წამოაყენეს „სიყვარულის თავისუფლება" და ომი გამოუცხადეს სირცხვილის გრძნობას. მათ წინააღმდეგ შეუპოვრად გაილაშქრა ვ. ი. ლენინმა, ნ. კ. კრუპსკაიამ და ბევრმა სხვა ჰეშმარიტმა მარქსისტმა, რომლებიც დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ ზნე-ჩვეულებათა აღვირახსნილობას არასდროს არ ჰქონია არაფერი საერთო ჰეშმარიტ რევოლუციასთან, ისევე, როგორც არავითარი საერთო არ ჰქონდა მარქსიზმთან მეშჩანურ ფარისევლობას.

ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ სახიფათოა კეკლუცობა ყოვლისგამგებობითა და ყოვლისმომტევებლობით. ის თვლიდა, რომ ქორწინებისაგან თავისუფლების ცამოცხადება, როგორც წესი, წარმოსდგება იმ მისწრაფებიდან, რომ... გაამართლონ თავისი არანორმალური ან გადაჭარბებული სქესობრივი ცხოვრება და გამოითხოვონ შემწყნარებ-

ლური დამოკიდებულება (იხ. მოგონებანი ვ. ი. ლენინზე. 1975, ტ. V 42 გვ., რუსულ ენაზე).

გამოდიოდა რა — „თავისუფალი სიყვარულის“ ლოზუნგის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებას აქაში ეამის თავისუფლება იმისაგან, რაც სერიოზულია სიყვარულში — ბავშვების გაჩენისაგან თავისუფლება, ცოლქმრული ღალატის თავისუფლება. კომუნისტებისათვის „სიყვარულის თავისუფლება“ შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ თავისუფლებას მატერიალური (ფინანსური) ანგარიშისა და საზრუნავისაგან, მესაკუთრული და რელიგიური ცრურწმენებისაგან, მშობლების მიერ აკრძალვისაგან, თავისუფლებას „კანონის, სასამართლოსა და პოლიციის ბორკილებისაგან“. არც წუთიერი ვნება, არც უხამსი და ჭუჭყიანი ქორწინება სიყვარულის გარეშე. არამედ სამოქალაქო ქორწინება სიყვარულით — ასეთია კომუნისტების პოზიცია ამ საკითხში.

სქესთა ურთიერთობის რეგულირების საკითხში, მეორე მასიურ მიმდინარეობას ეკუთვნიან ისინი, რომლებიც ბრმად ინარჩუნებენ ოჯახური ცხოვრების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ადათ-წესებს. არც ჯვარისწერას მიიჩნევდნენ საჭიროდ და არც მმაჩის ბიუროში „ხელისმოწერას“, ცხოვრობდნენ ტრადიციულ მცნებათა მიხედვით.

მესამენი, რომლებიც ვაშინ უმცირესობას წარმოადგენდნენ. შეგნებულად იღებდნენ თავის თავზე ურთიერთობის ახალი ფორმების ძიების პთელ სიმძიმეს ფორმებისა, რომლებიც აიგებოდნენ მაღალი მორალის საფუძველზე და არა „ჯოჯოხეთის ცეცხლისა“ და მეზობლებისაგან გაკიცხვის შიშზე. ისინი მიისწრაფვოდნენ აეგოთ პირადი ცხოვრე კომუნისტური საზოგადოებრივი მორალის ხატად და მსგავსად. რომლის მიხედვითაც პროგრესი შეუძლებელია, თუ არსებობს ერთი ადამიანისაგან მეორის ჩაგვრა.

ჩვენს ქვეყანაში აღიარებულია ოჯახისა და სიყვარულის ლენინური იდეალი: თავდადება მარადიულ ღირებულებათა მიმართ, თანაბარი ორივე მხარისათვის, ქალისადმი ღრმა პატივისცემის აღზრდა, მისი როლის ამაღლება საზოგადოებასა და ოჯახში, მამაკაცის გადაქცევა საიმედო საყრდენად, ერთგულ მეგობრად, რომელსაც ისეთივე მოვალეობები აქვს ცოლის წინაშე, როგორიც ცოლს მის წინაშე.

სქესთა შორის დამოკიდებულებაში ნამდვილ რევოლუციის შესახებ ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში ქალის მდგომარეობის შეცვლა სულ რაღაც ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე. უპირველეს ყოვლისა, ქალმა მიიღო არჩევანის თავისუფლება. ყველაფრის არჩევის თავისუფლება: განათლების, პროფესიული, საზოგადოებრივი და საშინაო საქმიანობის, მეუღლის არჩევის, იმის არჩევისაც კი — გახდეს თუ არა

დედა. მაგრამ, რაც უფრო მეტი თავისუფლებით ვსარგებლობთ, მით უფრო მეტად ვაცნობიერებთ სქესობრივი აღზრდის დიფერენციაციის უდიდეს მნიშვნელობას. ამიტომ ჩვენ გამუდმებით ვლაპარაკობთ ქალური და მამაკაცური ღირსებების შესახებ, პიროვნების ამ თვისებების ფორმირების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენ უკვე დაწერილებით განვიხილეთ სოციალური პირობების სიღრმისეული ზემოქმედება ადამიანურ დამოკიდებულებათა სისტემაზე, როლებიც, თავის მხრივ, გაელენას ახდენენ ფიზიოლოგიურ პროცესებზე.

რას გვეუბნება ამ საკითხებზე ბუნებისმეტყველება? დიდი რუსი მეცნიერი ი. ი. მეჩნიკოვი ცნობილ ეტიუდებში ადამიანის ბუნების შესახებ — წერს: ადამიანის „შინაგანი სასქესო ორგანოები მიუთითებენ რამდენადმე ორსქესიანად წარმოშობაზე. მამაკაცებთან შეინიშნება ქალის სასქესო ორგანოების ნარჩენები... პირიქით, ქალებთან გვაქვს კვალი მამაკაცის სასქესო ორგანოებისა.“

ენდოკრინოლოგები აცხადებენ, რომ თითოეულ ჩვენგანში არის ორივე სქესის ჰორმონალური „ნაკრები“. ქალად ან მამაკაცად ჩვენ გვაქცევს გარკვეული სქესისათვის დამახასიათებელი ჰორმონებისა და თვისებების სიჭარბე. მსგავსად ამისა, ქცევაში, ხასიათში, ინტელექტში. შეუძლებელია ღავასახელოთ ნიშნები და თვისებები, რომელიც გვხვდება მარტოოდენ და აბსოლუტურად ერთ რომელიმე სქესში. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ უპირატესად ქალურ ან მამაკაცურ ნიშნებზე.

როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ი. ს. კონი წერს: „...ერთი და იგივე ტვინი შეიძლება შეიცავდეს პროგრამებს, როგორც მამაკაცური, ისე ქალური ქცევისათვის. ასეთი „ორივესქესიანობა“ უზრუნველყოფს პლასტიკურობის მაღალ დონეს, ყოფიერების ცვალებად პირობებთან შეგუებადობას. ისტორიის კრიტიკულ მომენტებში იგი ქალებს საშუალებას აძლევს თავის თავზე აიღონ მამაკაცის ტვირთი და მოვალეობანი. ხოლო მამაკაცებს — პირიქით ქალისა.

მაგრამ, მაშინ რატომ არსებობს თვისებებისა და თვისებურებების სქესობრივი დაყოფა თუ კი ისინი მეტნაკლებად ყველა ადამიანს ახასიათებს?

როგორც ჩანს, ის თვისებები, რომლებიც ტრადიციულად ითვლება ქალურად, ჩამოყალიბდა დედობრივ მოვალეობათა შესრულების შედეგად. ახალშობილთან ურთიერთობისას, ბავშვების აღზრდისას დედას უმუშავდება ისეთი სულიერი თვისებები, როგორიცაა შემწყნარებლობა და მომთმენობა, გულკეთილობა, თანაგრძნობა, თავდადებულობა, სირბილე და სინაზე. რაც უფრო მეტად აქვს მამაკაცს მიღებული ბავშვობის წლებში დედობრივი სიყვარული და მზრუნველო-

ბა. მით უფრო საჭირო და ძვირფასია მისთვის ეს თვისებები ცოლში. სწორედ ამ თვისებებთან არის დაკავშირებული მოწიფული მამაკაცის წარმოდგენა „სრულყოფილი ქალის“ შესახებ. მარადიული ვაჟიშვილი ქალისა — აი, როგორი ჩანს მამაკაცი ყველა საუკუნეში. შვილია ის, ქმარი, თუ ძმა — ეს უკვე კერძო შემთხვევებია, ის მაინც ვაჟიშვილია!

რა გვაქვს პერსპექტივაში? კვლავ მივმართავთ მეცნიერს ი. ს. კონს: „ბევრი ამერიკელი და დასავლეთევროპული სოციოლოგი და ფსიქოლოგი წინასწარმეტყველებს, რომ ქალისა და მამაკაცის სოციალური როლები პერსპექტივაში აბსოლუტურად ერთნაირი იქნება. პირადად მე ეს არ მჯერა. თუნდაც რეალური შესაძლებლობები ორივე სქესისა იყოს გაცილებით პლასტიკური და ფართო, ვიდრე ფიქრობდნენ წინათ. აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს, რომ შრომის სქესობრივი დანაწილება საერთოდ მოკლებულია ბიოლოგიურ საფუძვლებს.“

შემდეგ ი. ს. კონი, არსებითად გამოთქვამს დარწმუნებულობას, რომ არავითარი სოციალური გარდაქმნები არ იმოქმედებს ქალის ორგანიზმის ბიოლოგიურ თავისებურებებზე, არ შეცვლის დედობრივ ფუნქციებს და ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ქალურობის იდეალს. მაგრამ მისი შემდგომი კულტივირებისათვის აუცილებელია დავიცვათ განსხვავება გოგონებისა და ბიჭების აღზრდაში.

ამ რთული, დახლართული პრობლემის სწორი გადაწყვეტა ასეთია: გაგებით. მზრუნველობით მოვეკცეთ ყველაფერს, რაც ბუნებითაა ჩვენში მოცემული, ნუ დავავმსხვრევთ და გავანადგურებთ მას დროებითი წარმატების მისაღწევად. მაგრამ ნურც მხოლოდ მას დავეყრდნობით მთლიანად და გააზრებულად განვავითაროთ ყველაფერი ის, რაც მიჩნეულია სქესისა და პიროვნების განსაკუთრებულ ღირსებად.

საზოგადოებისათვის დიდძალი ზნეობრივი დანაკარგი მოაქვს სქესთა გათანაბრებით არაგონივრულ, მეტისმეტ გატაკებას. საეჭვოა. რომ ვინმეს უნდოდეს იყოს საშუალო სქესის არსება: არც ის. არც ეს, თავისი არსის, თავისი მიწიერი დანიშნულების ცოდნისა და გაგების გარეშე.

რა მძიმე შედეგი შეიძლება ზოგჯერ მოჰყვეს გოგონებისა და ვაჟების ქცევას შორის განსხვავების „უმანკო უცოდინარობას“, შეიძლება დავინახოთ რსფსრ-ს ერთი სისხლის სამართლის პროცესის მაგალითზე (იურიდიული კანონები უცოდინარობას არ მიიჩნევენ საკმარის საფუძვლად დანაშაულებრივი ქმედების გამართლებისათვის, ამიტომ ზოგჯერ ისეთი ახალგაზრდები აღმოჩნდებიან მართლმსაჯულების წინაშე. რომლებმაც არც კი იცოდნენ, რომ დანაშაულს სჩადიოდნენ).

გამოძიება დამთავრებულია. მოდის სასამართლო. პროცესის მონაწილეები იყვნენ მოზარდები — უფროსკლასელები, გუშინდელი მეგობრები და ახლობლები.

იმ დღეებში გოგონები და ვაჟები დადგნენ თემიდას სასწორის სხვადასხვა მხარეს. ერთნი — ჭაბუკები—იყვნენ მოპასუხეები, ბრალდებულები; მეორენი — გოგონები — იყვნენ დაზარალებულნი, ბრალდებულები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ უმძიმესი დანაშაულის — გაუპატიურების გამო.

სასამართლოს წევრებმა ვერ აღმოაჩინეს ვერც მოწმეებთან, ვერც დაზარალებულებთან სინიდისის ქენჯნა ან რისხვა მოძალადეთა მიმართ. გოგონებს თვალებზე ცრემლიც კი მოადგათ, როცა კონვოიმ გაიყვანა მსჯავრდადებულნი.

გამოირკვა, რომ „დაზარალებულნი" მთერალები იყვნენ „მოძალადეებთან" შეხვედრამდე. საკუთარი ნება-სურვილით მიიყვანეს მათ თავი იქამდე, რომ ყველაფერი დანარჩენი ხდებოდა უკვე მხარეების ნახევრად უგონო მდგომარეობაში. ისე, რომ არ ყოფილა ძალადობა, არ ყოფილა არც წინააღმდეგობა. ამიტომაც სიტყვები „დაზარალებულნი" და „მოძალადეები" მოგვაქვს ბრჭყალებში.

მოსამართლენი ამაოდ მოუხმობდნენ გოგონებს ქალური ღირსების შეგნებისკენ, ხოლო ვაჟებს მამაკაცური რაინდობისკენ. გოგონები არ მალავდნენ, რომ აქვთ ბუნდოვანი წარმოდგენა ქალურ ღირსებაზე და იმაზე, რომ დედის სისუსტეთა და მანკიერების შედეგები მძიმე ზეკავლენას ახდენენ შთამომავლობაზე.

სსრკ-ს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. პ. ნაპალკოვი ამტკიცებს, რომ ქალები, რომლებიც ორსულობის დროს თამბაქოს ეწევიან, მომავალ შვილს აყენებენ კიბოთი დაავადების რისკის წინაშე. მსმელ ქალს — (მომავალ დედას) უბედურება მოაქვს თავისი მემკვიდრეობისათვის. ბიბლიის მიხედვით, მეშვიდე თაობამდე. იგივე ითქმის მოუწესრიგებელი სქესობრივი კავშირების შესახებაც. სასამართლოც ამ შემთხვევაში გოგონებს იცავდა მათი საკუთარი უმეცრებისგან, უკულტურობისგან. იმიტომ, რომ მათში ხედავდა პოტენციურ დედებს, რომელთა სხეულიც — ბუნების უმაღლესი ქმნილება, არ უნდა წარმოადგენდეს წუთიერი და მღვრიე ნდომის დაკმაყოფილების საშუალებას, უზნეო გართობის საშუალებას. სასამართლო მათში იცავდა დედებს, რომელთა უმნიშვნელოვანესი და უმშვენიერესი ამქვეყნიური ვალია, მისცენ სამშობლოს არა მარტო ფიზიკურად, არამედ ზნეობრივადაც ჯანსაღი შთამომავლობა.

სსრკ-ს კონსტიტუციის ბევრი დებულება მიმართულია დედობის დაცვისაკენ. ამიტომაა, რომ ზოგ სასწავლო დაწესებულებაში ქალიშვლების და ჭაბუკების მიღება თანაბრად არ ხდება ზოგიერთში კი გ-

კონები საეროოდ არ მიიღებიან, მაგალითად, სამხედრო და საზღვაო სასწავლებლებში, თუმცა არავის არ ეპარება ეჭვი, რომ ბევრ თანამედროვე გოგონას აქვს იმის ნიჭი და ფიზიკური შესაძლებლობები, რომ აითვისოს სამხედრო დისციპლინები, აიტანოს სამუშაოს სიმძიმე. მათ არც შახტებში ამუშავებენ ქვანახშირის მოსაპოვებლად. პენსიაზეც მამაკაცებთან შედარებით მთელი ხუთი წლით ადრე უშვებენ. სასაძართლო დავაშიც, განქორწინებისას, ბავშვებისა და ქონების გაყოფისას, როგორც წესი, იურიდიული ორგანოები დგებიან ცოლ-დედის მხარეზე, თუნდაც სწორედ ის იყოს ოჯახის დანგრევის მიზეზი.

ამავე მიზეზით, სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ქალისადმი, მისი საზრუნავისა და საჭიროებისადმი ფრთხილი, პატივისცემის, თანაგრძნობის დამოკიდებულების კულტივირება მის სამუშაო ადგილებშიც.

ყველა უპირატესობა ქალს ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ დედობრივი მისიის გამო! ვინც პრეტენზიას აცხადებს პატივისცემაზე, მაგრამ თავის ძირითად მოვალეობას არ ასრულებს ან ასრულებს ძალიან დაუდევრად, მან კარგად უნდა იცოდეს, რომ მოითხოვს სრულიად დაუმსახურებლად და უსაფუძვლოდ.

ამგვარად, გამოიკვეთა ორი სტერეოტიპი სქესთა ემანსიპაციისა. ერთნი ირჩევენ ლოზუნგს: „გავუთანაბრდეთ“ მამაკაცებს! „ამ ტიპის თანასწორუფლებიანობის მომხრე ქალთა ცოდნა-განათლებისა და პროფესიული დოსტატების დონე უდავოდ არნახულ სიმაღლეზე ადის. მაგრამ საკუთრივ ქალურ თვისებებს ისინი ხშირად კარგავენ. ეს იწვევს იმას, რომ ოჯახშიც და შეუვარებულთა დამოკიდებულებაშიც დაუსრულებელი, გაჭიანურებული, მომქანცველი და უნაყოფო „სქესთა ბრძოლაა“ პრივილეგიების, კომფორტის განაწილების ან ხელახლად გადანაწილებისათვის და სრულიად მივიწყებული აქვთ პასუხისმგებლობა სიყვარულისა და სიმშვიდისათვის. პატიოსნებისა და ღირსებისათვის.

სხვა გზას ირჩევენ ისინი, ვინც ემანსიპაციას აღიქვამს არა როგორც ლიდერის მიყოლას, ან როგორც სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ერთმანეთთან დაახლოებისაკენ სწრაფვას, არამედ როგორც ერთობლივ წინსვლას განვითარების მწვერვალებისაკენ, იქითკენ, რომ გახდნენ სრულყოფილი ქალი — მეუღლე-დედა და სრულყოფილი მამაკაცი — მეუღლე-მამა. მეორე გზა კხადია უფრო ადამიანური და კეთილისმყოფელია პიროვნებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

რა გამოდის ყოველივე აქედან? ქალს ძველებურადვე უნდა ეკრძალებოდეს ყველაფერი, რაც მამაკაცს დასაბამიდან ეპატიებოდა?

პირიქით: მამაკაცისთვის ხებადართული არ უნდა იყოს ის, რაც საუკუნეების მანძილზე ეკრძალებოდა ქალს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აიგება თანასწორობა არა საერთო მანკიერებებზე, არამედ საერთო სათნოებაზე. ასეთ პერსპექტივას სახავს კაცობრიობის კეთილდღეობის ყველა მოამაგის ფანტაზია, სხვანაირად არც შეიძლება: ზნედაცემული მამაკაცი აფუჭებს ქალსაც, ბავშვებსაც, თესავს ბოროტებას, რომელიც ზოგჯერ ძალიან სწრაფად მრავლდება.

ჩვენ ვერ შევქმნით პატიოსნებისა და სამართლიანობის სამეფოს, თუ საკუთარ სახლში შევურიგდებით მანკიერებას. მაგრამ, ზნეობრივი იდეალისთვის ბრძოლა არანაკლებ რთულია, ვიდრე ბრძოლა სოციალური იდეების განხორციელებისთვის. იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა ყველაზე კეთილ განზრახვებსა და გრძნობებს უბედურება მოაქვს ბევრი ადამიანისთვის. გთავაზობთ ნორჩი სულის აღსარებას, რომელმაც შეიძლება ბიძგი მისცეს ახალ მოსაზრებებს.

„მე 21 წლის ვარ. ჩემი ბედი რამდენადმე უჩვეულოა. როგორც ჩანს, მართალია დედაჩემი, რომელიც მე ფანატიკოსს მიწოდებს. 13 წლისამ შემთხვევითი მიმოწერით გავიცანი პატიმარი, რომელსაც მოსახდელი ჰქონდა კიდევ 6 წელი. დაიწყო მიმოწერა. მე ავენთე სურვილით დავხმარებოდი მას ფეხზე დადგომაში. წერილებში ჩვენ ვკამათობდით, ვმსჯელობდით. ის საკმაოდ გონიერი ადამიანი აღმოჩნდა (ჩემზე 10 წლით დიდია). მე მყავდა მეგობარი გოგონა, რომელიც იზიარებდა ყველა ჩემს სიხარულსა და უსიამოვნებებს. ჩვენ ერთად ვკითხულობდით მის წერილებს. ვას შეეძლო წერილში ოცნება, ტანჯვა, ტირილი, სიცილი. და მე... შემიყვარდა. მე სწორედ ასე მომეჩვენა. მან ხელი მთხოვა. 19 წლისა გავთხოვდი, ხელი მოვაწერეთ „ზონაში“.

წარმოგიდგენიათ რა ხდებოდა სახლში?! მაგრამ მე გავუძელი ამას. ერთმანეთს ვხვდებოდით ნახევარ წელიწადში ერთხელ. მიმოწერა კი ხშირადა გვქონდა. ერთი წლის შემდეგ კი მე უკვე გამოვფხიზლდი და მივხვდი, რომ არ მიყვარდა ის. ჩვენ დავიწყეთ ჩხუბი. ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება. არ ეიცი, დიდხანს გაგრძელდებოდა თუ არა ეს, მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად მოველოდი. შემხვდა ადამიანი, რომელიც შემიყვარდა. შემიყვარდა ისე, რომ თვითონ შემეშინდა. მე შევხვდი ნამდვილ სიყვარულს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს. ამაში მე მართლაც არ შევმცდარვარ. მან გაამითბო სული, ხელახლა მასწავლა სიცილი და სიხარული. თითქოს ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ აქ მივხვდი, რომ დახშულ წრეში მოვექეცი. რა ვქნა? მივატოვო ქმარი? მაგრამ მე მისთვის ყველაფერი ვარ ამ ქვეყნად. დავრჩე მასთან? მაგრამ მე არ შემძლია მოტყუება... აი როდის გადმოიღვარა ცრემლებად ჩემი ბედნიერება.

მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ უნდა შევიცოდო ქმარი და დავრჩე მასთან. დედამაც კი ასე გადაწყვიტა. გამიგეთ: იქნებ მართლა ეგოისტი ვარ, მაცარი ვარ, მაგრამ მე ვიფიქრე საკუთარ თავზეც. ოცი წლისა ვარ. მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ვისჯებოდე შეცდომისათვის. ამისათვის ზურგი შემაქცია ძვირფასმა მეგობარმა ქალმა. მე კი, უსინდისომ, შევიცოდე ჩემი თავი, ის ადამიანი, რომელიც მიყვარს და ჩემი მოშავალი შვილები.

მე ვპოვე ჩემში ძალა, ისევე როგორც ადრე, რომ ყური არ მეგდო არავისთვის და მივაღწიე განქორწინებას. რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო ამის გადაწყვეტა. საშინელებაა ამაზე წერაც კი.

მაგრამ, აი, რატომ გიამბობთ ყოველივე ამას. ადამიანი, რომელიც მე მიყვარს ცოლიანია. უფრო სწორად, ის ოფიციალურად არ იყო განქორწინებული ცოლთან. თუმცა არცა ცხოვრობდა მასთან. მან შვიტანა განცხადება განქორწინებაზე. და ჩვენ გადავწყვიტეთ გვეცხოვრა ერთად რეგისტრაციის გარეშე. ვიცოდი რომ მას ჰყავს ხუთი წლის შვილი, მაგრამ თურმე შვიდი თვის ბიჭიც ჰყოლია, რაც მე დავიმალა. როცა ეს გამეგებინა, მე მთელი დღე და ღამე ვტიროდი. შეკთავაზე დავცილებულიყავით. მინდოდა, საერთოდ წავსულიყავი ნაშობლიური ქალაქიდან. მაგრამ მან თქვა, რომ წამოვა ჩემთან ერთად.

მე ვეუბარე მის ნათესავებს. ყველა ერთხმად ამბობდა, რომ მხოლოდ ჩემთან პოვა მან მშვიდი ცხოვრება, ბედნიერება. მეც მზად ვიყავი ყველაფერი შემეწირა მისთვის. მაგრამ მწარეა ჩვენი ბედნიერება. მწარეა იმიტომ, რომ ორი ბავშვი უმამოდაა. ღამღამობით ვტირი ამ სულიერი ტკივილისაგან. რომელსაც განვიკდი ჩემთვის უცხო ადამიანების გამო. არ იფიქროთ, რომ მე ვთამაშობ კეთილშობილებას. მეგობრები მეუბნებიან, რომ დავაობლე მისი შვილები. ალბათ მართალი არიან. მაგრამ განა ბედნიერი იქნებოდნენ ბავშვები, თუ მამა მათთან იცრუებდა, იცხოვრებდა ტყვეობაში? რა თქმა უნდა. ჩემთვის ადვილია მსჯელობა. მისი ცოლი კი... რა დღეში იქნება ოთი ბავშვით?

მე შემთხვევით შევხვდი მას. რა აღარ მიწოდა! მაგრამ არ ვამტყუნებ. მე მესმის მისი. მაინც განსაკუთრებით მატკინა გული იმან, რომ დაწყველა ჩემი ბავშვი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა. იმას მაინც რას ერჩოდა?

იქნებ მაინც დაუბრუნო ბავშვებს მამა და ე. ი. წავართვა ის ჩემ საკუთარ შვილს? ეს არ მაშინებს. ვფიქრობ, ბავშვი რომ გაიზრდება, გამიგებს. მაგრამ მე თვითონ არ შემიძლია საყვარელი ადამიანის გარეშე ცხოვრება. მე მესმის: ბავშვები ცხოვრებაში მეტად ძვირფასია, მაგრამ ისიც ძალიან ძნელია, რომ 20 წლისამ დავთმო ბედნიერება. ალბათ, მე სინამდვილეში ეგოისტი ვარ. ყოველთვის მოველოდი სიყ-

ვარულს, როგორც სასწაულს და არასდროს არ მიფიქრია, რომ ჩემი ბედნიერება ასეთი მწარე იქნებოდა. როგორ მოვიქცე მე ახლა?

სვეტლანა კ."

დამეთანხმებით, რომ ამ წერილს გულგრილად ვერავინ წაიკითხავს. აქ იმდენი საპირისპირო გრძნობები და აზრებია, იმდენი ტკივილი და იმედია, რომ მთელ მოთხრობას ეყოფოდა. მაგრამ ეს ლიტერატურა არ არის, ეს ცხოვრებაა. ტანჯვაც ნამდვილია და არა მოგონილი. ხედავთ რა ძვირად უჯდება თვითონ სვეტლანას და მის გარემოცვასაც ასეთი. მისი თვალსაზრისით, სრულიად ბუნებრივი გრძნობების თავისუფლება და ქცევის დამოუკიდებლობა. შეუყვარდა „განდევნილი". გადააბიჯა დედის პროტესტს და მიეცა თავის გატაცებას. „გამოფხიზლდა" ამ გრძნობიდან და, არ შეუძლია და არც სურს თავისი შინაგანი მდგომარეობა დამალოს. კვლავ მიდის ისე, რომ ანგარიშს არ უწევს ადამიანთა სამსჯავროს, იმას, რომ კარგავს ძვირფას მეგობარ ქალს. იმას, რომ მისი განდგომის გამო კიდევ უფრო ძირს ეშვება ის, ვისი ამაღლებაც მას უნდოდა.

ახალ სიყვარულსაც ჯერ მხოლოდ უბედურება მოაქვს. სვეტლანას უნდა ბედნიერება საყვარელი ადამიანისთვის და საყვარელ ადამიანთან. მაგრამ ეს ვერ უთავსდება მამაკაცის შვილებისა და მისი მომავალი შვილის ბედნერებას. რა სიმშვიდე და სიტკბოება ექნებათ მათ ოჯახში, როცა გვერდით არის სახლი, სადაც მისთვის საყვარელი ადამიანების მისამართით მუდმივი წყევლა-კრულვა იქნება?

ახალგაზდა ქალი. თითქმის ჯერ კიდევ გოგონა. ყველაფერს წყევტს თვითონ. რა თქმა უნდა. თვითონვე აგებს პასუხს ყოველივესთვის. სრულიად მიეზღვება სამაგიერო. მე. მაკალითად. სულის სილრმემდე შეშფრა თითქოს შემთხვევით წამოსროლილმა ფრაზამ: „იქნებ მაინც დაეუბრუნო ბავშვებს მამა?" ის ხომ თავის თავს თელის მართლაც ყოველდღიერად და ყოველისშემძლედ: „დაეტოვო". „მიეატოვო". „დაეუბრუნო მამაკაცი". რა მძიმე ტვირთს უნდა წარმოადგენდეს ასეთი დიდი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება! მას კი არ ეშინია.

არ ეიცით, ამ აღსარებაში რა უფრო მეტია — ეგოიზმი თუ თაკგანწირვა, თავქარიანობა თუ ზრუნვა იმათზე. ვინც ჩისმა „ნამდვილმა" სიყვარულმა გადათელა. სვეტლანას ბედი, ხომ მარტო გარეგნულად არის არაორდინარული. არსებითად მისი პრობლემები დარდი და ტანჯვაა ძალიან ბევოისა. ვინც ღალატობს ბეელ მეგობარს, ბეელ სიყვარულს. ვინც აგებს ახალ სიყვარულს წინანდელი ბედნიერების ნამსხვრევებზე.

ძნელია ეიწინასწარმეტყველოთ. როგორ მოიქცევა სვეტლანა შემდგომში. კიდევ უფრო ძნელია მისთვის რაიმე რჩევის მიცემა. მაგ-

რამ, ერთი რამ ცხადია: უკვე თვითონ მისი ყანცდები, შეუძლებლობა იმ ბედნიერთა უდარდელი არსებობისა, „რომელთაც პოვეს ერთმანეთი“, ლაპარაკობს ჩვენი საერთო მორალის სასარგებლოდ. დარდი მათ ბედზე, ვინც წინათ გვიყვარდა, ზრუნვა არა მარტო საკუთარ, არამედ სხვის შვილებზედაც, იმის ნიშანია, რომ ისეთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალებისა და ვაჟებისთვისაც კი, როგორიც სვეტლანა და მისი მეგობრები არიან, დიდი მნიშვნელობა აქვს მარად ერთმანეთთან შერკინებული გრძნობების: სიყვარულისა და მოვალეობის, პირადი კეთილდღეობისადმი სწრაფვისა და პატიოსანი ცხოვრების სურვილის ურთიერთშერწყმას.

ასეთია, ზოგადად, გრძნობათა კულტურისა და სქესთა შორის დამოკიდებულების აღზრდის პრობლემა. ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული საკმარის წარმოდგენას გვაძლევს იმ ამოცანის სირთულეზე, რომლის გადაწყვეტის წინაშეც ჩვენ ყველანი ვდგავართ: განვდევნოთ ჩვენი ზრახვებიდან, გრძნობებიდან, ქცევიდან ყველაფერი, რაც ჩვენ ყველას — უფროსებს და უმცროსებს, ქალებს და მამაკაცებს — გვთიშავს ერთმანეთისაგან. გვაპირისპირებს ერთმანეთთან, ყველაფერი, რასაც მოაქვს ჩვენს ცხოვრებაში სიმახინჯე, ჰუპკი, უპატიოსნობა, ჩვენი ბუნებისა და ღირსების დამცირება.

თუ დაუფიქრდებით, ასეთი პროგრამის განხორციელება იქნება მთელი კაცობრიობის მარადიული ოცნების აღსრულება, ჰუმარიტად ზნეობრივი რევოლუცია. ის, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ადამიანის გულში, თითოეულმა უნდა დასძლიოს თავისი თავი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ უძველეს წიგნებში იყო ნათქვამი: ის ადამიანია ყველაზე ძლიერი, ვისაც შეუძლია თავის სისუსტეთა დაძლევა. „ბუნების მეუფისათვის“ არ არსებობს საკუთარ, ცუდ ჩვეულებებზე უფრო საშიში მხეცი. ალბათ ჩვენი დროის ჰუმარიტი გმირები იქნებიან ის მამაცი ადამიანები, რომლებიც შეებრძოლებიან ჩვენი სიცოცხლის მომწამვლელ, ჩვენი მზის დამბნელებელ ამ ურჩხულს.

რა შეიძლება საშინაო დავალებად შემოგთავაზოთ ასეთ რთულ თემაზე საუბრის შემდეგ? კვლავ მივმართოთ თვითანალიზის ჯადოსნურ სარკეს და შეეცადოთ პირველ რიგში დაინახოთ (გაიხსენოთ) ის შემთხვევები. როცა შეძელით გვეჯობნა საკუთარი თავისათვის, დაგეძლია საკუთარი უხეშობა, თავხედობა. შეძელით სხვისი ბუნების გაგება, შეძელით დაგვეცვა საკუთარი სქესის ღირსება ან არ დაგვემცირებინა სხვა. ეს მაგალითები მივიღოთ ჩვენთვის ამოსავალ პოზიციად ჩვენს შემდგომ ქცევებში უფროსთანაც, უმცროსთანაც, მეგობართანაც და შეყვარებულთანაც.

ჩვენ ვირჩევთ ერთმანეთს

გადავდიეართ ცოლ-ქმრისა და მშობლების ურთიერთობის საკითხებზე.

დედა, მამა მოგვილოცეთ: ჩვენ გადავწყვიტეთ დაქორწინდეთ. ბევრი ახალგაზრდა ასე ატყობინებს თავის მშობლებს იმის შესახებ, რომ მათ ცხოვრებაში იწყება ახალი, ურთულესი ეტაპი. ოჯახის დამკვიდრებულ ყოფაში იჭრება უცხო გვარტომის არსება, „სხვა პლანეტელი". ბუნებრივია, რომ უფროსები ამ ცნობას იღებენ არა იმდენად აღფრთოვანებით, რამდენადაც შიშითა და შეშფოთებით: რა თვისებები, რა თავისებურებები ექნება ახლად მოვლენილ შვილს, როგორ მიიღებს იგი მათ სახლში დადგენილ წესრიგს?

დრო ქორწილის დადგენის დღიდან საქორწინო სუფრამდე საცოლეს და საქმროსთვის ჩვეულებრივ მეტად დაძაბულია, უნდათ თუ არ უნდათ, ნებით თუ უნებლიეთ, ისინი გადიან თავისებურ გამოცდა-გაჭინჯვას იმის უფლების მოსაპოვებლად, რომ თავისი რჩეულის ოჯახის წევრნი გახდნენ.

არაფერი განსაკუთრებული არ ითქმის ერთმანეთის მშობლებთან ახალგაზრდების ვიზიტის დროს, ყველა საკითხი ცხოვრებისეულია: როდის და როგორ გადაიხადონ ქორწილი, ვინ მოიწვიონ, სად იცხოვრებენ ახალგაზრდები? მაგრამ იმაში თუ როგორ მიმდინარეობს ეს მოლაპარაკება, რა არის მნიშვნელოვანი და რა უმნიშვნელო საცოლესა და საქმროსთვის, უფროსების გამოცდილი თვალი ხედავს ბევრ ისეთ რაიმეს, რასაც ვერ დაინახავენ, ვერ გამოიცნობენ შეყვარებულები. მშობლები რასაკვირველია ცდილობენ გამოთქვან საყვარელ შვილთან თავისი შიში, ეჭვი იმის შესახებ სწორია თუ არა მისი არჩევანი. მაგრამ ამაოა მათი მცდელობა.

ჰკითხეთ ნებისმიერ ჭაბუკს მათგან, ვინც ხელს აწერს ცხოვრების წიგნში: არის შენი მეგობარი შენი ოცნების განსახიერება? გინდა რომ მას და მხოლოდ მას ხედავდე შენს გვერდით მთელი ცხოვრების მანძილზე, გინდა მასთან ერთად უკვდავჰყო შენი თავი შთამომავლობაში? ამავე კითხვებით მიმართეთ შემდეგ საცოლეს და შეხედეთ მათ სახეებს. ყველაზე მოსალოდნელია, რომ მათ სახეზე ამოიკითხოთ დაბნეულობა და გაღიზიანებაც კი, ამას რას გვეკითხებიანო. რა თქმა უნდა, ისინი ახლა სხვაზე არავიზზე ფიქრობენ. ბედნიერება შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანთან, ახლა გვერდით რომ უდგას.

წინა წლების გატაცებები ნამდვილად დავიწყებულია იმიტომ,

რომ ქორწილამდე ძალიან იშვიათად თუ შემორჩება ბავშვობისა და ყრმობის დროინდელი სიყვარული. მეხსიერებიდან იკარგება ყრმობის პერიოდში შექმნილი იდეალიც. და რა გასაკვირია, რომ ის, ვინც საბოლოოდ გახდება შენი სიხარულისა და დარდის თანაზიარი, სულაც არ ჰგავდეს შენი ბავშვური ოცნებების გმირს. გოგონას პატარაობიდანვე მოსწონდა ცისფერთვალა, ქერა მამაკაცები, ცოლად კი მიჰყვება თაფლისფერთვალა შავგვრემანს. ჰაბუკი ყოველთვის ოცნებობდა, ჰყოლოდა ისეთი მზეთუნახავი ცოლი „თვალს რომ ვერ მოსწყვეტს კაცი", ახლა კი ცოლად შეირთო პატარა, უბრალო, თვალცომცომა გოგონა. ეს რა სასწაულები ხდება? ჩვენი ბებიები და პაპები ასეთ გარდაქმნებს „ღვთის ნებად" მიიჩნევდნენ, ქორწინების საქმეში წყდება, ვინ ვისთან იყოს — ამას ბედი განაგებსო. ახლა ვერავის გადააბრალებ შენს არჩევანს. შემდეგში შეგიძლიათ მხოლოდ ივარაუდოთ, როგორი იქნებოდა თქვენი ბედი სხვისთვის რომ მიგეცათ უპირატესობა. რასაკვირველია, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა: პროფესია, სამუშაო ადგილი, თქვენი გარეგნული სახეც კი შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო. სახლში ჯდომისა და გემრიელი საჭმელების მოყვარულ ნანასთან დათო შეიძლება სიგანეში წასულიყო, გაზარმაცებულიყო, შეჩერებულიყო განვითარებაში. დაუდგრომელი ხასიათის, თავგამოდებულ სპორტსმენ ეკასთან კი იქნებოდა გამხდარი, ძარღვმაგარი, ენერგიული, საქმეებშიც და გართობაშიც.

საპატარძლოც სულ სხვა ცხოვრებით იცხოვრებდა, ნიკას რომ გაჰყოლოდა ცოლად. ექნებოდა ზომიერი, უდარდელი ცხოვრება, საღამოობით მეგობრების წრეში გონივრული საუბრები, ოპერაში აბონემენტი და სხვ. დათოსთან კი ის იხეტიალებს მშენებლობებზე, თავს შეაფარებს ვაგონებსა და ბარაკებს, იმღერებს გიტარაზე საკუთარ სიმღერებს, ხმამაღლა იკამათებს. ხშირად დაეუფლება მძაფრი სურვილი, დატოვოს ეს „შორეული გზების რომანტიკა" და დაუბრუნდეს საყვარელ ქოხს.

რატომ დასცილდა ნიკას და მიიღო დათოს წინადადება? ხომ ორივე მოსწონდა, იყო დრო, როცა პირველთან თითქოს უფრო ახლოც კი იყო. ერთ დღესაც ვერ სძლებდნენ ერთმანეთის უნახავად. უცებ კი... ეს დაწყეველილი თუ დალოცვილი სიტყვა „უცებ"! ერთმა სიტყვამ, გამოხედვამ, მოქმედებამ — ყველაფერი შეცვალა. მაგრამ, ხომ შეიძლება დათომაც წაიბორძიკოს, ვერ თქვას ყველაფერი სწორად. მის მიმართაც ისეთივე შეურიგებელი იქნება, როგორიც ნიკასთან იყო? არა, მას პატიობს უფრო მეტს, ვიდრე ვინმე სხვას.

რა საოცარია, ზოგჯერ რაღაც წვრილმანის, რაღაც შემთხვევითობის გამო მთელ ცხოვრება სხვანაირად აეწყობა. ბავშვებიც კი და მათი ცხოვრებაც სრულიად სხვადასხვაგვარი იქნება მშობელთა „წყვი-

ლის კომბინაციის“ მიხედვით. ახლობელი და შორეული ნათესავების ცხოვრებაც თავისებურად იცვლება, მოწიფული შვილების არჩევანის ზეგავლენით.

— კმარა, რამდენი უნდა ვილაპარაკოთ არჩევანზე, ოჯახის შექმნისადმი შეგნებულ, გააზრებულ დამოკიდებულებაზე! ა. ი. გერცენი, მაგალითად, „ნამყო და ნააზრევში“ აანალიზებს რა თავისსა და ოგარიოვის ოჯახურ სირთულეებს წერს: „ქალთან სიახლოვე — მხოლოდ პირადული საქმეა, დაფუძნებული... **გაურკვეველ, ენებიან, იდუმალ-ფიზიოლოგიურ ერთობაზე. ჩვენ ჯერ ახლო ვართ, შემდეგ ვეცნობით ერთმანეთს**“. (კურსივი ჩვენია თ. ა.) ეს დაწერა ადამიანმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა თავისი ბიძაშვილი და ქორწინებამდე მთელი რიგი წლების მანძილზე თითქმის ყოველდღიურად ისმენდა მისგან გულწრფელ და სრულ აღსარებას ბოლომდე რაიმეს დაუფარავად.

მაშ, იქნებ დაკავშირების შემთხვევითობაში არის სწორედ კანონზომიერება? მართლაც, განა შეიძლება ქორწინებამდე მიხვდე, როგორი მეუღლე იქნება თქვენი გატაცების საგანი თუ თვითონ ცოლქმრული მდგომარეობა არაფერს ირა ჰგავს, თუ ის იდუმალია, გაურკვეველია?“ რას მოგვცემს ასეთ დროს ყველა ქორწინებამდელი საშუალება, გნებავთ ხალხური, გნებავთ მეცნიერული. თუნდაც ელექტრონული მანქანით „გამოთვლილი იღბლიანობა?“

შეყვარებულებისთვის დამახასიათებელია და ეპატიებათ კიდეც იმის თქმა, რომ არავითარი ახსნა არა აქვს მათ არჩევანს, არჩეულისათვის უპირატესობის მინიჭებას. ვისაც უყვარს, მან იცის კიდეც რისთვის უყვარს. „მან შემიყვარა ჭირთა ჩემთა სიმრავლის გამო. ძე შეეიყვარე ჭირთა ჩემთა თანაგრძნობისთვის. (შექსპირი. „ოტელო“). მრავალი ერთგული მეგობარი-ცოლის მიერ საყვარელი ადამიანის შესახებ დატოვებული მოგონებებისა და ნაფიქრალის სქელტანიანი ტომები — განა ეს იმის ახსნა არ არის თუ რისთვის უყვარდათ? ახლა პოეტების შთაგონებული ლექსები აკიღოთ. როგორი ფაქიზი ნიუანსებითა და ფსიქოლოგიური დეტალებით გვიხსნიან სახელდობრ რითი მოხიბლა ისინი გულის რჩეულმა?

საინტერესოა, მაინც ვიცოდეთ. ვინ და რისთვის უყვართ ახლანდელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს? ზოვიერთებს უყვართ გარეგნობისთვის. ზოგს სულიერი თვისებებისთვის. რას უნდა ეძლეოდეს უპირატესობა? ვის ეფერო მეტი შანსი აქვს იყოს ბედნიერი რჩეული?

სოციოლოგებმა არც ეს მხარე დატოვეს უყურადღებოდ. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე საცოლეები მომავალ ცხოვრების თანამგზავრში, პირველ რიგში, ეძებენ ინტელიგენტურობას, ე. ი. ყველაზე მაღალი ადამიანური თვისებების ძალიან რთულ კომპლექსს. ეს არის გონებაც. ჭკუაც. ერუდიციაც. მგრძნობიარობაც. ტაქტიც. შინაგანი და

გარეგანი კულტურაც. აი, როგორი თვისებების ნაკრები ფასდება, პირველ რიგში. მეორე ადგილზეა — ქალისადმი, როგორც მეგობრისადმი დამოკიდებულება, მზრუნველი დამოკიდებულება ოჯახისადმი, ბავშვებისადმი, შემდეგ გონიერება, ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, ცხოვრების ფიზიზელი წესი, იუმორის გრძნობა, მისწრაფება ყოველმხრივი სრულყოფისაკენ, ფიზიკური სილამაზე.

ასევე იცვლება ჰაბუკების მოთხოვნები გულის რჩეულისადმი, თუმცა მათთვის სასურველი „თვისებების ნაკრები" უფრო ტრადიციულია: ისინი ეძებენ სიკეთის, სირბილის (თავგანწირვის უნართან ერთად), ქალურობის (ცოლქმრული მოვალეობისადმი ერთგულებასთან ერთად) ურთიერთშერწყმას, მაგრამ მათთვისაც მნიშვნელობა აქვს გონებრივ დონესა და საქმიან თვისებებს ქალისას, რომელმაც ქმართან თანაბრად უნდა იშრომოს.

ცნობილია ის თვისებებიც, რომლებიც არასასიამოვნოდ ითვლება ქორწინებაში; ესენია: ეგოიზმი, უპატიოსნობა, უხეშობა, სიხარბე.

ამდენად, აუცილებელი არ არის იყო მისანი, რომ სწორად იწინასწარმეტყველო. მრავალ პრეტენდენტთაგან გამარჯვების შანსი ვის უფრო მეტი ექნება, როცა მათი სიყვარულის ობიექტი ერთიდაიგივეა.

გამოდის, რომ მაინც არსებობს „შერჩევის" ნორმები და კრიტერიუმები და მთლად სწორი არ არის იმის მტკიცება, რომ არავინ არ იცის არჩევითობის საიდუმლო, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთსიმპატიას. თუმცა ცოტა არ არის ამქვეყნად წყვილი, რომელთა კავშირით ახლობლებიც და შორეული ნაცნობებიც განცვიფრებულნი არიან: რა ნახა მან თავის „მეორე ნახევარში". სრულიად არაფრით არ შეეფერებიან ერთმანეთს, ტკბილად კი ცხოვრობენ! თვითონ ცოლქმარიც ვერაფერს ამბობს ამგვარი დაჟინებული შეკითხვების საპასუხოდ. ვიდრე სერიოზულად არ დაფიქრდებიან.

ასეთი კავშირის ხანგრძლივობის საიდუმლოება კი ხშირად იმაშია, რომ ადამიანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ არა მსგავსების, ერთნაირობის ნიშნით, არამედ ურთიერთშევსების ნიშნით, როდესაც მეუღლეთაგან ერთ-ერთი ახდენს მეორის რაღაც მნიშვნელოვანი თვისებების ნაკლებობის კომპენსაციას.

არის ბევრი მიზეზი, რომელიც ხშირად იწვევს ცხოვრების ზღვაში „სიყვარულის ხომალდების" დაცილებას. ერთ-ერთი მათგანია სხვადასხვა ადამიანებს შორის კარგი, ღირებული თვისებების არათანაბარი განაწილება. ერთ ქალს — სილამაზე, მეორეს — სული და გონება, მესამეს — ყვავილაფერი ეს ცოტ-ცოტაა. ასევეა მამაკაცებთანაც. ჩვეულებრივ, ხშირად გვინდა ისე, როგორც გოგოლის გმირ ქალს კომედიიდან — „ქორწინება", რომ ჩვენს რჩეულს ჰქონდეს ერთი საქმროს

ცხვირი, მეორის — ფიგურა, მესამის — ხასიათი და ა. შ. აი, მაშინ შეიძლებოდა გათხოვების (ან ცოლის მოყვანის) გადაწყვეტა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. მაგრამ იდეალური, უნაკლო შეხამება, ალბათ ისეთივე იშვიათობაა, როგორც ამინდი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ყველასათვის ერთნაირად ხელსაყრელი იქნებოდა.

ზოგიერთი ურიგდება ბუნების უსამართლობას ადამიანური თვისებების განაწილებაში და მიიჩნევს, რომ ბუნებრიობაშია სილამაზე. სხვები ცდილობენ თავისი მომხიბვლელობის გაძლიერებას ხელოვნური საშუალებებით. რას აკეთებს, მაგალითად, პატარა გოგონა, რომელიც სარკის წინ ტრიალებს და ისინჯავს დედის ან ბებიის მოსართავებსა და სამკაულებს? ეს უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი: სწავლობს როგორ მოაწონოს თავი სხვებს. როგორ? რა იცის მან, რომ მკვეთრი, ნათელი ფერები მიმზიდველად იმოქმედებს ვიღაცაზე, ვინც ოდესმე გამოჩნდება მის ცხოვრებაში? ამას ის სრულიადაც არ აცნობიერებს. მას ამოძრავებს უფროსების მოქმედებისა და ჩვეულების გამეორების არაცნობიერი მისწრაფება და თანშობილი ნიჭი. ქალები კი სიცოცხლის ბოლომდე მისდევენ თავის მორთვა-გალამაზებას, რადგან ყოველგვარი ლექციებისა და სწავლა-დარიგების გარეშე სწვდებიან იმ ჭეშმარიტებას, რომ მამაკაცს, პირველ რიგში, უყვარს თვალები. რაც არ უნდა დიდი გულმოდგინებით გვარწმუნებდნენ მოფილოსოფოსო მამაკაცები, რომ ისინი ყველანი პარიკმახერის, მკერავის და იუველირის ხელოვნების ერთობლივ ქმნილებასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ ცოცხალი სახისა და სხეულის ბუნებრივ მშვენებას, მათ მაინც არ უნდა დავუჯეროთ. თუნდაც იმიტომ, რომ სტატისტიკური მონაცემებით შეუიარაღებელი თვალისთვისაც კი კარგად ჩანს, რა დიდი ინტერესით აყოლებენ ისინი თვალს მყვირალა მორთულობისა და კოსმეტიკის ქალებს. და რა გულგრილად ჩაუვლიან სანდომიანი, ჭკვიანი, კეთილი, მაგრამ კოსმეტიკით დაუმუმუშავებელი სახის, უბრალოდ ჩაცმულ გოგონას.

არც ისე დიდი ხნის წინ მოგვიხდა ახალგაზრდა ქალის ასეთი აღსარების მოსმენა:

სკოლაში მე დიდხანს მქონდა არასრულფასოვნების თავისებური კომპლექსი. მშობლები მაცმევდნენ მეტისმეტად უბრალოდ. ამას აკეთებდნენ არა იმდენად ფულის უკმარობის გამო, რამდენადაც პრინციპის გამო. ჩემი თანატოლი ბიჭები მე უურადღებას არ მაქცევდნენ, მოდური და მყვირალა ჩაცმულობის გოგონებს კი მათთან დიდი წარმატება ჰქონდათ. რამდენიმე წლის შემდეგ შევხვდი ჭაბუკს, რომელიც ერთ დროს ჩემს კლასში სწავლობდა. მან თითქოს პირველად დამინახა. მე შენ არც მახსოვხარო, მითხრა. მახსოვს მხოლოდ შენი „რეტროს“ მოდელის დახეთქილი ბოტებიო. ახლა ის ჩემი ქმარია,

სკოლაში კი იმედიც არ მქონდა, რომ მის ყურადღებას ოდესმე მივიქცევდი.

აი, ესეც მამაკაცების დამოკიდებულება „ჭინჭებისადმი“! ეს ჯერ კიდევ გამოსაკვლევია, რა არის მიზეზი და რა შედეგი იმისა, რომ ქალები გატაცებული არიან „ნივთებით“. გამორიცხული არ არის, რომ ახალგაზრდას, რომელიც უპირატესობას აძლევს „მორთულ-მოკაზმულ“ ქალიშვილს, რადგან სწორედ ის აკმაყოფილებს მის წარმოდგენას სილამაზეზე, შემდეგში, როცა ქმარი გახდება, გატანჯავს ცოლის ასეთი გატაცება ტუალეტითა და სამკაულებით.

იგივე სურათია სხეულებრივი სილამაზისადმი დამოკიდებულების მხრივაც: მომავალ მეუღლეში სასურველ, ძირითად თვისებებში მამაკაცები მას არ ასახელებენ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ სწორედ ლამაზ გოგონებს მამაკაცების მთელი გროვა დასტრიალებს თავს, მაშინ როცა მოკრძალებული გარეგნობისას და, მით უმეტეს, შეუხედავს არავინ ყურადღებას არ აქცევს. განა მშვენიერი, მაგრამ ცივი, გულგრილი მზეთუნახავები არ შთაგონებენ პოეტებს ოდებისა და ბალადების შექმნას, რაინდებს თოვზე ხელაღებულ გმირობას, ხოლო ზოგიერთებს ხომ დანაშაულისკენაც უბიძგებდნენ.

„ბოლომდე რომ გავიცნობიეროთ ადამიანის არსებობის მთელი ამაოება, უნდა გავერკვეთ სიყვარულის მიზეზებსა და შედეგებში. მისი მიზეზი—„არ ვიცით რა არის“ (კორნელი). შედეგები კი საშინელია. და, აი, ეს რაც „არც კი ვიცით რა არის“, ეს მცირე რაღაც, რისი განსაზღვრაც კი შეუძლებელია, არყევს დედამიწას, ბართავს მონარქიებს, არბიებს, მთელ ქვეყანას. კლეოპატრას ცხვირი: ის რომ ხელ ცოტათი მოკლე ყოფილიყო, დედამიწა სხვანაირი იქნებოდა. „ასე განსაზღვრა სიყვარულისა და ქალის მიმზიდველობის, სილამაზის გავლენა მამაკაცებზე ფრანგმა ფილოსოფოსმა ბლეზ პასკალმა. ასეთი მსჯელობის მთელი პიპერბოლურობის მიუხედავად, მასში მოცემულია ჭეშმარიტების გარკვეული წილი: ტროას ომი, როგორც ცნობილია დაიწყო მშვენიერი ელენესათვის. ახლა ომების ისევე, როგორც მშვიდობის მიზეზები სრულიად სხვაა, და, მაინც, არ ცხრება წინასწარმეტყველთა ხმა, რომლებიც გვამცნობენ: მსოფლიოს იხსნის სილამაზე და სიყვარული. მაგრამ ეს ალბათ მაშინ მოხდება, როცა სილამაზე შეერწყმება ზნეობრიობას.

— სილამაზე პატიოსნებაზე უკეთეს ამხანაგს როგორ იშოვის?“— კითხულობს ოფელია.

და ესმის ჰამლეტის პასუხი: სილამაზეს უფრო ადვილად შეუძლია პატიოსნება გაიმაჯანყლოს, ვიდრე პატიოსნებამ სილამაზე თავის მსგავსად გარდაქმნას.

სილამაზეს, პატიოსნებასთან შეერთებაში, ხელს უშლის თავისივე

მაგიური ძალა: მშვენიერისაკენ მიისწრაფის ყველა. ისიც, ვისაც გულწრფელად უყვარს და ისიც, ვისაც უბრალოდ პატივმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა ამოძრავებს. მამაკაცს ყველაზე სერიოზული გამოცდის წინაშე აყენებს საკუთარი ცოლის მომხიბვლელობა. მხოლოდ ერთმა ლიტერატურულმა გმირმა გაიგო ბოლომდე თავისი ცოლის სულიერი მდგომარეობა, რომლისკენაც ყოველი მხრიდან მოიმართებოდა საჩუქრებითა და ყოველგვარი ცდუნებებით სავსე ხარბი ხელები. ეს არის იაკობ ბოგომოლოვი, მ. გორკის ამავე სახელწოდების დრამის მთავარი პერსონაჟი. მას პირველად შეექცეოდა ქალი, რომლის სიყვარული, მდგრადობა, წესიერება მუდმივად ალყაშემორტყმულია მაცდუნებელი ძალებისგან. ხშირად ქმარი, რომელსაც აქვს სურვილი, რომ საკუთარ, ერთპიროვნულ მფლობელობაში ჰყავდეს ზღაპრული ფასკუნჯი, იმედოვნებს, რომ ირგვლივ მყოფები ვერ შენიშნავენ მის თვალისმომჭრელად მბრწყინავ ბუმბულს და არ მოინდომებენ ამ განძის დაუფლებას. ბუნებრივია, რომ ასეთი მოლოდინი არ გამართლდება. ქმარი კი საყვარელ არსებას ადანაშაულებს იმის გამო, რასაც თვითონ ყველაზე მეტად აფასებს ცოლში: რომ ის ლამაზია და მოსწონთ მამაკაცებს.

გულუბრყვილობაა ისიც, როცა კეკლუც ცოლს ამტყუნებენ იმაში, რომ ის გათხოვების შემდეგაც განაგრძობს კეკლუცობას სხვებთან. ქმარს მოსწონდა მისი ეს თვისება, როცა ცოლად მოყვანამდე მასთან მეგობრობდა. მაშასადამე, ახლა ამაოა წუხილი იმის გამო, რომ ცოლი თავქარიანია, თვალთმაქცია. შეუძლია თავი მოაჩვენოს იმად, რაც არ არის სინამდვილეში.

სოციოლოგების გამოკვლევის მიხედვით, როგორც წესი, სასურველი პარტნიორის ასაკს არ აღნიშნავენ არც ქალიშვილები და არც ჭაბუკები. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თანამედროვე ახალგაზრდებისათვის სულ ერთია ასაკით უფროსი იქნება მეუღლე თუ უმცროსი? რა თქმა უნდა არა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით კარგი შეხამებაა, როცა ქმარი ხუთი-შვიდი წლით უფროსია ცოლზე. რატომ? გაიხსენეთ ფსიქოლოგების მსჯელობა ვაჟებთან შედარებით გოგონების ადრეულ ემოციურ მომწიფებაზე და მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ასაკში ასეთი განსხვავებით მიიღწევა მეუღლეთა სულიერი მომწიფების დონის გათანაბრება.

მაგრამ, ბოლო წლებში შესამჩნევად გახშირდა საპირისპირო ხასიათის ქორწინება: ჭაბუკები ცოლად ირთავენ გაცილებით უფროს ქალებს. ეს მოვლენა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ახალგაზრდა კაცების ინფანტილურობით. მათი უმეტესობა ამჯობინებს ერთი ქალის დედა-ძიძის ხელიდან გადავიდეს პირდაპირ მეორე ქალის მე-

უღლე-ძიძის ხელში, რომელიც მყარად დგას ფეხზე, შეუძლია ოჯახური ცხოვრების გაძღოლა დახმარების გარეშე (მაშასადამე ახალგაზრდა ქმარს არ დააკისრებს საოჯახო შრომის მთელ სიმძიმეს). ზუსტად ასევე იქცევა ზოგიერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ზურგს აქცევს „უქონელ" თანატოლებს და სამაგიეროდ ხალისით პასუხობს თანაგრძნობით, ანდა თვითონვე თავგამოდებით ცდილობს, მოიპოვოს ცხოვრებაში წარმატებული კაცის ყურადღება: ზოგჯერ ისეთისაც კი, მამად რომ ეკუთვნის, მაგრამ, სამაგიეროდ, აქვს სოლიდური საზოგადოებრივი მდგომარეობა, მანქანა, აგარაკი. მიზეზი აქაც იგივეა-ეშინიათ და არ სურთ საკუთარი შრომით ოჯახური კეთილდღეობის მოპოვება. უნდათ, რომ ყველაფერი მზა სახით დახვდეთ.

ანგარიშიანი საცოლეები და საქმროები შეადგენენ ყველა დაქორწინებულის 10%-ს. უმეტესობას კი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ამოძრავებს უანგარო, გულწრფელი, ღრმა გრძნობა თავისი რჩეულის მიმართ, თუნდაც ასაკით უფროსისადმი, მაგრამ სულიერად თანატოლისადმი.

თუ მამაკაცებზე შეიძლება ითქვას, რომ მათ უყვართ თვალებით, მაშინ ყველაზე სწორი იქნება ვთქვათ, რომ ქალებს უყვართ მოსმენით: მათ ხიბლავთ მამაკაცის საინტერესო, ჭკვიანური, ნათელი, გონებამახვილური საუბარი. ეს შემთხვევითი არაა, გარეგნობაზე უფრო მეტად მეტყველებაში ვლინდება ადამიანის ბუნება, ინტელექტი. მაგრამ არის საწინააღმდეგო მაგალითებიც, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ გოგონები ყოველთვის და ყველაფერში არ ენდობიან სიტყვიერ მომხიბვლელობას; ორ პრედენდენტს, მჭევრმეტყველ მოლაპარაკესა და მოქმედ, ენერგიულ სიტყვაძუნწს შორის გოგონები ხშირად უპირატესობას აძლევენ მეორეს.

სპეციალისტებისგან გვსმენია, რომ გოგონები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ თავისი მომავალი მეუღლის ღირსებათა შორის ყველაზე მეტად აფასებენ ინტელიგენტობას, მაინცა და მაინც დიდად თანმიმდევარნი არ არიან თავიანთ ქცევაში. ინტელიგენტობა გულისხმობს სირბილეს, შემწყნარებლობას, თავაზიანობას არა მარტო შეყვარებულთან დამოკიდებულებაში, არამედ ყველა ადამიანთან. ხომ ცნობილია, რომ ინტელიგენტი ახალგაზრდისათვის ძნელია გადაწყვეტით წინ აღუდგეს უზრდელს, უხეშს, მიმართოს ფიზიკურ ძალას ხულიგანთან. სხვისი შემოტევა, თავხედობა მისი ნებისყოფის პარალიზებას ახდენს, სიმხდალის გამო კი არა, არამედ, სწორედ, ინტელიგენტობის გამო არ შეუძლია მას ხელი აღმართოს სხვა ადამიანზე, ან თუნდაც ხმას აუწიოს და გაურბის აშკარა შეტაკებას შეურაცხმყოფელთან. ამიტომ.... ხშირად ძირს ეშვება მეგობარი გოგონას თვალში. გოგონას ხომ მხოლოდ გონებამახვილი და სასიამოვნო

მოსაუბრე არა სჭირდება. მას სჭირდება თავისი სისუსტის დასაყრდენი, სჭირდება თავისი მომავალი მემკვიდრეების დამცველი. ბოლოს და ბოლოს ბევრი გოგონასათვის სწორედ ეს თვისებებია უმნიშვნელოვანესი პრეტენდენტის შეფასებაში.

იგივე სურათი გვაქვს იმ წყვილებთანაც, რომლებმაც ქორწინებამდე გადალახეს „ნებადართულის ზღვარი". ჩვენ უკვე განვიხილეთ ასეთი სიტუაცია, როცა ვისაუბრეთ ფილმის—„მოვიდა სიყვარულის დრო" გმირების ისტორიაზე. ეჭვს გარეშეა, რომ ფილმის გმირს ნაზ, მუსიკალურ, არც თუ უჭკუო ყოგონას, არასდროს არ უფიქრია და უოცნებია ეძებნა ქმარი გამოჩენილ, კარგ. მოცეკვავეთა შორის, რომლებიც არ ბრწყინავენ ინტელექტის სიღრმით. მისთვისაც, ალბათ, სულიერად უფრო ახლო იქნებოდა ინტელიგენტი. მაგრამ, როგორც ნახეთ, თავისით გაება ბედის მახეში. ასეთები გამონაკლისი არ არიან.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ი. ზაცეპინმა აღმოაჩინა კარდინალური განსვლა სტუდენტი გოგონების მიერ დღევანდელი დროსტარებისათვის „საინტერესო ვაჟისა" და მომავალ „მეუღლედ გამოსადეგი მამაკაცის" შეფასებაში. პირველისთვის მთავარია: გარეგნობა, ხალისიანობა, თანამედროვე ცეკვების კოდნა და ეფექტური ჩაცმულობა. მეორისთვის — შინაგანად შინაარსიანობა და დიდბუნებოვნება. მაგრამ თვითონ გოგონები არ იზღუდებიან „საინტერესო ვაჟებთან" ნაცნობობის, მეგობრობის დამოკიდებულებით, არ ცდილობენ მათ შეჩერებას გარკვეულ საპატიო მანძილზე. როცა დისტანცია მთლად წაიშლება, აღმოჩნდება, რომ იდეალში ჰქონდა ერთი გარკვეული ხატი, გაჰყვა კი სრულიად მის საწინააღმდეგოს. შემდეგში სევდიან მზერას აყოლებენ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ მათთვის ნამდვილი ბედნიერების მოტანა, თუმცა ცეკვებისა და გართობისათვის არ იყვნენ საუკეთესო. პარტნიორები.

გამოკითხულმა სტუდენტმა გოგონებმა მომავალი მეუღლის უარყოფით დამოკიდებულებას ალკოჰოლიზადმი თავის პრეტენზიებში თითქმის ბოლო ადგილი მიუჩინეს. გაზეთებისა და ჟურნალების ფოსტა კი გვიჩვენებს, რომ ეს არის ოჯახური კეთილდღეობის ერთ-ერთი უპირველესი პირობა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სასმელისადმი მიდრეკილება ხასიათის უმწიფარობის, სისუსტის დამაჯერებელი ნიშანია, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი მიდრეკილება გარდაუვალი გზაა პიროვნების სრული დეფორმაციისაკენ. ამ ახალგაზრდის ყველა დადებით თვისებას არაყი გაანადგურებს, გამოწოვს, შეჭამს ისევე, როგორც რკინას ჟანგი და ცოლიც აღმოჩნდება პირისპირ სულ სხვა ჯურის, სხვა არსის ადამიანთან, ვიდრე ის იყო, ვისაც ცოლად გაჰყვა.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა გამოკითხულმა ჭაბუკმა თქვა, რომ არ ისურვებდნენ ჰყოლოდათ სიგარეტის მწეველი ცოლი და, მით

უმეტეს, მსმელი. თუმცა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ, მწეველი და მსმელი ქალიშვილი უფრო იქცევს ვაჟების ყურადღებას, ვიდრე მოკრძალებული გოგონა. ზოგჯერ სიგარეტი, სასმელი აღიქმება, როგორც გაბედულების, დამოუკიდებლობის თავისებური ნიშანი და ივიწყებენ, რომ ეს ჩვეულებები სულ არ არის საჭირო ხანგრძლივად ერთად ცხოვრებისათვის.

მიაქციეთ ყურადღება: იდეალთან დამოკიდებულებაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ახალგაზრდებს აქვთ თითქოსდა ორი სხვადასხვა სისტემა გაზომვა-შეფასებისა. ერთი შეყვარებულებისათვის, მეორე მეუღლეთათვის. რაც ეპატიება შეყვარებულს, არ ეპატიება ცოლს ან ქმარს.

ჩვენ, ყველანი, ახალგაზრდობიდანვე ერთმანეთს რომ ვუდგებოდეთ მარადიულ ღირებულებათა საზომით, ჩვენი კარის ზღურბლს მანკიერება დიდი ხანია ვეღარ გადმოაბიჯებდა. ახალგაზრდებთან ურთიერთარჩევის მოტივებში, ხშირად, წუთიერი იმპულსებია განმსაზღვრელი. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ საცოლესა და საქმროსაგან თითქმის ვერ გაიგონებთ, რომ უპირატესობა მიეცეს მომავალი შვილების კარგ დედას ან კარგ მამას. ამ პერსპექტივის შეფასება საერთოდ არ ხდება.

სურვილებისა და ქცევის არაერთმნიშვნელოვნება და ზოგჯერ წინააღმდეგობრიობაც კი, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ შეუძლებელია ცულქმრული წყვილების შერჩევის საფუძვლების გაგება, ახსნა და, მით უმეტეს, ამ შერჩევის რეგულირება.

თუმცა ნიშნობის პერიოდი სწორედ იმისთვისაა, რომ ერთმანეთთან შესატყვისობაში მოვიყვანოთ სასურველი, არსებული და სავალდებულო. მართალია, ამ პერიოდში ყველაზე ახლობელი ადამიანისადმი მიმართულ ჩვენს მზერას სიყვარულის საბურველი აქვს აფარებული, მაგრამ მის ნათესავებს ხომ შეგვიძლია ფხიზელი თვალით შევხედოთ. ჩვენ კი უკვე აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად ბავშვებისა და უფროსი თაობის გემოვნების მიდრეკილებების, ტემპერამენტის არაერთგვარობისა, ჩვენი ბუნების ძირითადი თავისებურებანი აღებული გვაქვს დედ-მამისაგან, „დედა, ნახე, მამა ნახე შვილი ისე გამონახე“. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედას. ტყუილად კი არ არის ხალხში გავრცელებული ასეთი რჩევა საქმროსთვის: კარგად დააკვირდი სასიდედროს, თუ გინდა იცოდე, ვინ მოგყავს ცოლად.

ჩვენ შემდგომისათვის მოვიტოვეთ საუბარი ცოლქმრული ცხოვრებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულების შესახებ, როგორიცაა იმ ორი გვარის ჯანმრთელობა, რომელიც უნდა შეერთდეს. თუმცა მას სამართლიანად ეკუთვნის ადგილი ოჯახური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს წანამძღვართ შორის. ბავშვების გაჩენა, მათი

აღზრდა ხომ ოჯახის ძირითადი მიზანია. თუ მომავალ მეუღლეებს ან მათ უახლოეს ნათესავებს რაიმე განუკურნებელი სენი სჭირთ, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა, მაშინ არა ასჯერ, არამედ ათასჯერ უნდა აწონ-დაწონოთ, ვიდრე ბავშვის გაჩენის გადაწყვეტილებას მიიღებდეთ.

ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში შექმნილია გენეტიკური ცენტრები, სადაც სპეციალისტები მომავალ მეუღლეებს აძლევენ სამედიცინო დასკვნას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ასეთი სამსახურები იქმნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით. ეს მეტად სასარგებლო, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აუცილებელი ღონისძიებაა როგორც კონკრეტული ოჯახის, ისე მთელი საზოგადოების დასაცავად, იმთავითვე მუდმივი ტანჯვისა და ავადმყოფობისათვის განწირულ ბავშვთა რაოდენობის მატებისაგან.

ნიშნობა ჯერ კიდევ არ არის ქორწილი. არავითარი ცოდვა არ იქნება, თუ ახალგაზრდები ერთმანეთის კარგად შესწავლის შემდეგ ხელს აიღებენ დაქორწინების განზრახვაზე. ჯობს ქორწილამდე აღიარონ შეცდომა, ვიდრე მცდარად გაგებული სირცხვილის გამო მაინც დაიქორწინონ დაქორწინება, რომელიც იმთავითვე განწირულია მარცხისათვის. ასეთი შემთხვევები ცოტა არ არის. დაახლოებით 10% მათგან, ვისაც განცხადება აქვს შეტანილი მმაჩის ბიუროში, შემდეგ აღარ ცხადდება. მშობლების წინააღმდეგობა რომ არა, ასეთების რიცხვი ალბათ მეტი იქნებოდა. ზოგი მშობელი ჯიუტობს: ნათესავებთან უხერხულია, რესტორანში შეკვეთა მიცემულია, საქორწინო კაბაც ნაყიდიაო! ყველაზე მძიმედ ასეთ სიტუაციას განიცდიან იმის მშობლები, ვინც აპირებს ქორწინების ჩაშლას.

გვაგონდება ერთი შემთხვევა. როცა ახალგაზრდა კაცს დედა და ბებია კიცხავდნენ, ლანძღავდნენ, უწოდებდნენ მოღალატეს იმის გამო, რომ მან უარი თქვა ქორწინებაზე რეგისტრაციამდე ერთი კვირით ადრე. მაგრამ საქმრო, გაეცნო რა საკოლეს ოჯახს, მიხვდა, რომ ის მათთან მუდამ იქნებოდა შეკედლებული ადამიანის მდგომარეობაში და მის აზრსაც არავინ ანგარიშს არ გაუწევდა. იქ ის არასდროს არ იქნებოდა დამოუკიდებელი პიროვნება და, მით უმეტეს, ოჯახის ცხოვრების წარმმართველი. საპატარძლომ კი კატეგორიულად უარი თქვა მშობლების სახლიდან წასვლაზე. ამიტომ ჰაბუკმაც უარი განაცხადა დაქორწინებაზე. შეიძლება და კიდეც უნდა დავადანაშაულოთ ახალგაზრდა კაცი იმაში, რომ მან მმაჩის ბიუროში განცხადების შეტანამდე არ გაარკვია საყვარელი გოგონას მშობლების ბუნება და მათი პოზიცია სასიძოსადმი. მაგრამ შეიძლება და უნდა გაუგოთ კიდეც ახალგაზრდა კაცს, რომ მან გადაწყვიტა, არ ჩაედინა კი-

დევ უფრო მეტი ბოროტება და სისულელე, ვიდრე ქორწინებაზე უარის თქმა იყო.

ახლა გახშირდა საპატარძლოსაგან ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევები თუ გაიგეს, რომ საქმროს ოჯახში ლოთობის ტრადიციაა. ან სხვა ზნეობრივი დეფექტებია. ყველა ერიდება თავის მტკივნეული მხარეების სააშკარაოზე გამოტანას. მათ დასანახად საჭიროა დრო და ორი ოჯახის გარკვეული ნდობა ერთმანეთისადმი.

ზოგჯერ ქორწილის ჩაშლა ხდება იმის გამო, რომ ქალის ან ვაჟის მშობლები გადაკრით წინააღმდეგი არიან მათი კავშირის. უნდა აღინიშნოს, რომ მშობლები ყოველთვის არ ცდებიან. ისინი ხომ უკეთესად იცნობენ თავის შვილს, ვიდრე ვინმე სხვა; უკეთესად იციან, რა შეუძლია მას და რა არა.

სწორი იყო დედაჩემი, როცა მირჩევდა, არ გავყოლოდი ცოლად ადამიანს, რომელიც ყველაფრით უცხო იყო ჩვენი ოჯახისათვის, — ეს შეიძლება მოისმინოთ თითქმის ყოველდღე, სასამართლოში განქორწინების პროცესებზე. ახალგაზრდა ქმრები ჩვეულებრივ არ გამოთქვამენ ასეთ აზრებს. მათ ეუხერხულებათ წუწუნი იმაზე, რომ თავის დროზე არ დაუჯერეს დედას, თუმცა უფროსების სიმართლეს მოგვიანებით ისინიც აღიარებენ.

ამ ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში შეიქმნა სპეციალური ორგანიზაციები, ე. წ. „ოჯახის სამსახური“. რომლის უპირველესი დანიშნულებაა დაეხმაროს ახალგაზრდებს ოჯახური ცხოვრების ურთულესი საკითხების გარკვევასა და მოწესრიგებაში. მმაჩის ბიუროში განცხადების შეტანის შემდეგ, საცოლესა და საქმროს სთავაზობენ ოჯახურ დამოკიდებულებათა ეთიკისა და ფსიქოლოგიის, ქორწინების ფსიქოჰიგიენის ლექციების კურსის მოსმენას. ამასთანავე. ზოგიერთ რეგიონში მომავალ ახალდაქორწინებულებს და მათ მშობლებს დახმარებას უწევენ იმაში, რომ ნიშნობის პერიოდში მოაწყონ საინტერესო შეხვედრები, რაც შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებსაც და მათ ნათესავებსაც უფრო სრულად და ყოველმხრივ გაეცნონ ერთმანეთს.

ამასთანავე, გვირჩევენ თავი შევიკავოთ მავნე ტრადიციად ქცეული ეხვი ჰამა-სმის სუფრების მოწყობისაგან, სადაც ახლად დანათესაეებულები ცდილობენ გადააჭარბონ „მეტოქეს“ სტუმართმოყვარეობაში ბევრად აჯობებდა ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ თვითშოქმედებაში, ხელმარჯვეობაში, საოჯახო მეურნეობის მუყაითად მართვაში.

ამ საკითხის შესახებ პუბლიკაციებში არაერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ კარგი იქნებოდა ნიშნობის პერიოდის გაზრდა ნახევარ წლამდე, ან ერთ წლამდეც კი. მაგრამ, ალბათ, ნაცნობობის ხანგრძლივობაში არ არის საქმე. რომენ როლანის რომანის — „მოჯადოებული

სულის“ — გმირი ქალი ანნეტა რიგიერი ერთი წლის განმავლობაში კი ვერ შესძლებდა დაენახა სულიერად რამდენად უცხო იყო მისთვის საქმრო, სულ ცოტა ხნით მის ოჯახში რომ არ ეცხოვრა. როცა კითხულობ ამ ფურცლებს, ფიქრობ: იქნებ ამ სახის გამოცდა უკეთესი გარანტიაა გონივრული და სწორი არჩევისათვის? ერთი თვე რომ ეცხოვრა საცოლეს საქმროს სახლში, ხოლო საქმროს საცოლეს სახლში მეგობრის უფლებით, მაშინ ფიცი, რომელსაც ისინი წარმოსთქვამენ დაქორწინებისას უფრო კარგად გაცნობიერებული და საიმედო იქნებოდა.

ნიშნობა — გენერალური რეპეტიციაა, მომზადებაა საქორწინო ზეიმისათვის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენისათვის. ძველად ჩვენი წინაპრები მზადებას იწყებდნენ მომავალი საცოლესა და საქმროს უზრუნველი ბავშვობის დროიდან. გოგონას უმზადებდნენ მზითევს: თეთრეულს, ტანსაცმელს, ჭურჭელს და სხვა საოჯახო-სამეურნეო ნივთებს. ბიჭს — ფულს სახლის ასაშენებლად, პირუტყვისა და ხელსაწყოების შესაძენად. მზითევი იყო არა მარტო გვარის მატერიალური შეძლებულობის საბუთი, არამედ მისი შრომისმოყვარეობის, სიმარჯვის, დახელოვნების მაჩვენებელიც. ხშირად ხომ მთელი საოჯახო ნივთები და სამეურნეო მოწყობილობანი მზადდებოდა ნათესაობისა და თვითონ მომავალი საცოლესა და საქმროს მიერ. როცა ყველას დასანახად გამოფენდნენ ხოლმე ამოქარგულ და მაქმანებით მორთულ პირსახოცებს, ფარდებს, გადასაფარებლებს, ყველასთვის ნათელი იყო, როგორ ჰფლოდა ხელსაქმეს საპატარძლო, როგორი გემოვნება და ცხოვრების სტილი ჰქონდა ამ ოჯახს. იგივე ითქმოდა საქმროს მიმართაც: როგორი მოელილ-შეკაზმული იყო ცხენი, როგორი მოვლილი იყო სახლი და კარ-მიდამო, მოსალოდნელი იყო, რომ ასეთივე მეურნე იქნებოდა ამ ოჯახის ახალგაზრდა კაცი.

თვითონ ქორწილიც ხალხისთვის ხშირად იქცეოდა ხანგრძლივ, თვითშემოქმედებით სპექტაკლად — სიმღერებით, ცეკვებით, მკაცრად განსაზღვრული სცენარით და, ამასთანავე, თავისუფალი იმპროვიზაციით, სადაც ზეიმის ყველა მონაწილე თანაავტორად გამოდიოდა.

მაგრამ, რაც უფრო მდიდარი იყო ოჯახი, მით ნაკლები იყო მასში სწორედ ეს თვითშემოქმედებითი სული, მით მეტი იყო ნაყიდი, ნასესხები მხიარულება, მით მეტი იყო დემონსტრირება არა იმისა, რაც გვარს შეეძლო, არამედ იმისა, რაც მას ჰქონდა (დემონსტრირება არა უნარ-შესაძლებლობებისა, არამედ ქონებისა). გასულ საუკუნესა და ამ საუკუნის დასაწყისში ცუდი რეპუტაცია შეიძინა ვაჭართა წრეში მიღებულმა სკანდალურმა, დიდმა ქორწილებმა მრავალ-

დღიანი, ზომას გადასული ჭამა-სმით, რასაც მოჰყვებოდა მოქეიფეთა შორის ცემა-ტყეპა და ჭურჭლის შსხვრევა.

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ქორწილის, სწორედ, ამ სახით ჩატარებას, როცა ორი ოჯახის მთელი ძალები და სახსრები ფუჭად იხარჯება იმაზე, რომ „სიუხვით და ბრწყინვალებით" თვალი მოსჭრან ირგვლივმყოფებს. ნაცვლად იმისა, რომ თვითონ მოამზადონ საჭმელი და გააწყონ სუფრა, დასახონ ღონისძიებანი სტუმრების გართობისათვის, ახალდაქორწინებულთა ოჯახები დიდძალ ფულს იხდიან რესტორანში სუფრისათვის, ორკესტრებისა და ანსამბლებისათვის, რომლებიც ქანცავენ სტუმრებს ხმაურიანი, მოდური პროგრამით; იწვევენ ფასიან გამართობებს, რომლებიც ყველგან ერთი სცენარის მიხედვით აწყობენ ზეიმს მონაწილეთა ნაციონალური ტრადიციების, განათლებისა და კულტურის დონის გათვალისწინების გარეშე.

ეს ძვირადღირებული და ორდინარული, ფორმალური და მდიდრული ქორწილები ხშირად იწვევს თვით ამ ზეიმის „მიზეზთა" წინააღმდეგობას. ბევრი თანამედროვე საცოლე და საქმრო ამჯობინებდა უბრალო ვახშამს მეგობრებისა და ნათესავების ვიწრო წრეში, რომელსაც შემდეგ მოჰყვებოდა საქორწინო მოგზაურობა. მაგრამ ამას, როგორც წესი, არ ეთანხმება უფროსი თაობა: „რას იტყვიან ნათესავები და მეზობლები? სიძუნწესა და უპატივცემულობაში ჩაგვითვლიან არა, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც ხალხი აკეთებს". რამდენადაც ახალდაქორწინებულთა უმეტესობა მშობლების კმაყოფაზეა, ისინი იძულებული არიან, უსიტყვოდ დაემორჩილონ უფროსების ნებას. მაგრამ, თანდათანობით თავს იჩენს ახალი ტენდენცია: ქორწილს იხდიან ტურისტულ ლაშქრობაში, ალპინისტურ ბანაკში, სხვადასხვა კლუბებში. საზოგადოება წინააღმდეგობას უწევს კოლექტიურ ლოთობას. ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში უკვე ჩატარდა ქორწილები ალკოჰოლური სასმელების გარეშე. აღმოჩნდა, რომ ასეთ ქორწილებზე უკეთესად ერთობიან, მღერიან, ცეკვავენ და მხიარულობენ, ვიდრე სპირტიანი სასმელებით შეხურებულ ქორწილებზე. აქ ახსოვთ ძველი მცნებები, რომ ნეფე-დედოფალს და შემდგომშიც ახალდაქორწინებულებს ბავშვების გაჩენამდე ღვინო კატეგორიულად ეკრძალებათ, რათა შემდეგ მთელი სიცოცხლე სატირლად არ ჰქონდეთ ასეთი „მხიარულების" საკვალო შედეგი დეფექტური ბავშვების სახით. უალკოჰოლო ქორწილებზე არაფის არ დარჩება მწარე მოგონებები მიძალებული სმის აუცილებელი თანამგზავრების—ჩხუბის, აყალ-მაყალის, მილიციის გამოძახების შესახებ.

ახლა შეეცადეთ თქვენ თვითონ გადაწყვიტოთ: ხომ არ ხედავთ საკუთარ თავში ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ „გაორებას“ თქვენი მეგობრების ღირსებათა შეფასებაში და იმის შეფასებაში, ვინც გესახებათ მომავალი ცხოვრების შესაძლო პარტნიორად? არის თუ არა შესაძლებლობა იმისა, რომ მინიმუმამდე დაეიყვანოთ ეს განსხვავება? გარდა ამისა, ალბათ კარგი იქნება, რომ ახლავე, წინასწარვე გაიაზროთ, რას წარუდგენთ თქვენს მომავალ „მეორე ნახევარს“ ნიშნობისა და ქორწილის დროს, როგორი სულიერი სამყარო გაქვთ და რა იცის თქვენმა ოჯახმა. თუ არ გაქვთ დაგროვილი უნარ-ჩვევების აუცილებელი „კაპიტალი“—უნდა აჩქარდეთ. ისევე, როგორც უნდა იჩქაროთ სხვადასხვა სახის შეხვედრების, ზეიმების, შეჯიბრებათა მოწყობაში გავარჯიშება. ყველაფერი ეს გამოგადგებათ იმისათვის, რომ მორთოთ, გაალამაზოთ არა მარტო ქორწილის საზეიმო წუთები, არამედ მთელი ხანგრძლივი ცოლქმრული ცხოვრების ერთფეროვნებაც.

ახალდაქორწინებულები

„ზეიმი, რომელიც მუდამ ჩემთანაა,“ — ალბათ ასე, თითქმის ჰემინგუეის სიტყვებით დაახასიათებს ბევრი ქორწილის მომდევნო ბევრიოდს. მუდამ ერთად ყოფნის სიხარული, იმ გრძნობების თავისუფლად გამოვლენის შესაძლებლობა, რომლებსაც აქამდე მალავდნენ და ძლივს-ძლივობით აკავებდნენ. ემოციების მოზღვავება, ყოველი სიტყვის ღრმად განცდა: დიდი სიხარული სულ მცირედი უურადღებითაც კი და განაწყენება-ყოველგვარი წვრილმანით.

ახალგაზრდები დასაწყისში ინერციით ცხოვრობენ, ინარჩუნებენ იმდროინდელ ჩვეულებებს, როცა ჯერ კიდევ საცოლე და საქმრო იყვნენ: სახლში ვერ ჩერდებიან, გული მიუწევთ მეგობრებისკენ, შეხვედრებისკენ, ცეკვებისა და კინოსაკენ. მშობლებიც თანაუგრძნობენ მათ განწყობილებას, არ ჩქარობენ ახალგაზრდა წყვილის ჩაბმას ოჯახის საზრუნავსა და შრომაში. მაგრამ მოსწონთ თუ არა ოჯახური საზრუნავი, იგი თანდათანობით გარს ეხვევა უზრუნველ ახალდაქორწინებულებს, აიძულებს შეკვეცონ გართობის დრო და ჩაებან მათთვის უჩვეულო და არც თუ ყოველთვის მიმზიდველ საოჯახო საქმიანობაში.

მართლაც: სტუმრად წასვლა უნდათ, მაგრამ ქმრის პერანგი გასარეცხია, არც წინდებია სუფთა. დილით ინსტიტუტში ან სამსახურში უნდა გაიქცნენ, გუშინ კი პურის ყიდვა ვერ მოასწრეს და საუზმე არა აქვთ. ახალგაზრდები უყურებენ ერთმანეთს და ელოდებიან: რომელი მოჰკიდებს ხელს გადაუდებელ საქმეებს? რომელი იტყვის უარს მეგობართან საუბრის, საინტერესო წიგნის კითხვის სიამოვნებაზე იმისათვის, რომ წესრიგში მოიყვანოს ბინა, გარეცხოს თეთრეული? რა თქმა უნდა, ორივემ ერთად, ყველაფერი ერთბაშად უნდა გააკეთონ! თამამად და მხიარულად ჰკიდებენ ხელს. ახალდაქორწი-

ნებულები ყოველგვარ საქმეს, დასცინიან საკუთარ მოუხერხებლობას და უცოდინრობას. მათ იტაცებს მოწიფულთა ცხოვრების თამაში, ისინი ხომ ვილაცის ბავშვები, გოგონა და ბიჭი კი არ არიან, მხოლოდ არამედ უკვე ცოლი და ქმარი გახდნენ. თვითონ ეს სიტყვებიც როგორლაც უცნაურად, მკაცრადაც კი ჟღერს. ისინი ახლა სულ სხვანაირად უნდა გრძნობდნენ თავს და იქცეოდნენ, ვიდრე წინათ. ირგვლივ ყოფებიც განსხვავებულად უნდა ექცეოდნენ მათ, უფრო მეტი პატივისცემითა და სოლიდურად.

კაცის ღლეები, თვეები, თანდათანობით ნელდება ერთად ყოფნის სიხარული. უკვე ნაკლებად მიმართავენ თამაშსა და ანცობას, უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს განმარტოების, რაღაცაზე ფიქრისა და დასვენების მოთხოვნილება. ახალგაზრდებს უკვე საკმაოდ ღლის იმის საჭიროება, რომ გამუდმებით კარგ ხასიათზე უნდა იყვნენ, ყოველთვის ყურადღებითა და გულისხმიერებით უნდა ექცეოდნენ საყვარელ ადამიანსა და, მით უმეტეს, ახალ ნათესავებს.

ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ სიყვარულის საზეიმო დღეები დამთავრდა და დაიწყო ყოველდღიური საზრუნავით დატვირთული ცხოვრება.

„ოჯახური ყოფის ყოველდღიურობა, საზრუნავი, წვრილმანები“.— თვით ამ სიტყვების ჟღერადობაში არის რაღაც ყრუ, გამაღიზიანებელი მონოტონურობა.

„ნუთუ ის სიზმარი იყო, ეს კი გაჭოფხიზლებაა?“

ყველაზე მძიმე გამოცდა, რომელიც ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ელის და რომელსაც ვერ შეედრება ვერც ცხოვრების მოუწყობლობა, ვერც ფულის ნაკლებობა, ვერც საოჯახო საქმიანობის უცოდინარობა არის ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვნება, სასურველის მიღწევა, დამოკიდებულებათა, მოვლენების, რეაქციების განმეორებადობა. რაც გორც ცნობილია, ახალგაზრდობა მეტად ხარბია ყოველივე ახლის, ეჩვეულის მიმართ, რაც მოითხოვს რისკს, გაბედულებას, ნებისმიერ წინააღმდეგობათა გადალახვას. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ საიდან ხდება ეს ბრძოლა-ძიება — აწყვლაში, შრომაში თუ სიყვარულში. აქ კი საჭიროა უკვე გადალახული. სიმაღლე უკვე აღებულია. რა იქნება შემდეგ? ცხადი არ არის სიყვარულის წარმტაცი პოეტური მწვერვალებიდან დაშკება და ყოველდღიურობის ჭაობში ჩაფლობა? საშეფოხიროდ, ახალგაზრდა წყვილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ვერ უძლებს

გამოცდას.

ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრება, თავისთავად, საშინელი რამ არის, ოის გამოც მუდამ ირღვევდა ქორწინებათა ნახევარი. ერთ ჭერქვეშ ცხოვრებისას ადამიანები ძალიან ეახლოვდებიან ერთმანეთს, ერთმანეთის წვრილმანს მეტად თვალხათლივ ხედავენ და შეუმჩნეველად

წყვეტენ ფურცელ-ფურცელ იმ გვირგვინის ყველა ყვავილს, პიროვნებას პოეზიითა და გრაციით რომ მოსავს. სამაგიეროდ ერთნაირი განვითარება ბევრ რაპეს ასწორებს, ხოლო როდესაც იგი არ არის და მას სცელის უქმი მოცალეობა... როგორ უნდა მოეპყრო ქალს, როდესაც იგი ხორციელად მახლობელი, გონებრივად კი დაშორებული არსებაა... ცოლი, რომლისთვისაც უცხოა ქმრის მამოძრავებელი ინტერესები და არ იზიარებს მათ, ხასაა, მნეა, ძიძაა, მაგრამ არა ცოლი, სიტყვის სრული კეთილშობილური გაგებით." — წერს ა. გერცენი.

საკუთარი და მეუღლის „გაუფერულება" არის მეორე ურთულესი კამოცდა, რომელსაც ხშირად ვერ უძლებენ ახალდაქორწინებულები. ამ გამოცდას აუცილებლად ყველა გადის, მაგრამ მასზე სხვადასხვანაირად რეაგირებენ.

ბესაბე გამოცდაა როლების, მოვალეობათა განაწილება იმ პატარა სამეფოში, რომელსაც ოჯახი ეწოდება.

ვკადოთ ამ სიძნელეთა ხასიათში გარკვევა და იმ გზის მონახვა, რომლითაც ახალდაქორწინებულები ღირსეულად დააღწევდნენ თავს ერთად ცხოვრების მიერ დაგებულ ამ მახეს.

უპირველეა ყოვლისა, ახალგაზრდებს მოეწევს ერთი მეტად მარტივი და ამასთანავე მეტად ძნელად ასათვისებელი ჭეშმარიტების გაცნობიერება: ჭაბუკური სიყვარული, ქორწინებამდელი სიყვარული და ქორწინების გარეშე სიყვარული მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ცოლქმრულ სიყვარულს. ისინი დები არიან, მაგრამ სრულიადაც არ არიან ერთიდაიგივე. ძველ ბერძნებს სიყვარულის ორი აღნიშვნა ჰქონდათ. საყვარელი არსების დაუფლების სურვილს ისინი უწოდებდნენ „ეროსს", ხოლო მისწრაფებას – საყვარელი ადამიანის ბედნიერებას შესწირო თავი, შესწირო მთელი შენი ძალები და ზრახვანი. უწოდებდნენ „აღაპეს" პირველი გრძნობა უფრო ეგოისტური, უზრუნველი და მიწიერია. მეორე კი უფრო თავგანწირული, მკაცრი და აძაღლებულია.

ცოლქმრული დამოკიდებულება თავისი არსით არის პირველი სახის გრძნობისან მეორეში თანდათანობითი გადასვლა. ეს გადასვლა ოშვიათად ხორციელდება ცოლისა და ქმრისაგან განსაკუთრებული ფალისხმევისა და ფარეკეულ სირთულეთა გადალახვის გარეშე. ზოგჯერ მათ ეგონიათ, რომ ახალი ჰდგომარეობა აღარც კი არის სიყვარული, რამდენადაც მასში სპარბობს სულიერი ზრდნვა, სიძვოვნება კი ნაკლებია. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რა ნაირგვარი ცვალებადობა ახასიათებს ამ გრძნობას.

ქორწინებამდე (და ქორწინების გარეშე) ახალგაზრდების დამოკიდებულება უკიდურესად დაძაბულია. მიმდინარეობს თავისებური ომი,

რომლის მიზანია ყურადღების, სიყვარულის დამსახურება. ამაზეა კონცენტრირებული მთელი მათი ძალები, აზრები, შესაძლებლობანი. ამიტომაა, რომ ქორწილის შემდეგ პირველი თვეები და ზოგიერთებთან პირველი წლებიც კი გადის დაუსრულებელ ალერსსა და ერთმანეთის სიყვარულით თრობაში. მაგრამ ადამიანის ორგანიზმს არ ძალუძს მუდმივად უკიდურესი დაძაბულობისა და თრობის მდგომარეობაში ყოფნა მით უმეტეს, რომ სურვილთა დაკმაყოფილება ახლა შესაძლებელია ბრძოლის გარეშე, დაწყნარებული ვნებები უკვე ჰშვიდად თავსდებიან ყოველდღიურობის ჩარჩოებში. ამ დროს უკვე შეიძლება ითქვას, რომ შეყვარებულები გახდნენ მეუღლეები.

ვიმეორებთ, როგორც მშვიდობა განსხვავდება ომისაგან, ასევე ოჯახური სიყვარული განსხვავდება ქორწინების გარეშე ან ქორწინებამდელი სიყვარულისაგან. ომი, როგორც ცნობილია მოითხოვს გმირობას, სისხლს, მსხვერპლს. მშვიდობა მოითხოვს შრომისმოყვარეობას, თავდაჭერას, თანაგრძნობას, მიმტევებლობას. მაგრამ, ხშირად, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ერთი მიზნის ყოველდღიური სამსახური ადამიანის ხასიათის ბევრად უფრო რთული გამოცდაა, ვიდრე გრძნობებისა და სურვილების ხანმოკლე აფეთქებანი. ამიტომაცაა, რომ ყველა ახალგაზრდასთან უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს მწვავე, დაძაბული შეყვარებულობის გარდაქმნა მშვიდ ცოლქმრულ სიყვარულად. ან უმჯობესია ითქვას ოჯახურ სიყვარულად, რომელიც ალბათ, გაცილებით ღრმა, ძლიერი, მრავალწახნაგოვანი და არ შეუშინდებით ამ სიტყვის ხმარებას, — ამაღლებულია, ვიდრე მხოლოდ სასიყვარულო გატაცება, რომელსაც უმღერიან მთელი მსოფლიოს პოეტები.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ არ არსებობს ასეთი გრძნობა! არ არსებობს ასეთი გრძნობის აღმნიშვნელი სიტყვა. გრძნობა კი არის. ვაღიარებთ, მეგობრული, ამხანაგური გრძნობის არსებობას, ვაღიარებთ დამოუკიდებელ და ღირებულ გრძნობად თანამოაზრეობას, თანაგრძნობას, დედობრივ და მამობრივ გრძნობას, პასუხისმგებლობას და ვალდებულების გრძნობას, დაბოლოს, ჩვეულებებს ვუწოდებთ ჩვენს მეორე ბუნებას. ოჯახური გრძნობა არის სწორედ ყველა ამ გრძნობის რთული შენადნობი იმ „წყნარ სასიყვარულო" დამოკიდებულებებთან, რომელიც აკავშირებს მეუღლეებს ერთმანეთთან და თითოეულ მათგანს მათი სიყვარულის ნაყოფთან—შვილებთან ეს შენადნობი სხვადასხვა წყვილთან სხვადასხვაგვარია: ზოგიერთებთან ჭარბობს თანამოაზრეობა, ამხანაგობა, მეგობრული თანამონაწილეობა; სხვებთან ფიზიოლოგიური ლტოლვა, რომელიც წყვილის კავშირში შეიძლება ყველაზე ძლიერად ვლინდებოდეს პასუხისმგებლობისა და მშობლიური მოვალეობის გრძნობა. სხვა წყვილთან ჩვეულებები და ა. შ. მაგრამ თითოეულ შემთხვევაში, ამა თუ იმ სახით, აუცილებლად

მოცემული გვაქვს ყველა დანარჩენი კომპონენტიც. სწორედ ეს თანაფარდობა განსაზღვრავს ყოველი კონკრეტული წყვილის ემოციურ პორტრეტს.

ოჯახის, სახლის სიყვარულის გრძნობა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი იმ არაცნობიერი სინარულის სახით, რომელსაც განვიცდით დიდი ხნის შემდეგ მშობლიურ წიაღში დაბრუნებისას. ბევრისთვისაა ნაცნობი მისი მონატრებით გამოწვეული ნაღველი მაშინაც კი, როცა არც მეგობრებისგანაა განაწყენებული, არც კოლეგებისგანაა უყურადღებოდ დატოვებული, არც ცხოვრების კარგი პირობები და გართობა-სიამოვნება აკლია. კავშირ-ურთიერთობების ასეთი სრული „კომპლექტის" პირობებშიც კი ოჯახიდან შორს მყოფ ადამიანს ერთგვარი მარტოობის წუხილი უღრღნის გულს. ეს იმიტომ, რომ ყველა ეს გრძნობა ცალ-ცალკეა მოცემული, განსახიერებული და კონცენტრირებული არ არის ერთ ადამიანში. იმ ერთადერთის გარეშე, რომელიც თავის თავში მოიცავს ემოციების მთელ ამ გამას, შეუძლებელია განვიცადოთ და შევიცნოთ ყოფიერების მთელი სისრულე და ჰარმონია.

ხშირად, მხოლოდ ამ აუხსნელ და გაუცნობიერებად გრძნობასღა ემყარება მეუღლეთა ურთიერთობა, როცა ისინი არც თუ მეგობრულად არიან, ხშირადაც ჩხუბობენ. მაგრამ რატომღაც ცალ-ცალკე ცხოვრებაც არ შეუძლიათ. როგორც ძველად იტყოდნენ ფუძის ანგელოზი არ უშვებს ოჯახის დანგრევას.

სხვადასხვა ფენისა და მდგომარეობის ადამიანები რომ მკვეთრად განასხვავებენ ცოლქმრულ, ოჯახურ სიყვარულს სასიყვარულო გატაცებისაგან, ამის შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი ისტორიული ფაქტი: ინგლისის მეფეს ედუარდ VIII შეუყვარდა ამერიკელი ორნაქმარევი ქალი უელლის სიმპსონი და მოინდომა მისი ცოლად შერთვა. ამას წინ აღუდგა მთელი პარლამენტი და სამღვდელოება. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამგვარი ქორწინება შელახავდა მონარქისა და თვით მონარქიის ავტორიტეტს ინგლისელი ხალხის თვალში. მრჩეველებმა მეფეს წინადადება მისცეს, ყვარებოდა სიმპსონი, მხოლოდ ოფიციალურად არ შეერთო იგი.

არსებითად, მეფეს არ ეკრძალებოდა გაეზიარებინა სარეცელი საყვარელ არსებასთან, მაგრამ ნება არ ეძლეოდა ეწილადებინა მისთვის მეფის ცხოვრება, საზრუნავი და სიხარული. ედუარდ VIII არ ისურვა მიეღო თავისი გულის რჩეულის დამამცირებელი პირობები და მეფის გვირგვინს საყვარელ ქალთან დაქორწინება არჩია, უარი თქვა სამეფო ტახტზე და დატოვა ინგლისი. ეს ამბავი სრულიადაც არ არის ძველისძველი, მშვენიერი ქალისათვის რაინდული თავდადების ეპოქის დროინდელი. ეს შემთხვევა მოხდა ჩვენს რაციონალურ

საუკუნეში, 1936 წელს, არც ერთადერთია ასეთი შემთხვევა. რუსეთში, რევოლუციის წინ, მსკავსი „უვუნურება“ გაბედა რუსეთის სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ, დიდმა თაუადმა მიხეილმა.

ეჭვს გარეშეა, რომ იმ ადამიანებს შორის, რომელთაგანაც სიყვარული მოითხოვს გაცილებით ნაკლები ღირებულებების და პრივილეგიების მსხვერპლად შეწირვას, ასეთი ფაქტები ჩვეულებრივი და ხშირია. ამიტომ, მცდარია იმის მტკიცება, თითქოს თვითონ ქორწინება, ე. ი. ქალისა და მამაკაცის მიერ ერთმანეთის აღიარება მეუღლეებად, — მხოლოდ ფორმალური წვრილმანია. როგორი სახეც არ უნდა ქქონდეს ამ „პირობითობებს“ — მდიდრული ზეიმისა, თუ უბრალოდ დაკავშირებისა კეთილი სურვილებისა და დარიგებების თანხლებით, აქ წუთიდან ორმა ადამიანმა აღიარა, რომ ისინი ეკუთვნიან ერთმანეთს და სხვას არავის, რომ დაკავშირებული არიან პატიოსნებით, სინდისით, ერთგულებით, პატივისცემით და ურთიერთდახმარების მოვალეობით.

ცოლქმრული დამოკიდებულება ძირფესვიანად ცვლის ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიას, მათ შინაგან მდგომარეობას. ამის შესახებ საინტერესო აზრს გამოთქვამს ოჯახის თეორეტიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი ა. ხარჩევი: „განსხვავებით სქესობრივი ინსტინქტისაგან, ან თუნდაც ენებისაგან სიყვარულის (ცოლქმრულის ან ოჯახურის-ა. ა.) როგორც ზნეობრივ-ეთიკური გრძნობის საგანი არის არა უბრალოდ სხვა სქესის არსება, არამედ ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ დონის პიროვნებაა, რომელსაც აქვს არა მარტო ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური და ემოციური ღირებულებაც და, რომლის თვით ფიზიკური მიმზიდველობაც კი ერთვალად ემსახურება მხოლოდ მაღალი სულიერი თვისებების გამოხატვას — ე. ი. აქვს უკვე ესთეტიკური ხასიათი“.

ალბათ შეგხვედრიათ ოჯახური წყვილები, რომლებმაც ხანგრძლივად შეინარჩუნეს გრძნობათა ცხოველქყოფილობა, სიხარული ერთმანეთის დანახვაზე, დაეკვირდით ძათი ურთიერთობის სტილს: ყურადღებიანი კეთილგანწყობილება, ზრდილობიანი თავდაჭერა, სიტყვებისა და ჟესტების თავაზიანობა.

ურთიერთობის ასეთი სტილი ადვილი მიაღწევია ცოლქმართა ერთგულებისათვის თუ ისინი დაიცავენ პროფილაქტიკური ხასიათის ზოგიერთ პირობას. პირველ რიგში, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ქორწინების პომდეგნო თვეები — თაფლობის თვეები, როცა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ბუნებრივი თავშეკავება და მორიდებულობა, საუკეთესო ფორა „ოჯახურ ურთიერთობათა რეფლექსიებისა“ გამოსამუშავებლად

ამ პროფილაქტიკურ პირობათაგან ელემენტარულია: არ „უწიოთ“

ხმას სადავო საკითხების გარკვევისას. პირიქით, რაც უფრო ცხადია შეუთანხმებლობა, მით უფრო ხმადაბალი, რბილი და თავაზიანი უნდა იყოს მეტყველება. უფრო ადვილია ჩხუბის თავიდან აცილება, ვიდრე შემდეგ მისი შეწყვეტა, ვიდრე შემდეგ შერიგება და ბრძოლის აზარტში მიყენებული ჭრილობების მოშუშება, ბრძოლისა, რომელშიაც შეუძლებელია ვინმე იყოს გამარჯვებული, რომელშიც არიან მხოლოდ დამარცხებულები. ვისაც გულწრფელად უყვარს, მას ხომ მარტო თავისი ტკივილი არ სტანჯავს, ის განიცდის საყვარელი არსების ტანჯვასაც. როცა ვაწყენინებთ საყვარელ ადამიანს, ჩვენ თვითონაც განაწყენებული ვრჩებით და, ამასთანავე, ვანადგურებთ ორივესათვის უმთავრესს, უძვირფასესს: ჩვენს სიყვარულს. განა არსებობს ამ ქვეყნად ისეთი სადავო საკითხი, რომლისთვისაც ღირდეს ეგოდენ დიდი მსხვერპლის გაღება? გარდა, რა თქმა უნდა, გამცემლობისა— თვითონ ამ სიყვარულის ღალატისა.

ერთმანეთის ნაკლსა და სისუსტეებს შევხედოთ ისე, როგორც უყურებენ მშობლები თავისი შვილების უცოდინარობას, არასრულყოფილებას: მოთმინებით და დაიმედებით, რომ მოვა დრო, როცა საჭირო ცოდნა-ჩვევები გამომუშავდება. ამოქმედდება. ვასწავლით არა სიტყვით და საყვედურით არამედ საქმით. საკუთარი მაგალითით. ნუ მოსთხოვთ სხვას იმის გაკეთებას... რაც თქვენ თვითონ არ იცით, არ შეგიძლიათ უჩვენოთ და ასწავლოთ. ასეთი მოთხოვნა უსამართლო და უშედეგო იქნება.

გავითვალისწინოთ ასაკობრივი და სქესობრივი თავისებურებანი, როგორც ინტიმურ დამოკიდებულებებში ისე სამყაროს აღქმაში. ასაკობრივად ქმრის თანატოლი ქალი ემოციურად მასზე უფროსია. ქალს მეტი ესმის ადამიანურ დამოკიდებულებათა სფეროში, მამაკაცს საგნობრივ და ნიშანთა სამყაროში. საჭიროა ვენდოთ ერთმანეთის ბუნებრივ შესაძლებლობებს. არაფერი არ არის კუდი და უკადრისი იმაში, რომ მამაკაცი ცოლს რჩევას ითხოვდეს და უჯერებდეს მას. რასაკვირველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოლი აფასებს ამ ნდობას, ბოროტად არ იყენებს მას და არ ცდილობს, ქმარი გადაქციოს თავისი ნება-სურვილის მონა-მორჩილად.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადამიანია ორგანიზმი ერთიანი ინსტრუმენტია, ამასთანავე ქალი და მამაკაცი, კარდინალურად განსხვავებულია. როგორც ტონალობით ისე წყობითა და მოქმედების თვის მომართვის თავისებურებით. სქესობრივი ჰიგიენის შესახებ ლექციებიდან თქვენ უკვე იცით, რომ ქალთა ნ ფიზიოლოგიური პროცესები მეტ-ვევენ უფრო ღრმა და ძლიერ ემოციურ ფაქტორებს. იმისათვის, რომ ეს განცდები დადებითი იყოს, აუცილებელია მეუღლის სქესობრივი და ეთიკური განათლებულობა.

თუ თქვენ ყურადღებით გაეცანით ყველაფერს ახალდაქორწინებულთა ურთიერთობის თავისებურებებზე, შეამჩნევდით მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება გრძნობების კულტურას, რაზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ვისაც შეუძლია აღიქვას გარემომცველი სამყაროს სილამაზე, შეუძლია გაოცდეს და აღფრთოვანდეს ადამიანის ბუნების, იდუმალებითა და სასწაულებრიობით, ვინც კეთილია, მგრძნობიარეა საქმიან და მეგობრულ ურთიერთობებში, ის ინტიმურ სფეროშიც გამოავლენს ამ თვისებებს, მონახავს გზას საყვარელი ადამიანის გულისაკენ, არ აწყენინებს, არ დაამცირებს მას არც სიტყვით და არც ქცევით.

აუცილებელია ისიც გავითვალისწინოთ, რომ ზოგჯერ ზედმეტი მორცხვობა და მორიდებულობა, რომელიც შებოჭილობაში გადადის, შეიძლება ისეთივე მავნე აღმოჩნდეს ადამიანური სიყვარულის ბუნებრივი გამოვლენისთვის, როგორც თავაშვებული ურცხვობა. ორივე შეყვარებულისათვის ერთნაირად მისაღები შინაგანი ჰარმონიისა და საჭირო ტონალობის მონახვა არის სწორედ შემოქმედებითობის მომენტი სიყვარულში.

ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ უცოდინარობა ინტიმურ დამოკიდებულებათა სფეროში ყველაზე ხშირად გამოდის ჩხუბისა და განქორწინების მიზეზადაც კი. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ: უვიცობას არსად არ მოაქვს სიკეთე. თუმცა დღემდე დადგენილი არ აქვთ როდის არის სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა განხეთქილების მიზეზი და როდის მისი შედეგი. თუ მეუღლენი ერთმანეთს უყენებენ მაღალ ადამიანურ და ზნეობრივ მოთხოვნებს, მაგრამ მათი დაკმაყოფილება არა ხდება, მაშინ აბსოლუტური „სქესობრივი განათლებულობის“ შემთხვევაშიც კი მოსალოდნელია, რომ მათ შორის ინტიმური ურთიერთობა შეუძლებელი გახდება და გამოიწვევს მხოლოდ ზიზღის გრძნობას.

ალბათ გრძნობებისა და ურთიერთობათა ეს სფერო ყველასთან და ყოველთვის არ თამაშობს მთავარ როლს ოჯახური კავშირების სისტემაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მრავალი თვის მანძილზე და ზოგჯერ წლობითაც კი სრული თავშეკავება, ერთგულება მაშინ, როცა საყვარელი ადამიანი ჩვენთან არ არის ან ხანგრძლივად მძიმე ავადმყოფია. ამ უკიდურეს მდგომარეობათა გარეშეც „...ყველაზე პატიოსანი ქალები ჩვეულებრივ უფრო მეტადაც ინარჩუნებენ გავლენას თავის ქმარზე გონივრული და დახვეწილი თავშეკავებულობის წყალობით, როცა არც ჭირვეულობას მიმართავენ, არც უარს. მათ შეუძლიათ ყველაზე ნაზი კავშირის დროსაც კი ქმარი გარკვეულ მანძილზე ჰყავდეთ და არასდროს არ მისცენ მას ცოლის მოყირქების საშუალება.“—წერს ჟან-ჟაკ რუსო „ოჯახურ ენციკლოპე-

დიაში", ზნეობრივ-ფილოსოფიურ რომანში „ახალი ელოიზა". მაგრამ არავის და არსად არ დაუწერია, რომ შესაძლოა სიკვდილი სექსუალური შიმშილისაგან. საყვარელ ადამიანზე დარდსა და ნაღველს შეუძლია კაცის მოკვლა, მაგრამ განუხორციელებელ ფიზიკურ ლტოლვას—არა. პირიქით, მარტოხელა ცხოვრების მოუწესრიგებლობისა და ზედმეტობათაგან ხშირად ავადმყოფობენ და კვდებიან კიდეც, სწორედ სექსუალური „გურმანები". ფიზიოლოგიურ-სექსუალური მოყირჭება შეიძლება შევადაროთ საჭმლით მოყირჭებას. სექსუალურ შიმშილზე შეიძლება იგივე ითქვას, რაც საკვების არ არსებობით გამოწვეულ შიმშილზე: ბუნებრივი მოთხოვნილებები შეიძლება შედარებით ადვილად დაკმაყოფილდეს, თუ ისინი არ სცილდებიან ნორმის ფარგლებს, ხელოვნური მოთხოვნილებები კი არა. ამ ბოლო შემთხვევაში ადამიანს დაუსრულებლად უჩნდება სურვილი იგემოს რაღაც ახალი, აქამდე მისთვის უცნობი სიამოვნებანი.

საკუთარ ბუნებასა და პარტნიორის თვისებებში უკეთესად გარკვევისათვის ახალდაქორწინებულებს შეუძლიათ მიმართონ სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც ამ ბოლო დროს დიდი რაოდენობით გამოდის. მათ დასახმარებლად მზად არიან ავრეთვე ექიმები, ფსიქოლოგები და ეთიკოსები.

— როგორ შეუთავსოთ ამგვარი მსჯელობა იმას, რაც ადრე ითქვა „სიყვარულის ტექნიკის" კოდნაზე, როგორც გარყვნილების ხელშემწყობ პირობაზე, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა დასავლეთის ახალგაზრდობის ზნეობრიობას.

სამამულო და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, რომ სქესობრივი განათლების ხასიათი, სტატიების, წიგნების, სპეციალისტთა რეკომენდაციების შინაარსი ჩვენთან მიმართულია ბუნებრივი ინსტინქტების გაადამიანურებისაკენ, მათი გაკეთილშობილებისა და ესთეტიზაციისაკენ. ჩვენთვის უცხოა სექსის განიარცვა სულისაგან, მისი მექანიზაცია; რაც დამახასიათებელია ზოგიერთი დასავლეთელი „განმანათლებლისათვის", ჩვენი სექსოლოგებისათვის მიუღებელია, ავრეთვე, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ძველთაგანვე დამკვიდრებული სასიყვარულო თამაშობების კულტის კოპირებაც. ჩვენი მეცნიერები ეძებენ და ჩვენც გვიწვევენ სიყვარულის ისეთი ქცევის საძიებლად, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის როგორც ამაღლებული, მთლიანობითი არსების გაგებაზე, ადამიანისა, რომელსაც აქვს გარკვეული ეთიკური, ეთნიკური და ინდივიდუალური თავისებურებანი კონკრეტული ცოლქმრული წყვილის ტემპერამენტისა და ფსიქიკის მიხედვით.

ამ პრობლემის სირთულეს მოწმობს, კაცობრიობის კულტურის უდიდეს წარმომადგენელთა დაჟინებული მუშაობა მის გადაწყვეტაზე. მაგალითად, ლ. ტოლსტოიმ ამ პრობლემას უძღვნა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა „კრეიცერის სონატა", „მამა სერგი" და „ჯადოქარი", რომლებიც შექმნილია მოხუცებულობის ჟამს, როცა მწერალი მიისწრაფოდა ყოფიერების ყველაზე სიღრმისეული, საკვანძო საკითხების გარკვევისაკენ.

ამ თემას ჩვენ დაუტოვებთ დაწერილებითი განხილვის გარეშე, როგორც სავალებლოდ ირგვლივ მყოფები ტოვებენ მარტო ახალდაქორწინებულებს. ისე კი უნდა შეკიბედოთ მათთან საუბარულოში, შეძლება მიეკაროთ მათ ყურადღება. მალიაში, სამრეცხაოში, რომ გაიგოთ როგორ უძღვებიან საოჯახო საზრუნავსა და საქმიანობებს, როგორ ინაწილებენ მოვალეობებს და როგორ იყენებენ უფლებებს.

ერთ უღელზე

„მეუღლეები" — ცხოვრების მძიმე უღელში „ერთად შებმულნი", ცხოვრების მძიმე უღლის „ერთად მზიდავნი". ოჯახური ცხოვრების ანწორად წარმართვა რომ ადვილი არ არის, ეს თქვენ უკვე იცით არა წიგნებიდან, არამედ მშობლებზე, მეზობლებზე, ნაცნობებზე დაკვირვებით. როგორ ყალიბდება დღეისათვის ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობები სამეურნეო სფეროში?

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ბევრი მწერალი სარკაზმითა და ირონიით ანადგურებდა თავის იმ პერსონაჟებს, რომლებიც დიდი სერიოზულობით უფიქრდებოდნენ ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტას. „ჩაეფლო ცხოვრების წვრილმანებში" ასე აფასებდნენ ქალის ქცევას, თუ ის დაკავებული იყო ოჯახური მეურნეობით, თუ არ დარბოდა ქმარ-შვილთან ერთად სასაუბრო-სასადილოებში, შვილები არ ჰყავდა ბოლოდ მშრალ ულეფაზე, ჩაისა და ბუტერბროდებზე და მთელ დარჩენილ დროს არ ფლანგავდა „ლამაზი ცხოვრების" კერპის საშსახურში.

ახლა, თქვენ, სულ უფრო და უფრო ხშირად შეგვხვდებათ წიგნებსა და ფილმებში სახანულნარევი სევდა ოჯახური ცხოვრების იმ მხარეების გამო, რომლებიც თანდათანობით წარსულის კუთვნილებად იქცევა: შინაურული ნაჭუჭვარი, უბრალო, თბილი ოჯახური საღამოები, როცა მაკიდის ირგვლივ იკრიბებოდნენ ახლო ნათესავები: საუბრობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თან ხელსაქმობდნენ კიდეც: ქსოვდნენ, წნავდნენ, რასდავდნენ, მუშაობდნენ დაძველებულის შეკეთებაზე.

როგორც, ვხედავთ, აქ კვლავ იჩენს თავს ის გარემოება, რომ ყველაფერი, რაც ოჯახში ხდება, მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაშია, დამოკიდებულია საზოგადოებრივ პროცესებზე.

ოჯახური შრომა, ბოლო დრომდე, იყო ყველაზე მძიმე და ნაკლებ პროდუქტიული. გლეხებმა, ფაქტიურად არ იცოდნენ არც დასვენება, არც დროითი შემოფარგვლა შრომისა, რომელიც მთლიანად უნდებოდა ყველაზე ელემენტარული. ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას: ძაძრისად ჭამას, თავზე საიმედო ჭერს, თბილ და მაგარ ტანსაცმელს და ....პატარა სიხარულს. მხიარულებას დღესასწაულებზე. აეთივე მოთხოვნილებები ჰქონდა ქალაქელ მშრომელსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საჭმელს, ჭერს და ტანსაცმელს ის მოიპოვებდა არა მინდორში, არამედ ფაბრიკასა და ქარხანაში მძიმე შრომით. ასეთ პირობებში ცოლი და ქმარი მთლიანად იყვნენ ჩაფლულნი შრომაში, როგორც სახლის გარეთ, ისე სახლში. ბუნებრივია, რომ ჰუმანისტები მოუწოდებდნენ გაეთავისუფლებინათ ხალხი ამგვარი ჩაგვრისაგან ისევე, როგორც მოუწოდებდნენ შეემსუბუქებინათ სამრეწველო და გლეხური შრომა. განსაკუთრებულად იდგა მძიმე შრომისაგან ქალის განთავისუფლების საკითხი. ოჯახში ხომ ყველა მოვალეობას, რაც დაკავშირებული იყო საჭმლის მომზადებასთან, სახლის დალაგებასთან, რეცხვა-კერვასთან, პატარა ბავშვების მოვლასთან,—ე. ი. ყოველდღიურ, გაუთავებელ სამუშაოს ქალი ასრულებდა. ბოლო საქმეები, რომლებიც მარტალია დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვდნენ, მაგრამ ყოველდღიური არ იყო: შეშის მომარაგება, სახლის ამენება და რემონტი. ყოველგვარი სამეურნეო ინვენტარისა და ხელსაწყოების დამზადება, მამაკაცის ძლიერ და მარჯვე ხელს ეკალეთ ბოდა.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების შედეგად მრავალმა შრომითმა ოპერაციამ გადაინაცვლა მანქანების, სხვადასხვაგვარი აგრეგატ-აპარატების რკინა მხრებზე. შეიცვალა შრომის ნაყოფიერება. მისი ხასიათი და პირობებიც. თუ წინათ შრომა დაძაბული და უსიხარულო იყო, ადამიანობას აყარგვინებდა კაცს, ახლა ის თანდათახობით იქცა მრავალფეროვან, ეფექტურ შემოქმედებით საქმიანობად. ოჯახის სამნაო შრომაში ძველთაგანვე მამაკაცის წილად მიჩნეული საბრუნავი (შეშით მომარაგება, ბაღთბობა-ბაღათებაზე ზრუნვა, პირუტყვის მოვლა) უკიდურესად შემცირდა, ქალის მოვალეობად მიჩნეული საოჯახო საქმიანობა კი დიდხანს ინარჩუნებდა ძველებურ სახეს, როგორც სიმძიმით, ისე „ასორტიმენტითა“ და დამხმარე მოწყობილობებით. ოდითგანვე დაუსრულებელი წრებრუნვა ქურასთან, ვარცლთან, იატაკის საწმენდი ჩვრით, ჩხირებითა და ხეშეთ ხელში. ქალის საოჯახო შრომის ნაყოფიერება კი როგორია: საათობით ტრიალებს

დიასახლისი ქურასთან, ოჯახი კი ხუთმეტ წუთში აღარაფერს ტოვებს მისი შრომის ნაყოფისგან, გარდა დახვავებული დასარეცხი ჭურჭლისა. ან შრომის პირობებს გადავხედოთ: დიასახლისისთვის არც შვებულება არსებობს, არც დასვენების დღეები. ქალი, ახლაც ჯარასავით ტრიალებს სამსახურსა და ოჯახს შორის, „თესავს და მკის, ქმარშვილსაც უვლის" — როგორც ძველად ამბობდნენ.

საქმიანობის ყველაზე პროგრესულ სფეროებთან შედარებით, საოჯახო სამუშაო დიდხანს გამოიყურებოდა რაღაც ანაქრონიზმად, რომელიც ძალიან ბევრ დროსა და ძალებს ართმევს ადამიანებს და სამაგიეროდ კი არაფერს არ აძლევს. ეგონათ, რომ სრულიად შესაძლებელია მისი შეცვლა საზოგადოებრივი კვებითა და მომსახურებით. თვითონ ქალიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ოჯახური საქმიანობის „უვადო კატორღიდან" მიიწევდა მუშაობისაკენ, კოლექტივისაკენ, წიგნებისაკენ, კრებისაკენ, მოგზაურობისა და შემოქმედებისაკენ.

ასე იყო ბოლო წლებამდე. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება სხვაგვარი ტენდენცია ოჯახური საქმიანობის მიმართ. უდიდესი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად ბევრმა ცოლმა და დედამ მოიპოვა რეალური შესაძლებლობა თავისუფალი არჩევისა: სახლში ჰამონ თუ სასადილოში, თვითონ შეიკერონ ტანსაცმელი თუ ატელიეში შეაკერინონ, თვითონ რეცხონ თუ ისარგებლონ სამრეცხაო ფაბრიკების მომსახურებით, თვითონ მოუარონ პატარა ბავშვებს თუ მიანდონ საბავშვო ბაგებისა და ბაღების აღმზრდელებს. და აი, გაისმა ახალი ნოტები საყოფაცხოვრებო მომსახურების, მისი ღირსებებისა და ნაკლის შესახებ დისკუსიებში. გამოითქვა მოსაზრებანი ოჯახური შრომის უპირატესობაზე საზოგადოებრივი მომსახურების ზოგიერთი სახესთან შედარებით.

მოდით, ერთად ვცადოთ ამ პრობლემის არსში გარკვევა. ჯერ შევეხოთ ჩვენს დროში ცოლის და ქმრის დატვირთვის სიდიდეს, მათ შორის მოვალეობათა განაწილებას.

სოციოლოგიური გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ საოჯახო საქმიანობისა და საზრუნავის 2/3-ით ახლა დატვირთულია „სუსტი სქესი", ხოლო „ძლიერი" ამ დროს „გულშემატკივრობს" სტადიონებზე, ჩაღრმავებულია პრესაში, ისვენებს ტელევიზორის წინ სავარძელსა ან ტახტზე, ანდა უფრო უარესი — დროს კლავს სმაში.

ასეა მიუხედავად იმისა, რომ ქალი გახდა მამაკაცის სრულუფლებიანი თანამებრძოლი სახალხო მეურნეობაში, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ქალები შეადგენენ მშრომელი მოსახლეობის უდიდეს ხვწილს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა შორის ქალები შეადგენენ 59%-ს. 1928 წელთან შედარებით ასეთი სპეციალისტების რიცხვი ჩვენთან გაიზარდა 103-ჯერ! საზოგადოებ-

რივი წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის ზოგიერთ სფეროში ქალებს საერთოდ დომინირებული მდგომარეობა უკავიათ: მაგალითად ვაჭრობაში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სახალხო განათლებაში, დასვენების, გართობის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში და ა. შ.

ერთხანს გაისმოდა მოთხოვნები ოჯახში როლების ტრადიციულ განაწილებაზე დაბრუნების აუცილებლობის შესახებ: ქმარი—მარჩენალი, შემომტანი, ოჯახის წევრების დამცველი, ცოლი—ოჯახის დიასახლისი, შთამომავლობის აღმზრდელი. ზოგიერთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც მაინცა და მაინც კარგად ვერ ერკვეოდა იმაში, თუ როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება ძველად—ეგონა, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯი გადაჭრიდა ყველა კონფლიქტურ კვანძს თანამედროვე ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობაში.

— მე ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი და მეცოდება. ამიტომ არ დავუშვებ, რომ ის გადაიტვირთოს ორმაგი სამსახურით. დაე, მან შეინარჩუნოს თავისი სილამაზე და ქალურობა, დაე მისი ხვედრი იყოს მხოლოდ საოჯახო წვრილმანებზე ზრუნვა: ხარჯები, საყიდელი, დამზადება, ბავშვების მოვლა, ხოლო გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა ჩვენი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ოჯახის საზოგადოებრივი მდგომარეობის შექმნა—მე ავიღებ ჩემს თავზე, როგორც ეს მამაკაცს შეეფერება. განა ჩვენს წინაპრებზე სუსტები ვართ, რომ ეს ტვირთი ვერ ვზიდოთ?

ასეთი აზრი ძალიან ხშირად მოგვისმენია.

გულუბრყვილო შეხედულებაა. უფრო ზუსტად--ჩამორჩენილი.

ჯერ ერთი: არც ძველ დროში იყო ყოველთვის ოჯახის მარჩენალი მხოლოდ მამაკაცი. ღარიბი, მშრომელთა ფენიდან გამოსული ქალი ძველადაც ათავსებდა ერთმანეთთან ოჯახის გამოკვებისათვის საჭირო შრომასა და საშინაო საოჯახო საქმიანობას, იყო ოჯახის მეორე მარჩენალი და ზოგჯერ ერთადერთიც. ესენი იყვნენ მაგალითად — ქვრივები, მებრძოლი ქალები ჯარისკაცთა, მეზღვაურთა და მოგზაურთა ცოლები: მარტოხელა დედები, რომლებიც ძველ, უკანონოდ შობილთათვის მეტად მძიმე დროშიც კი, არც ისე ცოტანი იყვნენ. ისეთი ქალებიც იყვნენ, რომლებიც უფროსობდნენ ოჯახური საქმეების მართვაში (კაბანიხა, ვასა ჟელეზნოვა, ოთარაანთ ქვრივი).

გლეხი ქალები ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების ცოლები ქმრებთან ერთად ინაწილებდნენ არსებობის საშუალებათა მოპოვების მთელ ტვირთს ისე, რომ თან ქურასა და ვარცლს არა სცილდებოდნენ. მუშების ცოლები კი ხშირად თვითონაც ფაბრიკა-ქარხნებში მიდიოდნენ, ან ქალაქის მომსახურების სფეროში იწყებდნენ მუშაობას: მრეცხავებად, მზარეულებად, მკერავებად. მხოლოდ მრავალშვილია-

ნები (შვიდი და მეტი შვილი) რჩებოდნენ სახლში. თუმცა ისინი ასრულებდნენ ქირით დღიურ სამუშაოს. ჩეხოვის ცნობილი დუშეჩკაც კი. რომელსაც ყველა დასცინოდა, გათხოვების შემდეგ საოჯახო საქმიანობასთან ათავსებდა თეატრსა და ხის მასალის საწყობში მუშაობას.

შრომისა და ოჯახური საზრუნავისაგან თავისუფალნი იყვნენ მხოლოდ შეძლებული არისტოკრატი ქალები. ისიც არა ყველა, არამედ მხოლოდ ნაწილი, რომელსაც გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა ცხოვრებისეულ სიამოვნებათა და ღირებულებათა მიმართ: სახლს ისინი არ უვლიდნენ, ბავშვებს არ იჩენდნენ, თუ აჩენდნენ მხოლოდ ერთს ან ორს და მათაც მთლიანად დაქირავებული მომველელ-აღმზრდელებისა და მასწავლებლების ხელში აგდებდნენ.

„XVIII საუკუნის განმანათლებლობის ეპოქიდან მემკვიდრეობით ჩამოყალიბებულ წარმოდგენათაგან ერთ-ერთი უაღრესად უაზრო წარმოდგენა ის შეხედულებაა, თითქოს საზოგადოების განვითარების დასაწყისში დედაკაცი მამაკაცის მონა იყო. დედაკაცს ყველა ველურ და ყველა ბარბაროს ტომში, რომელნიც ბარბაროსების დაბალ საფეხურზე იმყოფებიან, არა მარტო თავისუფალი, არამედ მეტად სპეციალური მდგომარეობა უჭირავს... შრომის დანაწილება ორივე სქესს შორის გაპირობებულია არა დედაკაცის მდგომარეობით საზოგადოებაში, არამედ სულ სხვა მიზეზებით. ის ხალხები, სადაც დედაკაცები იძულებულნი არიან გაცილებით მეტი იმუშაონ, ვიდრე ეს მათ შეეფერებათ ჩვენი წარმოდგენით, ხშირად გაცილებით უფრო მეტ ნამდვილ პატივისცემას იჩენენ დედაკაცების მიმართ, ვიდრე ჩვენ ევროპელები. ცივილიზაციის ეპოქის მანდილოსანს, რომელიც გარემოცულია ჭოჭანებითი პატივისცემით და რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ნამდვილი შრომა, შეუდარებლად უფრო დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავია, ვიდრე ბარბაროსების ეპოქის დედაკაცს, რომელიც მძიმე შრომას ასრულებდა, რომელიც თავის ხალხში ნამდვილ ქალბატონად ითვლებოდა და თავისი მდგომარეობის ხასიათით მართლაც ასეთი იყო.“ (ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 63). როგორც ხედავთ ფ. ენგელსი თვლიდა, რომ მძიმე შრომა სრულიადაც არ უშლიდ ქალს ხელს ყოფილიყო „ნამდვილი ქალბატონი“. უფრო მეტიც, ამერიკელ ინდიელთა ზოგიერთი ტომის ქალები, რომელთა შესახებაც ლაპარაკია ენგელსის წიგნში“ ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, როგორც ჭეშმარიტ ქალბატონებზე, კერძოდან ოფიციალურად, ნადირობაში ქმრების შენაცვლების გარეშე აკეთებდნენ თავისი ტომის ძირითად საქმეებს, ბელადების გადაყენებამდეც კი. ამასთანავე, არ კარგავდნენ ნამდვილ ქალურ თვისებებს, ისე-

ვე როგორც XIX საუკუნის დასასრულის ინგლისელი პროლეტარი ქალები.

საზოგადოებას არ შეუძლია თავის განვითარებაში უკან მობრუნება. ეს აიხსნება ისტორიული განვითარების კანონებით, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მოსაზრებებით. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე ეკონომიკა წინ ვერ წავა წარმოებით შრომაში თავისი შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარის მონაწილეობის გარეშე. თვითონ ამ „ნახევარმაც" საეჭვოა, რომ მოინდომოს ხელის აღება თავისი შესაძლებლობების რეალიზაციაზე საზოგადოებრივი შრომის ასპარეზზე. იგი არც მატერიალურ დამოუკიდებლობაზე უარისთქმას არ მოინდომებს.

გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ცოლს-დედას, რომელმაც თავისი თვალსაწიერი შემოფარგლა მხოლოდ საოჯახო საქმეებით, ნაკლებად შეუძლია ქმრისა და შვილების ოჯახის გარეშე სახრუნავის გაგება და გაზიარება. ის, როგორც თავისი კლანის ეგწრო კატეგორიებით მოაზროვნე, აღმზრდელადაც ნაკლებ ავტორიტეტული იქნება. ეს მცირე მნიშვნელობის ფაქტი არ არის ახლანდელ პირობებში, როცა ბავშვებს მუდმივად თვალწინ აქვთ მაგალითები ერუდირებული ფართო განათლების მქონე ქალებისა, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს საზოგადოებრივ საქმეებსაც და ოჯახურ მოვალეობებსაც. ბუნებრივია, რომ ასეთი შედარება სახლში ჩამჯდარი დედის სასარგებლოდ არაფერს ეტყვის შვილებს.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას ასეთ ქალებზე, როგორიც იყვნენ ვ. ლენინის დედა, მარია ალექსანდრეს ასული და კ. მარქსის ცოლი, ჟენნი მარქსი? მათ ხომ არასდროს არ უმუშავიათ. მაგრამ თავისი შვილებისა და ქმრისთვის იყვნენ იდეალი. ურყევი ავტორიტეტი. მათ თავისი დროისათვის დიდი განათლება და მრავალმხრივი ტალანტიც კი ჰქონდათ. მაგრამ მოელი თავისი ნიჭიერება ოჯახს შეესწირეს. ასეთი „მსხვერპლის" გაღებისათვის მათ მრავალთ საყვედური არავის უთქვამს. პირიქით, აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ და მათ ქცევას სამაგალითოდ მიიჩნევდნენ.

ამ გამოჩენილი ქალების მიჩნევა მხოლოდ „ოჯახის დასახლისად" ნიშნავს დავამცროთ მათი როლი იმ ადამიანების საქმიანობაში, რომლებმაც მოიპოვეს მთელი მსოფლიოს კომუნისტების სიყვარული და პატივისცემა. ისინი იყვნენ თანამებრძოლები, თანამეშმწეები, ერთი — გენიალური შვილისა და რევოლუციონერი შვილებისა, მეორე — გენიალური ქმრისა. ეს იყო მათი სამუშაო, რომელიც ჰარმონიულად უთავსდებოდა შეგნებულ და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას დედობრივი და ცოლქმრული მოვალეობებისადმი. მათ არას

დროს არ მიუჩნევიათ საყოფაცხოვრებო საზრუნავი უმხიშვნელოდ დამთრგუნავად, გონების გამომფიტავად.

ბევრ თანამედროვე ქალს კი ჩამოუყალიბდა ღირებულებათა სისტემა, რომელშიც სამწუხაროდ, საოჯახო შრომას ყველაზე დაბალი შეფასება აქვს. განა შეიძლება ამ შემთხვევაში მოველოდეთ საჭირო მონდომებას, დახელოვნებას ოჯახურ მოვალეობათა შესრულებაში, მოველოდეთ იმ ღრმა კმაყოფილებას, რომელსაც განიცდიდა ბევრი დედა და ცოლი, როცა ისინი საოჯახო შრომაში ხედავდნენ ოჯახის წევრებისადმი თავისი სიყვარულის საქმით გამოხატვის შესაძლებლობას? რასაკვირველია, არა.

შ ე ფ ა ს ე ბ ი ს ს კ ა ლ ა. ეს ხომ არ არის მიზეზი, ბევრი, სხვა მხრივ ბედნიერი ხვედრის მქონე ქალის შინაგანი დაუკმაყოფილებლობისა.

ვინ არის ქალი თავის სახლში, რა არის მისთვის და მის ირგვლივ-მყოფთათვის მისი ყოველდღიური გარჯა-ფუსფუსი, საზრუნავი, განცდები. ეს ყოველ ჩვენგანს ასე თუ ისე გააზრებული აქვს. ბავშვობაში ვფიქრობთ დედაზე და სხვა ახლობელ უფროს ქალებზე, რომ ისინი ძალიან ცოტა დროს გვითმობენ ოჯახსა და ჩვენ, რომ ისინი სულ სადღაც გარბიან, ჩქარობენ. არა! ისინი არ ჩერდებიან დიდხანს მათთან, ვისთვისაც ისინი ყველაზე მეტად საჭირო არიან, ე. ი. თავის შვილებთან. შემდეგ, როცა საკუთარ ოჯახს შევქმნით, ყველაფერს სხვა თვალით ვხედავთ და გვენანება ის დრო, ძალა, შესაძლებლობები, რომელთაც სახლი გვართმევს. გვწყვეტს რა საყვარელი საქმისაგან, საინტერესო ადამიანებისა და შეხვედრებისაგან. ხოლო, როცა ბებიები ვხდებით და საკუთარი გამოცდილებისა და მოწიფულობის სიმაღლიდან ვუცქერით მომდევნო თაობის ახალგაზრდა ქალებს, კვლავ ვწუხვართ, იმის გამო, რომ ჩვენი ქალიშვილები და რძლები უზრუნველად და ეგოისტურად ხარჯავენ დროსა და საკუთარ ძალებს. მარტო სამუშაოს რომ მიჰქონდეს დრო, კარგი იქნებოდა, მაგრამ ამას ემატება კიდევ ატელიე, საპარიკმახერო, ტელევიზორი, სადამოები ტურისტული მოგზაურობანი! სჯობდა ბავშვებთან გაჩერებულიყვნენ. მიეხედათ მათთვის, ვისაც ახლა ყველაზე მეტად სჭირდება დედა, მათთვის, ვინც ყველაზე მეტადაა საჭირო დედისათვის. მართლაც, ხომ ვერაფერი—ვერც ფილმი, ვერც წიგნი ვერ მოგვანიჭებს იმ სიამოვნებას, რომელსაც გვანიჭებს ზრდის პერიოდში მყოფი ბავშვი. თუმცა, თვითონ ჩვენც. უკვე ბებიებს. არ შეგვიძლია შემოვიფარგლოთ სახლის კედლებით: მისი საზრუნავი და სიხარული არა გვყოფნის იმისათვის, რომ სრულფასოვნად ცხოვრების განცდა გვქონდეს.

ხედავთ, როგორ იცვლება შეხედულებები ერთი და იგივე საგანზე ასაკის მიხედვით. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ოჯახისადმი, სახლისად-

მი ადამიანის დამოკიდებულების ციკლურობაზე. ძველად ეს ციკლურობა ნაკლებად ვლინდებოდა ქალის ქცევაში, რამდენადაც მას დაქვემდებარებული სოციალური მდგომარეობა ეკავა და ოჯახური მეურნეობაც არ აძლევდა გასაქანს. ახლა მასაც მიეცა საქმიან სფეროში თავისი ნიჭისა და სურვილების რეალიზაციის შესაძლებლობა. ამიტომაა, რომ გარკვეულ პერიოდებში ქალს საოჯახო საქმიანობა უფრო მეტად ემძიმება ვიდრე საზოგადოებრივი, სხვა პერიოდებში კი პირიქით: სახლი უფრო იზიდავს, სახლში ყოფნის მისწრაფება უჩნდება.

ოჯახურ ღირებულებათა შეფასება იცვლება ქალის კულტურის, განათლების დონის მიხედვითაც. რაც უფრო დიდი განათლება აქვს ქალს, რაც უფრო შორსაა ის წარმოებაში ფიზიკური შრომისაგან, მით უფრო ნაკლებ სიამოვნებას განიცდის ოჯახური საქმიანობისაგან, მით უფრო მეტ პროტესტს აცხადებს ოჯახისგან „დამონების" წინააღმდეგ. ქალის დატვირთულობის პრობლემებზე, ცოლსა და ქმარს შორის მოვალეობათა განაწილების შესახებ საგაზეთო დისკუსიებში გარკვეეით ჭარბობს მეცნიერმუშაკების, მსახიობების, ჟურნალისტების, მასწავლებლების, ექიმების, იურისტების ხმები. ფაბრიკა-ქარხნების მუშები, მშენებლები მხოლოდ იშვიათად თუ ებმებიან კამათში. ჩუმად არიან სოფლის მცხოვრებლებიც, მწველავები, მემინდვრეები, რომლებიც თითქოს პირველ რიგში უნდა აცხადებდნენ პროტესტს ფიზიკური გადატვირთვის წინააღმდეგ.

ამ პარადოქსის დაკვირვებით შესწავლამ, როცა უფრო მეტს ხმაურობენ ისინი, ვისთვისაც ფიზიკური შრომის შეხამება გონებრივთან მხოლოდ სარგებლობის მომტანია, გვიჩვენა, რომ მისი მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, განათლების სოციალურ მნიშვნელობაშია, ინტელექტუალური შრომის შეფასებაშია. შედარებით ახლახან უმაღლესი განათლება და გიმნაზიაც (ახლანდელი საზომით საშუალო განათლება) მდიდარი კლასების პრივილეგია იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახს, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა განათლებაზე, საკმარისი სახსრები ჰქონდა იმისათვის, რომ საოჯახო მეურნეობა მთლიანად დაქირავებულ მოსამსახურეთათვის დაეკისრებინა. როგორი ღარიბი და ხელმოცარულიც არ უნდა ყოფილიყვნენ ადვოკატები, ჩინოვნიკები, ექიმები, მასწავლებლები, მსახიობები თვითონ არასდროს არ რეცხავდნენ იატაკს, არ ამზადებდნენ საჭმელს, არ რეცხავდნენ თეთრეულს. ამისათვის არსებობდნენ ღარიბი ქალები და კაცები. რომლებიც ოანახმა იყვნენ, გაეკეთებინათ ყოველგვარი შავი საქმე. ოღონდ ჰქონოდათ დასაძინებელი კუთხე, ლუკმა პური და კაპიკები გასამრჯელოდ.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც საკმაოდ დიდხანს, ომის შემდგომაც კი, ჯერ კიდევ არსებობდა განსხვავება უმაღლესი განათლების ადამიანებსა და იმათ შორის, ვისაც მინიმალური განათლება

ჰქონდა და ხალისით ემსახურებოდა ინტელიგენტური შრომის წარმომადგენლებს. შინამოსამსახურე ქალი, ძიძა გავრცელებული მოვლენა იყო. ოჯახის დამხმარეთა ეს კატეგორია თანდათანობით გაქრა, უფრო ზუსტად—ეს მუშაკები გადავიდნენ შრომის სახელმწიფოებრივ სფეროებში. კერძო პირის მოსამსახურედ ყოფნა არაპრესტიჟული გახდა.

ახლა განათლების უფლება ყველას აქვს. ეს არის უმაღლესი სოციალური მონაპოვარი ისევე, როგორც საზოგადოებრივ წარმოებაში ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის განსხვავების თანდათანობითი წაშლა. მაგრამ ცნობიერების სტერეოტიპი მეტად ნელა იცვლება. ამიტომ შემორჩა ინტელექტუალური სფეროს ბევრ მუშაკს იმის პრეტენზია, რომ მთელ შავ სამუშაოს აკეთებდეს არა თვითონ, არამედ ვილაც სხვა. შინამოსამსახურე ან შინარობოტი ე. ი. ავტომატი. ამისკენ განსაკუთრებით მიისწრაფვიან შემოქმედებითი საქმიანობისა და თანამდებობის ქალები, რომლებიც სამსახურში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობენ, წარმატებით მართავენ დიდი კოლექტივის საქმეებს, საკუთარ სახლში კი შინამოსამსახურესავით შრომობენ.

კიდევ ერთი მიზეზი გონებრივი შრომით დაკავებული, ოჯახის მქონე ქალების შინაგანი დაუკმაყოფილებლობის მდგომარეობს თვით ამგვარი შრომის სპეციფიკაში. ინტელექტუალური შრომის სფეროში გარკვეული პროფესიული დონის მისაღწევად, ხელმძღვანელ თანამდებობაზე სამუშაოდ აუცილებელია საქმეზე მთელი, გონებრივი ძალების კონცენტრაცია. მაგრამ, როგორ მოახერხოს ქალმა ეს, თუ იძულებულია იფიქროს უამრავ საოჯახო საქმეზე. ბავშვის აღზრდაზე, ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე? თავი ერთი აქვს. საზრუნავი კი ათასი. თუ გონება დაკავებულია პროფესიული პრობლემებით, მაშინ ბუნებრივია, ოჯახის ინტერესებისთვის დახშულია. ხოლო თუ ფიქრებით მთლიანად სახლისკენაა მიმართული, მაშინ უყურადღებოდ დარჩება უმნიშვნელოვანესი სამსახურებრივი პრობლემები. ამიტომაა, რომ ქალებს, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, უფრო უადვილდებათ სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის შეთავსება საოჯახო საქმიანობასთან. თანამედროვე საოჯახო შრომა ხომ მძიმეა, არა იმდენად ფიზიკური დატვირთვით, რამდენადაც ნერვული დაძაბულობით. **საზრუნავი** — აი რა გვამძიმებს უფრო მეტად, ვიდრე საოჯახო შრომა.

ადამიანის ბუნების ბევრ მკვლევარს მამაკაცის ინტელექტუალური უპირატესობის დამადასტურებლად მოაქვს ამ სქესის წარმომადგენელთაგან გენიოსების ვრცელი სია და საკმაოდ მოკრძალებული რაოდენობა გონებრივად ტიტანი ქალებისა. ალბათ ამგვარი დისპროპორციის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დედობა — შემოქმედების

უმაღლესი აქტი და მომდევნო ზრუნვა ბავშვებზე. ოჯახზე ქალს მეცნიერებისა და ხელოვნების სარბიელზე თავისი ინტელექტის მაქსიმალური კონცენტრირების საშუალებას არ აძლევდა. ახლა ქალი იღლება არა იმდენად ფიზიკური გადატვირთვისაგან, რამდენადაც საშუშაოს არათანაბარი განაწილებისაგან.

ცოლი-დედა აიტანდა გაცილებით მეტ დატვირთვას, ოჯახის ყველა წევრი, რომ ცდილობდეს, აქტიური მონაწილეობის მიღებას საშინაო საქმიანობაში, ყველას გული რომ შესტკიოდეს ოჯახზე.

საოჯახო საქმიანობაზე მსჯელობისას რატომ არის მთელი ყურადღება კონცენტრირებული ქალის თვითგრძნობაზე? ნუთუ თანამედროვე მამაკაცს საკუთარ სახლში სადარდებელი და საზრუნავი არაფერი აქვს? როგორ წყვეტს ის ოჯახში წამოჭრილ პრობლემებს.

მამაკაცი სახლში... ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მას საგრძნობლად შეუმსუბუქდა ოჯახური შრომის ტვირთი. მაგრამ, ამით, გაუმჯობესდა განა მისი მდგომარეობა? რა თქმა უნდა არა. ნაკლებია შრომა—ნაკლებია ავტორიტეტიც. შორსმჭვრეტელი ქმრები ახლა თვითონ ეძებენ საშინაო საქმეს. ცდილობენ, რაღაც გააკეთონ ოჯახში. არაშორსმჭვრეტელები ეძებენ თავისი უსაქმურობის გამართლებას. პირველ რიგში ცდილობენ, ამოეფარონ ტრადიციას: საოჯახო საქმე ყოველთვის ქალის წილხვედრი იყო და კაცი, რომელიც მასში აქტიურად ჩაერთვება, ცოლის ნება-სურვილის „მონა-მორჩილია"-ო, ვერ ამჩნევენ, რომ ასეთი მსჯელობა მათ ცრურწმენების „მონა-მორჩილებად" აქცევს. განა არსებობს სამუშაო, რომელსაც შეუძლია მამაკაცური ღირსების შელახვა? მიმოვიხედოთ ირგვლივ: ყველაზე სახელგანთქმული მკერავები, კულინარები და მზარეულები მამაკაცები არიან: ძალიან დიდხანს სამრეცხაოებშიც ისინი მუშაობდნენ. იტალიისა და მინების მწმენდავნიც ისინი იყვნენ... (კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ ჩამოთვლა). როგორ აფასებს ხალხი მათ საქმიანობას. განა საუკეთესო სპეციალისტები მათ შორის ჩვენს აღიარებას და პატივისცემას არ იმსახურებენ? ქმრებმა კიდეც რომ ვერ მიაღწიონ პროფესიულ დოსტატებას საოჯახო საქმიანობაში, მაგრამ როგორმე მაინც შეეძლოთ ჩამოთვლილ სამუშაოთაგან ნებისმიერის გაკეთება. ამით უკვე ამაღლდებოდნენ მოყვარული ცოლის თვალში. არა მხოლოდ ოჯახში, არამედ ნებისმიერ მამაკაცურ გარემოშიც, მაგალითად, არმიაში. მარჯვე კაცი, რომელსაც არც ჩამჩა გაუვარდება ხელიდან და არც ნემსი. საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნებაა. იგივე ითქმის გეოლოგიურ პარტიაზე, შორეულ ნაოსნობასა და მოგზაურობაზე, ტურისტულ ლაშქრობებზე. ტურისტული ლაშქრობები თქვენს წრეშიც ავლენა ლიდერებს, ბიჭებს, რომლებსაც ყველაფერი ემარჯვებათ: ცეცხლსაც გააჩაღებენ წვიმიან ამინდში, გემრიელ წვნიანსაც დაამზადებენ სა-

ჭირო მასლის ნაკლებობის მიუხედავად, დახეულ შარვალსაც დააკერებენ ისე, რომ კვალსაც ვერ შენიშნავთ.

თანამედროვე მამაკაცებს თუ სურთ ოჯახში უსაქმოდ არ იყვნენ, შეუძლიათ მიმართონ სოჯახო ტექნიკის მომსახურებას, საყოფაცხოვრებო მოწყობილობათა ყამოგონებას, სარემონტო სამუშაოს. ისეთი სოლიდური ჟურნალი როგორიც „ნაუკა ი ჟიზნ"-ია, თითქმის ყოველ ნომერში აქვეყნებს სხვადასხვაგვარ ნაკეთობათა აღწერას, რომელთა დამზადებაზე დროისა და ენერგიის დახარჯვას საძრახისად არ მიიჩნევენ საქმიანი და განათლებული მამაკაცები. გარდა ამისა, ახლა ხშირია ავეჯის საშინაო კონსტრუირებით და სადურგლო ხელობით გატაცება. ზოგჯერ ოჯახის უფროსის მარჯვე ხელით გაკეთებული „კედელი" გაგაკვირვებთ და გათქმევინებთ, რომ ნიჭი არ იკარგება, თუნდაც ამ კაცის მთავარ საქმიანობას არაფერი საერთო არა ჰქონდეს მის ჰობთან. ასეთი შრომა მამაკაცს სიხარულს ანიჭებს, ცოლს სიამაყით ავსებს, შვილებისთვის კარგი მაგალითია და ოჯახისთვისაც ეკონომიკურად დიდი შეღავათია.

სახლის გარეთაც ბევრი საქმეა, რომლის გაკეთება მამაკაცს უკეთესად შეუძლია. პროდუქტების დამზადება და მძიმე ჩანთების გადატანა დიდი ხანია უკვე უნდა ითვლებოდეს ნამდვილ მამაკაცურ საქმედ. სამრეცხაოში, სხვადასხვა სახის სახელოსნოსა და ატელიეში სიარული ქალისათვის მეტად მძიმეა, არა მარტო ფიზიკური დატვირთვისა და დროის დეფიციტის გამო, არამედ საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებთან ურთიერთობის თავისებურების გამოც: უფრო სწორედ, იქ მომუშავე ქალებთან ურთიერთობის გამო. ცნობილია, რომ სხვადასხვა სქესის ადამიანთა შორის ურთიერთობა ნაკლებად კონფლიქტურია. იქ, სადაც დახლის ან ატელიეს მიმღებში, მაგიდის ერთ მხარეს დგას ქალი, მეორე მხარეს უმჯობესია იმყოფებოდეს მამაკაცი.

საქმე ყოველთვის ალამაზებს ადამიანს, უსაქმურობა კი თუნდაც სასიამოვნო, კომფორტული, რაკნის და ანადგურებს. უაზროდ დროის „კვლას" (დასვენების ნიღბით) უეკველად თან სდევს ლოთობა, ზნედაცემულობა — ყველაზე საშინელი მანკიერებანი. რომლებიც. ამავე დროს, ოჯახსაც ანგრევენ. როგორც დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი წერს. აუცილებელია, რომ „შეუძლებელი გახდეს ის ლაქიასებურად დროის გაყვანა, როცა ხელთ არავითარი საქმე არა აქვთ და თავში არავითარი აზრი არ უტრიალებთ. იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს ფუქდება თავი, გული და ზნეობა."

რა ზუსტადაა აქ მიგნებული სიტყვა: „ლაქიასებურად" დროის გაყვანა და არა მეშჩანურად, როგორც ხშირად ვამბობთ ჩვენ. მეშჩანები მეტად აქტიურად მოქმედები არიან, თითქმის მოუსვენრები.

სწორედ ლაქიებს არა აქვთ არავითარი საზრუნავი, არავისზე გული არ შესტკივათ იქ, სადაც მუშაობენ, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას სხვების გამო. დაე, თუნდაც ოჯახის უფროსს — ბატონს სახლში მძიმე მდგომარეობა ჰქონდეს, ლაქიას არა ენაღვლება რა, მისთვის მთავარია თვითონ იყოს სითბოსა და კომფორტში. ყველაზე მეტად სევდის მომგვრელი ის ახალგაზრდა კაცები არიან, რომლებიც დასაწყისიდანვე ამზადებენ თავის თავს ოჯახში ლაქიასებური ცხოვრებისათვის და არა ოჯახის უფროსად ყოფნისათვის, არა იმისათვის, რომ მართონ და უპატრონონ საკუთარ თავსაც და ოჯახის წევრებსაც.

იქნებ მაინც ჯობდა დაგვეჩქარებინა ოჯახური შრომის ავტომატიზაცია და მექანიზაცია, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ გონიერ რობოტებს, როგორც ეს არის ი. ეფრემოვის რომანში „ანდრომედას ნისლეული“: დააჭერ ხელს ღილაკს და გაჩნდება მრავალფეროვანი საჭმლით სავსე მაგიდა, შემდეგ კი ისევ გაქრება დახვავებულ დასარეცხ ჭურჭელთან ერთად? და, მასთან ერთად, გაქრება ჩხუბისა და განხეთქილების ერთ-ერთი საბაბიც.

მოდით, გავაკეთეთ ამ სფეროში უკვე დასახულ ტენდენციას და განვსაზღვროთ რა შენაძენებსა და დანაკარგებს გვიქადის ოჯახური მეურნეობის სრული რობოტიზაცია.

ახლანდელი ოჯახური მეურნეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჩვილი მის არქაულობაზე, იმაზე, რომ საოჯახო შრომა არა მცირდება, სწორი არ არის. თუ გლეხის ქალს ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის შუა წლებში. რომელიმე უბრალო საჭმლის, მაგალითად, რძის ატრიის მომზადებისათვის სჭირდებოდა რამდენიმე საათის დაძაბული ფიზიკური შრომა, ახლა ეს პროცედურა ქალაქელ ქალს მხოლოდ წუთებს ართმევს.

ხედავთ: ჩვენი ბებია უნდა დახმარებოდა ქმარს თესვასა და მოსავლის აღებაში, უნდა დაეფქვა მარცელეული (ხშირად ხელით), გაეცრა ფქვილი, შემდეგ მოეზილა, გაებრტყელებინა და გაემზადებინა ატრია. რძეც არ მოჰქონდა მას მეზობლად მდებარე მაღაზიიდან: ბალახს თიბავდა, თივას უქცევდა, ძროხას აჭმევდა, ასმევდა, წველიდა, კარაქს დღეებავდა. თვითონ საჭმლის კეთების პროცესიც დიდ დროს მოითხოვდა: წყალი მოიტანე (წყაროდან ან ჭიდან), შეშა მოიტანე, ღუმელი დაანთე... მარტო ჩამოთვლაც კი დამღლელია. ამიტომ დგებოდა დიასახლისი უთენია და წვებოდა შებინდებისას. ისვენებდა სართავით ხელში, მხიარულობდა ქსოვისას, მღეროდა აკვნის რწევისას.

ახლა ქალაქელი ქალი თითქმის მთელი დღე სახლში არ არის. საოჯახო საქმეზე ხარჯავს სულ სამ-ოთხ საათს და ამ დროში იმდენი საქმის გაკეთებას ასწრებს, რამდენსაც ვერ ასწრებდა ვერც ერთი მისი წინამორბედი-დიასახლისი. რატომ? იმიტომ, რომ ახლა თვითონ სა-

შინაო საქმიანობის ხასიათს, დამხმარე საოჯახო ხელსაწყოებს არაფერი საერთო არა აქვს ძველ მდგომარეობასთან.

ჩვენ ვსარგებლობთ დიდი ეფექტის მქონე სათბობ-გამაცხელებელი ხელსაწყოებით: ქურებით, უთოებით, სარეცხი მანქანებით, წვენსაწურებით, მაცივრებით და სხვა საგნებით, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს ჩვენი დროისა და ენერგიის დანახარჯი. გამოთვლილია, რომ საზოგადოებრივი კვების ერთ მუშაკს სრული სამუშაო დღის განმავლობაში (8 საათი) შეუძლია გამოკვებოს მხოლოდ რვა ადამიანი. აქ გათვალისწინებულია არა მარტო თვითონ მზარეულის შრომითი დანახარჯი, არამედ მრავალი სხვა დამხმარე მუშაკისაც (ქურქლის მრეცხავის, გამანაწილებლის, მეკუჭნავის, სასადილო-რესტორნების ხელმძღვანელი მუშაკების, ბუღალტერის, კონტროლიორის და სხვათა). ეთი დიასახლისი კი საათნახევარში დაამზადებს საქმელს სამი-ხუთი კაცისაგან შემდგარი ოჯახისათვის.

თავისი მწარმოებლურობით, ენერგო-ელექტრო შეიარაღებულობით და მექანიზაციით თანამედროვე საოჯახო შრომა იქცევა ინდუსტრიული შრომის თავისებურ სახესხვაობად.

დამფიქრებელია ის გარემოებაც, რომ მძიმე მრავალსაფეხურიან ფიზიკურ დატვირთვასთან ერთად ადამიანი „თავისუფლდება" აუცილებელი ფიზიკური დატვირთვისგანაც. მკვლევართა მონაცემებით, ჩვენი ფიზიკური დატვირთვა დაყვანილია 1—2%-ზე იმ შესაძლებლობებთან შედარებით, რომლებიც ჩვენ ამისათვის მოგვცა ბუნებამ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინაპრებთან შედარებით ჩვენ თავი დავისუსტეთ 98%-ით.

რა დაგვემართება მაშინ, როცა ყველაფერს ჩვენს მაგივრად გააკეთებენ რობოტები? შეიძლება გავიხსენოთ ამერიკელი მწერალ-ფანტასტის რეი ბრედბერის რომანი „451 გრადუსი ფარენჰეიტის ძიხედვით." მთავარი გმირის ცოლს, ლოგინზე მიჯაჭვულს (არა ავადმყოფობით, არამედ უსაქმურობით) აინტერესებს მხოლოდ სატელევიზიო „ნათესაობა". მას არა ჰყავს საკუთარი ნათესაობა, არც ბავშვებსა და არც ქმარს ყურადღებას არ აქცევს. ქმარსაც არ ესმის კარგად რატომ ბრუნდება ყოველდღე ამ მოძულებულ სახლში, სადაც ოჯახის წევრებს არა აქვთ არც საერთო საქმეები, არც საერთო საზრუნავი, არც საერთო ინტერესები. რაც უფრო ნაკლებია ოჯახში საერთო საქმე, საერთო საზრუნავი, მით უფრო ნაკლებია ცოლისა და ქმრის, მშობლებისა და შვილების დაინტერესება ერთმანეთით. შრომამ არა მარტო შექმნა ადამიანი, არამედ ის ერთადერთი უწყობს მას ხელს, რომ ბოლომდე ადამიანად დარჩეს და არ გადაიქცეს მხოლოდ ავტომატურ სიკეთეთა მომხმარებელ ავტომატად.

მედიკოსი-გერონტოლოგები ანუ დღეგრძელობის შემსწავლელი სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ადამიანის, როგორც ქალის ისე მამაკაცის, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელობა დამოკიდებულია ფიზიკურ დატვირთვაზე. რაც უფრო მეტია ფიზიკური დატვირთვა, მით უფრო მეტხანს ცოცხლობს ადამიანი. ამ მხრივ, დაოჯახებულებს ყველა უპირატესობა აქვთ მარტოხელებთან შედარებით.

რა თქმა უნდა, მეტისმეტი დატვირთვაც საზიანოა ადამიანისათვის. საჭიროა თითოეულმა ადამიანმა სწორად განსაზღვროს თავისი ძალისხმევის ოპტიმალური დონე, რომელიც ხელს შეუწყობს პოტენციურ შესაძლებლობათა განვითარებას და, ამასთანავე, არ გამოფიტავს, არ გაჰოაცლის მას მთელ ძალ-ღონეს. შრომაში, ისევე, როგორც ცხოვრების ყველა სხვა სფეროში ჰარმონია უნდა შეიქმნას „შემიძლიას", „მინდას" და „უნდა"-ას შორის ზომიერი თანაფარდობის დამყარებით.

თუ გვაქვს ზომიერების გრძნობა, ოჯახურ საქმიანობაზე დახარჯული ძალის ხმევის არც ერთი წუთი ჩვენი სიცოცხლისათვის ფუჭად არ დაიკარგება. პირიქით, უფრო დიდი შენაძენის სახით მიემატება მას. ამიტომ ღირს ზრუნვა იმაზე, რომ ჩვენი დრო, ჩვენი ძალები, ჩვენი სიხარული გავზარდოთ ფიზიკური დატვირთვის საფუძველზე, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის შენარჩუნებით. ასეთი საოჯახო ფიზიკური დატვირთვა არის საქმლის მოამზადება, ოჯახის წევრთა ორგანიზმის მდგომარეობის, ასაკის და გემოვნების მიხედვითაც კი, სახლის დასუფთავებაც მტვრისა და ჭუჭყისაგან, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად გროვდება დიდი ქალაქების ატმოსფეროში, რაც იწვევს ალერგიას, ასტმას და სხვა დაავადებებს და ა. შ.

დიდად დასაფასებელია თანამედროვე მედიცინის ბრძოლა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მაგრამ კუთვნილი უნდა მიუზღათ ქალის ხელებსაც, რომლებმაც არ იციან დაღლა, რეცხავენ, წმენდავენ, აუთოებენ. ისინი დაეხმარენ ექიმებს ტიფის, დეზინტერიის, ქოლერის და კაცობრიობის სხვა შემუსვრელთა ლიკვიდაციაში.

არ არის აუცილებელი კუნთების გავარჯიშება რეცხვითა და დალაგებით. არც ფეხების გაკაჟება ხდება მხოლოდ მაღაზიებში სირბილითა და რიგში დგომით. გაცილებით სასიამოვნოა ძუნძულით სირბილი, სპორტული ვარჯიში, ცეკვის წრეში სიარული.

ამჯერადაც გვაწვდის ცხოვრება ოპონენტის აზრის საწინააღმდეგო ფაქტებს. მშობლების ზურგს ამოფარებული, ყოველგვარ საოჯახო შრომასა და საზრუნავს მოკლებული მარტოხელა და დაქორწინებული ახალგაზრდობის ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ეძებს დამატებით დატვირთვას კუნთებისთვის, უმეტესობა კი კომფორტისა და უმოძრაობის კულტივირებას არჩევს.

ასეთების მისამართითაცაა ნათქვამი კ. დ. უშინსკის სიტყვები: „ისეთი ბატონებიც არიან, რომელთაც უკვე აღარავითარი საქმე არა აქვთ ცხოვრებაში, იგონებენ თავისთვის რაღაც დატვირთვას სულიერი და ფიზიკური მოციონისათვის: დაყიალობენ, თამაშობენ ბილიარდს, ან უბრალოდ დარბიან ქუჩებში, რომ გაიადვილონ უხვი საუზმის მონელება და აღიდგინონ მადა სადილისათვის. მაგრამ, ასეთ ფიზიკურ დატვირთვას იგივე დანიშნულება აქვს, რაც რომაელი ღორმუცელასათვის ჰქონდა პირსასაქმებელ საშუალებას: ამით ის იბრუნებდა საჭმლის კიდევ და კიდევ მიღებით სიამოვნების განცდის შესაძლებლობას, თუმცა ამას მოჰყვებოდა ადამიანის ორგანიზმის როგორც სხეულებრივი, ისე სულიერი მოშლა. შრომა არ არის არც თამაში და არც გართობა: ის ყოველთვის სერიოზული და მძიმეა. მხოლოდ ცხოვრებაში ამა თუ იმ მიზნის მიღწევის აუცილებლობის სრულ შეგნებას შეუძლია აიძულოს ადამიანი აიღოს თავის თავზე ის სიმძიმე, რომელიც აუცილებლად ახლავს ყოველ ჭეშმარიტ შრომას“.

სპორტი ვერ გაუტოლდება და ვერ შეცვლის საოჯახო საქმიანობას, რადგან მათი ზემოქმედება ირგვლივმყოფებზე, პირველ რიგში, ბავშვებზე სრულიად განსხვავებულია. ფიზკულტურა, როგორც ცნობილია, მოკლებულია ალტრუისტულ საწყისებს: ჩვენ კუნთებს ვიმაგრებთ საკუთარი ჯანმრთელობისა და სიამოვნებისათვის, ხოლო საოჯახო მუშაობა აკავებს რა ჩვენს ჯანმრთელობას, ამავე დროს, სასარგებლო და საკეთილდღეოა ოჯახის სხვა წევრებისათვის. დამეთანხმებით, რომ საერთო კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახურს ვერ ვასწავლით მხოლოდ სიტყვებით. როცა დედა და მამა თავის თავისუფალ დროს, ძალასა და ინტერესებს სწირავენ ერთმანეთისა და ბავშვების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ეს არის შრომისმოყვარეობის, მოყვასისათვის თავდადების ყველაზე დამაჯერებელი გაკვეთილი.

ჩვენ გავეცანით ძნელად აღსაზრდელ მოზარდთა და მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგებს. აღმოჩნდა, რომ ამ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვებს განკლილ ცხოვრებასა და პიროვნულ თავისებურებებში ყოველგვარი განსხვავებულობის მიუხედავად, ჰქონდათ ერთი საერთო მკაფიოდ გამოხატული თვისება: ზიზღი ყოველგვარი, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომისადმი.

„სიზარმაცე დედაა ყოველგვარი მანკიერებისა“, ეს დიდი ხანია ცნობილია თქვენთვის. „სიზარმაცის შვილთა“ ბიოგრაფია კი გვიჩვენებს, რომ ამ მანკიერებით არ იბადებიან, ის გადაედებათ საკუთარ ოჯახში, როცა მათ უფროსებისგან, ყოველგვარ ძალისხმევას თან ახლავს წყევლა-ოხვრა.

საბედნიეროდ, ოჯახების უმეტესობა შეგნებულად და პასუხისმგებლობით ეკიდება საყოფაცხოვრებო საზრუნავს. ინტელექტუალური შრომის ადამიანების შეხედულებებშიც მოხდა გადახრა ძველი პოზიციიდან. საკუთარი გამოცდილებითა და მეცნიერული გამოკვლევებით ისინი დარწმუნდნენ, რომ ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ მოთხოვნილებებს, როგორიცაა საკვების მოთხოვნილება, წყლის მოთხოვნილება, გვარის გაგრძელების მოთხოვნილება, მიეკუთვნება, აგრეთვე, ინფორმაციული და კუნთური შიმშილიც. სწორედ, ეს უკანასკნელი — კუნთური შიმშილი — აიძულებს თანამედროვე, განებივრებულ ქალაქელებს ეძებონ დამატებითი ფიზიკური დატვირთვა. შენიშნულია, რომ ბევრი დიასახლისი უარს ამბობს სპეცსამსახურის გამოყენებაზე. თვითონ კერავს, ქსოვს, რეცხავს თეთრეულს. მამაკაცებიც სულ უფრო და უფრო ხშირად იკაპიწებენ მკლავებს და მუშაობენ ბარით, ხერხით, ნაჯახით, ჩაქუჩით, სატეხით; აშენებენ საზაფხულო სახლებს, ამუშავებენ მიწას, კვლავ ხელი მიპყვეს შინაური ფრინველის მოვლა-მოშენებას. ოჯახის სიამაყე სიმდიდრით თანდათანობით ადგილს უთმობს უფრო ღირსეულ სიამაყეს იმით, თუ რისი გაკეთება შეუძლია ოჯახს თვითონ.

ალბათ საზოგადოებრივი სამსახური ვერასდროს ვერ დაეწევა თავისი ხარისხით საოჯახო საქმიანობას, როგორც მანქანა ვერ გაუტოლდება ადამიანს ინდივიდუალური. გემოვნებისა და მოთხოვნილებების შესატყვისი სამსახურის გაწევასა და საგნების შექმნაში. შემთხვევითი არ არის, რომ ახლა მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო და უფრო მეტად ფასობს ხელით ნაკეთობა, ხოლო ჩვენს ქალაქურ ბაზარში — პირადი საკუთრების ბაღჩიდან მოტანილი ბოსტნეული და პირადი საკუთრების ძროხის რძე და არაკანი.

ისახება კიდევ ერთი შემობრუნება საოჯახო საქმიანობის სფეროში: რა ზემოქმედებას ახდენს საყოფაცხოვრებო მომსახურების ავტომატიზაცია ბავშვებზე, პიროვნებათა შორის დამოკიდებულებებზე, უფროსების გრძნობებსა და კავშირებზე? საოჯახო წარმოების „კუსტარულობა", იმპროვიზაციულობა უზრუნველჰყოფდა „პროდუქციის". განუმეორებლობას, მრავალფეროვნებას. ჩვენ ყველანი ასეთი სხვადასხვანაირები ვართ არა მხოლოდ ჩვენი გენეტიკური სტრუქტურის გამო, არამედ გარემოს, ცხოვრების სტილისა და საშუალებათა არაერთგვაროვნების გამოც.

ყოფის სტანდარტიზაცია გულისხმობს ცნობიერების, გემოვნების, ჩვეულებების, დამოკიდებულებათა სტანდარტიზაციასაც. ჩვენ ახლა დავინტერესდით მედიკოსების გამონათქვამებით და დაგვიანებით ვიწყებთ ჩვენთვის უმარტივეს ჭეშმარიტებათა ხელახლა აღმოჩენას: ერთ-ერთი მათგანია ის, რომ საკვებზე, როგორც მატერიალურზე და-

მოკიდებულია არა მარტო ფიზიოლოგიური მდგომარეობა, არამედ გარკვეული აზრით ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაც.

აღ-ზრდა, ამ სიტყვას ორმაგი აზრი აქვს. იმაზე მეტის, იმაზე აღმატებულის შექმნა ბავშვისაგან, რასაც მხოლოდ ბუნებრივი ზრდა-განვითარება იძლევა, მიზანდასახული აღზრდა-გამოყვანა ბავშვისა ფიზიკური და სულიერი საკვების ბაზაზე ერთდროულად. როგორ იმოქმედებს ჩვენს ბავშვებზე მთელი საზოგადოების გადასვლა კვების საშუალო სტანდარტულ რაციონზე?

დემოგრაფებმა შენიშნეს, რომ ერთი მასივიდან მეორეში საცხოვრებლად ადამიანები გადადიან სრულიად უმტკივნეულოდ და არასდროს არ გრძნობენ უკან, საწყისებთან დაბრუნების მისწრაფებას, არ განიცდიან ნოსტალგიას, მიგრანტების ამ უცილობელ (თანამგზავრს. ჩვენი სახლი მაშინ გვიზიდავს, როცა მისი ხატი აგებულია მთელი არსებით განცდილზე, როცა მასში ცოცხლობენ თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ბგერები, ფერები, სურნელება, განსაკუთრებული ფიქსირებული განწყობები, ტრადიციები. იხდივიდუალობა, ორიგინალობა მოეთხოვება არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებს, არამედ ჩვენს სახლსაც, ოჯახსაც, რომ მიმზიდველი იყოს მისი ყოველი წევრისთვის.

ჩვენი ყოფითი საზრუნავი კი შეიძლება გავხადოთ უფრო მსუბუქი და სასიამოვნოც კი ისე, რომ, როგორც იტყვიან, არც კი მოვცილდეთ ქურას, სრულიად მარტივი გზით, ყოველ არასასიამოვნო საქმეში უნდა ვეძიოთ საპირისპირო მხარე. (თანამედროვეობის უდიდესი ჰუმანისტი-ფილოსოფოსი ალბერტ შვეიცერი კაცობრიობის პროგრესის, მისი კულტურის ძირითად პირობად თვლიდა ზნეობრიობას და ოპტიმისტურ მსოფლშეგრძნებას. ოჯახურ დამოკიდებულებათა კულტურაც უნდა აღიზარდოს ოპტიმიზმსა და ეთიკაზე. რითაც გაჟღენთილი უნდა იყოს ყოველი მცირედ მნიშვნელოვანი საქმიანობაც კი).

აი, ასეთი მიდგომის მაგალითი. სოციოლოგებმა გამოთვალეს რამდენ კილომეტრს გადის ქალი დღეში ქურიდან სასადილო მაგიდამდე და პირიქით. მრავალ კილომეტრს! ამის გაგებამ ქალს შეიძლება შეაცოდოს საკუთარი თავი და აღაშფოთოს მათ წინააღმდეგ, ვისი გულისთვისაც ამას აკეთებს. მაგრამ, შეიძლება გაუხარდეს კიდეც იმიტომ, რომ ამ კილომეტრების წყალობით ხანგრძლივდება მისი სიცოცხლე იმათთან შედარებით, ვინც გაურბის ასეთ დატვირთვას.

თქვენ ალბათ იტყვით, რომ ეს არ არის სერიოზული დასაბუთება. მაგრამ გააჩნია ვინ როგორ გაგვიგებს. რაც უფრო სერიოზულად ეკიდებიან ადამიანები ყოფით საკითხებს, მით მეტად შეაქვთ მასში თამაშობანი, ხუმრობანი, გამოგონებანი. თითოეულ საქმეში უნდა ვეძიოთ ჩვენი წილი სიხარული, სიმხნევის წყარო და განზრახ უნდა დავ-

ხუჭოთ თვალი მის ჩრდილოვან მხარეებზე, რომლებიც გინდა თუ არა, მაინც უნდა შეასრულო. ჩვენზეა დამოკიდებული, რომ მძიმე „უნდა"-ს მივცეთ „მინდა"-ს, „შემიძლია"-ს სასიამოვნო ელფერი.

ახლა ბევრი იწერება აუტოტრენინგზე: როცა ადამიანი აფორიაქებულია, გაღიზიანებულია, მას შეუძლია თვითონ "მთააგონოს თავის თავს, რომ მშვიდადაა და კარგ ხასიათზეა. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს ხერხი არასასიამოვნო საოჯახო საქმიანობის დროს.

ცოლ-ქმარს, ალბათ, არ ექნებათ მუდმივი უკმაყოფილება და პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ თუ სამუშაო და მოვალეობები მათ შორის განაწილებული იქნება, პირველ რიგში, ბუნებრივ შესაძლებლობათა და პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ვისაც რა ემარჯვება, ის საქმე უნდა მიუანდოთ, ამასთანავე სრული პატივისცემით უნდა მოვეკცეთ ოჯახის თითოეულ წევრს და საქმის გაკეთებისათვის მის. მიერ არჩეულ გზებსა და საშუალებებს კრიტიკულად არ უნდა შეეხედოთ. ზოგიერთი უფლებისმოყვარე, ბუნებით ლიდერი დასაშვებად მიიჩნევს მუშაობის მხოლოდ საკუთარ გზებსა და მეთოდებს. „გააკეთეთ ისე, როგორც მე ვაკეთებ",—მოითხოვენ ისინი ოჯახის წევრებისაგან. ასეთი მოთხოვნა იწვევს ზედმეტ უსიამოვნებებს გააფთრებულ წინააღმდეგობას იმათი მხრიდან, ვინც ხალისით შეასრულებდა დავალებას თუ მისცემდნენ საშუალებას გაეკეთებინა თავისებურად ისე, როგორ მას ემარჯვება. ბრმად გადაღების მსურველებს იშვიათად შეხვდებით.

ოჯახში ისევე, როგორც ჩვენს საერთო სახელმწიფოებრივ მეურნეობაში, სათანადოდ უნდა დავაფასოთ და წავახალისოთ საოჯახო საქმიანობის თითოეული მონაწილის ინიციატივა იმიტომ, რომ ის ბევრად ჯობს დაუფიქრებელ, მექანიკურ შემსრულებლობას. ის გვიჩვენებს, რომ მინდობილი საქმის მიმართ ადამიანი გულგრილი არ არის. ასეა მაშინაც კი, როცა ინიციატივა პირველ ხანებში ქმნის ყოველგვარ უხერხულობას. როცა მოუქნელ ხელებს ყველაფერი უვარდება, იმსხვრევა ჭურჭელი, იბნევა ბურღული, იღვრება რძე. ეს დახაკარგი ოჯახისთვის იმდენად საზარალო არ არის, რამდენადაც ცუდად გაკეთების შიშის საფუძველზე გამომუშავებული გულგრილობა და ზოგჯერ სიზარმაცეც.

შრომაში ადამიანები ყოველთვის უფრო მეტად ეძებენ და მოელიან დამოუკიდებლობას, გამოგონების, ცდის შესაძლებლობას. რაც უფრო მეტი ასპარეზი ექნება ჩვენს სახლში ამგვარ ძიებებს, მით მეტი კმაყოფილებითა და ინტერესით იშრომებენ ოჯახის წევრები. რაც უფრო მეტი შრომა აქვს გაწეული ადამიანს ამა თუ იმ საქმეზე, მით უფრო შესტკივა გული მასზე.

როგორც ხედავთ, თავი ოჯახური საქმიანობისა და მოვალეობათა განაწილების შესახებ ყველაზე დიდი მოცულობისა გამოვიდა. ოჯახურ მოვალეობებს მიაქეს ცოლისა და ქმრის ძალებისა და დროის უდიდესი ნაწილი. არა მარტო პოეტებთან, არამედ ებრაელ მოკვდავებთანაც „სიყვარულის ნავი" ხშირად იმსხვრევა ცხოვრების ყოველდღიურობასთან შეჯახებისას.

თუმცა, სწორედ საოჯახო საქმეები არის სიყვარულის ქმედითი გამოვლინება და არა რაღაც კატეგორიულად მისი საწინააღმდეგო.

ამიერიდან, ალბათ, მშობლების დავალების შესრულებისას, ან როცა თვითონ მოძებნით თქვენთვის სახლში საქმეს, გეცოდინებათ, რომ ამ მუშაობით თქვენ არა მარტო მადლიერების ვალს იხდით მშობლების წინაშე, არა მარტო უმსუბუქებთ მათ ცხოვრების ტვირთს, არამედ, ამასთანავე, ამზადებთ საკუთარ თავს მოშაყალი შრომისათვის, რაც საშუალებას მოგცემთ გახდეთ ატლანტები—მხრებით შეუდგეთ საკუთარი ოჯახური ბედნიერების ნათელ თაღს. გაივარჯიშეთ ხელის კუნთები, სული და გონება, იყავით. დაუღლელნი და შემოქმედნი. სწავლა ძნელია, მაგრამ ის აადვილებს ბრძოლას მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის საერთოდ და საკუთარ სახლშიც.

ამ თავის შესაფერი საშინაო დავალება თქვენ თვითონ დაუსახეთ საკუთარ თავს. სასურველია ის ყოველდღიურად იზრდებოდეს, თანდათანობით რთულდებოდეს და ამდენად სულ უფრო და უფრო გააზრებული და საინტერესო ხდებოდეს.

დედა და მამა — მთავარი აღმზრდელები

ახალშობილი კატარეგი

მკითხველი ალბათ უკვე მიეჩვია იმას, რომ ჩვენ გვიჩნდება, ერთის შეხედვით, ძალზე გულუბრყვილო კითხვები, რომლებიც განხილვისას შეიძლება მეტად რთულიც აღმოჩნდეს. ასე იყო, როცა დავაყენეთ საკითხები: რა არის ოჯახი, რა არის ცოლქმრული სიყვარული? ახლა უკვე დროა შეევეხოთ თითქოს კიდევ უფრო მარტივ და ისედაც ცხად საკითხებს: რაში სჭირდებათ ბავშვებს დედ-მამა, ხოლო მშობლებს მოუსვენარი შვილები?

აღმოჩნდა, რომ არც ეს საკითხია მაინცდამაინც მარტივი და ერთმნიშვნელოვანი. მრავალი ათასეული წლის ისტორია აქვს დავას: საკითხზე: აუცილებელია თუ არა ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის, რომ მისი აღმზრდელები იყვნენ მისივე მშობლები, თუ შეიძლება აღზრდის საქმე მივანდოთ სპეციალური პროფესიის მუშაკებს და იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი უფრო გონივრულად და შეგნებულად წაიყვანენ ახალშობილს მოწიფულობისაკენ.

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში პლატონი ისევე, როგორც სოკრატე,

ამტკიცებდა, რომ ამ ქვეყნად ყველა ბოროტება, ადამიანების ეგოიზმი, მათი წოდებრივი უთანასწორობა აღმოცენდება, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ოჯახში ბავშვის აღზრდის სხვადასხვაგვარი პირობების გამო. მშობლების უზომო სიყვარული თავის პირმშოსადმი წარმოშობს ინდივიდუალიზმს, პატივმოყვარეობას და სხვა თვისებებს, რომლებიც თიშავენ ადამიანებს, ბადებენ მტრობას მათ შორის. მომდევნო დროის ფილოსოფოსებსა და პედაგოგებსაც არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ ეს პრობლემა, თუმცა სიტუაციას სხვადასხვანაირად აფასებდნენ.

მეცნიერული კომუნიზმის წინამორბედნი, ფრანგი გახმახათლებლები, რომლებსაც განსაკუთრებით აფასებდნენ მარქსი და ენგელსი, თვლიდნენ, რომ ოჯახი უნდა განთავისუფლდეს მძიმე საშინაო მეურნეობისაგან, ასევე მოძრავი და უძრავი საკუთრების მფლობელობისაგან, რომლებიც წარმოშობენ არაჯანსაღ ინსტინქტებს, მოითხოვენ გაძლიერებულ საკონკურენციო ბრძოლას, რაც ანადგურებს ადამიანური გრძნობებისა და დამოკიდებულებათა უშუალობას და უანგარობას. მათი აზრით, ოჯახის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ პირადი მოხმარების საგნები: თეთრეული, ტანსაცმელი, ყველაზე აუცილებელი დგამ-ჭურჭელი. ყველაფერი დანარჩენი უნდა იყოს საზოგადოების კუთვნილება. ბავშვები მხოლოდ ადრეულ ასაკში უნდა ცხოვრობდნენ ოჯახში. შემდეგ კი მათი აღზრდა უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივ საბავშვო დაწესებულებებში, რათა დაძლეულ იქნას აღზრდის სხვადასხვაგვარობა, რათა ყოველ პატარა მოქალაქეს ჰქონდეს განვითარების ერთნაირი პირობები.

ჯერ კიდევ 15 — 20 წლის წინათ ზოგიერთი ავტორიტეტული მეცნიერის შეხედულებით, სახელმწიფოს უნდა აეღო თავის ხელში ბავშვების აღზრდა „აკვნიდან უნივერსიტეტამდე". ბოლო წლებში შეიცვალა სწავლულთა აზრი ამ საკითხზე. რაღაც გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მშობლების სიყვარული, მათი მუდმივი ურთიერთობა ბავშვებთან, პატარებისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და მზის სინათლე. ბავშვის ჰარმონიული განვითარება შეუძლებელია ოჯახური აღზრდის გარეშე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ აღზრდას და გამუდმებით განიცდიდეს მისგან განმტკიცებას. აღზრდის ამ ორი ფორმის დაპირისპირება, სხვა თუ არაფერი, არაგონივრულია.

ახლა პედიატრები გვიმტკიცებენ, რომ სამ წლამდე ასაკის ბავშვს, რამდენიმე თვეც კი რომ „მოაკლდეს სიყვარული", ეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მის გონებრივ, ზნეობრივ და ემოციურ განვითარებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველაზე ადრეულ ბავშვობაში

ეყრება საძირკველი ადამიანის მთელ შემდგომ სულიერ ცხოვრებას, სწორედ ამ საძირკვლის სიმტკიცე, მის შედგენილობაში შემავალი მასალის ხასიათი განსაზღვრავს იმას თუ რა სახის, რა სიდიდისა და სირთულის ნაგებობის დაშენებას შეეძლებთ მასზე.

ოჯახური აღზრდის მიზანი და აზრი მდგომარეობს სწორედ პიროვნების სულიერი, ემოციური საფუძვლების შექმნაში.

მზად არის კი ამ რთული მისიის შესასრულებლად ყველა ახალგაზრდა, რომელიც ქორწინდება და აჩენს შვილებს? რა უწყობს და რა უშლის ხელს მის შესრულებას? როგორ პასუხობს მეცნიერება ამ კითხვებს?

დავიწყოთ ისევ სიყვარულით, ემოციით. ახლა ზოგიერთი მკვლევარი გვიჩვენებს უარი ვთქვათ საბავშვო ბაგაში ბავშვის წაყვანაზე, მათი მოსაზრება გასაგებია: სიყვარული აღიზრდება მხოლოდ სიყვარულით, და განა რომელიმე, თუნდაც ყველაზე განათლებულ, კეთილ აღმზრდელს შეუძლია მშობელივით უხვად დაასაჩუქროს ალერსით, სინაზით, თანაგრძნობით თითოეული იმ ორი ათეული პაწიასაგან, რომლებიც შეადგენენ საბაგო ჯგუფს.

ბაგრამ ჯერჯერობით, როგორც პედაგოგიური, ისე ეკონომიკური ძალისხმევებით, უარს ვერ ვიტყვით საბაგო აღზრდაზე.

ალბათ ყველაზე გონივრული პოზიცია უჭირავთ იმ მკვლევარებს, რომლებიც მშობლებს უტოვებენ თავისუფალი არჩევანის უფლებას, სად და როგორ გაზარდონ თავისი ბავშვები. ეს მკვლევრები მიუთითებენ ერთ შეტად არსებით მომენტზე, კერძოდ იმაზე, რომ ეს უფლება საჭიროებს ეკონომიკურ უზრუნველყოფას.

ახლა ამ მიმართულებით ახალი ნაბიჯები გადაიდგა. მცირედ უზრუნველყოფილ ოჯახებს, რომელთაც თითოეულ წელზე აქვთ თვეში 50 მანეთზე ნაკლები, ეძლევათ დახმარება: ბავშვის დაბადებისას დედას ეძლევა ფასიანი შვებულება ეთი თვით, არის სხვა შეღავათებიც. სახელმწიფოს მიერ გაღებულ ამ დამატებით ხარჯებს საბოლოო ანგარიშში მოაქვს საგრძნობი სარგებლობა ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

...ცნობილია, რომ მშობლიური სიყვარულის გარეშე ბავშვი დედმამის ხელშიც კი ობოლია. მაგრამ მისთვის, არც მშობლებს შორის არსებული დამოკიდებულებაა განუზომელი. რაც არ უნდა პატარა იყოს ბავშვი, ყველაფერს კარგად გრძნობს, ახარებს მშობლების შეთანხმებულობა და მეტად და მტკივნეულად განიცდის მათ ჩხუბს. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. კოჩეტკოვის აზრით: „მშობლების სიყვარული ერთმანეთისადმი შეიძლება იქცეს მთავარ აღმზრდელობით ფაქტორად. სწორედ, მშობლებია სიყვარული ერთმანეთის მიმართ

და არა მხოლოდ მათი სიყვარული ბავშვისადმი. ბევრი შეცდომა მოსდით ახალგაზრდებს ოჯახური ცხოვრების დასაწყისში, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის ისეთი დიდი ზიანის მომტანი, როგორიცაა უყურადღებობა მათი დამაკავშირებელი სიყვარულის გრძნობისადმი. როცა დედას და მამას უყვარს ერთმანეთი, ბავშვი ყველაზე მეტს მათი სიყვარულისაგან იღებს. უამისოდ მთელი სამყარო უფერულდება და ვერავითარი პედაგოგიური ღონისძიებანი ვერ შეავსებენ მის გავლენას ბავშვზე.“ ვ. ა. სუხომლინსკის აზრითაც, ვასწავლოთ ბავშვს სიყვარული ნიშნავს იმას, რომ ვასწავლოთ მას ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ.

მოკლედ რომ ვთქვათ, მშობლები ბავშვს სჭირდება, უპირველესყოელისა, როგორც „სიყვარულის მასწავლებლები“ ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. მშობლების გარეშე ამას ვერავინ ვერ ასწავლის ბავშვს. ყველაზე დახელოვნებული პროფესიონალი მასწავლებელიც კი. აღსაზრდელთა რაოდენობა, რომელიც თითოეულ აღმზრდელზე მოდის, რომ დავიყვანოთ საშუალო ოჯახურ დონემდე, მაშინაც კი არ იქნება მიღწეული ისეთი ეფექტი, როგორსაც საშინაო ატმოსფერო გვაძლევს ბავშვის აღზრდაში, რადგან იქ არ მოქმედებს მშობელთა შორის პირადი დამოკიდებულების ძალა. თვითონ დედები და მამებიც ძალიან ბევრს კარგავენ ბავშვების ჩამოცილებით.

როგორც ბავშვისთვისაა საჭირო, რომ მასზე ზრუნავდნენ, რაც აძლევს მას საძყაროს შეგრძნებასა და მისი სიმტკიცის განცდას, ასევე მოწიფულ ადამიანს აქვს იმის მოთხოვნილება, რომ სხვაზე ზრუნავდეს, იყოს სუსტის საყრდენი და ამ გზით განიცადოს თავისი ძალა და მნიშვნელობა ყველაზე სრულად ეს ვლინდება. სწორედ, მშობლიურ გრძნობებში“.—წერს ი.ს. კონი.

ჩვენ ყველამ, მეტნაკლებად ვიცით, რას აძლევენ მშობლები ბავშვებს. მაგრამ უფროსებს ყოველთვის არა აქვთ იმის ნათელი წარმოდგენა, თუ თვითონ რითი არიან დავალებული იმ ბავშვებისაგან, რომლებსაც სიცოცხლე აჩუქეს.

ტოლსტოის აქვს ასეთი ჩანაწერი: „თუ დავუშვებთ, რომ კაცობრიობა შედგება მილიარდი უკვდავი არსებისაგან, რომელთა რიცხვის არც გაზრდა და არც შემცირება არ იქნება შესაძლებელი, სად ვიქნებოდით და რანი ვიქნებოდით ჩვენ, ღმერთო დიდებულო! ეჭვს გარეშეა, ჩვენ ვიქნებოდით ათასჯერ უფრო განსწავლულნი, მაგრამ ათასჯერვე უფრო უარესნიც!“ მანვე დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ბოლკონსკის, ლევინის, კარენინის და ერონსკის მიერ განცდილმა მშობიარეობამ თანაგრძნობისა და მოლოდინის წუთებმა განწმინდეს ამ მამაკაცების სული წერილმანი ვნებებისაგან, პატივმოყვარეობისა და ბოროტებისაგან. ასეთი წუთები აქცევდა მათ ადამიანებად!

ჩვენი თანამედროვე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბელიანინი ამ წიგნის ავტორისადმი გამოგზავნილ წერილში გულწრფელად აღიარებს: „მე, მაგალითად, მოწევას თავი დავანებე და ამ მავნე ჩვეულებისაგან გათავისუფლდი სრულიად ადვილად. მგონია, რომ ჩემი ნებისყოფის გამოვლენას ხელი შეუწყეს ჩემმა მომავალმა შვილებმა. მოლოდინი და შემდგომ ბავშვის დაბადება წარმოადგენს თვითაღზრდის, მავნე ჩვეულებათა აღმოფხვრის, მოთმინების უნარის და სხვა ისეთი თვისებების გამომუშავების მძლავრ სტიმულს, რომელთა ნაკლებობასაც ხშირად მწვავედ ვგრძნობთ.“

მაგ. უკრძალავს თავის თავს იმას, რასაც მომავალში აუკრძალავ, თავის შვილს. ეს არის ჭეშმარიტი და ერთადერთი შესაძლო მორალი, რომელსაც მივუყავართ მთელი ხალხისა და ცალკეულ პიროვნებათა სრულყოფისაკენ.

— არა, ახლანდელი შვილები არ გვიმართლებენ, მათზე ძალიან ბევრი ძალები და სახსრები გვაქვს დახარჯული, სამაგიერო კი რაღაც არ ჩანს.

ალბათ, მოგისმენიათ ასეთი ბუზღუნი და თანაც არა მხოლოდ მოხუცებისაგან. განსაკუთრებით ხშირად აქვს ადგილი ამგვარ საუბარს, როცა უფროსები თავს აბეზრებენ ახალდაქორწინებულებს იმის მოთხოვნით, რომ ჩქარა იყოლიონ შვილი, არ შეჩერდნენ ერთზე. ერთხელ, ასეთი საუბრის დროს, ახალგაზრდა ქმარმა განაცხადა, „მე ვიცი როგორ გაწვალდნენ მშობლები ჩემს გამო, ისე, რომ ჩემი საკუთარი ნებით ასეთ ტანჯვაში თავს არ ჩავიგდებ“.

ახალგაზრდას უთხრეს, რა მოელოდა საზოგადოებას თუ ყველა მასავით „გაუფრთხილდებოდა“ საკუთარ თავს. მართლაც, რა მოხდება კაცობრიობამ რომ ხელი აიღოს შთამომავლობის გაგრძელებაზე? აღარ იქნება მიზანშეწონილი არავითარი კვლევა-ძიებითი მუშაობა, მაღალი კულტურა, მეცნიერება. ყველაფერი ამაო იქნება. რა საჭიროა ყოველივე არსებული, რა საჭიროა „დიდი და მარადიული“ საკითხები, რომლებზედაც ჩვენ ვეძებთ პასუხს, თუ არ იქნებიან ისინი, ვისთვისაც კეთდება ყველაფერი, თუ არ იქნება შთამომავლობა, გაგრძელება?

კაცობრიობას აღარაფერი დარჩება. გასაკეთებელი გარდა იმისა, რომ მოიხმაროს დაგროვილი ისტორიული მონაპოვარი. სამხედრო კატაკლიზმების დროს ადამიანები ყოველთვის ინარჩუნებდნენ მთავარს — იმედს იმისას, რომ ვიღაცა გადარჩება, თავს გაიტანს, გამოასწორებს ჩადენილ ბოროტებას, აღადგენს დანგრეულს. შეკქმნის ახალს, რამდენადაც გაიჩენს და გაზრდის შვილებს. უბავშვო საზოგადოება მოკლებული იქნება ამის ცნობიერებას, ამ იმედს. უიმედობაზე უარესი კი რა შეიძლება იყოს?

არ მივცეთ სიცოცხლე ახალ ადამიანს, უარი ვთქვათ ჩვენს მომავალზე? იმიტომ ხომ არ ითვლებოდა ეს მომაკვდინებელ ცოდვად ბევრ ხალხთან, რომ ამ გადაწყვეტილებით გვარი, ტომი კარგავდა არა მარტო მომავლის იმედს, არამედ მისი წარსულიც უკვალოდ იკარგებოდა. არ არის საჭირო ზებუნებრივი ფანტაზიის უნარი იმის წარმოსადგენად თუ როგორ იცავდნენ ჩვენს წინაპართა წინაპრებს... მათი საკუთარი დედები და მამები შიმშილისა და სიკვდილისაგან, ჭირისა და მახვილისგან. რისთვის ვაიღეს ჩვენმა წინაპრებმა დიდი მსხვერპლი, რისთვის დაიტანჯნენ და ეწამენ ადამიანის სიცოცხლის სუსტი ნაპერწკლის, მისი არსებობის წვრილი ძაფის შესანარჩუნებლად, თუკი ეგოისტი შთამომავლის ზარმაც ხელს შეუძლია ასე ადვილად ჩაახშოს იგი. კიდევ ეს მარადიული კატეგორიები: წარსული—მომავალი!— იფეთქა ერთმა ახალგაზრდა კაცმა. რატომ გიზიდავთ ყოველი კერძო შემთხვევის გლობალური განზოგადოება? ჩემი გადაწყვეტილება — ჩემი პირადი საქმეა. მე ხომ არ ვიწყებ კამპანიას ბავშვების გაჩენის წინააღმდეგ. აი, რამდენი რთული პრობლემა წამოჭრა დემოგრაფიულმა აფეთქებამ სხვა ქვეყნებში. ისე, რომ ჯერ კიდევ საკითხავია, სწორი ვარ თუ არა მე. იქნებ, მე, სწორედ, იმით ვეხმარები კაცობრიობას გადარჩენაში, რომ არ ვაგრძელებ მას. გარდა ამისა, მე არ შემიძლია ვარსებობდე ერთდროულად სამ განზომილებაში. მე ვცხოვრობ დღეს და არა გუშინ და არა ხვალ. ვერა ვხედავ, რომ ჩემს დღევანდელ ყოფაში ბავშვს შეეძლოს ჩემთვის რაიმეს მოტანა, გარდა საზრუნავისა და სადარდებლისა.

აუდიტორია აღმოჩნდა საკმაოდ ნაკითხი, თითოეულმა წარმოადგინა გარკვეული ინფორმაცია. ერთნი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ბუნება ასე თუ ისე თვითონ მოახდენს დედამიწაზე მოსახლეობის შესაძლებელი და აუცილებელი, რაოდენობის კორეგირებას. სხვებმა შეგვახსენეს ზოგიერთი სახელმწიფოს მარეგულირებელი პოლიტიკა. საუბარი თანდათანობით გადაიხარა ზოგადთეორიული მხარეებისაკენ. მაგრამ უცებ საუბარში ჩაერთო მანამდე ჩუმად მყოფი გაურკვეველი ასაკის ქალი, რომელსაც, როგორც ჩანდა, დიდი და არც თუ მსუბუქი ცხოვრებისწეული გამოცდილება ჰქონდა. მან ახალგაზრდა კაცს მიმართა:

— აი, შენ ამბობ, რომ იცი, როგორ შეუშალეს ხელი პატარებმა შენს მეგობრებს სწავლაში, პროფესიულ მიღწევებში, ამბობ, რომ გაგიგონია რა აუტანლად კიჟიან ახალდაბადებულები. მაგრამ თუ გაგიგონია შენ, როგორ კიჟიან ბავშვები, რომლებიც არ დაბადებულან?

ჩუმად ნათქვამმა ამ სიტყვებმა თითქოს ყურთასმენის წამღებად დაიგრგვინეს.

— მაშ, ამბობ რომ შენი პირადი საქმეა? — განაგრძობდა ქალი,—

ბაღრამ ცოლს წაართვა მკერდ ქვეშ პატარის ტარების, მისი მოკლის. მისი სიყვარულის, მისთვის თავდადებისა და, მასთან ერთად, გახახლების უდიდესი ადამიანური ბედნიერება—ეს ვისი უფლებაა? წაართვა საკუთარსა და ცოლის მშობლებს შვილიშვილების სიხარული, ბალიანელია შფოთიანი და ძვირადღირებული, მაგრამ ისეთი, რომელსაც ვერაფერი ვერ შეცვლის! შეგინიშნავს დედაშენი თვალს რომ ვერ აშორებს სხვის საბავშვო ეტლებს? ასე გააყოლებს თვალს სხვის შვილებს მოპავალში შენი ლამაზი და ამჟამად უზრუნველი ცოლიც. აი, მაშინ გაიგონებთ თქვენ ორივენი მათ ხმებს, ვინც შეიძლებოდა ეჩუქებინა შენს ცოლს შენთვისა და ქვეყნისთვის, მაგრამ ვისთვისაც თქვენ სიკეთეს არ ყაიმეტეთ. როგორც სამართლიანად შენიშნავს ერთი ფილოსოფოსი: „თუ ორმოცი წლისათვის ადამიანის ოთახი არ აივსო ბავშვების ხმებით, მაშინ ის აივსება კოშმარებით.“

— ეს უკვე უკანონო დარტყმაა! — გაცხარდა ახალგაზრდა კაცი და დატოვა ოთახი კარის მოჯახუნებით.

ეს საუბარი სერიოზულ ფიქრებს აღძრავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ასეთი მიმართულება მიიღო და ზოგადადამიანური, გლობალური პრობლემიდან გადაუხვია პირადულისკენ, კონკრეტული ადამიანის ბედისკენ, არამედ იმიტომ, რომ მოკამათე მხარეთაგან თითოეული თავისებურად მართალია.

ახალგაზრდა მართალია იმაში, რომ არ შეიძლება და არ არის საჭირო ყველაფრის მტკიცება საწინააღმდეგოდან გამოსვლის მეთოდით. რა მოხდება შემდეგ თუ ის არ გაიჩენს შვილს. ეს მას დამაჯერებლად უჩვენეს. როგორც ისტორიულ, ისე პირადულ პლანში. მაგრამ არავინ ალ უთხრა, რას **მისცემს** მას ბავშვი ღვთისათვის.

მოდით, ვცადოთ ამ საკითხის გარკვევა: რისთვისაა საჭირო ბავშვები?

„კრეიცერის სონატის“ ბოლოსიტყვაობაში ტოლსტოი მიუთითებს ცივილიზებული ხალხების იმ თავისებურებაზე, რომ მათთან განსთლების, ზოგადი კულტურის, საეროო კეთილდღეობის ზრდასთან ერთად იცვლება შეხედულებები ბავშვებზე, იცვლება მათი როლის შეფასება ცოლ-ქმრის ურთიერთობაში. „...ჩვენს საზოგადოებაში, კიდევ და კიდევ იმ მცდარი მნიშვნელობის გამო, რომელიც ეძლევა ხორციელ სიყვარულს, ბავშვების დაბადებამ დაკარგა თავისი აზრი და ხაცვლად იქნა, რომ ის იყოს ცოლქმრულ ურთიერთობათა მიზანი და გამართლება, გადაიქცა დაბრკოლებად სასიყვარულო ურთიერთობით ხანგრძლივი სიამოვნების მიღებისათვის...“

ოჯახის პრობლემების დღევანდელი მკვლევარებიც (რსფსრ-ს ახალგაზრდა ოჯახების შესწავლის საფუძველზე) აღნიშნავენ, რომ პირველ ბავშვს ხშირად ცოლ-ქმარი იჩენს არა თვითონ ბავშვის გულისა-

თვის, არც იმისათვის, რომ განიცადონ დედობისა და მამობის სიხარული. მომავალი დედების ვამოკითხვისას ბევრმა ახალგაზრდა ქალმა თქვა: ბავშვის გაჩენა გადაეწყვიტეთ იმიტომ, რომ „ასე მოხდა". ორსულობის შეწყვეტა საშიშია, მშობიარობა არც ისეთ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ, როცა სიყრმის შვილი ახალგაზრდებისათვის — „პიურპრიზია". მოულოდნელი პრეზენტია. მშობლებს მისთვის არა სცალიათ, ისინი დაკავებული არიან საკუთარი თავით და ერთმანეთით. გაძლიერებული ინტერესების გამო აშკარად უყურადღებოდ რჩება, იკარგება ის ერიცხვი და ღრმაახროვანი წვრილმანები, რომლითაც სავსეა ბავშვის მოლოდინისა და მისი ზრდის პერიოდი.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ათი შვილის დედამ ჟ. ჟ. კოლპაკოვამ ტელევიზიაში აღიარა, რომ პირველი ბავშვის გაჩენისას არ განუცდია დედობრივი გრძნობის მთელი სიმძაფრე. მეორე ბავშვზე კი მას გაეხსნა და მასში გაიხსნა აქამდე მისთვის უცხობ გრძნობათა განსაკუთრებული სამყარო. მშობლიური „უგრანობლობა", რომელიც წინათაც არსებობდა და ახლაც არ ერის იძვიათი, ალბათ, დედობრივი მისიისათვის ახალგაზრდა ქალის გარკვეული ემოციური მოუმზადებლობის შედეგია. ახალგაზრდა დედისთვის სასარგებლო იქნება ვურჩიოთ ბავშვთან ურთიერთობაში რას და როგორ უყურონ, რა დაინახოს და რა მოისმინოს. ასეთი ცოდნა მარტო გვარის გაგრძელების ბუნებრივი ინსტინქტით არ გვეძლევა. ორგელივმყოფები კი ნორჩ დედას უფრო მეტად ასწავლიან ბავშვის ჰიგიენას, ასწავლიან როგორ ასეირნოს, ათამაშოს ბავშვი. ე. ი. კვლავაც ასწავლიან ბავშვისთვის მიცემას. მაგრამ არ ასწავლიან მიღებას მისგან. ასწავლიან დედობის სიძნელეებს და არა დედობის სიხარულს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის მოსვლა ოჯახებში, სადაც ახალდაქორწინებულებს არ აკავშირებს საერთო პროფესიული ინტერესები და მისწრაფება-გატაცებანიც განსხვავებული აქვთ. მათი ადრინდელი, ქორწინებამდელი კავშირებიც სხვადასხვა მხრივ იყო მიმართული: საკუთარი ნათესავებისკენ, რომლებიც შესაძლოა კიდევ დიდხანს იქნებიან უცხონი ერთმანეთისთვისაც და თითოეული „ნახევრისთვისაც". ყველაფერი ეს, სშირად, „მუშაობს" ნორჩი წყვილის სულიერი და ემოციური გათიშულობის სასარგებლოდ. საერთო ბავშვი ამ ადამიანებს ერთბაშად აქცევს ახლობლებად, ხოლო ახალდაქორწინებულებს მხოლოდ შეყვარებულობიდან ნამდვილ, ღვიძლ ნათესავებად. ასე უქმნის ბავშვი თავის მშობლებს და მშობლების მშობლებს საზრუნავის, სურვილების, ინტერესების ერთიანობის გაცდას.

„მომავალი დედისთვის არ შეიძლება ნერვიულობა“, „ქალს, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებს, სჭირდება განსაკუთრებული პირობები. რეჟიმი, სიმშვიდე“. — ეს ხშირად ესმის ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. მამობის როლისათვის ასე ნელ-ნელა შემზადებული ახალგაზრდა კაცი ცდილობს ურთიერთობებში დაძაბულობის მოხსნას. ამ პერიოდში ის ეჩვევა აზრს, რომ საჭიროა, საერთოდ, ქალის დაცვა ზედმეტი გაღიზიანებისგან. ამრიგად, ბავშვი, რომელიც ჯერ არც კი დაბადებულა ან სულ ახლახან დაიბადა, უკვე აძლევს დედას მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის განცდას, თითქოს იფარავს მას ყოველგვარი უსიამოვნებისა და წყენისგან. მამას კი აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს თავისი კეთილშობილების დემონსტრირება, იგრძნოს თავისი თავი დამცველად. ეხმარება მას გაივარჯიშოს თავი სულგრძელობაში, შემწყნარებლობაში, თავდაჭერაში.

ყველა ეს თვისება სასარგებლო და აუცილებელია არა მხოლოდ ცოლისა და ქმრის პირად ურთიერთობაში, არამედ ნებისმიერ პროფესიულ საქმიანობაშიც. ქალებს ხომ სამსახურშიც ხშირად ხვდებათ უსიამოვნება იმის გამო, რომ მათ კოლეგა-მამაკაცებს აკლიათ, ხასიათის ეს თვისებები და თავისებურებანი. რაც უფრო ცოტა ბავშვია სახლში, მით ნაკლებია მსგავსი ზნეობრივი გამოცდილება. მით უფრო მწვავედ განვიცდით ამ თვისებების დეფიციტს.

უფროსების ამაგს, რომლებიც დიდ დროსა და ენერგიას ანდომებენ მათ მოვლა-აღზრდას, ბევრ რაიმეს ასწავლიან. ბავშვები პასუხობენ თავისი მომხიბვლელი სიწმინდითა და უშუალობით.

„ძია, თქვენ სულელი ხართ?“ — სერიოზულად. გაბოროტების გარეშე ეკითხება ვერა პანოვას მოთხრობის — „სერიოჟას“ გმირი სოლიდურ მამაკაცს, რომელიც მას მართლაც სულელურად გაეხუმრა. თავისი შეკითხვით ის დაანახვებს დედას გაყოყოჩებული ბრიყვის „სოლიდურობის“ ჭეშმარიტ ფასს. „მეფე კი შიშველია“ — დაიყვირებს მეორე ბიჭუნა და მთელ სამეფოს თვალს აუხელს. „ბავშვის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს“, — აღიარებს ხალხური სიბრძნეც. დაე, მშობლები ხშირად ბრაზობდნენ ბავშვების „არადიპლომატიურობაზე“. კიდეც სჯიდნენ მათ იმისთვის, რომ „არ იციან სწორი მოქცევა“, ე. ი. არ შეუძლიათ თვალთმაქცობა, რისთვისაც დაისაჯა პანოვას გმირიც, მაგრამ, სწორედ, მათი წყალობით აეხილებათ ხოლმე უფროსებს თვალი, უბრუნდებათ საღი აზრი, რომელსაც კარგავენ ზოგჯერ ისეთი მასობრივი ჰიპნოზის ზეგავლენით, როგორიც დაეუფლა ხალხს ანდერსენის ზღაპარში „მეფის მორთულობა“.

ლ. ტოლსტოის აქვს მოთხრობა-არაკი „ბავშვობის ძალა“. იგი სთავაზობს მკითხველს ასეთი სიტუაციის გააზრებას: ხალხმა გაიმარჯვა მისთვის საძულველ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, დაიწყო ნადირო-

ბა ხალხის მთავარ შემავიწროვებლებზე-პოლიციელებზე. ერთ-ერთი მათგანი ხელში ჩაუვარდა გააფთრებულ ბრბოს. გრძნობები უკიდურესობამდეა დაძაბული: მზადდება თვითგასამართლება, რომლის თავიდან აცილება არ ხერხდება იმ გონივრული წინადადებითაც კი, რომ პოლიციელი გადაეცეს მართლმსაჯულებას. ამ დროს ხალხში გაისმის ბავშვის ყვირილი — პოლიციელის ბიჭისა. ბავშვს ჯერ კიდევ არ ესმის ყველაფერი, რაც ხდება, მაგრამ გრძნობს, რომ მამას საშინელი საფრთხე ემუქრება. მამა ცდილობს დაამშვიდოს ბავშვი, არწმუნებს მას, რომ ის თავის ახლობლებთან ერთად მიდის და მალე დაბრუნდება სახლში. შემდეგ ის სთხოვს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს დაუდასტურონ ნათქვამი და გააცილონ ბავშვი სახლამდე. როცა ბავშვი წაიყვანეს, პოლიციელმა სთქვა: ახლა რაც გინდათ ის ქენითო. და იგივე ადამიანები, რომლებიც ერთი წუთის წინ აღვსილი იყვნენ სამართლიანი შურისძიების წყურვილით, უცბად შეყოყმანდნენ. ჯერ გაისმა გაუბედავი შეძახილები შეწყალების შესახებ, შემდეგ ყვირილი, უკვე გაბედული: „გაუშვათ!“ ხალხი ბედნიერი თავისი გულმოწყალებით მხიარულად ყვიროდა და მღეროდა.

ბავშვობის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის აღვიძებს კეთილ გრძნობებს. რამდენი დაცემის, სისულელის, უხეშობის, სიცრუისა და უსამართლობისგან უხსნიათ უფროსები ბავშვის ხდომბითა და თანაგრძნობით აღსავსე თვალებს. „ბავშვის მაინც გრცხვენოდეს!“ — მიმართავენ ხშირად მშობლები ერთმანეთს, როცა „აფეთქებულ“ მეორე ნახევარზე ზემოქმედების ყველა საშუალება უკვე ამოწურულია. და, მართლაც, მოდიან გონს, რცხვენიათ. მშობლები თვითონ ვერც კი ამჩნევენ, ისე აპყავთ საკუთარი შვილი ზნეობრივი მოსამართლის, ოჯახის სინდის-პატიოსნების სარკისა და დამცველის რანგში.

ბავშვებთან ურთიერთობაში, მათზე დაკვირვებისას ადამიანები ეუფლებიან არა მარტო ზნეობრივ ჩვევებს, არამედ მათი დახმარებით იფართოებენ ჰორიზონტს. იძენენ ახალ სასარგებლო ჩვეულებებს. შრომისა და დასვენების ნებისმიერი სფერო მოითხოვს ჩვენი ნიჭის, თვისებებისა და თავისებურებების მხოლოდ რომელიღაც ნაწილს. ერთგან ჩვენი გონებაა საჭირო, მეორეგან ხელები, მესამეგან-მოქნილობა, სადღაც სხვაგან კიდევ ფიზიკურად ყოფნა, გულისხმიერება და ა. შ. მხოლოდ ბავშვს სჭირდება მშობლის მთელი პიროვნება, ყველაფერი გამონაკლისის გარეშე: ჭკუაც, ხელებიც, ძალაც, სიკეთეც, თვალების გამომეტყველებაც, ინტონაციაც, დედ-მამის სუნიც კი ბავშვისთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მშობლების მიდრეკილებებს, გატაცებებს, ინტელექტუალურ და ფიზიკურ საქმია-

ნობას. ბავშვისათვის მათი დიდი მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებით ლაპარაკი არცაა საჭირო.

ბავშვები ყოველთვის მზად არიან თამაშისა და გართობისათვის და უფროსებსაც ხშირად ითრევენ თავის საქმიანობაში. ამით, ისინი, პშობლებს ქონის მოკიდების საშუალებას არ აძლევენ და პროფესიული შეზღუდულობისგანაც იცავენ. ახალგაზრდა დედა და მამა ბევრს სეირნობენ შვილებთან ერთად, დადიან ტყეებსა და პარკებში. აჭისთვის მათ შეიძლება დრო ვერც გამოეყოთ (ან არც ჰქონოდათ სურვილი) ბავშვებისთვის რომ არ იყოს ეს საჭირო. ბავშვები მშობლებისაგან მოითხოვენ ბევრი ისეთი საკითხის განმარტებას, რომელიც უფროსებს დიდი ხანია უკვე აღარ აინტერესებთ. მაგალითად: რატომ არის ჭიანჭველა ასეთი პატარა, როგორ მიაქვს ასეთი დიდი ტვირთი? საიდანა აქვს ასეთი ღონე. როკა კუნთები არა აქვს? და, მართლაც. საიდან? — უფიქრდებიან მშობლები და მიდიან ბიბლიოთეკაში, ეძებენ ახსნას. ერთი ცნობისმოყვარე გოგონა თავის მხატვარ მამას დაესმარა „აღმოეჩინა" პეპლების, კალიების, ყოველგვარი მუმლისა და ჭიჭლების ნაირფერადოვანი სამყარო, რომელსაც აქამდე ივი ყურადღებას არ აქცევდა. ახლა კი სერიოზულად გაიტაცა ენტომოლოგიამ. სხვა ოჯახში დედა ქალიშვილთან ან ვაჟიშვილთან ერთად ეუფლება მუსიკას, ცდილობს ხატვას, ან კერვასაც კი (ეს საჭიროა მეოჯახობის გაკვეთილებისათვის). მამას შეიძლება შვილისაგან გადაედოს კონტროლიორების ინტერესი. გაიტაცოს ფილატელიამ

შვილებია ასეთი ზემოქმედებით ჩვენი მეხსიერების გააქტიურებაც ხდება. დიდი ხნის მივიწყებული ცოდნის განახლებაც და ახალი ცნობების მოპოვებაც. შვილებისა და შემდეგ შვილიშვილებისათვის დახმარების გაწევა სასკოლო პროგრამის საფეხურებზე ასელაში მშობლებსაც ხელს უწყობს იმაში, ოომ არ გაიყინონ სამყაროს შესახებ ტრადიციულ შეხედულებებზე. ასე. რომ ბავშვი ოჯახის უფროს წევრებს, უნდათ მათ ეს თუ არ. აქცევს მაწყალებლადაც და მოსწავლედაც ერთდროულად: უფროსები ასწავლიან მათ, სწავლობენ მათთან ერთად და სწავლობენ მათგან

და აი გამოდის, რომ უმატებენ რა ეამრაე დიდ და პატარა საქმეს და საზრუნავს, ეპირველეს ყოვლისა, მოვლა-აღზრდის თვალსაზრისით, ბავშვები. ამავე ერთ. ალძულებენ უფროსებს თვალი მოსწყვეტოს ჩვეულ ყოველდღიურობას. მიმართავენ მათ ახრებს ყოფიერების ძალადაღული საკითხებისკენ. ახლებურად დაანახვებენ და გახაკდეინებენ მოვლენებს. ბანალური ჭეშმარიტებანიც საჭიროებენ დრო და ერთ ახლებურად გააზრებას. როგორც ეს ახრი. რომელიც უკვე მოტანილი იყო ზემოთ: ბავშვი — უკვდავებაა. ფალეური. შეგრძნებადი, ეროტიული. ეს ტეტიცებას შეიძლება დეუპირისპიროთ ფაიაკოვსკის სი-

ტყვები იმის შესახებ, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია „გახსახიერება ვპოოთ გემში, სტრიქონში და სხვა ხანგრძლივ საქმეებში.“ მაგრამ თუ დავუბრუნდებით საუბრის დასაწყისს იმის შესახებ თუ რისთვისაა საჭირო ბავშვები — უნდა ვაღიაროთ, რომ „ხანგრძლივი საქმეები“ მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ მათ გამჭრძელებელი ეყოლება. ხომ ძლიერ საჭიროა, რომ იყოს ვინმე, ვინც ატარებს გემებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ გმირთა სახელები, რომ იყოს ვინმე, ვინც წაიკითხავს დიდებულ სტრიქონებს. რითი უფრო გამოვადგებით ჩვენს დედა ისტორიას: საკუთარი საქმით თუ იმით, რომ გავზრდით და აღვზრდით კარგ ქალიშვილსა თუ ვაჟს—საამწუხაროდ ეს ხშირად ვკავიწყდება. ტყუილად არ ვეუბნება ხალხური სიბრძნე „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.“

„პუშკინების მეამბოხე გვარი“ განთქმული იყო არაჩვეულებრივი, ენერგიული მოღვაწეებით, რომლებმაც გავლენა მოახდინეს რუსეთის ისტორიის ბევრ მოვლენაზე. რატომ იზიდავს მათი საქმეები და ბიოგრაფია რუსეთის ეხლანდელ თაობათა ყურადღებას განსაკუთრებით ხშირად სხვა ცნობილ გვარებთან შედარებით. [illegible]ომლებიც ზოგჯერ უფრო გავლენიანებიც კი იყვნენ (მაგალითად, ახლა არც ისე ყურადღებით შეისწავლიან გოლიცინის გვარის მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, თუმცა მათი როლი რუსეთის ისტორიაში გაცილებით მნიშვნელოვანი იყო). ამიტომ, გვიპასუხებს ნებისმიერი მოსწავლე, რომ გოლიცინებს შორის კი არ გამოჩნდა და გაიზარდა ის, რომლის სახელიც მთელ ეპოქას ჰქმნის რუსეთის კულტურასა და ისტორიაში. არაშედ პუშკინებში. ისინი—პუშკინები—არიან ვენიოსის ჭიხაპრები, მათი სისხლი და ხორცი არის დიდ პოეტი.

მე დიდხანს ვერ ვიგებდი მაქსიმ გორკის სიტყვების აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენ ყველანი ვიბადებით და ვცხოვრობთ უკეთესობისთვის, რაც მან სატინს ათქმევინა. ამომღევნო დაზუსტებაც არ იყო ძალიან ნათელი: უკეთესი ოსტატობისთვისო. მაგალითად უკეთესი დურგლობისთვის. ხუროობისთვის. ფეხსაცმლის მკერავობისთვისო. როცა პროფესიათა დასახელების ადგილზე ჩავსვი სიტყვები: იმისათვის. რომ ვიყოთ **ჩვენს გვარში საუკეთესო** ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ჩვენ ვიბადებით და ვცხოვრობთ იმისათვის. რომ ცოტათი მაინც წავწიოთ ჩვენი გვარი წინ სრულყოფილობისკენ. ადამიანის იდეალისკენ.

კარგით, იტყვის სკეპტიკოსი ოპონენტი. — უბრალო მოკვდავების შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია. ძალიან რაში სჭირდება ასეთი „გაგრძელება“ თვითონ პუშკინს. ან იმავე ტოლსტოის. ისინი ხომ თვითონ არიან ეკარის მწვერვალი და უკვდავყოფილი არიან თავის

ნაწარმოებებში. მართლაც, რაში სჭირდებოდა ტოლსტოის ბავშვები და თანაც ასეთი დიდი რაოდენობით? იმ აზრამდე, რომ ცოლქმრული ურთიერთობა ცოდვილია თუ მას საფუძვლად არა აქვს შთამომავლობის გაგრძელების მიზანი, ის მივიდა მხოლოდ მოხუცებულობაში, მაშინ, როცა მეუღლემ უკვე აჩუქა მას ცამეტი ბავშვი, რამდენიმე კი ჰიწას მიაბარეს.

ყოველდღიურობის საზომით ბავშვები ხელისშემშლელი უნდა ყოფილიყვნენ დიდი მწერლის შემოქმედებითი საქმიანობისათვის. რამდენი ტანჯვა მიაყენეს მათ მამას, როცა დაიყვნენ ერთმანეთთან (და მამასთან) დაპირისპირებულ ჯგუფებად, როცა ზოგიერთმა მათ შორის მოინდომა არ მიეცათ მამისთვის იმ ნორმების მიხედვით ცხოვრების უფლება, რომელიც მან თვითონ გამოიმუშავა და ჰქადაგებდა.

თუ ჩვენ ჩავწვდებით, ჩავუკვირდებით ყველაფერს, რაც ტოლსტოიმ გააკეთა და დაწერა, ყველგან მოვნახავთ მისი შვილების „თითების ანაბეჭდებს". სიხარულიც, რომელსაც ისინი აძლევდნენ თავის დიდ მამას და მწუხარებაც, ყველაფერი აისახა და გამოიხატა მის შემოქმედებაში, რაც სხვა არა არის რა თუ არა კარდიოგრამა, თუ არა მისი სულის მოძრაობის ჩანაწერი. ბავშვებს კი მასში უდიდესი ადგილი უკავიათ.

„როცა მამაჩემი წერდა რომანს „ოჯახური ბედნიერება", ის ჯერ კიდევ არ იყო დაქორწინებული.

— მაშინ მეგონა, — თქვა მან ერთხელ, — რომ კარგად მესმოდა ქალის ბუნება, სულის სიღრმემდე ვწვდებოდი მას. მაგრამ, როცა ცოლი შევირთე, დავინახე, რომ თურმე სრულიად არ ვიცნობ ქალს. მხოლოდ ცოლის წყალობით ვისწავლე ქალის ფაგება. ეხლა კი,— განაგრძობდა ის და თან თმებზე ხელს მისვამდა, მას შემდეგ, რაც ჩემი უფროსი ქალიშვილები მანდობენ თავის საიდუმლოსა და მახედებენ თავის სულში, ვაღიარებ, რომ არც ქორწინებამდე, არც მოგვიანებით არაფერი ვიცოდი ქალის შესახებ და მხოლოდ ახლა ვიწყებ მის გაგებას" — წერს დიდი მწერლის ქალიშვილი და მეგობარი.

როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ასეთი შემობრუნება ჩვენს ცხოვრებაში ბავშვების როლის შესახებ საუბარში? გამოდის, რომ თუ მამაკაცს სურს ჩაწვდეს ქალის (ცოლის) ბუნებას, უნდა გაზარდოს ქალიშვილი? და პირიქით, ქალმა, რომ გაუგოს კაცს (ქმარს), უნდა გაზარდოს ვაჟიშვილი?... ალბათ, ასეა. თუმცა ამ სახის მსჯელობას კიდევ უფრო შორს მივყავართ. იმისათვის, რომ სრულად გავუგოთ ჩვენს მშობლებს და დავაფასოთ ისინი, საჭიროა ჩვენ თვითონ გავხდეთ მშობლები.

აი თურმე კიდევ რისთვისაა საჭირო ბავშვები: ისინი „მთარგმნელები" არიან, ეხმარებიან სხვადასხვა თაობის, სქესისა და ასაკის

ადამიანებს ერთმანეთის გაგებაში. თუ გავიხსენებთ რა სწრაფად მონახა საერთო ენა გლეხ ქალებთან არისტოკრატმა ქალმა დოლლი ობლონსკაიამ, როცა მათ ლაპარაკი დაიწყეს მისი ბავშვების შესახებ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვები ერთმანეთთან აკავშირებენ სხვადასხვა წოდების, კულტურის სხვადასხვა დონის, საქმიანობის, სხვადასხვა სფეროს ადამიანებს.

უფროსების ცხოვრებაში ბავშვების უდიდესი მნიშვნელობის დამადასტურებელია ჩვენი ქვეყნის ხალხების კლასიკური ლიტერატურა, რომელშიც განხორციელებულია აზრი ბავშვობის თავისთავადი ღირებულების შესახებ. ის, ვინც უარს ეუბნება თავის თავს ამ რთულ ბედნიერებაზე — გააჩინოს და გაზარდოს ბავშვები, იმსახურებს არა გაკიცხვას, არამედ სიბრალულს.

ჩვენ პირველად არ მივმართავთ თქვენს საკუთარ გამოცდილებას. აი ახლაც შეეცადეთ გაიხსენოთ: როგორ ესწორდებოდა თქვენს მშობლებს თვალებთან ნაოპები, როცა თქვენ ჯერ კიდევ პატარები, უგუნურები, მიუხვედრელები, ასაჩუქრებდით მათ აღერსით, ზრუნვით. შეეცადეთ დაუბრუნოთ ოჯახს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სალამოს საუბრების სითბო. გარდა ამისა, მიმოიხედეთ ირგვლივ, დაეკვირდით თქვენს დაიკოებს და ძმიკოებს, ან ეზოში ნაცნობ პატარებს და, ალბათ, გაოცებული შენიშნავთ როგორ მოიწევენ ისინი თქვენსკენ, როგორ ცდილობენ მიიქციონ თქვენი ყურადღება, დაიმსახურონ თქვენგან შექება, თუნდაც ეინმესთვის მოუქნელი წაბაძვით. ეს ხომ შეტად მადლიერი საზოგადოებაა თქვენი თვითგამოხატვისთვისაც: მათთან თამაშისა და ურთიერთობის ყოველი წამი—სულის გაწმენდა და სიხარულია.

მხოლოდ უგუნურ ქედმაღლობას შეუძლია თავი მოარიდოს პატარებს, რაც სამწუხაროდ, ხშირად ახასიათებს უფროსკლასელებს. უფრო მეტიც, ისინი დასცინიან კიდეც იმ ბიჭებს, რომლებიც „თამაშობენ“ უმცროსკლასელებთან და ასწავლიან მათ ბევრ კარგს. პირიქით კი უნდა იყოს, ამაში უნდა ეხედავდეთ, სწორედ, მათი სულის სიწმინდისა და სიდიადის გარანტიასა და საბუთს.

იდეალი და ეროვნა

რას ნიშნავს იყო კარგი დედა?

თითქოს ადვილი უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამის შესახებ უკვე დიდი ხანია ყველაფერი ცნობილია. დედა—ეს არის სიყვარული, თავგანწირვა, გრძნობა-გონების შვილზე კონცენტრირება და მისთვის თავდაუზოგავობა. დედობა, თუ მას პასუხისმგებლობით მიეუდგებით, ურთულესია მიწიერ თანამდებობათა შორის. „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“ (ვაჟა).

დაკვირვებული თვალი უეჭველად შენიშნავს დედის აღმზრდელობითი ფუნქციის ორმხრივობას.

იდეალურმა დედამ, ერთის მხრივ, მთელი თავისი ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოახდინოს შვილებზე, ე. სხვა ყველაფერში უნდა განუდგეს ამ ქვეყანას. მაგრამ საეჭვოა, რომ ასეთმა იდეალმა ვინმეს აღფრთოვანება გამოიწვიოს. უფრო მეტიც, არა ვართ დარწმუნებული, რომ ამის განხორციელება საერთოდ შესაძლებელი იყოს. ძნელია მოამზადო ბავშვი ცხოვრებისათვის, ქვეყნისათვის თუ ამ ქვეყნისგან მოწყვეტილი იქნები. ძნელია ასწავლო სიყვარული სხვა ადამიანებისადმი, თუ მოწყვეტილი იქნები სხვების უბედურებასა და წუხილს. ძნელია იყო პირუთვნელი მსაჯული საკუთარი შვილების მიმართ, როცა არ იცნობ საკუთარი სახლის კედლებს მიღმა რეალური ყოფის მთელ სირთულეს.

ამიტომ, მეორეს მხრივ, დედობრივი მისიის უკეთესად შესრულებისათვის საჭიროა, რომ ქალი არ იყოს მთლიანად კონცენტრირებული მხოლოდ ამ მისიაზე. კარგი დედა არ შეიძლება იყოს მხოლოდ თავის შვილებში ჩაკეტილი ადამიანი! მისი სული გახსნილი უნდა იყოს ახლობელი და შორეული ადამიანების ტკივილისა და სიხარულისთვის; დედა არ შეიძლება გულგრილი იყოს იმ უსამართლობათა მიმართაც, რაც ამ ქვეყნად ხდება, თუნდაც მისი შვილები საესებით სეებედნიერნიც იყვნენ.

გავიხსენოთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დედის ძვირფასი და ახლობელი სახე. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კეთილი დედა, შვილებს ისიც სიხარულისა და ბედნიერებისთვის ზრდიდა. მაგრამ, მას მტკიცედ სწამდა და ბავშვებსაც ასწავლიდა, რომ შეუძლებელია საკუთარი ბედნიერების აკება სხვის უბედურებაზე. არ შეიძლება იყო მხიარული ბედკრულთა შორის. ცხადია, რომ მისთვის, ვინც აღზრდილია ასეთ მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე, მხოლოდ ერთი გზაა ცხოვრებაში—საერთო ბედნიერებისათვის ბრძოლა. დედა ხედავდა, რომ ამ ბრძოლას შვილებისთვის ბევრი გაჭირვება მოჰქონდა, ართმევდა მათ ძალას, ჯანმრთელობას და თვით სიცოცხლესაც კი. დედამ ყველაფერი ეს იცოდა. მაგრამ არამც თუ არ შეაჩერა, ხელი არ ააღებინა შვილებს ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაზე. არამედ თვითოხაც ყოველნაირად მხარს უჭერდა, ეხმარებოდა მათ.

მაშასადამე, ერთის მხრივ, დედამ უნდა ასწავლოს შვილებს თვითშენარჩუნება, თავის გატანა, მეორეს მხრივ კი კაცობრიობა ქედს ეხრის იმ დედებს, რომლებიც შთააგონებენ შვილებს სხვისი კეთილდღეობისათვის თავგანწირვას.

დედის აღმზრდელობითი ფუნქციის ორმხრივობა ჩანს დედასა და შვილებს შორის როლების განაწილებაშიც. ტრადიციულად დედა წყალუვანია, დამრიგებელია, ხელმძღვანელია, ხოლო შვილი მიმყოლია, ძალი ნებისა და განკარგულებათა შემსრულებელია. მაგრამ, ამასთანავე

საზოგადოება დიდად აფასებს იმ დედებს, რომლებიც იზიარებენ შვილების აზრებსა და რწმენას, თუნდაც საკუთარ შეხედულებათა და ჩვეულებათაგან სრულიად განსხვავებულს, ხდებიან მათი მიმდევრები და თანაშემწენი საქმიანობაში. ამით, „ისინი, შვილების მხრიდან არც სიყვარულს კარგავენ და არც პატივისცემას. ლიტერატურაში ამის მაგალითია დედა, გორკის ამაეე სახელწოდების მოთხრობიდან. დედა დიდი მზაობით სწავლობს შვილისგან. ხდება, თუ შეიძლება ასე ითქვას მისი სულიერი შვილი, მისი თანამებრძოლი. მაშასადამე, კარგია არა მარტო ის დედა, რომელსაც შეუძლია კარგად ასწავლოს, არამედ ისიც, რომელსაც შეუძლია შვილებისგან ისწავლოს.

დაბოლოს, დედა თავისი შვილების მსაჯულისა და დამცველის როლში გამოდის. ხშირად, დედა, რომელიც მზად არის სიცოცხლე შესწიროს, მკერდით დაიცვას შვილი ხიფათისაგან, თვითონვე სჯის სიძულვილით, საკუთარ პირმშოს, თუ კი მან სიცოცხლე შეინარჩუნა სიმხდალის, ღალატის ფასად.

„არა ვტირი იმ ორ შვილსა, ომში მოკლულს გმირულადო,

ვიგლოე კოცხლად დარჩენილსა, უსახელოდ, ვირულადო." (აკაკი).

დიდი სამამულო ომის წლებში მილიონობით დედამ გაგზავნა თავისი ქალიშვილები და ვაჟიშვილები ჩვენი სამშობლოს დასაცავად, გახდა მათი თანამებრძოლი ფრონტზეც და ზურგშიც. ამიტომაც დაუდგა მაღლიერმა შთამომავლობამ ძეგლი ომის გმირებთან ერთად მათ დედებსაც. დიდი სამამული ომის წლებში დედების გმირობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული და გასხსახერებული ხელოვნების ნაწარმოებებში. მათ გადაარჩინეს, გაჭირვებით გამოკვებეს, გამოზარდეს და ფეხზე დააყენეს ომის დროინდელი ობოლი ბავშვების მთელი თაობა! კალაარჩინეს სიკვდილს, დაკარგვას, გზიდან გადაცდენას მილიონობით ბავშვი, რომლებსაც ომში დაღუპული მშობლის მაგივრობა კეთნეს. ეს ფიგურა არ იქნებოდა შეკვეხსენებინა ეს ამბავი კარგ პოლობებში მეხოვრებ ახლანდელი ახალგაზრდა ქალებისთვის, რომლებიც არ იჩენენ შვილს ან ერთზე ჩერდებიან კითხვა იმ მიზეზით, რომ ძნელია ბ ვშვის მოვლა, რომ ძალიან დაკავებული არიან. მათი წინაპრებიდანაც ეო ეყენენ მხოლოდ ოჯახში მომუშავე დიასახლისები, მაგრამ ყოფნიდათ ფიზიკური და სულიერი ძალები არა მხოლოდ საკუთარი არამედ სხვისი შვილებისთვისაც.

როგორც ვხედავთ ცხებაში „კარგი დედა" ერთმანეთზეა გადახლართული მოთხოვნები, რომელსაც მას უყენებს ბუნება და საზოგადოება. ზოგჯერ ეს მოთხოვნები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. დიდი ხელოვნებაა იმ თანაბარმოქმედი ძალის მოძებნა, რომელიც დედის ბუნებრივ გრძნობებსა და მისწრაფებებს, მათი ყოველგვარი დათრეუბ-

ვის გარეშე. გააწონასწორებდა საზოგადოებრივ მოთხოვნებთან და ნორმებთან.

რატომ არ შეუძლია ყველას, ვისაც ამის მისწრაფება აქვს, დაეუფლოს დედობის ხელოვნებას? რა უშლით მათ ხელს? უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზოგადი, ასე ვთქვათ, თეორიული წარმოდგენისა საკალდებულოს შესახებ, ცხოვრებაში ხშირად მივდევთ იმ წესებს, რომელსაც გვიკარნახებს უახლოესი გარემოცვა. ეს წესები და რჩევები ხშირად ძალიან შორს არიან იდეალისგან. ფილოსოფოსების აზრით, მიკროგარემოს გავლენა ჩვენს მსოფლმხედველობასა და ქცევაზე, ხშირად, უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე მაკროგარემოს გაშუალებული გავლენა. ყოველივე ეს ყოველდღიურობის ენაზე რომ გადავიყვანოთ ჩვენი შინაური „რადიო"—ვინმე დეიდა ნინა—შეიძლება იქცეს ჩვენთვის უფრო ავტორიტეტულ მსაჯულად, ვიდრე სწავლული მრჩეველები რადიოგადაცემისა—„უფროსებს ბავშვების შესახებ". არის კიდევ ბევრი სხვა უხილავი ძალა, რომელიც მართავს ჩვენს გატაცებებს: მოდა, პრესტიჟი, სურვილი ვიყოთ ისე „როგორც ყველა" ან „სხვებს არ ჩამოვრჩეთ". დედებისა და ბავშვების რამდენი ცრემლი დაღვრილა ამ კერპების სამსხვერპლოზე. რამდენი კეთილი განზრახვა და ლამაზი გრძნობა დამახინჯებულა, მთლად დაუკარგავს ნამდვილი სახე დედობრივი მოვალეობის მცდარი გაგების საფუძველზე.

ზოგჯერ სწორედ ის, ვინც მოწოდებულია იყოს ზნეობის ნიმუში, ადამიანური სათნოების აკუმულატორი, არღვევს ყოველგვარ მცნებასა და კანონს, რათა გზა გაუკაფოს თავის შვილს ყველა ამქვეყნიური სიკეთისა და პატივის მოსაპოვებლად.

პატარა ბავშვს არავინ ჩაუთელის დანაშაულად დედის ასეთ გადაჭარბებულ გულმოდგინებას და არც იმას, რომ თვითონ სარგებლობს ყოველივე ამით. მოზარდს და მით უმეტეს ქალიშვილს ან ჭაბუკს კი შეიძლება ვუსაყვედუროთ: რატომ იღებს ის, როგორც კუთვნილს, მშობლის მიერ არაწესიერი გზით მოპოვებულს? რატომ არ იტყვის უარს მოდურ ჭინჭებზე, სხვადასხვა სახის ძვირფას აპარატურაზე, დაბოლოს, ზედმეტ ფულზე, როცა იცის, რომ ყველაფერი ეს მოპოვებულია უპატიოსნო გზით? რატომ არ უნდა წავიდეს ტექნიკუმში ან ინსტიტუტში უკონკურსოდ, ნაცნობებით ჩარიცხვის წინააღმდეგ? გ. ს როზოვის პიესის — „გზა მშვიდობისა" მიხედვით გადაღებული ცხობილი ფილმის გმირს, სკოლის კურსდამთავრებულ ანდრეის სამართლიანად უსაყვედურეს: ეს მის გამო, სწავლისადმი მისი უგერგილო დამოკიდებულების გამო აებნა თავგზა დედას და ახლა ცდილობს „მოაწყოს" ის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, თუნდაც მისი ყოველგვარი დაინტერესების გარეშე.

მაგრამ თავისი და მშობლების ქცევის გამო პასუხისმგებლობის

შეგნებამდე ასამაღლებლად მოზარდი საჭიროებს მტკიცე სულიერ წრთობას. ამას კი ყოველთვის ვერ ილებენ ის ბავშვები, რომლებსაც არიდებენ ცხოვრების სირთულეებსა და წინააღმდეგობებს მათი სხვა მხრივ უნაკლო დედები.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალას გვაწვდის გერცენი. მისი ფილოსოფიური რომანის „ვინ არის დამნაშავე"—მთავარი გმირის ვლადიმერ ბელტოვის დედის საზრუნავია, უწინარეს ყოველისა, შვილის სულში მაღალი ზნეობრივი საწყისების. ფორმირება. ამ მიზნით მან შვილი ჩამოაცილა ყოველგვარ ცხოვრებისეულ პროზას, „სიბინძურეს" და მოათავსა ის სპილოს ძვლის თავისებურ კოშკში. უახლოესი გარემოცვისათვის, უფრო ზუსტად მათთვის, ვისაც ის თვითონ აფასებდა. ბელტოვის დედა იყო „შეუდარებელი". მაგრამ, ერთხელ მან მოისმინა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ „სიყვარულით აღვსილი ეგოისტია". ასე უწოდა მას ვაჟიშვილმა, როცა გაიზარდა და დაინახა, რომ სრულიად არ იცნობს ცხოვრებას, ვერ ხედავს მასში თავის ადგილს, არა აქვს შრომისა და ბრძოლის ელემენტარული ჩვევები. ის—თავისი დედის იმედის სხივი—იქცა საზოგადოებისათვის „ზედმეტ ადამიანად". თავისებურ აჩრდილად ცოცხალთა შორის. დედის ქცევის შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობა ზოგჯერ აბსურდამდეც მიდის. მაგალითად, კაბანიხა. დედა-დესპოტი პატივისცემით სარგებლობდა დიკებთან. პროსტაკოვა, დედა-მონა ნორმად იყო მიჩნეული სვინინების წრეში. ჩერნიშევსკის გმირი ქალის ვერა პავლეს ასულის დედამ თავისი ქალიშვილის აღზრდაში, როგორც მომგებიან წარმოებაში, დაბანდა თავისი ძალები და ფული და აქედან სოლიდური პროცენტების მიღებას მოელოდა. დედა-მეუახშე, არც ის იყო დაგმობილი თავის გარემოში.

რამდენი მიკროსამყაროცაა, იმდენი თავისებური „ეტალონია". რომელს გაჰყვება ნორჩი დედიკო, როცა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება არა აქვს?

გაეცანით ლ. ნ. ტოლსტოის საყვარელ წიგნს—„ცხოვრების გზა" და დარწმუნდებით, რომ გასაკიცხი არიან ის მშობლები, რომლებიც შვილებს ზრდიან „არა ადამიანური ცხოვრების იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც მოელით მათ, როგორც გონიერ და მოყვარულ არსებებს, არამედ მხოლოდ იმ სიამოვნებათა გათვალისწინებით, რომელთა მინიჭებაც შეუძლიათ მათ მშობლებისათვის! ასეთ ოჯახებში" მშობლების მთავარი საზრუნავი ის კი არ არის, რომ მოამზადონ ისინი (ბავშვები—თ. ა.) ადამიანისათვის შესაფერი ღირსეული საქმიანობისათვის. არამედ ის, რომ... რაც შეიძლება კარგად გამოკვებონ, მოამატებინონ სიმაღლეში, რომ ბავშვები იყვნენ სუფთები, თეთრები, მაძღრები, ლამაზები და, ყოველივე ამის გამო, განებივრებულები და

კრძნობადები. მორთულობა, კითხვა, სანახაობანი, მუსიკა, ცეკვები, გაკვრიელი საკმელი, მთელი მათი ცხოვრების ხასიათი, ყუთებზე დახატული სურათებიდან მოთხრობებსა და რომანებამდე სულ უფრო და უფრო მეტად აღვიძებს ამ გრძნობადობას, რასაც მოჰყვება ის, რომ ყველაზე ბილწი სქესობრივი მანკიერებანი და ავადმყოფობანი იქცევიან, მდიდართა ფენის ამ უბედური ბავშვების ზრდა-მომწიფების ჩვეულებრივ პირობებად."

თუ დავუკვირდებით ბავშვების აღზრდის პროგრამას, რომლის განხორციელებასაც მიზნად ისახავენ ზოგიერთი თანამედროვე დედები, ალბათ, შევამჩნევთ მსგავსებას იმ სურათთან, რომელიც დაგვიხატა უდიდესმა მორალისტმა. განა ვინმე უარყოფს, რომ მის შიშს, გაფრთხილებას აქვს სერიოზული საფუძველი? ისიც საფიქრებელია, აქვს კი ალტერნატივა იმ სურვილს, რომ საკუთარი შვილი გვყავდეს ჯანღონით სავსე, ბედნიერი, ყოველმხრივ დაკმაყოფილებული? მშიერს ხომ ვერ ამყოფებენ მათ მაშინ, როცა უფროსებს აქვთ ყველა შესაძლებლობა საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

თუ ყურადღებას გადავიტანთ აღზრდის გარეგანი, ხშირად ნიეთიერი მხარიდან პიროვნების ფორმირების შინაგან, სიღრმისეულ, არსობრივ მხარეზე, შეიძლება „დამსახურებული დედების" რიცხვში აღმოჩნდნენ ისინიც, ოომელთა შვილებს ცუდად აცვიათ, უბრალო საჭმელი აქვთ, მაგრამ ჯანმრთელი, მხნე და ენერგიულები არიან. ამასთანავე, ის დედები კი არ იქნებიან პატივში, რომლებიც შვილებს არიდებენ ცხოვრების მძიმე და რთულ მხარეებს და თავისი ბინის თბილ კედლებში ჰყავთ შეფარებული, არაუფედ ისინი, რომლებიც გაბედულად უშვებენ შვილებს ტყესა და მინდორში, ბუნების წიაღის სახელოსნოში.

ძველთაგან ორგვარი დამოკიდებულება აქვთ შვილების აღზრდისადმი დედებს. ერთის მიხედვით, ბავშვი სიკეთლის ყვავილია და ამიტომ მშობლის თავდაპირველი მოვალეობაა. გაუფრთხილდეს მას, ნებიერად გაზარდოს, სათუთად მოუაროს. მეორეს მიხედვით ბავშვი ისეთივე ადამიანია, როგორც უფროსი, მხოლოდ მისგან განსხვავებით ცოტა იცის და ნაკლები შეუძლია. ამიტომ მშობლის ამოცანაა მოამზადოს ის იმ სერიოზულ მოვალეობათა შესასრულებლად, რასაც მას აკისრებს ადამიანის სახელი. დიდი მნიშვნელობა აქვს ძვირფასი წიაღისეულის მიწის სიღრმეებიდან ზემოთ ამოტანას, მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სულის ძვირფასი „ნამარხების" გამომზეურებას. პოემის დაწერას ტალანტი უნდა, მაგრამ არანაკლები ტალანტი უნდა პოეტური გულის აღზრდასაც. დედას, მსგავსად პოეტისა, ყოველთვის არ შეუძლია წინასწარ იცოდეს როგორი

იქნება მისი შრომის შედეგი, ხშირად შეუძლებელიცაა ამის წინასწარმეტყველება. ამიტომ ვამბობთ, რომ დედობა შემოქმედების მონათესავეა, ისიც ხომ „სვლაა უცნობ სამყაროში."

პიროვნების ფორმირების პროცესი, როგორც ჩანს, თანდათან უფრო გართულდება, მოითხოვს მეტ ცოდნასა და დახელოვნებას მათგან, ვინც ხელს მოკიდებს ამ რთულ და რისკიან საქმეს. ბავშვები ხომ ჩაკეტილ ოჯახში არ იზრდებიან. უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ ისინი განიცდიან საკუთარი ინიციატივით აღმზრდელებისა და თანამდებობით აღმზრდელების მრავალრიცხოვანი ჯგუფების სხვადასხვაგვარ გავლენას. საბავშვო ბაღისა და სკოლის, ტელე და რადიო აღმზრდელები და მასწავლებლები მარტო დახმარებას კი არ უწევენ დედას, რაღაცაში მის კონკურენტებადაც გვევლინებიან. ისინი თანამედროვე სუპერტექნიკის გამოყენებით ახალგაზრდა თაობას ასწავლიან, იზიდავენ, ართობენ, იმისათვის, რომ არ დაკარგოს ავტორიტეტი ყოვლისმცოდნე აქსელერანტების თვალში, რომ ბავშვი მიმართავდეს მას ყველა თავისი შეკითხვითა და საწუხარით. დედამ ძალიან ბევრი უნდა „ივუშაოს თავის თავზე". ის დაუღლელად უნდა სრულყოფდეს თავის თავს, უნდა იზრდებოდეს შვილებთან ერთად. მაშინ ალბათ, მოწიფული შვილი მადლიერებით იტყვის: რაც ჩემში კარგია, დედისგან მაქვს მიღებული. ეს იქნება ამ რთულ თანამდებობაზე მყოფის ყველაზე მაღალი ატესტაცია. სხვა ყველაფერი გარეგანია, შემთხვევითია, როგორც წარმოსახვაში, ისე ცხოვრებაში.

დედობის მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად ქალებს გამოადგებათ ერთხელ კიდევ გაიხსენონ ვ. ა. სუხომლინსკის ბრძნული სიტყვები"... მე უნდა ვიყო ასჯერ უფრო ბრძენი მამაკაცზე, ჩემი შვილების მამაზე. იმიტომ, რომ ადამიანის გვარის გაგრძელების, სულიერ სიმდიდრეთა შენარჩუნებისა და კიდევ უფრო გაზრდის მისიაში ადამიანურმა ბუნებამ მე დამაკისრა შეუდარებლად უფრო დიდი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას... უნდა ვიყო ამაყი, ბრძენი, მიუწვდომელი... უნდა მქონდეს ის, რითაც ამაყობ ადამიანი: საკუთარი ღირსება, ცხოვრების მაღალი მიზნის შეგნება, შემოქმედებითი ნიჭი, მიდრეკილებები, მოწოდება. „ეს არის არა მარტო ჩვენი შვილების ბედნიერი გაფურჩქვნა-მომწიფების საწინდარი, არამედ ეს ჩვენი საკუთარი სულიერი ზრდის, ხანგრძლივი სიცოცხლის და ჯანმრთელობის პატივსაცემი და ღირსეული მოხუცებულობის საწინდარიცაა. ღირს რომ ძოვინდომოთ, მივაღწიოთ ყოველივე ამას.

ქალისადმი ასეთი მოწოდებით შეგნებულად ხომ არ ვაყენებთ მამაკაცს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, პასიურ როლს ხომ არ ვაკუთვნებთ მას ბავშვების აღზრდაში?

შეუღლეთა ურთიერთქმედების თავისებურება მეტად ხატოვნად წარმოგვისახა ჰ. ლონგფელომ პოემაში „სიმღერა ჰაიავათაზე“:

„მშვილდი კაცია, ღარი კი ქალი,
მშვილდს წელში ღუნავს ღარი ძლიერი,
ღუნავს და მაინც ემორჩილება,
იმორჩილებს, მაგრამ თან მისდევს მაინც.
არ შეიძლება მათი გაყოფა,
ცალ-ცალკე არცერთს არა აქვს ფასი.“.

(ო. ჭილაძის თარგმანი)

დედისა და მამის ინტერესები მიმართულია საერთო მიზნისაკენ: გამოზარდონ და აღზარდონ შვილები ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანმრთელები, მოქალაქეობრივად მოწიფულები, უზრუნველყონ მათი შესაძლებლობების სრული გაშლა-განვითარება და მისცენ შესატყვისი განათლება. მაგრამ მეუღლეთაგან თითოეული, ამ მიზნისათვის იღწვის თავისი საკუთარი გზებითა და საშუალებებით. თუ დედის საზრუნავს წარმოადგენს ძირითადად ბავშვის ჯანმრთელობის, ფსიქოფიზიკური ძალების შენარჩუნება, მამის აღმზრდელობითი საქმიანობის მიზანია, ასწავლოს ბავშვს მათი თანამად ხარჯვა საერთო სარგებლობისთვის. როგორც წესი, სწორედ მამა უვითარებს ბავშვებს ისეთ ჩვევებს, რომლებიც საჭიროებენ დაძაბვას, ნებელობის ძალისხმევას, თავგანწირვას, აღზრდის მათში დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობას, მიმართავს მათ ინტერესებს საკუთარი სახლის ზღურბლს გარეთ. უმეტეს შემთხვევაში სწორედ ის აზიარებს თავის შთამომავლობას საზოგადოებრივ საქმიანობას და საზრუნავს.

მამა ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის როლს: საზოგადოებაში ის გამოდის, როგორც ოჯახური საწყისისა და ინტერესების მატარებელი, ხოლო სახლში, როგორც საზოგადოებრივი საწყისის მესვეური. სწორედ, ამით შეუძლია მამას დედის აღმზრდელობითი ფუნქციების შევსება, თუმცა ვერ შეცვლის მას.

ხშირად, დედა ზრდის ბავშვებს უმამოდ. უდავოა, ეს მოითხოვს გაცილებით მეტ ძალისხმევას და იშვიათად, რომ ქალმა, ამ რთულ საქმეს თავი გაართვას სხვისი დახმარების გარეშე. აქ მამის როლი თავის თავზე უნდა აიღოს პაპამ, ან დედის უფროსმა ძმამ, ზოგჯერ შეიძლება კარგმა მეგობარმაც. იმიტომ, რომ ბავშვებისთვის აუცილებელია მამაკაცური ქცევის ხილული მაგალითი.

დღეისათვის ოჯახის წევრთაგან იშვიათად თუ ვინმესთვის არის საესურველი მამაკაცის ტყუილ-უბრალოდ ყოფნა სახლში. თანამედროვე ჰშობლის მიმართ მოთხოვნები წლითიწლობით იზრდება. ოდესღაც

საკმარისი იყო, მამა გათამაშებოდა პატარას, გაესეირნა მასთან ერთად ეზოში, ესრიალებინა იგი ციგით. ახლა ახალგაზრდა კაცის მომზადება მამობისათვის იწყება გაცილებით ადრე პატარას გაჩენამდე. მომავალ მამებს უკითხავენ ლექციებს ახალდაბადებულთა მოვლის შესახებ, ასწავლიან მათ კვებას, შეხვევას და ჩაცმას. იყო დრო, როცა ახალგაზრდა კაცები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ახალდაბადებულის მოვლის თავიდან ასაცილებლად და მიაჩნდათ, რომ ბავშვის მოვლა ოდითგან დედის საქმე იყო და არის. ცხადია ასე იმიტომ ითვლებოდა, რომ ბავშვი დედასთან უფრო ახლოა ფიზიოლოგიურად. იგი მშვიდდება, როცა თავის გვერდით გრძნობს დედის ჩვეულ გულისცემას, როცა ისუნთქავს მის სურნელებას და ესმის მისი ხმა. მაგრამ, როცა მამას ასწავლიან ჩვილის მოვლას, კონსულტანტები ითვალისწინებენ არა მხოლოდ დედის ინტერესებს, რომელსაც სჭირდება დახმარება ქმრისაგან, არამედ რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ ეს, მოქმედებენ მეტწილად მამის ინტერესების სასარგებლოდ. მამას მხოლოდ მაშინ შეუძლია მთელი სისრულით განიცადოს შვილის სიყვარული, როცა თვითონ თავისი ხელებით შეიგრძნობს ბავშვის სინაზეს, უსუსურობას, მის დამოკიდებულებას უფროსების, მათ შორის მამის, ყურადღებასა და ზრუნვაზე, რომელმაც უნდა ასწავლოს თავის შვილს ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული მეცნიერება-ცხოვრება! მამა შეუდარებელ სიხარულსა და სიამოვნებას იგრძნობს, როცა დაინახავს როგორ იზრდება ბავშვში ნდობა მის მიმართ, როგორ უჩნდება ბავშვს სურვილი მიეკრას მამას, ამოეფაროს მის ზურგს. სიამაყე, დარწმუნებულობა საკუთარ თავში, თავის აბსოლუტურ შეუცვლელობაში — აი ის გრძნობები, რომლებსაც აღვიძებს მამაში ნამცეცა არსება.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბუნება და საზოგადოება ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებს უყენებს დედას. აქ, არსებითად, იგულისხმებოდა ის სიტუაცია, როცა შვილების აღზრდის მთელი სიმძიმე მხოლოდ დედას აწევს მხრებზე. მაშინ კი, როცა მამა ხალისით იღებს თავის თავზე ამ ტვირთის ნაწილს, აღნიშნულ წინააღმდეგობათა სრული დაძლევა თუ არა, მათი მნიშვნელოვნად შერბილება მაინც ხდება. აი როგორ წარმოუდგება მამის მისია პოეტ ი. შკლიაროვსკის, რომელიც მწვავედ განიცდიდა მის დაკარგვას.

„იძინე, — ამბობდა დედა,
ადექი! — ამბობდა მამა,
ჭამე, — ამბობდა დედა,
ისწავლე! — ამბობდა მამა.

ჩამოვალ, ისევ ის სიტყვები,
მაგრამ აღარ ისმის ყველა,
დარჩა მხოლოდ: იძინე, ჭამე,
დანარჩენი გაპრილა ველად."

თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ პედაგოგიკის გამოჩენილი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების უმეტესობა მამაკაცებია. თუმცა მათ, ძირითადად, საქმე აქვთ სასკოლო ასაკის ბავშვებთან და მათზე დიდებთან. პატარა ბავშვებს კი ყოველთვის უვლიან ქალები. ისეთი თვისებები, როგორიცაა მოთმინება, აკურატულობა, ყველასადმი თანაბარი კეთილმოსურნეობა კაცობრიობის მამაკაცურ ნახევართან ჯერ კიდევ მაინცა და მაინც პატივში არ არის. როცა საკუთარი ბავშვები გეყოლებათ თუ იგრძნობთ ამ თვისებების ნაკლებობას, ნუ იჩქარებთ და ყველაფერს თქვენს მამაკაცურ ბუნებას ნუ გადააბრალებთ; ეცადეთ, გამოიმუშაოთ ეს თვისებები ნებისყოფის საშუალებით. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს თვისებები თქვენ გამოგადგეთ საქმიან დამოკიდებულებათა სფეროშიც. როდის და ვინ ავხო კეთილმოსურნეობამ, შემწყნარებლობამ?

როცა ბავშვები ისე წამოიზრდებიან, რომ მოკლე შარვალი უკვე აღარ შეეფერებათ, არსებითად იცვლება მამის როლი მათ ცხოვრებაში. მამამ უნდა მიაჩვიოს შვილები შრომას, შრომას დაძაბულს, შეიძლება სახიფათოსაც კი. ის უნდა დაეხმაროს შვილების ახლო და შორეული მიზნების დანახვაში, უნდა ასწავლოს განზრახულის მიღწევა. ყველა საშინაო სამუშაოს, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ მომზადებას, მამა უნდა აკეთებდეს ვაჟიშვილებთან ერთად, რომ პატარაობიდანვე მიაჩვიოს ისინი მამაკაცურ საოჯახო საქმიანობას.

მოვა დრო და მამას მოუწევს ასწავლოს ბიჭს მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიური თავისებურებების ჰიგიენა, ასწავლოს თუ როგორ უნდა ეპირიოს თავი გოგონებთან, როგორ მოიპოვოს მათი პატივისცემა, ყურადღება, როგორ გაუფრთხილდეს მათ პატიოსნებას და ღირსებას. ვერავითარი წიგნები ვერ შეცვლის ნდობით აღსავსე გულახდილ საუბარს მამისას ვაჟიშვილთან, ხოლო დედისას-ქალიშვილთან. მამას ხომ შეუძლია გააფრთხილოს და დაიცვას ბიჭი იმ შეცდომებისაგან, რომლებმაც მის მშობელს ახალგაზრდობაში საკმაო უსიამოვნება მიაყენეს.

ამ სახის, უკიდურესად გულწრფელი და გულახდილი საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ერთმანეთის აბსოლუტური ნდობა აქვთ და ნამდვილი მეგობრები არიან. როგორც უკვე ვთქვით, ნამდვილი ოჯახი წარმოადგენს სისხლმონათესაეეთა თანამეგობრობას. დედისა და მამის, როგორც კარგი აღმზრდელების ხელოვნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავტო-

რიტეტის დაუკარგავად, ბავშვებთან დამოკიდებულებაში აგდებული ფამილარობის დაუშვებლად, გახდნენ მათი ყველაზე ახლო, გულითადი მეგობრები, რომელსაც შეიძლება ყველაფერი, ყველაფერი... უთხრა და დარწმუნებული იყო, რომ გაგიგებენ, მხარში ამოგიდგებიან. მშობლებს კი, თავის მხრივ, სჭირდებათ დარწმუნებულობა იმაში, რომ თუ უფროსებს გაუჭირდებათ, უმცროსები არ შეშინდებიან, არ აწუწუნდებიან, არამედ, პირიქით, თვითონ იშრომებენ და იზრუნებენ მამისეული სახლის კეთილდღეობაზე.

ზვიდი „მე"-ბევრია თუ ცოტა?

აქამდე ჩვენ ვმსჯელობდით უფროსებთან ბავშვების ურთიერთობის შესახებ. მაგრამ არის კიდევ ოჯახურ ურთიერთობათა ერთი მხარე, რომელსაც უდიდესი ემოციური ზემოქმედება აქვს ბავშვებზე. ეს არის და-ძმების დამოკიდებულება, ერთმანეთთან ურთიერთობა ძალიან ბევრს აძლევს მათ. სამწუხაროდ, თანამედროვე ოჯახში ბავშვი, ძალიან ხშირად, მოკლებულია და-ძმური სიყვარულის მშვენიერ გრძნობას. კმაყოფილდება რა ერთადერთი ბავშვით, ზოგიერთი დედა ამ გადაწყვეტილების თეორიულ საფუძვლად მიიჩნევს იმას, რომ ორივე მშობლის მუშაობის პირობებში თითქოს შეუძლებელი იყოს რამდენიმე ბავშვის გაზრდა-აღზრდა იმ მოთხოვნების დონეზე, რომელსაც უყენებს ადამიანს ჩვენი რთული საუკუნე. განვიხილოთ სამართლიანია თუ არა ამგვარი მსჯელობა.

პედაგოგების შეხედულება ამ საკითხზე ერთნაირია: მრავალშვილიანი ოჯახი უკეთესად ასრულებს ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადების ფუნქციას.

საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში ყოველთვის შეიძლება მივხვდეთ ყოველგვარი განსაკუთრებული დაკვირვების გარეშე, რომელი პატარა თუ მოზარდი არის მრავალშვილიანი ოჯახიდან. ასეთი ბავშვები როგორც წესი არ არიან ჭირვეულები. ისინი არიან მარჯვე, მოხერხებული, დამოუკიდებელი, გულთბილი და სხვებზე მზრუნველი, მათში ნაკლებია ყოყოჩობა და ეგოცენტრიზმი. ხოლო სწავლაში მათი წარმატება მცირედ განსხვავდება დედისერთა ბავშვების წარმატებისაგან.

განა სჭირდება ახსნა იმას, თუ რა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ასეთი ბავშვები ნებისმიერ გარემოზე, რომელშიც კი მოხვდებიან? მშობლების გრძნობა-გონებისთვისაც ხომ უმაღლესი ჯილდოა კეთილგანწყობილი და შრომისმოყვარე შვილები. შინაურების საყოველთაო ყურადღებით და მზრუნველობით განებივრებული, განსაკუთრებულ ოჯახურ პირობებში სათბურის მცენარესავით გამოყვახა-

ლი ერთადერთი ბავშვის ჭვრეტა კი ნამდვილი ტანჯვაა. მისთვის ნებისმიერი ორპირი ქარი—ქარიშხალია, ნებისმიერი ცხოვრებისეული სიძნელე-მიწისძვრაა.

დემოგრაფებს მიაჩნდათ, რომ ყველაზე ოპტიმალური არის სამ-ოთხ ბავშვიანი ოჯახი. ეს რიცხვი შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით და ოჯახის წევრებსაც აძლევს საშუალებას ნათესაურ გრძნობათა სრული გამა განიცადონ.

თანამედროვე ოჯახის ოპტიმალური შემადგენლობის საკითხის შემსწავლელი ფსიქოლოგებიც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ თუ ოჯახში არიან მოხუცები-ბებია ან პაპა, ან ორივე ერთად, ბავშვები უნდა იყვნენ იმდენივე რამდენიც არიან უფროსები: სამი-ოთხი. ბავშვების განსაკუთრებულად მოყვარულ ცოლ-ქმარს თავისუფლად შეუძლიათ მეტიც გაზარდონ.

ბუნებრივად დგება საკითხი: რატომ იყო, რომ წინათ, გაცილებით მშიერ და მკაცრ დროში გლეხის, მუშის და არისტოკრატის ოჯახშიც კი, როგორც წესი ჰყავდათ ბევრი ბავშვი, ხოლო ერთშვილიანი ოჯახი გამონაკლისს წარმოადგენდა. ახლა კი ყველაფერი შებრუნებითაა.

საბჭოთა დემოგრაფები თვლიან, რომ ჩვენს წინაპრებს იმიტომ კი არ ჰყავდათ ბევრი შვილი, რომ მშობლიური ინსტინქტი ჰქონდათ უფრო ძლიერი და უფრო მეტად იყვნენ შვილების მოყვარულნი, არც მხოლოდ გაუნათლებლობისა და ზნე-ჩვეულებათა სიმარტივის ან ორსულობისაგან თავის დაცვის საშუალებათა უქონლობის გამო და ა. შ. ეს უკანასკნელი — ნამდვილად შეცდომაა: ჯერ კიდევ ათასეული წლების წინ ეგვიპტესა და საბერძნეთში ცნობილი იყო ორსულობის შეწყვეტისა და მისგან თავის დაცვის საშუალებანი. ისინი ცნობილი იყო ინდიელთა ტომებისათვისაც. მაგრამ შობადობაზე ეს გავლენას არ ახდენდა. ჩვენს ქვეყანაში არის რეგიონები, სადაც შემონარჩუნებულია ტრადიციული მრავალრიცხოვანი ოჯახები, მიუხედავად იმისა, რომ იქაც ცნობილია შობადობის შეზღუდვის საშუალებანი.

ა. ხარჩევის აზრით, წარსულში დიდი შობადობა ემყარებოდა იმის შეგნებას, რომ საჭიროა შეიქმნას გარკვეული „სიმტკიცის მარაგი". ძველად ახალდაბადებულთა მხოლოდ ნაწილი აღწევდა მოწიფულობის ასაკს; ასე იყო ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ოჯახებშიც კი. ბავშვის გარდაცვალება ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც დაბადება. „ღმერთმა გვიბოძა, მანვე ინება მისი წაყვანა" — ასე ამბობდნენ ჩვენი ბებიები. ახლა ახალდაბადებულთა დიდი უმეტესობა ცოცხლობს. ამიტომ შემცირდა იმის შიშიც, რომ მცირე რაოდენობის ბავშვების ან თუნდაც ერთის გაჩენის შემთხვევაში ადამიანი შეიძლება უშვილოდ დარჩეს. გარდა ამისა, რომ შევადაროთ ახლან-

დელი და გასული საუკუნე, დანამდვილებით ვერ ვიტყვით „დააგროვებდნენ“ თუ არა ახლანდელ პირობებშიც ძველი ბებიები იმღენივე ბავშვს თუ შეჩერდებოდნენ მესამეზე, მეოთხეზე. წინათ ბავშვი იზრდებოდა, როგორც ბალახი გზის პირას, ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ „კვერცხს“ სცოდნოდა და შესძლებოდა „ქათამზე“ მეტი. ახლა კი სწორედ ეს მოთხოვნები და მოსაზრებები უჩნდება ყოველ მეოჯახეს, როცა წყვეტს საკითხს: ჰყავდეთ თუ არა კიდევ ერთი ბავშვი? ამიტომაც მივიდნენ სპეციალისტები იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებისთვის უფრო სასურველი იქნება შეუზღუდველი მრავალშვილიანობიდან სამ-ოთხ ბავშვიან ოჯახზე გადასვლა.

ჩვენი წინაპრები უფრო მეტ ბავშვებს აჩენდნენ ანგარების გამოც: ბავშვები მარტო მჭამელი და მომხმარებლები კი არ იყვნენ, არამედ ისინი იყვნენ მშობლების მარჩენალი, მათი დასაყრდენი მოხუცებულობაში. ნახევარი საუკუნის წინ ბავშვის „დამუშავება“ დამოუკიდებელი შრომისათვის იწყებოდა ცხრა-ათი წლიდან, გლეხებთან-უფრო ადრეც. ახლა, ჩვენთან, ყველა ოჯახი თავისი შრომით ირჩენს თავს და დამოუკიდებლად განათლების დონისა, სოციალური და მატერიალური მდგომარეობისა ინახავს, ზრდის და ასწავლის თავის მემკვიდრეს თითქმის ორჯერ უფრო ხანგრძლივად—მინიმუმ თექვსმეტ წლამდე მაინც. სახელმწიფოც დიდძალ სახსრებს ხარჯავს თითოეული მოსწავლისა და სტუდენტის სწავლებაზე.

საინტერესოა, რომ ხშირად მეზობლად მცხოვრებ ოჯახებს აქვთ ცხოვრების ერთიდაიგივე პირობები, მშობლებს ერთნაირი განათლება და პროფესია, ბავშვების რაოდენობა კი მათში სხვადასხვაა. კულუნდინის სტეპში მეზობელ კოლმეურნეობებში ცხოვრობენ მიწათმოქმედები. ერთ სოფელში ოჯახში 8 — 12 ბავშვი ჰყავთ, მეორე სოფელში ოჯახში 2—3 ბავშვი. ვიკითხეთ ასეთი განსხვავების მიზეზი. ერთმა ქალმა თქვა: „მათ ფხიზელი, წესიერი მამაკაცები ჰყავთ, ცოლებიც არ მუშაობენ. რატომ არ გააჩენენ შვილებს.“

მაშასადამე, ოჯახში ბავშვების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საიმედო ბურჯია მამაკაცი ცოლისათვის, ოჯახისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდ როლს თამაშობს ისიც თუ როგორი ღირებულებები აქვთ ქალსა და მამაკაცს. თანამედროვე ოჯახებში მცირეშვილიანობის მიზეზი ზოგჯერ ისიც არის, რომ დილემას-ბავშვები თუ ნივთები, კომფორტი და თავისუფალი დრო ცოლ-ქმარი წყვეტს ყოფითი მოწყობისა და სიამოვნების სასარგებლოდ. ბავშვები ჩვეულებრივ ნივთების მტრები, მათი „კონკურენტები“ არიან. მომხმარებლური აჟიოტაჟი აიძულებს ამ მშობლებს ცოცხალი უკვდავება შესწირონ ნივთიერ ღირებულებებს.

სარედაქციო ფოსტა იღებს ქმრების ბევრ წერილს, რომლებშიც გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ ცოლი უარს ამბობს ორი ან სამი ბავშვის გაჩენაზე, მაშინ, როცა ყველა პირობა აქვთ ამისათვის და ქმარიც მზად არის გაინაწილოს ბავშვების მოვლა-აღზრდის ტვირთი. ქმრების უკმაყოფილება ასეთ შემთხვევებში სრულიად კანონიერია. როცა ჯანმრთელი ქალი უარს ამბობს ბავშვის გაჩენაზე, ის არსებითად გამოდის, როგორც ადამიანი, რომელმაც ძალით მიითვისა ის, რაც არ ეკუთვნის მხოლოდ მას. მან მიითვისა ქმრის უკვდავყოფის, უფროსი თაობის კეთილდღეობის საკითხის გადაწყვეტის უფლება. და მთელი საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წყვეტს მარტო თვითონ, უაღრესად ეგოისტური პოზიციებიდან.

შეიძლება ასეთ გადაწყვეტაში დამნაშავე იყოს არა მარტო ქალი, არამედ მამაკაციც თუ ის იზიარებს იმ ახალგაზრდა ქმრის შეხედულებებს, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ თავში „ახალმოვლენილი პატარები" და რომელსაც აზრი ვერ შეაცვლევინეს მთელმა ნათესავებმა და ნაცნობებმა. თუმცა ქმარს შეუძლია თავისი გაიტანოს მხოლოდ მანამდე, ვიდრე ცოლი იზიარებს მის შეხედულებებს. საბოლოო სიტყვა კი მაინც ცოლს ეკუთვნის.

მამაკაცებს ადვილად და მარტივად მოსდით შვილები. სამართლიანად შენიშნავენ ხოლმე ქალები. — მამები არ ატარებენ შვილს თავის სხეულში, არ შობენ, არ აწოვებენ, არ უვლიან.

ყველაფერი ეს უდავოდ სწორია ერთ წლამდე ბავშვის მოვლის მთელი სიმძიმე ქალის მხრებზეა. მართალია, მამაკაცებს მოუწოდებენ, რომ ყოველმხრივ შეუმსუბუქონ მდგომარეობა ქალს — დედას, მაგრამ ისინი ყოველთვის ვერ პოულობენ თავის ადგილს ძუძუთა ბავშვის გამოზრდის რთულ პროცესში. მომავალში ალბათ ეს პრობლემა მოიხსნება იმ სკოლების საშუალებით, რომლებიც ახალგაზრდა მამებისათვის გაიხსნა ქალაქებსა და რაიონებში. ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ კამათში ქალის კარიერაც მოაქვთ არგუმენტად. მრავალშვილიან დედას მოუწევს უარის თქმა პატივმოყვარულ მისწრაფებებზე — მიაღწიოს მაქსიმუმს არჩეულ საქმიანობაში. ორი ან სამი შვილის შემთხვევაში ის უეჭველად ჩამორჩება თავის უშვილო ან ერთშვილიან თანატოლ კოლეგებს.

ძალიან ბევრი ფაქტი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. თუ ბავშვები დაიბადებიან ერთიმეორის მიყოლებით, მაშინ დროის და ძალების დანაკარგი პრაქტიკულად ერთნაირი იქნება! პირველ და ერთადერთ ბავშვზე დედა „იხარჯება" უფრო მეტად, ვიდრე ორსა და მით უმეტეს, სამ ბავშვზე. ჯერ ერთი, მას ყველაზე მეტად ქანცავს ბავშვის მოვლა-გამოკვების ელემენტარული ჩვევების უქონლობა, მეორე

ბავშვთან ბევრი პროცედურა მიმდინარეობს თითქმის ავტომატურად. გარდა ამისა, პირველი ბავშვი მოითხოვს დიდ ყურადღებას, ნერვული ენერგიის დიდ დანახარჯს, რადგან მას არავინა ჰყავს გართობა-თამაშისათვის. ამიტომაც, ის ყოველწუთს დედას მიმართავს. როცა ორი ან სამი ბავშვია, ისინი შესანიშნავად ართობენ ერთმანეთს. მეორე ბავშვი მატერიალურ ხარჯებსაც ნაკლებს მოითხოვს, რადგანაც პირველის ტანსაცმელს და ნივთებს მეორე ხმარობს. ორი ბავშვის ავადმყოფობაც არ ართმევს დედას ბევრად მეტ დროს ვიდრე ერთისა. ბავშვის ჯანმრთელობა ბევრადაა დამოკიდებული მშობლების სულიერ წონასწორობაზე. მაგრამ, განა შეიძლება მშვიდად იყოს ერთადერთი შვილის დედა, როცა მუდმივ შიშშია არ დაკარგოს იგი, გული მისდის მისი ტემპერატურის ყოველ აწევაზე?

დაბოლოს, ქალის პროფესიული ინტერესების შესახებ. რა დამოკიდებულებაშია ის ბავშვების რაოდენობასთან? საჭირო არ არის ექსპერტი იმის დასადგენად, რომ ორ-სამ შვილიანი დედის წინსვლა სამსახურში რამდენადმე ყოვნდება, მაგრამ მისი კარიერა სრულიადაც არ იმსხვრევა. შეადარეთ ერთმანეთს ასე ორმოცდაათ წელს, სამსახურებრივი თვალსაზრისით საპენსიო ასაკს მიახლოვებული ქალები. ისინი, როგორც შვილიანები ისე უშვილოები, უმეტეს შემთხვევაში, ერთ „სიმაღლეზე“ დგანან. რატომ?

ჩამორჩება რა ახალგაზრდობის წლებში, შემდგომში დედა ასწრებს აღადგინოს გამოტოვებული (თუ რა თქმა უნდა მის პროფესიას არა აქვს მყარი ასაკობრივი საზღვრები, როგორც მაგალითად ბალერინას). სამაგიეროდ, წლების მატებასთან ერთად ამცირებს ტემპს ის, რომელმაც სამსახურებრივი წარმატებისთვის თავის თავს უარი უთხრა დედობის რთულ ბედნიერებაზე.

ფრანგმა მკვლევარებმა „გამოთვალეს“, რომ ქალებთან შვილიანობისათვის ყველაზე აქტიურ ასაკში—20—30 წლებში ხდება პროფესიული, უპირველეს ყოვლისა, ინტელექტუალურ შესაძლებლობათა დაქვეითება. მაშასადამე, მშობიარობს თუ არა ქალი, მისი ორგანიზმი მაინც განიზიდავს ენერგიას სამსახურებრივი საქმისგან. თრგუნავს რა თავის ბუნებრივ მისწრაფებებს, ქალი წლების მატებასთან ერთად გრძნობს ჯანმრთელობის დარღვევას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას—ასე იძიებს ბუნება შურს განდგომისთვის. გადის დრო და სადოქტორო დისერტაცია არ არის დამთავრებული, მნიშვნელოვან აღმოჩენებსაც აკეთებს ვიღაც სხვა. ოდესღაც პროფესიაში წარმატებული ქალი ნაღვლიანად ადევნებს თვალს სხვის პატარებს და სევდით მოცული ფიქრობს ცხოვრებაში თავის აზრსა და დანიშნულებაზე.

მშობლებს, ერთადერთი კი არა, რამდენიმე ბავშვი სჭირდება მოხუცებულობაში თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმა-

ყოფილებლად. ამას ბევრი არ ითვალისწინებს იმიტომ, რომ პენსიონერებზე ზრუნავს სახელმწიფო. მაგრამ, საზოგადოების ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემქმნელნი დღევანდელი მშრომელები ხომ გუშინდელი შვილები და შვილიშვილები არიან. მათ რაოდენობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, ქვეყნის შესაძლებლობა — უზრუნველყოს თავისი არაშრომისუნარიანი მოსახლეობა. თუ დარღვეული იქნება სრულფასოვანი მუშაკებისა და „მხოლოდ მჭამელების" (თუნდაც დამსახურებულთა) თანაფარდობა, მაშინ რა თქმა უნდა წარსულში შრომისთვის კომპენსაციის ხასიათი სრულიად სხვა იქნება, სასურველზე გაცილებით დაბალი. მშობლებისა და შვილების მატერიალური დამოკიდებულების საკითხი მეტად სერიოზულია და იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. მასზე ჩვენ ვიმსჯელებთ ოჯახის ეკონომიკის საკითხების განხილვისას.

ახლა ვისაუბროთ იმის შესახებ თუ რას აძლევს და-ძმების ურთიერთობა თვითონ ბავშვებს. პირველ რიგში გავარკვიოთ რა არის ძმობა.

გავიხსენოთ, რომ ყველა დიდი მოაზროვნესთვის, რომელიც ოცნებობდა სიკეთისა და სამართლიანობის მომავალ სამეფოზე, ადამიანთა ერთობის უმაღლესი გამოხატულება იყო ძმობა მათ შორის! შორეულ და უახლოეს წლებშიც არსებობდა ასეთი რომანტიკული წესი: მეგობრები, თანამებრძოლები, თანამოაზრეები ერთგულების ფიცს განამტკიცებდნენ სისხლით და ხდებოდნენ ძმადნაფიცები. სულიერი ძმები, კლასობრივი ძმები, შრომაში ძმები, ბრძოლაში ძმები... გამოდის, რომ ძმობა თავის უმაღლეს გამოხატულებაში შეიძლება ეფუძნებოდეს არა მხოლოდ სისხლით ნათესაობას, არამედ მიზნების, იდეების, საქმის ერთობასაც. შემთხვევითი არ არის, რომ კაცობრიობამ ეს სიტყვა მიიღო, როგორც დაურღვეველი ადამიანური კავშირების ეტალონი.

ღვიძლი ძმები ძმებად რჩებიან მაშინაც კი, როცა თითოეულს თავისი ცხოვრება, თავისი მისწრაფებები აქვს. იმიტომ რომ მათ ცნობიერებებში გამომუშავებულია „თანამონაწილეობის რეფლექსი" რომელიც საფუძვლად უდევს მათ ურთიერთადმოკიდებულებას. აღმოცენდება რა ადრეული წლების ერთობლივ თამაშობებში მცდელობებში, ცელქობა-ეშმაკობაში. ეს რეფლექსი ვითარდება ცხოვრების საწყის ეტაპზე და იქცევა ყოველგვარ გასაჭირში ძმისთვის მხარის დაჭერის მტკიცე, დაურღვეველ ჩვევად, რომელიც არ მოითხოვს ჯილდოსა და პატივს.

ცნობილია სხვაგვარი მაგალითებიც, როგორც ცხოვრებისეული, ისე ლიტერატურული, რომლებიც გვიჩვენებენ ძმებს შორის არსე-

ბულ გაუცხოებას, სიცივეს და მტრობასაც კი. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ღვიძლი ძმები იყვნენ იუდუშკა გოლოვლიოვის პროტოტიპი და... მწერალი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, რომელმაც უმკაცრესი სიმართლით დაგვიხატა ეს საშინელი სახე და საზოგადო სახელად აქცია მისი სახელი. ძმებს შორის ანტაგონიზმის უპირველესი მიზეზია, ალბათ, მშობლების მეტად გულგრილი დამოკიდებულება შვილებისადმი, ან დედ-მამის მიერ მათი დაყოფა „გამორჩეულად საყვარელ“ და „მობეზრებულ“ ბავშვებად.

ერთმანეთის სიყვარულს და-ძმები სწავლობენ მშობლებისგან. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვების მიმართ მშობლების დამოკიდებულება იყოს ერთნაირი, სამართლიანი, რაც სამწუხაროდ ყოველთვის არა გვხვდება. სკოლის მასწავლებლებისთვის ცნობილია, რომ ხშირად, დიდ ოჯახში უმცროსი ბავშვი უფრო მეტადაა განებივრებული, უფრო ეგოისტია, ვიდრე თუხდაც დედისერთა. სწორედ, ეს უთანასწორობა, რომელსაც გრძნობენ ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანებისგან — წარმოშობს მეტოქეობას, ეჭვიანობას და შურსაც კი, რომელიც შემდეგ მტრობაში გადადის.

...როცა ვეცნობით ულიანოვების საოცარი ოჯახის ისტორიას, ვხედავთ, რომ ამ და-ძმათა მეგობრობის, თანამშრომლობის ძირითადი საფუძველი, საძირკველი იყო მშობლების ერთნაირად გულთბილი დამოკიდებულება ყველა ბავშვისადმი. როგორც მშობლების, ისე ბავშვების ყურადღება მიმართული იყო ივისკენ, ვისაც მოცემულ მომენტში სხვებზე მეტად სჭირდებოდა დახმარება და მხარდაჭერა. ამიტომ აღვიქვამთ ულიანოვებს, როგორც ერთ მთლიანს, მაშინაც კი, როცა მათგან რამდენიმე დამოუკიდებელი ოჯახი ჩამოყალიბდა, ყველა ცხოვრობდა ცალცალკე და ერთმანეთთან ურთიერთობა ძირითადად მიმოწერით ჰქონდათ.

აი, ასეთ ერთობას ვუწოდებთ სისხლმონათესავეთა ურთიერთსიყვარულის გრძნობას, წმიდათა-წმიდა ძმობას. ქართველი ხალხისთვის, ძმობა რაც მამაკაცთა შორის დამოკიდებულების უმაღლეს დონეს აღნიშნავს, თანაბრად ვრცელდება ქალებს შორის და ქალსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულებაზეც, ალბათ იმიტომ, რომ აქ ძველთაგანვე ქალი მამაკაცის თანაბარია-დედაკაცია, „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია.“ ქართულ ენაში ძმობის გვერდით გვაქვს სიტყვები დაძმობა, დობა, რაც ყველა ენაში არა გვხვდება. საგულისხმოა, რომ საქართველოში ძმადნაფიცობასთან ერთად არსებობდა ქალსა და ვაჟს შორის და-ძმად გაფიცვა და ქალების დად გაფიცვა. ეს ორი უკანასკნელიც, ძმადგაფიცვის მსგავსად, სისხლით აღიბეჭდებოდა და სისხლმონათესავეთა დამოკიდებულების ძალას

იძენდა. ამასთანავე, როცა ქალებს ოჯახის შინა საქმიანობისგან თავის დაღწევისა და გარე ინტერესების საფუძველზე გაერთიანების შესაძლებლობა ეძლეოდათ, ამ საზოგადოებრივი ერთობის აღსანიშნავად „ძმობის" ექვივალენტური-ქალურ საწყისზე აქცენტირებული სიტყვაც არსებობდა. მაგალითად, ცნობილია სახელწოდება სამონასტრო დობა.

საინტერესოა რატომ არ არის ძმობის მსგავსი ტერმინები დებსა და ძმებს შორის, ან მარტო დებს შორის ურღვევი კავშირის აღსანიშნავად ყველა ხალხის ენაში? ეს სრულიად გაუგებარია. მით უმეტეს, რომ ყველასთან გვაქვს დებს შორისაც საქმიანი თანამშრომლობის, ღრმა და მყარი ურთიერთკავშირის დამაჯერებელი მაგალითები. გვხვდება მათ შორის მეტოქეობაც, გაუცხოებაც—ყველაფერი ისე, როგორც ადამიანის მოდგმის მეორე ნახევართან.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია კარლ მარქსის ქალიშვილებს შორის დამოკიდებულება: ერთგულება, ზრუნვა, ერთმანეთისთვის უყოყმანოდ თავგანწირვის მზაობა და, ამავე დროს მათი, როგორც თანამებრძოლთა მტკიცე კავშირი. შეიძლება ამ დამოკიდებულებათა სათანადოდ შეფასება და ფიქსირება განსაკუთრებულ სიტყვაში არ მოხდა ისეთმა, რომ ქალების გული და გონება უფრო მეტადაა დაკავებული ბავშვებზე, ოჯახზე ზრუნვით, ვიდრე მამაკაცებისა? ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოსაზრებები გამოვთქვათ ზოგიერთ ენაში დობის მიმართ ასეთი დისკრიმინაციის მიზეზებზე.

და-ძმებს შორის დამოკიდებულების მეორე მხარეც უნდა შევაფასოთ. ჩვენ აღფრთოვანებით ვლაპარაკობთ მაღალ, კეთილშობილურ გრძნობებსა და მიზნებზე დაფუძნებულ ძმობაზე, მაგრამ არც ისე იშვიათად გვხვდება ცხოვრებაში საერთო ბოროტ საქმეებზე დაფუძნებული ძმობაც. „ყაჩაღი-ძმები" — მარტო ამავე სახელწოდების რომანტიკულ პოემათა გმირები კი არ არიან, არამედ ისინი არიან სრულიად პროზაული საგამომძიებლო ოქმების „გმირებიც". რამდენი უბედურება გადაუტანიათ ნათესავებს იმის გამო, რომ უფროსი ძმა ჩაება ჩხუბში, დაუკავშირდა უწესო კომპანიას და უმცროსი ძმაც ჩაითრია.

და-ძმებს შორის დამოკიდებულებაში არსებით როლს თამაშობს ასაკი. ყველაზე მჭიდრო კავშირია ერთმანეთის მიმყოლებსა და ორი-სამი წლით განსხვავებულებს შორის. საერთო ზრუნვა გართობა-თამაშობაზე. ამ დროს სქესიც კი არ თიშავს ბავშვებს სხვადასხვა კომპანიებად. ბიჭები და გოგონები ერთნაირად ხტიან, დარბიან, თამაშობენ, ცელქობენ. ეს არის დიდი და სასარგებლო სკოლა, სადაც ბავშვები ეუფლებიან ამხანაგობის, ერთად ცხოვრების, ერთმანეთისთვის თავდადების ჩვევებს.

და-ძმათა შორის დამოკიდებულებაში განსაკუთრებული სიძნელეები აღმოცენდება მაშინ, როცა ისინი ასაკით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგალითად, ათი-თორმეტი წლით. ბევრი ცოლ-ქმარი, რომლებიც ახალგაზრდობაში შეშინდნენ და ერთ შვილზე შეჩერდნენ, სადღაც ორმოცი წლისათვის უცებ „გონს" მოეგებიან და აჩენენ პატარას, რომლის სასიკეთოდაც უკვე ჰყავთ გამოზრდილი „ძიძა".

პირველი შვილი, „კონკურენტის" გაჩენის შიშით, ხშირად ნამდვილ პანიკაშია. შეიძლება ადრე თვითონვე ეხვეწებოდა მშობლებს: „მიყიდეთ პატარა და ან ძმა-ო", მაგრამ წლების მანძილზე იმის სურვილი, რომ გვერდით ჰყავდეს მუდმივად ამხანაგი, მშობლიური არსება, თანდათანობით უქრება ყველას, ვინც სრულად იგემებს დედისერთის უპირატესობას, განსაკუთრებით, ვინც ხედავს იმას, რომ მრავალშვილიან ოჯახებში მისი თანატოლები ტკბილეულსაც ინაწილებენ და მშობლიურ სიყვარულსაც. თუ მშობლები შეგნებულად და ტაქტიანად მოიქცევიან და „შეაყვარებენ" პირველ შვილს პატარას, მაშინ უფროსი დები იქცევიან მზრუნველ" პატარა „დედიკოებად", ხოლო ძმები პატარა უგნურის მეურვეებად.

მრავალშვილიან ოჯახში უფროსი დის მოვალეობები მართლაც ენათესაება დედობრივ მოვალეობებს. როგორც კი ახალდაბადებული შემოვა ოჯახში, უფროს გოგონას უკვე ყელამდე აქვს საზრუნავი. დედა თითქმის მიწეპებულია პატარაზე, უფროსმა შვილმა კი კოხსულტაციაშიც უნდა შეირბინოს, მაღაზიაშიც, ჭურჭელიც უნდა დარეცხოს, ბავშვის სახვევებიც უნდა გარეცხოს და გაუთოოს. შემდეგ მას ხშირად ავალებენ ბაგაში პატარის წაყვანას და მოყვანას, როცა მშობლებს უგვიანდებათ სამსახურიდან დაბრუნება. დრო მიდის, პატარა იზრდება, მიიწევს თავისი „ძიძისაკენ", ეტორღიალება, გაკვეთილების მომზადებაში ხელს უშლის, სათამაშოდ და სასეირნოდ იწვევს; კუდივით დასდევს უფროს დას ყველგან. მაშინაც კი, როცა დას პაემანზე მიეჩქარება, გაეტირება: „მეც შენთან წამოვალ"-ო.

შემდეგ პატარა წავა სკოლაში და უფროსს ახალი საზრუნავი უჩნდება.

დაეხმარე გაკვეთილების მომზადებაში, — სთხოვენ მშობლები— ჩვენ არ ვიცნობთ პროგრამას (ან უკვე ყველაფერი დაგვავიწყდა).

ახლა ის გავითვალისწინოთ რამდენ კოპს და ნაკდევებს იღებს უფროსი, როცა ეზოს ბატალიებში თავის ზრუნვის ობიექტს იცავს რამდენ მწარე ცრემლს ღვრის, როცა მშობლები ტუქსავენ იმის გამო, რომ დროზე ყურადღება ვერ მიაქცია და პატარას რაღაც დაუშავდა.

უფროს შვილებს, უმცროსებზე ზრუნვა, მომავალში ბევრ უპირატესობას იქადის. დიდ ოჯახში სიყრმის შვილები, როგორც წესი ადვილად და სწრაფად ხდებიან დამოუკიდებლები, უკეთესად იტანენ ცხოვრების ყოველგვარ გამოცდას. მომავალი დედობაც მათთვის სამძიმო არ იქნება: რაც არ უნდა იყოს ოჯახური მეურნეობის გაძღოლის მცირე გამოცდილება მაინც აქვთ და ჩვილის მოვლაც იციან.

თუ ახლო ნათესავების ურთიერთობის დინამიკას გრაფიკულად გამოვსახავთ, ალბათ, უმეტესობისთვის ხაზები მაქსიმალურად მიუახლოვდება ერთმანეთს ადრეულ ბავშვობაში, მოწიფულობის კვალობაზე თანდათანობით დაშორდებიან, ხოლო შემდეგ, მოხუცებულობის წლებში კვლავ შეერთდებიან, გადაეხლართებიან ერთმანეთს, რათა ერთად შეერწყან, გაუჩინარდნენ არყოფნაში.

როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე დაუოკებელი სურვილი მათთან სიახლოვისა, ვინც ჩვენთან ერთად იზრდებოდა, ჩნდება სწორედ სიცოცხლის მიწურულს, როცა ბავშვობის, ყრმობის მოგონებანი უფრო ნათელი და ემოციურად დატვირთულია, ვიდრე გუშინდელი დღის შთაბეჭდილებანი. მაშინ იწყებს ადამიანი ბავშვობის მეგობართა ძებნას, ხოლო ნათესავებს „უზავდება“, მრავალი წლის ფარული ან აშკარა მტრობის შემდეგაც კი.

უფროსები სახლში

წინა თაობებში ახალგაზრდა ოჯახის საქმეები და ოჯახური ურთიერთობა განიხილებოდა უფროსი თაობისაგან იზოლირებულად. ცხოვრებაში კი, უმეტეს შემთხვევაში, ახალგაზრდები ვერ ახერხებენ მთლიანად გამოყოფას უფროსებისგან, თუ რა თქმა უნდა, ახალი ოჯახი არ აღმოცენდა მშობლიური კერისაგან სადღაც შორს. ახალდაქორწინებულების დაახლოებით 60% მმაჩის ბიუროდან ბიდის ქმრის ან ცოლის მშობლებთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი უჯრედი უნდა ჩაჯდეს ოჯახური ცხოვრების უკვე დადგენილ, მყარ წესრიგში. უფრო ზუსტად „უცხო ელემენტი“ უნდა მოერგოს მისთვის აქამდე უჩვეულო ცხოვრების სტილს. „მასპინძლებსაც“ ბოუწევთ მასთან შეგუება.

ბუნებრივია, რომ ასეთი პროცესი უმტკივნეულოდ არ ჩაივლის ორცერთი მხარისთვის და არც დამაკავშირებელ რგოლს დატოვებს ის ხელშეუხებლად. ხშირად სწორედ ამ „რგოლის“ მდგომარეობაა განსაკუთრებით მძიმე, რადგან მან უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან

თავისთვის თანაბრად ძვირფასი, მაგრამ ერთმანეთისთვის უცხო ადამიანები.

როგორი კოლიზიებია აქ მოსალოდნელი და მათი გადაწყვეტის რა გზებს მიმართავს თანამედროვე ოჯახი? როგორ ეგუებიან ახლა ერთმანეთს დედამთილი და რძალი, სიძე და სიდედრი, რომლებიც ძველ დროში საბაბს იძლეოდნენ უამრავი დრამატული და კომიკური ისტორიების შექმნისთვის?

ერთხელ რედაქციაში მოვიდა მოხუცი ქალის წერილი. ის მოგვითხრობდა უბედურებაზე, რომელიც თავს დაატყდა მის ოჯახს: დაიღუპა მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი, ერთადერთი შვილი. სახლში დარჩა მისი ცოლი, ახალგაზრდა ქვრივი პატარა ბავშვით. რას გვთხოვდა დედა ამ საშინელი უბედურების შემდეგ? გვთხოვდა დავხვარებოდით მისი რძლის — საყვარელი, კეთილი, განათლებული, მაგრამ მეტად მორცხვი გალოჩკას ოჯახური ცხოვრების მოწყობაში; ის უკვე რამდენიმე წელია კარჩაკეტილად ცხოვრობს, დრო კი მიდის. „მას სჭირდება ქმარი, შვილიშვილს-მამა, უამისოდ შეუძლებელია მათი ბედნიერება და ჩემი სიმშვიდე.“

დედამთილი სთხოვს „გაცნობის სამსახურს“, თუ ის უკვე შეიქმნა, მონახოს ფაქიზი, დელიკატური გზა და „ხალხში“, შესაძლო პარტნიორების წრეში გამოიყვანოს გალოჩკა, ანდა აცნობოს მას (დედამთილს) იმათი მისამართები, ვინც შეიძლებოდა გამხდარიყო რძლის კეთილი გულისა და ხელის მოპოვების პრეტენდენტი.

ჩვეულებრივ ადიდებენ დედის უანგარობას, თავდადებას. ეს საქციელი ვისი დამსახურების რეესტრშია შესატანი? დედისა თუ დედამთილის? შეიძლება კი მოცემულ შემთხვევაში მათი ერთმანეთისგან გამოყოფა?

მაგრამ, სამწუხაროდ სინამდვილეში ასეთი დედამთილები (და სიდედრები) არც ისე ხშირია. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ დედას დიდი დრო სჭირდება თავისი შვილისადმი მეუღლის უანგარო სიყვარულსა და პატივისცემაში დასარწმუნებლად. მისი გამოცდილი თვალი შვილზე უფრო მეტსა და შორს ხედავს და თუ ახალდაქორწინებულთა ცხოვრების დასაწყისშივე რაიმეში დაეჭვდა, შემდეგ უკვე უძნელდება მიუკერძოებლობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დედა, რაც არ უნდა პროგრესული შეხედულებების იყოს მაინც ძველი თაობის წარმომადგენელია და ტრადიციული ნორმების მომთხოვნია ერთმანეთთან და ნათესავ-ახლობლებთან ახალდაქორწინებულთა დამოკიდებულებაში. ახალდაქორწინებულთა უმეტესობა კი იმ ასაკშია როცა ყველაზე ძლიერია ცხოვრებაში ძველის შეცვლის, ახლის დამკვიდრების მისწრაფება (თუმცა, როცა თვითონ გახდებიან დედამთილ-

მამამთილი ან სიდედრ-სიმამრი ხშირად უკვე ტრადიციების პოზიციებიდან მოითხოვენ შვილებისაგან).

როგორ ყალიბდება დედამთილსა და რძალს შორის ურთიერთობა თანამედროვე ოჯახში. აქ ოჯახის წევრებს შორის დამოკიდებულების სტილზე არსებით გავლენას ახდენს განათლების დონე, რამაც ძლიერ აიწია დედამთილებთანაც და რძლებთანაც. მათ უკვე ესმით ადამიანების ქცევის ახლო და შორეული მოტივები. დედამთილები თანდათანობით ხვდებიან, რომ მათი უკმაყოფილება ყოველთვის რძლის ნაკლოვანებებით კი არ არის გამოწვეული, არამედ უფრო ხშირად, განსაზღვრულია ახალგაზრდა ქალის ფსიქიკის ზოგადი თვისებებით.

რძალ-დედამთილის ურთიერთობის შერბილებას ხელს უწყობს ობიექტური მიზეზებიც. გახშირდა შემთხვევები, როცა ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ და მატერიალურადაც დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისგან. ახალდაქორწინებულთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც უფროსებთან ცხოვრობენ, ზოგჯერ ცოლის მშობლებთან სახლდებიან. დაგვეთანხმებით, რომ ასეთ სიტუაციაში დედამთილსა და რძალს ერთმანეთით უკმაყოფილების გაცილებით ნაკლები საბაბი აქვთ.

თუმცა ძველ დროშიც, ცხოვრების ნებისმიერი სიძნელეებისა და გაჭირვების პირობებშიც, ბევრ ოჯახში იცინოდნენ იმ ანდაზებზე, რომლებიც ჩირქს სცხებდნენ ოჯახის უფროს ქალს—დედამთილს. ასეთ ოჯახში რძალს უძნელდებოდა თვით სიტყვა დედამთილის გამოთქმა, იმდენად ცუდი ყღერადობისა და უშნოდ, უმართებულოდ ეჩვენებოდა ის: დასაწყისში უწოდებდნენ „დედას“, შემდეგ „ბებიას“ და არ ასხვავებდნენ ქმრის დედა იყო ის, თუ საკუთარი.

თანამედროვე ოჯახებში უძნელდებათ, რომ დედამთილს დედა დაუძახონ. მაგრამ ეს ცუდად არ მოქმედებს მათ ურთიერთობაზე თუ სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგშია. მათი დამოკიდებულება ახლა შესამჩნევად რბილი და დელიკატურია. ხშირად რძალსა და დედამთილს აქვთ მეტად ღრმა სულიერი ერთობა, მსგავსად იმისა, როგორიც ჰქონდათ ბომარშეს კომედიის „ფიგაროს ქორწინების“ გმირ ქალებს. დედამთილი—მარსელინა ხალისით ეხმარება რძალს—სუზანას, მის ოინებში გრაფთან და ქმართან და ასე ახასიათებს თავის ნორჩ მეგობარს ფიგაროსთან. „ის ისეთი მშვენიერი ქმნილებაა! აჰ, როცა პირადი ინტერესები არ გვიბიძგებენ ჩვენ, ქალებს ერთმანეთის წინააღმდეგ, ჩვენ ყველანი, როგორც ერთი მზად ვართ დავიცვათ ჩვენი საწყალი ღაჩაგრული სქესი ამაყი, საშინელი... (სიცილით) და ამასთანავე ახლობელი მამაკაცებისგან.“

ის ფაქტი, რომ რუსულ ოჯახებში ახალდაქორწინებულთა მხო-

ლოდ 1/3 ცხოვრობს ვაჟის დედასთან საკმაოდ ბევრისმთქმელია. მაშასადამე, მათთან ახალგაზრდა ოჯახს ცოლის დედასთან უფრო ეადვილება ცხოვრება, ვიდრე ქმრის დედასთან. ორივე დედაა, ორივეს უნდა ბედნიერება თავისი შვილებისთვის, მაგრამ ან სხვადასხვანაირად ესმით ბედნიერება ან „შეხების წერტილები" და საბაბი გაღიზიანებისთვის სიძესა და სიდედრს ნაკლები აქვს, ვიდრე ორ ქალს ერთ სამზარეულოში. მაგრამ, თუ ორივე ეს „თანამდებობა" თავმოყრილია ერთ ადამიანში? როგორ რეაგირებს მაშინ სიდედრი—დედამთილი თავისი ახალი შვილების ქცევაზე?

ერთ-ერთი ხალხური არაკი მოგვითხრობს: ლაპარაკობენ ძველი ნაცნობი ქალები. ერთი უამბობს მეორეს თავისი შვილების ცხოვრებაზე. ქალიშვილს გაუმართლა ბედმა. სიძე შემხვდა ყურადღებიანი, მზრუნველი, შრომისმოყვარე. ჩემი ქალიშვილი გამოფხიზლებას ვერ ასწრებს, რომ მის ქმარს უკვე პური მოტანილი აქვს, საუზმე მომზადებული, ყავა მოდუღებული, ყველაფერი იცის და ასწრებს. სამაგიეროდ, ვაჟიშვილს არ გაუმართლა ბედმა, ნამდვილად არ გაუმართლა! ცოლი შეხვდა ზარმაცი, ამპარტავანი. დილით არ ინებებს აღრე ადგომას, რომ ქმარს საუზმე მოუმზადოს. საწყალი, იძულებულია თვითონ გაითბოს საქმელი, ან სულაც უქმელი წავიდეს სამუშაოდ. მის ცოლს კი ზარბაზნითაც ვერ გააღვიძებ.

ეს არაკი გვიჩვენებს დედის ფსიქიკის თავისებურებას: ორი ერთნაირი სიტუაცია შეაფასოს სრულიად სხვადასხვაგვარად. რაც კარგია საკუთარი შვილისთვის, ის საერთოდ არის კარგი, მაშინაც კი თუ ის ვინმესთვის სასიამოვნო და მოხერხებული არ არის. ყველაფერი ის კი, რაც ოდნავ მაინც ხელყოფს მისი შვილის ინტერესებს უარყოფილი და გაკიცხული უნდა იქნეს, თუნდაც ობიექტურად სრულიად სამართლიანი იყოს.

შეიძლება ორი ქალის — დედამთილისა და რძლის კარგ დამოკიდებულებას ზოგჯერ ხელს უშლის ის, რომ უფროს ქალს—დედამთილს თავისი ვაჟიშვილის სიყვარული თვალებს უბინდავს, ხოლო ახალგაზრდა ქალი—რძალი კი თავის ქმარს მეტისმეტად კრიტიკულად უყურებს? ემოციებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან საღ აზრს, მიმტევებლობას — ბევრი უბედურების მოტანა შეუძლიათ. აი რამდენიმე მაგალითი.

ვაჟი დაქორწინდა დედის დაუკითხავად, რამაც ის ძლიერ გაანაწყენა. დედამ გულისწყრომა მთლიანად რძალზე გადაიტანა. რძალმა არ ისურვა ასეთ შდგომარეობაში ყოფნა. მან მიაღწია იმას, რომ ვაჟის მშობლების ოჯახი დატოვეს და სხვა ქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად. შემდეგ, ოთხი ათეული წლის მანძილზე დედამთილსა და რძალს ერთმანეთის სახლში ფეხიც არ დაუდგამთ. ორმოცი წელი

გრძელდებოდა ეს დისტანციური ბრძოლა, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ შვილებიც, შვილიშვილებიც, შორეული ნათესავებიც და არ დაიღალნენ, არ შობეზრდათ, არ შერიგდნენ საერთო მძიმე მწუხარების ჟამსაც კი.

ამ მაგალითის მოყვანას აზრი არ ექნობოდა თუ მასში, როგორც ზღაპარში ჭკუის სასწავლებელს ვერაფერს დავინახავდით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქმარმა ჭკვიანურად და ტაქტიანად შემოიყვანოს სახლში ახლადშერთული ცოლი, რათა არ აქციოს ის, უდანაშაულო დამნაშავედ თავისი დედის თვალში. ვაჟმა უნდა შეძლოს მოაწონოს საცოლე თავის ნათესავებს დაასახვოს მისი ღირსება-უპირატესობანი ისე, რომ თან თავი დამცირებულად არავინ იგრძნოს ოჯახში. ეშმაკობაა საჭირო? უეჭველად, მაგრამ ღირს კიდეც თავის შეწუხება იმისთვის, რომ საკუთარ სახლში იყოს მშვიდობა და კეთილგანწყობილება.

მეორე შემთხვევა: ვაჟს სულ ახლახან დაეტყო ქინქლა-ულვაში, დედა კი უკვე სასოწარკვეთილებაშია იმის გამო, რომ სადაცაა გამოჩნდება ჰორიზონტზე „ის", მისი ბედნიერების, მისი კეთილდღეობის გამყოფი-მიმტაცებელი. ერთმა საკმაოდ განათლებულმა ხაცნობმა ქალმა გულწრფელად გამანდო, რომ ამის წარმოდგენაზეც კი სუნთქვა ეკვრება, ყელში რაღაც უჭერს. როცა ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა „ის", შეიქნა ცრემლის ღვრა, ისტერიკები. თავშეკავებაც სცადეს, მაგრამ ამაოდ. უარესი მდგომარეობა შეიქმნა: ყველა თავს გრძნობდა „ბოროტმოქმედად", რომელიც მსხვერპლად იწირავდა დედის გულს. შვილმა ვერ აიტანა ეს მდგომარეობა და დაჟინებით მოითხოვა ცალკე ცხოვრება, რაც ღალატად ჩაუთვალეს.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში დედამთილში დედობრივი საწყისი დათრგუნა მესაკუთრულმა საწყისმა. ამ დროს ჩნდება სწორედ ბრმა ეჭვიანობა, რომელიც მწარე ცრემლებს აღერევინებს ხოლმე რძლებს. ზოგჯერ ახალგაზრდა ქმარს რომელმაც დედის რძესთან ერთად შეითვისა მშობლის პატივისცემა და მორჩილება, არც სურს გაერკვეს ორი ქალის განხეთქილების მიზეზსა და საბაბში და მხოლოდ ერთი მათგანის-დედის პოზიციაზე დგება. ასეთ ცალმხრივობას, როგორც წესი, კარგი არაფერი მოჰყვება. ამის შედეგია განქორწინება, ან ყრუ მტრობა საკუთარ ცოლთან, რომელიც ზოგჯერ თავს იჩენს მწვავე კონფლიქტების სახით.

ბოლოს და ბოლოს, როგორი უნდა იყოს ჩემი პოზიცია? — კითხულობდა ერთი ასეთ ორეულ მდგომარეობაში მყოფი ქმარი-ვაჟიშვილი. ორად ხომ ვერ გავიჭრები მათ შორის? ისინი მთელ

ენერგიას ერთმანეთის წინააღმდეგ ხარჯავენ, ჩემთვის აღარც ძალა აქვთ, აღარც დრო, აღარც გული.

ამ დროს, ალბათ, აჯობებს მშობლებისა და ახალგაზრდების ოჯახებმა სადავო საკითხებზე მსჯელობა უკიდურეს მინიმუმამდე დაიყვანონ. ცნობილია, რომ ოჯახის წევრებს შორის ბრძოლაში არ შეიძლება ვინმე გამოვიდეს გამარჯვებული, აქ არიან მხოლოდ დამარცხებულები. რომელმა მხარემაც არ უნდა გადასძლიოს, ზარალდება ოჯახი და ირღვევა „ტურნირის" ყველა მონაწილის ბედნიერება; თუ ვაჟი დაუბრუნდება დედას სრულ განკარგულებაში, ის არასდროს არ დაივიწყებს და არ აპატიებს მშობელს იმას, რომ მისი გულისთვის დაცილდა ცოლს, მით უმეტეს, თუ ბავშვები დარჩებიან უმამოდ. თუ რძალმა ჩამოაშორა დედას შვილი, არც მისთვის ჩაიელის ეს საქმე კეთილად. მეტი რომ არაფერი ვთქვათ ამით ხომ ის საკუთარ შვილებს აძლევს დედისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების მაგალითს. ადვილი წარმოსადგენია როგორ აისახება ყოველივე ეს მის უახლოეს მომავალზე.

ხშირად, ახალგაზრდა ცოლი იმედოვნებს, რომ „ვამოასწორებს", ხელახლა აღზრდის ქმარს თავისი გემოვნების შესატყვისად, მაგრამ ამის გაკეთებას სჭირდება შორსმჭვრეტელობა და პედაგოგიურ ტაქტის მაქსიმუმი. ახალგაზრდა ქალს კი საიდან ექნება ამდენი შორსმჭვრეტელობა და პედაგოგიური ალღო? აი, აქ უშვებს ის „საბედისწერო" შეცდომებს. ცდილობს რა შეამციროს დედის გავლენა ვაჟზე, ყოველ წუთს მიმართავს მას საყვედურით: „დედისკანა გაქვს შენ ასეთი ხასიათი, ასეთი გამოხდომები!" — და არ ეუმის, რომ ამით საპირისპირო შედეგს აღწევს. ნაცვლად იმისა, რომ გაიგოს და მიიღოს ცოლის შენიშვნები მაშინ მაინც როცა ისინი მართლაც სამართლიანია, ქმარი უყურადღებოდ ტოვებს მათ. არცაა საკვირველი. ადამიანს ხომ უფრო ეადვილება გაამართლოს თავისი ნაკლოვანებანი, მით უმეტეს, თუ ისინი თანშობილია, ან მის ჩვეულებად, მის ბუნებადაა უკვე ქცეული, ვიდრე მკვეთრად გარდაიქმნას. ამიტომ ცდილობს ის გაამართლოს თავისი აღზრდელი დედა, რომელიც ასეთივე თვისებების მქონეა.

ახალგაზრდა ქალმა თავისი ყველაზე სამართლიანი შენიშვნებიც კი უნდა შეარბილოს იმის შევნებით, რომ მას საქმე აქვს დედასთან და მის შვილთან!

სიყვარული დედის მიმართ, როგორიც არ უნდა იყოს იგი კარგი თუ ცუდი, ერთ-ერთი ჭეშმარიტად ადამიანური ღირებულებაა. ვინ უნდა უფრთხილდებოდეს ამ გრძნობას თუ არა ქალი?

კი, ბატონო, დედის სიყვარული—წმინდა გრძნობაა, მაგრამ რატომ

მხოლოდ საკუთარი დედის? მეც ხომ დედა ვარ, თანაც მისი შვილების. მაშასადამე, ერთს თაყვანი უნდა სცენ და მეორეს კი სულაც არ უნდა გაუწიონ ანგარიში, უცერემონიოდ უნდა მოექცნენ?

ასეთია ბევრი განაწყენებული რძლის საუბრის ლეიტმოტივი. აქ-გვარ მსჯელობას აქვს თავისი ლოგიკა. ასეთი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მეტოქეობის ობიექტს — ვაჟს და ქმარს.

საქართველოში ყოფილა ასეთი ჩვეულება. როცა კაცს სახლში მოჰყავდა ცოლი, დედას ეუბნებოდა: „აი ჩემი ცოლი, ჩემი რჩეული. თუ მე გიყვარვარ ჩემ ცოლს მიიღებ ღვიძლი ქალიშვილივით. „ხოლო ცოლს ეუბნებოდა: „აი ჩემი დედა, მე მიყვარს ის, გაუწიე მას ქალიშვილობა. თუ შენ მას აწყენინებ, ჩემი ცოლი აღარ იქნება.“ ალბათ, სხვაგანაც ბევრი იქნება რძალ-დედამთილის უკონფლიქტო თანაარსებობის შემთხვევები. ამ საკითხზე საუბარიც ხომ ასეთივე მაგალითით დავიწყოთ.

მაგრამ არიან ისეთი მამაკაცებიც, რომელთაც არ მოსწონთ, როცა მათ ცოლსა და დედას შორის სრული ურთიერთგაგება და შეთანხმებულობაა. ზოგიერთ ქმარს, როგორც წესი, არც თუ მორალურად წმინდას, აწყობს კიდეც ცოლისა და დედის ურთიერთდაპირისპირებულობა, რადგან ამ დროს თითოეული ცდილობს მისი გულის მოგებას, მისი კაპრიზების შესრულებას, თუმცა ამით მის სისუსტეებს აქეზებენ. ხოლო თუ ქალები გაერთიანდნენ, ხშირად ასეთ კაცს პედაგოგიკური ზემოქმედების მარწუხებში აქცევენ და ერთობლივად ცდილობენ მის სრულყოფას, გაკეთილშობილებას. უნდა აღინიშნოს, რომ სიამოვნებს მას ეს თუ არა, დედამთილსა და რძალს შორის მეგობრული დამოკიდებულება, ხელს უწყობს მამაკაცს იყოს ჯანსაღი, როგორც ფიზიკურად ისე ზნეობრივად. გარდა ამისა, როცა დიასახლისებს კეთილგანწყობილი, მომღიმარი, მხიარული სახეები აქვთ— მთელ სახლში იცვლება ატმოსფერო. ბავშვებისათვის, შვილიშვილებისათვის დედასა და ბებიას შორის კეთილი განწყობილება მზის სხივია, „სულიერი ზრდის ბიოსტიმულატორია“. მათ გულს არ შეეხება მეტოქეობის ღვარძლი, არ დააზრობს, არ გაჰყინავს ყველაზე საყვარელ ადამიანებს შორის დამოკიდებულების სიცივე.

ძალიან კარგი იქნებოდა თუ რძალ-დედამთილი ურთიერთდამოკიდებულების პრინციპად აიღებდნენ, როგორც იურისტები უწოდებენ „უდანაშაულობის პრეზუმპციას“. როცა ვხედავთ, რომ ოჯახში მეორე ქალი რაღაცას ისე არ აკეთებს, ისე არ ამბობს, როგორც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ, უნდა შთავაგონოთ ჩვენ თავს, რომ ის არ არის დამნაშავე. ის დაიბადა სხვა ოჯახში, სხვა დროს, აღზრდილია სხვა ჩვეულებებზე. არ არის დამნაშავე დედამთილი იმაში, რომ

ვერ ახერხებს თავისი გემოვნებისა და ჩვეულებების შეცვლას; იმიტომ რომ წლებმა გააძყარეს, ჩაკირეს მისი ხასიათი. არ არის დამნაშავე რძალი იმაში, რომ ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო უგერგილოა და ბევრი შეცდომა მოსდის.

ძალიან სასარგებლო იქნებოდა მუდამ გვახსოვდეს იმ ადამიანების ასაკი და ჩვეულებები, რომლებთანაც ურთიერთობა გვაქვს. უმჯობესია ერთმანეთის ქცევასა და სიტყვებში ვეძიოთ არა ნაკლოვანება და შეცდომები, არამედ ახსნა და დასაბუთება ერთმანეთის სასარგებლოდ.

...მაგრამ სწორია კი, რომ ყველაფერი გავაბრალოთ ორ ქალს— რძალსა და დედამთილს? არც ერთი ოჯახური როლი არ შეიძლება შესრულდეს გამოცალკევებულად, ოჯახური როლი კოლექტიური როლია. რძალ-დედამთილის ურთიერთობებში მონაწილეობს მეოთხე კარემოცვა: მამამთილი, სნეული ნათესავები, რომლებიც ან წინააღმდეგობას არ უწევენ დამოკიდებულებათა გამქაფრებას ან ანელებენ მათ და ხელს უწყობენ, რომ ახალგაზრდა ქალი მეოთხისოს ოჯახს, გახდეს მისი სასურველი, თანასწორუფლებიანი წევრი.

ამ საქმეში ძალიან დიდი ძალა და უფლებები აქვს მამამთილს. ის ჩვეულებრივ უფრო კეთილგანწყობილია ვაჟის ცოლისადმი და, ამავე დროს, თავის მეუღლეზედაც დიდი გავლენა აქვს. საქმე იმაში არ არის, რომ მას ძალიან ხშირად შეუძლია ისარგებლოს თავისი „გადამწყვეტი ხმის უფლებით“. მთავარი ის არის, რომ მას შეუძლია დაძაბულ ვითარებაში მეხამრიდის როლი შეასრულოს. რომელიმე მხარის უტაქტობა, უხეშობა გააქარწყლოს მოსწრებული ხუმრობით და გაფანტოს მოსალოდნელი აეროვის ღრუბლები.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ რძალ-დედამთილის ურთიერთობის ანალოგიურად განვიხილოთ, როგორ ვამოიყურებიან ერთმანეთისა და უახლოესი გარემოცვის თვალში ოჯახის ორი სხვადასხვა ასაკისა და ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელი—სიძე და სიმამრი. მაგრამ ამ შემთხვევაში ანალოგია არაფრით არ გამოდის. ძიუხედავად იმისა, რომ მათი ერთად ცხოვრებისას წანამძღვრები რთული კოლიზიებისთვის თითქოს ისეთივეა, როგორიცაა ორი ქალის ურთიერთობაში.

ჯერ ერთი, ახალგაზრდა კაცის ჩასახლება ცოლის ოჯახში (პირველ რიგში ეს სიტუაციაა საინტერესო, რამდენადაც ახლა რუსეთში იგი საკმაოდ გახშირდა) აიძულებს უფროსებს შეეგუოდნენ. გარდა ამისა, ეკონომიკურად ისიც დამოკიდებულია სიმამრზე, რომელიც ჯერ კიდევ მთავარი მარჩენალია ბევრ ოჯახში. ჩვენთან ქორწინება ხდება სრულიად ნორჩებს შორის, რომელთაც ხშირად არა აქვთ

მტკიცე მატერიალური ბაზა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამაკაცებს შორის შეჯახება საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. თუმცა "ენციკლოპედია, რომ ხშირად მამას ქალიშვილთან უფრო ნახი, მოსიყვარულე დამოკიდებულება აქვს, ვიდრე ვაჟთან. და, თითქოს, ბუნებრივია, უხდა განიცდიდეს მწვავე ეჭვიანობას უცხო ჭაბუკისადმი, რომელიც მისი ზრუნვითა და ალერსით გამოზრდილ „ყვავილს წყვეტს".

ასეთი უკონფლიქტობის მიზეზი ალბათ იმაშია, რომ მათ ხშირად არა აქვთ სახლში სერიოზული საქმე, სამუშაო, რომლის შესრულებისას შეიძლებოდა ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. რაც შეეხება ოჯახურ წვრილმანებს: როგორი კონფიგურაციის ავეჯი იქნეს ნაყიდი, კარადა კუთხეში დაიდგას თუ კედელთან, მოხრაკონ თუ მოშუშოს ბოსტნეული და სხვა, არ ეხება მათ ძირეულ ინტერესებს, არ იწვევს არც ერთის მხრიდან პრინციპულ წინააღმდეგობას და, მაშასადამე, დაპირისპირებასაც. მით უმეტეს, რომ უფრო ხშირად გადაწყვეტილების მიღებაც და ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანაც ხდება მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ ორი სათათბირო ხმით.

რა ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს მტრული დამოკიდებულება სხვადასხვა სქესისა და ასაკის, ოჯახური საქმიანობის სხვადასხვა სფეროთი დაკავებულ ადამიანებს შორის—სიდედრსა და სიძეს შორის?

ოჯახის ამ წევრებს შორის დამოკიდებულებაში ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს სიძის შეუგუებლობა ოჯახური ცხოვრებისადმი.

ცოდვა გამხელილი ჯობს, ახლა მომავალი ქმრები ხშირად იზრდებიან სათბურის პირობებში; მათ აშინებთ დამოუკიდებელი ცხოვრების ტვირთი. როცა ასეთი ახალგაზრდა სიძე გახდება მეტად უძნელდება იმის გაგება, რასაც მისგან მოითხოვენ ცოლის მშობლები. მშობელი დედა არასდროს არ აუვედრიდა მას, რომ მონაწილეობას არ იღებდა ოჯახის საზრუნავში, პირიქით, ის ყოველნაირად ცდილობდა შვილის განტვირთვას მათგან. მაშასადამე, ეს მშობლის მოვალეობაა და არა სამსახურის გაწევა ან პატივისცემა, რისთვისაც განსაკუთრებით მადლობელი უნდა ვიყოთ ცოლის დედისა — სიდედრისა. ამას თუ ისიც დაემატა, რომ ახალგაზრდა ცოლი ე. ი. ქალიშვილი მომზადებული არ არის გაჭირვებათა და უსიამოვნებათა დაძლევისათვის, მაშინ ორი ასეთი ერთადერთის, „მხოლოდ მიშღებთა" (რომლებსაც ყოველთვის სხვა უნდა მოემსახუროს) თავშეყრა ერთი დედის ფრთებქვეშ ყოველთვის შეიცავს უსიამოვნების საფრთხეს ოჯახის ყველა წევრისათვის.

დიდ გართულებებს იწვევს სიძის მიდრეკილება ალკოჰოლისადმი. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ განქორწინება, ძირითადად ხდება იმ ქა-

ლების ინიციატივით, რომელთა ქმრებიც ავლენენ ამ სისუსტეს. დედებიც, რასაკვირველია, მხარს უჭერენ თავისი ქალიშვილის გადაწყვეტილებას. გულწრფელად რომ ვთქვათ, თუ ახალგაზრდა კაცი ცოლის ოჯახში შესვლისას უკვე დაკავდებულია ამ სენით, ამაოდ ექნება მას ოჯახის წევრთაგან კარგი დაშოკიდებულების იმედი. ცოლის ოჯახში ხომ ყველასთვის გასაგებია, რა გარდაუვალი უბედურება მოაქვს ამ ადამიანს მათი ქალიშვილისთვისა და მისი შთამომავლობისთვის.

სულ სხვაა, როცა სიძე სასმელს მიეძალება ცოლის შერთვის შემდეგ. ამ დროს კარგი იენება თუ დედაც და ცოლიც დაუფიქრდება ახალგაზრდა კაცის ამგვარი გატაცების მიზეზს და საკუთარ ქცევასაც გადასინჯავენ: თვითონ ხომ არ უბიძგეს მას სასმელისაკენ? ისიც ხდება ხოლმე, რომ სიძე თავის ადგილს ვერ პოულობს ცოლის სახლში, იმის გამო კი არა, რომ ვერ შეეწყო ახალ ოჯახს, არამედ, პირიქით, იმიტომ. რომ ახალი ნათესავები ცდილობენ ასიამოვნონ მას, გაათავისუფლონ ყოველგვარი შრომისა და საზრუნავისგან. ახალგაზრდა კაცს არა აქვს თავისი საქმე, არა აქვს მოვალეობა, არაფერზე პასუხისმგებელი არ არის და არც დაკავებულია. უსაქმურობა კი, როგორც ცნობილია, ყველა მანკიერების დედაა.

აი, აქაც წინააღმდეგობა გვაქვს: თუ სიდედრი დატვირთავს სიძეს ყოველგვარი საოჯახო სამუშაოთი და საზრუნავით, შეიძლება გაანაწყენოს, გააღიზიანოს ისიც და თავისი ქალიშვილიც. გათავისუფლებს ყველა საზრუნავისგან და—გზა ხსნილია ყოველგვარი მანკიერებისათვის. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც მთავარი მსაჯული და მრჩეველი უნდა იყოს ეონიერული ზომიერება.

როგორ სიტუაციაში არის შესაძლებელი ახალ ნათესავებს შორის მშვიდობისა და თანხმობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება. ძალიან ბევრი მეთოდითა და საშუალებებით შეიძლება ორივე მხრიდან კეთილგანწყობილების მიღწევა, როცა ამის ორმხრივი სურვილია. ჩვენ თავად გახლდით მოწმე ოჯახის ამ ორ წევრს შორის უმტკივნეულო ურთიერთობებისა. თანაც იმ დროს, როცა სიძე გულახდილად რომ ვთქვათ, მაინცა და მაინც სასურველი არ იყო. ქალიშვილთან რეგისტრაციამდე სიმამრი მას მხოლოდ „უსაქმურს“ ეძახდა. სიდედრი კი ჭორწილზე ცხარე ცრემლებს ღვრიდა. მაგრამ მეორე დღეს ოჯახში გადაჭრით ითქვა: საქმე უკვე მოხდა, ახლა ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა ითქმებოდეს და კეთდებოდეს მხოლოდ სიკეთისთვის. არცერთი სიტყვა ერთმანეთის საზიანოდ. შეასრულეს კიდეც ნათქვამი. ზოგჯერ თვითონ ქალიშვილი საყვედურობდა დედას:

— რატომ უსვამ ყოველთვის თავსე ხელს, რატომ არ ჩაერევი ხოლმე ჩვენს საქმეში და არ დატუქსავ? დედამთილიც მის მხარეზეა და შენც ჩემი მშობელი დედაც. მე კი მარტო ვარ მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე, თითქოს ყველაფერში მარტო მე ვიყო დამნაშავე.

შე სულელო—იცინოდა ხოლმე დედა—შენ ჩემი შვილი ხარ. ცოტახანს გაჯავრდები და ისევ მოგიბრუნდება გული. ჩემვან სად წაგელ? ის კი ყოველ ჩემს წინააღმდეგ ნათქვამ სიტყვას დაიმახსოვრებს და სხვანაირად გაიგებს. მერე ჩემზე ხელს აგაღებინებს, საბლის კარს ვერიგეტავს. ვისთვის იქნება ეს კარგი? შენთვის, მისთვის, ჩემთვის, შენი ბიუისთვის? აბა იფიქრე! ოჯახური ცხოვრება დიპლომატიის და ეფექტური პოლიტიკის სკოლაა. შენ კი გაიძახი „სამართლიანია—ესამართლია". რომ იყოს ერთიანი და განუყოფელი სამართლიანობა მა ინ კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ახლა ხომ რაც ჩემთვის და შენთვის ეფინერულია, მამაკაცებისთვის სრულიადაც არ არის ასეთი და პირიქით. დროშიც ბევრი რამ იცვლება: შეიძლება ხვალ ჩვენთვის ნათელი გახდეს და მხარი დავუჭიროთ იმას, რისი მხედველობაში მიღებაც დღეს არ გვინდოდა.

სიძესაც კუთვნილი უნდა მივუზღოთ. ის არ იყო ბუნებით „უსაქმური". მან შეძლო გაეგო და დაეფასებინა ცოლის შრომლების პოზიცია. გადაეღო მათი ქცევის სტილი: არაფერი ერთმანეთის საზიანოდ და საწყენად. ყველაფერს, რასაც უფროსები აკეთებდნენ მისი ოჯახისთვის იღებდა გულწრფელი მადლიერების გრძნობით და არ საყვედურობდა დახმარებაზე უარისთქმისთვის, თუკი ასეთი რამ ხდებოდა. ახლა, როცა სიდედრი და სიმამრი ცოცხლები აღარ არიან, მათი ნათელი ხსოვნა ამ ოჯახში მარადიულია.

უფროსი ქალი ოჯახში მშვიდობა წესრიგი და მყუდროებაა. თუ საჭიროა, იმაზეც კი მზად არის რომ მოხერხებული და შეჩვეული ბინიდან გადავიდეს უარეს პირობებში, ოღონდ უფრო ახლოს იყოს შვილებთან და შვილიშვილებთან. ის პენსიაზეც ადრე გადის, მაშინ, როცა ჯერ კიდევ აქვს მუშაობის სურვილი და შესაძლებლობები. გინახავთ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მოთმინებით მომლოდინე ქალების ჯგუფი ჩვეულებრივი და მუსიკალური სკოლების გასახდელში, სტადიონებზე ყინვისგან გათოშილები იმის მოლოდინში თუ როდის მოიქანცებიან სირბილით მათი საყვარელი შვილიშვილები. ზაფხულობით ისინი მთელი თვეობით მოწყვეტილი არიან თავიანთ ოჯახს, ხშირად ქმრებიც მარტო ჰყავთ მიტოვებული და ცხოვრობენ აგარაკზე შვილებან, ეხმარებიან მას, უვლიან შვილიშვილებს.

რას მოელიან და მოითხოვენ ისინი თავისი რძლისგან, სიძისგან,? უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას და გულისხმიერებას. აძასთანავე თანაგრძნობას დედის დაუცხრომელი, მღელვარე გულისადმი. ყურადღება მათთვის ბალზამია, მადლიერება და დელიკატურობა—საუკეთესო საჩუქარი. რითი შეუძლია დედას თავისი შვილის მეუღლის ყოთილანწყობილება მოიპოვოს? იმით რომ ხელი შეუწყოს მათი კავშირის განმტკიცებას, ასწავლოს თავის ქალიშვილს ოჯახის დამოუკიდებელი დიასახლისობა, ხოლო ვაჟს ოჯახზე ზრუნვა და ცოლისთვის დახმარების გაწევა, სიძე-სიდედრის დამოკიდებულება რძალ-დედამთილის ურთიერთობის ანალოგიური მდგომარეობაა იმ განსხვავებით, რომ ქალებმა მეტწილად ანგარიში უნდა გაუწიონ ერთმანეთის განსხვავებულ ასაკს, ხოლო სიძე-სიდედრმა კი სქესს. სიძემ არ უნდა დაივიწყოს, რომ სიდედრი ქალია, ხოლო სიდედრს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სიძე მამაკაცია, თუნდაც ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ უკვე გარკვეული პირადი ღირსების გრძნობის მქონე.

როგორც ვხედავთ, არც თუ ისე მძიმე და განუხორციელებელი პირობებია.

ახალგაზრდა ქალი შედის ქმრის მშობლების ოჯახში, თუ კაცი უნდა შეეზარდოს ცოლის ოჯახის ცხოვრების წესს, ვერცერთი ვერ ასცდება ხასიათების მორგების, ჩვეულებების, გემოვნების და ინტერესთა განსხვავებულობის დაძლევის ეტაპს. მაგრამ, განა ისე იშვიათად გვაყენებს ცხოვრება მსგავსი გამოცდის წინაშე, რომ ეს მსოფლიო მნიშვნელობის დრამად ვაქციოთ? ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან რამდენჯერ უხდება ადამიანს ჩვეული კოლექტივის შეცვლა ახლით? გადადის ერთი სკოლიდან მეორეში, აქედან სასწავლებელში, ტექნიკუმში, უმაღლეს სასწავლებელში ან მუშაობას იწყებს. სამუშაო ადგილის გამოცვლაც ხშირად ხდება. ყველგან გვიხდება ადაპტირება (უბრალოდ რომ ვთქვათ, შეგუება) ახალ პირობებთან და ადამიანებთან. უმეტეს შემთხვევაში ხერხდება საერთო ენის მონახვა.

მთელი ის გამოცდილება, რომელიც გვეხმარება თანაკლასელებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობისას დაძაბულობის მოხსნაში, შეიძლება გადავიტანოთ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობის პლაცდარმზე. ვინც შეძლებს და მოასწრებს ურთიერთობის კულტურის წესებისა და ნორმების ათვისებას, ახალ ურთიერთობებში წამოჭრილ სიძნელეებს გადალახავს, ამ მხრივ, „განუსწავლელთან“ შედარებით ბევრად უფრო ადვილად და, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ულხო ადამიანებში პოვებს „ღვიძლ მეგობრებს“. ეს კი მერწმუნეთ ბევრად ღირებული შენაძენია.

ვადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნემ არაჩვეულებრივად გაზარდა და ამი- განადიდა ადამიანის ცხოვრების ორი პერიოდი: ბავშვობა და ' უცებულობა.

ადამიანები დიდხანს ადიდ არ აფასებდნენ ბავშვობის მნიშვნელობას მომდევნო ;ში პიროვნების ფორმირებისათვის. ხოლო მოხუცებულობ ;ლავდნენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც ცხოვრების შეჯამ ;ამ ეს ორი პერიოდი მკვლევართა განსაკუთრებული ყურ ;ანებივრებული არა ყოფილა. თუმცა შესასწავლიც არ ,ოლუციამდელ რუსეთში სიცოცხლის ხანგრძლივობა ;იყო: მამაკაცებთან ის საშუალოდ ოდნავ აღემატებ ;ლები ცხოვრობდნენ ორი-სამი წლით მეტ-ხანს.

ე ნიშნავდა იმას, რომ ქვეყნის ყველა მცხოვ-
რებ მოწიფულობის ასაკში კვდებოდა. მოსახ-
ლ გრძლივობის მაჩვენებლები გამოითვლება იმ
,ბის საფუძველზე, რომლებშიც ფიქსირებუ-
კლილის ყველა შემთხვევა. მაშასადამე, სა-
უფრო დაბალი იქნება, რაც უფრო მეტია სიკ-
ოტო მოწიფულობის წლებში, არამედ ბავშვობ-
ამდელ რუსეთში ბავშვობის პერიოდში სიკვდილია-
ადი იყო. ამიტომაც სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუ-
ალებელი მეტად დაბალი იყო და, როგორც წესი, ოჯახში
, გამონაკლისის სახით თუ გვხვდებოდა. გადაჭარბებული
ისა და ცხოვრების ცუდი პირობების გამო გლეხები, მუშები
ა ხელოსნები ადრე იხოცებოდნენ სხვადასხვაგვარი ავადმყოფობისა
და შიმშილისგან. მოხუცებულობას ვერ აღწევდნენ მათი ანტიპოდებიც. ეს უკანასკნელნი, პირიქით, ყველაფერში ზედმეტობის, ზნედაცემულობის და ჯანმრთელობისთვის საზიანო ცხოვრების სტილის გამო.

ახლა ხანდაზმულთა რიცხვი ახალდაბადებულთა რაოდენობაზე სწრაფად კი იზრდება. მეცნიერი დემოგრაფები შემთხვევით არ ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაბერებაზე. 1939 წელს სსრკ-ში 60 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა რაოდენობა მოსახლეობის 7%-ზე ნაკლები იყო. 1970 წელს მათი რაოდენობა უკვე 12%-ს მიუახლოვდა. დემოგრაფები წინასწარმეტყველებენ, რომ ეს ციფრი მომდევნო საუკუნის დასაწყისისთვის 17%-მდე გაიზრდება.

ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა ჰქმნის ახალ პრობლემებს, რო-

მელთაც ძველ დროს ადგილი არა ჰქონდა: საზოგადოებამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს და განამტკიცოს პენსიონერთა ადგილი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში, ხელი შეუწყოს მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას, უზრუნველჰყოს მათი საქმიანობის, დასვენების და შინაარსიანი ურთიერთობების სწორი ორგანიზაცია.

აღნიშნულ საკითხთაგან ჩვენ შეეხებით მხოლოდ ზოგიერთს.

ბევრი თანამედროვე მკვლევარი ადამიანის ცხოვრებისეული და შრომითი აქტივობის პიკად მიიჩნევს 40—45 წელს. ორმოცდაათს შემდეგ, როგორც წესი იწყება დაქვეითება. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ თითქოს და შებრუნებული თანმიმდევრობით ხდება ადამიანის პიროვნებად ქმნადობის ეტაპების გაფერება.

მწვერვალზე, პიკის წლებში გვაქვს ყველა ძალებისა და ნიჭის მაქსიმალური აზვირთება, დგება „მეორე სიჭაბუკის ხანა". ქალიც და მამაკაციც თითქოს ხელახლა იფურჩქნება. ეს უკვე დამტკიცებული ფაქტია: საზოგადოებრივი შრომის თითქმის ყველა სფეროში წამყვანი სპეციალისტები, კოლექტივის ხელმძღვანელები არიან ადამიანები, რომლებსაც საფეთქელი ჭაღარით აქვთ დაფარული. კრებებისა და კონფერენციების პრეზიდიუმებში, დაჯილდოებულთა სიებშიც პირველ რიგში ისინი არიან.

დაუკვირდით ახლანდელ მოგზაურებს და ტურისტებს, მუზეუმების, ფილარმონიის, ფესტივალების სტუმრებს. აქაც უანიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს საკმაოდ სოლიდური საზოგადოება. გადახედეთ თავგამოდებულ მებაღეებს, თვითნასწავლ ოსტატებს, ხელსაქმით გატაცებულებს, საოჯახო-სამეურნეო ტექნიკის გამომგოხებლებს, კლუბებისა და სტუდიების მონაწილეებს... ზოგჯერ გაოცებული ვრჩებით: როგორ მოახერხეს ამდენი ძალების, ცოდნისმოყვარეობის, გატაცების, ყველაფერი უჩვეულოთი დაინტერესების უნარის შენარჩუნება?

ახსნა შეიძლება ნოინახოს თვით მათ ოჯახურ-საზოგადოებრივ მდგომარეობაში: სოციალური მდგომარეობა საკმაოდ შტკიცეა, ყველაზე არსებითი საყოფაცხოვრებო პრობლემები ( ) (ხელფასი, ბინა და ა. შ.), ბავშვებიც გაიზარდნენ ( ) ტვირთს აღარ წარმოადგენენ. და აი, იცხოვრე და გაიხარე, განახორციელე ყველა მისწრაფება და ინტერესი, რისთვისაც ძველად არც დრო ჰქონდათ და არც ფიზიკური და მატერიალური საშუალებები. ბედნიერი ხანაა მათთვის, ვინც ამ დრომდე ისე მოაღწია, რომ მთლად არ გაუჩანაგებია თავისი სულიერი ენერგია, არ გაუფლანგავს ის ჟალბი ღირებულებებისა და ამაო სიამოვნებათა დევნაში.

ამას მოჰყვება ცხოვრებისეული აქტივობის თანდათანობითი დაკ-

ვეოლების პერიოდი. ბევრთან ხელახლა იჩენს თავს „მოზარდობის“ ასაკის დამახასიათებელი მისწრაფება ცხოვრებაში ადამიანის დანიშნულების სიღრმისეული გააზრებისა — მხოლოდ „შებრუნებული პერსპექტივით“ — არა მომავლის, არამედ წარსულის ხედვის საფუძველზე.

ზოგიერთები მეტად დრამატულად განიცდიან ამ პერიოდს. სულ უფრო და უფრო მატულობს იმ სასმენთა და გართობა-სიამოვნებათა რიცხვი, რომელთა შესახებაც იძულებული არიან თქვან: ეს საჩემო არ არის, ისევე, როგორც ყრმობაში, იზრდება მანძილი „შემიძლიასა“ და „მინდას“ შორის: მოზარდებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ბევრი რაზის განხორციელება იქიდან, რაც სურთ, ხოლო მოხუცებს უკვე აღარ შეუძლიათ თავისი ბევრი სურვილის რეალიზაცია.

ახლაც ისევე, როგორც შორეული მოზარდობის წლებში, ადამიანს ეგულებოდა თვალსაჩინო ცვლილებები გარეგნობაში, რომელიც უკეთესობისკენ არ მიდის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მოზარდებთან ეს ცვლილებები დროებითი ხასიათისაა, მოხუცებულთან კი სამუდამოა, შიშით იყურებიან ისინი ულვიანელ სინამდვილის ამსახველ სარკეში. მოზარდისთვის შესამჩნევია მისი სახის დაბამახიხჯებელი მუწუკები და პიგმენტური ლაქები, მოხუცისთვის — ნაოჭები, მოდუნებული და ჩაბოლოდებული კანი, ამღვრეული თვალები.

ადამიანები ძალიან ვანიცდიან ამ ცვლილებებს ქალები.

ვინაა ეს უცნობი სახე, რომელიც მას სარკიდან უყურებს? ვინ არის ეს ქალი? როგორი ქცევა შეეფერება მას? როგორ უნდა იცვამდეს, ივარცხნიდეს, მოძრაობდეს, ლაპარაკობდეს? ყველაფერი ეს გაურკვეველია.

თავში სისხლის მოწოლა, აჩქარებული გულისცემა, ქოშინი, აწეული ნევროტულობა და ტირილისკენ მიდრეკილება (პირველ რიგში ქალებთან) — ასეთია ამ მდგომარეობის გარეგნული გამოვლინებანი. თუ მოზარდობის ასაკის სიძნელეები 2—3 წელს გრძელდება, კლიმაქსმა (ანუ ოფლიანებენ მეტიკოსები მოხუცებულობის პროცესში შეფერილ ორგანიზმის ხემოალწერილ მდგომარეობას) შეიძლება ზოგიერთ ქალთან 5-დან 8-მდე, ზოგთან კი 10 წლამდეც გასტანოს.

აქვე უნდა აღინიშნოს „მოხუცებულობაში გარდამავალი ასაკისადმი“ ირონიანმყოფთა დამოკიდებულების შესახებაც. თუ ხორცი სულის განცდები და გაფურჩქვნის პროცესში მყოფი სხეულის კრიზისი ეჯროსებს ესმის და ცდილობენ მის შემსუბუქებას, რადგან ახსოვთ თავის თავი ამ ასაკში, მოხუცის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ ახალგაზრდებმა, როგორც წესი, არაფერი იციან, ამიტომ არც თანაგრძნობენ. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მოხუცებს უბრალოდ ხასიათი უფუჭდებათ.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ასაკი, მოხუცებულობაც გახსხვავებულ ემოციებს იწვევს. აი, რას წერს მის შესახებ ახალგაზრდა გოგოლი პოემაში „მკვდარი სულები“: „...ყველაფერი შეიძლება დაემართოს ადამიანს. ახლანდელი მეზნებარე ახალგაზრდა მკერდუბებული დაიხეოდა უკან მისთვის რომ ეჩვენებინათ თავისი მოხუცებულობის სურათი...“ ამას მოჰყვება სიტყვები სიბერის ულმობელობაზე, რომელიც ახალგაზრდა მწერლის აზრით, სიკვდილზე უარესია.

მაგრამ, აბა ახლა იმ ადამიანის ნათქვამს დავუკვირდეთ, რომელიც მოხუცებულობას იცნობს არა მხოლოდ სხვათა მაგალითებზე და გარეგნული, ნაადრევი მსჯელობებით, არამედ თვითონ არის უკვე ამ ასაკში. მწერალი ვერესაევი, რომელიც არაერთხელ ვახსენეთ ჩვენს საუბრებში სრულიად სხვა აზრისაა მოხუცებულობაზე. „ჩვენ ყველა ვიზრდებით სიბერისადმი სიძულვილითა და შიშის გრძნობით. მაგრამ მე რომ მაშინ მცოდნოდა — თუმცა ვინ იცის ახალგაზრდობაში ეს? — მე, რომ თვითონ მცოდნოდა მაშინ, როგორი არასაშიში, სასიხარულო და პარაქიანი შეიძლება იყოს ეს მრისხანე მოხუცებულობა!...

მაგონდება ახალგაზრდობის დროინდელი შფოთვა, თავმოყვარეობის მღრღნელი ტანჯვები, მკვეთრად დაბერილი, ავადმყოფური ფანაზარდები სულისა, სხეულის დამამცირებელი შავად მღელვარე ვნებები. თავს მოხვეულ უამრავ კითხვებში ბრმად ხეტიალი. საკუთარი თავის ვერგაგება, ცხოვრებასთან მიდგომის უუნარობა...

ახლა კი სული რაღაც ძლიერი ფარითაა დაცული, გარეგანი უბედურებანი, ნაწყენობა, თავმოყვარეობისკენ მიმართული დარტყმები ვერც ისე ადვილად დაჭრიან მას, ხელში თითქოს საიმედო კომპასი გვაქვს; არ გვაშინებს გარშემორტყმული ტყვრი, ულრანი: უფრო მახვილი ვახდა სულიერი ხედვა. სულში სიხალვე — სიმტკიცე და ცხოვრებისადმი მადლიერებაა.

...დიახ ახალგაზრდობამ რომ იცოდეს როგორი განათებული, სულის ამამაღლებელი მოხუცებულობაა შესაძლებელი, იქნებ ასე დარდიმანდულად არ გაეტარებინა სიჭაბუკის წლები... გაფლანგო ძალები — და ასე შეხვდე თვალებამღვრეულ მოხუცებულობას, ხველებით, სუნთქვაშეკრული, ხილის გამომხატველი ჩაკოძვალული ტუჩით და ჩაბნელებული სახით. ახალგაზრდობას კი უთხრა:“ „მოხუცებულობა — ადამიანის ცხოვრების საბინელი, დაწყეული პერიოდია.“

მსგავს აზრს გამოთქვამს ბევრი მოხუცი, რომელიც ცხოვრების ამ გრძელ, ყრმობასთან შედარებით გაცილებით ხანგრძლივ პერიოდში ისე შევიდა, რომ არ გაუფლანგავს ბუნებისგან ბობაღლებული

და აღზრდით გაკულტურებული სიმდიდრე — ადამიანური სხეული, გონება და გული.

ტკბილ მოხუცებულობაზე შეიძლება ითქვას, რომ ის ჯილდოა პატიოსნად, გონივრულად, გულწრფელად გახვლილი ცხოვრებისთვის.

სამართლიანია სხვაგვარი მსჯელობაც: „ადამიანი იმდენი წლისაა, რამდენისაც თვითონ გრძნობს თავს". მოხუცებულობა კი — ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციური ჯანმრთელობის მდგომარეობაა და არა ასაკი. საკუთარი გამოცდილებაც გიკარნახებთ თქვენს ირგვლივ მყოფთა შორის ვინ შეიძლება მიეკუთვნოს ახალგაზრდებს, მიუხედავად ივისა, რომ მხრებზე აწევთ გრძელი და რთული ბიოგრაფია და ვინ საპენსიო უზრუნველყოფის მომლოდინე მოხუცებს, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არ მოხრილან წელში საზოგადოებრივ სარბიელზე მუშაობით და არაფერი სასარგებლო არ გაუკეთებიათ. თქვენს თანატოლთა შორისაც ხომ არიან ხორჩი მოხუცები ყოვლისმცოდნენი და უკვე დაღლილნი ბევრის ცოდნისგან, ცხოვრებაზე იმედგაცრუებულნი, მის ნაკლოვანებებზე მობუზღუზენი, რომლებმაც თითქოს უკვე ყველაფერი გამოსცადეს ცხოვრებაში. ჯერ კიდევ რამდენი გზა აქვთ მათ გასავლელი „ამღვრეულ თვალებიან", დაძაბუნებულ მოხუცებულობამდე, მაგრამ სკეპსისაში უკვე ბინდი ჩაუყენათ თვალებში და ამ ქვეყანაზე აღარაფერი არ ეხალისებათ. აი ვინ უნდა გვეცოდებოდეს! როგორც დიდი პოეტი ამბობს: „...და საბრალოა როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს".

მაგრამ ეს ერთგვარი გადახრაა ჩვენი საუბრის ძირითადი თემიდან.

თანამედროვე ახალგაზრდები წინდაუხედავად უწოდებენ თავის მშობლებს მოხუცებს, ფიქრობენ, რომ მათ თავისი თავი უკვე ამოწურეს და აღარ შერჩათ არავითარი სურვილი და ინტერესი გარდა ერთისა: რაც შეიძლება კარგი ცხოვრება შეუქმნან თავის შთამომავლობას, გამოზარდონ და ელოლიავონ შვილიშვილებს. ბევრ ახალდაქორწინებულს არ სურს დაუკვირდეს როგორ გარდაიქმნებიან ბებიებად და პაპებად ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებას და ბუნებას ჯერ კიდევ არ ჩამოუწერია სიიდან როგორც მუშაკები, როგორც ქალი და მამაკაცი.

ახლადშექმნილ ოჯახებში ბევრ კონფლიქტს აქვს ადგილი სწორედ ივის გამო, რომ არ ესმით მოხუცებულის მდგომარეობა. მისი ფსიქიკის ასაკობრივი თავისებურებანი.

ბებო, რატომ ცეკვავ? ბებიებისთვის ცეკვა არ შეიძლება! — ეუბნება შვილიშვილი თავის ორმოცდახუთი წლის ბებიას, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდულად და მიმზიდველად გამოიყუ-

რება და მარ.ლაც, დაივიწყა რა თავისი „ჩინი“, ოჯახურ ზეიმზე თავგანადგურებით ცეკვავს — ახალი მოდის ცეკვას.

— უყურე ერთი ჩვენს მოხუცებს — ესენიც რომ სიყვარულზე ამღერდნენ! — ირონიით აღნიშნავს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომლებიც ბებიების კეკლუცობასა და პაპების თავაზიანობაში, მათ ხაზ დამოკიდებულებაში ერთმანეთის მიმართ ხედავენ თითქმის რაღაც უწესობას, მოხუცი ადამიანის ქცევის მორალური ნორმების დარღვევას. საინტერესოა, როგორი ეჩვენება თანამედროვე ბებია და პაპა მათი ნორჩი ან უკვე მოწიფული შვილების ეკვიან და კრიტიკულ თვალთახედვას და როგორები არიან ისინი სინამდვილეში?

ზღაპრების, ხალხური თქმულებების მიხედვით ბებია არის დროგამოქმული მოხუცი, ჩუმი და დაუღლელი, რომელიც ფრთხილად დაფუსფუსობს მთელ სახლში, ცდილობს ყველას ასიამოვნოს და სამაგიეროდ არაფერს არ ითხოვს; მარჯვეა საქმლის დამზადებასა, კერვასა, რთვასა და ქსოვაში, შეუძლია ზღაპრების და თქმულებების ოსტატურად მოყოლა, ალერსიანი ძილისპირულის შეთხზვა, ეხმარება შვილებს, უვლის და ანუგეშებს შვილიშვილებს. ის სახლის ხათელი და სინდისია. ხოლო პაპა — რასაკვირველია — თეთრწვერა, ეხმაკურად მოპუტული თვალებით, მუდამ საქმიანია, ყოვლისმცოდნეა. ოჯახის ფილოსოფოსია.

მართალია, ასეთი იდეალური სახეები არც წარსულში გვხვდებოდა ყოველ ნაბიჯზე. ცოცხალი ნატურა და ხასიათები ყოველთვის უფრო რთულია, ვიდრე იდეალიზირებული წარმოდგენები. ისეთი ნაზი სიყვარულის აღმძვრელი არსებაც კი როგორიც იყო ალიოშა პეშკოვის ბებია ნაკლებად ჰგავს ხატისებურ სახეს. ხოლო პაპა კაშირინი — პირდაპირ ბოროტი გნომია. როგორც ჩანს, ზღაპრული ტიპაჟების შექმნისას, ხალხის ცხოვრების ისტორიული ეპოცდილების საფუძველზე შერჩეულია ყველაფერი ის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია ამ როლების საუკეთესოდ შესასრულებლად.

საყურადღებოა ერთი ლინგვისტური ფაქტი. ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებში არ არის „ბებიის“ ანალოგიური სიტყვა. მათთან ბებიას უწოდებენ „დიდ დედას“ ე. ი. სახელში ხაზგასმულია მისი ფუნქცია. მისი ხელშეძღვანელი მდგომარეობა ოჯახში. როგორც ხედავთ, ამ განსაზღვრას აკლია ემოციური შეფერილობა, თბილი დამოკიდებულება ჩვენი დედის და მამის მშობლის მიმართ. ქართულ ენაში ორივე ამ შინაარსის შესატყვისი სიტყვები გვაქვს — დიდედა, ბებია. რუსულ ენაში მშობლის დედის აღმნიშვნელად აქვთ მხოლოდ ერთი სიტყვა—ბებია.

სიტყვა ბებიკო მოფერებით-კნინობით სუფიქსით, თითქოს პირი-

ქით, ამცირებს რა ამ როლის პასუხისმგებლობასა და მნიშვნელობას, ამავე დროს, აჩყვავს ის სიყვარულის პიედესტალზე. დალის ლექსიკონში აღნიშნულია რუსულ ენაში ხმარებული 12 ვარიაცია ამ სიტყვისა, რომელთაგან ყველა თბილი, ალერსიანი შეფერილობისაა და მხოლოდ ერთია შედარებით უხეში ჯიერადობის.

რითია გამოწვეული ეს? ცნობილია, რომ ენა ასახავს დამოკიდებულებათა უკვე დადგენილ პრაქტიკას. მოგზაურები აღნიშნავენ ევროპული და ამერიკული ყოფის ჩვენთვის უჩვეულო თავისებურებას: უფროსი თაობის განცალკევებულობას მოწიფული შვილებისა და შვილიშვილებისგან.

მართალია, ამ ბოლო დროს, ჩვენთანაც გამოჩნდნენ ქალები, რომლებიც არ ჩქარობენ ბებიის როლში შესვლას და სცხოვნიათ კიდეც ამ სახელწოდების. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მათ ასაკს და თვითგრძნობას ცხოვრებაში — ყველაფერი ნათელი გახდება. ბებიები ხდებიან 26 წლიანებიც, (რეგისტრირებულია ასეთი შემთხვევები) 35 — 40 წლიანებიც და შემდეგაც, მიწიერი არსებობის რეკორდულ ვადებშიც. ამიტომ, ერთნაირად მართებულია სიტყვები იმის შესახებ, რომ თანამედროვე ბებიისათვის არაფერი ქალური უცხო არ არის, მათ შორის არც სასიყვარულო განცდები და არც გართობისა და მორთვა-მოკაზმვის სურვილი. და ისიც სწორია, რომ მას შეიძლება ახასიათებდეს ასაკობრივი ხანდაზმულობით გამოწვეული ნაკლოვანებანიც. ორივე მსჯელობა მართებულია, მხოლოდ იმის ზუსტი მითითებით, რომ ისინი მიეკუთვნებიან ბებიათა სხვადასხვა კატეგორიას.

თანამედროვე ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75 წელს აღწევს. ეს იმას ნიშნავს. რომ გახდნენ რა უკვე ბებიები ისინი, ამავე დროს, ხშირად არიან ხანდაზმული მშობლების ქალიშვილები, რძლები. ვისაც ეს მდგომარეობა არ გამოუცდია, ვერ გაიგებს როგორ მოქმედებს ეს ფაქტი ქალის თვითგრძნობაზე. ვიდრე არიან ქვეყანაზე ადამიანები, რომლებიც „შვილოს" გეძახიან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინა გაქვს! რამდენი თაობაც გინდა მოგყვებოდეს უკან. ნებისმიერი ქალის შიხაგახი ფსიქოლოგიური მდგომარეობა კი ადამწყვეტ გავლენას ახდენს მის ფიზიოლოგიაზე, მის გარეგნობაზე.

ძალიან ხშირად, ახალგაზრდა ბებია გამოიყურება კიდეც, როგორც თავისი მოწიფული ქალიშვილის უფროსი და. სპორტული ფიგურა, წელგამართული, სახეზე კოსმეტიკა, ტანსაცმელიც არაფრით არ განსხვავდება ახალგაზრდულისაგან. ეს გასაგებიცაა: ბებიები, ჩვეულებრივ, შრომობენ ახალგაზრდებთან ერთად და არავინ აძლევს

მათ შეღავათს „ასაკის“ გამო, მათი სოლიდური მდგომარეობის გამო.

პაპების შესახებ კი სათქმელიც არაფერია. მათ არც ფიხათ, და მით უმეტეს ახლა, არ სურთ ახალგაზრდობის დათმობა.

...მთავარი წყალგამყოფი, რომელიც განსაზღვრავს ბებიების და პაპების ტიპს, მდებარეობს მომუშავეთა და პენსიიოხერთა მორის. მეტწილად, ეს უფრო ზნიშვნელოვანიც კი არის, ვიდრე ასაკობრივი განსხვავებულობა. მიუხედავად მთელი ბრწყინვალე გარეგნული ახტურაჟისა, მომუშავე „მოხუცი“ ოჯახის სხვა წევრებთან ბედარებით რთულ, დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფება. ადამიანის ცხოვრების ამ პერიოდისთვის შეიძლებოდა ალოობა გვეწოდებინა. ცხოვრების ყანაში ისეთივე წესრიგი და რეჟიმი მოქმედებს, როგორიც მიწის დამუშავებისას. გაზაფხულზე ხვნა და თესვაა, საფუძველი ეყრება ძირითად საქმეებს და დამოკიდებულებებს, მხიარული უბრუნველი დროა. ზაფხულში იზრდება დათესილი, შევხარით ძალას სითბოს, გრძნობათა სიუხვეს, გვწამს, რომ ფერებისა და ძალთა ამ ბობოქრობას არ ექნება დასასრული. შემოდგომა ყველაფერს ერთმანეთში ურევს: სიხარულისა და შიშს, სიამაყეს და სასოწარკვეთილებას, ფერები კაშკაშა აქვს, სილამაზე გამომწვევი. ერთი სიტყვით, გარდატეხის პერიოდია. აი ისიც: სასურველი მოსავალი, მისი აღება სასიხარულოც არის და სევდის მომგვრელიც, ზოგჯერ კი მეტად დაძაბულიც.

როგორც უკვე ვთქვით, მშობლები ამ ასაკისთვის აღწევენ პროფესიული ოსტატობის მწვერვალებს. შესაბამისად, ოჯახში ყველაზე მაღალი ხელფასი, ხშირად, სწორედ მათ აქვთ. აქედან გამომდინარე, ოჯახში პატარა არსების გამოჩენისას, რომელიც დიდ ზრუნვასა და მიხედვას მოითხოვს, ახალგაზრდა დედა, ხშირად, ხმასაც არ იღებს იმის შესახებ, რომ ბებია დარჩეს სახლში შვილიშვილთან, ხოლო თვითონ სამუშაოდ წავიდეს. ეს გაუმართლებელია ოჯახის საერთო ინტერესებითაც. დიღი იქნებოდა, როგორც ფულადი ისე საქმიანი და პრესტიჟული დანაკარგები. დაბოლოს, უფროსი დედისთვის აუცილებელია გამოიმუშაოს პენსია, უზრუნველყოს თავისი არსებობა იმ ხანგრძლივი დროის მანძილზე, როცა სამსახურში აღარ იქნის.

ისე, რომ ნორჩი დედები ახლა ხშირად ამზადებენ საჭმელს, კერავენ და ქსოვენ, უამბობენ ბავშვებს ზღაპრებს და დაფუსფუსებენ სახლში, ბევრ ბებიას კი ამის დრო არა აქვს.

ბებიების და პაპების დიდი ნაწილი კვლავ ტრადიციულად ცხოვრობს და მუშაობს. ისინი წლების მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტ დროს და ძალებს ახმარენ ოჯახს, სამსახურის შემდეგ მათი გზა პირდაპირ შვილიშვილებისკენ მიდის სკოლაში, საბავშვო

ბაღსა, ან ბაგაში, სათამაშო მოედანზე ან ზოოპარკში. სახლშიც სხვა ადგილსამყოფელი არა აქვთ, გარდა ტელევიზორის ყურებისა, რომლის პროგრამაშიც ისინი პირველ რიგში ეძებენ „საბავშვო“ გადაცემებს.

შეიძლება ცხოვრების ასეთი წესი ვინმესთვის საზიანოდ ჩაითვალოს? არა გვგონია: ყველას თავისი ხვედრი აქვს ცხოვრებაში. უბრალოდ ჩვენი დრო იძლევა არჩევის შესაძლებლობას, თავს არ გვახვევს მკაცრ ნორმატივებსა და ვალდებულებებს.

მომუშავე ბებიების და პაპების პროფესიულ მარათონს ემატება ბევრი ოჯახური მოვალეობა, რაც, აგრეთვე, დამახასიათებელია ამ ასაკობრივი პერიოდისთვის. უცებ მკევთრად ბერდებიან ჯერ კიდევ ეხლახან ასეთი მხნე, დამოუკიდებელი და მოქმედი მშობლები, ისინი, რომლებისთვისაც ახალგაზრდა ბებიას და პაპას შეეძლოთ „მოხუცები“ ეწოდებინათ, რითაც თავის თავს გამოჰყოფდნენ ამ ასაკის ადამიანებისგან. რას ნიშნავს ქრონიკული ავადმყოფების, დაუძლურებული მოხუცების მოვლა, ასახსნელად ძნელია და უთქმელობაც არ შეიძლება. ვისაც არ განუცდია ძვირფასი ადამიანის ნელი კვდომა, საავადმყოფოში სიარულთან დაკავშირებული ყველა პრობლემა და ამ საზრუნავთა შეთავსება სამსახურთან, ის ვერ გაიგებს, რა სიმძიმე აწვებათ ამ დროს, პირველ რიგში, ქალიშვილებს.

მოხუცების ავადმყოფობას, მით უმეტეს, მათ სიკვდილს, დიდხანს და მძიმედ განიცდიან ასაკოვანი შვილები. თითქმის უფრო მძიმედაც კი, ვიდრე ახალგაზრდები. ახალგაზრდა ვერ გრძნობს დახაკარგის მასშტაბებს. მას დარდს უქარვებს და ართობს ხანგრძლივი ცხოვრების პერსპექტივა. აქ კი თავს იჩენს იმის ცნობიერება, რომ მშობლებმა თავისი წასვლით მოხსნეს ის ბარიერი, რომლითაც გამიჯნული ვიყავით არყოფნის პირდაღებული უფსკრულისგან. და ჩვენ ვრჩებით პირისპირ იმასთან, რაზედაც მშობლების ზურგს აჭოფარებულებს ფიქრიც არ გვიხდებოდა...

ახლანდელი ახალგაზრდა ბებიების მშობლები, მიდიან მარადიულ არარსებობაში და თავის თმაშეეერცხლილ შვილებს უტოვებენ საფიქრალს: რას წარმოადგენს ცხოვრებაში წარმატებულობის ყველა ეს ხილული ნიშანი, წოდებები და სახელწოდებანი, სახლები, ბინები, ნივთები, ფული? იქნება განა ყველაფერი ეს მათი მიწიერი არსებობის უფრო მნიშვნელოვანი მატერიალური, ნივთიერი საბუთი, ვიდრე შვილები და შვილიშვილებია?

ცხოვრებიდან მიდიან არა მარტო მოხუცები. ხშირად 45 წლის გადატვირთულ ბებიასაც უმტყუნებს ჯანმრთელობა და ცხოვრებას სტოვებს ჯერ კიდევ ახალგაზრდა. მიუხედავად ამისა, იშვიათად გაიგონებთ მოწოდებას: „გაუფრთხილდით ახალგაზრდა, მომუშავე ბებიას! ის საზოგადოების ძალიან სასარგებლო წევრია!“ პირიქით,

ყოველი მბრიდან ისმის მოთხოვნები, რომლებიც სწორედ მისდამია მიმართული". „გაუფრთხილდით მამაკაცებს" — ამბობენ მისი მისამართით დემოგრაფები და მედიკოსები, იმიტომ, რომ მამაკაცთა სიკვდილიანობის პიკი მოდის სწორედ, ახალგაზრდა პაპებზე. „გაუფრთხილდით ახალგაზრდა ოჯახს! უფროსების დახმარების გარეშე ის შეიძლება დაინგრეს!" — ესეც ახალგაზრდა ბებიის გასაგონად არის ნათქვამი. ის ხომ მთავარ როლს თამაშობს ოჯახში, როგორც დედა, როგორც დედამთილი და სიდედრი. და ბოლოს: „გაუფრთხილდით შვილიშვილებს! ისინი თქვენი მომავალია, თქვენი უკვდავება!" ყველაფერი ეს სწორია, მართალია. სხვა ვინ უნდა გაუფრთხილდეს ყველას, ვინ უნდა ზრუნავდეს ყველაზე თუ არა ბებია. ეს ხომ მისი მაქსიმალური თვითგაცემის დროა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ალოობაში ერთი ადამიანი თავს ვერ გაართმევს ყველა სამუშაოს. თუ გვაქვს მზარდაჭერა, ურთიერთგაგება — ძალა გვემატება, არა გვაქვს და—გვეკარგება ყველაფრის მოსწრების სურვილი. პირიქით, გროვდება დაღლილობა და დამსახურებული დასვენების მოთხოვნილება, მოთხოვნილება იმისა, რომ სიცოცხლის დარჩენილ დღეებში რაღაც მცირედი სიხარული მაინც განიცადონ. აი, როდის არის საჭირო ქალისთვის დაუყვედრებელი დახმარება ქმრისგან (პაპისგან), შვილებისგან და დანარჩენი ნათესავებისგანაც — ყველასგან, ვისთვისაც ის ძვირფასია.

ჩვენ განზრახ გადავდეთ ბოლოსთვის საუბარი შვილიშვილებთან ბებიის დამოკიდებულების შესახებ, რათა ცხადი გაგვეხადა, რომ ჯერ კიდევ იმ ბედნიერ წუთამდე, როცა ახალდაბადებულის საწოლის თავთან დაიხრება, ბებიკოს უკვე სული ეხუთება უამრავი როლებისა და მოვალეობათა შესრულებისგან.

სიკვდილის წინ დაწერილ წერილში ლ. ნ. ტოლსტოის ქალიშვილი სიყვარულით აღსავსე გამოთხოვების სიტყვებით მიმართავს ყველა ნათესავსა და ახლობელს. მაგრამ განსაკუთრებული ღრმა გრძნობით გამსჭვალული სიტყვებით ეთხოვება ის თავის შვილიშვილს ტანია სუხოტინას: „სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს შენდამი, ჩემო კარგო, ძვირფასო, საყვარელო შვილიშვილო ტანიუშა. შენ გახადე ჩემი ცხოვრება განსაკუთრებით მხიარული და ბედნიერი. მშვიდობით ჩემო მტრედო! იყავ ბედნიერი, მადლობელი ვარ შენი სიყვარულისა და ალერსისათვის. ნუ დაივიწყებ შენს მოსიყვარულე ბებიას."

ხალხი ამბობს: შვილიშვილი შვილზე უფრო საყვარელიაო. არ ვიცით, მართლა შვილზე მეტად უყვართ თუ არა, მაგრამ ნამდვილად სხვანაირად კი უყვართ. უფრო გააზრებულად, უფრო უანგაროდ და მეტი გულისხმიერებით. მოხუცებულობაში ადამიანს აქვს

საკმაო დრო და სურვილი იმისა, რომ დაუკვირდეს პატარა არსებას, მოუსმინოს მის ტიტინს, აღმოაჩინოს მასში ბევრი რამ ისეთი, რაც თავის დროზე, ყოველდღიური ცხოვრების ორმოტრიალში მხედველობიდან გამოეპარა, სამუშაოთი დაკავებულმა ვერ შენიშნა თავის შვილებში. უფროსის ამ დაინტერესებულებაზე აიგება სწორედ საპასუხო ინტერესი, ნდობა, გულწრფელობა ბავშვისა, რომელიც ძალიან კარგადა გრძნობს ვისთვისაა მნიშვნელოვანი მისი საფიქრალი, მისი განცდები და ვისთვის არა.

პატარების ეს წრფელი ნდობა განსაკუთრებით ძვირფასია მაშინ, როცა საკუთარი მოწიფული შვილები უკვე გულის კარს უკეტავენ დედ-მამას და მათთან ურთიერთობა დაჰყავთ პატივისცემის გამომხატველ რიტუალურ სიტყვებსა და ჟესტებზე.

ხშირად შვილიშვილების მიმართ გამძაფრებული გრძნობა აქვთ იმ ბებიებს და პაპებს, რომლებმაც ერთშვილიანობის გამო თავის დროზე სრულად ვერ დაიკმაყოფილეს მშობლიური სიყვარულის გრძნობა. მათ ეცოტავებათ ერთი შვილიშვილი და ემუდარებიან ახალგაზრდებს კიდევ აჩუქონ პატარების გაზრდის, მათი ძიძობის შესაძლებლობა. მაგრამ, ხშირად, ესპით ციკი უარი: შვილები მიუთითებენ მათივე ცხოვრების მაგალითზე. საყვედური სამართლიანია. მშობელი, რომელიც თვითონ შეუშინდა ბევრი შვილის გაზრდას, ვერ შეძლებს დაარწმუნოს ახალგაზრდები თავისი ნაგვიანევი სიხანულის გულწრფელობაში, იმაში, რომ მათი კეთილდღეობისთვის სთხოვს ბევრი შვილის გაჩენას.

მოხუცის და პატარა ბავშვის დაახლოვება, ხშირად, მათ შორის არსებული ასაკობრივი განსხვავების პირდაპირ პროპორციულია, რაც უფრო შორს არიან ისინი ერთმანეთისაგან ასაკის შკალაზე, მით უფრო ახლო და მტკიცეა კავშირი. შესაძლოა ეს იმითაა გამოწვეული, რომ როგორც მოხუცის, ისე ბავშვის ყოველგვარი სიხარული და მწუხარება შედგება ყოფიერების ყველაზე მარტივი და ბუნებრივი შთაბეჭდილებებისგან. ერთსაც და მეორესაც ახარებს მზე და თოვლი, ასფალტში თავამოყოფილი მწვანე ბალახი...

სხვაგვარია ძალთა გაფურჩქვნის პერიოდში შესული შვილიშვილების დამოკიდებულება მოხუცისადმი, რომელსაც უკახასკნელი ძალები ეცლება. აქ შეიძლება აღმოცენდეს გაუცხოებაც, გახხეთქილებაც, ერთმანეთით გაღიზიანებაც. მოხუცების დაუსრულებელ „რისთვის“ და „რატომ“-ს არაფერი საერთო არა აქვს ბავშვების გულუბრყვილო შეკითხვებთან. ბავშვი კითხულობს იმისთვის, რომ გაიგოს, მოხუცი კითხულობს იმისთვის, რომ გისაყვედუროს ან გაგიცხოს. თვითონ შეკითხვაში — რატომ იქცევი ასე, რატომ ლაპარაკობ ასე, რატომ იცვამ ასე — მოცემულია ქვეტექსტი: „რატომ არ მოგ-

წონს ის, რაც მე მიყვარს? ესე იგი, შენ ამჯობინებ სხვა რამეს, სხვა კი ცუდია.“

უმეტეს შემთხვევაში განმარტებები არაფერს შველის: აქ ლაპარაკობს ორი სხვადასხვა თაობა, ორი სხვადასხვა ეპოქა. პასუხისათვის თავის არიდების ცდა ითვლება შეურაცხყოფად. თანდათანობით იკარგება თბილი ურთიერთგაგება. კიდევ კარგი თუ შენარჩუნებულია ორივე „მხრიდან“ ერთმანეთის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა და თანაგრძნობა. ხშირად ესეც აღარა რჩება.

ჩვენს დროში იშვიათია, რომ შვილიშვილისთვის მთავარი მრჩეველი იყოს მოხუცებული. ახლანდელმა ახალგაზრდობამ ზოგჯერ იმდენი იცის, რამდენსაც ვერც ბებიის და ვერც პაპის გონება ვერ მისწვდება. შვილიშვილებს ყველა მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხებზე ჰყავთ სხვა მრჩეველები, რომლებსაც აქვთ უფრო ფართო ერუდიცია და აბსოლუტური ავტორიტეტი: მწერლები, მეცნიერები, ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზორი — განათლების მთელი ეს ძლავრი არსენალი, რომელშიც გაერთიანებულია ზოგადადამიანური გამოცდილება. მაგრამ გარდა ზოგადი ცნობებისა და მსჯელობებისა, ხებისმიერი ჩვენგანისთვის მეტად მნიშვნელოვანია საკუთარი ოჯახის გამოცდილება. ჩინგიზ აიტმატოვის რომანში „და დღე იყო გრძელი წუთისოფელზე... „ადამიანი, რომელიც მოკლებულია გვაროვნულ მეხსიერებას, გადაიქცევა უნებისყოფო მონა-მანქურთად. ზოგიერთი, ახლანდელი ახალგაზრდა კი, რომელსაც არ აინტერესებს თავისი ოჯახის ცოცხალი ისტორია, მოხუცების სულიერი განცდები, თვითონ უმზადებს თავს უტყვი მანქურთის მძიმე ხვედრს“.

ბევრ თანამედროვე მწერალთან დიდ პატივში არიან უხუცესი ქალები — ხალხურ თქმულებათა, პოეზიისა და მორალის მცოდნენი. განსაკუთრებით კარგად გამოიყენა მათი ნაამბობი ვალენტინ რასპუტინმა მოთხრობებში „უკანასკნელი ვადა“ და „გამოთხოვება მატიორასთან“. გულით ხედვისა და გულით სმენის უნარია საჭირო, რომ მათი ზნეობრივი სიმდიდრის სათანადოდ შეფასება შევძლოთ. სამწუხაროდ, ყველას არ გვხვდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ ყველა უნდა მივისწრაფოდეთ მისკენ.

დაბოლოს, მოხუცები ისევე, როგორც ბავშვები, ადამიანის სულში ჩაქრობის საშუალებას არ აძლევენ მადლიერების სითბოს, უნარჩუნებენ მას თავგანწირვის უნარს, ახდენენ შემწყნარებლობისა და მომთმენობის კულტივირებას.

ბავშვივით უძლური მოხუცები ხშირად ინარჩუნებენ იმის პრეტენზიას, რომ ოჯახის საქმეებში მათი აზრი და ავტორიტეტი გადამწყვეტი იყოს. ეს დასაბამს აძლევს კონფლიქტურ სიტუაციებს. თუმ-

ცა ბევრი გონიერი და მოხუცებისადმი კეთილგანწყობილი ადამიანი ახერხებს ამ მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლას.

ახლა იშვიათია ერთ ჭერქვეშ სამი და, მით უმეტეს, ოთხი თაობის ერთად ცხოვრება. ქალაქსა და სოფელში, მუშისა და ინტელიგენტის ოჯახში, მრავალ და მცირეშვილიანებთან ტენდენცია საერთოა: იცხოვრონ ცალ-ცალკე. შეიძლება არ მოგვწონდეს, გული გვწყდებოდეს, მაგრამ ჩანს, ამ ტენდენციას აქვს საფუძველი: ახალგაზრდა ოჯახი საჭიროებს დამოუკიდებლობას, როგორც ჰაერს. სახელმწიფოც ხელს უწყობს მას ამაში იმით, რომ ამოცანად დაისახა, ყოველი ოჯახი უზრუნველყოს ცალკე საცხოვრებელი ბინით.

რაც უფრო მეტია მანძილი მოხუცებსა და ახალგაზრდებს შორის, მით უფრო სუსტია მათი კავშირი. გამოცდილება გვიჩვენებს და გამოკვლევებიც ადასტურებენ, რომ დიდ ქალაქებში ბებიებისა და პაპების ურთიერთობა შვილიშვილებთან — დიდადაა დამოკიდებული მათი საცხოვრებელი ბინების ადგილმდებარეობაზე. თუ მათ შორის გზას სჭირდება საათი და მეტი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათი ურთიერთობის მთელი სიმძიმე ტელეფონზე გადავანათესავები ერთმანეთის ნახვას შეძლებენ მხოლოდ გამოსასვლელ, საზეიმო და საერთო უბედურების დღეებში.

ბევრი ოჯახი ცდილობს ამ „გაუცხოების ზოლის“ გადალახვას ერთმანეთთან ახლოს დასახლებით. სწორედ, ეს ითვლება ახლა მშობლებსა და დაოჯახებულ შვილებს შორის დამოკიდებულების ოპტიმალურ ვარიანტად: ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით, მაგრამ არა ერთად. ლენინგრადელი არქიტექტორები აშენებენ ექსპერიმენტულ სახლებს ოჯახებისთვის, რომლებსაც სურთ ცხოვრობდნენ უშუალო მეზობლობაში, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად ეწეოდნენ საოჯახო მეურნეობას. ასე, მაგალითად, შენდება ბინები, რომლებშიც სამზარეულო და საერთო სარგებლობის ადგილები ორ-ორია (უფროსი და უმცროსი თაობისათვის), მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანები ეძებენ წამოჭრილი პრობლემების გონივრულ გადაწყვეტას.

ნებისმიერ ასაკში, ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლის ელექსირია ახლობლებისთვის თავისი საჭიროების შეგნება, შესაძლებლობა იმისა, რომ თვითონაც უყვარდეს სხვები და მათგანაც ჰქონდეს სიყვარული. თუ მოხუცმა ეს იცის, ამას გრძნობს, შეიძლება ითქვას, რომ მას ბედი სწყალობს, თუნდაც ჯანმრთელობა და ძალ-ღონე მთლად გამოცლილი ჰქონდეს, თუნდაც ყოველდღიურად და ყოველ წუთს არ ხედავდეს თავის ახლოს მშობლიურ სახეებს და უცხო ხელი აწვდიდეს წამალს.

თქვენს თანატოლებთან შეხვედრებში შენიშნული გვაქვს, რომ აუდიტორია ყველაზე ნაკლებად ეხმაურება ბავშვებსა და მოხუცებზე საუბარს: ეითომ და ეს

ჩვენი საზრუნავი არ არისო. უნდა აღინიშნოს, რომ ჭეშმარიტი ჰუმანურობა საზოგადოებისა, ოჯახისა თუ ცალკეული პიროვნებისა განისაზღვრება, პირველ რიგში, ბავშვებთან და მოხუცებთან დამოკიდებულებით, რომლებიც ყველაზე უმწეოები არიან და ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას. თვითშემეცნებისთვის, საკუთარი ბუნების ფარული თვისებების და თავისებურებების შეცნობისთვის ყველაზე ზუსტი კრიტერიუმებია — თანაგრძნობა, გულკეთილობა და ყურადღებიანობა არა მარტო მის მიმართ, ვისაც ახლაც აქვს და შეუძლია, არამედ განსაკუთრებით მის მიმართ — ვისაც უკვე აღარაფერი დარჩა გასაცემი.

დააკვირდით როგორ ექცევა თქვენი შეგობარი თავის „მოხუცებს" და შესაძლოა „ერთი ფუთი მარილის ერთად ჭამა" საჭირო არც გახდეს იმისთვის, რომ გარეგნული კეთილმოსურნეობის მიღმა დაინახოთ გულქვაობა, ეგოიზმი და, პირიქით, გარეგნული უხეშობის მიღმა დაინახოთ გულითადი ზრუნვა ბებიაზე ან პაპაზე.

გარდა ამისა, შეეცადეთ აღდგინოთ თქვენი „გვაროვნული ხე", თქვენი ოჯახის ისტორია. რომლებს იცნობდით კარგად თქვენი ბებიისა და პაპებისაგან, დიდი ბებიისა და დიდი პაპებისგან და რომლებს მხოლოდ სხვების ნათქვამით. შეეცადეთ გაიხსენოთ, ბევრ დროს უთმობდით თუ არა მოხუცებს და როგორ ეხმაურებოდნენ ისინი თქვენს ზრუნვას? იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან თბილ ურთიერთობათა აღდგენა, ბებიების და პაპების გულის გათბობა მათდამი წრფელი ინტერესით თუ რატომღაც ეს ურთიერთობა ახლა გაგრილებულია ამ მოხუცებმა ხომ სიცოცხლე მისცეს თქვენს მშობლებს, თავის მხრივ გადაიტანეს ომის, ნგრევის, შიმშილის მძიმე გამოცდა და მაინც შეძლეს არსებობის შენარჩუნება.

ოჯახის ეკონომიკა

მოთხოვნილებები — ბუნებრივი და ხელოვნური.

როგორც სათაური გიჩვენებთ აქ საუბარი იქნება საგნებზე, რომლებიც თითქოს მოკლებული არიან ცოცხალ გრძნობას, რომანტიკას და ამიტომ შორს არიან აღფრთოვანებული ახალგაზრდობისგან, მისი უანგარო ოცნებებისგან. კაპიკი — მანეთი, თვლა-ანგარიში ვის აინტერესებს ეს?!

მაგრამ, ოჯახური ეკონომიკა სრულიად განუყოფელია უფრო რთული მატერიებისგან, ვიდრე ხელფასიდან ხელფასამდე ფულის ხარჯვის პრიმიტული ანგარიშია. ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს, მათზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ყველაზე არსებითი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც და მაღალი სულიერი მოთხოვნილებების განვითარებაც.

„...ადამიანებს, პირველ ყოვლისა, უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი ბინა და ტანისამოსი, რათა მათ შეძლონ ხელი მოჰკიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვა“ — წერდა ენგელსი (მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, ქრესტომათია, ტ. I, 1983, გვ. 536). უფრო მეტიც, ჩამოთვლილი საცხოვრებელი პირობების გარეშე ადამიანს არ შეუძლია ოჯახის შექმნა. ასე, რომ ქედმაღლური დამოკიდებულება ცხოვრებისეულ პარაზიტიზმთან, რომელმაც არ უწყის და არც აინტერესებს რომელი ხე „ისხამს ფუნთუშებს“, საიდან ჩნდება ნივთები და რისთვისაა საჭირო ფული.

არსებობს სხვა უკიდურესობაც ყოფითი პრობლემებისადმი ადამიანების დამოკიდებულებაში, როცა მხოლოდ ფულითა და საგნებით, საჭმელითა და სასმელით, საცხოვრებელი ფართობის კვადრატული მეტრებით იზომება და ფასდება ყველა ამქვეყნიური ღირებულება, საცოლესა და საქმროს ღირსებებიც კი. ოჯახური ცხოვრების ამ სფეროში გონივრული, ადამიანური, ზნეობრივად გამართლებული საზომების მონახვა იმ ურთულეს პრობლემათაგანია, რომელთა გადაწყვეტაზე საუკუნეთა მანძილზე მუშაობენ მეცნიერები, მოაზროვნეები, ეკონომისტები და მორალისტები. ბუნებრივია, რომ ჩვენ საშუალება არ გვექნება წიგნის ამ თავისთვის დათმობილ ნაწილში ჩავწვდეთ საოჯახო ეკონომიკის მთელ სირთულეს. მაგრამ, ჩვენთვის აუცილებელია გავერკვეთ, როგორია მისი მართვის ძირითადი მექანიზმები, როგორ უნდა გავუძღვეთ გონივრულად ჩვენს პატარა მეურნეობას.

ახალდაქორწინებულთა ერთობლივი ცხოვრება იწყება ქორწილიდან. ამ ზეიმზე უკვე ცხადად იჩენს თავს ორი ოჯახის მატერიალური მოთხოვნილებანი და შესაძლებლობები. აი, საცოლეს ოჯახის წევრები — გამალებული დარბიან მაღაზიებში, საკომისიოებსა და ატელიეებში; საქორწინო კაბისთვის რაღაც განსაკუთრებულ ქსოვილს ეძებენ. ჰკითხეთ ამ დროს ქალიშვილის დედას, რას ეძებს და რითი იწუნებს იპას, რაც დახლზე დევს ან, რასაც ატელიეში სთავაზობენ.

— ასეთი ყველას შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ კი გვინდა უფრო უკეთესი, ვიდრე მეზობლებსა და ნაცნობებს აქვთ.

მწობლები საქორწინო სუფრაზე რესტორანში იწვევდნენ ათეულობით და ზოგიერთ რეგიონში ასეულობით სტუმარს — ნათესავს, მეგობარს, ნაცნობს და ზოგჯერ ისეთებსაც, რომლებსაც აქამდე თითქმის არც კი ესალმებოდნენ ან საერთოდ არავითარი ნაცნობობა არ ჰქონიათ მათთან. რატომ აკეთებდნენ ამას? ერთნი იმისთვის, რომ ბევრი ადამიანისთვის გაეზიარებინათ თავისი სიხარული.

როგორც ცნობილია, გაზიარებული სიხარული მატულობს, გაზიარებული მწუხარება კი კლებულობს. სხვები ბერავდნენ მოვლენებს, რათა თავისი ქონებრივი შესაძლებლობების, თავისი ვითომ და ფართო ბუნების და დიდი გაქანების დემონსტრირება მოეხდინათ („დაენურავენ იფიქრებს, რომ ჩვენ საკუთარი შვილისთვის ფული გვეხანება.“)

ეს ქალაქად. სოფელს თავისი კრიტერიუმები აქვს იმისა თუ როგორ გადაიხადონ რიგიანი ქორწილი. ზეიმის მასშტაბები და ხარჯების მოტივი ორივეგან ერთნაირია: მინიმუმ — სხვებზე ნაკლები არ უნდა გამოჩნდეთ, მაქსიმუმ — სხვებს უნდა ვაჯობოთ.

ყოველივე ამაში, როგორც წყლის წვეთში, ასახულია იმ გრძნობების, მისწრაფებების, სურვილების რთული სპექტრი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ოჯახის წევრები თავისი მატერიალური დამოკიდებულებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა დაუეგმვისას.

მიზნები და საშუალებანი. ეს ფუძემდებელი ცნებები მატერიალურ სფეროშიც განსაზღვრავენ ჩვენს წარმატებასა თუ მარცხს, ჩვენი სულისა და სხეულის, მთელი ჩვენი ოჯახის კეთილდღეობის შენარჩუნებასა თუ დარღვევას.

ერთობლივი მეურნეობის მიზანს ბავშვიც აგიხსნით: ის საჭიროა შიმშილისა და წყურვილის მოსაკლავად, იმისათვის, რომ არ ვიაროთ შიშველ-ტიტველმა, ვიყოთ თბილად და მოხერხებულად, შეძლებისდაგვარად მყუდროდ და ლამაზად, რომ კარგ პირობებში გავზარდოთ და აღვზარდოთ შთამომავლობა, აღვიდგინოთ ძალ-ღონე და ჯანრთელობა ალალ-მართალი შრომისათვის. აქ ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს უწოდებენ ვიტალურს, ანუ სასიცოცხლოს ლათინური სიტყვიდან „ვიტა“ (სიცოცხლე), სხვანაირად მათ კიდევ უწოდებენ ბუნებრივს. მათი დაკმაყოფილების საშუალებანი და გაფართოების მასშტაბები კი შეიძლება იყოს გონივრული და არაგონივრული, ხელოვნური და გაუკულმართებულიც კი, გამოწვეული არა საარსებო საჭიროებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პატივმოყვარული მოსაზრებებით, რომლებიც ასახულია გამონათქვამებში: „ისე, როგორც სხვები აკეთებენ“, „სხვებს არ ჩამოვრჩეთ“, „სხვებს ვაჯობოთ“ — და ა. შ.

შიმშილს ვიკმაყოფილებთ უბრალო საკვებით, რომლის მოსამზადებლად განსაკუთრებით დახელოვნება საჭირო არ არის, ის არ მოითხოვს რთულ და ძვირად ღირებულ სერვირებას. მადა უკვე, სრულიად სხვა საქმეა: ის მოითხოვს წესრიგს, ხელოვნებას, მრავალფეროვნებას. არსებობს კიდევ გურმანიზმი, ანუ განსაკუთრებული მიდრეკილება ჭამისადმი. ამ დროს ჭამა ადის კულტის რანგში, ყვე-

ლა სხვა სურვილი მას ემორჩილება. ზოგჯერ ასეთი გატაცება იქცევა ავადმყოფობად — ღორმუცელობად, რასაც მოჰყვება, როგორც ფიზიკური პროცესების, ისე მორალური განწყობების სრული დარღვევა. ესეც თავისებური ნარკომანიაა. იყო შემთხვევები, როცა ასე „იკმეობდა“ მთელი სიმდიდრე.

სმის შესახებაც იგივე ითქმის. ბუნებრივი წყურვილის დაკმაყოლება სრულიად მარტივად შეიძლება; წყაროს ნაკადისთვის შეშვერილი პეშვი, აი ჭურჭელიც და სიამოვნებაც. სოფლად წყარო, ჭა დოქი და ფინჯანი. ქალაქში ჭიქა და წყალგაყვანილობა. შემდეგ ჩაიდანი და ფერის დაყენება: ჩაის ან ბალახეულისგან. ან შინაური ღვინო, წვენები... შემდეგ ყველაფერი ისეა, როგორც საჭმელის შემთხვევაში. იზრდება მოთხოვნილებები და მათთან ერთად ხარჯებიც: ათასგვარი ჩაი, ყავა, შუშხუნა და შეფერილი სასმელები, პრესტიჟული ლიმონათები, „კოლები“ და ტონიკები. შემდეგ არაბუნებრივი, ცუდ მაგალითზე აღმოცენებული მოთხოვნილებები მსუბუქი ან, პირიქით, მაგარი, თუმცა ხელოვნური გზით მიღებული სასმელებისადმი, რომლებიც ორგანიზმს წამლავენ, გონებისა და პიროვნების დარღვევას იწვევენ.

ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. აქაც იგივე სურათია: შექმნილმა ოდესღაც, სიცივის, გაჭრისა და გაკაწვრისაგან სხეულის უვნებელყოფის, ქარისა და მზისაგან მისი დაცვის მიზნით და, ამდენად, ნამდვილად ბუნებრივმა, მან ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად შეიძინა დამატებითი, ხელოვნური მნიშვნელობა; მნიშვნელობა ნიშნისა, სიმბოლოსი, რომელიც გვიჩვენებს რომელ გვარს, ტომს მიეკუთვნება ადამიანი. დროთა განმავლობაში ის სულ უფრო და უფრო მეტად იქცა თავისებურ ხილულ ანკეტად, რომელიც გვიჩვენებს, ვინ არის ეს ადამიანი, საიდან არის, რომელი ქვეყნიდან, რა ეროვნებისაა, მდიდარია თუ ღარიბი, გარდა ამისა, იგი გვიჩვენებს, როგორ არის ადამიანი აღზრდილი, როგორი გემოვნება აქვს, ემორჩილება საერთო წესებს თუ თავის ნებაზე მოქმედებს. მოკლედ „ტანსაცმლის მიხედვით ხვდებიან“... დღემდე მოქმედებს ეს პრინციპი და ეს ბუნებრივიცაა.

ტანსაცმელი ზოგისთვის იქცევა ყველაფრის შთანმთქმელ ენებად, თვითდამკვიდრების საშუალებად ისევე, როგორც სხვა საყოფაცხოვრებო საგნები: სახლი, ჭურჭელ-ავეჯი, სატრანსპორტო საშუალებანი, ხელოვნების ქმნილებანი, ინფორმაციის გადაცემის საშუალებანი, მხატვრული ნაწარმოებები... დიდი ხანია აღმოცენდა და დღესაც არსებობს ნივთთა სამყაროს მრავალმნიშვნელოვნება. ზოგჯერ არსებობის საშუალებანი — ნივთები ნაცვლად იმისა, რომ კუთვნილი ადგილი დაიკავონ, იქცევიან მიზნად.

ასეთი ტენდენცია დამკვიდრდა ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა კლანებად, ჯგუფებად, კლასებად დაყოფასთან ერთად. თვითონ სიტყვები „მქონენი“ და „უქონელნი“ გულისხმობენ ამ ძირითად განსხვავებას ადამიანებს შორის, რომლებიც, სხვა მხრივ, არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. უპირატესობის მატერიალური გამოხატულება შეიძლება იყოს ყველაზე მრავალფეროვანი და ერთმანეთთან შეუფარდებელი: პოლინეზიელი მდიდრების რაღაც განსაკუთრებული ნიჟარებიდან — დიდი მოგოლების საგანძურამდე, რომლებიც იზნიქებოდნენ ოქროსა და ძვირფასი თვლების სიმძიმისგან; მდიდარი კამჩადალის კვამლიანი, მაგრამ მელიის ტყავებით მორთული კარავიდან — ევროპელ მეუფეთა მდიდრულ სასახლეებამდე. ერთი ტომის, ერთი ერის შიგნითაც ყოველთვის იყო გრადაციები, სიმდიდრისა და სიღატაკის განსხვავებული საფეხურები.

ყველა ხალხთან თანდათანობით დგინდებოდა მდიდართა ძალაუფლება. აქედან მომდინარეობს მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება საგნებზე, როგორც სოციალური უპირატესობისა და წარმატებულობის, ძლიერებისა და ძალაუფლების ხილულ ნიშნებზე. მრავალი წლების მანძილზე ამგვარი შეხედულების დაძლევას ვერ ახერხებდნენ ვერც წინასწარმეტყველები, ვერც ფილოსოფოსები, ვერც პოეტები, რომლებიც დაუღალავად ებრძოდნენ ადამიანთა მტრულ ბანაკებად გამთიშველ ამ შეურყეველ ციხე-სიმაგრეს.

გავიხსენოთ რუსეთის საზოგადოების რეაქცია ლევ ტოლსტოის მოწოდებასა და მცდელობაზე, დაენგრიათ ქონებრივი ბარიერები.. რა გააკეთა გრაფმა განსაკუთრებული? დაიწყო ხვნა, იცვამდა უბრალო სელის ტანსაცმელს, ეძინა მაგარ საწოლზე, დადიოდა ფეხშიშველი, ან იცვამდა თავის მიერ შეკერილ ჩექმებს, ჭამდა უბრალო საჭმელს და ქადაგებდა, რომ ცხოვრების ყველაზე ჯანსაღი წესი, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად არის ის, რომლითაც ცხოვრობს მშრომელი ადამიანი — გლეხი. რა აურზაური გამოიწვია მდიდრებში სახელგანთქმული მწერლის ამ „ახირებამ“! თუმცა არავის არ აღელვებდა და შოკში არ აგდებდა ის, რომ მილიონობით ადამიანი ცხოვრობდა სწორედ ასე. სხვადასხვა სოციალურ ფენათა ცხოვრების წესის აღრევა კი სრულიად დაუშვებლად მიიჩნიეს. ეს ხომ ნამდვილი რევოლუცია იქნებოდა!

ახლა კი ვიცით, რომ მწერალი ნამდვილად იღვწოდა ცხოვრების ჯანმრთელი წესისა და რეჟიმისთვის. მაგრამ, ჯანმრთელობის ცხებაც ხომ სოციალურად მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ერთია, როცა ჯანმრთელობა მოპოვებულია და შენარჩუნებულია საკუთარი შრომითა და პირადი ძალისხმევით და სულ სხვაა ექიმის ჩარევით, მოსამსახურეთაგან მოვლით, მინერალურ წყლებზე მკურნალობით და

ხსვა, ასევე ქონებრივი უპირატესობის საფუძველზე მოპოვებულ საშუალებათა გამოყენებით მიღწეული ჯანმრთელობა. გამოდის, რომ კლასობრივი ცრურწმენებით გაჟღენთილი ადამიანი მზად არის ზურგი შეაქციოს ყველაფერს, რაც მისთვის სასარგებლოა, ოღონდ არ დაემსგავსოს თავის თანამოძმეს, რომელიც სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე დგას;

ამ პოზიციიდან გასაგებია რუსეთის ზედა ფენების მრისხანე ბობოქრობა (თვითონ ლევ ტოლსტოის ოჯახის წევრებსაც კი—მაგალითად მისი მეუღლის): თუ მდიდრების ყოველდღიური ცხოვრება იქნება ისეთივე, როგორიც ღარიბებისა, მაშინ რაღა საჭიროა მთელი მათი უპირატესობა — მთელი ეს წოდებები, ჩინები, ფული და ძვირფასეულობა? ამათ გარეშე კი უაზრობაა საკუთარი ძალა-უფლების დამტკიცება მათ მიმართ, ვინც ყოველთვის ითვლებოდა მუშა-საქონლად.

აი, როგორ რევოლუციურ შედეგებს ხედავდა არისტოკრატია ისეთ გარეგნულად უბრალო აქტში, როგორიცაა დიდი ადამიანის ჭამა და ჩაცმულობა.

ნივთი წარჩინების ნიშანია. ამ თვისებას ის, ზოგჯერ, ახლაც ინარჩუნებს და წამლავს ნათესაურ, მეგობრულ ამხანაგურ დამოკიდებულებებს. ამავე დროს, ნივთები გვაძლევენ საშუალებას გამოვაცალინოთ ჩვენი პროფესიული, მხატვრული ფანტაზია, ჩვენი მისწრაფება ცხოვრების სრულყოფისკენ, კომფორტისა და სილამაზისკენ.

ადამიანის ისტორიული განვითარება მატერიალურ მოთხოვნილებათა სფეროში მიდის ბუნებრივი, უბრალო, ჯანსაღი ფორმებიდან სულ უფრო გართულებული, ბევრის მხრივ ხელოვნურისკენ; განვითარებულ ქვეყნებში აუცილებელი პროდუქტებისა და ნივთებისგან უფრო და უფრო შორს მიდიან მდიდრული და პრესტიჟული „ნიშნის“ ფუნქციის მქონე ნივთებისაკენ. ყოველივე ეს პირდაპირ კავშირშია ადამიანის, როგორც უმთავრესად ბიოლოგიური არსების გარდაქმნასთან სოციალურ არსებად, რომლისთვისაც საზოგადოების კანონები იქცევა ძირითად კანონებად.

აი როგორ აღიქვამდნენ მოთხოვნილებათა ამ ევოლუციას ფილოსოფოსი განმანათლებლები: მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანი თვითონ ბუნების მიერ ისეა შექმნილი, რომ არ შეუძლია შეჩერება თავის საქმიანობაში, ცნობისმოყვარეობაში, სიახლისკენ სწრაფვაში. ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ ის, მალე იძულებული ხდება შექმნას თავისთვის სრულიად ახალი მოთხოვნილებები, ან უფრო სწორედ, მისი წარმოსახვა ძველ მოთხოვნილებებს ხვეწავს და ახალ სახეს აძლევს. გარდაუვალია „ბუნებრივი

მოთხოვნილებების“ შეცვლა ისეთი მოთხოვნილებებით, რომლებსაც უწოდებენ პირობით ან კვაზი მოთხოვნილებებს: მათი დაკმაყოფილება ისევე აუცილებელია ჩვენი ბედნიერებისათვის, როგორც ბუნებრივი მოთხოვნილებებისა.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ აღმოაჩინა პიროვნების მოთხოვნილებების მჭიდრო კავშირი საზოგადოებრივ განვითარებასთან, პირველ რიგში, საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან. მართლაც, ჩვენ შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ისეთი ნივთებისა და მომსახურების მოთხოვნილება, რისი გაკეთებაც და შესრულებაც ამ დროს შეუძლია ხალხს. მაგალითად, რა აზრი ექნებოდა იმას, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს ჰქონოდათ ცხელი წვნიანის, მოხარშული ბოსტნეულის მოთხოვნილება, როცა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ცეცხლგამძლე მასალა, რომელშიაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვაგვარი საჭმლის მოხარშვა. ეჭვს გარეშეა ისინი ასეთ მოთხოვნილებას არც განიცდიდნენ. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს მოთხოვნილებები აღმოცენდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს ახალი მასალები და გაჩნდა ჭურჭლის დამზადების ხელოვნება.

ახლა ძნელია იმის განსაზღვრა თუ რა უფრო ადრე ჩნდებოდ: მოთხოვნილება ნივთებზე თუ მათი წარმოება, რომელიც ხშირად ახდენდა მოთხოვნილების „პროვიცირებას“. მაგალითისთვის ავიღოთ უმეტესობისთვის აუცილებლობად ქცეული ისეთი ულტრა თანამედროვე საგნები, როგორიცაა რადიომიმღები, ტელევიზორი და ტელეფონი. მათი დანიშნულებაა დააკმაყოფილონ ჩვენი ბუნებრივი მისწრაფება ურთიერთობისკენ, ახალი ინფორმაციის, ახალი შთაბეჭდილებების მიღებისკენ, საინტერესო სანახაობათა და გართობისკენ. მაგრამ, ახლანდელი ბებიებისა და პაპებისგან, რომელს შეეძლო წარმოედგინა, რომ მიიღებდნენ სიახლისადმი თავისი მარადიული სწრაფვის დაკმაყოფილების, სწორედ, ასეთ საშუალებებს? ვინ მოუწოდებდა მეცნიერებს: შეჰქმენით ჩვენთვის ასეთი აპარატები, მათ გარეშე ჩვენს სიცოცხლეს ფასი არ აქვსო?

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ცივილიზაციის ამ სიკეთეზე ხელი მიუწვდებოდა ადამიანთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობას. ეს აპარატები ითვლებოდა სოციალური წარმატებულობის სიმბოლოდ. ახლა ისინი ჩვენი ყოფის ჩვეულებრივი ელემენტებია. ჩვენს ქვეყანაში ოჯახების 90%-ს აქვს ტელევიზორი და კიდევ უფრო მეტს—რაუიომიმღები. მხოლოდ ტელეფონი ჩამორჩება ჯერ კიდევ, მაგრამ ალბათ შორს არ არის, ჯერ ქალაქების და შემდგომ სოფლების, მაქსიმალური ტელეფონიზაციის დრო. შეიძლება კავშირის ახალი საშუალებებიც გამოიგონონ. ვინ იცის?

მაგრამ, აბა ვსინჯოთ და კინოლენტის მსგავსად უკან დავაბრუნოთ ამ სრულიად მატერიალიზირებული სურვილების აღმოცენების და მათი დაკმაყოფილების რთული გზების დადგენის პროცესი.

ჯერ სწავლულთა მარად მაძიებელი გონება უნდა გამსჭვალულიყო იმის მოთხოვნილებით, რომ აღმოეჩინა მანძილზე ინფორმაციის გადაცემის საშუალებანი. როცა ამ მიმართულებით მიღწეული იქნა თვალსაჩინო წარმატება, შეიქნა საცდელი და მცირესერიული წარმოება, რამდენადაც მსხვილ მასშტაბური წარმოებისთვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი წანამძღვრები და პირობები: არ იყო არც სამრეწველო შესაძლებლობანი, არც ბაზრის მოთხოვნები. საჭირო გახდა მომპოვებელი წარმოების განვითარება და შეიარაღება ახალი მოწყობილობით, ყველა თანმხლები წარმოებისთვის მეცხიერულ-ტექნიკური მონაცემების დამუშავება და, ბუნებრივია, მთელი ამ მრავალსაფეხურიანი მექანიზმის მართვის დონის ამაღლება.

ასეთი რთული ეკონომიკური, საწარმოო და მეცნიერული ამოცანების გადაწყვეტამ მოითხოვა საკმარისად კარგად მომზადებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების დიდი რაოდენობა. წარმოების ვერცერთი დარგი ვერ შესძლებდა ასეთი უეცარი ნახტომის გაკეთებას თუ მისი მუშაკების მრავალმილიონიან არმიას არ ექნებოდა საშუალო განათლება. მხოლოდ საყოველთაო საშუალო განათლებისა და მზარდი სპეციალური განათლების (საშუალო და უმაღლესი) საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროგრესი თანამედროვე მეურნეობის ნებისმიერ სფეროში.

როგორც ვხედავთ, საჭირო იყო ახალგაზრდობისთვის შეეკეთებინა სპეციალური განათლების მიღების ორიენტაცია, გაგვეღვიძებინა მასში, სწორედ, ამ სპეციალობით მუშაობის მოთხოვნილება. აღგვეძრა მატერიალურ ღირებულებათა წარმოების სულიერი მოთხოვნილება, იმ მატერიალურ ღირებულებათა, რომლებსაც უნდა დაეკმაყოფილებინა მილიონობით ჩვენი თანამემამულის სულიერი მოთხოვნილებანი... აი როგორი წრებრუნვა ხორციელდება ჩვეულებრივ ყოველთვის ჩვენი მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა განვითარებაში. დაუკვირდით რამდენჯერ ხდება, რომ აზრი ხორციელდება საგანში და, პირიქით, საგანი სტიმულს აძლევს ახალი იდეის აღმოცენებას. **ყველაფერს, რასაც ჩვენ ვქმნით და მოვიხმართ, მარქსისტები უწოდებენ ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან ადამიანის „გასაგნობრივებულ დამოკიდებულებებს“.**

გამოვდივართ რა ამგვარი შეხედულებიდან, ჩვენ საოჯახო ეკონომიკაზე საუბარი დავიწყეთ დამოკიდებულებათა გარკვევით. ამ სფეროშიც, მთელ ჩვენს ერცელ ქვეყანაში მოქმედი კანონები და

ოჯახის საცხოვრებელი ფართობის ნამცეცა პლაცდარმზე მოქმედი კანონები მსგავსი სახით ვლინდებიან. ჩვენს საზოგადოებაში მოქმედი ერთერთი კანონი არის — მოთხოვნილებათა მუდმივი ზრდა-ამაღლებისა და შესაბამისად წარმოების მუდმივი ზრდა-განვითარების კანონი. მაგრამ, განა შესაძლებელია ადამიანის ყოველგვარი ფანტაზიის, ოცნებების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თუ მათ არა აქვთ არავითარი ზომა და საზღვარი? ვინ და როგორ შესძლებს მათ რეგულირებას?

პირველყოფილ ადამიანებთან ისევე, როგორც ცხოველებთან, სურვილების რეგულატორად გამოდიოდა ბუნება; ნუ აიღებ იმაზე მეტს, რაც საჭიროა სიცოცხლის შენარჩუნებისთვის, თორემ შემდეგ რაც აუცილებელია იმასაც ვეღარ მიიღებ. ზედმეტს შეჭამ—ვეღარ დაეწევი ცხოველს, ან თვითონ ვერ გაექცევი მას. იშიმშილებ — იგივე მოხდება. საკმარისად არ მოიმარაგებ საჭმელს — დაიღუპები უამინდობისა და მოუსავლიანობის დროს. ყველა ცხოველი იმარაგებს საკვებს: ზოგი კანქვეშ ქონის ფენებს ილაგებს, ზოგი სოროში, ან ფიქებში ინახავს მარაგს და ა. შ. ვიდრე დოვლათის განაწილებაში გადამწყვეტი იყო ადამიანის საკუთარი ძალები, მისი მოხერხებულობა, მოსაზრებულობა ხალხი ცხოვრობდა, როგორც იტყვიან, ეკოლოგიური სამართლიანობისა და მიზანშეწონილობის კანონების მიხედვით. ეს კანონები ფიქსირდებოდნენ მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელ ზნეობრივ პრინციპებში. მაგალითად, იმ ადგილების მცხოვრებთათვის, სადაც ბუნება უხვი და ნაყოფიერი იყო, სადაც შეიძლებოდა საკვების მოპოვება განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, არ იყო განსაკუთრებული მომჭირნეობის გამოჩენის საჭიროება, არ იყო რთული მეურნეობის წარმოქმნის, სპეციალური ავეჯ-ჭურჭლეულის დამუშავების, კაპიტალური შენობების აგების აუცილებლობა. ასეთ რეგიონებში უფრო ნელა ვითარდებოდა ნივთებისა და ტექნიკური აღჭურვილობის წარმოება, რის მწვავე აუცილებლობასაც ეანიცდიან მკაცრი კლიმატური პირობების ქვეყნებში. ჩრდილოეთის ზონის ხალხები, განსაკუთრებით იქ, სადაც მიწის ყოველი გოჯი მორწყულია მიწათმოქმედის ოფლითა და სისხლით, მოწეული მოსავლისადმი დამოკიდებულება ბუნებრივია სხვანაირი იყო, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ფინიკი და ბანანი ხიდან პირდაპირ პირში უცვიოდათ. ამიტომაცაა, რომ ჩრდილოეთის ხალხი უფრო მომჭირნეა, ანგარიშიანია, უყვარს მომარაგება და უფრო მარჯვე და ინიციატივიანიცაა არსებობის საშუალებათა მოპოვებაში.

მატერიალურ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულება განისაზღვრებოდა, აგრეთვე, მოსახლეობის სიმჭიდროვით, საცხოვრებელი ფართობის სიდიდით. ტუნდრაში, ტაიგაში, უდაბნოში, ძნელად მი-

სადგომ მთიან ადგილებში, მიყრუებულ სოფლებში, სადაც შეხვედრა უცხო ადამიანთან ბედნიერი (ან სახიფათო) იშვიათობა იყო, სტუმარი წმიდათაწმიდათ ითვლებოდა, მისთვის ყველაფერი იყო: სითბო, პატივი, საჭმლის საუკეთესო ნაჭერი, ძვირფასი საჩუქარი.

ქალაქების აღმოცენებასთან ერთად თავი იჩინა სხვაგვარმა დამოკიდებულებამ. აქ, როგორც იტყვიან, ყველას მისალმებას ვერ აუხვალ და ვინც კარზე მოგადგება, ყველას ვერ ცაუმასპინძლდები.

თქვენ უკვე იცით იმის შესახებ, რომ ყოველ ხალხს აქვს თავისი ყოფითი ნაციონალური თავისებურებანი: ზოგი ერი გამოირჩევა გულუხვობით და სტუმართმოყვარეობით, სხვები უფრო ხელმჭერილნი არიან. ზოგნი ხალისით დასცინიან თავის სიძუნწეს, როგორც მაგალითად, ფინელები და ბულგარეთის ქ. გაბროვოს მცხოვრებლები. მატერიალურ ფასეულობათა მიმართ ტრადიციული დამოკიდებულება თავს იჩენს მთელი ცხოვრების ყაიდაში და შეუძლებელია გავლენას არ ახდენდეს მოზარდი თაობის ხასიათზე, თუნდაც ეს თაობა სკოლაში, წიგნებში, კინოში ხვდებოდეს სრულიად სხვაგვარ შეხედულებებს ამ საკითხზე. ხშირად, ქალაქურ ოჯახში გამეფებულია სოფლის წესრიგი, თუ ოჯახის წინაპრები დიდი ხანი არაა, რაც სოფლიდან გადმოსახლდნენ. აღმოსავლური ტრადიციები შენარჩუნებულია იმ ოჯახებში, რომლებიც დიდი ხანია საცხოვრებლად გადმოვიდნენ დასავლეთის რესპუბლიკებში და ა. შ.

თუ გავაანალიზებთ სხვადასხვა ხალხების ქცევასა და ცნობიერებაში ფესვგადგმულ, შედარებით უფრო მეტად გავრცელებულ პრინციპებს, შეიძლება მათში ბევრი საერთოც აღმოვაჩინოთ. მორალური მცნებები, რომლებიც გვიქადაგებენ, მოვიპოვოთ „პური ჩვენი არსობისა შრომითა და ოფლითა ჩვენითა“, „არა მოვიპაროთ“, „არა კაც ვკლათ“, „არა შეგვშურდეს არამი სიმდიდრე“, „გვიყვარდეს და დავეხმაროთ მოყვასსა ჩვენსა“ — შეიძლება შეგვხვდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ხალხების ბევრ ზღაპარში, მითში, სიმღერაში. სიხარბე და სიმდიდრით ტრაბახი— ყველაზე საშინელი მანკიერებანია, რომლებიც ყოველთვის იკიცხება და ისჯება ზღაპრებში. მდიდარი, ბევრის მქონე — ყველა ხალხის წარმოდგენაში ყოველთვის სულელია, უარესია იმაზე, ვინც მშრომელია, მარჯვეა, მაგრამ ღარიბია, თუმცა, სწორედ, მდიდარი გახდა ათასეული წლების მანძილზე ცხოვრების ბატონ-პატრონი. მარჯვე და, გაბრჯე მშრომელი ბუნების თანაავტორია, მისი მესაიდუმლეა, მას ემსახურება მზე, ქარი, წყალი, ცხოველები და ფრინველები.

მშრომელმა ადამიანმა ყოველთვის იცის პროდუქტის, საქონლის ჭეშმარიტი ღირებულება, იცის რა სულიერი და ფიზიკური ძალები

იხარჯება მის შექმნაზე, რამდენადაა მათზე დამოკიდებული ადამიანის კეთილდღეობა.

ძველად, მაგალითად, გლეხის ოჯახში ჭამას უყურებდნენ როგორც წმინდა საქმეს, ტრაპეზს წინ უსწრებდა საზეიმო რიტუალი. რამდენი საალერსო სიტყვით არის აღნიშნული სხვადასხვა ენაში პური, მეწველი ძროხა, წიწილებიანი კრუხი. უამრავ ლექსსა და სიმღერას უძღვნის ქართველი ხალხი ხარ-კამეჩსა და ლურჯა ცხენს, ყანასა და ვაზს... გადმოცემის მიხედვით წმინდა ნინომ ვაზისაგან გაკეთებული ჯვარით გაავრცელა ქრისტიანობა საქართველოში. გავიხსენოთ როგორი სიტყვებით მიმართავს ვაზს მახარაშვილი ფილმში— „ჯარისკაცის მამა“ და იმ მძიმე წუთებში რა განცდებს აღძრავს მებრძოლებში. პურის გაფუჭება ან გადაგდება ცოდვად ითვლებოდა. ასევე მზრუნველობით ექცეოდა მშრომელი კაცი თავის სახლს, ავეჯ-მოწყობილობას. არაფერს არ აგდებდნენ, არ ამტვრევდნენ, ყველაფერს უფრთხილდებოდნენ. თუმცა... ხალხი საწინააღმდეგო ქეშმარიტებასაც აღიარებდა: „არა მხოლოდ პურითა ერთითა ცოცხალ არს ადამიანი.“ და საერთო უბედობის ჟამს არ ინანებდნენ არც ქონებას, არც საკვებს. მძიმე შრომით დაგროვილი მთელი ავლადიდება არაერთხელ მსხვერპლად შეუწირავთ თავისუფლებისთვის, პატიოსნებისა და ღირსებისთვის, იდეის ერთგულებისათვის. ამის მრავალრიცხოვანი მაგალითები მოიძებნება ნებისმიერი ხალხის ისტორიაში.

გარდა მაღალი სულიერი მოთხოვნილებებისა, ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ უბრალო ცხოვრებისეული სიხარულიც, რომელსაც გვანიჭებს შრომა და მისი შედეგები, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობა. ხშირად, ბუნებრივი, მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საზეიმო ფორმას იღებდა, ხელოვნების ფაქტად იქცეოდა. მაგალითად, ხალხის ყოველ შრომით საქმიანობას ახლდა თამაში, ზეიმი. იყო ეს დაწყება თუ დამთავრება თესვის, მკის, თიბვისა, ანდა ახალი სახლის მშენებლობა, საქონლის დაკვლა თუ პირიქით წაბლა ძროხის შეძენა. ყოველგვარ ზეიმს ჰქონდა თავისი „ნივთიერი“ და „კვებითი“ განსახიერება.

ცნობილია, რომ ხელოვნება საერთოდ აღმოცენდა და განვითარდა შრომითსა და სამეურნეო საფუძველზე. მოუსმინეთ თქვენი ხალხის სიმღერებს, მათში ხშირად გვხვდება მინდვრის სამუშაოების ჩამოთვლა, საუბარი შინაურ ცხოველებთან, მინდორთან და ტყესთან. დაუკვირდით ნაციონალურ ცეკვებს და შენიშნავთ რამდენად იმეორებენ ისინი ბევრ სამუშაო მოძრაობასა და რიტმს: ნადირობისას და ხვნა-თესვისას, რთვისა და კერვისას. პირველი მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები იყვნენ საცხოვრებელი სახლებისა და მთელი მისი მოწყობილობის გამომგონებლები, მშენებლები და მომ-

ჩუქურთმებლები, რომელთა სახელი ისტორიას არც კი შემოუნახავს.

ასე, რომ სულიერი საზრდოს, ამ არამატერიალური ფასეულობების მოთხოვნილება ისევე თანშობილი და მუდმივია ადამიანში, როგორც სხეულებრივი შიმშილის დაკმაყოფილების მოთხოვნილება. გარკვეული დროის განმავლობაში მათ არავინ არ გამოჰყოფდა ერთმანეთისგან ისევე, როგორც განუყოფელი იყო მათი შემოქმედი და მომხმარებელი — უბრალო მშრომელი კაცი.

შრომის თანდათანობითმა მზარდმა დანაწილებამ სხვადასხვა მხარეს დააყენა შემოქმედი და მისი პროდუქცია, ყოფა და ხელოვნება, გამოცდილება და მეცნიერება. ნებისმიერი წარმოება ახლა დაყოფილია უამრავ პროცესად, რომლებშიც ჩართულია ასობით და ათასობით, ზოგჯერ ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი ადამიანი. ამ დაყოფის სიკეთე ეჭვს გარეშეა. მისი შედეგია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში კოლექტიური დახელოვნებისა და შრომის ნაყოფიერების განუზომელი ზრდა. ის, რაც ყველაზე ხელმარჯვე კუსტარის ძალებს აღემატებოდა, მისაწვდომი გახდა არტელის, ფაბრიკის, საქარხნო გაერთიანებისთვის. სამრეწველო წარმოებამ ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა ის საქონელი, რომელიც ოდესღაც ითვლებოდა ფუფუნების საგნებად. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ტელევიზორის მაგალითი, მაგრამ შეიძლება, მაგალითად ავიღოთ ნებისმიერი საოჯახო საგანი, სახლი, ბინა, მათი კეთილმოწყობა, განათება, გათბობა. ისეთი აბაზანის ოთახები როგორიც ქალაქის ჩვეულებრივ ბინებში გვაქვს ახლა, არა ჰქონიათ არამც თუ თავადაზნაურობას, არამედ სამეფო კარზეც კი.

ყველა თანამედროვე სიკეთესა და, აგრეთვე, უზომოდ გაზრდილ მოთხოვნილებებს უნდა ვუმადლოდეთ საზოგადოებრივი წარმოების სამრეწველო ფორმების განვითარებას.

განვითარებული მეურნეობის პირობებში, ბუნებრივია, გაიზარდა საქონელბრუნვის აუცილებელი საშუალების—ფულის მხიშვნელობა. ფულმა გადაფარა, დამალა ის ძალა და ენერგია, რაც იხარჯება ამა თუ იმ პროდუქტისა და საქონლის დამზადებაზე. მან იგი დაიყვანა ნომინალურ, სიმბოლურ ნიშანზე: რომელიღაც ნივთისთვის საჭიროა გარკვეული მოხატულობის რამდენიღაც ქაღალდი. ეს ნიშნები და მათი რაოდენობა შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ადგილის, ქვეყნის, საქონლის დამამზადებელი ფირმის მიხედვით, მაშინ როცა თვითონ საქონელი ერთიდაიგივე იქნება. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ნივთში ყველაზე არსებითმა — მისმა სასიცოცხლო აუცილებლობამ თანდათანობით დაკარგა განმსაზღვრელის მნიშვნელობა — ადამიანების მიერ მისი შეფასებისას. ასე იძენდა სულ უფრო და უფ-

რო დიდ მნიშვნელობას არა იმდენად მატერიალური და სულიერი ფასეულობანი, რამდენადაც მათი საბაზრო ღირებულება.

ფულმა შეცვალა ნატურალური მეურნეობის ხანაში არსებული ადამიანური დამოკიდებულებანი. მისი მსოფლიო ბატონობის დამყარებასთან ერთად მილიონობით ადამიანმა მუშაობა დაიწყო არა გარკვეული ღირებულების შექმნისათვის, რომელიც საჭირო და მნიშვნელოვანია თვითონ შემქმნელისა, ან სხვა ადამიანებისთვის, არამედ იმისათვის, რომ მიიღოს ფულადი ნიშნები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ფული თანდათანობით იქცა ძირითად რეგულატორად, რომელიც აღვიძებს მადას ან აკავებს სხვადასხვაგვარი ქონების დაუფლებისაკენ მისწრაფებას. ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადამიანის ფულიანობა ან უფულობა ყველაზე ნაკლებადაა დაკავშირებული მის პირად შრომით შენატანთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირიქით, ძირითად კაპიტალს ყოველთვის ჰფლობდნენ ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ არც პურის მოყვანა, არც სახლის აშენება, არც ბავშვის სწავლა-აღზრდა, არც ავადმყოფის მკურნალობა.

მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს," „თითოეულისაგან — შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით." ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოთხოვნილებებიც შეიძლება დაკმაყოფილდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ საერთო საქმისთვის.

სოციალიზმის დროს შენარჩუნებულია განსხვავება შრომის ხასიათსა და მის ანაზღაურებაში. აქ კრიტერიუმი არის სახელმწიფოს მიერ მიჩნეული საზოგადოებრივი მნიშვნელობა შრომის მოცემული სახისა და მისი შემსრულებლის ოსტატობის ხარისხი. თუმცა ერთნაირი ხელფასის შემთხვევაშიც მოთხოვნილებათა ხასიათი და მათი დაკმაყოფილების საშუალებანიც ხშირად მკვეთრად განსხვავებულია. აი, სწორედ, აქ ვლინდება პიროვნება მთელი თავისი თანშობილი და აღზრდის პროცესში შეძენილი თვისებებით.

განვიხილოთ ოჯახური ეკონომიკის რამდენიმე ტიპური მაგალითი. პირველ რიგში, შევეხოთ ყველაზე მეტად გავრცელებულ, ხალხური ტრადიციების შესატყვის ოჯახურ მდგომარეობას; მთელი შემოსავალი მიიღება პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომით. მისი მიზანია უზრუნველჰყოს მთელი ოჯახი ყველაფრით, რაც აუცილებელია, რაც საჭიროა ცხოვრებისთვის და მოახდინოს პროფესიული ვაწაფულობის რეალიზაცია. ასეთ ოჯახში ზედმეტ მანეთს არ მისდევენ, მაგრამ არც დამსახურებულ პრემიაზე ამბობენ უარს. სახლს, ყველაფერს, რაც მასში ღირებულია ექცევიან მომჭირნედ, მაგრამ კერპად არ აქცევენ; არ არიან გატაცებული ეფექტური სამშენისე-

ბით, ამჯობინებენ ხანგრძლივი ხმარებისათვის ვარგის, საიმედო ნივთებს, რომლებიც ისევე, როგორც მათი მფლობელები, პირხათლად მოიხდიან ვალს. ასეთი ოჯახის ადამიანები, როგორც წესი, არიან მტკიცე დასაყრდენი, როგორც შრომითი კოლექტივისთვის, ისე ნათესაობისთვის. ისინი შრომობენ, რათა იცხოვრონ ღირსეულად და ცხოვრობენ ღირსეულად, რათა თავისი შრომით ლამაზი გახადონ ცხოვრება.

სწორედ მათ ეყრდნობა ყოველი ერის როგორც მატერიალური, ისე მორალური კეთილდღეობა. ასეთი ოჯახები თითქოს დედამიწაა, საიდანაც ამოდის პურიც, უბრალო გვირილებიც და სხვადასხვაგვარი ეგზოტიკური ყვავილებიც. მანამდე ვიდრე მშრომელთა ეს მასა ბატიოსნების გზას მიჰყვება, ერს ნათელი მომავალი ელის, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს მოცემული დრო. მაგრამ თუ ერის ეს ავანგარდი დაიშალა, შეირყვნა სიხარბით, ანგარებით, მოჩვენებითი ფასეულობების ამაო დევნით, მაშინ მთელი საზოგადოება განწირულია დასაღუპავად.

არის ოჯახური მეურნეობის მართვის სხვა ფორმებიც, რომლებშიც გადახლართულია რთული დამოკიდებულებები საკუთარ შრომასთან და სხვისი შრომის ნაყოფთან. ეს გვხვდება იმ ოჯახებში, რომლის წევრებიც, პირველ რიგში, დაინტერესებული არიან თავისი შემოქმედებითი ნიჭის რეალიზაციით. სახლს და მასთან დაკავშირებულ ყველა საზრუნავს აქვს დაქვემდებარებული მნიშვნელობა. ისინი მხოლოდ საშუალებებია დიდი ცხოვრებისეული გეგმების განხორციელებისთვის, ოჯახური მეურნეობა მიჰყავთ ამ მიზნის შესატყვისად. თუ საქმე მოითხოვს თავშეკავებულობას, თუნდაც ასკეტიზმს — ინებეთ ისინი ამისთვისაც მზად არიან. საცხოვრებლად კარავი, საჭმელად კონსერვები, ბულბულის გალობის ხაცვლად კოღოს ბზუილი — მათ არაფერი არ ეძნელებათ. ასევე არ ეუხერხულებათ საშტორმო ტანსაცმლიდან მოდურ კოსტუმზე გადასვლა რაიმე ზეიმისთვის, საზოგადოებრივი შეკრებისთვის. მათში განსაკუთრებულ ემოციებს არ იწვევს სასტუმროთა მდიდარი აპარტამენტები, მყუდრო კაბინეტები და საწოლში ყავაც კი. ყველაფერი შესაძლებელი და მისაღებია, რამდენადაც მთავარი არ არის. ოღონდაც ხელს ნუ შეუშლით, საქმიდან ნუ მოსწყვეტთ.

ოჯახური მდგომარეობის მესამე ტიპი გვაქვს, როცა სურთ იცხოვრონ გაუჭირვებლად, თავისი სიამოვნებისთვის. მაშასადამე, სამუშაოც და ოჯახური პირობებიც შეფასდება ამ სკალის მიხედვით. ყველაფერი, რასაც მოაქვს სარგებლობა, კეთილმოწყობა, კომფორტი, ერთნაირად მნიშვნელოვანი და სასურველია იქნება ეს წარმატება სამსახურში, ლამაზი ნივთი თუ გემრიელი საჭმელი, საინტერესო

წიგნი თუ მიეზიდველი სპექტაკლი. რა თქმა უნდა შეზღუდვა და სიძნელეები განიცდება მძიმედ, აღიქმება როგორც უბედურება. მათი მოთმენა შეუძლიათ მხოლოდ სწრაფი და სრული კომპენსაციის იმედით (ახალ ადგილზე დანიშვნა, ბინის ან მანქანის მიღება და სხვა).

მეოთხე ტიპის ოჯახურ სიტუაციაში მთავარი მიზანია რაც შეიძლება მეტი ფულისა და ძვირფასი ნივთების დაგროვება, რომ გრძნობდნენ საკუთარ ძალას და უფლებებს, რომ შეეძლოთ შავი დღისთვის რაღაცის გადანახვა, რომ გაჭირვების არ ეშინოდეთ. ამის გულისთვის შეიძლება დაივიწყონ დღეანდელი სურვილები და საჭიროებანი. ანდა კიდეც გაზარდონ ოჯახის ქისა ხშირად არც თუ მთლად პატიოსანი და საკადრისი გვერდითი შემოსავლის ხარჯზე. სამუშაო ფასდება მხოლოდ და მხოლოდ მოგებით, ოჯახის წევრები — საერთო პიუჯეტში თავისი შენატანით, ან დანახარჯით. ამ ეკონომიკაზე შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე მეტად გამბნევია მუდმივი ხელმოჭერილობის მიუხედავად. წლები გადის მომაეალი ხელგაშლილი და მხიარული ცხოვრების მოლოდინში. მაგრამ, სწორედ ეს მოთხოვნილებები თითქოს დაუკმაყოფილებელნი არიან. ხალხი ასეთი გატაცების მქონეს „უძღებს“ ეძახის. რაც არ უნდა ბევრი ჰქონდეს, მაინც ეცოტავება. მათთან ჭეშმარიტ ადამიანურ ღირებულებებს — სიყვარულს, მეგობრობას, ერთმანეთზე ზრუნვას ფასი აქვს დაკარგული. ყველაფერს ფარავს ფული და ნივთები, რომლებიც კერპებადაა ქცეული. სწორედ ასეთ ცხოვრებისეულ დამოკიდებულებებს უწოდებენ მეშჩანობას, რომელიც შეიძლება დახასიათდეს არა გარკვეული ნივთების ფლობით, არამედ მათდამი დამოკიდებულებით. სამწუხაროდ, საერთო კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ კატეგორიის ადამიანთა რიცხვი. თუმცა მათ შესახებ შემდგომში ვილაპარაკებთ.

არსებობს სრულიად საწინააღმდეგო ოჯახური მდგომარეობაც, როცა მთელი მატერიალური ინტერესები მინიმუმამდეა დაყვანილი და არც პატივმოყვარული მისწრაფებები აქვთ. ადამიანებს უნდათ სიცოცხლე გაატარონ წყნარად, მშვიდად, უბრალოდ სიყვარულსა და თანხმობაში, ერთმანეთის მიმართ ყურადღებიანობაში. სამუშაოც და ოჯახური მეურნეობაც აღიქმება, როგორც საშუალება ასეთი დამოუკიდებელი, ღირსეული, პატიოსანი, მაგრამ რამდენადმე ფარიყული არსებობისთვის.

არიან „ბოჰემური“ ოჯახები. ამ დროს სახლში გამუდმებული მხიარულება, ხმაური და ღრიანცელია; აქვთ ძვირფასი წიგნები, მორთულობანი, ყვავილები და სურათები, უხვი სუფრები დღესასწაულებში და მშრალი საჭმელი ჩვეულებრივ დღეებში, აქვთ ყველაზე ეფექტური და უჩვეულო ნივთები.

დაბოლოს, არის ოჯახი, რომელიც სრულიად მოკლებულია რაიმეგვარ საკუთარ შეხედულებას ნივთებსა და ცხოვრებაზე. ამიტომ მის ცხოვრებისეულ პოზიციად, თუ აქ უპრიანია ამ სიტყვის გამოყენება, იქცევა მოდა, იმათი წაბაძვა, ვინც წინ არის, ვინც ჩანს; მნიშვნელობა არა აქვს იმას—თუ რითი მიიღწევა ეს პირველობა და უპირატესობა. ასეთ ოჯახში შრომითი საქმიანობაც და ოჯახური ყოფაც გაჟღენთილია მორიგი კერპისაკენ მარადიული სწრაფვის ციებ-ცხელებით. მოდაშია ფიზიკოსობა? არაფერს დაიშურებენ იმისთვის, რომ ფიზიკოსი გახდნენ, თუნდაც გამოკვეთილი ნიჭი ჰქონდეს ბიოლოგიაში და პირიქით. მოდაშია გაცვეთილი ჯინსები? ყველაზე აუცილებელზე უარს იტყვიან და სხვის ნახმარ ჯინსებში გადაიხდიან დიდ ფულს. მოდაშია გრძელი თმები — გაიზრდიან, შეიცვლება გატაცება — პირწმინდად გაიპარსავენ. ასეთ ფაცი-ფუცში ატარებენ მთელ თავის ცხოვრებას. თუმცა რაში გვჭირდება ასეთი „გარდაქმნების" ნაირსახეობათა ჩამოთვლა, საკმარისია გავიხსენოთ ცხობილი ელოჩკა — ილფის და პეტროვის რომანიდან „თორშეტი სკამი", რომელიც ასეთი ადამიანის სრული განსახიერებაა.

ოჯახური ეკონომიკის ჩამოთვლილი ვარიანტები აბსოლუტურად სუფთა სახით იშვიათად გვხვდება, გაცილებით ხშირია ოჯახისა და მისი ცხოვრებისეულ-ეკონომიკური პოზიციების შერეული ტიპი. უფრო მეტიც, დაწვრილებითი ანალიზის დროს გვიჩნდება შთაბეჭდილება, რომ არის ერთგვარი ასაკობრივი კანონზომიერება იმაში, თუ როგორ მართავენ ადამიანები თავის ოჯახურ საქმეებს. წაბაძვა, რაც დამახასიათებელია, ძირითადად, გარდამავალი ასაკისთვის, უმეტესად გავრცელებულია ქორწინების მცირე სტაჟის მქონე ოჯახებში („მოზარდებში"). ეს ბუნებრივიცაა. საკუთარი სტილი ჯერ არ არის გამომუშავებული, მშობლების სტილის გამეორება კი არ სურთ. ამიტომაც სცდიან არსებობის ხან ერთ, ხან მეორე ვარიანტს.

ბოჰემური ცხოვრების მანერაც ახალგაზრდა ოჯახის „ასაკობრივი ავადმყოფობაა". იმ პერიოდში კი, როცა ადამიანი გარკვეულად დამკვიდრდება უკვე სამსახურშიც და ოჯახშიც, თავს იჩენს ისეთი გუნებ-განწყობილებები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ეპიკურესეული: ადამიანები ყველაფერში ეძიებენ და ჰპოვებენ სიამოვნებას. მოგვიანებით ნელ-ნელა ხდება გადახრა პროფესიული ინტერესებისა და მიღწევებისაკენ, ყოფითი პრობლემები გადადიან მესამე პლანში. როცა იწყება შრომითი ენერგიის დაქვეითება, სულ უფრო და უფრო მეტად სასურველი ხდება სიწყნარე, სულიერი სითბო, მყუდროება. დაბოლოს, როცა ყველა მიწიერ ვნებებს იგემებენ და გამოსცღიან, ზოგიერთებისთვის, განსაკუთრებით ხანდაზმულებისთვის

ცოცხალი სიხარულისა და ურთიერთობების ადგილს იკავებს ნივთები და ძვირფასეულობა. შემთხვევითი არაა, რომ ხელოვნების მოღვაწეთა წარმოდგენაში სიძუნწე მტკიცედაა დაკავშირებული ფიზიკურ ხანდაზმულობასა და სულიერ დაკნინებასთან.

ახალგაზრდობა, მოწიფულობა და ა. შ. — შედარებითი ცნებებია. ამაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ახლა ჩვენთვის მთავარია დავიმახსოვროთ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. თუ ოჯახი ბოლომდე მოდის კარნახით ცხოვრობს ეს იმას ნიშნავს, რომ ის ვეღარ გამოვიდა მოზარდობის მდგომარეობიდან, სულიერად უმწიფარი დარჩა, ძიუხედავად ოჯახის წევრთა ასაკისა. როცა სულ ახლახან აღმოცენებული ოჯახი ყველაფერს კაპიკ-მანეთობით აფასებს, ესე იგი უკვე „დაბრძენებულები" ხვდებიან ერთმანეთს, თუნდაც თითოეულის საპასპორტო ასაკი ოცი წელი იყოს.

საოჯახო ეკონომიკის მართვის ხასიათზე შეიძლება არსებით გავლენას ახდენდეს ადამიანის ბუნების მოქნილობა. ჩამოგვიყალიბდა მაგალითად, სასარგებლო და ღირსეული ჩვეულება მომჭირნე დამოკიდებულებისა საკუთარი და სხვათა შრომის ნაყოფის — საგნებისა და ფულის მიმართ. მაგრამ ჩვენთვისვე შეუმჩნეველად მომჭირნეობა შეიძლება გადაიზარდოს ხელმოჭერილობაში, კრიჟანობაში. და აი უკვე, მაღალი ზნეობრივი თვისება „გადავიდა" მის საწინააღმდეგოში — სერიოზულ მორალურ დეფექტში. სწორედ ასევე, დიდებუხებოვნება, ხელგაშლილობა, უანგარობა შეიძლება გადაიზარდოს მფლანგველობაში, რასაც ადამიანი მიჰყავს მუდმივად ვალში მყოფის დამამცირებელ მდგომარეობამდე.

გამოდის, რომ აუცილებელია გვქონდეს მოლჩალინისებური „ზომიერება და აკურატულობა"?

ზომიერება — სიკეთეა, ზნეობრივი თვისებაა, ამას ადასტურებს ყველა, ვინც კი საზოგადოების განვითარების კანონებს და ადამიანის ბუნებას იცნობს. მაგრამ არა შეზღუდულობის მოლჩალიხისებური გაგებით, რომელიც განსაზღვრულია სოციალური შესაძლებლობებით. მისი ზომიერების ძირითადი მოტივი არის ის, რომ დიდი ჩინი არა აქვს. როცა დიდ ჩინს მიაღწევს, მაშინ კი ძველმანივით მოისვრის ყოველგვარ თავმდაბლობას, ზომიერებას და მთელი გაქანებით იცხოვრებს.

ჭეშმარიტი ზნეობრივი თავშეკავებულობა და ზომიერება გულისხმობს თვითშემოსაზღვრას იმის მიერ, ვისაც აქვს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დიდი შესაძლებლობანი, მაგრამ შეგნებულად ზღუდავს თავის თავს ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, სამართლიანობის მიზნით, ახლობლებსა და საერთოდ ადამიანებზე

ზრუნვის გამო. რადგან, ცნობილია, რომ თუ ჩვენ ვიღებთ ჩვენთვის ზედმეტს, ვიღაცას არ ექნება თავისთვის აუცილებელიც კი.

ვიმეორებთ, პიროვნება, მისი ბუნებრივი და აღზრდით შეძენილი თვისებები განსაზღვრავენ, ბიღლოს და ბოლოს, როგორი იქნება საოჯახო ეკონომიკა მიზანდასახული თუ ქაოტური, მომჭირნე თუ უყაირათო, ხელმოჭერილი თუ ასკეტური, ოჯახის წევრებს ხელს შეუწყობს თავის შესაძლებლობათა გაშლა-განვითარებაში, თუ მატერიალური საზრუნავის ბორკილებს დაადებს მათ. „მინდა, შემიძლია, უნდა (ვალდებული ვარ)" — რა შინაარსსაც ვიგულისხმებთ ჩვენ ამ სიტყვებში, ისეთივე იქნება ჩვენი დამოკიდებულება ძემოსავალ-გასავალთან. რამდენადაც ჩვენი „მინდა" შესატყვისი იქნება „შემიძლია"-სი და „უნდა" — სი, მხოლოდ იმდენად ვიქნებით ჩვენ თვითონ კმაყოფილი ჩვენი საოჯახო მეურნეობის მდგომარეობით.

ᲖᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

„ეკონომიკა უნდა იყოს ეკონომიური". ეს სიტყვები ყოველდღიურად გვესმის რადიოში, ტელევიზიით, ვკითხულობთ გაზეთებში, ამას ეხება საუბარი სახლში, სასადილო მაგიდასთან. ალბათ, დასაწყისში ასეთი მსჯელობა თქვენ უცნაური გეჩვენებოდათ, თითქოს და ამბობდნენ: ცხიმი უნდა იყოს ცხიმიანი. მაგრამ საოჯახო მეურნეობის მართვის ზემოთ მოტანილი „ნაკრები" გვიჩვენებს, რომ აქ მფლანგველობაც შესაძლებელია და კრიჟანგობაც. ერთიც და მეორეც არაეკონომიურია.

როგორ წავიყვანოთ უკეთესად ოჯახის საქმე? აქ აუცილებლად დაგვჭირდება ციფრები. ბუნებრივია, რომ გამოვიყენებთ სტატისტიკურად საშუალო მონაცემებს. ცნობებისათვის მივმართავთ სპეციალისტს, ეკონომიკურ მეცნიერება დოქტორს ბ. ვ. რაკიტსკის, რომელმაც გამოაქვეყნა ჩვენთვის მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნი, სათაურით, „კეთილდღეობის სტრატეგია."

საინტერესოა ვიცოდეთ როგორია საბჭოთა ოჯახის მატერიალური შესაძლებლობები. ეკონომისტი ამბობს, რომ ოჯახის ცხოვრების მატერიალური პირობების ფორმირებისას უმნიშვნელოვანესია ორი ფაქტორი — შემოსავლის დონე და ოჯახის შემადგენლობა. ოჯახში მომუშავეთა და კმაყოფაზე მყოფთა (ბავშვები, ინვალიდები, პენსიონერები) სხვადასხვაგვარი შეფარდება გადამწყვეტ გავლენას ახდენს „სულადობის" მიხედვით შემოსავალზე. განვიხილოთ მაგალითები ნათქვამის საილუსტრაციოდ; ერთ ოჯახში უფროსები დედა და მამა იღებენ საკმაოდ სოლიდურ ხელფასს, 200 მანეთს თითოეული,

მაგრამ მათთან ერთად ოჯახში არის ხუთი ბავშვი და ბებია, რომელიც მცირე პენსიას იღებს. სხვა ოჯახში მშობლები იღებენ თითოეული 120—150 მანეთს თვეში, მაგრამ მათ კმაყოფაზე ჰყავთ მხოლოდ ერთი ბავშვი. უბრალო გამოთვლა გვიჩვენებს, რომ პირველ ოჯახში, თითოეულ სულზე მოდის 50 მანეთი, ხოლო მეორეში 90 მანეთი. ამრიგად, მცირე ხელფასიანი მუშაკები შეიძლება აღმოჩნდნენ უფრო უზრუნველყოფილები ვიდრე დიდ ხელფასიანები.

„ყოველ საზოგადოებაში განასხვავებენ მაღალ, საშუალოდ და მცირედ უზრუნველყოფილ ოჯახებს და შესაბამისად ოჯახის მაღალ, საშუალო და მცირე შემოსავალს ერთ სულზე გაანგარიშებით. გასაგებია, რომ დროთა განმავლობაში, ცხოვრების საერთო დონის აწევის კვალობაზე ხდება თითოეული ამ ჯგუფთაგანის კრიტერიუმის ამაღლება. ისე, რომ დღევანდელი საშუალო დონე უზრუნველყოფილობისა — ეს გუშინდელი მაღალი და ხვალინდელი დაბალი დონეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიდაიგივე ხელფასი სხვადასხვა დროს ოჯახური მეურნეობის სხვადასხვანაირად მართვის შესაძლებლობას გვაძლევს," — წერს ბ. ვ. რაკიტსკი და გვიჩვენებს საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის ზრდის დინამიკას უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე.

1966-დან 80-იან წლებამდე პერიოდში მოსახლეობის ფულადი შემოსავალი გაორმაგდა. მაგალითად, ახლა ჩვენი ქვეყნის ოჯახების დაახლოებით ნახევარს, თითოეულ წევრზე, შემოსავალი აქვს 100 მანეთი და მეტი. ხოლო ჯერ კიდევ 1965 წელს ასეთი იყო მოსახლეობის დაახლოებით 4%. მცირედ უზრუნველყოფილებად ახლა ითვლებიან ისინი, ვისაც შემოსავალი თითოეულ წევრზე აქვს 50 მანეთი და უფრო ნაკლები. მათი რიცხვი 70-იანი წლებისათვის სამჯერ შემცირდა და საგრძნობი ტენდენციაა შემდგომი შემცირებისკენ. ეკონომისტი გვიწინასწარმეტყველებს, რომ საუკუნის დასასრულისათვის საშუალო მაჩვენებლად ჩაითვლება ოჯახის თითოეულ წევრზე ორასი მანეთი. ჯერჯერობით კი ასეთი შემოსავალი აქვს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილს.

არსებითად იცვლება ოჯახის გასავალიც. საერთო ჯამში კვების პროდუქტებზე ახლა ვხარჯავთ უფრო მეტს, ვიდრე წინათ, მაგრამ პროცენტულად უფრო ნაკლებს, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. გასაგებია რატომ? შრომის ანაზღაურება ვანუხრელად იზრდება, ხოლო სახელმწიფო ფასები პროდუქტთა უმეტესობაზე არ იცვლება. ოჯახის ხარჯები პროდუქტებზე იზრდება კიდევ იმის ჯამო, რომ შეიცვალა გამოყენებული პროდუქტების ასორტიმენტი. შემცირდა იაფი და ნაკლებკალორიული, მაგალითად, პურისა და კარტოფილის ხმარება, რომლებიც წინათ დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა. სამა-

გი

ში — მტკიცდება ტენდენცია, რომ სამრეწველო წარმოება გახდეს უნარჩენო, ისეთი, რომელშიც ერთი წარმოებისა და მეურნეობის ნარჩენები გამოყენებული იქნება ნედლეულად მეორისთვის. მაგრამ ეს ტენდენცია ვერ გახდება საყოველთაო, თუ ჩვენს საკუთარ სახლში არ გვექნება ჩვეული მომჟირნეობისა და ყველაფრის უტილიტარიზაციისა, რაც ძველდება და მოდიდან გამოდის. თანამედროვე ახალგაზრდების ხასიათში (და არც თუ ძალიან ახალგაზრდებისაშიც) უკვე განმტკიცდა ნივთებისადმი დაუზოგველი, აგდებული დამოკიდებულება, რაც ნამდვილად არ იქნება ადვილი შესაცვლელი.

მატერიალური შესაძლებლობების ზრდასთან ერთად დავიწყებას ეძლევა საოჯახო მეურნეობის მართვის ისეთი გონივრული პრინციპები, როგორიცაა, მაგალითად „საბანი, როგორც გაგწვდება ისე უნდა დაიხუროო“. ახლანდელ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, ერთად ცხოვრების დასაწყისში, ხშირად წარმოდგენაც კი არა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაანაწილონ შემოსავალი ისე, რომ ხელფასის აღების წინა დღეებში ნათესავებთან და ახლობლებთან სირბილი არა სჭირდებოდეთ ფულის სასესხებლად.

ჩვენ უკვე დავასახელეთ კვებასა და ჩაცმაზე დანახარჯის ძირითადი ციფრები: საერთო შემოსავლის არა უმეტეს 80%. გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ბინის, ელექტრობის, გაზის ყოველდღიური გადასახადი, დანახარჯები ტრანსპორტზე, კულტურულ ღონისძიებებსა და გართობაზე, სპორტზე, შვებულების დროს მოგზაურობაზე, დღესასწაულებზე და საჩუქრებზე.

გაიხსენეთ, როგორ ანაწილებდა თავისი ოჯახის შემოსავალ-გასავალს ოთარაანთ ქვრივი: “გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულ პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის, ნაჭრებისგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილი. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერის სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსა, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინხავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა „მიეცი და მოგეცესო“ მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული.

...პირველ ოთხ ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად, მომხდარა ანგარიში არევოდეს. რაც პირველს ოთხ ქისას გადარჩებოდა ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მანამ გამოილეოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.“

საინტერესოა რჩევა, რომელსაც ნ. ვ. გოგოლი აძლევდა დიასახ-

ლის ქალებს. აი ზოგიერთი ამონაწერი მისი ეკონომიკური რეკომენ-დაციებიდან: „ნუ აწარმოებთ საერთო გასაკლის წიგნს. მხოლოდ წლის დასაწყისიდანვე გააკეთეთ წინასწარ ყველაფრის ბარჯთაღრიცხვა, გაითვალისწინეთ ყველა თქვენი საჭიროება, აწოს-დაწოხეთ წინასწარ რამდენი უნდა დახარჯოთ წელიწადში თქვენი ქონების შეესატყვისად და ყველაფერი შეაჯამეთ, დაამრგვალეთ. გაყავით თქვენი ფული შვიდ გროვად. პირველ გროვაში იქნება ფული ბიხისთვის, გათბობით, შუშით და ყველაფრით, რაც არ შეეხება სახლის კედლებს და ეზოს სისუფთავეს, მეორე გროვაში სუფრისა და სურსათ-სანოვაგის ფული მზარეულის გასამრჯელოთი და ყველაფრის საკვებისთვის, რაც კი თქვენ სახლში გყავთ; მესამე ფროვაში ეკიპაჟი: კარეტა, მეეტლე, ცხენები, თივა, შვრია... მეოთხე გროვაში ჩაცმულობის ფული. ე. ი. ფული ყოველიე იმისათვის, რაც თქვენ გჭირდებათ ორიეეს იმისათვის, რომ ეამოჩნდეთ საზოგადოეაში ან იჯდეთ სახლში; მეხუთე გროვაში იქნება თქვენი ჯიბის ფული; მეექვსეში— ფული განსაკუთრებული ხარჯვებისთვის, რომელიც შეიძლება შეგხვდეთ... გააკეთეთ ისე, რომ ეს შვიდი გროვა გქონდეთ ერთმანეთთან შეურევლად, როგორც შვიდი ცალკე სამინისტრო. თითოეულისგან ცალკე ხარჯეთ და არავითარი საბაბით არ ისესხოთ ფული ერთი გროეიდან მეორესთვის. როგორი ხელსაყრელი საყიდლებიც არ უნდა შეგხვდეთ თქვენ ამ დროს, როგორც არ უნდა გიზიდავდნენ ისიხი თავისი სიიაფით — არ იყიდოთ...

თუ მტკიცე იქნებით ნივთიერი ხასიათის საქმეებში, თქვენთვისეე შეუმჩნეველად მტკიცე გახდებით სულიერი ხასიათის საქმეებში."

თამედროვეობასთან სრულიად შესატყვისადაა დალაგებული გა-ხავლის მუხლები. შეიცვალა მხოლოდ საყოფაცხოვრებო საგნები, მაგრამ არა სახსრების განაწილების ხასიათი. მზარეულის გადასახადის ნაცვლად სასადილოში კვების ხარჯი, ნაცვლად კარეტისა მეეტლით და შვრიისა, რომელიც სულ ძვირდებოდა, შეიძლება მხედველობაში გქონდეს მოტოციკლი ვარაჟით და საწვავი მისთვის, რომელიც ასეეე უცილობლად ძვირდება, შემკეთებელი — ხელოსახი და ა. შ. ისე კი საბუღალტრო აღრიცხვის მეტად მოხერხებული სისტემაა. შეიძლება სპეციალურ კონვერტებში შეეინახოთ ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გათვალისწინებული ფული. ისიც სწორია, რომ არ უნდა დავემორჩილოთ საკუთარი თავისგან ფულის სესხების ცდუნებას. ეს არის ნებისყოფის და საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების გონივრული რეეულირების უნარის საუკეთესო წვრთნა.

— როგორ უნდა მოვიქცეთ თუ გვსურს ძვირფასი ნივთის შეძე-

ნა, მაგრამ ერთ თვეში მისთვის ფულს ვერ მოვაგროვებთ, სხვა დროს კი შეიძლება აღარ შეგვხვდეს?

ამ საკითხზე პასუხისთვის კვლავ გოგოლს მივმართოთ: „ახლა ჩვენთან ყველაფერი გაიბნა და მოეშვა. არარაობად და ჩვარად იქცა ყოველი ადამიანი... თვითონ გადააქცია თავის თავი ფუძედ ყოველგვარი სახიზღრობისთვის და ყველაზე უაზრო და წვრილმან გარემოებათა მონად, და არ არის ახლა თავისუფლება არსად ჭეშმარიტი აზრით. ასეთ თავისუფლებას ერთი ჩემი მეგობარი... განსაზღვრავს ასე: „თავისუფლება იმაში კი არ არის საკუთარ სურვილთა თვითხებობას უთხრა „დიახ", არამედ იმაში, რომ შეეძლოს უთხრა „არა. „ეს მართალია, როგორც თავად სიმართლე."

ყურად ვიღოთ დიდი ადამიანის ნათქვამი ეს არც თუ ძალიან სასიამოვნო ჭეშმარიტება, ის ზოგიერთ ჩვენგანსაც ეხება.

იშვიათი გამონაკლისის გარდა (სახლის ან კოოპერატიული ბინის მშენებლობა) ძვირად ღირებული ნივთები ჩვეულებრივ არ არიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. როგორც სალხი ამბობს: „ყველაფერი რაც აუცილებელია — იაფია, ყველაფერი რაც ზედმეტია — ძვირია."

თუ რაიმეს ყიდვა ან ხარჯი მოითხოვს მრავალი თვის მანძილზე ფულის დაგროვებას, გავწიოთ ეკონომია და გადავდოთ, მაგრამ ისე, რომ გასავლის სხვა მუხლებს არაფერი დაეკლდეს. რანაირად მოხერხდება ეს? შევცვალოთ ზოგიერთი მოთხოვნილება და მისი ხარჯები უფრო ზომიერით და იაფით. მაგალითად, გვინდა ზაფხულში სამოგზაუროდ წასვლა, რაც მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს: გზის ფული, საგზურის ფული, ფული სპორტული და გამოსასვლელი ტანისამოსისთვის. ბიუჯეტის იმ ნაწილებში (გროვებში), რომლებზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, შემოვიღოთ განსაკუთრებული მუხლები "შვებულებაზე ორიენტაციით. ტანისამოსის, კულტურული იხტერესების, გართობისა და კვების ნაწილიდანაც კი შეიძლება გავაკეთოთ გადარიცხვები მომავალი მოგზაურობისთვის განკუთვნილ სალაროში.

შეიძლება შევამციროთ ხარჯები არააუცილებელ პროდუქტებზე, მაგალითად ძვირადღირებულ ხილზე და ამასთანავე არ დავიკლოთ საჭირო ვიტამინები, რამდენადაც, ცნობილია, რომ ფორთოხალში ნაკლებია ვიტამინები, ვიდრე კომბოსტოში, განსაკუთრებით დაბწყინებულში. შეიძლება ცხიმების მიღებაც შევამციროთ თუ არ შევწვავთ პროდუქტებს. მით უმეტეს, რომ შემწვარი საკვები საზიანოა, მოხარშული კი სასარგებლოა. საერთოდ ნატურალური პროდუქტი რაც უფრო ნაკლებად არის დამუშავებული, მით უფრო მეტია მისი კვებითი ღირებულება. სახლებში, სადაც გათბობისთვის იხდიან შეშის, ელექტრობის, გაზის დანახარჯის მიხედვით, სათბობის ეკონომიით

დაზოგილი ფული შეიძლება გადავიტანოთ ყველაზე სასურველი დანახარჯის გრაფაში. მაგრამ ეკონომია უნდა ეხებოდეს მხოლოდ საშუალებებს და არა აუცილებელ კალორიებს.

გონივრულია გოგოლის წინადადება თავი შევიკავოთ არააუცილებელი საყიდლებისგან მაშინაც კი, როცა ისინი იაფია, თუ ძვირია—მით უმეტეს ნივთები ისევე, როგორც მათი შემქმნელი ადამიანები, ვერ იტანენ მარტოობას, მათ სჭირდებათ „შესაფერი საზოგადოება". მაგალითად, სრულიად მოულოდნელად შეგვხვდა და ვიყიდეთ... მოდური ლაბადა. მაგრამ არა გვაქვს ფეხსაცმელი, რომელიც ამ ლაბადის ფერისა და ფასონის მიხედვით მოუხდებოდა. მაშ უნდა ვიყიდოთ ფეხსაცმელებიც. მაგრამ ეს ორივე შეიძლება არ მიუდგეს არც ერთ კაბას ან კოსტუმს, რომელიც ჩვენს გარდერობშია. გამოდის, რომ ახალი ხარჯები უნდა გავიღოთ, ან ფეხსაცმელები ჩავიცვათ ლაბადასთან ერთად, მხოლოდ ქუჩაში, შენობაში კი ლაბადის გახდისას ისინიც უნდა გამოვიცვალოთ. ამას გარდა შეიძლება კიდევ საჭირო გახდეს ლაბადის და ფეხსაცმლის შესაფერი ჩანთა. აქეთ შეიძლება ვანახლებულ ჩაცმულობასთან ქოლგა ყვიროდეს. ტუალეტიც მოგვთხოვს ტუჩის საცხის ფერის შეცვლას...

იგივე ისტორია შეიძლება განმეორდეს ახალი ჭაღის, დივანის, ხალიჩის შეძენისას და კედლებზე რაიმე განსაკუთრებული შპალერის გაკვრისას. გამოდის, რომ რაც უფრო ორიგინალური და ეფექტურია ნივთი, მით უფრო ჭირვეული ხასიათისაა იგი და მით უფრო მნიშვნელოვანია სახლში მისი გამოჩენის საზიანო შედეგები.

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. გ. ბორისოვამ, როგორც ეს ამ წოდების ადამიანს შეეფერებოდა, სცადა ქალის გარდერობს მისდგომოდა მეცნიერული თვალსაზრისით და შეექმნა სქემა, რომელიც დაგვეხმარებოდა თავიდან აგვეცილებინა ასეთი შეცდომები და არ წამოვგებულიყავით მიმზიდველი, მაგრამ არასაჭირო ნივთების ანკესზე. მისი მეთოდის მთავარი პრინციპია არ ვიყიდოთ მარტოხელა ნივთები, რომლებსაც არა აქვთ ნათესაობა იმასთან, რაც სახლში გვაქვს. ყოველი შენაძენი უნდა უკავშირდებოდეს სხვა კომპონენტების მაქსიმალურ რიცხვს: ფერით, სტილით, გამოყენების ადგილით და დანიშნულებით. თუ არა გაქვთ გარდერობში სპორტული დანიშნულების ნივთები, იცოდეთ, შეძენა მხოლოდ ერთი სასურველი ქურთუკისა — იქნება ნამდვილი განხეთქილება. არა გაქვთ ხმარებაში ნივთები, რომლებიც შეეფერებიან ვთქვათ ვარდისფერს, ნუ იყიდით ვარდისფერ კოფტას, როგორც არ უნდა მოგეწონოთ იგი. შეუთავსებელია ჭრელი კაბა მაქმანებიან საყელოსთან, სადა კი არა გაქვთ, — თავი შეიკავეთ იაფი საყელოს ყიდვისგანაც კი. დაუწერეთ თქვენს თავს ყოველთვის ხუთიანი, როცა კი დასძლევთ ცდუნებას.

უფრო მეტიც, შესძელით ხარობდეთ საკუთარი სისუსტის დაძლევით — სილამაზისა და გონიერების გამარჯვებით.

ეკონომიას ხელს უწყობს ნარჩენების გამოყენების ჩვევაც. რამდენ დროს ვხარჯავთ გარეგნობის მოვლისათვის საჭირო ახალი მოდის საშუალებათა შეძენაზე: ძვირად ღირებული საპნები და შამპუნები, კრემები და ლოსიონები. კოსმეტოლოგები კი გვირჩევენ, რომ არ ავჩქარდეთ სიახლეთა გამოყენებაში. მათგან ბევრმა მიიღო თმის, კანის დაავადება, ალერგია... რამდენად უფრო სასარგებლოა თავის დასაბანად გამოვიყენოთ ძველი, გამხმარი პური, ხელების დასახეულად დამჟავებული რძის, არაჟანის, მაიონეზის ნარჩენები. ხილისა და ბოსტნეულის კანი გამოვიყენოთ მკვებავი ნიღბისათვის. ხშირად ხომ ჩვენ ყოველივე ამას ვყრით ნარჩენების ვედროში, და მასთან ერთად ვყრით ჩვენს ჯამრთელობასაც (რამდენადაც კანიდანაც შედის ორგანიზმში საკვები ნივთიერებანი), ჩვენს ფულს და სხვათა მიერ ამ პროდუქტების მოყვანაზე დახარჯულ შრომას.

ყოველთვის შეიძლება თითქოსდა აუცილებელი ხარჯების შემცირება, ისევე, როგორც ყოველთვის შეიძლება იმ განაწყენების კომპენსაციაც, რომელიც გვეუფლება ყიდვაზე უარისთქმისას. მახსოვს, როგორი რეაქცია ჰქონდა ერთ ჩემს ნაცნობს ხალიჩების გამო უეცრად შექმნილ აჟიოტაჟზე. ძვირად ღირებული ხალიჩისთვის მას ფული არა ჰქონდა და არც პერსპექტივაში მოჩანდა. ძალიან კი უნდოდა ბინის კედლების ლამაზად მორთვა. და აი გადაწყვიტა, თვითონ გაეკეთებინა შალის ძველი გადასაფარებლისგან და კაბებისგან; მხოლოდ მოსართავი მასალის ყიდვა დასჭირდა. ხელმარჯვე დიასახლისმა ისეთი პანო შექმნა, რომ სტანდარტული, ლამაზი ფარდაგის ყველა მფლობელს შეშურდებოდა. უკანასკნელ ხანებში მთელ მსოფლიოში შეინიშნება ხელით ნაკეთობისთვის უპირატესობის მინიჭება. ის ბაზარზე გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე სამრეწველო ნაწარმი. ესეც გასაგებია, როცა ყველას შეიძლება ჰქონდეს ის, რაც მე მაქვს (სხვადასხვა სახის საქონლის მილიონიანი ტირაჟის დროს აუცილებლად ჩნდება მომაბეზრებელი სტანდარტი) უეჭველად ჩნდება სურვილი გექონდეს რაღაც უნიკალური. ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ოსტატის ხელით ნაკეთები ნივთი. აი, ესეც დაბრუნება კუსტარულობისკენ, თვითმოქმედი ხელგარჯილობისკენ, რასაც სულ ცოტა ხნის წინ ჰფლობდნენ ჩვენი სოფელი ბებიები და პაპები და რომელთა ცოდნის ათვისებასაც საჭიროდ არ მიიჩნევდნენ მოდურ სიახლეთა მოყვარული მათი შვილები და შვილიშვილები.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ თვითნაკეთი ნივთები და თვითმომსახურება მეტად არსებითი ეკონომიის წყაროა ფასიან ნივთებთან და მომსახურებასთან შედარებით. სამწუხაროდ,

მოყვარულის საქმიანობას, ჩვენი თავისუფალი დროის ძალიან მცირე ნაწილი ეთმობა. თუ ტელეგადაცემების ყურებასა და რადიოგადაცემების მოსმენაზე ქალები და მამაკაცები ხარჯავენ თავისუფალი დროის დაახლოებით 28%, მოყვარულის საქმიანობაზე მოდის მხოლოდ 1,5%.

...ეკონომიკა ზნეობრივი ცნებაა. ეს მთელი სიმწვავით ხდება საგრძნობი, როცა მცირედ უზრუნველყოფილი ოჯახებიდან გადავდივართ მაღალ უზრუნველყოფილთა თანრიგზე. აქამდე ვმსჯელობდით იმაზე, თუ როგორ უნდა ვმართოთ ოჯახური საქმეები შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობების პირობებში. ჩვეულებრივ ითვლებოდა, რომ მატერიალური უზრუნველყოფილობა გვახთავისუფლებს ყველა საზრუნავისა და სიძნელისგან. იყიდე, რაც სულსა და გულს სწადია, ისარგებლე ცხოვრების ყველა სიკეთით. ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ უფიქრდებიან იმას, თუ როგორები იქნებიან თვითონ ისინი და განსაკუთრებით მათი შვილები ისეთ ვითარებაში, როცა მათთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. პატიოსანი შრომით ამდენი ფულის მოპოვება მხოლოდ მაღალი კლასის სპეციალისტებს შეუძლიათ. ასეთები ჩვეულებრივ ცოდნისა და უნარ-შესაძლებლობათა მხრივ საშუალოზე მაღალი დონის ადამიანები არიან. ისინი ჩანან საზოგადოებაში, მათ უკვირდებიან, ბაძავენ ისინი, ვინც მათ კვალს მიჰყვება. მაშასადამე, ისინი ვალდებულნი არიან ხალხს უჩვენონ გონივრული მოთხოვნილებებისა და მათი ზნეობრივი დაკმაყოფილების მაგალითები.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხელფასის მქონე ბევრი სპეციალისტი (250 მანეთზე მეტი ოჯახის თითოეულ წევრზე) ცხოვრობს გონივრულად და თავის ოჯახის წევრებს ასწავლის თავშეკავებას მომხმარებლური სურვილების დაკმაყოფილებაში. არაერთხელ ვყოფილვართ მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების, ცნობილი მუშების სახლში და გვინახავს, როგორი უპრეტენზიოები არიან ისინი ჩაცმულობაში, ჭამაში, რა სადაა მათი ოთახების მორთულობა და ავეჯი. მათთვის ყველაზე დიდი ღირებულებაა ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან, წიგნებთან, ხელოვნების სხვადასხვა სახის ნაწარმოებთან. მართალია, ზოგიერთები გატაცებულნი არიან ძვირადღირებული კოლექციის შეგროვებით, მაგრამ ხშირად ისინი ამ მდიდარ კოლექციებს შემდგომში უძღვნიან თავის მშობლიურ ქალაქს თუ სოფელს.

გაზეთებიდან გაიგებდით ალბათ, რომ ცნობილმა ქართველმა ექიმმა-კოსმეტოლოგმა ქეთევან იაშვილმა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შეგროვებული სურათების მდიდარი კოლექცია გადასცა

მშობლიურ ქალაქს თელავს, სადაც გამოფენილია ისინი მის სახლ-მუზეუმში. ცნობილმა პოეტმა რასულ გამზატოვმა დიდი ფული გადასცა მშვიდობის ფონდს, ესტრადის მომღერალმა ალა პუგაჩოვამ უარი თქვა საერთაშორისო ფესტივალების პრემიებზე ბავშვთა დაცვისა და მშვიდობისთვის მებრძოლი ორგანიზაციების სასარგებლოდ.

ამ სახის გაცემა უდავოდ დიდ ქებას იმსახურებს. მას არ შეიძლება ვუწოდოთ მსხვერპლის გაღება იმიტომ, რომ მსხვერპლთან, ამ სიტყვის ღრმა აზრით, აქ არცა გვაქვს საქმე; ადამიანებმა გასცეს არა თავისთვის აუცილებელი რაღაც, არამედ ნაჭარბი. ხშირად, ხაძდვილი სიკეთის მაგალითს გვაძლევენ საშუალოზე ოდნავ მაღალი შემოსავლის მქონენიც. როცა ხელს უმართავენ მათ, ვისთვისაც აუცილებელია დახმარება. მცირედ უზრუნველყოფილ ხათესავებს, მეგობრებს, გაჭირვებაში მყოფთ, თავის მცირე დანაზოგებს გადასცემენ ბავშვია სახლის აღსაზრდელთათვის დასახმარებლად, ქუჩების კეთილმოწყობისთვის, ბუნებისა და წარსულის ძეგლთა დაცვისთვის და ა. შ.

უნარი იმისა, რომ ჰპოვო ჭეშმარიტი სიხარული სხვა ადამიანების საკეთილდღეოდ საკუთარ სიამოვნებაზე უარის თქმაში. სწორედ ეს არის ზნეობრივი ეკონომიკა მზარდი შესაძლებლობების პირობებში.

ვიყოთ გულწრფელი, ყველა უზრუნველყოფილი ოჯახის წევრებს არა აქვთ მიდრეკილება რაიმეში შეიზღუდონ თავისი თავი. ბევრი მათგანი, პირიქით, სწორედ თავის მატერიალურ უპირატესობაში ხედავს პროფესიული ძალისხმევისა და წარმატების აზრსა და მიზანს. ასეც ხდება ზოგჯერ, რომ არამც თუ შორებელს არ ეხმარებიან, არამედ ცდილობენ ახლობელსაც კი რაღაცას გამორჩნენ.

დაგროვების ვნება ადამიანურ ვნებათაგან ერთ-ერთი უძლიერესია. მასთან ბრძოლა დღევანდელ პირობებში, როცა ყოველგვარი სიკეთის, საქონლისა და მომსახურების ფულით მოპოვების ასეთი მდიდარი არჩევანია, გაცილებით ძნელია ვიდრე „უდიდესი კომბინატორის“ ოსტაპ ბენდერის დროს. მან მოიპარა მილიონი „იდიოტის ცისფერი ოცნება“, მაგრამ ვერ შესძლო გამოეყენებინა იმდროინდელ პირობებში, როცა ყველა სიკეთის განაწილება აგებული იყო არა იმდენად ფულად, რამდენადაც კორპორაციულ-პროფესიულ საფუძველზე.

მაგრამ, აბა მითხარით, რა საფუძვლიანი პრეტენზიები შეიძლება წაუყენონ ადამიანებს, ვისი შეძლებულობაც მიღწეულია პატიოსანი შრომით. ჩვენ ხომ ყველანი სხვადასხვანაირები ვართ ჩვენი მოთხოვნილებების, გატაცებების, ჩვეულებების, ახირებულობის მიხედვით. თურმე ჩვენი ეს გაუცნობიერებელი მისწრაფებაც ოჯახური ყო-

ფის ვათანაბრებისკენ მოცემულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნებაში.

„ყოველი კერძო საკუთრება როგორც ასეთი, განიცდის — ყოველ შემთხვევაში უფრო მდიდარი კერძო საკუთრების მიმართ — შურს და ნიველირების წყურვილს... უხეში კომუნიზმი მხოლოდ დასრულებაა ამ შურისა და ამ ნიველირებისა, რომელიც რაღაც მიხიმუმის შესახებ წარმოდგენიდან გამომდინარეობს. იგი გარკვეული შეზღუდული ზომისაა", — წერდა კ. მარქსი (ჟურნ. ეკონომისტი, გვ. № 12, 1986, გვ. 75).

„უხეში კომუნიზმი" — დამახინჯებული წარმოდგენა თანასწორობაზე, ჯეროვანსა და მართებულზე, არა მარტო კერძო, არაშედ პირად საკუთრებაშიც ჯერ კიდევ მთლად აღმოფხვრილი არ არის ჩვენი ყოფიდან. ნაჩქარევად გამოაქვთ განაჩენი თვითმარქვია მოსამართლეებს შეძლებულობის მხოლოდ გარეგნული ხიშხების მიხედვით: აი, მეზობელმა მანქანა შეიძინა, ხალიჩა იყიდა, მე კი არც ერთი მაქვს და არც მეორე. ესე იგი ის ცუდი ადამიანია, ობივატელი და მომხვეჭელია. ამასთანავე, ცოტასა აქვს გაცნობიერებული, რომ ამგვარი „განაჩენით" არღვევს ჩვენს ერთ-ერთ გარანტირებულ თავისუფლებას — პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რომელსაც იცავს სახელმწიფო, სსრკ კონსტიტუცია. ადამიანის საზოგადოებრივი გაკიცხვა და ოფიციალურად მსჯავრის დადება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია და დამტკიცებულია, რომ შეძენა არაპატიოსანი გზით მოხდა. ყველა სხვა შემთხვევაში შეურაცხყოფილ პატიოსან მშრომელს უფლება აქვს სამართალში მისცეს თავისი გამკილავი.

სწავლულები აფრთხილებენ მათ, ვინც იბრძვის ამქვეყნიურ სიკეთეთა განაწილებაში გათანაბრების პოლიტიკისთვის. ეს იქნებოდა დარღვევა სოციალიზმის ფუძემდებელი პრინციპისა „თითოეულს შრომის მიხედვით". გამოცდილება, რომელიც მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ სამხედრო კომუნიზმის პერიოდში უარყოფს ასეთ ძიდგომას. პრინციპში ჩვენი სახელმწიფო მიისწრაფვის სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა ხელფასის ოდენობის დაახლოებისკენ. დაახლოებისკენ, მაგრამ არა გათანაბრებისკენ.

„სახელმწიფო ცდილობს თავი აარიდოს გათანაბრებას, რომლის დროსაც ხდება კვალიფიკაციაში რეალური განსხვავების, საშუშაოს სიმძიმის, მისი პრესტიჟულობის, საქმიანობის პირობების იგნორირება. ყველა ეს მომენტი, რომელიც წარმოადგენს... ცოცხალ ინტერესს, გათვალისწინებული უნდა იქნეს განაწილების დროს... მორალურ სტიმულებს, ენთუზიაზმს, შემოქმედებით წვას კომუნისტები ყოველთვის ანიჭებდნენ და ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას. ისიხი,

როგორც მატერიალისტები ლენინის მოძღვრებაზე დაყრდნობით, მიიჩნევენ, რომ კომუნისტური მშენებლობის საყრდენს, "ბრომაში ადამიანების ჩაბმის საფუძველს წარმოადგენს მატერიალური დაინტერესებულობა. ყოველგვარი თეორიები და იდეები, რომლებიც მოუწოდებენ ადამიანების მატერიალური ინტერესების იგნორირებისაკენ, ეკუთვნის არა მარქსისტ-ლენინელებს, არამედ პირველ რიგში, ტროცკისტული ჯურის მემარცხენე რევიზიონისტებს". — წერს ბ. ვ. რაკიტსკი, განმარტავს რა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურად თანასწორუფლებიან მოქალაქეთა შორის არსებულ თვალსაჩინო განსხვავებას მატერიალური შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების მიხედვით.

რას გვიჩვენებს ყოველივე ეს? მოთხოვნილებები თავისი ბუნებით უსაზღვრო და დაუსრულებელია. წარმოება მათ თითქოს აჭეზებს და აღძრავს კიდეც. ამაში ხომ არ არის მიზეზი ახალმოდური მოვლენისა — ნივთებით ყოველგვარ ზომას გადასული გატაცებისა, როცა ახლგაზრდები და უკვე ოწოფფულებიც კი თითქოს თავს კარგავენ: მზად არიან რაღაც ხარახურისთვის, ძველმანისთვის „სული ეშმაკს მიჰყიდონ!"

ეს საშიშროება სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს, მით უმეტეს, რომ შეშფოთების განიცდის ყველა. ისინიც, ვინც გატაცებულია განსაკუთრებით იშვიათი დეფიციტური ნივთებით და ისინიც, ვინც მოდით გატაცებას ირონიულად უყურებენ.

მოდა! მოდა! მოდა!

ეს რა ურჩხული მოეელინა ქეეყნიერებას? ეს რა გრძნეული ბოროტი ჯადოქარია, რომლის წინაშეც თითქოს უძლურია ყოველგვარი აღმზრდელობითი ზემოქმედება, ყოველგვარი გონიერული მოსაზრება?

უნდა აღინიშნოს, რომ მოდა „უეცრად" და ცარიელი ადგილიდან არ მოგვეელინა. ის არსებობდა ყოველთვის (ისევე, როგორც მისი ანტიპოდი ტრადიცია). მოდა არის სიახლის, ცვლილების სრულიად ბუნებრივი, ადამიანური მოთხოვნილება, ზუსტად ისევე, როგორც ტრადიცია ყოველთვის იყო ყოფის მდგრადობის, ცხოვრების სტილის წინაპართაგან გამომუშავებული და შთამომავლობისთვის გადაცემული გემოვნებისა და ჩვეულებების განვეორებადობის ასევე ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეს მოელენები მათი განსხვავებულობის მიუხედავად, ერთი დედის — წაბაძვის რეფლექსის — შვილები არიან. მეტად მძიმე ხასიათის მქონე შვილები. ყოველ-

ტრადიცია არ შეიძლება მიკიჩნიოთ გონივრულად და ყველა დროში შენარჩუნების ღირსად, არც ყოველი მოდა არის სულელური და დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელი. მათ შორის არსებული მუდმივი შეტოკეობა, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კახოხი კიდევ ერთი მაგალითია.

მაგრამ ბოლო დროს მათი გავლენის მასშტაბები შეიცვალა. ხატურალური მეურნეობისას სამრეწველო რევოლუციის ერამდე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ტრადიციას. ახლა მას სულ უფრო და უფრო ხშირად სძლევს მოდა. ტრადიცია იყო ნაკლებმოძრავი საზოგადოების ბურჯი, მოდა იქცა სამრეწველო წარმოების მამოძრავებელ ძალად და მის აუცილებელ კომპანიონად.

იყო დრო, როცა ტრადიციის ცნება შეთავსებული იყო ხალხის, ერის ცნებასთან. მოდის ცნება კი არისტოკრატიის ან ბრბოს ცნებასთან. ახლა აღარ არის ასეთი მკვეთრი დაყოფა. მოდამ განიცადა ძესამჩნევი დემოკრატიზაცია. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. აი, თუნდაც ჯინსი! ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ის იყო სრულიად ჩვეულებრივი ტანსაცმელი, ამერიკელი მწყემსისა (ე. ი. კოვბოისა, რაც ქართულად ნიშნავს „მეძროხე ბიჭს“ — მეხახირეს). ახლა ჯინსებს იცვამენ პრეზიდენტებიც, აკადემიკოსებიც, ხელოვნებიც, დურგლებიც, ქალები და კაცები, მოხუცები და ბავშვები, იცვამენ დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

ტანსაცმელი სულ უფრო და უფრო ნაკლებად შეიცავს ნაციონალურ-კლასობრივ ინფორმაციას, სულ უფრო ნაკლებად ასრულებს სოციალური ანკეტის როლს. საბჭოთა მექანიზატორს და შვედ მუშას აცვია ისეთივე კოსტუმი, როგორიც, მაგალითად, იაპონიის იმპერატორს. ნიადაგი ეცლება „ტანსაცმლის მიხედვით შეხვედრის“ ჩვეულებას. ეს ძალიან კარგია. შეიძლება ასეთმა სტანდარტიზაციამ ადამიანებს გამოუმუშაოს ნებისმიერი შემხვედრისადმი ისეთივე უურადღებიანობა, როგორიც ჩვეულებრივ არიან ყველაზე საპატიო მოქალაქისა და ყველაზე ცნობილი ქალის მიმართ.

თუმცა... ზოგიერთ თავხედს აქვს ამის საპირისპიროდ მოქმედების მიდრეკილება: ყველა სადად და ღარიბულად ჩაცმული მიაჩნია არარაობად და მათ კეთილი სიტყვისა და თავაზიანი მოპყრობის ღირსად არ თვლის. ამიტომაა, რომ შეკითხვით: „შენ ვინა ხარ“?, რომელიც გვესმის ხოლმე დაწესებულებათა კაბინეტებში, სავაჭრო დახლთან, მიმართავენ არა მხოლოდ გულითადი დაინტერესებულობით, არამედ ზოგჯერ კადნიერი ქედმაღლობითაც: ვინა ხარ შენ ისეთი, რომ თავაზიანად და კეთილგანწყობით მოგექცეო.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მთავარ გმირს მის უდიდებულესობას მოდას.

დაუფიქრდით, შეძლებდა ის მიეღო ასეთი გაქანება და საყოველთაო ხასიათი, რომ არ ყოფილიყო განვითარებული მსოფლიო მრეწველობა ასეთი გიგანტური მასშტაბებით, რამაც შესაძლებელი გახადა საკმაოდ შეზღუდულ დროში ერთიდაიგივე მოდელის მილიონობით ტირაჟის დამზადება. ანდა ექნებოდა მოდას ასეთი ფართო გავრცელება, რომ არ ჰყოლოდა მას ისეთი მძლავრი პროპაგანდისტები, როგორიცაა მაგალითად ტელევიზია, კინო, ჟურნალ-გაზეთები?

მძლავრი მრეწველობა დაინტერესებულია ჰყავდეს მილიონობით მომხმარებელი. მხოლოდ საქონლის დიდი პარტიები იძლევა ზემოაღლ მოგებას. ამიტომ აუცილებელია წააქეზონ მყიდველი, დააგონონ, რომ მოცემული ნივთის ფლობა შეუქმნის მას რაღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უპირატესობას. ადამიანის ფსიქიკის მექანიზმების ცოდნაზეა აგებული სარეკლამო სააგენტოების ურთულესი მუშაობა. მათი ამოცანაა, დაარწმუნოს ხალხი იმაში, რომ, ვთქვათ სწორედ ამ ფასონის შარვალი ხდის ადამიანს ელეგანტურს, ლამაზს, ოვითდაჯერებულს. რამდენიმე ხნის შემდეგ, თუ ამ დროისათვის. ძოდელის პოპულარობამ თავის თავი ამოწურა და მზადაა ახალ ხაწარმთა პარტია, ისინი უკვე დაიწყებენ თქვენს დარწმუნებას საწინააღმდეგოში: რომ მოცემული ფასონი — უგემოვნობის, სიღატაკის, კონსერვატიზმის ნიშანია.

ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის გეგმაზომიერი მართვის გამო ძასობრივი წარმოების თანმხლები ბევრი ნეგატიური მოვლენა შერბილებულია, მაგრამ მთლიანად აღმოფხვრილი არ არის, რადგან ეს შეუძლებელიცაა. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მოსახლეობის მატერიალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მომუშავე, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე, მძლავრი ინდუსტრია, ჩვენ ყველანი, მსგავსად ჩვენი დიდედებისა, ათეულ წლობით რომ ვხმარობდეთ ნივთებს, ტანსაცმელს და, უფრო მეტიც, მეშვიდრეობით გადავცემდეთ მათ მომდევნო თაობებს.

თვითონ მოდა არ არის საშიში, საშიშია მისი ნარკოტიკული ზემოქმედება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სულზე. სცადეთ ჩაატაროთ ასეთი გამოკვლევა, პირადად თქვენ, ან მთელმა კლასმა, როგორც მოისურვებთ. გამოიღეთ კარადებიდან, საკუბნაოდან, ანტრესოლიდან ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მწვავე სურვილის საგანს წარმოადგენდა თქვენთვის თუ თქვენი უფროსი და-ძმებისა ან მშობლებისთვის. მოაწყვეთ მათი გამოფენა-პარადი. შეიძლება შევავსოთ ექსპოზიცია საოჯახო ალბომიდან ამოღებული ფოტო-სურათებით, სადაც თქვენი უფროსი თაობის ნათესავები გასული წლების ტანსაცმლით არიან გამოსახული.

დაუკვირდით ნივთებს, რომლებიც პერიოდულად ითვლებოდნენ

სილაპაზის, მშვენიერების ეტალონად, იყვნენ ყველაზე სასურველები. შეაფასეთ, ღირდა ამისთვის ცრემლის ღვრა, ბურითა და სასოწარკვეთილებით ტანჯვა? ბოლოს და ბოლოს რა გახსხვავებაა ძათ შორის: ვიწრო—განიერი, გრძელი—მოკლე, მკიდრო—თავისუფალი, ირიპი—სწორი, სადა—ბრელი... გაგაოცებთ ადამიანის თვითმოტყუების უნარი. ჯერ კიდევ გუშინ ყველაზე სასურველად და ლამაზად გვეჩვენებოდა ჩექმები მაღალ ქუსლზე, შემდეგ—დაბალზე, წკრილზე—განიერზე, მაღალი ყელით—დადაბლებულით. ეს რა მერყეები ვართ! საწყენიც კი არის.

რატომ მიიწრაფის ჩვენი მრეწველობა საქონლის მზარდი რაოდენობისა და მისი ხარისხის მრავალფეროვნებისკენ, თუ კი ყველაფერი ეს მირაჟის დევნა და თვითმოტყუებაა. ხელი უნდა შეეუწყოთ მას თუ, პირიქით, უნდა შევაკავოთ?

დიდი ხნის განმავლობაში მილიონობით ადამიანის მისწრაფება ნივთებისადმი, პროდუქტებისადმი, სასმელისადმი, რომლებიც კი არ ამაღლებენ პიროვნებას, არამედ, პირიქით, ძირს სცემენ მას, ჩვეხთან ითვლებოდა მხოლოდ და მხოლოდ „წარსულის გადმონაშთებად" ადამიანის ცნობიერებაში. უკანასკნელ ხანს საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებანი ცდილობენ გამოავლინონ კანონზომიერებანი ამ მოვლენისა, რომელსაც განსაზღვრავს ჩვენი ყოფის თანამედროვე პირობები თავისი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი წინააღმდეგობებით.

„...ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა არსებობა სოციალისტურ საზოგადოებაში, საქონელბრუნვის გეგმის შესრულების აუცილებლობა ჯერ კიდევ განაპირობებს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელთა მოხმარება ხელს არ უწყობს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირებას," — მიუთითებს ფილოსოფოსი ნ. ხ. მიხაილოვი წიგნში „სოციალიზმი და პიროვნების გონივრული მოთხოვნილებანი."

ჟურნალ „კომუნისტის" ერთ-ერთ სარედაქციო სტატიაში აღნიშნულია, რომ ძველის ახალთან ბრძოლის, ჯერ კიდევ ავადმყოფურად მიმდინარე პროცესში, თავს არ უნდა ვიტყუებდეთ იმის იმედით, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ბოლშევიკური პირდაპირობითა და პრინციპულობით უნდა შევაფასოთ ჩვენი ზნეობრივი ატმოსფეროს ყველა პლუსი და მინუსი. ამასთანავე უნდა შევაფასოთ არა ნაჩქარევად და ზედაპირულად, არამედ პატიოსნად ჩავეძიოთ სოციალურ მიზეზებს, რომლებიც მომწიფებული სოციალიზმის პირობებში წარმოშობენ კომუნისტური მორალის ანტიპოდებს. ამ უკანასკნელთ სამართლიანად უწოდებენ კაპიტალიზმის გადმონაშთებს, მხედველობაში აქვთ რა მათი შეუთავსებლობა სოციალისტურ ცნობიერებასთან. მაგრამ, იყენებენ რა ტერმინს „გადმონაშ-

თები“ იმისათვის, რომ ახსნან თუ აქამდე რატომ აოსებობენ ეს ანტიპოდები და რა გზით ხდება მათი კელავწმარმოქმნა, მათ აკუთვნებენ მხოლოდ წარსულის იდეურ ზეგავლენას ანდა საზღვარგარეთის მტრულ მოქმედებას. საეჭვოა, რომ ასეთმა მიდგომამ დაგვახატოს სრული ჭეშმარიტება, რადგან აშკარად ირღვევა სოციალური სინამდვილის მოვლენების შემეცნებისა და ახსნის დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგიის მოთხოვნები; ასე ხომ ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცნობიერების მოწყვეტა ხდება ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან.

ასეთი პუბლიკაციები გვეხმარებიან დავინახოთ თუ რა რთულ და წინააღმდეგობრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე ჩვენს ყოველდღიურობაში, როცა სახელმწიფოს ინტერესები გულისხმობენ წარმოების ინტენსიურ განვითარებას, რომელიც ადამიანებს აძლევს შრომის შესაძლებლობას, ე. ი. საქონლის სულ უფრო და უფრო ახალი მასის წარმოების საშუალებას, რომლებიც ბუნებრივია უნდა შეიძინოს მომხმარებელმა (სხვანაირად რა საჭიროა მათი წარმოება). მაგრამ ყოველისას ადამიანი წყვეტს არა მარტო სამეურნეო-ყოფით, არამედ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ამოცანასაც: ვინ არის ის! ვთქვათ, მოდური ტანისამოსის, ახალი ავტომობილის, ძვირადღირებული ავეჯის, ხელოვნების ნაწარმოებთა, სხვადასხვა მორთულობების მყიდველი? პატივისცემის ღირსი მშრომელი თუ უღირსი მეშჩანი, რომელიც დახარბებულია „პრესტიჟულ ფასეულობას“, თუნდაც ის ყიდულობდეს ამ ფასეულობას არა მისი პრესტიჟულობის გამო, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ეს ნივთი მისთვის საინტერესოა, მოხერხებულია, აკმაყოფილებს მის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. მაგრამ თუ არავინ შეიძენს ამ საქონელს, მაშინ გაიცხვლისა და ფაბრიკის ობიექტად ხომ არ გადაქცევა უფრო ნაკლებად ძვირი საგნები, რომელთა მიმართაც მოცემული ინდივიდი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს!

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ შეიძლებოდა გაგვეგონათ ასეთი სახის დაცინვები:—ზლაპა კი დაუხურავს!... როცა უნდოდათ ვინმე ემხილებინათ მოჩვენებით ინტელიგენტობაში. „ბურჟუა“-ს უწოდებდნენ მამაკაცს, რომელიც ჰალსტუხს გაიკეთებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლური მისწრაფებების აღძვრა და პროვოცირება ხშირად ხდება ისეთი არაკეთილშობილური გრძნობით, როგორიცაა შურიანობა. ისინი განუყრელნი არიან სიამის ტყუპების მსგავსად. მომხვეჭელობისგან თავის დაღწევა შეუძლებელია ნივთებით გამოწვეული შურისაგან განთავისუფლების გარეშე. ტოლსტოი, მაგალითად, ამბობდა, რომ ღარიბი, რომელსაც შურს მდიდრისა, არაფრით უკეთესი არ არის ამ უკანასკნელზე.

თუმცა ამაზე დაკვირვების შესაძლებლობა ალბათ თქვენ თვითონაც ბევრჯერ გქონიათ თქვენს წრეში. დიდ შემოსავლიანი ოჯახის შვილები ხშირად აოცებენ თანაკლასელებს ახალ-ახალი „ფირმა — ნივთებით“, რომლებიც უმეტესობისთვის მიუწვდომელია ან თავისი მაღალი ღირებულების გამო ან იმიტომ რომ შემოტანილია საზღვარგარეთიდან, სადაც წასვლა და თანაც ხშირად, ყველა მშობელს არ შეუძლია. რასაკვირველია, ეს ბავშვები არ იქცევიან სწორად, როცა თანაკლასელებში აღძრავენ მდაბალ გრძნობებს. მაგრამ თვითონ ისიც, ვინც ეანიცდის შურს, სრულიად გაუცნობიერებლად უბიძგებს „დეფიციტს“ მფლობელს ასეთი, კოლექტივის საწინააღმდეგო საქციელისკენ.

ბოლოს და ბოლოს, რისი გულისთვის ცდილობენ თქვენი თანატოლები გამოეწყონ ისეთ ძვირადღირებულ ტანისამოსსა და ფეხსაცმელში, რომლებიც შეიძლება სინამდვილეში არავითარ ქებას არ იმსახურებენ, პირიქით, ზღუდავენ მოძრაობას, მოითხოვენ სიფრთხილესა და განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ არ დაისვაროს და არ ვაიხეს ეეოდენ ძვირფასი ნივთი? რა საჭიროა. ეს ტანჯვა? აი, სწორედ იმისთვის, რომ სხვებმა დაინახონ და გაოცდნენ!

ჩვენ ყველას, დიდებსაც და პატარებსაც, რომ შეგვეძლოს აღარ გვანიკადოთ ეს დამამცირებელი შურის გრძნობა სხვისი ხებისმიერი სიახლის დანახვისას, ყველაფერი შეიცვლებოდა ადამიანურ ურთიერთობათა სისტემაში. უფრო მეტიც, ჩვენ რომ შეგვძლებოდა უანგარო სიხარულის განცდა იმის გამო, რომ სხვამ შეიძინა რაღაც ახალი, არნახული, აი ეს იქნებოდა მორალური რევოლუცია!.. რევოლუცია, რომლის უდიდესი მნიშვნელობის წარმოდგენა ძნელი საზოგადოებრივი მეურნეობისათვის (რისი განვითარება ჩვენს ზოგიერებაზეც არის დამოკიდებული), შეუძლებელიც კია.

— აი, დამყარდება კომუნისტური წყობა, მაშინ თითოეულს შეეძლება მიიღოს „მოთხოვნილებების მიხედვით“ ე. ი. რაც და რამდენიც ენდომება და შურიც თავისთავად გაქრება — ასე ფიქრობენ ისინი, ვისაც კომუნიზმი წარმოუდგენია სურვილთა ჯადოსნური აღსრულების ქვეყნად. ყველას ექნება ნატვრის სუფრა, მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნური ჯოხი, რომელსაც ეტყვი თუ არა „ესა და ეს მინდა“ — ყველაფერი გაჩნდება თქვენს წინ თავისი საუკეთესო სახით.

ყველა დროში და საზოგადოებრივი წარმოების გახვითარების ნებისმიერ დონეზე ახალი საქონელი ყოველთვის დამზადდება და იქნება უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მისი შესაძლო მომხმარებელთა რიცხვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის იქნება დეფიციტური საქონელი და ყოველთვის იქნება დაუკმაყოფილებელი სურვილები. უკვე ციტირებული წიგნის „ალიენაციალიზმი და პიროეხე-

ბის გონივრული მოთხოვნილებანი" — ავტორი ფილოსოფოსი ნ. ნ. მიხაილოვი თვლის, რომ ასეთი სიტუაცია დამახასიათებელი იქნება განვითარების უმაღლეს ფაზაში მყოფი კომუნისტური საზოგადოებისთვისაც კი.

მაშ, რაღას ვუწოდოთ გონივრული მოთხოვნილებანი თუ ყველაფერი ასე რთულია? თუ ბუნებრივი ინსტინქტებიც კი მორალისა და გონიერების წინააღმდეგ მოქმედებენ?

ნ. ნ. მიხაილოვი მიიჩნევს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში გონივრული უნდა ვუწოდოთ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილებაც:

„ა) უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და აქტივობის პირობებს;

ბ) ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ გახვითარებას;

გ) არ ეწინააღმდეგება საზოგადოების მოთხოვნებს და ხელს უწყობს პროგრესს.

და პირიქით, სოციალიზმის პირობებში არაგონივრულია ის მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებაც ხელს უშლის ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციობას და განვითარებას, მივყავართ პიროვნების დეგრადაციისაკენ, წარმოადგენს ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის წინააღმდეგობის წყაროს, უფრო ფართო სოციალურ გაერთიანებასთან და მთლიანად საზოგადოებასთან. ამ აზრით, არაგონივრულ მოთხოვნილებებს შეიძლება ვუწოდოთ პათოლოგიური. ეს არის, როგორც ფიზიოლოგიური პათოლოგია (ალკოჰოლის, მოწევის, ნარკოტიკების ანტივიტალური მოთხოვნილებანი და ა. შ.), ისე სოციალური პათოლოგია, რომელიც ვლინდება ანტისაზოგადოებრივ მოთხოვნილებებში, რომელთა დაკმაყოფილებასაც ახლავს სუბიექტის ანტისოციალური მოქმედებები და ქცევები."

გამოდის, რომ ნივთების არც რაოდენობა და არც ხარისხი არ შეიძლება მივიჩნიოთ ოჯახური მეურნეობის გონივრული მართვის კრიტერიუმად. საჭიროა მხოლოდ იმის გათვალისწინება — ეს ნივთები ხელს უწყობენ თუ აბრკოლებენ ადამიანის ფიზიკურ და სულიერ არსებობა-განვითარებას. როცა ამ თვალსაზრისზე დავფიქრდებით, ხელად გამოიკვეთება მკაფიო პოზიციები, რომლებიც ერთმანეთში ირეოდა და იხლართებოდა, როცა კერძო მაგალითებს მივმართავდით.

რაც მეტი ნივთია სახლში, მით უფრო მეტ ადგილს იკავებს. გვართმევს მეტ ჰაერსა და სინათლეს, ასე აუცილებელს ჩვენი ორგანიზმისთვის, მეტ დროსა და ძალებს მოითხოვს მოკლისთვის. ფეოდალური ფასის მქონე რთული აგრეგატების მოვლას სჭირდება მაღალკვალიფიციური და ძვირადღირებული მომსახურება. ნივთები, რომლებიც

ხელს უწყობენ ადამიანის ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას: სპორტული მოწყობილობანი, კოსტუმები, ველოსიპედები და ა. შ. ანდა წიგნები, სურათები, რეპროდუქციები, სხვადასხვა სახის მიბაძვები. ფირსაკრავები, მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან გოხივრული შენაძენები, როცა ნამდვილად შეესატყვისებიან თავის დანიშნულებას. და არაგონივრულები ხდებიან, როცა ამ ნივთებით გაჭოტენილია თაროები და „კედელი", მაგრამ ისინი ადამიანის სრულყოფას კი არ ემსახურებიან, ალბათ მხოლოდ მათი მფლობელის ქედმაღლურ თავმოყვარეობას აკმაყოფილებენ და ხელს უწყობენ ადამიანის მდაბალ გრძნობათა განვითარება-განმტკიცებას. ამ შემთხვევაში სრული უფლებით შეიძლება ვილაპარაკოთ პათოლოგიურ და ანტისოციალურ მოხმარებაზე.

ასეთი გარდაქმნა შეიძლება განიცადოს ადამიანის ხელისა და ფანტაზიის ნებისმიერმა პროდუქტმა. ნივთთა ბუნება ისეთია, რომ გონივრულად და არა გონივრულად მათ აქცევს თვითონ ადამიანი, მათი მფლობელი. ასეთი შეხედულების საფუძველზე შეიძლება სრულიად კანონიერად ერთ რიგში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თავს თვლიან ერთმანეთის ანტიპოდებად: სიმდიდრის დამგროვებელი და მისი გამფლანგველი, ძველის ძველი ნივთების მოტრფიალე და სიახლეების თავზეხელაღებული მადევარი. უკიდურეს გატაცებათა ყოველგვარი გამოვლინება, რომელსაც ზიანი მოაქვს ადამიანისა და მისი გარემოცვისათვის, ჩვენთვის ერთნაირად მიუღებელია.

ალკოჰოლს, ნიკოტინს, ნარკოტიკებსაც კი ორგვარი ღირებულება აქვთ. მათი გამოყენება მედიცინაში სიკეთეა, ცხოვრებაში კი — უდიდესი ბოროტება. ასევეა ნებისმიერი პროდუქტი, შაქარი და მარილი, ხორცი და პური, ცხიმი და თაფლი, ხილი და ბოსტნეული. გარკვეულ პირობებში, გარკვეული რაოდენობით ისინი ადამიანისთვის სასარგებლოა, სხვა პირობებში — საზიანო. შაქარსა და მარილს ბოლო ხანებში უწოდებენ „თეთრ მკვლელებს". მაგრამ ისინი მზეზე, ქარზე და წყალზე უფრო მეტი მკვლელები არ არიან. კლავს უზომობა, ზომიერება აცოცხლებს. ზომიერება კი პირადი, იხდივიდუალური საქმეა.

უკიდურეს ჩრდილოეთში, მაგალითად, კვება ტრადიციულად ეფუძნება ნატურალურ ხორცსა და თევზს. სწორედ, მაღალი კალორიულობის პროდუქტები შველიან მათ მკაცრი, უმზეო ზამთრისა და მოკლე, ცივი ზაფხულის სიძნელეთა გადატანაში. ტუხვრისა და არქტიკის მცხოვრებლები, რომ გადავიყვანოთ ევროპელთა საშუალო სტატისტიკურ რაციონზე გარანტირებული ექნებათ მძიმე დაავადებანი, ორგანიზმის გამოფიტვა.

ზუსტად ასევა ტანსაცმლის შემთხვევაშიც. ენისეიდან დიკსონამდე

დე მოგზაურობის დროს გავიგეთ, რომ ჩაცმის ევროპული მახერის ბრმად გადაღებამ ადგილობრივ მცხოვრებლებში გაზარდა გაცივებით გამოწვეულ ავადმყოფობათა რაოდენობა. გოგონები, რომლებიც იცვამდნენ ლამაზ, ელეგანტურ ჩექმებს და მოკლე პალტოებს ხაცლად ჩვეული ტორპასების, თეკურებისა და ბეწვის პალტოსი დაისაჯნენ ქალური დაავადებებით, ზოგიერთები კი უშვილობითაც. საშრეთის ქალაქების მცხოვრებთა მიერ, განსაკუთრებით მჯდომარე პროფესიის წარმომადგენელთაგან ხორცით ჭარბი კვება იწვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლას. თავს იჩენს ჭარბად ჭამის მოყვარულთათვის დამახასიათებელი ავადმყოფობანი: სიმსუქნე, პადაგრა, ხაადრეული სკლეროზი, ადრეული ჰიპერტონია და სხვა არაჩვეულებრივი კვების თანმხლები „მშვენიერებანი". ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის დაახლოებით 50%-ს აქვს ზედმეტი წონა. ასეთი სახუმარო გამოთქმაც კი გვაქვს: „ჩვენს ქალებს ორი საზრუნავი აქვთ: სად იშოვონ დეფიციტური პროდუქტები» და როგორ მოიცილონ ზედმეტი წონა."

მაგრამ აქაც ბევრია დამოკიდებული გონივრულ, დიფერენცირებულ კვებაზე. ჩვენთან კვება ხშირად არ შეესაბამება ბუნებრივ საჭიროებებს, თუნდაც წელიწადის დროს. სიცივეში შეიძლება უფრო კალორიული საკვების მიღება, სითბოში თეკზით, ბოსტნეულით, ხილით, უცხიმო რძით დაკმაყოფილება. კვების სწორედ ასეთ სისტემას იყენებდნენ პარიზის ვილჟუიფის რაიონის მცხოვრებლები, რომლებსაც ჩვენ გავეცანით 60-იან წლებში, თუმცა ისინი სრულიადაც არ იყვნენ ღარიბები.

ერთ ოჯახშიც კი შეიძლება მისი სხვადასხვა წევრისთვის კვების განსხვავებული სისტემის შემუშავება. ბავშვებს, (ერთი საბის ბიჭებსა და გოგონებსაც კი სხვადასხვა რაციონი სჭირდება). ფიზიკური შრომის ადამიანებს—მეორენაირი, ინტელექტუალური შრომის მუშაკებს კიდევ სხვანაირი: მოხუცებს და ავადმყოფებს — დამზოგავი დიეტა, ჯანმრთელებს უფრო თავისუფალი კვება. სხვადასხვა კონსტიტუციის ადამიანებსაც კი. რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, სხვადასხვაგვარი საკვები სჭირდება.

ალბათ იკითხავთ, ვინ უნდა მოამზადოს ასეთი მრავალფეროვანი საკვები? საქმე იმაშია, რომ შეიძლება დიდი განსხვავება არც იყოს კერძებს შორის, განსხვავება, ძირითადად, იქნება კერძების ხაკრებში, პროდუქტებში, მათ რაოდენობასა და მიღების სიხშირეში.

უფრო გონივრული და სამართლიანი იქნება კვებისადმი და საერთოდ ყველაფრის მოხმარებისადმი ენერგეტიკული მიდგომა. რამდენი ენერგია მჭირდება იმისთვის, რომ აღვასრულო ჩემი დანიშნულება და, ამასთანავე, კი არ დავარღვიო, არამედ გახვამტკიცო ჩემი ჯანმრთელობა, — ეს არის მაქსიმუმი, რომლის უფლებაც შემი-

ალია თავს მივცე. რამდენ ფიზიკურ და სულიერ ენერგიას მოითხოვს ჩემგან ანა თუ იმ ნიეთის შეძენა და ექსპლუატაცია და რითი აძინაზღაურებს ის ამ დანაკარგს — სწორედ ეს იქნება მასთან დამოკიდებულების კრიტერიუმი. საერთოდ კი სუფრიდან ადგომა ისე, რომ ოდნავ კიდევ გრძნობდე შიმშილს — **ყველაზე ჯანსაღი ზომაა, როგორც მატერიალური ისე სულიერი კვებისა. მოყირჭება ნებისმიერ სფეროში ისეთივე არაჯანსაღი მდგომარეობაა, როგორც იძულებითი შიმშილობა, ნაძალადევი ასკეტიზმი.**

თუ დავდგებით მატერიალური დოვლათის მიმართ მორალური დამოკიდებულების უფრო მაღალ საფეხურზე, მაშინ საჭიროა უფრო მეტის გაცემა, ვიდრე ვიღებთ, სულერთია რა იქნება ეს ენერგია, სინათლე, სითბო, ყურადღება, კეთილგანწყობილება, თუ სიამოვნება. ხშირად ამ დროს იქნება ჩვენი დამოკიდებულება გონივრულიც და მბრძანებელი ხასიათისაც. უნდა დავუბრუნოთ ბუნებას მისგან ნასესხები და წინა თაობებისაგან ავანსად მიღებული და, რასაკვირველია, არ უნდა „წთანვთქათ" მომავალი თაობების კუთვნილი. ნუ მოვიხმართ ბუნებრივს თუ ადამიანების მიერ შექმნილ დოვლათს ნათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე—ვინც ჩვენს შემდეგ მოვა, ანე თანდათანობით წავშალოთ განსვლა მოხმარების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზონას შორის.

მაგრამ, კანონი მზარდი და ამამაღლებელი მოთხოვნილებების შესახებ? როგორ შევუთავსოთ ის ამ სახის მსჯელობებს?

გადავხედოთ სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებული საფუძველმდებელი დოკუმენტების დებულებებს.

ოთხმოცდაერთ წლებში კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდეგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, საბჭოთა ადამიანების სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე." (სკკპ XXVI ყრილობის მასალები, 1981, გვ. 204).

აღნიშნული დებულების გაგება შეიძლება მხოლოდ ასე: ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის განუხრელი ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ ერთი საგნის ნაცვლად თითოეული მიართმევს ორს და რომ ერთი ბინის ან სახლის ნაცვლად. თითოეულს ექნება სასახლე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის ცხოვრების პირობები საკმარისი იქნება მათი ყოველმხრივი განვითარებისთვის. კულტურული და ზნეობრივი აღმავლობის განუხრელი ზრდა ღაეხმარება ადამიანს იმის გაცხობიერე-

ბაში, რომ მოთხოვნილებების ამაღლება გულისხმობს, სწორედ, მდაბალი სურვილების შეკვეცას და პიროვნების ამამაღლებელ მისწრაფებათა გაზრდა-გაძლიერებას. ამ შკალაზე დაუფლება წარმოადგენს მოთხოვნილებების ყველაზე დაბალ საფეხურს, ხოლო თვითრეალიზაცია, შექმნა, შემოქმედება—ადამიანის ყველა ოცნებათა გვირგვინია.

„აღმზრდელობითი მუშაობის უღრმესი აზრი... მდგომარეობს ადამიანური მოთხოვნილებების შერჩევასა და აღზრდაში, ზხეობრივ სიმაღლეზე მათ აყვანაში, რაც შესაძლებელია მხოლოდ უკლასო საზოგადოებაში, რადგან მხოლოდ ამ საზოგადოებას შეუძლია აღძრას ადამიანი შემდგომი სრულყოფისთვის საბრძოლველად". ასე ფიქრობდა შესანიშნავი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო. ჩვენთვის ყველასთვის—უფროსებისთვისაც და მოზარდებისთვისაც სასარგებლო იქნება მუდამ გვახსოვდეს ეს აზრი.

შემოგთავაზებთ კიდევ ერთი გამოკვლევის ჩატარებას: შეეცადეთ ჩაიწეროთ თქვენი ყოველდღიური მოთხოვნილებები — ჭამის და ჩაცმის, შრომის და გართობის, შემოქმედების და ურთიერთობის — და განსაზღვროთ როგორია მათი აღმძერელი მიზეზები. ბუნებრივია თუ ხელოვნური, ზომიერია თუ მოკაბებული, წაბაძვითია თუ თვითშემოქმედებითი, პირადი ღირსების ამამაღლებელია თუ დამამდაბლებელი. იფიქრეთ რა ჯობს: საკუთარი ძალების, დროისა და ენერგიის დაზარჯვა ჯანმრთელობისთვის მავნე და ირგვლივმყოფებთან არაჯანსაღი დამოკიდებულების გამომწვევი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე თუ მათი გამოყენება, თქვენი და ირგვლივმყოფთა ამამაღლებელი მოთხოვნილებების გაძმომშვაებისა და რეალიზაციისთვის.

შინაგანი ამოცანის პრაქტიკული განხორციელება — თვითსრულქმნა მოხმარების სფეროში — მეტად ძნელი საქმეა. შეიძლება დავიწყოთ, მაგალითად, არა გონივრულ, ანტისოციალურ. და საზარალო შოთხოვნილებაზე — სიგარეტის მოწევაზე უარისთქმით.

აი, გადაკვეკიდნენ, — წაიბუზღუნებს ალბათ არაერთი ჩვენი მკითხველი.

რა ვქნათ, იძულებული ვართ ხშირად გავიმეოროთ ეს. ყველასთვის ცხადია, რომ ვისაც არ შეუძლია თავისი ჯანმრთელობის გაფრთხილება და შენარჩუნება, ვერ შეუგნია რა არის მისთვის კარგი და რა ცუდი, ის ვერ იზრუნებს ვერც სხვა ადამიანებზე, საგნებზე და ვერც ბუნებაზე. ის ხომ თვითონ არის ბუნების უმაღლესი ქმნილება: „ადამიანი ყოველივე არსებულის საზომია."

მაშასადამე, ჩვენთვის აუცილებელია გამოვიგონოთ ისეთი საახგარიშო-კალკულატორი, რომელიც გამოითვლის ყოველ გაშოყეხებულ კალორიას და მიგვითითებს სად და რაზე შეიძლება მისი დაზარჯვა?

ასე ხომ ვალებიდან ვერ გავთავისუფლდებით ვერასდროს. გაზეთებში გამუდმებით გვსაყვედურობენ სხვის კმაყოფაზე ყოფნის მიდრეკილებას. ახლანდელი ახალგაზრდები ცდილობენ, რომ საპენსიო ასაკამდე დედ-მამის ხარჯზე ცხოვრობდნენო. ჩვენ კი სკოლაში ვყავართ 17 წლამდე, შემდეგ ხუთი წელი კიდევ გვასწავლიან. ახალგაზრდების უმეტესობას უფრო ადრე უჩნდება შვილები, ვიდრე დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო მდგომარეობას ძიაღწევენ. ვის მიმართონ დახმარებისთვის თუ არა მშობლებს?

იცანით, მარადიული ოპონენტის ხმა? მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი საქმისთვის. ისინი არ გვაძლევენ საშუალებას დამშვიდებით შევჩერდეთ ერთ რომელიმე გადაწყვეტილებაზე. ახლა, ისინი მოითხოვენ განვიხილოთ მატერიალური დამოკიდებულებანი, რომელიც შეიძლება შეექმნათ ახლანდელ ახალგაზრდებს თავის მშობლებთან, ბუნებრივია, მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილებთან, ვიდრე თვითონ ისინი არიან.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოჯახის შემოსავალი წარმოადგენს წილადს, რომლის მრიცხველშია საერთო ჯამი ხელფასებისა, ხოლო ნნიშვნელში ოჯახის წევრთა რაოდენობა. თითქოს არ ვიყავით სწორი, როცა ვამტკიცებდით, რომ თანამედროვე ოჯახს უეჭველად უნდა ჰყავდეს არა ერთი, არამედ სამი შვილი. შემოსავლის არითმეტიკა თითქოს ეწინააღმდეგება ასეთ მტკიცებას. მაგრამ ბუღალტერია აქ საკმაოდ ეშმაკურია, იმიტომ, რომ თუ შვილი ერთი ეყოლებათ, მაშინ მოვა დრო და მისი შესანახი აღმოჩნდება ორი მშობელი.

ეს ძველ დროში ინახავდნენ შვილები მოხუცებს. ახლა მოხუცები პენსიას იღებენ სახელმწიფოსგან და ჯერ კიდევ თვითონ ეხმარებიან ახალდაქორწინებულებს.

პენსიონერები მართლაც სახელმწიფოსგან იღებენ ფულს, მაგრამ ამ ფულის რეალური გამოყენება მოხუცისთვის საჭირო პროდუქტებსა, ტანსაცმელსა, სათბობსა, გართობასა და ძოელა-დაცვაზე ხორციელდება შვილებისა და შვილიშვილების შრომით. მათი შრომის რაოდენობასა და ხარისხზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, საზოგადოებისა და მისი ყოველი წევრის კულტურისა და განათლების დონე, დამოუკიდებლად ასაკისა და პირადი უზრუნველყოფილობისგან. თანამედროვე წარმოების პირობებში ადამიანი 35 წლამდე მთლიანად ფარავს თავის აღზრდაზე წინა წლების დანახარჯს და იწყებს მარაგის შექმნას მომავალი თაობებისთვის.

თუ დაირღვევა მოუშავეთა და კმაყოფაზე მყოფთა (თუნდაც დაინსურებულების) პროპორცია, ბუნებრივია კომპენსაცია წარსული შრომისთვის სრულიად სხვანაირი იქნება. როგორც საქართლი-

ანად შენიშნა სოციოლოგმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ბესტუჟევ-ლადა: ფულით ვერავის დააპურებ, ვერ გაათბობ და ვერც შემოსავ.

ასე, რომ მოხუცი მშობლების კმაყოფაზე ყოფნა ახლანდელ დედისერთებს მით უფრო არ გამოუვათ, რომ მათ ვერავინ შეეხაცკლება. თუმცა სტატისტიკა გვიჩვენებს და პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებაც გვიდასტურებს, რომ ჩვენთან მუშაობს ან სწავლობს ყველა, მთელი შრომისუნარიანი ახალგაზრდობა. მხოლოდ რამდენიმე მილიონი დედაა გამორთული საზოგადოებრივი შრომიდან, მაგრამ ისინი დაკავებული არიან საპასუხისმგებლო საქმით: მომავალ მოქალაქეთა აღზრდით. აშკარა მუქთახორები ჩვენ არც ისე ბევრი გვყავს, რომ მათი მაგალითის მიხედვით გავაკეთოთ დასკვნა მთელი თაობის შესახებ. მაშ, ვინა ჰყავთ მხედველობაში, როცა ლაპარაკობენ მუდმივად კმაყოფაზე მყოფთა შესახებ? მოკამათენი დაუფიქრებლად ხმარობენ ტერმინებს. კმაყოფაზე ყოფნაა, როცა მუდმივად ან ხანგრძლივად არამშრომელ ადამიანს მთლიანად უხრუხველყოფს ოჯახი. ხოლო დროებითი მხარდაჭერა, რომლითაც სარგებლობს მოსწავლე ან მშრომელი, რომელსაც რაღაც მიზეზის გამო აქვს მცირე ხელფასი, — სულ სხვა საქმეა. ამას ეწოდება არა კმაყოფაზე ყოფნა. არამედ ნათესაური დახმარება. ასეთი დახმარება არამც თუ დასაძრახი არ არის, არამედ მისასალმებელია ყველასგან. განვიხილოთ ნათესაური მხარდაჭერის ზოგიერთი სახე და მოტივები.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სტუდენტები არიან. განა გახსაკუთრებულ ახსნას მოითხოვს ის, რომ მშობლებისგან მხარდაჭერა ამ შემთხვევაში ხშირად მეაცრი აუცილებლობაა. შედარებით უზრუხველყოფილია მხოლოდ მარტოხელა სტუდენტი. ახალგაზრდა ოჯახის ცხოვრება კი შეუძლებელია სტიპენდიით. დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი ახალგაზრდა ხალისით შეათავსებდა დღისით სწავლას საღამოს მუშაობასთან, თუ ექნებოდა ასეთი შეთავსების უფლება და პირობები. ჩვენთან დიღხანს არსებობდა უცნაური წესი: მუშა ახალგაზრდობას უქმნიდნენ საღამოთი სწავლის პირობებს, მოსწავლე ახალგაზრდობას კი ეკრძალებოდა სისტემატური მუშაობა. ახლა ბევრი რამ იცვლება უკეთესისკენ: სტუდენტების შრომა გამოყენებას პოულობს სხვადასხვა სფეროში. ქალაქ დნეპროპეტროვსკის ზოგიერთი მშენებელთა რაზმი, მაგალითად, ჰქმნის ამხანაგთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების ფონდს, აშენებენ მოხერხებულ საერთო საცხოვრებლებს ახალდაქორწინებულთათვის და სამაგალითო ბაღებს. სტუდენტების ასეთი ურთიერთდახმარება დროთა განმავლობაში შეარბილებს სტუდენტ შვილებისთვის მშობლებისგან დახმარების საკითხის სიმწვავეს.

რასაკვირველია, ისეთი ახალგაზრდებიც არიან, რომლებიც სრულიადაც არ საჭიროებენ დახმარებას. ესენი არიან პირველ რიგში დეფიციტური პროფესიის მუშები. ჩვეული განცხადებაა: „გვესაჭიროება ავტობუსის მძღოლი, გარანტირებულია ხელფასი თვეში 220 — 250 მან. „რაღა დამატებაა აქ საჭირო? ასეთივე მდგომარეობა აქვთ მშენებლებს სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ფოლადის მდნობელებსა და მეშახტეებზე.

ყველა დროში და ყველა ხალხთან უფროსი თაობა ყოველთვის ეხმარებოდა ახალგაზრდებს ფეხზე დადგომაში; საკუთარი სახლის აშენებაში, აუცილებელი ავეჯისა და ჭურჭლეულის, სამეშაო ინვენტარის, შინაური ცხოველების შეძენაში. გლეხები გამოუყოფდნენ ვაჟიშვილებს მიწის ნაგელს, მდიდართა კლასი — ნაღდი კაპიტალის ნაწილს და ა. შ. ქალიშვილებისთვის მზითევი მზადდებოდა ადრევე, მრავალი წლის მანძილზე. თუ გასაყოფი და მისაცემი არაფერი იყო ინაწილებდნენ ჭერსა და პურს, გაპირვებასა და შრომას.

ახლა ჩვენთან მზითევს წინასწარ არ ამზადებენ და არც კაპიტალს აძლევენ მომავალი „საქმისთვის". „მზითვსა" და „კაპიტალს" ახლა წარმოადგენს ყოველთვიური დახმარება, რომელსაც ახალგაზრდები იღებენ მშობლებისგან ქორწილის შემდეგ.

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი — სსრკ კონსტიტუცია ავალდებულებს მშობლებს შეინახონ შვილები სრულწლოვანებამდე, მაგრამ არა მოწიფულობის წლებშიც. აქ უკვე ნებაყოფლობითია ყველაფერი. ამიტომ არავითარი პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს. შვილებიც ვალდებული არიან შეინახონ მშობლები თუ მათ დაკარგეს შრომისუნარიანობა და აღარ შეუძლიათ თავისი შრომით ცხოვრება, ანდა აქვთ პენსია, რომელიც არ ჰყოფნით საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მშობლების ვალდებულება შვილებისადმი 18 წლით შემოიზღვრება. შვილები კი ვალდებული არიან მიხედონ მშობლებს სიცოცხლის ბოლომდე. ამაში არის ღრმა აზრი და უდიდესი სამართლიანობა: შვილებმა, რაც არ უნდა დიდხანს მოუარონ მშობლებს, მაინც ვერ შეძლებენ მისცენ რაიმე იმის ტოლფასი ღირებულების, რაც მიიღეს მათგან საჩუქრად — თვითონ სიცოცხლე! შეუმჩნევლად გავცილდით უკვე ჩვენი საუბრის ჩარჩოებს და შევიჭერით სხვა სფეროში ოჯახური ცხოვრების იურიდიული საფუძვლების ხფეროში.

ამ თავს დავამთავრებთ აფორიზმებით, რომელთა გახსენებაც დაგეხმარებათ მძიმე პირობებში.

„ადამიანი, რომელიც ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე და ყველაფერში ეძებს სარგებლობას თავისთვის, არ შეიძლება ბედნიერი იყოს.

თუ გინდა იცოცხლო საკუთარი თავისთვის, იცოცხლე სხვებისთვის» (სენეკა).

„ბრძენი მცირედითაც კმაყოფილდება და ბედნიერია, სულელს. ყველაფერი ეცოტავება.“ (ლა როშფუკო).

„ადამიანები ჩვეულებრივ არა იმდენად ტკბებიან იმით, რაც მათ მიეცათ, რამდენადაც დარდობენ იმაზე, რაც მათ არ მიეცათ.“ (ვ. ბელინსკი).

პატიოსნების კანონის შესაბამისად

როცა კანონი იწყებს მოქმედებას

გავეცნოთ ოჯახურ დამოკიდებულებათა იურიდიულ მხარეს. საზოგადოებრივ წყობასთან. ოჯახურ ურთიერთობათა მტკიცე კავშირს დამაჯერებლად გვიჩვენებს ის, რომ ყოველ ხალხს აქვს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონთა საკუთარი კოდექსი. ეს კოდექსი შეიძლება ჩაწერილი იყოს პაპირუსზე, ან ამოკვეთილი იყოს ქვაზე, ანდა შესაძლოა განსაკუთრებული იყოს რიტუალურ-თეატრალურ-მოქმედებაში. ის შეიძლება დადგენილი იყოს დიქტატორის ერთპიროვნული ნებით: „დაე, ასე იყოს!“ ან ტომის საერთო გადაწყვეტილებით და ხალხის კენჭისყრით. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს. ამ კოდექსის შემუშავების გზა, ის ყოველთვის მოითხოვს საზოგადოების წევრებისგან განუხრელ დაქვემდებარებას. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ არავის აიძულებენ დაქორწინებას, მაგრამ ყოველი ადამიანი უნდა დაემორჩილოს ქორწინების კანონებს, რაკი დაქორწინდა. (იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი თხზ. ტ. I გვ. 162, რუს. ენაზე). აუცილებელი წესების, დებულებების გარეშე პირადი დამოკიდებულებანი გადაიქცეოდა ქაოსად, ქაოსი კი საზოგადოებისთვის ყველაზე საშინელი დამანგრეველი ძალაა. ამიტომ ურჩობა ყოველთვის ასე თუ ისე იკიცხება და ისჯება. ამ დანაშაულისთვის დასჯის ღონისძიებანიც ყოველ ხალხს თავისი აქვს.

წინა თავებში ჩვენ პირდაპირ და არაპირდაპირ ვეხებოდით იმ პრინციპებს და ნორმებს, რითაც ხელმძღვანელობენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები თავის მატერიალურ და მორალურ მისწრაფებებსა დაქცევაში. აქ გავეცნობით სსრკ კონსტიტუციის ძირითად დებულებებს ოჯახის შესახებ. რასაკვირველია, ჩვენს კანონმდებლობას აღნიშნულ

საკითხებზე წარმოვადგენთ არა დეტალურად, რადგან ამის საშუალება აქ არა გვაქვს, არამედ მხოლოდ ძირითადი არსის მიხედვით.

სახოგადოებრივ ცნობიერებასა და საკანონმდებლო დოკუმენტებში უკანასკნელ წლებში მომხდარი ერთ-ერთი უველაზე არსებითი ცვლილება მდგომარეობს **ოჯახის უდიდესი, მარადიული ღირებულების აღიარებაში.** სსრკ კონსტიტუციაში არის მუხლი, რომელიც არ იყო წინა კონსტიტუციებში. მასში ნათქვამია, რომ სახელმწიფო იცავს ოჯახის ინტერესებს. ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია. წინათ სახელმწიფო საკანონმდებლო გზით ადგენდა მოქალაქეთა შორის ურთიერთობათა სისტემას, მათი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, რითაც თითქოს ოჯახს გამოჰყოფდა თავისი ინტერესებისა და ვალდებულებათაგან და მიიჩნევდა მას ქალისა და მამაკაცის კერძო საქმედ. მაგრამ როგორც უკვე ვიცით, ოჯახი არასდროს არა ყოფილა აბსოლუტურად ავტონომიური უჯრედი. ამიტომ თავისი უჯრედის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების ამსახველი ნუხლის ჩართვა სსრკ კონსტიტუციაში არის იურიდიული-მიზანშეწონილების და სამართლიანობის ფაქტი.

მრავალი ათეული წელია არსებობს ტენდენცია დაოჯახებულთათვის უპირატესობის მინიჭებისა. მარტოხელებთან და უშვილოებთან შედარებით. ეს უკანასკნელნი უკვე რამდენიმე ათეული წელია იხდიან უშვილობის გადასახადს. ზემოთ გამოვითვალეთ, რომ ოჯახის საკუთარი შემოსავალი მით უფრო მცირეა, არასრულწლოვანთა რაც უფრო მეტი რიცხვი მოდის თითოეულ მარჩენალზე. საზოგადოებრივი ფონდების მხრივ კი საპირისპირო სურათი გვაქვს: რაც მეტი ბავშვია ოჯახში, დოტაციის მით უფრო დიდ პროცენტს იღებს ის, ისეთი მუხლების მიხედვით, როგორიცაა ხარჯები კვებაზე (თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ სახელმწიფოს ხორცისა და რძის თითოეული კილოგრამი უჯდება უფრო ძვირი, ვიდრე ასყიდებს ძოსახლეობას), სამშობიარო სახლებზე, დეკრეტულ და ავადმყოფი ბავშვის მოვლისთვის გაცემულ შეუბულებებზე, საბავშვო ბაღებსა და ბაღებზე, სკოლაში ბავშვების სწავლაზე, პიონერულ ბანაკებზე და ა. შ.

მრავალშვილიან ოჯახს უპირატესობა აქვს საცხოვრებელი ფართობის განაწილების დროსაც. სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციაში სახელმძღვანელო პრინციპად არის შეტანილი დებულება იმის შესახებ, რომ მრავალშვილიან ოჯახს დახმარება გაეწიოს ბავშვების აღზრდაშიც. ამ მიზნით გაფართოებული იქნება საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, გაუმჯობესდება საყოფაცხოვრებო მომსახურება და საზოგადოებრივი კვება, გაიზრდება ყოველი ბავშვის დაბადებისას მატერიალური დახმარების ფონდი და ა. შ.

კონსტიტუციის ბევრი სხვა მუხლის დებულებებსაც, რომლებიც თითქოს ოჯახისკენ არ არიან მიმართული, თითქოს მას არ ეხებიან, აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა ჩვენი პირადი ცხოვრების მოწყობისთვის. როცა ვკითხულობთ მუხლს, რომელშიც ხათქვამია, რომ საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების ზრდას, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების წაშლას, სსრკ-ს ყველა ეროვნებისა და ხალხების დაახლოებას, უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი ღონისძიებანი სხვა მიზნებთან ერთად ემსახურებიან ახლანდელ და მომავალ მეუღლეთა მსოფლგაგებაში პრინციპული განსხვავების წაშლას, ახალგაზრდა თაობაში ერთიანი სოციალური და ზნეობრივი შეხედულებების აღზრდას. როგორც უკვე ვთქვით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ ჩვენი „მეზალიანსებიც" კარგ ოჯახებად ჩამოყალიბდეს.

თითოეული მოქალაქისა და ოჯახის ინტერესების დამცველია მუხლები, რომლებიც ადგენენ ჩვენს უფლებებს განათლებასა, შრომასა, დასვენებასა, ჯანმრთელობის დაცვასა და საცხოვრებელ ფართობზე. მუხლები, რომლებიც იცავენ ადამიანს მისი ქონების ხელყოფისგან, იცავენ მის სახელსა და ღირსებას, მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოს. დაბოლოს ბუნებრივია, ოჯახისთვის უმხიშვნელოვანესია დებულება ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის შესახებ.

თუ ყურადღებით გავეცნობით ამ დებულებებს დავინახავთ, რომ ყველა მოქალაქეობრივი უფლება მიმართული ქონებისა და მოვალეობათა სამართლიანი განაწილებისკენ, გვასწავლის პატიოსან და ღირსეულ მოქცევას ერთმანეთთან.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ სახელმწიფო არსებითადაა დაინტერესებული საზოგადოების პირველადი უჯრედის გახმტკიცებითა და განვითარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქველმოქმედება; შეღავათები და დახმარება გაიცემა ჩვენი საერთო ჯიბიდან, რომელიც მანამდე იქნება სავსე. ვიდრე დიდი საბჭოთა ოჯახის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოქალაქეობრივ, პროფესიულ და ადამიანურ მოვალეობას. ამიტომაა, რომ მოქალაქეთა უფლებების ამსახველი მუხლების გვერდით მოცემულია მუხლები ჩვენს მოვალეობათა შესახებ. მშობლები ვალდებული არიან იზრუნონ შვილების აღზრდაზე, მოამზადონ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისთვის, გაზარდონ ისიხი სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. შვილებმა საპასუხო მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ მშობლებისადმი.

გარდა კონსტიტუციური ნორმებისა, არსებობს კიდევ გახსაკუთრებული კრებული კანონებისა — კოდექსი ოჯახისა და ქორწინების შესახებ, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრავს ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს და მათ მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ. ეს არის უფლებისა და სამართლიანობის თავისებური ათვლის წერტილი, რომლის ქვემოთაც გვაქვს უპატიოსნობა და უსამართლობა, ხოლო ზემოთ ჰეშმარიტი ღირსება და კეთილშობილება.

აი, მაგალითად, ამ კოდექსში ნათქვამია, რომ ცოლი და ქმარი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით იმ ქონებაზე, რომელიც მათ შეიძინეს ერთად ცხოვრების პერიოდში. კონკრეტულ პიროვნებას ნ-ს კი ცოლად შეხვდა ქალი, რომელმაც არაფრის გაკეთება არ იცის არც საზოგადოებრივ სარბიელზე და არც ოჯახში და, რაც მთავარია, არც უნდა რომ იცოდეს. მისი შეხედულებები ქორწინებაზე ეხათესავება ა. ნ. ოსტროვსკის კომედიის „შემოსავლიანი ადგილის“ გმირი ქალის ქალბატონ კუკუშკინას მიერ გამოთქმულ აზრს. მას მიაჩნდა, რომ ცოლები არსებობენ მხოლოდ იმისთვის, რომ ქმრებმა მათ რაც შეიძლება კარგად ჩააცვან, შეჰხაროდნენ მათ, ანიჭებდნენ ყოველგვარ სიამოვნებას და უსრულებდნენ ყველა ახირებულ სურვილს.

ასეთი სიტუაცია დროთა განმავლობაში ქმარმა ვერ აიტანა და გადაწყვიტა დაერღვია უიღბლო ქორწინება. სინდისისა და პატიოსნების კანონების მიხედვით ცოლს არ უნდა წაეყენებინა ყოფილი ქმრისთვის არავითარი ქონებრივი პრეტენზია, მადლობაც კი უხდა ეთქვა, რომ მას მუქთახორას ასე დიდხანს იტანდა. მაგრამ ქალმა მიმართა იურიდიულ კანონს, რომელიც ვალდებული იყო მიეკუთვნებინა მისთვის ცოლქმრული ქონების გარკვეული წილი, იმ ქონების გამორიცხვით, რომელიც ჰქონდა თითოეულ მათგანს ქორწინებამდე, მიღებული ჰქონდათ საჩუქრად ან მემკვიდრეობის სახით.

ზოგიერთი ქმარი ასეთ შემთხვევაში ცდილობს თვითხებურად დაამყაროს სამართლიანობა: მალავს ანაბარს, სახლიდან გააქვს და მალავს ნივთებს. ასეთი საქციელი აკარგვინებს მათ საკუთარ სახეს, ადამიანურ ღირსებას. უმჯობესია, კანონის შესაბამისად დაკარგო, ვიდრე შეინარჩუნო ამ ფასად.

არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც: ცოლს უკავია უფრო მაღალი საფეხური საზოგადოებრივ კიბეზე და ქედმაღლურად უყურებს მეუღლეს, რომელსაც თავის შესაფერად არ თვლის, თუმცა საერთო სალაროში მას ცოტა არ შეაქვს. ურთიერთობა უკიდურესობამდე მწვავდება და ქმარი მიდის ოჯახიდან ისე, რომ ერთი ჩემოდანი პირადი ნივთების გარდა არაფერი მიაქვს: ცოლს და ბავშვებს უტოვებს ბინასაც, ავტომანქანასაც, აგარაკსაც, იურიდიული კახოხების

მიხედვით ასეთი ქცევა თითქოს კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ ადამიანს ეკრძალება მხოლოდ უპატიოსნოდ მოქცევა, კახოხ-წესებით გათვალისწინებულზე უფრო კეთილშობილად მოქცევას კი მას ვერავინ დაუშლის.

თქვენ ალბათ იკითხავთ, რატომ მოვიყვანეთ ორივე შემთხვევაში მაგალითად ქმრის ქცევა? განა ცოლები არ ვარდებიან ასეთ მდგომარეობაში? ვარდებიან და მოქმედებენ ანალოგიურად. განსაკუთრებით ხშირად ვარდებიან ექსპლოატირებულთა და გაძარცულთა მდგომარეობაში ალკოჰოლიკების ცოლები. განქორწინებისას სასამართლო, როგორც წესი, ცოლს აკუთვნებს ქონების უდიდეს ნაწილს, რამდენადაც უფლება-მოვალეობათა მთელი თანასწორობის მიუხედავად კანონი იცავს იმ მეუღლის ინტერესებს, ვისთანაც რჩებიან შვილები.

ზოგჯერ მამებს დედებზე ნაკლებად არ შეუძლიათ ბავშვის აღზრდა, მაგრამ ყველა უპირატესობა ძველებურად რჩება დედის მხარეზე. ეს საკითხი აღელვებს საზოგადოებას. მართლაც დადგენილი პრაქტიკა თითქოს ეწინააღმდეგება ძირითად კანონს, რომელიც აღიარებს ქალისა და მამაკაცის აბსოლუტურ თანასწორუფლებიანობას. ქორწინების კოდექსი არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, უცვლელი რამ. ის უკვე არაერთხელ შეიცვალა ჩვენი საზოგადოების ცოცხალი, მოძრავი პრაქტიკის ზეგავლენით. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს პრობლემაც მალე გადაწყდეს იურიდიულად.

ზემოთ განხილულმა მაგალითებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ კოდექსი ოჯახისა და ქორწინების შესახებ მოქმედებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა ოჯახს თავს ატყდება უბედურება. სინამდვილეში კი პირიქითაა. ის ყოველთვის თან ახლავს ოჯახის ცხოვრებას. მაგრამ როცა ჩვენი ქცევა აგებულია პასუხისმგებლობასა და სამართლიანობაზე, იგი შეუმჩნეველია, ხოლო თუ რაიმე დავარღვიეთ. მაშინვე შესამჩნევი ხდება. მისი ცოდნა პროფილაქტიკური მიზნებითაც აუცილებელია. სამწუხაროა, რომ სრულიად მოწიფული. განათლებული ადამიანები თავის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში ხშირად ამეღავნებენ ამ ნორმების სრულ უცოდინარობას. იყო მაგალითად შემთხვევა, როცა ქმარმა უარი უთხრა მატერიალური დახმარების გაწევაზე დაინვალიდებულ ცოლს. სასამართლოზე კი მრისხანებდა იმის გამო, რომ მას დააკისრეს ალიმენტის გადახდა: „მე არა ვარ ვალდებული ეგ მუდმივად ვარჩინო, რაკი მაგის შრომის უნარიანობის დაკარგვაში მე ბრალი არა მაქვს და, საერთოდ, მე მაგას ვცილდები.“ მაგრამ კანონი არის კანონი. და მის წინაშე ისევე, როგორც საზოგადოებრივი მორალის წინაშე ამ კაცმა მეტად ცუდად გამოავლინა თავისი თავი. შემდეგ ის ცდილობდა გაემარ-

თლებინა თავისი საქციელი „იურიდიული გაუნათლებლობით", მაგრამ გვიან იყო: მისი ადამიანური ღირსება უკვე შეილახა.

სასამართლო ხშირად სჯის იმ მშობლებს, რომლებმაც ლოთობაში ჩაითრიეს თავისი შვილები. საოცარი მოსასმენია, როგორ იმართლებენ ხოლმე თავს ამ შემთხვევაში დამნაშავენი. ჩვენი მამები და პაპები ასე იქცეოდნენ და მათ არავინ კიცხავდაო. განა მშობელი თავისი ოჯახისა და შვილების ბატონ-პატრონი არ არისო? მოსამართლეებს უბდებათ განუმარტონ სოციალისტური მორალისა და უფლებების ანბანი იმ ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ სოციალისტურ საზოგადოებაში, აუხსნან, რომ ძველი დრო აღარ არის, ახლა ოჯახს არა ჰყავს ერთპიროვნული ბატონ-პატრონი, რომლის აულაგმავი ნება-სურვილი კანონი იქნებოდა ყველა წევრისთვის.

მშობლები კანონის მთელი სიმკაცრით პასუხს აგებენ შვილებთან სასტიკად მოქცევისთვის, უურადღებისა და მზრუნველობის გარეშე მათი დატოვებისთვის, არასრულწლოვანი შვილების შიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. დაუდევარი და უპასუხისმგებლო მშობლები ზოგჯერ უარს ამბობენ თავისი შთამომავლობის გამოკვებასა და აღზრდაზე. ასეთებს კანონი ართმევს მშობლის უფლებებს. სახელმწიფოს მიჰყავს მათგან ბავშვები, ათავსებს მათ საბავშვო სახლში ან გადასცემს აღსაზრდელად მათ, ვინც საზოგადოებრივი ნდობის ღირსია. დაუდევარ დედ-მამას კი ახდევინებენ ალიმენტს ბავშვის სარჩენად. რა თქმა უნდა, კანონი ათავისუფლებს შვილებს ასეთი მშობლების მიმართ ყოველგვარი მოვალეობისგან მათი მოხუცებულობისა და დაუძლურების წლებში.

ყველაზე ხშირად ოჯახის წევრები სასამართლოს მიმართავენ განქორწინების თხოვნით.

განქორწინება, ოჯახის დაშლა. ოჯახისთვის, მთელი მისი გარემოცვისთვის — კატასტროფაა. ამ დრამის მასშტაბები შეიძლება შევადაროთ ახლობელი ადამიანის სიკვდილს. რამდენადაც, განქორწინების პრობლემა ეხება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილს, მას ცალკე განვიხილავთ.

განქორწინება ადამიანურად

ლიტერატურაში, კინოში, საგაზეთო პუბლიკაციებში თქვენ ალბათ არა ერთხელ შეგხვედრიათ ისტორია, რომლის ავტორებიც წარმოგიდგენდნენ განქორწინების მორიგ ვარიანტს: განქორწინება იტალიურად, არაბულად, მოსკოვურად... თვითონ ეს „ად" გვეუბნება.

რომ აქ საქმე გვაქვს საყოველთაოდ მიღებული მოვლენიდან გადახრასთან. თუმცა, არასდროს არა ყოფილა წარმოდგენილი თვითონ „ნიმუში“, „ეტალონი“ ისეთი რთული და ავადმყოფური პროცესისა, როგორიც არის. ოჯახურ ურთიერთობათა გაწყვეტა.

აქ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც სვებედხიერი ოჯახის შემთხვევაში. ბევრი ვიცით იმის შესახებ, რომ არის „ავადმყოფობა“, „ნორმიდან“ გადახრა, ცუდი მდგომარეობა ოჯახში, მაგრამ რაიმე გარკვეულის თქმა არ შეგვიძლია თვითონ ნორმის შესახებ.

როცა გვესმის ან ვკითხულობთ მოთხრობებს მწვავე და სკახდალურ განქორწინებათა შესახებ, ხშირად წამოვიძახებთ: „რა საშინელებაა! ნუთუ არ შეიძლება წესიერად, ადამიანურად დაცილება, დაცილება კეთილმოსურნეობის შენარჩუნებით? თუმცა რომ ვიკითხოთ, რას ნიშნავს „წესიერად, ადამიანურად“ დაცილება, პასუხები იქნება ძალიან განსხვავებული. ისინი კი ვინც გადაიტანა ეს პროცედურა, აუცილებლად დაეჭვდებიან ადამიანური, კეთილმოსურნეობითი განქორწინების შესაძლებლობაში. ოპერაცია „კარგი“ ძეიძლება იყოს მხოლოდ გვერდითი. დამკვირვებლის, ან ქირურგის თვალსაზრისით, მაგრამ არა თვით ავადმყოფისთვის. მან ისევე კარგად იცის, როგორც მეგობრებმა, რომლებიც მას ამშვიდებენ, რომ მთელი საუკუნე არ გაგრძელდება ტანჯვა, ყველაფერი გაივლის, ყველაფერს გადაიტანს ადამიანი. ცხოვრება ამაზე არ შეჩერდება. გაჩნდება ახალი სიხარული და გამორიცხული არ არის ახალი ოჯახიც, მაგრამ დიდი შეცოდება იქნება ოლიმპიური სიმშვიდის მოთხოვნა მისგან თვითონ „ოპერაციის“ მომენტში, როცა ინგრევა მის მიერ შექმნილი სამყარო და თავზე ჭერი ეჭცევა.

არის ასეთი თქმა: „წასვლა — ნიშნავს ცოტათი სიკვდილს“. მისი პერეფრაზირებით სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ვთქვათ: „გაყრა ნაწილობრივ მოკვლას ნიშნავს“. მოკვლას არა მარტო იმ ადამიანისა, რომელსაც ვტოვებთ, არამედ რაღაცის მოკვლას ბავშვების ცნობიერებაშიც, მათ გრძნობებშიც. დაბოლოს, საკუთარი თავის მოკვლასაც. ჩვენი სულის, ჩვენი მეხსიერების, ჩვენი ორგანიზმის იმ ნაწილის მოკვლას, სადაც თითოეულ უჯრედში აღბეჭდილია ყოფილ ცოლთან ან ყოფილ ქმართან ერთად განვლილი სიცოცხლის პერიოდი. განადგურებულია ყველაფერი, რასაც აქამდე თაყვანს სცემდით. ეს ეხება ახლო და შორეულ ნათესავებთან, მეგობრებთან და ნაცნობებთან დამოკიდებულებებსაც, რომლებსაც ადამიანი იძენს ცხოვრების თანამგზავრთან ერთად და რომლებსაც ასევე დაჭრის განქორწინების ნამსხვრევები.

ნუთუ არ შეიძლება საერთოდ გავაუქმოთ განქორწინება, რომ თავიდან ავიცილოთ ამგვარი ტანჯვა?

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული რელიგია, სწორედ ასე წყვეტდა პრობლემას. დაქორწინება ხდებოდა ერთხელ, და სამუდამოდ. განქორწინება ნებადართული იყო მხოლოდ გახსაკუთრებულ შემთხვევებში: როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთი უშვილო იყო, როცა ადგილი ჰქონდა ღალატს და ხერხდებოდა მისი დადასტურება მრუშობის მოწმეთაგან, როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთი აღმოჩნდებოდა სულით ავადმყოფი ან მისჯილი ჰქონდა ხანგრძლივი პატიმრობა.

რა ტანჯვად იქცეოდა განქორწინების შეუძლებლობა მეუღლეებისთვისაც და მათი შვილებისთვისაც, როცა ერთმანეთის მოძულე ადამიანებს მისჯილი ჰქონდათ სამუდამოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, შეიძლება წარმოვიდგინოთ ტრაგიკული მოთხრობების მიხედვით (ანა კარენინა — ქრესთომატიული მაგალითია).

რევოლუციამ გაბედულად დაამსხვრია ქორწინებისადმი ასეთი დამოკიდებულება. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ადამიანის უფლება თავისუფალ ქორწინებაზე აუცილებლად უნდა იყოს გახმტკიცებული განქორწინების უფლებით, იმ დროისათვის, როცა ცოლქმრული ცხოვრება აუტანელი გახდება. იყო პერიოდი (დიდი სამამულო ომის შემდეგ, გამოწვეული იმ უდიდესი დანაკარგებით და ტრავმებით, რომელიც განიცადა საბჭოთა ოჯახმა), როცა ოჯახის დარღვევის გაფორმებას საკანონმდებლო გზით ჰქონდა გაჭიანურებული და დამამკირებელი ხასიათი. მაგრამ ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ ჩაფერფლილი ცეცხლი ვეღარ გაათბობს ვერც ცოლ-ქმარს და ვერც ბავშვებს.

კანონის შეცვლის შემდეგ გაიზარდა განქორწინების მსურველთა რიცხვი. ერთმანეთს სცილდებოდნენ არა მარტო ისინი, რომელთა ერთად ცხოვრებაც აუტანელი შეიქმნა, არამედ ისინიც, რომლებსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ უკვე აღარ იყვნენ ერთმანეთისათვის საჭირონი და ძვირფასნი. გამოდის, რომ განქორწინება სულ უფრო და უფრო ნაკლებად აღიქმება, როგორც სკანდალურ-კატასტროფული მოვლენა. გაცილებით ხშირად ორივე მხარე შვებით ამოისუნთქავს ხოლმე.

ზოგიერთები გამოთქვამენ უკმაყოფილებას გაყრის იურიდიული პროცედურის სიმარტივით. საჭიროა, რომ ცოლი და ქმარი განქორწინებისას რაღაც სერიოზულს კარგავდნენ, იქნებ ამის გამო შეჩერებულიყვნენ, დაფიქრებულიყვნენ, გაბოროტებას გაევლო და შეიძლება კიდეც შერიგებულიყვნენო. არა გვგონია, რომ თვითონ პროცედურა აქ ბევრ რამეს შეცვლიდა. არც ახლაა გაყრის პროცედურა მაინცა და მაინც სასიამოვნო და დროც ეძლევა ცოლ-ქმარს დასაფიქრებლად. განქორწინების უფლება უდიდესი ადამიანური მონა-

პოვარია. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს: „...სინამდვილეში გაიქორწინების თავისუფლება ნიშნავს ოჯახური კავშირების არა „დაშლას", არამედ, პირიქით, მის განმტკიცებას ცივილიზებულ საზოგადოებაში ერთადერთ შესაძლო და მყარ დემოკრატიულ საფუძველზე. (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 25, გვ. 286, რუსულ ენაზე).

განქორწინების შემთხვევათა ზრდას ზოგიერთი მკვლევარი აყენებს „ოჯახის კრიზისის" საბუთთა რიგში. ვფიქრობთ, რომ ეს მოვლენა ერთმანეთისადმი, ერთად ცხოვრების სტილისა და სახისადმი მეუღლეთა მოთხოვნების ზრდას უფრო გვიჩვენებს, ვიდრე ოჯახის ავტორიტეტისა და შესაძლებლობების დაცემას. დროთა განმავლობაში ოჯახი თვისებრივად გარდაიქმნება, და შეიძენს ახალ ღირებულებას და მიმზიდველობას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ არც ქალს და არც მამაკაცს, ოჯახურ ურთიერთობათა მოჩვენებითობა „ოღონდ კი გავთხოვდე, ოღონდ კი საკუთარი სახლი მქონდეს".—არც ახლა და არც მომავალში აღარ მიიზიდავს, თანამედროვე ახალგაზრდობა ეძებს ჭეშმარიტად ადამიანურ, ჰუმანურ, ზნეობრივ კავშირს. განქორწინებით ოჯახს კი არ უარყოფენ, არამედ უარყოფენ ფორმალურ ქორწინებას ჭეშმარიტის სასარგებლოდ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველას ხვედრი არ არის ოჯახური შრომა და სიხარული. როგორც ძველ დროში იყვნენ ქალები და მამაკაცები, რომლებიც თვლიდნენ, რომ „არ არიან შექმნილნი ოჯახური განცხრომისთვის" — ასეა ახლაც და ასე იქნება ყოველთვის. ასეთი ხვედრისთვის მათი გაკიცხვა ტყუილი გარჯა იქნებოდა. მაგრამ, რასაკვირველია, არც ის შეიძლება, რომ მათ ხება ძიცეთ შემოიჭრან ჩვენს სახლში და გვიქადაგონ თავისი შეხედულებები, როგორც ერთადერთი სწორი და კარგი. ჩვენთან ამ აზრითაც იცავს სახელმწიფო ოჯახს. ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას მის სასარგებლოდ და არა მის საწინააღმდეგოდ.

სახელმწიფომ ბევრი რამ გააკეთა, რათა ყაანეიტრალოს ან სრულიადაც მოსპოს განქორწინების სოციალური ფესვები. ამას უწყობს ჩელს უკვე ხსენებული უფლებანი — გათანასწორება ქალისა მამაკაცთან და „მეორე ნახევრის" თავისუფლად არჩევა, იძულებითი ქორწინების აკრძალვა, ანგარებიან დამოკიდებულებათა გაკიცხვა, ქორწინებისთვის ხელისშემშლელი ნაციონალური და რელიგიური ზღუდეების მოხსნა და ა. შ. რაც შეეხება განქორწინების ბუნებრივ საფუძვლებს (მაგალითად, ცოლის და ქმრის ერთმანეთისადმი ლტოლვის ცვალებადობას) საკანონმდებლო გზით ამ სიტუაციების „გამოსწორების" მცდელობამ არ მოგვცა კარგი შედეგი.

რა იწვევს განქორწინებას თუ თანამედროვე ქორწინებათა 90%-ს სიყვარული უდევს საფუძვლად.

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს სტატისტიკა. ოჯახისთვის ყველაზე დიდი ბოროტებაა ალკოჰოლიზმი, რუსეთში ყველაზე ძეტად სწორედ ეს მიზეზი დომინირებს სასამართლოებში გახქორწისებისას. განსაკუთრებით წაშინ, როცა გასქორწინების ინიციატორი ქალია. ახლა სწორედ ძათ შეაქვთ განქორწინების შესახებ გახცხადებათა 2/3.

აქ განმარტება საჭირო აღარ არის. ეს მონაცემები თავისთავად ღაღადებს, რომ ისეთი მანკიერება, როგორიც სიმთვრალეა, შეუთავსებელია ოჯახურ ცხოვრებასთან, ბავშვების აღზრდისთვის საჭირო ნორმალურ პირობებთან.

განქორწინებათა დაახლოებით 25% ხდება ცოლქმრული ერთგულების დარღვევის გამო. აქაც ვერაფერს ვიტყვით საწინააღმდეგოს, ვერავითარ ახალმოდურ თეორიებს ვერ ამოვეფარებით. არასდროს და არსად არ ითმენღნენ ადამიანები ღალატს. არც ძეგობრობაში, არც სიყვარულში, არც საქმიან ურთიერთობებში, არც მთელ ხალხთან და დედა სამშობლოსთან დამოკიდებულებაში. ყველაფრის პატიება შეიძლება: შეცდომის, წინდაუხედაობის, მოუაზრებლობის, შემთხვევითი დაცემისაც კი, მაგრამ არა წინასწარ განზრახული ღალატისა!

რატომ არის კაცობრიობა ასეთი შეურიგებელი ამ მანკისადმი? იმიტომ, რომ ნებისმიერი ერთობლივი მოქმედების განხორციელება შეუძლებელია ერთმანეთის მიმართ რწმენის გარეშე. გვარი ვერ გადარჩება. ერი ვერ გაუძლებს უცხო შემოტევას, თუ ვერ დაეხდო ყველაზე ახლობელს.

გამოდის, რომ ცოლ-ქმარი კატორღელებივით საუკუნოდ არიან ერთმანეთზე მიჯაჭვულნი? მაგრამ თუ სიყვარული წავიდა?... აქ წინააღმდეგობაა განქორწინების თავისუფლების იდეასთან.

აღარ უყვარს ადამიანს — ასეც ხდება, სამწუხაროდ ჩვენი ბუხება ისეთია, რომ არა მხოლოდ ერთხელ და ერთის მიმართ გახვიცდით სიყვარულის გრძნობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა პირველი, უკანასკნელი და სხვა სიყვარული. განქორწინებულები და ქვრივები არ დაქორწინდებოდნენ მეორედ, არ იარსებებდა, როგორც ყველაზე მტანჯველი სასჯელი, ცოლიანი კაცის ან ქმრიანი ქალის ლტოლვა სხვისი ცოლისა და ქმრისადმი. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ალბათ, პირველ რიგში, საჭიროა დრომ, გახშორებამ გამოსცადოს ახალი გრძნობა. ხომ არ ვტყუვდებით? იქნებ სულისა და სხეულის უბრალო წუხილი მივიჩნიეთ ღრმა გრძნობად.

სასარგებლო იქნება გვახსოვდეს, რომ სიყვარულს აქვს თავისი

სრული გაფურჩქვნისა და ფოთოლცვენის, თავისი მოქცევისა და უკუქცევის პერიოდები. ყოველივე ცოცხალს ახასიათებს ბიორითმები, რომლებიც მედიკოსების აზრით, განსაზღვრავენ ფიზიოლოგიური პროცესების 90%-ს, მათ შორის ერთმანეთისადმი მეუღლეთა ფიზიოლოგიური სიახლოვის მოთხოვნილებასაც.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ი. ზაცეპინი წიგნში „ცოლქმრული ცხოვრების შესახებ" გვაძლევს სხვადასხვა ინდივიდთან სასიყვარულო ლტოლვის აწევისა და ჩავარდნის თავისებურ დიაგრამას. მან აღმოაჩინა, რომ დიდი კონფლიქტურობა აღმოცენდება იმ ცოლ-ქმარს შორის, რომლებთანაც გრძნობათა მოზღვავების და დაქვეითების ტალღები ერთმანეთს ემთხვევა.

ცოლ-ქმარმა, რომ იცოდეს ამგვარი ციკლურობის შესახებ და აუცილებელი გულგრილობისა და გართულებების პერიოდში მიდიოდეს ერთ-ერთი მათგანი სადმე მივლინებით, შვებულებით ან გადაერთვებოდეს თავის რაიმე განსაკუთრებით საინტერესო საქმეზე, მოკლედ რომ ვთქვათ, სცილდებოდნენ ერთმანეთს უსაფრთხო მახძილზე, გაცილებით ნაკლებად იფეთქებდა ხოლმე „არამოტივირებული" შეტაკებები და შესუსტდებოდა ლტოლვა სხვა ობიექტისადმი, რომელიც იქნებ, სწორედ იმიტომ გახდა მიმზიდველი, რომ დროებით არასასურველი გახდა თქვენი „მეორე ნახევარი".

ეს ცოდნა შეიძლება გამოყენებული იქნას მეგობრებსა და შეყვარებულებს შორის დამოკიდებულებაშიც. ეს დამოკიდებულებახიც ხომ ექვემდებარებიან ბიორითმულ რიცხვებს და ამიტომაცაა, რომ გარკვეულ პერიოდებში ზოგიერთ სულიერად ახლო მყოფ ადამიანებს შორის თითქოს შავი კატა გაირბენს. ჩხუბობენ რაღაც წვრილმანებზე და ვერ გაუგიათ, რა ემართებათ? ისინიც რომ დროებით დაცილებოდნენ ერთმანეთს წყენისა და საყვედურების გარეშე, მაძიხ ერთმანეთისკენ მობრუნებაც სასიხარულო იქნებოდა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სინამდვილეში, ღალატიც, ჩხუბიც, გაუგებრობანიც, რომლებიც შემდეგ დაიყვანება განქორწინების შესახებ სტანდარტულ ფრაზაზე: „ვერ გაუგეს ერთმანეთს, ვერ შეეწყვეს ერთმანეთს ხასიათით" — მეტწილად საზღაურია ჩვენი უმეცრებისა, საზღაურია საკუთარი და იმ სხვა ადამიანის ბუნების უცოდინარობისთვის, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ახლობელი გახდა, მაგრამ, რომელსაც კარგად ვერ გავუგეთ. მეტად მძიმე საზღაურია. ამას გვიმოწმებს მეცნიერი ნ. ი. სოლოვიოვი, ოჯახის პრობლემების სპეციალისტი ლიტვის სსრ-დან, სადაც ძალიან დიდია განქორწინებათა რიცხვი. ის დამაჯერებლად გვიჩვენებს რა მძიმედ განიცდიან განქორწინებას თვითონ მეუღლენი და მათი შვილები და, რაც მთავარია,

რა ფუქსავატურად იღებს განქორწინების გაღაწყვეტილებას ბევრი ახალგაზრდა.

„გვეჩქარება, ძმაო, გვეჩქარება... განსაკუთრებით ძწარე კი ის არის, რომ ბევრს ესმის, როძ განქორწინებამ არ მოუტანა ძათ ბედნიერება! საზღვარგარეთული გამოკვლევების მიხედვით გახქორწიხებიდან ორი წლის შემდეგაც კი ქალების 25% და მამაკაცების 20% წუხს, რომ გაცილდნენ. და აი ტირიან ღამღამობით ბალიძში თავჩაქინდრულები. „დაბრუნდი, ყველაფერს გაპატიებ". ეპატიებინათ ადრე—საყვედურები, ეჭვიანობა... ვფიქრობ, ყოველი გატაცება ბრ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ცოლ-ქმრული ურთიერთობის მომავალს, ყოველთვის არ არის ის ღალატი, თუმცა ამ დროს ყოველთვის ძელახულია ნდობა. გირჩევთ იყოთ შემწყნარებელი სხვების ხაკლოვახებათა მიმართ, შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ეს ერთგულების დარღვევას ეხებოდეს. მაგრამ, ხაზს ვუსვამთ, თუ ის ძემთხვევითია, თუ ოჯახიდან არ წასულა სიყვარული."

მაგრამ, იგივე მეცნიერ კატეგორიულად უარყოფს ყოვლისძიქტევებლობას, რასაც ქადაგებენ არა მარტო მწერლები, კინემატოგრაფისტები, მხატვრები, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების მეცხიერების ზოგიერთი მოღვაწეც. ეს დაუშვებელია გახსაკუთრებით იმ ოჯახებში, სადაც იზრდებიან ბავშვები. ასეთ პირობებში ცხოვრება მათ ხრწნის. როცა ორი ხვდება ერთმანეთს და სცილდება — ეს მათი საქმეა და მათი პრობლემებია, ვინ ვის რა აპატიოს ან რა არ აპატიოს. მაგრამ ბავშვის გაჩენა, როგორც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს და საზოგადოება მოითხოვს დედ-მამისგან ზნეობრივი ქცევის ყველა წესისა და ნორმების დაცვას.

კვლავ მივმართავთ ნ. ი. სოლოვიოვის ციტირებას: „...გახქორწინების როგორც წინა, ისე შემდგომი სიტუაცია გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას. მშობლების გახქორწინების შემდეგ სამი-ექვსი წლის ბავშვები განიცდიან დახაძაულისა და თვითდამცირების გრძნობას, შვიდი—რვა წლიანები გაბოროტებას და წყენას, ძირითადად, ძამის მიმართ, ათი — თერთმეტწლიანები — წყენას ორივე მშობლის მიმართ. ამ ბავშვების მესამედზე მეტი ჩვეულებრივ ცუდად სწავლობს, არღვევენ დისციპლინას, ზოგიერთები ხდებიან კონფლიქტურნი მეგობრების მიმართაც კი, ზოგი გარბის საწლიდან."

ასე აცხადებენ შვილები პროტესტს ერთმანეთისადმი გრძნობებსა და დამოკიდებულებაში მშობლების არასტაბილურობის წინააღმდეგ. სამართლიანადაც იქცევიან. ისინი საჭიროებენ ორივე მშობელს და არა რომელიმე ერთს, როგორც არ უნდა უყვარდეს და ანებივრებდეს

ის ბავშვს. ოჯახის დარღვევისას სწორედ ბავშვები იტანჯებიან ყველაზე მეტად. ამიტომ, როცა ცოლ-ქმარი ან ერთ-ერთი მათგანი გადაწყვეტს, რომ თუ კამათი და ურთიერთობის გარკვევა აუცილებელია, უკიდურესი საზღვრები მაინც არ გადალახოს, ამით აძღვავხებს არა მარტო შორსმჭვრეტელობას, არამედ თავისი ‘ვილების ‘ეძარიტ სიყვარულსაც.

მაგრამ თუ ერთად ცხოვრება აუტანელია, უნდა ‘ეეცადოთ, რომ განქორწინება შეძლებისდაგვარად უმტკივნეულო და კეთილ‘ობილური გავხადოთ. ეძებენ და პოულობენ კიდეც ‘ა‘ეუალებებს ‘ეობიარობის გაუმტკივნეულოებისთვის, თუმცა ეს ბუნებრივი პროცესია. ასევე შესაძლებელია განქორწინების „გაუმტკივნეულებაც“. ამის პირველ საშუალებას, ჩვენის აზრით, წარმოადგენს ის ‘ეხედულება, რომ ადამიანი თვითონაა არა მარტო თავისი ბედნიერების მჭედელი, არამედ თავისი უბედურებისაც. თვითონ „ოპერაცია“ ზოგჯერ მის ნებაზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ, სამაგიეროდ, ‘ოლიანად მასზეა დამოკიდებული, „ნაკლები სისხლით“ ჩატარდება იგი თუ უაზრო და უღირსი ბრძოლით სისხლისაგან დასცლის მასაც და მის ახლობელ ადამიანებსაც.

ვცადოთ „კეთილმოსურნეობით განქორწინების“ ზოგიერთი პირობის ფორმულირება, რისთვისაც შეიძლება საპირისპიროდან გამოსვლის მეთოდით მტკიცებას მივმართოთ. სასურველია ‘უდამ გვახსოვდეს, რომ გონიერი ქცევა შესაძლებელია მაშინაც კი, როცა გული შეურაცხყოფილი და შეურიგებელია. (მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მსჯელობა განქორწინებულ მეუღლეთა შესახებ სავსებით მიუდგება მეგობრულ დამოკიდებულებებს და შეყვარებულთა ‘ორის დამოკიდებულებასაც.)

ძველბერძნული მითის გმირი ქალი მედეა, ‘ოღალატე იაზონზე შურის საძიებლად, ხოცავს თავის (და მის) შვილებს! ბევრმა დიდმა მოაზროვნემ და მწერალმა სცადა გაეგო მკვლელი დედის საქციელი და რაიმე გამართლება მოეძებნა მისთვის, მაგრამ უშედეგოდ. რასაკვირველია, ქმრის მხრიდან უფრო დიდი ღალატის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იაზონმა მიატოვა არა მარტო ცოლი, მან ‘ატოვა ქალი, რომლისგანაც დავალებული იყო თავისი ისტორიული მისიის შესრულებით, დიდებით, წარმატებით და თავისი სიცოცხლის შენარჩუნებითაც კი. იაზონმა უღალატა ქალს, რომელმაც მას მსხვერპლად შესწირა ყოველივე, რითაც მდიდარი, მყარი და ძლიერია ადამიანი: მამის სიყვარული, თავისი იდეალები (თავისი ღმერთები), იაზონის სიყვარულის გამო მან დატოვა სამშობლო და სამეფო გვარის ღირსება ანაცვალა განდეგილის მწარე ხვედრს. იაზონის ‘ანა‘ეულის სიმძიმე მოითხოვდა შესატყვისი სამაგიეროს მიზღვას. და ‘ედეა‘

ვონაბა იკი. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ცხოვრებაშიც, დამსჯელი მაბუილი ორმხრივ მეჩელი აღმოჩნდა.

ეფიქრობთ, ეს ლეგენდა ყველა მოკვდავისთვის საყურადღებო გაფრთხილებას შეიცავს. რაც არ უნდა დიდი იყოს სიყვარულისა და ცოლ-ქმრობის საკურთხეველზე მიტანილი მსხვერპლი, რაც არ უნდა დიდი იყოს ღალატი და უმადურობა, არ შეიძლება თვითონ დაზარალებული გამოვიდეს მსაჯულის როლში. მოღალატის დასჯისას ძეიძლება მძიმედ დაკარგა უდანაშაულონი და დატანჯო საკუთარი თავი. კაცობრიობის ზნეობრივი გამოცდილება გვკარნახობს „გახქორწინების პირველ მცნებას“: ნუ გამოუტან სხვას მსჯავრს და არც შენ იქნები მსჯავრდადებული. მიუკერძოებელ ხელს გადაეცი გადასაწყვეტად სადავო საკითხები: დამნაშავეა თუ არ არის დამნაშავე, რამდენად და როგორ უნდა იქნეს დასჯილი? ამისთვის არსებობს სასამართლო, სახელმწიფო, სახალხო და ბოლოს თვით მოღალატის სინიდისის სასამართლო. დაზარალებულ მხარეს უფრო მეტად შეჰფერის ამაყი სულგრძელობა.

ამ საკითხების შესახებ შეიძლება ბევრი რამ ვისწავლოთ ჩვენი დიდი მწერლებისგან. მაგალითად, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და ლ. ნ. ტოლსტოიმ დიდი ხელოვნებით დაგვიხატა უჩვეულო, „ახალი“ ადამიანების ქცევა ისეთ საკმაოდ ტრადიციულ მდგომარეობაში, როგორიც არის იმ მწარე ჭეშმარიტების შეგნება, რომ შენ არ უყვარხარ, რომ შენ სხვა გამჯობინეს. დიმიტრი ლოპუხოვი (რომანის „რა ვაკეთოთ“ — გმირი) და თეოდორე პროტასოვი (დრამის „ცოცხალი ლეში“ — გმირი) მოიქცნენ საოცრად ერთნაირად: მოახდინეს თვითმკვლელობის სიმულაცია და გაჰქრნენ თავისი პატიოსანი, წესიერი, მაგრამ არამოყვარული ცოლების თვალთახედვიდან. დაკვირვებული მკითხველი შემოგვეპასუხება, რომ პირველს ჯერ კიდევ არა ჰქონდა ცოლთან ურთიერთობა ჩამოყალიბებული, ისინი მეუღლეები იყვნენ მხოლოდ იურიდიულად; მეორეს კი ეს ურთიერთობა უკვე დაერღვა და ცოლქმრული რჩებოდა მხოლოდ დოკუმენტების მიხედვით. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში, „გასაყოფი“ თითქმის აღარაფერი ჰქონდათ. საჭირო იყო ფორმის შესატყვისობაში მოყვანა შინაარსთან, რაც გაკეთდა კიდეც მეტად დელიკატურად.

ყოველივე ეს სწორია, მაგრამ არის აქ გარკვეული ზნეობრივი გაკვეთილი, თავისი კეთილდღეობა მსხვერპლად მოაქვთ არა „დამნაშავეებს“, არამედ „დაზარალებულებს“, არა იმათ, რომლებმაც პარტნიორს სხვა ამჯობინეს (თუნდაც მხოლოდ ფიქრებში, განცდაში და არა ქცევით), არამედ იმათ, რომლებიც მიხედნენ, რომ არჩევანი მათ სასარგებლოდ არ გაკეთებულა.

რა სიბრძნე და სამართლიანობაა ამ მსხვერპლში?

სიბრძნე ის არის, რომ ორივე ქმარმა ამჯობინა ცოლის კარგი დამოკიდებულება, პატივისცემა და მადლიერება მისგან სიძულვილს, უგულვებელყოფას, დამოკიდებულებათა დამამცირებელ გარკვევას — ყველაფერს, რაც თან ახლავს ჩვეულებრივ იმის მცდელობას, რომ ძალით შეინარჩუნონ „კანონიერი ნახევარი", სხვა ადამიანისადმი უნებურად აღმოცენებული ლტოლვის ფამო. დანაშაულის გრძნობის გაძლიერების გზით.

ვ. თ. სუხომლინსკი სამართლიანად წერდა, რომ ბავშვს, რაც უფრო ხშირად კიცხავენ და სჯიან ირგვლივმყოფები, მით უფრო ხაკლებ მორიდებული ხდება ის, მით უფრო უძლიერდება სურვილი დამხაშავეებად, „ცუდებად" აქციოს თავისი მსაჯულები. ან თუნდაც, თავის ფანტაზიაში წარმოიდგინოს ისინი ასეთებად. ეს ჭეშმარიტება გამოსადეგია უფროსებისთვისაც. დამნაშავე „ნახევარი" ხშირად ეძებს საშუალებებს პარტნიორის მხილებისთვის, რომ თვითონ არც ისე ცუდად გამოიყურებოდეს.

და აი, თავისთავად მოდის მეორე მცნება, რომლის დამახსოვრება გამოგვადგებოდა ნებისმიერ კონფლიქტურ და კრიტიკულ სიტუაციაში: ნუ გაზრდი ბოროტებას, ნუ გაღრმავებ დამნაშავის დანაშაულს. გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ეს მცნება მეტად ძნელი შესასრულებელია. ოჯახის დარღვევის პროცესში ადამიანები ხშირად აძღვანებენ თავისი ბუნების ისეთ მხარეებს, რომლებიც მათთვისაც კი მოულოდნელია. ყოველთვის უანგარონი უცბად წვრილმანდებიან, რბილები, ყოვლისმმტეველები — შეურიგებელ მოძულეებად იქცევიან. როგორც მედიკოსები ამბობენ პათოლოგიაში ხშირად ვლინდება ის, რაც ნორმაში დაფარული იყო. სრულიად არ არსებობდა კი არა, დაფარული იყო. კატაკლიზმები აშიშვლებენ გრძნობებსა და დამოკიდებულებებს, მაგრამ არ შემოაქვთ არაფერი მანამდე არარსებული. ამიტომ ცოლქმრულ ურთიერთობათა ჭეშმარიტი ფასი, მათი კულტურა და წესიერება, სწორედ განხეთქილების დროს მეღავნდება. როცა ჩვენ გვესმის კულტურული ხალხის აურზაურიანი განქორწინების შესახებ, უკვე საკმაო საფუძველი გვაქვს ამბობ კულტურულობაში ეჭვი შევიტანოთ. ამასთანავე არ უნდა ავურიოთ განქორწინების აურზაურიანობასთან მისი მტკივნეული, მტახჯველი ხასიათი. ესენი სრულიად სხვადასხვა ცნებებია. პირველი საზოგადოებრივი ქცევაა, ხოლო მეორე სულიერი მდგომარეობაა.

ბევრი ქალი და მამაკაცი განქორწინებისას იღებს ბრძნულ გადაწყვეტილებას. ისინი რჩებიან მეგობრებად, პატივისცემით ექცევიან ერთმანეთს. ამით შვილებისგანაც ინარჩუნებენ ძველებურად სიყვარულსა და პატივისცემას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგითხრობთ ერთ სიტუაციაზე, როცა იყო ბევრი რამ რისი გაყოფაც შეიძლებოდა, რაც გაყრას ხელს უშლიდა (ცოლის მხრიდან დიდი სიყვარული, ბავშვი, გაჭირვებით შეძენილი ბინა...) და მაინც ცოლ-ქმარმა თავიდან აიცილა დაძაბცირებელი სცენები. ეს, პირველ რიგში, ქალის დამსახურება იყო. როგორც „დაზარალებულმა" აგვიხსნა, მას დაეხმარა აუტოტრეხიგის, თვითშთაგონების საფუძვლების ცოდნა (მართალია დილეტანტური).

იმ მომენტში, როცა ქმარი გამოუტყდა, რომ უყვარს სხვა ქალი, მან კინაღამ დაკარგა თავდაჯერა, მაგრამ მთელი ძალები მოიკრიბა და მოახერხა თავის შეკავება. მან გაიხსენა ფსიქოლოგის რჩევა, რომ ხებისმიერი, ყველაზე დიდი უბედურების მდგომარეობაშიც კი, ეს-საძლებელია მოინახოს ზნეობრივი საყრდენი წერტილი, როძელიც შეგაკავებს სასოწარკვეთილების უფსკრულში გადაჩეხისგან. საჭიროა მხოლოდ მისი მონახვა. ეს საყრდენი წერტილი ქალმა პოვა იმ აზრში, რომ მას ჰქონდა **სიყვარული, მას ჰყავს ამ სიყვარულის ნაყოფი ბავშვი.** ყველას არ სწყალობს ასე ცხოვრება. მაშასადამე, მან მთელი ყურადღება წარმართა: არა იმისკენ, რასაც ჰკარგავდა, არამედ იმისკენ, რაც ჰქონდა, რაც რჩებოდა.

ყოფილი სიხარული, ბედნიერება, მოგონებები მის შესახებ, ამას ხომ ვერავითარი სასამართლო და განქორწინება ვერ წაართმევდა. ადამიანის თვითგრძნობა კი მარტო დღევანდელი დღით არ საზრდოობს. მასში მტკიცედ არის გადახლართული გუშინდელი ვნებანი და ხვალინდელი წარმატების იმედები. როცა წინ გაურკვეველობაა და უფრო მეტიც — მწუხარებაა, განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ნათელს, რომელიც წარსულიდან გვიშუქებს.

ეს თვითშთაგონება დაეხმარა მას წონასწორობის აღდგენაში, შემდეგ კი ახალი, ტკივილის დამაყუჩებელი საბუთებიც გამოჩნდა. მან მიაჩვია თავის თავი იმას, რომ ყოფილი ქმრისთვის შეეხედა, როგორც „უცხო" მამაკაცისთვის, რომელიც მას უყვარს, ის კი არ პასუხობს მის გრძნობას. ასეთი რამ ხომ იშვიათად არ ხდება? მაგრამ თავის განცდები საქვეყნოდ არავის გამოაქვს და არ უთითებს „დამნაშავეზე". ჩვეულებრივ ხომ არც ბედნიერი სიყვარულის დემოხსტრირებას ახდენენ. მაშასადამე, უნდა დავმალოთ ჭრილობები, უნდა დავმალოთ ტკივილი ირგვლივმყოფებისა და, პირველ რიგში, ბავშვისგან. მისთვის საერთოდ არ არის საჭირო დედის ასეთი გახცდების ცოდნა. ბავშვი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მამის დამოკიდებულებაში მის მიმართ ჭრაფერი არ შეცვლილია, რომ მამა უბრალოდ ცალკე ცხოვრობს.

ამ ისტორიიდან შეიძლება გამოვიტანოთ კიდევ ერთი მცხეგა: ხუ გავთელავთ ჩვენს ბედნიერ წარსულს. ის მოგვცემს ძალებს ჩვეხი

მძიმე აწმყოს გადასატანად. ამიტომ, საჭიროა წესად გვქონდეს მატერიალურ საქმეებში კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვა. ვისაც და რაც ეკუთვნის მივცეთ დისკუსიის გარეშე. თუ ვინმე უკმაყოფილოა იდავოს სამოქალაქო კოდექსთან, როგორც იმ ქალმა ამიხსნა, ამ უანგარობასაც აქვს თავისი „ანგარიში“.

გადავწყვიტე, რომ თუ მე მის კანონიერ უფლებებს ვევლახავ, ამით გავათავისუფლებ მას ჩემს მიმართ უსამართლოდ მოქცევის გახცდისგან, სხვა ქალისადმი უპირატესობის მინიჭების გამო. დაე, ეს განცდა იყოს მისთვის ყველაზე მძიმე სასჯელი.

არ ვიცრუებ. ამ ისტორიას არ ჰქონია ბედნიერი დასასრული, როგორც უკვე გითხარით, ქალი მარტოდ დარჩა. მაგრამ ოჯახის დახგრევის პროცესმა ვერ წაართვა მას ზედმეტი ძალები, ჯანმრთელობა, ნერვები, მან ყველაფერი შეინარჩუნა. ისევე როგორც შეინარჩუნა პატივისცემით მოპყრობა ყოფილი ქმრისგან, ხოლო თავის შვილს შეუნარჩუნა მზრუნველი მამა. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი „კეთილმოსურნეობით განქორწინებისა.“ ცნობილია ბევრი სხვა შემთხვევაც. ისინი არც ისე ცოტაა, მიუხედავად საერთო შთაბეჭდილებისა. სამწუხაროდ, ხელოვნებას (და მეცნიერებას) აინტერესებს მხოლოდ ხმაურიანი დრამა და ტრაგედიები. წყნარი განქორწინება? ამით ხომ მკითხველს და მაყურებელს ადვილად ვერ დააინტერესებ.

რამდენადაც ვაღიარებთ სიყვარულის მრავალსახეობას, ამდენად შეიძლება მოველოდეთ „კეთილმოსურნეობით განქორწინების“ შემთხვევათა მრავალგვაროვნებასაც. იმ ადამიანების დანაშაულს შერბილება, რომლებმაც ვერ შეძლეს შეექმნათ საერთო ოჯახი, შეუძლია მხოლოდ იმის რწმენას, რომ მათ დაკარგეს მხოლოდ ნაწილი ყოფილი კავშირებისა, ისინი აღარ არიან შეყვარებულები, მაგრამ ისევ არიან მეგობრები, არიან თავისი შვილების მშობლები, დაბოლოს, არიან წესიერი. კულტურული ადამიანები...

ამ თავში შევეხეთ ოჯახურ დამოკიდებულებებში ყველაზე მტკივნეულ საკითხებს. უფრო სწორად ნაწილს ამ საკითხებისას იმიტომ, რომ მართლაც ჭეშმარიტება ერთია, შეცდომები — ათასობით. კანონი ზოგადია, მისი დარღვევა — ინდივიდუალური. ასე მაგალითად, განზე დავტოვეთ ჩვენი დროისთვის მწვავე საკითხები გერებთან დედინაცვლისა და მამინაცვლის დამოკიდებულების შესახებ.

რა კავშირშია ეს პრობლემები თქვენს დღევანდელ ცხოვრებასთან? მათი კავშირი პირდაპირი და უშუალოა. უკვე რამდენჯერ ვთქვით, რომ ოჯახში მთავარია — საერთო განწყობილება, ზნეობრივი კლიმატი. მას ჰქმნის ოჯახის თითოეული წევრი — დამოუკიდებლად ასაკისა, სქესისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მატერია-

ლური უზრუნველყოფისა. სწორედ, თქვენი თანაგრძნობა აკლია უფროსებს, როცა ისინი ებმებიან ჩხუბის, წარუმატებლობის მძიმე ხლართებში. ოჯახის უბედურებას სხვისი კი არა საკუთარი ხელებით უნდა მოვლა. თქვენზეა დამოკიდებული დაეხმარებით უფროსებს ხანძრის ჩაქრობაში, თუ ცეცხლზე ნავთს დაასხამთ და მასზე „ხელის მოთბობას“ დაიწყებთ.

ალბათ თქვენი ადამიანური. მოწიფულობის ჭეშმარიტ გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს იმის უნარი, რომ ოჯახის რღვევასა და უთანხმოებაში დაინახოთ არა ვინმეს ბოროტი ნება, არამედ, ძირითადად, სტიქიური უბედურება. და მედგრად, ვაჟკაცურად გაუმკლავდეთ მის გამანადგურებელ ზემოქმედებას. უნდა ეცადოთ გადაარჩინოთ თქვენს მშობლიურ ადამიანში ყოველივე კარგი და კეთილი, რაც წინათ აერთიანებდა მათ, მოაგონოთ მტრულ მხარეებს ერთად განცდილი ნათელი სიხარულისა და ზეიმის, ურთიერთ მხარდაჭერისა და თანმონაწილეობის შესახებ. ამასთანავე უნდა დასძლიოთ საკუთარი ტკივილი და დაბნეულობა, დასძლიოთ თავს დამტყდარი უბედურებისგან სადღაც გადახვეწის, გადამალვის სურვილი.

თქვენთვის, ეხლა ცნობილია ის გუნებ-განწყობილება და გრძნობები, რომლებიც ეუფლებათ ბავშვებს მშობლების განქორწინებისას. დაეხმარეთ პატარა და-ძმებს, დასძლიონ გაუცხოება უფროსებისა და თანატოლებისგან, დაძლიონ თავისი თავხედური კონფლიქტურობა. დაეხმარეთ მათ, რომ განსაკუთრებით დაინტერესდნენ სწავლით, სპორტით, ხელოვნებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ნურც საკუთარ თავს და ნურც უფროსებსა და უმცროსებს ნუ მისცემთ მწარე ფიქრებში ჩაძირვის საშუალებას.

ზოგჯერ, სწორედ, მოზარდებისა და ჭაბუკების სიმტკიცე წარმოადგენს იმ „ხავსს“, რომელსაც შეიძლება მოეჭიდონ წყალწაღებული უფროსები და სამშვიდობოზე გავიდნენ.

მარტოობა უბედურებაა თუ დანაშაული?

რატომ აძლევს საზოგადოება ყველაფერში უპირატესობას დაოჯახებულ მოქალაქეებს. მართალია, მარტოხელებთან შედარებით ოჯახურ ცხოვრებაში სიძნელეები მეტია. მაგრამ, სამაგიეროდ, ბედნიერებაც მეტია. მაშ რაღა საჭიროა ყოველგვარი შეზღუდვებით მათი შევიწროვება. ვინც ისედაც „დაჩაგრულია“ ბედისგან?

მართლაც. ბოლო წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დაუოჯახებელ მამაკაცებს ბევრი უბედურება სდევთ. ისინი გულის დაავადებით იღუპებიან 3,5-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ცოლ-შვილთან

მცხოვრებნი. ისინი ხვდებიან საგზაო „კატასტროფებში 5-ჯერ უფრო ხშირად. ბერბიჭა და განქორწინებული მარტოხელა მამაკაცები ერთად აღებული სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ 6-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ოჯახიანები! ჯერ კიდევ 150 წლის წინათ იქნა ფიქსირებული, რომ დღეგრძელთა შორის არა გვხვდება არცერთი ბერბიჭა. შედარებით ახალგაზრდა ასაკშიც კი, 20 — 30 წელი, მარტოხელა მამაკაცების სიკვდილიანობა 25%-ით მეტია, ვიდრე ცოლიანებისა.

ეს ციფრები გვაფიქრებინებენ, რომ ცხოვრება არ ადასტურებს ხალხში გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ოჯახი ყველაზე მეტად ქალისთვის არის საჭირო. მარტოხელა ქალები ნაკლებ დრამატულად განიცდიან თავის მდგომარეობას. მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დიდად არ განსხვავდება ოჯახის მქონეთა სიცოცხლის ხანგრძლივობისგან. გამოდის, რომ მამაკაცისთვის ოჯახის გარეშე ცხოვრება გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ის შრომა და საზრუნავი, რომელსაც ოჯახი მოითხოვს.

თუმცა აქ საკვირველი არაფერია. მამაკაცი, რომელსაც ჰყავს ოჯახის წევრები, რომლის ჯანმრთელობაზე, შრომაზე, კეთილდღეობაზე დამოკიდებულია მისთვის ძვირფასი ადამიანების ბედნიერება, უფრო სხვაგვარად იქცევა, ვიდრე „ქარიგით თავისუფალი“ კაცი. ის უფრო ფრთხილობს სარისკო სიტუაციებში. უფრო მკაცრი წეს-ჩვეულებების დამცველია, დაბოლოს, დასაყრდენიც ჰყავს განსაცდელის ჟამს.

მაგრამ ოჯახური ყოფის თვალსაჩინო უპირატესობის მიუხედავად, წინათაც ბევრი რჩებოდა უცოლოდ და უქმროდ, ხოლო უკანასკნელ წლებში მათი რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლანდელი ახალგაზრდები მზად არიან ეგოდენ დიდი მსხვერპლი გაიღონ „თავისუფლების“ შესანარჩუნებლად თუ ობიექტური მიზეზები აიძულებთ ამას?

ეს პრობლემა არაერთხელ ყოფილა ფართო აუდიტორიის მსჯელობის საგანი. რამდენადაც შეუძლებელია ბედნიერი იყოს მთელი საზოგადოება, როცა ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია ადამიანის ბედნიერებისათვის აუცილებელ სიკეთეს — ოჯახს.

დადგენილია ახალგაზრდობის დაუოჯახებლობის შემდეგი მიზეზები: ჩვენთან ბევრია ისეთი ქალაქი და სოფელი, სადაც მამაკაცების მწვავე ნაკლებობაა და „გაუთხოვარი ფეიქრები (მწველავები, მეფრინველეები, მასწავლებლები, ექიმები და ა. შ.) შეადგენენ მოსახლეობის უმეტესობას“. ამასთანავე იზრდება ახალშენებლობათა რიცხვი, სადაც ახალგაზრდა ქალების პროცენტული რაოდენობა მე-

ტად დაბალია მამაკაცების — მშენებლების, ტყისმჭრელების, მეზღვაურების რაოდენობასთან შედარებით. ძველ ქალაქებში არსებობს უმეტესად მამაკაცების ან ქალების წარმოება-დაწესებულებანი: მეტალურგიული კომბინატები, შახტები ან მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. იქ მეტად ინელია ან შეუძლებელიც კია ზეხვდე მომავალ მეუღლეს. მაშასადამე, პოტენციალური საცოლე ან საქმრო შეიძლება გაიცნოთ მხოლოდ თავისუფალ დროს. ამისათვის კი საჭიროა ახალგაზრდული კლუბები, საცეკვაო დარბაზები, ტურისტული ბაზები, რაც დედაქალაქებშიც კი საჭიროზე ნაკლებია. ახალმშენებლობებსა და პატარა ქალაქებში ხომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ახალგაზრდა ოჯახების შექმნას ხელს უშლის მატერიალური სიძნელეებიც და საცხოვრებლის ნაკლებობაც. მარტოხელა მამაკაცების რიცხვის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად ახლა გამოდის ისიც, რომ ქალებმა მოიპოვეს ეკონომიკური და მორალური დამოუკიდებლობა. რის შედეგადაც მას, ვინც წინათ ცდილობდა ამოფარებოდა მამაკაცის ზურგს, ახლა მიეცათ შესაძლებლობა თვითონ ამოირჩიონ ცხოვრების სახე და ჭკვევის სტილი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მარტოხელად რჩებიან ის მამაკაცებიც, რომლებისთვისაც მეუღლე მხოლოდ უნივერსალური მოსამსახურეა. რადგან ახლა იშვიათად მოიძებნება ქალიშვილი, რომელიც ამაზე დათანხმდება. სამაგიეროდ, მარტოხელებს ემსახურება უამრავი სხვადასხვა სახის ატელიე, სასადილო, საყოფაცხოვრებო კომბინატები, რომლებიც აძლევენ მას საკუთარი თავისა და სახლის მოვლის საშუალებას ქალის დახმარების გარეშე.

მაგრამ თუ უურადღებით დავუკვირდებით შევნიშნავთ, რომ აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში ზოგიერთი ახალგაზრდა ახერხებს გადალახოს ყველა ობიექტური სიძნელე და შექმნას ოჯახი, სხვები კი რჩებიან საკუთარი მყუდრო სავანის გარეშე და სხვის ოჯახურ სითბოს შეჰხარიან მხოლოდ. მაშასადამე, არსებობს სუბიექტური, პირადული მიზეზებიც, რომლებსაც მივყავართ მარტოობამდე. ჩვენთვის სასარგებლო იქნება სწორედ ამ მოვლენის გააზრება.

ჩემს მშობლებს ჰყავთ ნათესავები და მეგობრები, რომლებსაც არა აქვთ ოჯახი, მაგრამ სრულიადაც არ ტოვებენ ავადმყოფების, უბედურების და, მით უმეტეს, განწირულთა შთაბეჭდილებას. პირიქით, ბევრ მათგანს დიდი წარმატება აქვს ყველა საქმეში, გამოიყურებიან ენერგიულად და ხალისიანად. ჩემი დედ-მამა ზოგჯერ, კიდეც შენატრის მათ თავისუფალ ცხოვრებას—შემომეპასუხა ერთი უფროსკლასელი ამ თემაზე საუბრისას.

აქ საჭიროა; დაზუსტება, ვის ეუწოდებთ მარტოხელას, უოჯახოს.

ხშირად ამ კატეგორიას ვაკუთვნებთ ხალხს, რომლებსაც აქვთ მრავალფეროვანი ნათესაური კავშირები. სრულიად შესაძლებელია, რომ იმ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა გოგონა, თვითონ ჰყავდათ მშობლები, რომლებთანაც ძალიან თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ, რომელთა ყურადღება და ზრუნვა სიყვარულით ავსებდა მათ გულს და საპასუხოდ იგივე გრძნობას იწვევდა. შესაძლოა მათ და-ძმებსაც ჰყავდათ შვილები, რომლებსაც აღნიშნული მარტოხელები ისეთი სიყვარულითა და მზრუნველობით ეკცეოდნენ, როგორც ზოგიერთები არ ეკცევიან საკუთარ შვილებსაც კი (მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს თავისი ან მშობლების ბიძაბიცოლები, რომელთა გარეშეც მათ სახლში არცერთ მნიშვნელოვან მოვლენას არ ჩაუვლია). რასაკვირველია, ამ სახის კავშირებს არ შეუძლია საკუთარი ოჯახისა და შვილების მთლიანად შეცვლა, მაგრამ ისინი რამდენადმე მაინც ამსუბუქებენ მოუწყობლობისა და მიუსაფარობის გრძნობის სიმწვავეს, რომელსაც განიცდის სრულიად მარტოხელა ადამიანი.

ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა ოჯახის საუკეთესო მეგობრები თითქმის ნათესავებად იქცევიან, ჭირსა და ლხინში ჩვენს გვერდით არიან; ჩვენი ოჯახის ყველაზე მძიმე საზრუნავს თავის თავზე იღებენ და თავისი ღვაწლის დაფასებას ჩვენს წარმატებებში ხედავენ. ამით იძენენ ყველაზე ღირებულ სტატუსს — ძვირფასი, აუცილებელი ადამიანისას. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შინაგანი წონასწორობისთვის, იმისთვის, რომ ის ბედს არ ემდუროდეს.

არის კიდევ ერთი კატეგორია მარტოხელებისა, რომელიც არ განიცდის ამ მდგომარეობის გამო სულიერ დისკომფორტს. ესენი არიან რაიმე საქმიანობით თავდავიწყებით გატაცებული ადამიანები. ეს გატაცება მთლიანად ავსებს მათ გულს, აზრებს, მისწრაფებებს. ასეთები გვხვდება განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მუშაკებს, მკვლევარებს, მოგზაურებს, სამხედრო მოსამსახურეებს შორის. მათ ნათლად აქვთ შეგნებული, რომ არ შეუძლიათ ორი საპასუხისმგებლო საქმის საყვარელი პროფესიისა და ბავშვების აღზრდის შეთავსება და პატიოსნად აკეთებენ არჩევანს. პროფესიულ საქმიანობაში წარმატება მატებს მათ ძალას, მხნეობას, სიცოცხლის ხალისს. მაგრამ პროფესიული იმედების მსხვრევას ისინი გაცილებით მძიმედ განიცდიან, ვიდრე ოჯახის მქონე ადამიანები. საქმის გარდა ხომ მათ სხვა დასაყრდენი არაფერი აქვთ ცხოვრებაში.

ქალების დიდი ნაწილი საკუთარი ოჯახის შეუქმნელად ტვირთად იღებს ღვიძლი დედის ყველა საზრუნავს. ესენია უშვილო და გაუთხოვარი ქალები, სხვათა შვილების აღმზრდელი — ძიძები. ყველა

დროის და ხალხების ლიტერატურას შემონახული აქვს ბევრი დიდი ადამიანის აღმზრდელი — ძიძის სიკეთითა და სიბრძნით აღსავსე სახე, რომელთაგან ზოგიერთი უკვდავყოფილია თავისი აღზრდილის სიყვარულითა და აღიარებით. აკაკი წერეთელი ძიძის სახლში, უბრალო გლეხის ოჯახში იზრდებოდა ექვს წლამდე. მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი" აკაკი დიდი მადლიერებითა და სინაზით აგვიწერს ძიძის დედობრივ სიყვარულს მისდამი, დიდი პოეტი ამ პერიოდს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. „არ შემიძლია არ გამოვტყდე,—წერდა პოეტი,—რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი. „ღრმა სიყვარული თავისი აღმზრდელი—ძიძის მანო სადუნიშვილისადმი .აკაკიმ სიკვდილამდე შეინარჩუნა. ძიძას უძღვნა და მისგან მოსმენილი ძილისპირულის მელოდიურობა ჩააქსოვა დიდმა პოეტმა ლექსში „იმერული ნანინა".

ა. ს. პუშკინი თავის ძიძას არინა როდიონის—ასულს დედას ეძახდა, სწორედ მას და არა დედას მიმართავს აღფრთოვანებული და ალერსიანი სიტყვებით ცნობილ ლექსში „ძიძა". მარინა ცვეტაევა ამბობდა, რომ ისურვებდა ყოფილიყო პოეტისათვის ის, რაც იყო მისთვის არინა როდიონის ასული და უკეთეს ხვედრს არც ინატრებდა: არც დედა, არც შეყვარებული, არც ცოლი, არამედ სწორედ ძიძა — მეგობარი.

ეს მაგალითები და სხვა მათი მსგავსნი, რომელთაც თქვენ ხახავთ ცხოვრებაში გვიჩვენებენ, რომ ნებისმიერ მოვლენას უხდა მიუდგეთ არა შაბლონურად, არამედ დიდი დაკვირვებითა და გულისხმიერებით. ახლა გავაანალიზოთ თავისი მარტოობის გამო ბედით უკმაყოფილოთა მდგომარეობა და ქცევა.

ვცადოთ მათი დაჯგუფება ხასიათის თავისებურებებისა და ოჯახთან დამოკიდებულების მიხედვით.

მარტოხელა ადამიანების პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი, ვისაც სურს დაოჯახება, მაგრამ ვერ ახერხებს.

მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელია ის, რომ უარს არ იტყოდნენ ოჯახზე, თუმცა უიმისოდაც შეუძლიათ გასძლონ. მათთვის ოჯახი მარტოობაზე „ნაკლები ბოროტებაა", მაგრამ თავისთავად არც ის არის ნანატრი ბედნიერება.

მესამენი ოჯახური ცხოვრების პრინციპული მოწინააღმდეგენი არიან, თუმცა. მისი შექმნისათვის საჭირო ყველა სუბიექტური და ობიექტური მონაცემი აქვთ.

მეოთხე ჯგუფს არ შეუძლია და არც უნდა ოჯახის შექმნა.

აღნიშნული ტიპაჟიდან მეოთხეს ალბათ დუმილით უნდა ავუ-

აროთ გვერდი. ოჯახის შექმნის სურვილისა და შესაძლებლობის არარსებობის მიღმა ხშირად იმალება სერიოზული გასაჭირი, სხეულისა და სულის დაავადება, შესაძლოა ტრაგიკული მდგომარეობაც. ეს მაინც ერთეული შემთხვევებია.

მარტოხელების უმეტესობა პირველ ტიპს მიეკუთვნება. ესენი, ძირითადად, არიან ბუნებითა და აღზრდით მორიდებული, მორცხვი და გაუბედავი ადამიანები. რამდენადაც ეს თვისებები, უფრო მეტად, დამახასიათებელია გოგონებისთვის, თავდაპირველად ვისაუბროთ მათ შესახებ. ჭაბუკებს კი ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ თავის თავზე, როგორც ახლა თქმული, ისე მომდევნო მაგალითებიც, სადაც სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ქცევა მცირედ გასხვავდება ერთმანეთისაგან.

ნებისმიერ ადგილას, სადაც ახალგაზრდობა მხიარულობს, ადვილად შენიშნავთ ქალიშვილებს, რომლებიც კედელს მიყრდნობილნი ან სვეტებს ამოფარებულნი მთელი საღამო უთვალთვალებენ სხვების მხიარულებასა და წარმატებას. ისინი ჩრდილში რჩებიან იმ გახზრახვით, რომ დამალონ თავისი შინაგანი და გარეგანი ნაკლოვანებანი, რომლებიც ხშირად მათი ფანტაზიის ნაყოფია, ან ფაქტობრივად არსებულის მეტისმეტი გაზვიადებაა. ალბათ, სწორედ, ამიტომ ჩრდილავენ მათ უფრო ყოჩაღი და გაბედული გოგონები, რომლებიც სხვა მხრივ არაფრით მათზე უკეთესები არ არიან.

ის ფაქტი, რომ ხშირად შეუმჩნეველი და უარყოფილი რჩებიან ნამდვილი ქალური თვისებების მქონე ქალიშვილები და უპირატესობა ეძლევა მათ ანტიპოდებს, აიძულებს ზოგიერთს დაეჭვდეს ამ თვისებების ღირებულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაზე სასურველი საცოლეები იქნებოდნენ სწორედ ისინი, ჭორკვები და მოკრძალებულები. რა კეთილი და ერთგული ცოლი იქნებოდა ალბათ ბევრი მათგანი!

ხშირად, ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე უფრო ენერგიული, დამოუკიდებელი, საქმიანი ქალიშვილები და ქალებიც კი, რომლებსაც შესაძლო ქმრისა და მეგობრის სრულიად გარკვეული იდეალი აქვთ. ხშირად, მისი პორტრეტი „გადმოხატულია" აქვთ მამისა ან ძმისაგან, რომლებიც ძალიან უყვართ და პატივს სცემენ. ისინი ხედავენ, რომ მეგობარი ქალების უმეტესობა, რომლებიც ოდესღაც მათსავით ოცნებობდნენ უშიშარ და უნაკლო რაინდებზე, ეგუება რეალობას, მიჰყვება სრულიად ჩვეულებრივს. ვისაც ბედი შეახვედრებს და, შემდეგ, მთელი ცხოვრების განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობს ქმრის აღზრდას საკუთარი იდეალის შესატყვისად. მაგრამ ასეთი ცხოვრება მათ არ იზიდავს. მათი უკომპრომისო

ბუნება არ ეხმაურება საოცნებო ხატისაგან დიდად განსხვავებული მამაკაცის გულის ძახილს.

თუ ასეთი „იდეალისტები“ მაინც გაბედავენ გათხოვებას დიდი გრძნობის გარეშე, რაკი უკომპრომისოები არიან, უფრო სწორედ კი, რაკი მზად არ არიან იმ შრომისთვის, რაც სჭირდება საკუთარი თავისა და სხვების ხელახლა აღზრდას, ხშირად სცილდებიან ქმარს და ისევ მარტოობაში რჩებიან.

როცა მოახლოვდება მეოთხე ათეული წელი, ბევრი მათგანი ხალისით მონაწილეობს კლუბის —„30-ზე მეტი წლისანი“ მუშაობაში და დახმარებისთვის მიმართავს ოჯახის შექმნის ხელშემწყობ სამსახურს („გაცნობის სამსახურს“).

მიაქციეთ ყურადღება აქაც საქმე გვაქვს კეთილშობილი ხასიათისა და მიდრეკილებების ადამიანებთან. ასეთი ქალიშვილები და ქალები პირველივე შემხვედრს არ ეკიდებიან კისერზე. მათი ბუნება ვერ ეგუება სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე ქორწინებას. ამავე დროს ისინი მზად არიან თავგამოდებით იშრომონ ახლობელი, საყვარელი ადამიანების კეთილდღეობისთვის, შეუძლიათ იყვნენ ერთგული ცოლები და თაეგანწირული დედები. მაგრამ მცირე რამ აბრკოლებთ, ვერ პოულობენ თავისი იდეალის შესატყვის მამაკაცს. სამწუხაროდ, იდეალურ ქმრებად არ იბადებიან, ასეთები ხდებიან ერთობლივი სულიერი თანაარსებობის შემოქმედებით პროცესში.

ამავე ტიპს ეკუთვნიან ჭულუბრყვილო, უბრალო, მაგრამ მდგრადი გრძნობებისა და ქცევის ქალები. ფსიქოლოგები ასეთების შესახებ ამბობენ, რომ მათ ძირითადი ნერვული პროცესები საკმაოდ ინერტული აქვთ. შეყვარებულის ან ქმრის დაკარგვის შემდეგ, ისინი მუდმივად ინარჩუნებენ გრძნობას მათ მიმართ (ამასთანავე ყოველთვის არც კია მნიშვნელოვანი გარდაიცვალა ის თუ სხვასთან წავიდა) და მარტოობაში რჩებიან. არც მაშინ ცდილობენ განმეორებით ოჯახის შექმნას, როცა წყვეტენ კავშირს ლოთთან, უხეშ ადამიანთან.

მარტოხელებს შორის გვხვდებიან დედიკოს და მამიკოს რჩეულები. ისინი ძალიან კარგად და მყუდროდ გრძნობენ თავს მშობლიურ ჭერქვეშ. მისი დათმობაც ეძნელებათ და ვერც თავისი მოწიფული ცხოვრება წარმოუდგენიათ საკუთარი კარგი ოჯახის გარეშე; მაგრამ ოჯახმა არაფერი არ უნდა შეცვალოს მათი ცხოვრების ჩვეულ სტილში. როცა ისინი მაინც, თხოვდებიან, იშვიათად ხდებიან დამოუკიდებელი დიასახლისები და ქმარსაც არ აძლევენ იმის. საშუალებას, რომ დამოუკიდებელი გახდეს მშობლების ნებისა და მზრუნველობისგან. მათთვის ქმარი — დედის სიძეა. ამიტომ უბრუნდებიან

ხშირად მშობლიურ კერას უდანაშაულოდ დამნაშავენი, ყველა მამაკაცზე განრისხებული დედიკოს ეგოონები.

ზუსტად ასეთივე სიტუაციაა ბევრ დედისერთა დედიკოს ბიჭთან. თუ ერთ ჭერქვეშ მოხვდა ორი ასეთი ერთადერთი და განუმეორებელი, მაშინ მათი ერთად გაჩერება შესაძლებელია მხოლოდ უფროსი თაობის აქტიური ჩარევით, რომელიც ახალგაზრდა წყვილის ირგვლივ მტკიცე ალყას შეკრავს, რომ დაიცვას „დიდი ბავშვების“ ცხოვრება ნებისმიერი უამინდობისგან.

მარტოხელთა პირველი ტიპის წარმომადგენლებს ადვილად ვიცნობთ გარეგნობით. როგორც წესი, ისინი იშვიათად ეხმაურებიან „ჰოდის ძახილს“. იცდიან ვიდრე მოდელი ჩადგება გოხივრულობის ჩარჩოებში და ისე მოირგებენ მას რომ მათთვის სრულიად ჩვეულებრივად გამოიყურებოდეს. მათი კოსმეტიკა არ არის მყვირალა ტონების, არ უყვართ თმების ფერის შეცვეთრად შეცვლა, უჩვეულო ვარცხნილობა. მსგავსად გარეგნობისა ვერ იტანენ მკვეთრ ცვლილებებს მხატვრული ლიტერატურით გატაცებასა და გართობაში, ჭამაში, ადგილსამყოფელში. ინერცია ანუ მუდმივობა ყველაფერში. ეს მათი ღირსებაცაა და ხელისშემშლელიც ოჯახის შექმნაში.

ვიდრე მათი ენერგიული თანატოლები ქვეყანას მოივლიან საბედოს ძებნაში, ეორცხვი—იდეალისტი ეგოონები ბალიშს ცრემლებით ასველებენ და მორჩილად ელიან როდის მოადგებათ ბედი კარზე. აჯობებდა დაეტოვებინათ შეჩვეული თბილი კუთხე, გამოეცვალათ სამუშაო, ანდა საერთოდ ახალ მშენებლობაზე ან დიდ სოფელსა თუ ქალაქში წასულიყვნენ, სადაც ბევრი უცოლო მამაკაცია მაცარამ... ინერცია, მორიდებულობა. ფიქრი იმაზე თუ რას იტყვიან სხვები? ხომ არ იტყვიან საქმროებს დასდევსო! უხერხულია, უწესობაა, სირცხვილია. ასეა ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთზე გადახლართული. რაც ერთი მხრიდან სათნოებად მიგვაჩნია, მეორე მხრიდან შეიძლება ნაკლი აღმოჩნდეს.

მარტოხელების მეორე ტიპს, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მიეკუთვნებიან ის ქალები და მამაკაცები, რომლებიც არჩევენ ქორწინებას, როკორც მარტოობასთან შედარებით ნაკლებ ბოროტებას, მაგრამ მაინც ბოროტებას, თუნდაც საყოველთაოდ მიღებულს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არის ე. წ. არასრულ ოჯახში, ან სრულ ოჯახში, მაგრამ ცუდ პირობებში გაზრდილი ახალგაზრდები. ძკიოხველი ალბათ თვითონ დაინახავს ასეთი დასკვნის ლოგიკას: ოჯახის შექმნისკენ შეგნებულად მიისწრაფიან, პირველ რიგში, ისინი, ვინც იცის მისი ჭეშმარიტი და მაღალი ღირებულება, ვინც ბავშვობიდანვე მიჩვეულია მის კეთილ და თბილ უბეში ყოფნას და სხვანაირად ცხოვრება უბრალოდ ვერ წარმოუდგენია.

აღწერილი ტიპაჟი აერთიანებს სრულიად სხვადასხვაგვარ ადამიანებს. ამათში შეგხვდებათ ინერტულებიც, ენერგიულებიც და სხვა როგორიც გნებავთ. მათ საერთო აქვთ ის, რომ **ჩოკლებული არიან ოჯახური ცხოვრების უნარს.** ბოლო დროს, მეცნიერებამ მიიღო საკმაოდ დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, რომ მამაკაცში მამობის და ქალში დედობის ინსტინქტებიც კი ვლინდება უფრო ძლიერად თუ ბავშვობის პერიოდში მათ თვალწინ ჰქონდათ შვილებზე ორივე მშობლის ზრუნვისა და სიყვარულის ხილული მაგალითი.

ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინიც, რომელთა დედებმაც თავისი სიცოცხლე უქმროდ გაატარეს. ახლა ასეთები არიან, პირველ რიგში, ომში დაქვრივებულთა შვილები და შვილიშვილები. აი სადამდე მოგვწვდა ომი! მილიონობით გოგონას, რომლებიც დაიბადნენ 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების პირველ ხახევარში, მამები ნახული ჰყავთ მხოლოდ გაყვითლებულ ფოტოსურათებზე, ბავშვობაში ზეპირად იცოდნენ ჯარისკაცის საბუთხა წერილის ლაკონიური შინაარსი. მათ არ იცოდნენ, როგორ უნდა აეგოთ და როგორი შეიძლება ყოფილიყო ურთიერთობები ოჯახში, სადაც დედის გვერდით არის ქმარი — მამა. ამიტომ ჰქონდათ გადაღებული დედების ქცევა და სტილი. ასეთივე უსუსური და მოუხერხებელი საქმროები და ქმრები იყვნენ ხშირად მსგავს პირობებში გაზრდილი ჭაბუკები. ორივე მხარის უცოდინარობამ თავი იჩინა მათ შვილებში.

მესამე ტიპის ახალგაზრდებს ოჯახის შესაქმნელად აქვთ ყველა პირობა და შესაძლებლობანი, მაგრამ პრინციპულად უარყოფენ ასეთ პერსპექტივას. ესენია, როგორც იტყვიან, იდეური „მარტოხელები". ისინი, ჩვეულებრივ, საქმეში წარმატებულები არიან, შეუძლიათ გემოვნებით და კომფორტით იცხოვრონ, უყვართ მოგზაურობა, აინტერესებთ ლიტერატურა და ხელოვნება, უფრთხილდებიან თავის გარეგნობას და ჯანმრთელობას. ზოგჯერ, ისინი გვარწმუნებენ, რომ არ იდარდებდნენ თავის მდგომარეობაზე, ნათესავები და ნაცნობები რომ არ აბეზრებდნენ თავს მათი მარტოხელობის გამო წუხილით.

ბოლო დროს, ბევრ მომხრეს პოულობს ცხოვრების ოჯახური წესისადმი პრინციპულად მტრული დამოკიდებულება. უფრო მეტიც, არის მცდელობა თეორიულად დაასაბუთონ ეს პოზიცია. ზოგიერთები ასეთ ადამიანებს წინდაუხედავად აცხადებენ ნამდვილ თანამედროვეებად, ლამის „პროგრესის ნიშანსვეტებად". ხოლო მათ ანტიპოდებს შესაბამისად მიაკუთვნებენ „ტრადიციონალისტების", ჩამორჩენილი ელემენტების თანრიგს.

პირველი საბუთი, რომელიც ძალიან ხშირად მოაქვთ მათ სასარგებლოდ მიუთითებს იმაზე, რომ თითქოს ისინი უფრო კეთილსინდი-

სიერი, გონიერი, ენერგიული მუშაკები არიან, ვიდრე მათი ცოლ-შვილიანი კოლეგები და ამიტომ სახელმწიფოსთვის მათ უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ. ამ სახის მტკიცებები ჩვეულებრივ არ ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკას. ამიტომ, ჩვენც სრული უფლება გვაქვს, ვიმსჯელოთ საკუთარი დაკვირვებებისა და მოხაცემების საფუძველზე, მით უმეტეს, რომ ადრე უკვე შეეუდარეთ ერთმანეთს ოჯახები და საპენსიო ასაკს მიახლოებული მარტოხელები თანამდებობის, კვალიფიკაციის, ხელფასის მიხედვით და დავრწმუნდით, რომ ეს შედარება, უმეტეს შემთხვევაში, მარტოხელების სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. გარდა ამისა, ქვეყნის მატერიალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება დამოკიდებულია მოსახლეობის მატებაზე, რაც აგრეთვე ოჯახიანების პრიორიტეტზე მიუთითებს.

მეორე საბუთი სხვაგვარი, არამატერიალური ხასიათისაა. იგი გვეუბნება, რომ „პრინციპული მარტოხელები" არიან სულიერ ღირებულებათა აკუმულატორები, ისინი ნაზიარები არიან კულტურის, ხელოვნების მიღწევებს, რომლის ასათვისებლად საყოფაცხოვრებო საზრუნავში ჩაფლულ ოჯახიანებს არც ძალა აქვთ და არც დრო.

მათ მიერ ნახული ფილმების, გამოფენების დათვალიერების, ფესტივალებზე დასწრების რაოდენობრივ თანაფარდობაზე ბოლო დრომდე არავინ არა დავობდა. ახლა კი სოციოლოგები საეჭვოდ მიიჩნევენ ამ თანაფარდობას. ის აზრი, რომლის მიხედვითაც, სწორედ, მარტოხელებს შეიძლება ეუწოდოთ სულიერ ღირებულებათა მატარებლები. მოითხოვს დასაბუთებას. ჭეშმარიტებად ხომ ვერ მივიღებთ ნახევრადგანათლებულ ადამიანებში გავრცელებულ მცდარ შეხედულებას იმაზე, რომ ხელოვნური, ე. ი. ასახული ცხოვრება ნამდვილზე უფრო მაღლა დგას. ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ წაიკითხო სხვისი სიყვარულის შესახებ ეს უფრო „აგამაღლებს" და „გაგამდიდრებს" სულიერად, ვიდრე ის, რომ თვითონ განიცადო ძლიერი სიყვარული. რაფაელის და ლეონარდოს ღვთისმშობელით აღფრთოვანება მეტი კეთილშობილებაა, ვიდრე ის, რომ თვითონ იყო დედა-ღვთისმშობელი. თანაუგრძნო თეატრისა და კინოს გმრების თავგანწირვას. შრომას და ქმირობას „უპირატესია", ვიდრე თვითონ განიცადო შიში, წუხილი და მღელვარება, გადალახო სიძნელეები და გაჭირვება, იმსჯელო სხვების ბედზე, ვიღაცის მიერ განცდილზე და შემდეგ ხელოვანის მიერ გააზრებულზე, საკუთარს კი გაექცე.

ყოველივე ეს რატომღაც ინტელიგენტობად იწოდება. თუმცა თვითონ სიტყვაში „ინტელიგენტი" იგულისხმება ისეთი ადამიანი, რომელსაც ესმის ყოფიერების არსი. ამიტომ არის, რომ გვხვდებიან ჭეშმარიტი ინტელიგენტები, არც თუ დიდად განათლებულები და.

პირიქით, არიან ისეთი ზედაპირულად, ჩაუღრმავებლად ბევრის მკითხველები და მაინც სულიერად ღარიბები, რომლებიც გაგაოცებენ. როგორ მოხდა, რომ ამდენმა დიდებულმა და ბრძნულმა აზრებმა ადამიანზე, დედაზე ვერ გაათბო მათი გული, ხოლო გონება მომართა ქალის ამ უმაღლესი მისიის უარსაყოფად, უკუსაგდებად?

ჩვენს მიერ გამოკითხული გათხოვილი ქალების 85%-მა განაცხადა, რომ მათვის ოჯახური მოვალეობანი და სამსახურებრივი საქმიანობა ერთნაირად მნიშვნელოვანი და მთავარია. აი, ეს კი ჭეშმარიტად დროის ნიშანია!

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ყოველივე ზემოთქმულიდან მარტოხელა მამაკაცებისა და ქალების შესახებ? შეიძლება ან საჭირო კი არის პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას: უბედურებაა თუ დანაშაული მარტოობა? თითქოს აქ დამნაშავენი არ არიან, არიან მხოლოდ დაზარალებულები: ომით, ცხოვრების პირობებით, არა შორს გამიზნული აღზრდით, ხასიათის თანშობილი თვისებებით და. მაინკ, ეს მთლად ასე არ არის. უდავოდ შეძლებს ბედისწერის გადალახვას ის, ვინც გულით იგრძნობს, გონებით ჩასწვდება თავის მიწიერ დანიშნულებას — უყვარდეს ძვირფასი ადამიანი, მისცეს ნორჩ არსებას სიცოცხლე, სინათლე და სიხარული. მაშინ ნებისყოფის ძალაც აღმოჩნდება და უნარიც მოინახება. სურვილი იყოს და ბედნიერება იქნება.

ხვალინდელ დღეს თუ გავხედავთ

ჩვენი საუბრების დასასრულს, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმას თუ როგორ ესახება მეცნიერებას ოჯახის ახლო თუ შორეული პერსპექტივები. მით უმეტეს, რომ როგორც მიუთითებენ ოჯახი ეხლა იმყოფება თავის გარდამავალ პერიოდში, ცხოვრების უფრო სამართლიანი, ,ბონიერი, ღირსეული სახის ძიების პერიოდში. მაგრამ ძიება ისე, რომ არ იცოდე მიზანი, ვერ ხედავდე ჰორიზონტს ნიშნავს — უგზოუკვლოდ ხეტიალს.

ლოგიკურად ეს თავი ყველაზე დიდი მოცულობის უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფაქტიურად პირიქით მოხდა.

არსებობდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ოჯახს უნდა განეცადა კვდომა, კერძო საკუთრების მოსპობასა და სახელმწიფოს გაუქმებასთან ერთად. ოჯახური ყოფის ასეთი მომავალი დაგვიხატა თავის რომან-პროექტში „ანდრომედას ნისლეულში“ საბჭოთა

მწერალმა — ფანტასტმა ი. ეფრემოვმა. თუმცაღა მის ვარაუდში იგრძნობა ნ. ვ. ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ გმირი ქალის ვერა პავლეს ასულის მეოთხე წინასწარმეტყველურ სიზმარში მოცემული სურათების გავლენა. მოისპობა ერთობლივი მეურნეობის აუცილებლობა და, მასთან ერთად, გაჰქრება ხანგრძლივი საერთო ოჯახური ცხოვრებაცო. თავისუფალი მოქალაქეები თავისუფლად გაერთიანდებიან კოლექტიური შრომისთვის, ურთიერთობისა და მხიარულებისთვის, ბავშვების აღზრდაც მოხდება შეერთებული ძალებით. ცრავინ არ იქნება დაკავშირებული არავისთან არავითარი იურიდიული ბორკილებით. ადამიანების დამაკავშირებელი იქნება მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და ურთიერთლტოლვა.

თვითონ სტრატეგიული იდეა—ოცნება, ალბათ არავისგან წინააღმდეგობას არ გამოიწვევს. საყოველთაო სიყვარული, ძმობა, თანამშრომლობა, აღგვა ყოველივესი, რაც ადამიანებს თიშავს მტრულ კლასებად, ჯგუფებად, კლანებად—მთელი კაცობრიობის გახვითარების უმაღლესი მიზანია. მაგრამ განა ეს მიზანი მოითხოვს მოლეკულის განადგურებას მონოლითის შესაქმნელად? შესაძლებელია კი ეს? განა შეუძლია ადამიანს მხოლოდ სიტყვით კი არა, არამედ საქმითაც, ნამდვილად შეიყვაროს მთელი კაცობრიობა, თუ განსაკუთრებული ღრმა გრძნობით არ იქნება დაკავშირებული მათთან, ვინც ის შეჰქმნა.

სწორედ ეს მდგომარეობა გვაიძულებს ოჯახის მომავალზე მსჯელობისას ვიხელმძღვანელოთ წარსულის და აწმყოს გამოცდილებით და გამოვყოთ იქიდან ის სასარგებლო მხარეები, რომლებიც მომავალშიც გამოსადეგი იქნება.

მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ფუძემდებლები იცნობდნენ რა დიალექტიკის კანონებს, არავითარ ილუზიებს არ ჰქმნიდნენ ადამიანის ბუნების შესახებ, ისევე, როგორც საერთოდ ბუნების შესახებ. ხვალინდელ კომუნიზმში არ მოისპობა ახლის დაპირისპირება ძველთან, ადამიანებს შორის ბიოლოგიური განსხვავებულობა, ადამიანის მისწრაფება გვარის გაგრძელებისა და ინდივიდუალური სიყვარულისადმი. ყველაფერი ეს კი გულისხმობს კონფლიქტურ დამოკიდებულებათა შესაძლებლობას. მაგრამ ამ კონფლიქტური სიტუაციების მოტივები იქნება არა ქონებრივი ხასიათის. მკვეთრად შეიცვლება ალბათ, მათი გარეგნული გამოვლენის ფორმაც, დღევანდელთან შედარებით იქნება ნაკლებად აგრესიული და ფიზიკურ ხელყოფასაც უფრო იშვიათად ექნება ადგილი, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ სული უფრო მეტად დაიტანჯოს, რადგან როგორც ცნობილია, ის მით უფრო ხანგრძლივ და მკვეთრ რეზონანსს იძლევა, რაც უფრო ფაქიზი და დახვეწილია.

როგორ ესახებათ ოჯახის ხვალინდელი დღე ადამიანური ყოფის ამ სფეროს თანამედროვე მკვლევარებს.

აი რას ფიქრობს სოციალური პროგნოზირების სპეციალისტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ი. ვ. ბესტუჟევ—ლადა: „უწინარეს ყოვლისა, მინდა შეგახსენოთ, რომ 70-იანი წლების ბოლოს ჩვენი სახელმწიფოს მიერ ოჯახი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული მარადიულ ღირებულებად. ამით წერტილი დაესვა დაუსრულებელ დავას ოჯახის მომავალზე: ის იარსებებს უკუნითი უკუნისამდე! ის შევა თავისი გაფურჩქვნისა და ძლიერების, გონივრულობისა და ჰუმანიზმის ახალ ხანაში.

რაც შეეხება მის კონკრეტულ განსახიერებას, ამის შესახებ გამოვთქვამ მხოლოდ ჩემ საკუთარ პოზიციას, რომელიც შეიძლება ყველაფერში არ გაიზიარონ ჩემმა კოლეგებმა. ჩემი აზრით, ოჯახი შეინარჩუნებს დღევანდელ მრავალვარიანტულობას. ერთ ოჯახად ბედნიერად იცხოვრებენ დედა, მამა და მათი შვილები. იცხოვრებენ დედები შვილთან ერთად უმამოდ და მამები შვილთან ერთად უდედოდ (ეს არის არასრული ოჯახი). იქნება ოჯახები, სადაც ცოლ-ქმარი გაზრდის გერს ან აყვანილ შვილს. მათთან ერთად სიხარულსა და მწუხარებას გაიყოფს უფროსი თაობა: ბებიები და პაპები. ისეთი ოჯახებიც იქნება, სადაც მოხუცები იცხოვრებენ დამოუკიდებლად. მოკლედ რომ ვთქვათ ოჯახის წევრთა ყველა შესაძლო შეხამებას ექნება საზოგადოებაში არსებობის თანაბარი და კანონიერი უფლება.

მაგრამ ოპტიმალური ვარიანტი ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება სრული ოჯახი ოთხი ბავშვით. ოთხი შვილი საუკეთესო რაოდენობაა ნებისმიერი რეგიონისა და ეროვნების ყოველი ოჯახისთვის: ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში, ქართული თუ ესტონური, უზბეკური თუ რუსული ოჯახისთვის. ისევე, როგორც ნებისმიერი ხალხისთვის. ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

ჩვენ გვესმის, რომ ასეთი ერთგვარობა ძნელად თუ მიიღწევა რეალურ ცხოვრებაში. ცხადია ეს ციფრი საშუალოს წარმოადგენს. შესაძლოა ის გამოიყვანება შემდგომი თანაფარდობიდან: დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ყველა გათხოვილ ქალს არ შეუძლია და არ სურს გახდეს დედა, თუ დარჩება ახლანდელი პროპორცია, ათიდან ერთი ქალი იქნება უშვილო, ყოველ მეათეს ეყოლება ერთი ბავშვი, სამ-ოთხ ქალს ეყოლება ორი—სამი შვილი, ორ—სამ ქალს ოთხიდან ექვსამდე შვილი.

ცნობილია, რომ ქალების დაახლოებით 20—30%-ს აქვს მისწრაფება გააჩინოს და აღზარდოს შვიდი და მეტი შვილი. მათი ეს კანონიერი სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს. საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ წმინდა მიზნის განხორციელებას იმით, რომ აღმზრდე-

ლი — დედა უზრუნველყოს ისეთივე შემოსავლით, როგორიცა აქვს მაღალი კლასის სპეციალისტს — მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებ-ლო შრომისთვის. მას შეუქმნიან შრომისა და ცხოვრების საუკეთესო პირობებს, ექნება პენსია მოხუცებულობაში, საგზურები სანატორი-უმებსა და დასასვენებელ სახლებში და ა. შ. ყოველივე ეს გაიცემა არა მარტო ბავშვების რაოდენობის მიხედვით, არამედ მათი მოვლის ხარისხის შესაბამისად, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური და ზნე-ობრივი განვითარების დონის გათვალისწინებით. საზოგადოება იძუ-ლებული გახდება გამონახოს ოჯახის დაჯილდოების საშუალება არა მარტო ბავშვების რაოდენობისთვის, არამედ, პირველ რიგში, მათი აღზრდის ხარისხისთვის.

საოჯახო შრომა, რომელიც ახლა ხშირად იწვევს დავას და გან-ხეთქილებას ოჯახის წევრებს შორის, ბოლოს და ბოლოს გახდება სა-ერთო და აღარ იქნება მისი დაყოფა ქალისა და მამაკაცის კუთ-ვნილ საქმიანობებად.

დროთა განმავლობაში შეიცვლება შრომის ხასიათი და მისი სიმ-ძიმეც. ყოველი ოჯახი მიიღებს სხვადასხვაგვარ კომბაინ-ავტომატებს.

ყველა აუცილებელი საქმე გაკეთდება 1.5 საათში და ადამიანს დარჩება ბევრი თავისუფალი დრო. როგორც იცით, აღნიშნული მე-ქანიზმები, ამა თუ იმ სახით, უკვე არის ჩვენს სახლებში. თანდათა-ნობით მოხდება მათი სრულყოფა, ექნებათ ნაკლები სიდიდე, ნაკლებ ენერგიას დახარჯავენ. იქნებიან უფრო უნივერსალურები, ვიდრე ახლანდელი, მძიმეწონიანი, სახმარად არც თუ მეტად მოხერხებული მანქანებია.

მაგრამ, ყოველივე თქმული არ ნიშნავს იმას, რომ შრომა საერ-თოდ განდევნილი იქნება ოჯახიდან. მომავალში თვითმომსახურებისა-თვის საჭირო შრომა დროის, ძალების და საშუალებათა ნაწილს და-უთმობს მოყვარულის შრომას, ინტერესის მიხედვით შემოქმედებით შრომას.

კოლექტიური შრომისა და დასვენების ყველა სიკეთის მიუხედა-ვად, ადამიანისთვის ყოველთვის აუცილებელი იქნება განმარტოება და ინდივიდუალური საქმიანობა. ამის შესაძლებლობა მომავალში სულ უფრო და უფრო მეტად მიეცემა .დიდსაც და პატარასაც. ოჯა-ხის წევრებს ექნებათ ერთმანეთის ინდივიდუალურ მისწრაფებათა და გატაცებათა პატივისცემა.

ჩემი რწმენით—განაგრძობს მეცნიერი—ცოლსა და ქმარსაც კი სჭირდებათ კარები თავის ოთახებს შორის, რომელსაც ისინი მოხუ-რავენ და ისაქმიანებენ თავისი სურვილის მიხედვით. ამ კარის გაღე-ბა კი უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმის სურვილით, ვისაც ოთახი ეკუთ-ვნის.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია, რომ მომავალში ოჯახის თითოეულ წევრს ჰქონდეს ცალკე ოთახი და, გარდა ამისა, ერთი საერთო ოთახი რათა თავისუფალი დრო სურვილისამებრ ყველამ ერთად გაატაროს.

რასაკვირველია, ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი წყობის შემდგომი განვითარების, ჩვენი ეკონომიკის ენერგიული ზრდის, მართვისა და განათლების სისტემების სრულყოფის კვალობაზე.

მხოლოდ სახელმწიფოს საერთო განვითარებისა და კეთილდღეობის პირობებში შეიძლება გადაწყდეს ის ურთულესი პრობლემები, რომლებიც თავს იჩენენ ახლა ბევრ ახალგაზრდა ოჯახში.

თქვენ ყველას მოგელით ძალიან დიდი შრომა ესოდენ ვრცელი პროგრამის განსახორციელებლად. ბუნებრივია, რომ საერთო და რთული ამოცანები ერთობლივად უნდა გადაიჭრას, ისე როგორც თავის დროზე სოფელში აშენებდნენ სახლს ახალი ოჯახისთვის; ეხმარებოდა ყველა, რითაც შეეძლოთ".

ოჯახის პრობლემატიკის სხვა მკვლევარი მწერალი ი. ბ. რიურიკოვი განსხვავებული რაკურსით განიხილავს მომავალი დროის ოჯახის განსამტკიცებლად აუცილებელ გარდაქმნებს.

„ძირითადად ვეთანხმები ი. ვ. ბესტუჟევ-ლადას სოციალურ პროგნოზებს. თუმცა მგონია, რომ საქმე იმდენად საოჯახო საქმის ავტომატიზაციასა და ოჯახური შრომის შემცირებაში კი არ არის, რამდენადაც მის წევრებს შორის დამოკიდებულების სტილისა და ხასიათის, ცხოვრებაში საკუთარი დანიშნულების შესახებ შეხედულების შეცვლაში. დღეისთვის ჩვენ, იმ ადამიანების მდგომარეობაში ვართ, რომლებიც მხოლოდ ახლა იძენენ ძალიან მნიშვნელოვან ცოდნას პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და სექსოლოგიის სფეროში. მე ვუწოდე ამ მდგომარეობას — კულტურამდელი. მომავალში მესახება გადასვლა ნამდვილად კულტურულ დამოკიდებულებებზე, როცა ადამიანებს ეცოდინებათ თავისი განვითარების, თავისი ბუნების კანონები და პატივისცემით მოექცევიან მას, ისევე როგორც ჩვენს გარემომცველ ბუნებას და გონივრულად გამოიყენებენ მათ საერთო კეთილდღეობისათვის.

რაც შეეხება ზნეობრივ განწყობებს, მათ მთელ მრავალფეროვნებას დავიყვანდი ასეთ უნივერსალურ პრინციპზე: სიკეთის მაქსიმუმი და ბოროტების მინიმუმი — ადამიანების მაქსიმუმს."

როგორც ხედავთ, მეცნიერი და მწერალი ვარაუდობენ, რომ მოხდება არა იმდენად კარდინალური ცვლილებები, რამდენადაც ოჯახური ყოფის თანამედროვე სასიკეთო ტენდენციებისა და პირობების სრულყოფა. მაგრამ ზემომოყვანილი პროგნოზები ეხება, უპირველეს

ყოვლისა, ოჯახის შიგნით შეთანხმებულობის მიღწევის საშუალებებს. როგორი იქნება ოჯახის მიზნები და ცხოვრებისეული პრინციპები კომუნისტურ საზოგადოებაში და რითი იქნებიან ისინი განსხვავებული დღევანდელისგან? ასეთი შეკითხვით მიმართა ამ წიგნის ავტორმა სოციოლოგ ზ. ა. იანკოვას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ყველა პროცესი, რომელიც ოჯახში ხდება აუცილებლად უნდა შეეუფარდოთ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. კ. ცეტკინთან საუბარში იგი აღნიშნავდა, რომ ქორწინებისა და სქესობრივ დამოკიდებულებათა სფეროში ახლოვდება რევოლუცია, თანახმიერი პროლეტარული რევოლუციისა. (იხ. მოგონებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, 1970, ტ. V, გვ. 37—59, რუს. ენაზე).

კომუნიზმისკენ წინსვლასთან ერთად, ჩვენს საზოგადოებაში, სულ უფრო ნათლად ვლინდება მარქსისტული პოზიცია: ადამიანის ყველა სოციალურ გარდაქმნათა უმაღლეს და საბოლოო ანგარიშში ერთადერთ მიზნად გვქონდეს—მისი ყოველმხრივი განვითარება, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების, ნიჭის, შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. სწორედ ეს მიზანი განსაზღვრავს კომუნიზმის დროს ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის ძირითად აზრსა და არსს. ახლაც, რამდენადაც ოჯახური პირობები და დამოკიდებულებანი აძლევენ თითოეულ ინდივიდს საკუთარი სრულყოფისა და საზოგადოების საერთო კეთილდღეობისთვის თავისი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას, იმდენად უფრო უახლოვდება მოცემული ოჯახი მომავლის იდეალს.

სრულიად ცხადია, რომ უჩვეულოდ ამაღლებული ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი პრინციპები გულისხმობს ოჯახის ყველა ფუნქციის: აღმზრდელობითის, სამეურნეოს, შრომითის, დასვენების პირობების და ურთიერთობათა ხასიათის მკვეთრად შეცვლას. შეიცვლება ღირებულებითი ორიენტაციები. წარმოდგენები წარმატებულობასა და სიმდიდრეზე. „მდიდარი"—მარქსის გამოთქმით, იქნება ის, ვისაც ექნება სრული **თვითგანვითარების მოთხოვნილება**, ხოლო ყველაზე დიდი ფუფუნება იქნება. ურთიერთობანი სიხარული.

ახალი ფორმაციის ოჯახი გადაიქცევა ნამდვილ კვლევით ლაბორატორიად. ის იქნება თავისებური თვითმოქმედი კოლექტივი, რომლის ყოველი წევრი ერთდროულად იქნება შემოქმედიც. შემსრულებელიც. კრიტიკოსიც და კონტროლიორიც. და რასაკვირველია, ადგილი არ ექნება ერთი ადამიანის მიერ მეორის არავითარ ექსპლოატაციას. სიყვარულზე. საკუთარი ნებით საყვარელი ადამიანისათვის თავის შეწირვაზე დამყარებული ექსპლუატაციაც ხომ წარმოშობს ზოგჯერ „ოჯახური ჩაგვრის" ისეთ სისტემას, რომელმაც შე-

იძლება ხელი შეუშალოს საზოგადოებრივი იდეალის განხორციელებას: „თითოეულის თავისუფალი განვითარება, ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“.

კომუნისტურ ოჯახში გამეფდება თვითმმართველობის მოქნილი სისტემა, მასში უფროსი იქნება არაფორმალური ლიდერი, რომელიც მკვეთრად უკუაგდებს ყველა პრივილეგიას, რომლის პრეტენზიაც აქვთ ლიდერებს ნებისმიერ საზოგადოებაში. პირიქით, ლიდერს დარჩება ერთადერთი პრივილეგია — თავის თავზე აიღოს საერთო ტვირთის უდიდესი ნაწილი.

რაც შეეხება მორალურ პრინციპებს, კომუნიზმის დროს გახმტკიცდება სრულად განვითარებული მონოგამია (ე. ი. ერთქორწინება) დაფუძნებული სქესთა სოციალურ თანასწორობაზე და მეუღლეთა ურთიერთ სიყვარულზე.

ჩვენი დამოკიდებულებებიდან უნდა ვანიდევნოს ღალატი, მოტყუება და სხვა ნაკლოვანებანი, რითაც ჯერ კიდევ დაავადებულია თანამედროვე ცოლქმრული და მეგობრული ურთიერთობანი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ამის საფუძველზე მინიმუმამდე შემცირდება განქორწინებათა რიცხვი (თუმცა საეჭვოა იმის იმედი, რომ ოდესმე განქორწინება საერთოდ აღარ მოხდება). მრავალმხრივ განვითარებული, თავის ემოციებს, სულსა და სხეულს დაუფლებული შემოქმედებითი პიროვნება შეძლებს კიდეც ოჯახის წევრებთან, რომლებიც თავის მხრივ ასეთებივე იქნებიან, დამოკიდებულების ფაქიზად წარმართვას. იგი ყოველთვის საინტერესო იქნება ახლობლებისთვის და თავს არავის მოაბეზრებს. აქ, ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ მეტად პირადული დამოკიდებულებების სიღრმისეული კავლენები ყოფიერების საერთო ატმოსფეროზე“. — ასკვნის ზ. ა. იანკოვა.

* * *

როგორც ხედავთ ოჯახის მომავალი ცვლილებების შესახებ მეცნიერებთან და მწერლებთან საუბარმა მიგვიყვანა იმ მსჯელობის სათავეებთან, რაც გატარებულია მთელ წიგნში. ჯერ კიდევ დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ თქვენი და თქვენი ახლობლების ბედნიერების უმნიშვნელოვანესი პირობა არის პიროვნების თვითგანვითარება და თვითაღზრდა. როგორც ჩანს, ეს აუცილებელია საყოველთაო ძმობის, ჩვენს მრავალტანჯულ პლანეტა დედამიწაზე ოქროს საუკუნის დამყარების შესახებ მარადიული ოცნების განსახორციელებლად. ნუ ვიქნებით გულგრილი ნუოაფრის მიმართ, რაც ხდება ჩვენს ცხოვრება-

ში, ჩვენს ირგვლივ და ჩვენი მონაწილეობით—სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ აღვივსოთ ადამიანებისადმი სიყვარულის უშრეტი ენერგიით, და, მაშასადამე, ვისწავლოთ ადამიანურად სიყვარული.

დაე, ჩვენი საუბარი იქცეს გზა-კვალად თქვენს მიზანსწრაფულ სვლაში ჭეშმარიტად ჰუმანური და ზნეობრივი არსებობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევათა მწვერვალებისკენ. ბედნიერ აღმასვლას გისურვებთ!

აღმასვლა, როგორც ცნობილია მოითხოვს საფუძვლიან აღჭურვილობას. ასეთ აღჭურვილობას თქვენთვის წარმოადგენს წიგნი. გთავაზობთ ლიტერატურის სიას, რომელიც დიდხანს გეყოფათ. გახსოვდეთ, რომ საჭიროა ნელი, დაკვირვებული კითხვა, ჩაღრმავება. სამაგიეროდ, პირველი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, გაგიჩნდებათ კითხვის წყურვილი. რაც დაგეხმარებათ იმაში. რომ სწორი პასუხი გასცეთ ყველა ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანეს კითხვას: როგორ ვიცხოვროთ ღირსეულად?

მოსწავლეთათვის რეკომენდირებული ლიტერატურის სია:

1. **Энгельс Ф.** Происхождение семьи, частной собственности и государства. М., 1978.
2. Семья Маркса в письмах. М., 1984.
3. **Воробьева О. Б., Синельникова И. М.** Дочери Маркса. М., 1978.
4. **Крупская Н. К.** Следует ли обучать мальчиков «бабьему делу?» — педагогические сочинения в 20-ти т. М., 1957, т. 1.
5. **Крупская Н. К.** Война и деторождение. — Там же т. 6.
6. **Цеткин К.** Из записных книжек. — Воспоминания о В. И. Ленине. М., 1978, т. 5.
7. **Шагинян М. С.** Семья Ульяновых. — собрание сочинений. М., 1974, т. 6.
8. **Пушкин А. С.** Письма к жене. — Собрание сочинений. М., 1978, т. 10.
9. **Герцен А. И.** Былое и думы. М., 1969.
10. **Гончаров А. И.** Обыкновенная история. Собрание сочинений. М., 1978, т. 1.
11. **Толстой Л. Н.** Анна Каренина.
12. **Толстой Л. Н.** Крейцерова соната.
13. **Толской А. Н.** Отец Сергий.
14. **Толстой Л. Н.** Исповедь.
15. **Толстой Л. Н.** Так что же нам делать?
16. **Корчак Я.** Правила жизни. — Избранные педагогические сочинения. М 1979.
17. **Макаренко А. С.** Книга для родителей. М., 1982.
18. **Сухомлинский В. А.** Родительская педагогика. — Избранные педагогические сочинения. М., 1981, т. 3.
19. **Азаров Ю. П.** Семейная педагогика. М., 1982.
20. **Богат Е. М.** «... что движет солнце и светила». М., 1981.
21. **Васильев К.** Любовь. М., 1982.
22. **Зацепин В. И.** О жизни и супружестве. М., 1978.
23. **Кон И. С.** Психология юношеского возраста. М.,
24. **Никитин Б. П., Никитина Л. А.** Мы и наши дети. М.,
25. **Рюриков Ю. Б.** Три влечения. М., 1967.
26. **Соловьев Н. Я.** Семья в социалистическом обществе. М., 1981.
27. **Феофанов Ю. В.** Закон и мораль. М., 1970.
28. **Харчев А. Г.** Брак и семья в СССР. М., 1970.
29. **Ходоков Н. М.** Молодым супругам. М., 1979.
30. **Хрипкова А. Г., Колесов Д. В.** Девочка — подросток — девушка. М., 1981.
31. **Хрипкова А. Г., Колесов Д. В.** Мальчик — подросток юноша М., 1981.
32. **Чурбанов В. Б.** Непризнанные гении. М., 1977.
33. **Янкова З. А.** Городская семья. М., 1979.
34. Хрестоматия по этике и психологии семейной жизни. М., 1986.
35. **Разумихина Г. И.** Мир семьи. М., 1986.
36. **Ковалёв С. М.** Психология семейных отношений. М., 1987.

Сборники статей, очерков, посвященных семье, проблемам культуры чувств и поведения юношей и девушек, молодожёнов, воспитание детей, культуры быта:

Разрешите познакомиться. М., 1978.

Азбука для двоих. М., 1981.

Мы строим дом. М., 1981.

Совет да любовь. М., 1981.

Семейно-бытовая культура. Минск, 1981.

В часы досуга. М., 1982.

Мы и наша семья. М., 1983.

დამატებითი ლიტერატურა:

ვ. ჩხარტიშვილი, ოჯახის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974.

შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1975

რ. ირემაშვილი, ნაოჯახო ცხოვრებ ადამიანის ეფოსულაელთა ხნეობრივი მომხადების ზოგიერთი პრობლემა, ჟურნ. „ისტორია და ცხოვრება", № 11, 1976

გ. მაღრაძე, მომავალი მეოჯახის აღსაზრდელად, ჟურნ. „ისტორია და ცხოვრება" № 8, 1986.

თ. მუსერიძე, ზოგი რამ სწავლაში ჩამორჩენილობის შესახებ, ჟურნ. „ისტორია და ცხოვრება, № 7, 1968

ნ. ხარჭველაძე, ოლ-ქმარს შორის ურთიერთობის ფსიქოლოგიური ასპექტი, პრ. „ცოდნა", 1982.

შინაარსი

ეს ხოცარი ხანწავლო ხაგანი 3
ჩვენ თავს ჭერ სხვა ადამიანში ვხედავთ როგორც სარკეში 14
ვინ ვინ არის 14
ძე ოჯახი ვარ 34
ანგარიშ შენი ფანჯრების მიღმა 51
თანატოლები 66
[illegible] 66
[illegible] 83
[illegible] 90
მენდელსონის მარშის თანხლებით 131
ჩვენ ვიარჩევთ ერთმანეთს 131
[illegible] 145
[illegible] 154
დედა და მამა — მთავარი აღმზრდელები 172
[illegible] 172
[illegible] 185
[illegible] 195
უფროსები სახლში 204
[illegible] 204
[illegible] 216
ოჯახის ეკონომიკა 229
მოთხოვნილებები ბუნებრივი და ხელოვნური 229
[illegible] 246
[illegible] 257
პატიოსნების კანონის შესახებ 271
[illegible] 271
[illegible] 276
[illegible] 288
ხვალინდელ დღეს თუ გავხედავთ 298

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ნარსია
მხატვრული რედაქტორი გ. ზაქალაშვილი
ტექრედაქტორი ნ. გაგნიძე
ეფრონი კორექტორი ლ. კობახიძე
კორექტორი ე. გიფრინდაშვილი

ИБ № 4003 Учебное издание

გადაეცა საწყობად 30.03.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.08.88. ქაღალდის ზომა 60X90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი, ნაბეჭდი თაბახი 19,5. სალებავგამტარება 19,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 18,59. ტირაჟი 80.000 შეკვ. № 5513

ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.